Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

23

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА — ЭНГЕЛЬСА — ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1949

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

23

1916 აგვისტო — *1917* მარტი

წინასიტყვაობა

ოცდამესამე ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებთ, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაწერა შვეიცარიაში 1916 წლის აგვისტოდან 1917 წლის მარტამდე.

ნაწარმოებთა უმრავლესობა ასახავს ლენინის, ბოლშევიკების ბრძოლას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და II ინტერნაციონალის პარტიათა ბელადების—აშკარა სოციალშოვინისტების და ცენტრისტების მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ნაწარმოებთ მიეკუთვნება სტატიები: «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა», ««სოციალისტ» მინისტრთა მთელი ათეული», «პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური», «მუშებს, რომელნიც მხარს უჭერენ ბრძოლას ომის წინააღმდეგ და თავიანთ მთავრობათა მხარეზე გადასული სოციალისტების წინააღმდეგ» და სხვები.

ტომში იბეჭდება ცნობილი სტატია «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა», სადაც ლენინმა იმ მონაცემების საფუძველზე იმპერიალისტური კაპიტალიზმის შესახებ, რაც მან გადმოსცა წიგნში «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», განავითარა ახალი თეორიული დებულება, რომლის თანახმად, ყველა ქვეყანაში სოციალიზმის ერთდროული გამარჯვება შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ა დ ითვლება, ხოლო სოციალიზმის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ა დ ა ა

აღიარებული. ამავე სტატიაში ლენინმა დაასაბუთა დებულება სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ნაწარმოებნი, რომლებშიც ლენინმა განსაზღვრა რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების ამოცანები მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდისათვის (1914 — 1918): «მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში», «პრინციპული დებულებანი ომის საკითხისათვის», «სამშობლოს დაცვის საკითხის დაყენებისათვის», «ნეიტრალიტეტის დაცვა» და სხვები.

სტატიებში: ««იმპერიალისტური ეკონომიზმის» მიმართულების შესახებ, რომელიც ახლა იბადება», «პასუხი პ. კიევსკის (ი. პიატაკოვს)», «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» ლენინი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ბუხარინ-პიატაკოვის ანტიპარტიული ჯგუფის მტრულ პოზიციას მარქსიზმისადმი და ახალ ისტორიულ პირობებში ავითარებს ბოლშევიკურ პროგრამას ნაციონალურ საკითხში.

ტომში შედის «მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ», რომელიც წაიკითხა ლენინმა ციურიხში მუშა ახალგაზრდობის კრებაზე და რომელშიც მან ღრმად და ყოველმხრივ განაზოგადა რუსეთის პირველი რევოლუციის გამოცდილება.

ნაწარმოებნი: «1917 წლის 4 (17) მარტის თეზისების მონასახი», «წერილები შორიდან», «რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში», «რევოლუცია რუსეთში და ყველა ქვეყნის მუშათა ამოცანები» და სხვები, დაწერილია 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში. მათში ლენინმა მოგვცა რევოლუციაში კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ანალიზი და დასახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის პერსპექტივები.

3. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შედის ექვსი დოკუმენტი. «წინადადება სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ

რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ» და «ისტორია ერთი სოციალისტური პარტიის ცხოვრების ერთი პატარა პერიოდისა» მიძღვნილია მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ბრძოლისადმი შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს. ნაშრომი «სტატისტიკა და სოციოლოგია» გვიჩვენებს ნაციონალურ მოძრაობათა როლს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. დოკუმენტები: «დეპეშა რუსეთს მიმავალ ბოლშევიკებს» და «განცხადება გაზეთ «Volksrecht»-ში» განმარტავენ ბოლშევიკების ტაქტიკას რუსეთის რევოლუციაში, რომელიც ჩაღდებოდა. «რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის კოლეგიის დადგენილება» მიმართულია მენშევიკების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ლენინისა და ბოლშევიკების დაბრუნებისათვის ემიგრაციიდან რუსეთში.

ვ. ი. ლენინი

1917

«იმპერიალისტური ეკონომიზმის» მიმართულების შესახებ, რომელიც ახლა იბადება

ძველი, 1894 — 1902 წლების, «ეკონომიზმი» ასე მსჯელობდა. ნაროდნიკების შეხედულებანი დარღვეულია. რუსეთში კაპიტალიზმმა გაიმარჯვა. მაშასადამე, პოლიტიკურ რევოლუციებზე ფიქრი ზედმეტია. პრაქტიკული დასკვნა: ან — «მუშებს ეკონომიური და ლიბერალებს — პოლიტიკური ბრძოლა». ესაა ნახტომი მარჯვნივ. ან — პოლიტიკური რევოლუციის მაგიერ საყოველთაო გაფიცვა სოციალისტური გადატრიალებისათვის. ესაა ნახტომი მარცხნივ, რომელიც წარმოდგენილია 90-იანი წლების დამლევის რუსი «ეკონომისტის» ერთი, ახლა დავიწყებული, ბროშურით [1].

ახლა იბადება ახალი «ეკონომიზმი», რომელიც ანალოგიური ორი ნახტომის მიხედვით მსჯელობს: «მარჯვნივ» — ჩვენ «თვითგამორკვევის უფლების» წინააღმდეგნი ვართო (ე. ი. ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების წინააღმდეგნი, ანექსიებთან ბრძოლის წინააღმდეგნი ვართო, — ეს ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მოფიქრებული ან ბოლომდე ნათქვამი). «მარცხნივ» — ჩვენ პროგრამა-მინიმუმის წინააღმდეგნი ვართ (ე. ი. რეფორმებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის წინააღმდეგნი ვართ), რადგან ეს სოციალისტურ რევოლუციას «ეწინააღმდეგებაო».

უკვე წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს მიმართულება, რომელიც ახლა იბადება, ნათელი გახდა რამდენიმე ამხანაგისათვის, სახელდობრ ბერნის თათბირზე 1915

წლის გაზაფხულს. მაშინ, საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი ამხანაგი, რომელმაც საყოველთაო დაწუნება დაიმსახურა, თათბირის დამთავრებამდე დაჟინებით იცავდა «იმპერიალისტური ეკონომიზმის» ამ იდეებს და წერილობით ჩამოაყალიბა ისინი განსაკუთრებული «თეზისების» სახით. ამ თეზისებს არავინ არ მიემხრო[2].

შემდეგ იმავე ამხანაგის თეზისებს თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიემხრნენ კიდევ ორნი[3] (ისე რომ მათ შეგნებული არ ჰქონდათ ამ საკითხის განუყრელი კავშირი ახლახან დასახელებული «თეზისების» საერთო პოზიციასთან). ხოლო 1915 წლის თებერვალში «ჰოლანდიელთა პროგრამის» გამოქვეყნებამ, რომელიც «ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბიულეტენის»[4] მე-3 ნომერში დაიბეჭდა, ეს «გაუგებრობა» მყისვე გამოამეღავნა და თავდაპირველი «თეზისების» ავტორი ხელახლა აიძულა უკვე კვლავ მთლიანად, და არა მარტო ვითომდა «კერძო» პუნქტის მიმართ გამოყენების მხრივ, აღედგინა მთელი თავისი «იმპერიალისტური ეკონომიზმი».

უსათუოდ აუცილებელი ხდება კიდევ და კიდევ გავაფრთხილოთ სათანადო ამხანაგები, რომ ისინი ჭაობში ჩაეფლნენ, რომ მათ «იდეებს» არც მარქსიზმთან, არც რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვთ. საქმის კვლავ უყურადღებოდ დატოვება შეუწყნარებელია: ეს ნიშნავს ხელი შევუწყოთ იდეურ არევ-დარევას და წარვმართოთ ის ორჭოფული აზრების, «კერძო» კონფლიქტების, გაუთავებელი «შეხლა-შემოხლისა» და სხვ. უცუდესი მიმართულებით. პირიქით, ჩვენი ვალია სრულიად უდავოდ და სავსებით კატეგორიულად მოვითხოვოთ და დავიცვათ წამოჭრილი საკითხების მოფიქრებისა და საბოლოოდ განხილვის სავალდებულო ხასიათი.

«სოციალ-დემოკრატის»[5] რედაქციამ თეზისებში თვითგამორკვევის შესახებ * (გერმანულად გამოცემულია როგორც

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 173—191. რედ.

ამონაბეჭდი «Vorbote»-ს[6] მე-2 ნომრიდან) განზრახ გამოიტანა ეს საქმე პრესაში გ ა უ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ე ლ ი, მაგრამ მეტად დაწვრილებითი ფორმით და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი თვითგამორკვევის საკითხის კ ა ვ შ ი რ ს რეფორმებისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლის ს ა ე რ თ ო საკითხთან, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მხარის უგულებელყოფის შეუწყნარებლობის საკითხთან და სხვ.. თავის შენიშვნებში რედაქციის თეზისებზე თვითგამორკვევის შესახებ («იმპერიალისტური ეკონომიზმის») თავდაპირველი თეზისების ავტორი ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ა ს უ ც ხ ა დ ე ბ ს ჰ ო ლ ა ნ დ ი ე ლ თ ა პ რ ო გ რ ა მ ა ს და ამით თვითონვე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადყოფს, რომ თვითგამორკვევის საკითხი, როგორც მას იმ მიმართულების ავტორები აყენებენ, რომელიც ახლა იბადება, სრულიადაც არა «კერძო», არამედ ზოგადი და ძირითადი საკითხია.

ჰოლანდიელთა პროგრამა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის[7] წარმომადგენლებს გადაეცა 1916 წ. 5 — 8 თებერვალს, ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბერნის სხდომაზე. ამ მემარცხენე ჯგუფის არც ერთ წევრს, მ ა თ შ ო რ ი ს ა რ ც რ ა დ ე კ ს, ამ პროგრამის სასარგებლოდ აზრი არ გამოუთქვამს, რადგან იგი ერთმანეთთან აერთებს, უწესრიგოდ, ისეთ მუხლებს, როგორიცაა «ბანკების ექსპროპრიაცია», და ისეთებს, როგორიცაა «სავაჭრო ბაჟების გაუქმება», «სენატის პირველი პალატის მოსპობა» და სხვა. ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ყველა წარმომადგენელმა ერთსულოვნად, უმალვე, — თითქმის უსიტყვოდაც კი, მხოლოდ მხრების აჩეჩვით, — ჩაუარა გვერდი ჰოლანდიელთა პროგრამას, როგორც აშკარად უხეიროს საერთოდ.

თავდაპირველი, 1915 წ. გაზაფხულზე დაწერილი, თეზისების ავტორს კი ეს პროგრამა ისე მოეწონა, რომ მან განაცხადა: «არსებითად მე ამაზე მეტი არც არაფერი მითქვამს» (1915 წ. გაზაფხულზე), «ჰოლანდიელებმა **მოიფიქრეს**»: «მ ა თ თ ა ნ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მ ხ ა რ ე ა — ე ქ ს პ რ ო პ რ ი ა ც ი ა ბ ა ნ კ ე ბ ი ს ა და მ ს ხ ვ ი ლ წ ა რ მ ო ე ბ ა თ ა»

(საწარმოთა), «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ხ ა რ ე ა — რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა დ ა ს ხ ვ ა. ს ა ვ ს ე ბ ი თ ს წ ო რ ი ა!».

სინამდვილეში ჰოლანდიელებმა კი არ «მოიფიქრეს», არამედ უაღრესად **მოუფიქრებელი** პროგრამა მოგვცეს. რუსეთის სავალალო ბედია, რომ ჩვენში ზოგიერთები უახლესი სიახლის სწორედ მოუფიქრებელ რამეებს ებღაუჭებიან...

1915 წლის თეზისების ავტორს ჰგონია, რომ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია წინააღმდეგობაში ჩავარდა, როცა «თვითონ» წამოაყენა «ბანკების ექსპროპრიაცია» და თანაც დაუმატა სიტყვა «დაუყოვნებლივი» (პლუს «დიქტატორული ზომები») მე-8 პარაგრაფში («კონკრეტული ამოცანები»). «ხოლო როგორ მაგინებდნენ ბერნში მე ამისთვისვე!» — აღშფოთებული გაიძახის 1915 წლის თეზისების ავტორი, როცა იგონებს ბერნის დავას 1915 წლის გაზაფხულზე.

«წვრილმანი» დაივიწყა და გაუშვა მხედველობიდან ამ ავტორმა: «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია მე-8 პარაგრაფში ნათლად განასხვავებს **ორ** შემთხვევას: I — სოციალისტური რევოლუცია **დაიწყო**. მაშინ, ნათქვამია იქ, «ბანკების დაუყოვნებლივი ექსპროპრიაცია» და სხვა. II შემთხვევა: **სოციალისტური** რევოლუცია **არ** იწყება და მაშინ გვიხდება ამ კარგ საგნებზე ლაპარაკი გადავდოთ.

ვინაიდან **ამჟამად** სოციალისტური რევოლუცია აღნიშნული აზრით, აშკარაა, ჯერ არ დაწყებულა, ამიტომ ჰოლანდიელთა პროგრამაც შეუსაბამოა. თეზისების ავტორი კი საქმეს «ა ღ რ მ ა ვ ე ბ ს», როცა უბრუნდება (ისევ და ისევ იმავე ადგილას...) თავის ძველ შეცდომას: გადაქცეულ იქნეს პოლიტიკური მოთხოვნები (როგორიცაა «პირველი პალატის მოსპობა»?) **«სოციალური რევოლუციის პოლიტიკურ ფორმულირებად»**.

მთელი წლის განმავლობაში ერთი ადგილის ტკეპნის შემდეგ ავტორი დაუბრუნდა თავის ძველ შეცდომას. **აქ არის** მისი ფათერაკის «თავი და ბოლო»: მას **არ** შეუძლია გაერკვეს **იმ** საკითხში, თ უ რ ო გ ო რ დ ა ვ უ კ ა ვ შ ი რ ო თ დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

ბრძოლას და დემოკრატიისათვის ბრძოლას — სწორედ ისევე, როგორც ნეტარხსენებულ «ეკონომიზმს» არ შესწევდა უნარი დაეკავშირებინა დაწყებული კაპიტალიზმი დემოკრატიისათვის ბრძოლასთან.

აქედან—სრული არევ-დარევა იმპერიალიზმის დროს დემოკრატიული მოთხოვნების «განუხორციელებლობის» საკითხში.

აქედან — მარქსისტისათვის შეუწყნარებელი (და მხოლოდ რაბოჩაიამისლელი «ეკონომისტის» შესაფერისი) უგულებელყოფა პოლიტიკური ბრძოლისა ახლა, ამჟამად, დაუყოვნებლივ, ისე როგორც ყოველთვის.

აქედან — განუყრელი თვისება «დაეშვან» იმპერიალიზმის აღიარებიდან იმპერიალიზმის აპოლოგიამდე (როგორც ნეტარხსენებული «ეკონომისტები» ეშვებოდნენ კაპიტალიზმის აღიარებიდან კაპიტალიზმის აპოლოგიამდე).

და სხვა და სხვა.

1915 წლის თეზისების ავტორის მიერ თვითგამორკვევის შესახებ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის თეზისებზე გამოთქმულ შენიშვნებში დაშვებული შეცდომების სავსებით დეტალურად განხილვა ყოვლად შეუძლებელია, რადგან მცდარია თვითეული ფრაზა! ხომ არ შეიძლება ბროშურები ან წიგნები წერო «შენიშვნების» პასუხად, როცა «იმპერიალისტური ეკონომიზმის» ინიციატორები წელიწადია ერთ ადგილს ტკეპნიან და დაჟინებით არ უნდათ იზრუნონ იმაზე, რაზედაც ზრუნვა მათი პირდაპირი პარტიული მოვალეობაა, თუ კი მათ სწადიათ სერიოზულად მოეკიდონ პოლიტიკურ საკითხებს, სახელდობრ: იზრუნონ მოფიქრებულ, მთლიან გადმოცემაზე იმისა, რასაც ისინი «ჩვენს უთანხმოებებს» უწოდებენ.

მე იძულებული ვარ დავჯერდე იმის მოკლე აღნიშვნას, თუ როგორ იყენებს ავტორი თავის ძირითად შეცდომას ანუ როგორ «ავსებს» მას.

ავტორს ჰგონია, რომ მე ჩემს თავსვე ვეწინააღმდეგები: 1914 წ. («პროსვეშჩენიე»[8]) ვწერდი, რომ უაზრობაა თვითგამორკვევის ძებნა **«დასავლეთ ევროპის სოციალისტების პრო-**

გრამებში» *, 1916 წ. კი თვითგამორკვევას ვაცხადებ განსაკუთრებით საარსებო საჭიროებად.

ავტორმა ვერ მოისაზრა (!!), რომ ეს «პროგრამები» დაწერილია 1875, 1880, 1891 წლებში! [9]

შემდეგ (თვითგამორკვევის შესახებ «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ს» რედაქციის თეზისების) პარაგრაფების მიხედვით:

§ 1. იგივე «ეკონომისტური» სენი, როდესაც არა სურთ ხედავდნენ და აყენებდნენ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ საკითხებს. რ ა დ გ ა ნ სოციალიზმი შექმნის ეკონომიურ ბაზას პოლიტიკაში ნაციონალური ჩაგვრის მოსპობისათვის, ა მ ი ტ ო მ ჩვენს ავტორს არ სურს ჩამოაყალიბოს ჩვენი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ამ დარგში! ეს პირდაპირ კურიოზია!

რ ა დ გ ა ნ გამარჯვებული პროლეტარიატი არ უარყოფს ომებს სხვა ქვეყნების ბურჟუაზიასთან, ა მ ი ტ ო მ ავტორს არ სურს ჩამოაყალიბოს ჩვენი პოლიტიკური ამოცანები ნაციონალური ჩაგვრის დარგში!! ყველაფერი ეს—მარქსიზმისა და ლოგიკის სრული დარღვევის მაგალითებია; ანდა, თუ გნებავთ, «იმპერიალისტური ეკონომიზმის» ძირითადი შეცდომების ლ ო გ ი კ ი ს გამოხატულებაა.

§ 2. თვითგამორკვევის მოწინააღმდეგენი საშინლად გაიხლართნენ «განუხორციელებლობაზე» მითითებებში.

«სოციალ-დემოკრატის» რედაქცია განუმარტავს მათ განუხორციელებლობის ო რ შესაძლებელ მნიშვნელობას და მათს შეცდომას ო რ ი ვ ე შემთხვევაში.

1915 წ. თეზისების ავტორი კი, რომელიც არც კი ცდილობს მოგვცეს «განუხორციელებლობის» თ ა ვ ი ს ი გაგება, ე. ი. ღ ე ბ უ ლ ო ბ ს ჩვენს იმ განმარტებას, რომ აქ ერთმანეთში ურევენ ორ სხვადასხვა საგანს, გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს ა მ ა რ ე ვ-დ ა რ ე ვ ა ს!!

კრიზისებს იგი აკავშირებს «იმპერიალისტურ» «პოლიტიკასთან»: ჩვენს პოლიტიკო-ეკონომს **დაავიწყდა,** რომ კრიზისები იყო ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ა მ დ ე!..

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 20, გვ. 495—496. რ ე დ.

თვითგამორკვევის ეკონომიურ განუხორციელებლობაზე ლაპარაკი არევ-დარევას ნიშნავსო — განმარტავს რედაქცია. ავტორი პასუხს არ იძლევა, არ აცხადებს, რომ მას თვითგამორკვევა ეკონომიურად განუხორციელებლად მიაჩნია; იგი სადავო პოზიციას სთმობს და აკეთებს ნახტომს პოლიტიკაზე («მაინც» განუხორციელებელიაო), თუმცა მას ცხადზე უცხადესად უთხრეს, რომ პოლიტიკურად რესპუბლიკაც სავსებით ისევე «განუხორციელებელია» იმპერიალიზმის დროს, როგორც თვითგამორკვევა.

აქ ჩიხში მომწყვდეული ავტორი ერთ «ნახტომს» კიდევ აკეთებს: იგი რესპუბლიკასაც და მთელ პროგრამა-მინიმუმსაც სცნობს მხოლოდ «სოციალური რევოლუციის პოლიტიკურ ფორმულირებად»!!!

ავტორი უარს ამბობს თვითგამორკვევის «ეკონომიური» განუხორციელებლობის დაცვაზე და აკეთებს ნახტომს პოლიტიკაზე. პოლიტიკური განუხორციელებლობა მას გადააქვს მთელი პროგრამა-მინიმუმის საკითხზე. აქ კვლავ არ არის მარქსიზმის ნატამალი, ლოგიკის ნატამალი, გარდა «იმპერიალისტური ეკონომიზმის» ლოგიკისა.

ავტორს უნდა შეუმჩნევლად (ისე, რომ თვითონ არ უფიქრია და არაფერი მთლიანი არ მოუცია, თავისი პროგრამის შესამუშავებლად არ გარჯილა) მოიშოროს თავიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა-მინიმუმი! გასაკვირველი არ არის, რომ იგი წელიწადია ერთ ადგილს ტკეპნის!!

კაუცკელობასთან ბრძოლის საკითხი კვლავ კერძო საკითხი კი არა, თანამედროვეობის საერთო და ძირითადი საკითხია: ავტორმა ეს ბრძოლა **ვერ გაიგო.** როგორც «ეკონომისტები» ნაროდნიკებთან ბრძოლას აქცევდნენ კაპიტალიზმის აპოლოგიად, ისე ავტორი კაუცკელობასთან ბრძოლას აქცევს იმპერიალიზმის აპოლოგიად (ეს მე-3 პარაგრაფსაც შეეხება).

კაუცკელობის შეცდომა ის არის, რომ იგი რეფორმისტულად აყენებს ისეთ მოთხოვნებს და ისეთ მომენტში, რომელთა

დაყენება არ შეიძლება სხვანაირად, თუ არ რევოლუციურად (ავტორი კი შეცდომით იმ აზრს ადგება, თითქოს კაუცკელობის შეცდომა იყოს საზოგადოდ ამ მოთხოვნების წამოყენება, როგორც «ეკონომისტებს» ნაროდნიკობასთან ბრძოლა «ესმოდათ» იმ აზრით, რომ «ძირს თვითმპყრობელობა» ნაროდნიკობაა).

კაუცკელობის შეცდომა ის არის, რომ იგი სწორ დემოკრატიულ მოთხოვნებს მიმართავს უკან, მშვიდობიანი კაპიტალიზმისაკენ, და არა წინ, სოციალური რევოლუციისაკენ (ავტორი კი შეცდომით იმ აზრს ადგება, რომ ეს მოთხოვნები სწორი არ არისო).

§ 3. იხ. ზემოთ. «ფედერაციის» საკითხსაც ავტორი აგრეთვე გვერდს უვლის. იმავე «ეკონომიზმის» იგივე ძირითადი შეცდომა: პოლიტიკური საკითხების დაყენების უუნარობა *.

§ 4. «თვითგამორკვევიდან გამომდინარეობს სამშობლოს დაცვაო» — დაჟინებით გაიძახის ავტორი. მისი შეცდომა აქ ის არის, რომ მას უნდა სამშობლოს დაცვის უარყოფა გადააქციოს შაბლონად, გამოიყვანოს არა ახლანდელი ომის კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებიდან, არამედ «საზოგადოდ». ეს მარქსიზმი არ არის.

ავტორს უკვე დიდი ხანია უთხრეს და მას ეს არ უარუყვია: სცადეთ მოიფიქროთ ნაციონალურ ჩაგვრასთან ან არათანასწორუფლებიანობასთან ბრძოლის ისეთი ფორმულირება, რომელიც არ ამართლებდეს «სამშობლოს დაცვას». თქვენ ამის გაკეთებას ვერ შეძლებთ.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ნაციონალურ ჩაგვრასთან ბრძოლის წინააღმდეგი ვართ, თუ კი მისგან შეიძლება გამოვიყვანოთ სამშობლოს დაცვა?

---

* «ჩვენ არ გვეშინია დაშლისა», წერს ავტორი, «ჩვენ არ ვიცავთ სახელმწიფო საზღვრებს». აბა სცადეთ და მოგვეცით ამის ზუსტი პოლიტიკური ფორმულირება!! საქმეც ის არის, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ეს გააკეთოთ; თქვენ ხელს გიშლით «ეკონომისტური» სიბრმავე პოლიტიკური დემოკრატიის საკითხებში.

არა. ვინაიდან ჩვენ «საზოგადოდ» კი არა ვართ «სამშობლოს დაცვის» წინააღმდეგი (იხ. ჩვენი პარტიის რეზოლუციები *), არამედ წინააღმდეგი ვართ ამ ყალბი ლოზუნგით ახლანდელი იმპერიალისტური ომის შელამაზებისა.

ავტორს ძირფესვიანად არასწორად, **არაისტორიულად, უნდა** (მაგრამ არ შეუძლია; იგი აქაც მთელი წელიწადია მხოლოდ ცდილობს...) დააყენოს «სამშობლოს დაცვის» საკითხი.

«დუალიზმზე» ლაპარაკი ცხადყოფს, რომ ავტორს არ ესმის რა არის მონიზმი და რა არის დუალიზმი.

თუ მე «გავაერთიანებ» ფეხსაცმლის ჯაგრისსა და ძუძუმწოვარს, იქნება თუ არა ეს «მონიზმი»?

თუ მე ვიტყვი, რომ ა მიზნისაკენ უნდა



წავიდეთ (ბ) პუნქტიდან მარცხნივ, ხოლო (გ) პუნქტიდან მარჯვნივ, იქნება თუ არა ეს «დუალიზმი»?

ერთნაირია თუ არა მჩაგვრელ და ჩაგრულ ერთა პროლეტარიატის მდგომარეობა ნაციონალური ჩაგვრისადმი დამოკიდებულების მხრივ? არა, ერთნაირი არ არის, ერთნაირი არ არის არც ეკონომიურად და პოლიტიკურად, არც იდეურად, სულიერად და სხვ.

მაშასადამე?

მაშასადამე, ერთი მიზნისაკენ (ერთა შეერთება) სხვადასხვა გამოსავალი პუნქტიდან ერთნი წავლენ **ასე**, მეორენი — **სხვანაირად.** ამის უარყოფა არის «მონიზმი», რომელიც ფეხსაცმლის ჯაგრისს აერთიანებს ძუძუმწოვართან.

«ჩაგრული ერის პროლეტარებისთვის ამის თქმა» (თვითგამორკვევის სასარგებლოდ) «საჭირო არ არისო» — ასე «გაიგო» ავტორმა რედაქციის თეზისები.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 181 — 182. რედ.

ეს კურიოზია!! არაფერი ამდაგვარი თეზისებში ნათქვამი არ არის. ავტორს ან ბოლომდე არ წაუკითხავს, ანდა სრულებით არ ჩაფიქრებულა.

§ 5. იხ. ზემოთ კაუცკელობის შესახებ.

§ 6. ავტორს ელაპარაკებიან ქვეყნების სამ ტიპზე მთელ მსოფლიოში. ავტორი «კაზუსებს» იჭერს და «დავობს». ეს — კაზუისტიკაა და არა პოლიტიკა.

გნებავთ იცოდეთ «კაზუსი»: «ხოლო ბელგია»?

ნახეთ ლენინისა და ზინოვიევის ბროშურა [10]. იქ ნათქვამია, რომ ჩვენ **მომხრენი** ვიქნებოდით ბელგიის დაცვისა **(ომის საშუალებითაც** კი), კონკრეტული ომი რომ სხვანაირი ყოფილიყო *.

თქვენ არ ეთანხმებით ამას?

სთქვით ეს!!

თქვენ არ ჩაფიქრებიხართ იმ საკითხს, თუ **რატომ** არის სოციალ-დემოკრატია «სამშობლოს დაცვის» წინააღმდეგი.

ჩვენ იმიტომ კი არა ვართ მისი წინააღმდეგი, რატომაც თქვენ გგონიათ, ვინაიდან საკითხის თქვენი დაყენება (ცდები, და არა დაყენება) არაისტორიულია. აი ჩემი პასუხი ავტორს.

იმის გამოცხადება «სოფისტიკად», რომ ჩვენ, ვამართლებთ რა ომს ნაციონალური ჩაგვრის დასამხობად, არ ვამართლებთ ახლანდელ იმპერიალისტურ ომს, რომელიც ორივე მხრიდან წარმოებს ნაციონალური ჩაგვრის გაძლიერების გულისათვის, — ნიშნავს «მაგარი» სიტყვის ხმარებას, მაგრამ არ შეიცავს ჩაფიქრების ნატამალსაც კი.

ავტორს უნდა «უფრო მემარცხენე სახით» დააყენოს «სამშობლოს დაცვის» საკითხი, მაგრამ გამოუდის (უკვე მთელი წელიწადია) — სრული დომხალი!

§ 7. ავტორი აკრიტიკებს: «სრულიად არაფერია ნათქვამი «ზავის პირობების» საკითხზე საზოგადოდო».

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 369 — 370. რედ.

აი ესეც კრიტიკა: არაფერია ნათქვამი საკითხზე, რომელსაც ჩვენ აქ არც ვაყენებთ!!

მაგრამ აქ «ნათქვამია» და დაყენებულია ანექსიების საკითხი, რომელშიაც დაიბნენ «იმპერიალისტური ეკონომისტები», ამჯერად ჰოლანდიელებთან და რადეკთან ერთად.

ან თქვენ უარყოფთ დაუყოვნებლივს ლოზუნგს **ძველი და ახალი ანექსიების წინააღმდეგ,** — (რომელიც არა ნაკლებ «განუხორციელებელია» იმპერიალიზმის დროს, ვიდრე თვითგამორკვევა; ევროპაში, ისევე როგორც კოლონიებში), — და მაშინ იმპერიალიზმის თქვენი აპოლოგია ფარულიდან ექცევა აშკარა აპოლოგიად.

ან თქვენ ცნობთ ამ ლოზუნგს (როგორც რადეკი მოიქცა პრესაში), — მაშინ თქვენ უკვე აღიარეთ ერთა თვითგამორკვევა სხვა სახელით!!

§ 8. ავტორი საზეიმოდ აცხადებს «ბოლშევიზმს დასავლეთ ევროპის მასშტაბით» («თქვენი პოზიცია არ არისო», დასძენს იგი).

მე მნიშვნელობას არ ვაძლევ იმ სურვილს, რომ ჩაებღაუჭონ სიტყვა «ბოლშევიზმს», რადგან ვიცნობ ისეთ «ძველ ბოლშევიკებს», რომ ღმერთმა დაგიფაროთ. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ ავტორის მიერ საზეიმოდ გამოცხადებული «ბოლშევიზმი დასავლეთ ევროპის მასშტაბით», ჩემი ღრმა რწმენით, ბოლშევიზმი და მარქსიზმი კი არ არის, არამედ იმავე ძველი «ეკონომიზმის» პატარა ვარიანტია.

ჩემი აზრით, ყოვლად შეუწყნარებელი და მეტად არასერიოზული, არაპარტიული საქციელია, რომ მთელი წელიწადი საზეიმოდ აცხადებდე ახალ ბოლშევიზმს და ამით კმაყოფილდებოდე. ნუთუ დრო არ არის, **კარგად მოიფიქრო** და მისცე ამხანაგებს ისეთი რამ, რაც დალაგებულად და მთლიანი სახით გადმოსცემს ამ «ბოლშევიზმს დასავლეთ ევროპის მასშტაბით»?

კოლონიების განსხვავება ევროპის ჩაგრულ ერთაგან ავტორმა ვერ დაამტკიცა და ვერც დაამტკიცებს (ამ საკითხის მიმართ).

ჰოლანდიელებისა და P. S. D.-ის * მხრივ თვითგამორკვევის უარყოფა არის ა რ ა მ ა რ ტ ო, და არც თუ იმდენად, დომხალი, ვინაიდან გორტერმა ფაქტიურად სცნო იგი, ისე როგორც პოლონელთა ციმერვალდის განცხადება [11], — რამდენადაც შედეგი მათი **ერების განსაკუთრებული** მდგომარეობისა (მცირე ერები **საუკუნეობრივი** ტრადიციებით და **დიდმპყრობელობის** პრეტენზიებით).

მეტისმეტი მოუფიქრებლობა და გულუბრყვილობაა — მექანიკურად და უკრიტიკოდ გადმოიღო, გაიმეორო ის, რაც სხვებს შეუმუშავდათ ხალხის მატყუარა ნაციონალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ათეული წლების განმავლობაში. ამ ადამიანებმა **სწორედ** ის გადმოიღეს, რისი გადმოღებაც არ შეიძლება!

დაწერილია 1916 წ.
აგვისტო-სექტემბერში

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 15
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — პსდ — პოლონეთის სოციალ-დემოკრატია. რ ე დ.

პასუხი პ. კიევსკის (ი. პიატაკოვს)[12]

ომი აბეჩავებს და წელში ტეხს ადამიანთა ერთ წყებას, აწრთობს და თვალს უხელს მეორეს, — როგორც ყოველი კრიზისი ადამიანის ცხოვრებაში ან ხალხთა ისტორიაში.

ეს ჭეშმარიტება თავს იჩენს სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებაშიც ომის შესახებ და ომის გამო. ერთი საქმეა — უფრო ღრმად ჩაუკვირდე დიდად განვითარებული კაპიტალიზმის ნიადაგზე წარმოშობილი იმპერიალისტური ომის მიზეზებსა და მნიშვნელობას, სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის ამოცანებს ომთან დაკავშირებით, სოციალ-დემოკრატიის კრიზისის მიზეზებს და ასე შემდეგ. სხვა საქმეა — ჩ ა ა ხ შ ო ბ ი ნ ო ომს შენი აზროვნება, თავი დაანებო მსჯელობას და ანალიზს ომის საზარელ შთაბეჭდილებათა და მტანჯველ შედეგთა თუ თვისებათა ს ი მ ძ ი მ ი ს გ ა მ ო.

ომის მიერ ადამიანის აზროვნების ჩ ა ხ შ ო ბ ი ს ა თუ დ ა ბ ე ჩ ა ვ ე ბ ი ს ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს «იმპერიალისტური ეკონომიზმის» უგულისყურო დამოკიდებულება დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს მიმართ. პ. კიევსკი ვერ ამჩნევს, რომ მთელ მის მსჯელობას წითელ ზოლად გასდევს ეს დაბეჩავებულობა, დაშინებულობა, ანალიზზე ხელის აღება ომთან დაკავშირებით. აბა, რაღა დროს სამშობლოს დაცვაზე ლაპარაკია, როცა ჩვენ თვალწინ ასეთი მხეცური ხოცვა-ჟლეტაა! რაღა დროს ერთა უფლებებზე ლაპარაკია, როცა გამეფებულია აშკარა და საყოველთაო დახრჩობა! რაღა დროს თვითგამორკვევა და ერთა «დამოუკიდებლობაა», როცა — შეხედეთ — რა უქნეს «დამოუკიდებელ» საბერძნეთს! რა

საჭიროა საზოგადოდ ლაპარაკი და ფიქრი «უფლებებზე», როცა სამხედრო ხროვის ინტერესების გულისათვის ყველგან ფეხქვეშ თელავენ ყველა უფლებას! რა საჭიროა ლაპარაკი და ფიქრი რესპუბლიკაზე, როცა ყველაზე უფრო დემოკრატიულ რესპუბლიკებსა და ყველაზე რეაქციულ მონარქიებს შორის სულ მცირეოდენი, პირდაპირ აბსოლუტურად არავითარი განსხვავება არ დარჩენილა, მისი კვალიც კი არა ჩანს ჩვენ გარშემო, ამ ომის დროსო!

პ. კიევსკი ძალიან ჯავრობს, როდესაც მას მიუთითებენ იმაზე, რომ მან თავი დააფრთხობინა, თავი გაატაცებინა იმდენად, რომ მივიდა საზოგადოდ დემოკრატიის უარყოფამდე,— ჯავრობს და გვიპასუხებს: მე სრულიადაც დემოკრატიის წინააღმდეგი არა ვარ, არამედ წინააღმდეგი ვარ მხოლოდ ე რ თ ი დემოკრატიული მოთხოვნისა, რომელიც «ცუდ მოთხოვნად» მიმაჩნიაო. მაგრამ, რაც უნდა ჯავრობდეს პ. კიევსკი, რაც უნდა «გ ვ ა რ წ მ უ ნ ებ დ ე ს» ჩვენ (და შეიძლება «არწმუნებდეს» თავის თავსაც), რომ იგი სრულიადაც დემოკრატიის «წინააღმდეგი» არ არის, მისი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა — ან უფრო სწორად რომ ვთქვათ: მისი განუწყვეტელი შ ე ც დ ო მ ე ბ ი მსჯელობაში — საწინააღმდეგოს ა მ ტ კ ი ც ე ბ ს.

სამშობლოს დაცვა არის სიცრუე იმპერიალისტურ ომში, მაგრამ სრულიადაც არ არის სიცრუე დემოკრატიულ და რევოლუციურ ომში. «უფლებებზე» ლაპარაკი ომის დროს სასაცილოდ ეჩვენებათ, ვინაიდან ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ომი უფლების ადგილას აყენებს პირდაპირსა და უშუალო ძალადობას, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ისტორიაში ყოფილა წარსულში (და უთუოდ იქნება, უნდა იქნეს მომავალში) ომები (დემოკრატიული და რევოლუციური ომები), რომლებიც, ცვლიდნენ რა ომის დროს ყოველგვარ «უფლებას», ყოველგვარ დემოკრატიას ძალადობით, ე მ ს ა ხ ო ბ ნ ე ნ თავისი სოციალური შინაარსით, თავისი შედეგებით დემოკრატიისა და მ ა შ ა ს ა დ ა მ ე სოციალიზმის საქმეს. საბერძნეთის მაგალითი თითქოს ერთა ყოველგვარი

თვითგამორკვევის «გამაბათილებელია», მაგრამ ეს მაგალითი,— თუ გვინდა ჩავუკვირდეთ, ანალიზი გავუკეთოთ, ავწონ-დავწონოთ, და არა თავი გავიბრუოთ სიტყვების რახარუხით, არ დავაფრთხობინოთ თავი ომით გამოწვეულ კოშმარულ შთაბეჭდილებათა სიმძიმით, — ეს მაგალითი ოდნავადაც არ არის იმაზე უფრო სერიოზული და დამაჯერებელი, ვიდრე რესპუბლიკის სასაცილოდ აგდება იმის გამო, რომ «დემოკრატიულმა», ყველაზე დემოკრატიულმა რესპუბლიკებმა, არა მარტო საფრანგეთმა, არამედ შეერთებულმა შტატებმაც, პორტუგალიამაც, შვეიცარიამაც ამ ომის დროს შემოიღეს და შემოაქვთ სამხედრო ხროვის სავსებით ისეთივე თვითნებობა, როგორიც რუსეთმაც შემოიღო.

ეს ფაქტია, რომ იმპერიალისტური ომი სპობს განსხვავებას რესპუბლიკასა და მონარქიას შორის; მაგრამ აქედან რესპუბლიკის უარყოფის ან თუნდაც მისდამი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების გამოყვანა იმას ნიშნავს, რომ თავი დააფრთხობინო ომით, ნება მისცე ომის საშინელებებს ჩაახშონ შენი აზროვნება. ასევე მსჯელობს «განიარაღების» ლოზუნგის მრავალი მომხრე (როლანდ-ჰოლსტი, შვეიცარიელი ახალგაზრდები, სკანდინავიელი «მემარცხენეები» [13] და სხვ.),— აქაო-და, რაღა დროს ჯარის ან მილიციის რევოლუციურ გამოყენებაზე ლაპარაკია, როდესაც, შეხედეთ, არის თუ არა განსხვავება რესპუბლიკების მილიციასა და მონარქიების მუდმივ ჯარს შორის ამ ომში? — როდესაც მილიტარიზმი ყ ვ ე ლ გ ა ნ ა ი ასეთ საშინელ საქმეს სჩადისო?

ყოველივე ეს აზრთა ე რ თ ი მიმდინარეობა, ე რ თ ი და ი გ ი ვ ე თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური შეცდომაა, რომელსაც ვერ ამჩნევს პ. კიევსკი, სჩადის რა მას თავისი სტატიის პირდაპირ ყოველ ნაბიჯზე. იგი ფ ი ქ რ ო ბ ს, რომ დავობს მხოლოდ თვითგამორკვევის წინააღმდეგ, მას უ ნ დ ა დავობდეს მხოლოდ ამის წინააღმდეგ, მას კ ი გ ა მ ო უ დ ი ს — მიუხედავად თავისი ნებისა და შეგნებისა, და კურიოზიც სწორედ ეს არის! — გამოუდის ისე, რომ არ მოჰყავს ა რ ც ე რ თ ი საბუთი, რომელიც არ შეიძლება

ასეთივე საფუძვლით არ იქნეს მოყვანილი საზოგადოდ დემოკრატიის წინააღმდეგ!

ნამდვილი წყარო ყველა მისი კურიოზული ლოგიკური შეცდომისა, მთელი არევ-დარევისა — არა მარტო თვითგამორკვევის საკითხში, არამედ სამშობლოს დაცვის საკითხშიც, განქორწინების საკითხში, საზოგადოდ «უფლებების» საკითხში,— ის არის, რომ მისი აზროვნება დ ა ბ ე ჩ ა ვ ე ბ უ ლ ი ა ომით და ამ დაბეჩავებულობის გამო ძირფესვიანად დამახინჯებულია მარქსიზმის დამოკიდებულება დემოკრატიისადმი საზოგადოდ.

იმპერიალიზმი არის დიდად განვითარებული კაპიტალიზმი; იმპერიალიზმი პროგრესულია; იმპერიალიზმი ა რ ი ს დემოკრატიის უარყოფა; «მაშასადამე», დემოკრატია «განუხორციელებელია» კაპიტალიზმის დროს. იმპერიალისტური ომი არის ყოველგვარი დემოკრატიის აღმაშფოთებელი დარღვევა თანაბრად—ჩამორჩენილ მონარქიებშიც და მოწინავე რესპუბლიკებშიც; «მაშასადამე», საჭირო არ არის ლაპარაკი «უფლებებზე» (ე. ი. დემოკრატიაზე!). იმპერიალისტურ ომს შეიძლება «დავუპირისპიროთ» «მხოლოდ» სოციალიზმი; «გამოსავალი» მხოლოდ სოციალიზმშია; «მაშასადამე», დემოკრატიული ლოზუნგების წამოყენება პროგრამა-მინიმუმში, ე. ი. უკვე კაპიტალიზმის დროს, არის მოტყუება ან ილუზია, ან სოციალისტური გადატრიალების ლოზუნგის გაბუნდოვანება, გადადებაო და სხვ.

აი ნამდვილი, პ. კიევსკის მიერ შეუგნებელი, მაგრამ ნამდვილი წყარო ყველა მისი ფათერაკისა. აი — მისი ძ ი რ ი თ ა დ ი ლოგიკური შეცდომა, რომელიც, სწორედ იმიტომ, რომ ის საფუძველში ძევს და ავტორს ვერ შეუგნია, ყოველ ნაბიჯზე «ს კ დ ე ბ ა» კიდეც, როგორც ველსიპედის დამპალი სალტე, «გამოტყვრება» ხოლმე ხან სამშობლოს დაცვის საკითხში, ხან განქორწინების საკითხში, ხან კიდევ ფრაზაში «უფლებების» შესახებ, ამ («უფლებებისადმი» ზიზღის სიღრმითა და საქმის გაუგებლობის სიღრმით) ჩინებულ ფრაზაში: ლაპარაკი იქნება **არა** უფლებებზე, ა რ ა მ ე დ საუკუნეობრივი მონობის დანგრევაზეო!

სწორედ ამგვარი ფრაზის თქმა ნიშნავს იმის გამომჟღავნებას, რომ არ გესმის, რა დამოკიდებულებაა კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის, სოციალიზმსა და დემოკრატიას შორის.

კაპიტალიზმი საზოგადოდ და განსაკუთრებით იმპერიალიზმი დემოკრატიას აქცევს ილუზიად — და იმავე დროს კაპიტალიზმი წარმოშობს დემოკრატიულ მისწრაფებებს მასებში, ქმნის დემოკრატიულ დაწესებულებებს, ამწვავებს ანტაგონიზმს დემოკრატიის უარმყოფელ იმპერიალიზმსა და იმ მასებს შორის, რომელნიც დემოკრატიისაკენ მიისწრაფვიან. კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის დამხობა არ შეიძლება არავითარი, უაღრესად «იდეალური» დემოკრატიული გარდაქმნებით, არამედ შეიძლება მხოლოდ ეკონომიური გადატრიალებით, მაგრამ პროლეტარიატს, თუ ის არ აღზრდილა დემოკრატიისათვის ბრძოლაში, უნარი არ შესწევს მოახდინოს ეკონომიური გადატრიალება. კაპიტალიზმის დამარცხება არ შეიძლება ისე, თუ არ ა ი ღ ე ხ ე ლ შ ი ბ ა ნ კ ე ბ ი, თუ არ გააუქმე წარმოების საშუალებათა კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა; მაგრამ ამ რევოლუციურ ღონისძიებათა განხორციელება არ შეიძლება ისე, თუ არ მოაწყვე ბურჟუაზიისთვის წართმეულ წარმოების საშუალებათა დემოკრატიული მართვა-გამგეობა მთელი ხალხის მიერ, თუ მშრომელთა მთელი მასა, პროლეტარებიც, ნახევრადპროლეტარებიც და წვრილი გლეხებიც, არ ჩააბი მათი რიგების, მათი ძალების, სახელმწიფოში მათი მონაწილეობის დემოკრატიული ორგანიზაციის საქმეში. იმპერიალისტური ომი არის დემოკრატიის, შეიძლება ითქვას, სამმაგი უარყოფა (ა — ყოველგვარი ომი «უფლებებს» ცვლის ძალადობით; ბ — იმპერიალიზმი საზოგადოდ არის დემოკრატიის უარყოფა; გ — იმპერიალისტური ომი სავსებით ათანაბრებს რესპუბლიკებს მონარქიებთან), მაგრამ იმპერიალიზმის წინააღმდეგ სოციალისტური აჯანყების გამოღვიძება და ზრდა გ ა ნ უ ყ რ ე ლ ა დ დაკავშირებულია დემოკრატიული წინააღმდეგობისა და აღშფოთების ზრდასთან. სოციალიზმს მივყავართ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი სახელმწიფოს,

მაშასადამე, აგრეთვე ყოველგვარი დემოკრატიის კვდომისაკენ, მაგრამ სოციალიზმის განხორციელება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ, რომელიც ბურჟუაზიის, ე. ი. მოსახლეობის უმცირესობის წინააღმდეგ ძალადობას აერთებს დემოკრატიის — ე. ი. ყველა ს ა ხ ე ლ-მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ საქმეში და კაპიტალიზმის ლიკვიდაციის ყველა რთულ საკითხში მოსახლეობის მ თ ე ლ ი მასის ნამდვილად თანასწორუფლებიანი და ნამდვილად საყოველთაო მონაწილეობის — ს რ უ ლ განვითარებასთან.

აი სწორედ ამ «წინააღმდეგობებში» გაიხლართა პ. კიევსკი, რომელმაც დაივიწყა მარქსიზმის მოძღვრება დემოკრატიის შესახებ. ომმა მისი აზროვნება, ფიგურალურად რომ ვთქვათ, დააბეჩავა იმდენად, რომ მან სააგიტაციო ყვირილით «შორს იმპერიალიზმისაგან» ისევე შეცვალა ყოველგვარი ფიქრი, როგორც ყვირილით «შორს კოლონიებიდან» ცვლიან იმის ანალიზს, რაც, საკუთრივ, ნ ი შ ნ ა ვ ს — ეკონომიურად და პოლიტიკურად — ცივილიზებულ ხალხთა «წასვლას» «კოლონიებიდან».

დემოკრატიის საკითხის მარქსისტული გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატმა, რომელიც თავის კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს, ყ ვ ე ლ ა დემოკრატიული დაწესებულება და ბურჟუაზიის საწინააღმდეგო მისწრაფებანი გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ს ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის გამარჯვების მომზადების, ბურჟუაზიის დამხობის მიზნით. ეს გამოყენება ადვილი საქმე არ არის, და «ეკონომისტებს», ტოლსტოელებსა და სხვებს ის ხშირად ეჩვენებათ ისეთივე უკანონო დათმობად «ბურჟუაზიულისა» და ოპორტუნისტულის მიმართ, როგორც პ. კიევსკის ჰგონია ბურჟუაზიულის მიმართ უკანონო დათმობად ერთა თვითგამორკვევის დაცვა «ფინანსური კაპიტალის ეპოქაში». მარქსიზმი გვასწავლის, რომ «ოპორტუნიზმთან ბრძოლა» იმ სახით, როდესაც უარს ამბობენ გამოიყენონ ბურჟუაზიის მიერ შექმნილი და ბურჟუაზიის მიერვე დამახინჯებული დემოკრატიული დაწესებულებანი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი, კაპიტალისტური, საზოგადოებისა—

ნიშნავს სავსებით დაყარო ფარ-ხმალი ოპორ-ტუნიზმის წინაშე!

ლოზუნგს, რომელიც გვიჩვენებს უსწრაფეს გამოსავალსაც იმპერიალისტური ომიდან და მის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის კავშირსაც ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, წარმოადგენს სამოქალაქო ომი სოციალიზმისათვის. მხოლოდ ეს ლოზუნგი ითვალისწინებს მართებულად ომიანობის დროის თავისებურებებსაც — ომი ჭიანურდება და ომის მთელ «ეპოქად» გადაზრდით იმუქრება! — და ჩვენი მოღვაწეობის მთელ ხასიათსაც წინააღმდეგ ოპორტუნიზმისა მისი პაციფიზმით, მისი ლეგალიზმით, მისი შეგუებით «თავისი» ბურჟუაზიისადმი. მაგრამ გარდა ამისა სამოქალაქო ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარმოადგენს ომს, რომელსაც ღარიბთა მასები დემოკრატიულად აწყობენ და აწარმოებენ მქონებელთა უმცირესობის წინააღმდეგ. სამოქალაქო ომიც აგრეთვე ომია; მაშასადამე, ისიც აუცილებლივ უნდა აყენებდეს ძალადობას უფლების ადგილზე. მაგრამ ძალადობა მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებისა და უფლებების გულისათვის — სხვანაირი ხასიათით განირჩევა: იგი თრგუნავს ექსპლოატატორების, ბურჟუაზიის, «უფლებებს», იგი განუხორციელებელია ისე, თუ დემოკრატიულად არ მოეწყო ჯარი და «ზურგი». სამოქალაქო ომი ძალდატანებით ახდენს, ერთბაშად და უწინარეს ყოვლისა, ბანკების, ფაბრიკების, რკინიგზების, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მამულებისა და სხვ. ექსპროპრიაციას. მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ მოვახდინოთ ყოველივე ამის ექსპროპრიაცია, უნდა შემოვიღოთ ხალხის მიერ ყველა მოხელის არჩევაც და ხალხის მიერ ოფიცრების არჩევაც, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მეომარი არმიის სრული შეერთებაც მოსახლეობის მასასთან და სრული დემოკრატიაც სურსათ-სანოვაგის განმკარგულებლობის, მისი წარმოებისა და განაწილების საქმეში და ა. შ., სამოქალაქო ომის მიზანია ბანკების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვათა დაპყრობა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის ყოველგვარი შესაძლებლობის მოსპობა, მისი

ჯარის ამოწყვეტა. მაგრამ ეს მიზანი არც წმინდა სამხედრო, არც ეკონომიური და არც პოლიტიკური მხრივ არ შეიძლება მიღწეულ იქნეს ისე, თუ იმავე დროს ჩვენს ჯარში და ჩვენს «ზურგში» არ შემოვიღეთ და არ გავავრცელეთ დემოკრატია იმნაირად, რომ ეს შემოღება და გავრცელება ვითარდებოდეს ასეთი ომის მსვლელობაში. ჩვენ ახლა ვეუბნებით მასებს (და მასები ინსტინქტურად გრძნობენ ჩვენს სიმართლეს, როცა მათ ამას ვეუბნებით): «თქვენ გატყუებენ, როცა მიჰყავხართ ომში იმპერიალისტური კაპიტალიზმის გულისათვის და ჰფარავენ მას დემოკრატიის დიადი ლოზუნგებით». «თქვენ უნდა ეწეოდეთ და თქვენ გამართავთ ომს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ნამდვილად დემოკრატიულად და დემოკრატიისა და სოციალიზმის ნამდვილად განხორციელების მიზნით». ახლანდელი ომი ხალხებს კოალიციებად აერთებს და «აერთიანებს» ძალადობისა და ფინანსური დამოკიდებულების მეოხებით. ჩვენს სამოქალაქო ომში ბურჟუაზიის წინააღმდეგ ჩვენ ხალხებს შევაერთებთ და გავაერთიანებთ არა მანეთის ძალით, არა კეტის ძალით, არა ძალადობით, არამედ ნებაყოფლობითი თანხმობით, მშრომელთა სოლიდარობით ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. ყველა ერის თანაბარი უფლებების გამოცხადება ბურჟუაზიის მიერ მოტყუებად იქცა, ჩვენ კი მას სიმართლედ ვაქცევთ, რაც გააადვილებს და დააჩქარებს ყველა ერის გადმოსვლას ჩვენს მხარეზე. ერთა შორის ურთიერთობის ნამდვილად დემოკრატიული ორგანიზაციის გარეშე — ხოლო, მაშასადამე, სახელმწიფოებრივი გამოყოფის თავისუფლების გარეშეც — შეუძლებელია ყველა ერის მუშებისა და მშრომელი მასების სამოქალაქო ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული დემოკრატიზმის გამოყენების გზით — პროლეტარიატის სოციალისტური და თანამიმდევრულ-დემოკრატიული ორგანიზაციისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. სხვა გზა არ არის. სხვა «გამოსავალი» — გამოსავალი არ არის. სხვა გამოსავალი მარქსიზმმა

არ იცის, როგორც არ იცის ის ნამდვილმა ცხოვრებამ. ერთა თავისუფალი გამოყოფა და თავისუფალი შეერთება ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ამავე გზით, და არა ვიშორებდეთ მათ თავიდან, არა გვეშინოდეს იმისა, რომ ეს «გააჭუჭყიანებს» «წმინდა» ეკონომიურ ამოცანებს.

დაწერილია 1916 წ.
აგვისტო-სექტემბერში

პირველად დაიბეჭდა 1929 წ. ჟურნალ
«პროლეტარსკაია რევოლუციაში»
№ 7 (90)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ

«რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას სახელს ვერავინ გაუტეხს, თუ იგი თვითონ არ გაიტეხს სახელს». ეს სიტყვები ყოველთვის უნდა გავიხსენოთ და მხედველობაში გვქონდეს, როდესაც მარქსიზმის ესა თუ ის მნიშვნელოვანი თეორიული თუ ტაქტიკური დებულება იმარჯვებს ან თუნდაც დღის წესრიგში დგება და როდესაც მას, გ ა რ დ ა პირდაპირი და სერიოზული მტრებისა, «თავს ესხმიან» ისეთი მეგობრები, რომელნიც საბოლოოდ სახელს უტეხენ მას, სხვანაირად რომ ვთქვათ: არცხვენენ — კარიკატურად აქცევენ მას. ასეთი ამბავი არა ერთხელ მომხდარა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს რევოლუციურ მოძრაობაში მარქსიზმის გამარჯვებას მოჰყვა მარქსიზმის კარიკატურის გაჩენა მაშინდელი «ეკონომიზმისა» თუ «გაფიცვიზმის» სახით; «ისკრელებს» რომ მათ წინააღმდეგ მრავალწლოვანი ბრძოლა არ ეწარმოებინათ, ისე «ისკრელები» ვერ შეძლებდნენ დაეცვათ პროლეტარული თეორიისა და პოლიტიკის საფუძვლები ვერც წვრილბურჟუაზიული ნაროდნიკობის, ვერც ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ასე მოუვიდა ბოლშევიზმს, რომელმაც გაიმარჯვა 1905 წლის მასობრივ მუშათა მოძრაობაში სხვათა შორის «მეფის სათათბიროს ბოიკოტის» ლოზუნგის სწორად გამოყენებით რუსეთის რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ბრძოლების პერიოდში,

1905 წლის შემოდგომაზე, და რომელსაც უნდა განეცადა — და ბრძოლით დაეძლია — ბოლშევიზმის კარიკატურა 1908 — 1910 წლებში, როდესაც ალექსინსკი და სხვები დიდ ალიაქოთს ტეხდნენ III სათათბიროში მონაწილეობის წინააღმდეგ.

ასევეა საქმე ახლაც. ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ომის მიჩნევას იმპერიალისტურ ომად, კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ეპოქასთან მ ი ს ღრმა კავშირზე მითითებას, გარდა სერიოზული მტრებისა, ჰყავს არასერიოზული მეგობრებიც, რომლებისთვისაც სიტყვა იმპერიალიზმი «მოდად» იქცა; მათ დ ა უ ზ ე პ ი რ ე ბ ი ა თ ეს სიტყვა და მუშებს უმასპინძლდებიან ყოვლად საშინელი თეორიული დომხალით, ისინი მკვდრეთით აღადგენენ ყოფილი «ეკონომიზმის» მთელ რიგ ყოფილ შეცდომებს. კაპიტალიზმმა გაიმარჯვა, — ა მ ი ტ ო მ საჭირო აღარაა ვიფიქროთ პოლიტიკურ საკითხებზეო, მსჯელობდნენ 1894 — 1901 წლებში ძველი «ეკონომისტები», რომლებიც რუსეთში პოლიტიკური ბრძოლის უარყოფამდე მიდიოდნენ. იმპერიალიზმმა გაიმარჯვა, — ა მ ი ტ ო მ საჭირო აღარაა პოლიტიკური დემოკრატიის საკითხებზე ფიქრიო, მსჯელობენ თანამედროვე «იმპერიალისტური ეკონომისტები». ამგვარ განწყობილებათა, მარქსიზმის ამგვარი კარიკატურის ნიმუშის მნიშვნელობა ეძლევა პ. კიევსკის ზემოთ დაბეჭდილ სტატიას[14]. იგი წარმოადგენს პირველ ცდას რამდენადმე მთლიანი ლიტერატურული სახით გადმოსცეს აზრთა ის მერყეობა, რომელმაც 1915 წლის დამდეგიდან თავი იჩინა ჩვენი პარტიის ზოგიერთ საზღვარგარეთულ წრეში.

«იმპერიალისტური ეკონომიზმის» გავრცელება იმ მარქსისტთა რიგებში, რომლებმაც გადაჭრით გაილაშქრეს სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის თანამედროვე დიდი კრიზისის დროს რევოლუციური ინტერნაციონალიზმის მხარეზე დადგნენ, უსერიოზულესი ლახვარი იქნებოდა ჩვენი მიმართულებისათვის — და ჩვენი პარტიისათვის, — ვინაიდან სახელს გაუტეხდა მას შიგნიდან, მისი

საკუთარი რიგებიდან და კარიკატურული მარქსიზმის წარმომადგენლად აქცევდა მას. ამიტომ საჭირო იქნება პ. კიევსკის სტატიის უამრავი შეცდომიდან დაწვრილებით შევჩერდეთ თუნდაც უმთავრესი შეცდომების განხილვაზე, რაგინდ «არასაინტერესო» იყოს ეს თავისთავად, რაგინდ ხშირად იწვევდეს ეს იმ მეტად ანბანურ ჭეშმარიტებათა მეტად ელემენტარულ გადაღეჭვას, რომლებიც ყურადღებიანი და დაფიქრებული მკითხველისათვის დიდი ხანია უკვე ცნობილი და გასაგებია 1914 და 1915 წლების ჩვენი ლიტერატურიდან.

დავიწყოთ პ. კიევსკის მსჯელობათა ყველაზე «ცენტრალური» პუნქტით, რათა მკითხველისათვის ერთბაშად გასაგები გავხადოთ «იმპერიალისტური ეკონომიზმის» ახალი მიმართულების «დედაარსი».

1. მარქსისტული დამოკიდებულება ომებისადმი და «სამშობლოს დაცვისადმი»

პ. კიევსკი დარწმუნებულია თვითონ და სურს მკითხველებიც დაარწმუნოს, რომ იგი «არ ეთანხმება» მ ხ ო ლ ო დ ერთა თვითგამორკვევას, ჩვენი პარტიული პროგრამის მე-9 პარაგრაფს. იგი ძალიან გაჯავრებით ცდილობს უკუაგდოს ბრალდება, რომ იგი ძირიანფესვიანად სცილდება მარქსიზმს ს ა ზ ო გ ა დ ო დ დემოკრატიის საკითხში, რომ იგი «მოღალატეა» (გესლიანი ბრჭყალები პ. კიევსკის ეკუთვნის) მარქსიზმის რაიმე ძირითადი დებულებისა. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ, როგორც კი ჩვენი ავტორი შეუდგა თავის ვითომდა კერძო ხასიათისა და ცალკეულ უთანხმოებაზე მსჯელობას, როგორც კი დაიწყო არგუმენტების, მოსაზრებათა და სხვათა მოყვანა, — მყისვე აღმოჩნდა, რომ იგი სწორედ მთელი ხაზით შორდება მარქსიზმს. აიღეთ პ. კიევსკის სტატიის § b (მე-2 განყ.). «ამ მოთხოვნას» (ე. ი. ერთა თვითგამორკვევას) «პირდაპირი გზით (!!) მივყავართ სოციალ-პატრიოტიზმისაკენ», — აცხადებს ჩვენი ავტორი და განმარტავს, რომ სამშობლოს დაცვის «მოღალატური» ლო-

ზუნგი არის დასკვნა, რომელიც «უსრულესი (!) ლოგიკური (!) მართებულობით გამოჰყავთ ერთა თვითგამორკვევის უფლებიდან»... თვითგამორკვევა, მისი აზრით, ეს არის «დადასტურება ფრანგი და ბელგიელი სოციალ-პატრიოტების მოღალატეობისა, რომელნიც იცავენ ამ დამოუკიდებლობას» (საფრანგეთისა და ბელგიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას) «იარაღით ხელში — ისინი აკეთებენ იმას, რასაც «თვითგამორკვევის» მომხრენი მხოლოდ ლაპარაკობენ»... «სამშობლოს დაცვა ჩვენი მოსისხლე მტრების არსენალს ეკუთვნის»... «ჩვენ გადაჭრით უარს ვამბობთ იმის გაგებაზე, თუ როგორ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყოთ სამშობლოს დაცვის წინააღმდეგი და თვითგამორკვევის მომხრე, სამშობლოს წინააღმდეგი და მისი მომხრე».

ასე წერს პ. კიევსკი. მან აშკარად ვერ გაიგო ჩვენი რეზოლუციები ახლანდელ ომში სამშობლოს დაცვის ლოზუნგის წინააღმდეგ. საჭირო ხდება ავიღოთ ის, რაც თეთრზე შავით არის დაწერილი ამ რეზოლუციებში, და ერთხელ კიდევ განვმარტოთ ნათელი რუსული სიტყვის აზრი.

ჩვენი პარტიის რეზოლუცია, 1915 წლის მარტში ბერნის კონფერენციაზე მიღებული, რომელსაც სათაურად აქვს: «სამშობლოს დაცვის ლოზუნგის შესახებ», იწყება სიტყვებით: «თანამედროვე ომის ნამდვილი დედაარსია» ესა და ესაო.

ლაპარაკია თანამედროვე ომზე. ამაზე ნათლად შეუძლებელია ეს ითქვას რუსულად. სიტყვები «ნამდვილი დედაარსი» ნიშნავს, რომ საჭიროა გავარჩიოთ მოჩვენებითი ნამდვილისაგან, გარეგნობა არსისაგან, ფრაზები საქმისაგან. ფრაზები ახლანდელ ომში სამშობლოს დაცვის შესახებ ყალბად ასაღებენ 1914 — 1916 წლების იმპერიალისტურ ომს, ომს კოლონიათა განაწილებისათვის, უცხო ქვეყნების ძარცვისათვის და სხვა, — ნაციონალურ ომად. რათა ოდნავი საშუალებაც არ დარჩეს ჩვენს შეხედულებათა დასამახინჯებლად, რეზოლუციაში ჩამატებულია ცალკე აბზაცი იმ «ნამდვი-

ლად ნაციონალური ომების» შესახებ, რომელთაც «განსაკუთრებით (დაიხსომეთ: განსაკუთრებით არ ნიშნავს — მხოლოდ და მხოლოდ!) 1789 — 1871 წლების ეპოქაში ჰქონდათ ადგილი».

რეზოლუცია განმარტავს, რომ ამ «ნამდვილად» ნაციონალურ ომებს «საფუძვლად ედო ხანგრძლივი პროცესი მასობრივი ეროვნული მოძრაობისა, აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, ეროვნული ჩაგვრის დამხობისა»... *

მგონი, ნათელია. ახლანდელ იმპერიალისტურ ომში, რომელიც წარმოშვა იმპერიალისტური ეპოქის ყველა პირობამ, ე. ი. რომელიც შემთხვევით კი არ ატეხილა, რომელიც გამონაკლისს, ზოგადიდან და ტიპიურიდან გადახვევას კი არ წარმოადგენს, — ფრაზები სამშობლოს დაცვის შესახებ ხალხის მოტყუებაა, ვინაიდან ეს ომი ნაციონალური ომი არ არის. ნამდვილად ნაციონალურ ომში სიტყვები «სამშობლოს დაცვა» სრულიადაც არაა მოტყუება და ჩვენ სრულიადაც არა ვართ მისი წინააღმდეგნი. ასეთ (ნამდვილად ნაციონალურ) ომებს ადგილი ჰქონდათ «განსაკუთრებით» 1789 — 1871 წლებში; და რეზოლუცია, არც ერთი სიტყვით არ უარყოფს რა მათ შესაძლებლობას ახლაც, განმარტავს, თუ როგორ უნდა განვასხვაოთ ნამდვილად ნაციონალური ომი იმპერიალისტურისაგან, რომელსაც ფარავენ მოტყუებითი ნაციონალური ლოზუნგებით. სახელდობრ — განსხვავებისთვის უნდა განვიხილოთ, უდევს თუ არა ომს «საფუძვლად» «მასობრივი ეროვნული მოძრაობის», «ეროვნული ჩაგვრის დამხობის ხანგრძლივი პროცესი». რეზოლუციაში «პაციფიზმის» შესახებ პირდაპირაა ნათქვამი: «სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ უარყონ რევოლუციური ომების პოზიტიური მნიშვნელობა, ე. ი. არა იმპერიალისტური, არამედ ისეთი ომებისა, რომლებიც წარმოებდა, მაგალითად» (დაიხსომეთ ეს: «მაგალითად»), «1789 წლიდან 1871 წლამდე ნაციონალური ჩაგვრის დასამ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 182. რედ.

ხობად»... * ასეთი ომები ახლაც რომ არ იყოს მიჩნეული შესაძლებლად, განა შეეძლო 1915 წელს ჩვენი პარტიის რეზოლუციას ელაპარაკნა იმ ნაციონალურ ომებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1789 — 1871 წლებში, და აღენიშნა, რომ ასეთი ომების პოზიტიურ მნიშვნელობას არ უარვყოფთ? ცხადია, არ შეეძლო.

ჩვენი პარტიის რეზოლუციების კომენტარს, ე. ი. მათს პოპულარულ განმარტებას, წარმოადგენს ლენინისა და ზინოვიევის ბროშურა: «სოციალიზმი და ომი». ამ ბროშურის მე-5 გვერდზე თეთრზე შავით წერია, რომ «სოციალისტები ცნობდნენ და ახლაც ცნობენ სამშობლოს დაცვის ანუ თავდაცვითი ომის კანონიერებას, პროგრესულობას, სამართლიანობას» მ ხ ო ლ ო დ «უცხო ეროვნული ჩაგვრის დამხობის» აზრით. მოყვანილია მაგალითი: სპარსეთი რუსეთის წინააღმდეგ «დ ა ს ხ ვ ა» და ნათქვამია: «ეს სამართლიანი, თავდაცვითი ომები იქნებოდა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დაესხა თავს პირველი, და ყოველი სოციალისტი თანაუგრძნობდა ჩაგრულ, დამოკიდებულ, არასრულუფლებიან სახელმწიფოთა გამარჯვებას მჩაგვრელ, მონათმფლობელ, მძარცველ «დიდ» სახელმწიფოთა წინააღმდეგ» **.

ბროშურა გამოვიდა 1915 წ. აგვისტოში, გამოცემულია გერმანულად და ფრანგულად. პ. კიევსკი მას ჩინებულად იცნობს. არც ერთხელ არც პ. კიევსკის, არც საზოგადოდ რომელსამე სხვას არა უთქვამს რა არც რეზოლუციის წინააღმდეგ სამშობლოს დაცვის ლოზუნგის შესახებ, არც რეზოლუციის წინააღმდეგ პაციფიზმის შესახებ, არც ბროშურაში ამ რეზოლუციების განმარტების წინააღმდეგ, დიახ, არც ერთხელ! საკითხავია, განა ცილს ვწამებთ ჩვენ პ. კიევსკის, როცა ვამბობთ, რომ მან სრულიად ვერ გაიგო მარქსიზმი, თუ ეს მწერალი, რომელსაც 1915 წლის მარტიდან არა უთქვამს რა ომზე ჩვენი პარტიის შეხედულებათა წინააღ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 185. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 364. რ ე დ.

ბდეგ, — ახლა, 1916 წ. აგვისტოს, სტატიაში თვითგამორკვევის შესახებ, ე. ი. სტატიაში ვითომდა კერძო საკითხზე, ააშკარავებს ზ ო გ ა დ ი საკითხის გასაოცარ გაუგებლობას?

პ. კიევსკი სამშობლოს დაცვის ლოზუნგს «მოღალატურს» უწოდებს. ჩვენ გულდამშვიდებით შეგვიძლია დავარწმუნოთ იგი, რომ ყ ო ვ ე ლ ი ლოზუნგი «მოღალატურია» და ყოველთვის «მოღალატური» იქნება ი მ ა თ თ ვ ი ს, ვინც დაიწყებს მის მექანიკურად განმეორებას, ვერ გაიგებს მის მნიშვნელობას, არ ჩაუკვირდება საქმეს და დაკმაყოფილდება სიტყვების დაზეპირებით, ხოლო მათი აზრის ანალიზს არ მოახდენს.

რა არის «სამშობლოს დაცვა», ზოგადად რომ ვთქვათ? არის ეს რაიმე მეცნიერული ცნება ეკონომიკის ან პოლიტიკისა და სხვა დარგიდან? არა. ეს არის მხოლოდ ყველაზე მეტად გავრცელებული, საყოველთაოდ ხმარებული, ხანდახან პირდაპირ ობივატელური გამოთქმა, რაც ო მ ი ს გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა ს ნიშნავს. სხვას არაფერს, სრულიად არაფერს! «მოღალატური» აქ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ ობივატელებს ეხერხებათ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ომის გამართლება, როცა ლაპარაკობენ, «ჩვენ სამშობლოს ვიცავთო»; მარქსიზმი კი ვერ ჩამოქვეითდება ობივატელობამდე, იგი თვითეული ცალკე ომის ისტორიულ ანალიზს მოითხოვს, რათა გაარკვიოს, შეიძლება თუ არა ა მ ომის ჩათვლა პროგრესულ, დემოკრატიისა თუ პროლეტარიატის ინტერესებისათვის სასარგებლო ომად, ა მ ა ზ რ ი თ კანონიერ, სამართლიან ომად და სხვ.

სამშობლოს დაცვის ლოზუნგი უმთავრესად არის ომის შეუგნებელ-ობივატელური გამართლება, როცა არ შესწევთ უნარი ისტორიულად განიხილონ თვითეული ცალკე ომის მნიშვნელობა და აზრი.

მარქსიზმი კი ასეთ ანალიზს გვაწვდის და გვეუბნება: თ უ ომის «ნამდვილ არსს» შეადგენს, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, უცხო ეროვნული ჩაგვრის დამხობა (რაც გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ტიპიურია 1789 — 1871 წლების ევროპისათვის), მაშინ ომი

პროგრესულია ჩაგრული სახელმწიფოს თუ ერის მხრით. ხოლო თუ ომის «ნამდვილ არსს» შეადგენს კოლონიათა ხელახალი განაწილება, ნადავლის გაყოფა, უცხო მიწა-წყლის ძარცვა (ასეთია 1914 — 1916 წლების ომი), — მაშინ ფრაზა სამშობლოს დაცვის შესახებ «თავიდან ბოლომდე ხალხის მოტყუებაა».

ხოლო როგორ უნდა მოვძებნოთ ომის «ნამდვილი არსი», როგორ განვსაზღვროთ იგი? ომი არის პოლიტიკის განგრძობა. საჭიროა შევისწავლოთ ომის წინახნის პოლიტიკა, ის პოლიტიკა, რომელსაც ომისაკენ მივყავდით და რომელმაც ომამდე მიგვიყვანა. თუ ეს პოლიტიკა იმპერიალისტური იყო, ე. ი. ფინანსური კაპიტალის ინტერესებს იცავდა, კოლონიებსა და უცხო ქვეყნებს ძარცვავდა და ჩაგრავდა, მაშინ ამ პოლიტიკიდან გამომდინარე ომიც იმპერიალისტური ომია. ხოლო თუ პოლიტიკა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იყო, ე. ი. ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ მოძრაობას გამოხატავდა, მაშინ ამნაირი პოლიტიკიდან გამომდინარე ომი — ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომია.

ობივატელი ვერ მიმხვდარა, რომ ომი «პოლიტიკის განგრძობაა», და ამიტომ მხოლოდ ასე მსჯელობს: «მტერი თავს გვესხმის», «მტერი ჩემს ქვეყანაში შემოიჭრაო», ის კი ვერ გაურკვევია, თუ რ ი ს გ უ ლ ი ს თ ვ ი ს წარმოებს ომი, რ ო მ ე ლ ი კლასების მიერ, რ ა პოლიტიკური მიზნისათვის. პ. კიევსკი მთლად ჩამოქვეითებულა ამნაირი ობივატელის დონემდე, როცა ამბობს: აი, ბელგია გერმანელებმა დაიკავეს, მაშასადამე, თვითგამორკვევის თვალსაზრისით «ბელგიელი სოციალ-პატრიოტები მართალნი არიანო», ან: საფრანგეთის ნაწილი გერმანელებმა დაიკავეს, მაშასადამე, «გედს შეუძლია კმაყოფილი იყოს», ვინაიდან «საქმე ეხება იმ ტერიტორიას, რომელიც დასახლებულია ამ ერით» (და არა უცხო ეროვნებით).

ობივატელისათვის მნიშვნელობა აქვს, ს ა დ დგანან ჯარები, ვინ იმარჯვებს ა მ ჟ ა მ ა დ. მარქსისტისათვის კი

მნიშვნელობა აქვს, რის გულისათვის წარმოებს ეს ომი, რომლის დროსაც გამარჯვებულნი შეიძლება იყვნენ ხან ერთი, ხან მეორე მხარის ჯარები.

რის გულისთვის წარმოებს ახლანდელი ომი? ეს აღნიშნულია ჩვენს რეზოლუციაში (რომელიც ეყრდნობა მეომარი სახელმწიფოების იმ პოლიტიკას, რასაც ისინი ომამდე ათეული წლობით აწარმოებდნენ). ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ომობენ ნაძარცვი კოლონიების შენარჩუნებისათვის და თურქეთისა და სხვათა გაძარცვისათვის. გერმანია ომობს იმისათვის, რომ კოლონიები წაართვას სხვებს, თვითონ ძარცვოს თურქეთი და სხვ.. ვთქვათ, გერმანელებმა აიღეს თუნდაც პარიზი და პეტერბურგი. შეიცვლება თუ არა ამის გამო ამ ომის ხასიათი? ოდნავადაც არა. გერმანელების მიზანი — და ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია: პოლიტიკა, რომლის განხორციელება შესაძლებელია გერმანელების გამარჯვებისას — მაშინ იქნება სწორედ კოლონიების წართმევა, თურქეთში ბატონობა, უცხო ეროვნებათა მიწა-წყლის, მაგალითად, პოლონეთისა და სხვ. წართმევა, და სრულიადაც არა ის, რომ ფრანგებს ან რუსებს უცხო ეროვნების უღელი დაადგან. ახლანდელი ომის ნამდვილი არსი ეროვნული კი არა, — იმპერიალისტურია. სხვა სიტყვებით: ომი იმისათვის კი არ წარმოებს, რომ ერთი მხარე ამხობს ეროვნულ ჩაგვრას, მეორე კი იცავს მას. ომი წარმოებს მჩაგვრელთა ორ ჯგუფს შორის, ორ ყაჩაღს შორის იმისათვის, თუ როგორ გაიყონ ნადავლი, ვინ უნდა ძარცვოს თურქეთი და კოლონიები.

მოკლედ: ომი იმპერიალისტურ (ე. ი. მთელი რიგი უცხო ერების მჩაგვრელ, ფინანსური კაპიტალისაგან დამოკიდებულების ქსელში გამხვევ) დიდ სახელმწიფოთა შორის, ან მათთან კავშირში — იმპერიალისტური ომია. ასეთია 1914 — 1916 წლების ომი. «სამშობლოს დაცვა» მოტყუებაა ამ ომში, მისი გამართლებაა.

იმპერიალისტური, ე. ი. მჩაგვრელი სახელმწიფოების წინააღმდეგ ჩაგრულთა (მაგალითად, კოლონიურ

ხალხთა) ომი — ნამდვილად ნაციონალური ომია. იგი შესაძლებელია ახლაც. «სამშობლოს დაცვა» ეროვნულად ჩაგრული ქვეყნის მხრივ ეროვნულად მჩაგვრელი ქვეყნის წინააღმდეგ — არ არის მოტყუება, და სოციალისტები სრულიადაც არ არიან «სამშობლოს დაცვის» წინააღმდეგნი ასეთ ომში.

ერთა თვითგამორკვევა იგივეა, რაც ბრძოლა სრული ეროვნული განთავისუფლებისათვის, სრული დამოუკიდებლობისათვის, ანექსიათა წინააღმდეგ; და ამნაირი ბრძოლა — მისი ყოველი ფორმით, თვით აჯანყებისა თუ ომის სახით — სოციალისტებს არ შეუძლიათ უარყონ, თუ უნდათ სოციალისტებად დარჩნენ.

პ. კიევსკის ჰგონია, რომ იგი პლეხანოვს ებრძვის: პლეხანოვმა აღნიშნა ერთა თვითგამორკვევის კავშირი სამშობლოს დაცვასთანო! პ. კიევსკიმ დაუჯერა პლეხანოვს, რომ ეს კავშირი ნამდვილად ისეთია, როგორადაც მას პლეხანოვი სახავს. პლეხანოვს რომ დაუჯერა, პ. კიევსკის შეეშინდა და გადაწყვიტა: საჭიროა თვითგამორკვევის უარყოფა, რათა პლეხანოვის დასკვნები თავიდან ავიშოროთო... პლეხანოვისადმი ნდობა დიდია, შიშიც დიდია, მაგრამ არსად ჩანს იმაზე ჩაფიქრების კვალიც კი, თუ სად არის პლეხანოვის შეცდომა!

იმისათვის, რომ ეს ომი ეროვნულ ომად გაასაღონ, სოციალ-შოვინისტები მიგვითითებენ ერთა თვითგამორკვევაზე. მათთან სწორი ბრძოლა მხოლოდ ერთია: უნდა ცხადვყოთ, რომ ეს არის ბრძოლა არა ერთა განთავისუფლებისათვის, არამედ იმისათვის, თუ დიდ მტაცებელთა შორის რომელმა უფრო მეტი ერი ჩაგროს. ხოლო იმ ომის უარყოფამდე მისვლა, რომელსაც ნამდვილად ერთა განთავისუფლებისათვის აწარმოებენ, მარქსიზმის ყველაზე ცუდი კარიკატურის მოცემას ნიშნავს. პლეხანოვი და ფრანგი სოციალ-შოვინისტები მიუთითებენ საფრანგეთის რესპუბლიკაზე, რათა გაამართლონ მისი «დაცვა» გერმანიის მონარქიის წინააღმდეგ. ისე თუ ვიმსჯელეთ, როგორც

პ. კიევსკი მსჯელობს, ჩვენ მაშინ რესპუბლიკის ან ისეთი ომის წინააღმდეგი უნდა ვიყოთ, რომელსაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ რესპუბლიკის დასაცავად აწარმოებენ!! გერმანელი სოციალ-შოვინისტები იმოწმებენ გერმანიის საყოველთაო საარჩევნო უფლებას და საყოველთაო სავალდებულო სწავლებას, რათა გაამართლონ გერმანიის «დაცვა» ცარიზმის წინააღმდეგ. ისე რომ ვიმსჯელოთ, როგორც კიევსკი მსჯელობს, ჩვენ ან საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და საყოველთაო სწავლების წინააღმდეგი უნდა ვიყოთ, ან ისეთი ომის წინააღმდეგი, რომელსაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ აწარმოებენ პოლიტიკური თავისუფლების დასაცავად მისი წართმევის ცდებისაგან.

კ. კაუცკი 1914 — 1916 წლების ომამდე მარქსისტი იყო, და მთელი რიგი მისი უმნიშვნელოვანესი თხზულებანი და განცხადებანი სამუდამოდ დარჩება მარქსიზმის ნიმუშად. 1910 წლის 26 აგვისტოს კაუცკი მოახლოებული და უკვე კარსმომდგარი ომის შესახებ «Neue Zeit»-ში [15] წერდა:

«გერმანიასა და ინგლისს შორის ომის დროს საფრთხეში ჩავარდება არა დემოკრატია, არამედ მსოფლიო ბატონობა, ე. ი. მსოფლიოს ექსპლოატაცია. ეს ისეთი საკითხი როდია, რომლის დროსაც სოციალ-დემოკრატები თავისი ერის ექსპლოატატორთა მხარეზე უნდა იდგნენ» («Neue Zeit», 28. Jahrg., Bd. 2, S. 776 *).

აი ჩინებული მარქსისტული ფორმულირება, რომელიც სავსებით ემთხვევა ჩვენსას, სავსებით ამხელს ა ხ ლ ა ნ დ ე ლ კაუცკის, რომელმაც მარქსიზმს ზურგი აქცია და სოციალ-შოვინიზმის დაცვა დაიწყო; ეს ფორმულირება სავსებით ნათლად არკვევს ომებისადმი მარქსისტული დამოკიდებულების პრინციპებს (ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით პრესაში ამ ფორმულირებას). ომები პოლიტიკის განგრძობაა; ამიტომ, რაკი ადგილი აქვს ბრძოლას დემოკრატიისათვის, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ომიც დემოკრატიის გულისთვის; ერთა

* «ახალი დროება», გამოცემის 28-ე წელი, ტომი 2, გვ. 776. რ ე დ-

თვითგამორკვევა მხოლოდ ერთ-ერთი დემოკრატიული მოთხოვნაა, რომელიც სხვა მოთხოვნებისაგან პრინციპულად არაფრით არ განსხვავდება. «მსოფლიო ბატონობა», მოკლედ რომ ვთქვათ, შინაარსია იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომლის განგრძობასაც იმპერიალისტური ომი წარმოადგენს. «სამშობლოს დაცვის» უარყოფა, ე. ი. დემოკრატიულ ომში მონაწილეობის უარყოფა, — უაზრობაა, რომელსაც მარქსიზმთან საერთო არაფერი აქვს. იმპერიალისტური ომის შელამაზება მისდამი «სამშობლოს დაცვის» ცნების მიყენებით, ე. ი. მისი გასაღება დემოკრატიულ ომად — ნიშნავს მუშების მოტყუებას, რეაქციული ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლას.

2. «ახალი ეპოქის ჩვენი გაგება»

პ. კიევსკი, რომელსაც ეკუთვნის ბრჭყალებში ჩასმული გამოთქმა, გამუდმებით ლაპარაკობს «ახალ ეპოქაზე». სამწუხაროდ, მისი მსჯელობა აქაც მცდარია.

ჩვენი პარტიის რეზოლუციები ლაპარაკობენ ახლანდელ ომზე, რომელიც წარმოშობილია იმპერიალისტური ეპოქის საერთო პირობებით. «ეპოქისა» და «ახლანდელი ომის» თანაფარდობა ჩვენ მარქსისტულად სწორად გვაქვს დაყენებული: თუ გსურთ მარქსისტი იყოთ, საჭიროა თვითეული ცალკე ომი კონკრეტულად შეაფასოთ. რათა გავიგოთ, თუ რატომ არის, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან მრავალი 1789 — 1871 წლებში დემოკრატიისათვის ბრძოლას მეთაურობდა, ატყდა და კიდევაც უნდა ამტყდარიყო იმპერიალისტური ომი, ე. ი. თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით ყველაზე რეაქციული, ანტიდემოკრატიული ომი, ეს რომ გავიგოთ, საჭიროა იმპერიალისტური ეპოქის საერთო პირობების, ე. ი. მოწინავე ქვეყნების კაპიტალიზმის იმპერიალიზმად გადაქცევის პირობების გაგება.

პ. კიევსკიმ «ეპოქისა» და «ახლანდელი ომის» ეს თანაფარდობა სავსებით დაამახინჯა. მას ისე გამოუდის, რომ

კონკრეტულად ლაპარაკი ნიშნავს «ეპოქაზე» ლაპარაკს! სწორედ ეს არაა მართალი.

1789 — 1871 წლების ეპოქა ევროპისათვის განსაკუთრებული ეპოქაა. ეს უდავოა. არ შეიძლება გაგება არც ერთი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომისა, რომლებიც განსაკუთრებით ტიპიურია ამ დროისათვის, თუ არ გაიგეთ მაშინდელი ეპოქის საერთო პირობები. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მაშინდელი ეპოქის ყველა ომი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იყო? რა თქმა უნდა, არა. ამის თქმა აბსურდის თქმას და თვითეული ცალკე ომის კონკრეტულად შესწავლის მაგივრად სასაცილო შაბლონის წამოყენებას ნიშნავს. 1789 — 1871 წლებში იყო კოლონიური ომებიც, იყო აგრეთვე ომები რეაქციულ იმპერიებს შორის, რომელნიც მთელ რიგ უცხო ერებს ჩაგრავდნენ.

საკითხავია: იმ გარემოებიდან, რომ ევროპის (და ამერიკის) მოწინავე კაპიტალიზმმა იმპერიალიზმის ახალ ეპოქაში შედგა ფეხი, განა ის გამომდინარეობს, რომ ახლა მხოლოდ იმპერიალისტური ომებია შესაძლებელი? ეს იქნებოდა სულელური მტკიცება, იმის უნარის უქონლობა, რომ განსაზღვრული კონკრეტული მოვლენა განვასხვაოთ ეპოქის მრავალფეროვან შესაძლებელ მოვლენათა მთელი ჯამისაგან. ეპოქას სწორედ იმიტომ ჰქვია ეპოქა, რომ იგი მოიცავს მრავალფეროვან მოვლენათა და ომების ჯამს, როგორც ტიპიური, ისე არატიპიური, როგორც დიდი, ისე პატარა, როგორც მოწინავე ქვეყნების დამახასიათებელი, ისე ჩამორჩენილი ქვეყნების დამახასიათებელი მოვლენებისა და ომების ჯამს. ამ კონკრეტული საკითხებისათვის გვერდის ავლა «ეპოქის» შესახებ ნახმარი ზოგადი ფრაზების საშუალებით, როგორც ამას პ. კიევსკი სჩადის, «ეპოქის» ცნების ბოროტად გამოყენებას ნიშნავს. უსაბუთოდ ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, დავასახელოთ ერთი მრავალი მაგალითთაგანი. მაგრამ ჯერ უნდა მოვიხსენიოთ, რომ მემარცხენეთა ერთმა ჯგუფმა, სახელდობრ გერმანულმა ჯგუფმა «ინტერნაციონალმა»[10] თავის თეზისებში, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ბერნის ალმას-

რულებელი კომისიის ბიულეტენის მე-3 ნომერში (1916 წლის 29 თებერვალს), მე-5 პარაგრაფში წამოაყენა აშკარად მცდარი დებულება: «ამ აღვირახსნილი იმპერიალიზმის ერაში შეუძლებელია კიდევ იყოს რაიმე ნაციონალური ომები». ჩვენ ეს დებულება გავარჩიეთ* «სბორნიკ სოციალ-დემოკრატაში»[17]. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, თუმცა ყველა, ვისაც ინტერნაციონალისტური მოძრაობა აინტერესებს, დიდი ხანია ამ თეორიულ დებულებას იცნობს (ჩვენ მას ვებრძოდით ჯერ კიდევ 1916 წ. გაზაფხულზე ბერნის აღმასრულებელი კომისიის გაფართოებულ კრებაზე), მაგრამ აქამდე არც ერთ ჯგუფს არ გაუმეორებია, არ მიუღია იგი. და პ. კიევსკისაც 1916 წლის აგვისტოში, როდესაც ის თავის სტატიას წერდა, ხმა არ ამოუღია ასეთი ან მსგავსი მტკიცების მაგვარ რამეზე.

ამის აღნიშვნა საჭიროა იმ რატომ: ასეთი ან მსგავსი თეორიული დებულება რომ ყოფილიყო გამოთქმული, მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი თეორიულ უთანხმოებაზე. ხოლო როდესაც არავითარ მსგავს დებულებას **არ** აყენებენ, ჩვენ იძულებული ვართ ვთქვათ: ჩვენ წინაშეა არა «ეპოქის» სხვაგვარი გაგება, არა თეორიული უთანხმოება, არამედ მხოლოდ მოუფიქრებლად წამოსროლილი ფრაზა, სიტყვა «ეპოქის» მხოლოდ ბოროტად გამოყენება.

მაგალითი: «განა არა ჰგავს იგი (თვითგამორკვევა) — წერს პ. კიევსკი თავისი სტატიის დასაწყისშივე — მარსზე 10 000 დესეტინის უფასოდ მიღების უფლებას? ამ საკითხზე საჭიროა უსათუოდ სავსებით კონკრეტული პასუხი მთელი ახლანდელი ეპოქისათვის ანგარიშის გაწევით; ერთია — ერთა თვითგამორკვევის უფლება ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების ეპოქაში, როგორც მათი მაშინდელი დონის საწარმოო ძალთა განვითარების საუკეთესო ფორმებისა, სულ სხვაა — ეს უფლება, როდესაც ეს ფორმები, ეროვნული სახელმწიფოს ფორმები, ამ ძალთა განვითარების ხუნდებად

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 389 — 396. რ ე დ.

იქცა. კაპიტალიზმისა და ეროვნული სახელმწიფოს თვითგანმტკიცების ეპოქასა და ეროვნული სახელმწიფოს დაღუპვისა და თვით კაპიტალიზმის დაღუპვის წინადღის ეპოქას შორის — უზარმაზარი მანძილია. ხოლო «ზოგადად», დროისა და სივრცის გარეშე ლაპარაკი — მარქსისტის საქმე არაა».

ეს მსჯელობა ნიმუშია «იმპერიალისტური ეპოქის» ცნების კარიკატურული გამოყენებისა. სწორედ იმიტომ, რომ ეს ცნება ახალია და მნიშვნელოვანი, საჭიროა კარიკატურასთან ბრძოლა! რაზეა ლაპარაკი, როდესაც ამბობენ, ეროვნული სახელმწიფოს ფორმები ხუნდებად იქცაო და სხვ.? ლაპარაკია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებზე, უწინარეს ყოვლისა გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისზე, რომელთა მონაწილეობამ ახლანდელ ომში იგი პირველ ყოვლისა იმპერიალისტურ ომად აქცია. ამ ქვეყნებში, რომელთაც კაცობრიობა აქამდე წინ მიჰყავდათ, განსაკუთრებით 1789 — 1871 წლებში, დამთავრდა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი; ამ ქვეყნებში ეროვნული მოძრაობა დაუბრუნებელი წარსულია და მისი მკვდრეთით აღდგენა სულელური რეაქციული უტოპია იქნებოდა. ფრანგების, ინგლისელების, გერმანელების ეროვნული მოძრაობა დიდი ხანია დამთავრებულია; ისტორიულ რიგში აქ სხვა რამ დგას: ერები, რომლებიც თავისუფლდებოდნენ, იქცნენ მჩაგვრელ ერებად, იმპერიალისტური ძარცვის ერებად, რომლებიც «კაპიტალიზმის დაღუპვის წინადღეს» განიცდიან.

ხოლო სხვა ერები?

პ. კიევსკი იმეორებს, როგორც დაზეპირებულ წესს, რომ მარქსისტებმა «კონკრეტულად» უნდა იმსჯელონო, მაგრამ იგი არ ი ყ ე ნ ებ ს ამ წესს. ჩვენ კი ჩვენს თეზისებში განგებ მივეცით კონკრეტული პასუხის ნიმუში, და პ. კიევსკიმ არ მოისურვა მიეთითებინა ჩვენთვის შეცდომაზე, თუ იგი აქ შეცდომას ხედავდა.

ჩვენს თეზისებში (§ 6) ნათქვამია: იმისათვის, რომ კონკრეტულნი დავრჩეთ, უნდა განვასხვაოთ, თვითგამორკვევის საკითხის მიხედვით, ქვეყნების არა ნაკლებ ს ა მ ი სხვადასხვა

ტიპი. (ცხადია, ზოგად თეზისებში შეუძლებელი იქნებოდა გველაპარაკნა თვითეულ ცალკე ქვეყანაზე). პირველი ტიპი — ესენი არიან დასავლეთ ევროპის (და ამერიკის) ის მოწინავე ქვეყნები, სადაც ეროვნული მოძრაობა წ ა რ ს უ ლ ი ს საქმეა. მე-2 ტიპია — აღმოსავლეთ ევროპა, სადაც ეს მოძრაობა ა წ მ ყ ო ს საქმეა. მე-3 ტიპია — ნახევრადკოლონიები და კოლონიები, სადაც ეს მოძრაობა მნიშვნელოვანწილად შ ო მ ა ვ ლ ი ს საქმეა *.

სწორია ეს თუ არა? პ. კიევსკის ა ქ ე თ უნდა წარემართა თავისი კრიტიკა. მაგრამ ის იმასაც კი ვერ ამჩნევს, თუ რ ა შ ი მდგომარეობს თეორიული საკითხები! ის ვერ ხედავს, რომ, ვიდრე მას ჩვენი თეზისების ხსენებული დებულება (§ ბ) არ დაურღვევია, — მისი დარღვევა კი შეუძლებელია, ვინაიდან იგი სწორია, — მისი მსჯელობა «ეპოქის» შესახებ იმასა ჰგავს, რომ კაცი ხმალს «იქნევს», მაგრამ დაკვრას კი ვერ ახერხებს.

«წინააღმდეგ ვ. ილინის[18] აზრისა — წერს იგი სტატიის ბოლოში — ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასავლეთის (!) ქვეყნების უმრავლესობისათვის (!) ეროვნული საკითხი გადაწყვეტილი არაა»...

მაშასადამე, ალბათ, ფრანგების, ესპანელების, ინგლისელების, ჰოლანდიელების, გერმანელების, იტალიელების ეროვნული მოძრაობა არ დამთავრებულა XVII, XVIII, XIX საუკუნეებში და უფრო ადრე? სტატიის დასაწყისში «იმპერიალიზმის ეპოქის» ცნება ისეა დამახინჯებული, თითქოს ეროვნული მოძრაობა დამთავრებულიყოს საზოგადოდ და არა მარტო დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში. იმავე სტატიის ბოლოში «ეროვნული საკითხი» «გადაუწყვეტელად» არის გამოცხადებული ს წ ო რ ე დ დასავლეთის ქვეყნებში!! განა ეს დომხალი არაა?

დასავლეთის ქვეყნებში ეროვნული მოძრაობა — შორეული წარსულია. «სამშობლომ» ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიაში

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 183—184. რ ე დ.

და სხვ. უკვე თქვა თავისი სიტყვა, შეასრულა თავისი ისტორიული როლი, ე. ი. ეროვნულ მოძრაობას აქ აღარ შეუძლია მოგვცეს რაიმე ისეთი, რაც პროგრესული იქნება და ადამიანთა ახალ მასებს ახალი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებისათვის აამოძრავებს. აქ ისტორიულ დღის წესრიგში დგას არა ფეოდალიზმიდან ან პატრიარქალური ველურობიდან ნაციონალურ პროგრესზე, კულტურულსა და პოლიტიკურად თავისუფალ სამშობლოზე გადასვლა, არამედ დრომოჭმულ, კაპიტალისტურად-გადამწიფებულ «სამშობლოდან» სოციალიზმზე გადასვლა.

აღმოსავლეთ ევროპაში საქმე სხვანაირადაა. უკრაინელებისა და ბელორუსებისათვის, მაგალითად, მხოლოდ ოცნებით ძარსზე მცხოვრებ ადამიანს შეუძლია უარყოს ის, რომ აქ ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ეროვნული მოძრაობა, რომ დედაენისა და თავისი ლიტერატურის დაუფლებისათვის მასების გაღვიძება — (ეს კი აუცილებელი პირობა და თანამგზავრია კაპიტალიზმის სრული განვითარებისა, გაცვლა-გამოცვლის სრული შეჭრისა უკანასკნელ გლეხის ოჯახშიაც) — აქ **ჯერ კიდევ** წარმოებს. «სამშობლოს» აქ ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ უთქვამს მთელი თავისი ისტორიული სიტყვა. «სამშობლოს დაცვა» აქ ჯ ე რ კ ი დ ე ვ შეიძლება იყოს დემოკრატიის, დედაენის, პოლიტიკური თავისუფლების დაცვა მჩაგვრელ ერთა წინააღმდეგ, შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ; მაშინ როდესაც ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები ახლა ტყუიან, როცა ახლანდელ ომში თავიანთი სამშობლოს დაცვაზე ლაპარაკობენ, ვინაიდან ისინი საქმით იცავენ ა რ ა დედაენას, ა რ ა თავიანთი ეროვნული განვითარების თავისუფლებას, არამედ თავიანთ მონაომფლობელურ უფლებებს, თავიანთ კოლონიებს, უცხო ქვეყნებში თავიანთი ფინანსური კაპიტალის «გავლენის სფეროებს» და სხვ.

ნახევრადკოლონიებსა და კოლონიებში კი ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო ახალგაზრდაა ისტორიულად, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპაში.

რ ა ს შეეხება სიტყვები «დიდად განვითარებულ ქვეყნებზე» და იმპერიალისტურ ეპოქაზე; რ ა შ ი ა რუსეთის «განსაკუთრებული» მდგომარეობა (სათაური პ. კიევსკის სტატიის მე-2 თავის d პარაგრაფისა), და არა მარტო რუსეთისა; ს ა დ არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყალბი ფრაზა და ს ა დ არის იგი ცხოველი და პროგრესული სინამდვილე, — ვერაფერი ეს პ. კიევსკიმ აბსოლუტურად ვერ გაიგო.

3. რა არის ეკონომიური ანალიზი?

თვითგამორკვევის მოწინააღმდეგეთა მსჯელობის ღერძს წარმოადგენს მითითება მის «განუხორციელებლობაზე» საერთოდ კაპიტალიზმის ან იმპერიალიზმის დროს. სიტყვა «განუხორციელებლობა» ხშირად იხმარება სხვადასხვაგვარი და არაზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობით. ამიტომ ჩვენს თეზისებში მოვითხოვეთ ის, რაც აუცილებლად საჭიროა ყოველ თეორიულ დისკუსიაში: იმის გამორკვევა, თუ რა აზრით ლაპარაკობენ «განუხორციელებლობაზე»? ჩვენ მარტო საკითხის დასმით არ დავკმაყოფილებულვართ და შევუდექით მის განმარტებასაც. პოლიტიკური ძნელად-განსახორციელებლობის ან განუხორციელებლობის აზრით, დემოკრატიის ყ ვ ე ლ ა მოთხოვნა «განუხორციელებელია» იმპერიალიზმის დროს მთელი რიგი რევოლუციების გარეშე.

ეკონომიური შეუძლებლობის აზრით თვითგამორკვევის განუხორციელებლობაზე ლაპარაკი ძირფესვიანად მცდარია.

ასეთი იყო ჩვენი დებულება. აქ არის თეორიული უთანხმოების ღერძი, და ოდნავ მაინც სერიოზული დისკუსიის დროს ამ საკითხისათვის ჩვენს მოწინააღმდეგეებს მთელი ყურადღება უნდა მიექციათ.

აბა ერთი შეხედეთ, როგორ მსჯელობს ამ საკითხზე პ. კიევსკი.

განუხორციელებლობის განმარტებას პოლიტიკური მიზეზების გამო «ძნელად-განსახორციელებლობის» აზრით, იგი

გარკვევით უარყოფს. იგი ამ საკითხს პირდაპირ უპასუხებს ეკონომიური შეუძლებლობის აზრით.

«ნიშნავს თუ არა ეს იმას, — წერს იგი, — რომ იმპერიალიზმის დროს თვითგამორკვევა ისევე განუხორციელებელია, როგორც მუშათა ფული სასაქონლო წარმოების დროს?» და პ. კიევსკი უპასუხებს: «დიახ, ნიშნავს! ვინაიდან ჩვენ ვლაპარაკობთ სწორედ ლოგიკურ წინააღმდეგობაზე ორ სოციალურ კატეგორიას შორის: «იმპერიალიზმი» და «ერთა თვითგამორკვევა»; ისეთსავე ლოგიკურ წინააღმდეგობაზე, როგორიც არსებობს ორ სხვა კატეგორიას შორის: მუშათა ფული და სასაქონლო წარმოება. იმპერიალიზმი თვითგამორკვევის უარყოფაა, და იმპერიალიზმისა და თვითგამორკვევის შეთავსებას ვერავითარი ჯამბაზი ვერ შეძლებს».

რაგინდ საშინელიც უნდა იყოს ეს გაჯავრებით თქმული სიტყვა «ჯამბაზი», რომელსაც პ. კიევსკი ჩვენკენ ისვრის, ჩვენ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ, აშკარაა, მას არ ესმის, თუ რას ნიშნავს ეკონომიური ანალიზი. «ლოგიკური წინააღმდეგობა», — რასაკვირველია, მართებული ლოგიკური აზროვნების პირობებში, — არ უნდა იყოს ა რ ც ეკონომიურ, ა რ ც პოლიტიკურ ანალიზში. ამიტომ ს ა ზ ო გ ა დ ო დ «ლოგიკურ წინააღმდეგობაზე» მითითება, როცა ლაპარაკია სწორედ იმაზე, რომ ეკონომიური ანალიზი მოვახდინოთ და ა რ ა პოლიტიკური, სრულიად შეუფერებელი საქმეა. «სოციალურ კატეგორიებს» მიეკუთვნება ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ც ა და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ც. მაშასადამე, პ. კიევსკი, რომელმაც თავდაპირველად გადაჭრითა და აშკარად უპასუხა: «დიახ, ნიშნავსო» (ე. ი. თვითგამორკვევა ი ს ე ვ ე განუხორციელებელია, როგორც მუშათა ფული სასაქონლო წარმოების დროსო), სინამდვილეში იმას დასჯერდა, რომ საკითხს გვერდით აუარ-ჩაუარა, ხოლო ეკონომიური ანალიზი კი არ მოგვცა.

რით მტკიცდება, რომ მუშათა ფული განუხორციელებელია სასაქონლო წარმოების დროს? ეკონომიური ანალიზით. ეს ანალიზი, ისე როგორც ყოველგვარი ანალიზი, ვერ იწყნარებს «ლოგიკურ წინააღმდეგობას», ღებულობს ეკონომიურ

და მ ხ ო ლ ო დ ეკონომიურ (და არა საზოგადოდ «სოციალურ») კატეგორიებს და მათგან გამოჰყავს მუშათა ფულის შეუძლებლობა. «კაპიტალის» პირველ თავში არავითარ პოლიტიკაზე, არავითარ პოლიტიკურ ფორმაზე, არავითარ «სოციალურ კატეგორიებზე» საზოგადოდ არავითარი ლაპარაკი არაა: ანალიზი ეხება მ ხ ო ლ ო დ ეკონომიურ მოვლენებს, საქონლის გაცვლა-გამოცვლას, საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარებას. ეკონომიური ანალიზი ცხადყოფს, — რა-საკვირველია, «ლოგიკურ» მსჯელობათა გზით, — რომ სასაქონლო წარმოების დროს მუშათა ფული განუხორციელებელია.

პ. კიევსკი არც კი ცდილა, რომ ეკონომიურ ანალიზს შესდგომოდა! იგი ე რ თ მ ა ნ ე თ შ ი უ რ ე ვ ს იმპერიალიზმის ეკონომიურ არსსა და მის პოლიტიკურ ტენდენციებს, როგორც ეს მისი სტატიის პირველი პარაგრაფის პირველი ფრაზიდანვე ჩანს. აი ეს ფრაზა:

«სამრეწველო კაპიტალი წარმოიშვა, როგორც სინთეზი წინაკაპიტალისტური წარმოებისა და სავაჭრო-სასესხო კაპიტალისა. სასესხო კაპიტალი სამრეწველოს მსახური გახდა. ახლა კაპიტალიზმი ძლევს კაპიტალის სხვადასხვა სახეობას, ჩნდება მისი მაღალი, უნიფიცირებული ტიპი, ფინანსური კაპიტალი, და ამიტომაც მთელ ამ ეპოქას შეიძლება ვუწოდოთ ფინანსური კაპიტალის ეპოქა, რომლის საგარეო პოლიტიკის ადეკვატურ სისტემასაც წარმოადგენს იმპერიალიზმი».

ეკონომიურად მთელი ეს განმარტება არაფრად არ ვარგა: ზუსტი ეკონომიური კატეგორიების მაგივრად აქ მხოლოდ ცარიელი ფრაზებია. მაგრამ შეუძლებელია ახლა ამაზე შეჩერება. მნიშვნელოვანია ის, რომ პ. კიევსკი იმპერიალიზმს «საგარეო პოლიტიკის სისტემად» აცხადებს.

ჯერ-ერთი, არსებითად, ეს არის კაუცკის არასწორი იდეის არასწორი განმეორება.

მეორე, ესაა იმპერიალიზმის წმინდა პოლიტიკური, მხოლოდ პოლიტიკური განსაზღვრა. იმპერიალიზმის, როგორც «პოლიტიკის სისტემის», განსაზღვრის საშუალებით პ. კიევ-

სკის სურს თავი დააძვრინოს ეკონომიურ ანალიზს, რომლის მოცემასაც იგი დაგვპირდა, როცა განაცხადა, რომ თვითგამორკვევა «ისევე» განუხორციელებელია, ე. ი. ეკონომიურად განუხორციელებელია, იმპერიალიზმის დროს, როგორც მუშათა ფული სასაქონლო წარმოების დროსო!

კაუცკი მემარცხენეებთან კამათში აცხადებდა, რომ იმპერიალიზმი «მხოლოდ სისტემაა საგარეო პოლიტიკისა» (სახელდობრ ანექსიისა); კაპიტალიზმის განსაზღვრულ ეკონომიურ სტადიას, მისი განვითარების საფეხურს რომ იმპერიალიზმი ვუწოდოთ — შეუძლებელიაო.

კაუცკი მართალი არაა. სიტყვებზე დავა, რა თქმა უნდა, გონივრული არაა. სიტყვა «იმპერიალიზმის» ასე თუ ისე ხმარებას ვერავის ავუკრძალავთ. მაგრამ საჭიროა ზუსტად გავარკვიოთ ცნებანი, თუ დისკუსიის წარმოება გვწადია.

ეკონომიურად იმპერიალიზმი (ანუ ფინანსური კაპიტალის «ეპოქა», საქმე სიტყვაში როდია) არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხური, სახელდობრ ისეთი, როდესაც წარმოება იმდენად მსხვილი და უმსხვილესი გამხდარა, რომ კონკურენციის თავისუფლებას მონოპოლია ცვლის. ამაშია იმპერიალიზმის ეკონომიური არსი. მონოპოლია გამოიხატება ტრესტებშიც, სინდიკატებშიც და სხვ., აგრეთვე უზარმაზარი ბანკების ყოვლისშემძლეობაში, ნედლეულის წყაროების შესყიდვაში და სხვ., საბანკო კაპიტალის კონცენტრაციაში და ა. შ.. მთელი საქმე ეკონომიურ მონოპოლიაშია.

ახალი ეკონომიკის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის (იმპერიალიზმი — მონოპოლისტური კაპიტალიზმია) პოლიტიკურ ზედნაშენს წარმოადგენს მობრუნება დემოკრატიიდან პოლიტიკური რეაქციისაკენ. თავისუფალ კონკურენციას დემოკრატია შეესაბამება. მონოპოლიას პოლიტიკური რეაქცია შეესაბამება. «ფინანსური კაპიტალი მიისწრაფვის ბატონობისაკენ და არა თავისუფლებისაკენ»,

სამართლიანად ამბობს რ. ჰილფერდინგი თავის «ფინანსურ კაპიტალში».

საზოგადოდ პოლიტიკისაგან «საგარეო პოლიტიკის» გამოყოფა ან, მით უმეტეს, საშინაო პოლიტიკისადმი საგარეოს დაპირისპირება — ძირფესვიანად უმართებულო, არამარქსისტული, არამეცნიერული აზრია. როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში იმპერიალიზმი თანაბრად მიისწრაფვის დემოკრატიის დარღვევისაკენ, რეაქციისაკენ. ამ მხრივ უდავოა, რომ იმპერიალიზმი «უარყოფაა» ს ა ზ ო გ ა დ ო დ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა, მ თ ე ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა, და სრულებითაც არა დემოკრატიის ერთ-ერთი მოთხოვნის, სახელდობრ: ერთა თვითგამორკვევისა.

იმპერიალიზმი, რომელიც დემოკრატიის «უარყოფაა», ა ს ე ვ ე «უარყოფს» დემოკრატიასაც ეროვნულ საკითხში (ე. ი. ერთა თვითგამორკვევას): «ასევე», ე. ი. ის ცდილობს დაარღვიოს იგი; დემოკრატიის განხორციელება სწორედ იმდენადვე და იმავე აზრითაა უფრო ძნელი იმპერიალიზმის დროს, რამდენადაც ძნელია იმპერიალიზმის დროს (წინამონოპოლისტურ კაპიტალიზმთან შედარებით) რესპუბლიკის, მილიციის, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევის და სხვათა განხორციელება. «ეკონომიური» განუხორციელებლობის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება.

პ. კიევსკი, ალბათ, შეცდომაში შეუყვანია იმ გარემოებასაც (გარდა ეკონომიური ანალიზის მოთხოვნათა საერთო გაუგებლობისა), რომ ობივატელური თვალსაზრისით ანექსია (ე. ი. სხვა ეროვნების მხარის შემოერთება მისი მოსახლეობის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ე. ი. ერთა თვითგამორკვევის დარღვევა) მიჩნეულია უფრო ფართო სამეურნეო ტერიტორიაზე ფინანსური კაპიტალის გავლენის «გაფართოების» (ექსპანსიის) თანაბარმნიშვნელოვნად.

მაგრამ არ შეიძლება ობივატელური ცნებებით ხელი მიჰყოთ თეორიულ საკითხებს.

იმპერიალიზმი, ეკონომიურად, მონოპოლისტური კაპიტალიზმია. მონოპოლია რომ სრული იყოს, საჭიროა კონკუ-

რენტების განდევნა არა მარტო საშინაო ბაზრიდან (ამა თუ იმ სახელმწიფოს ბაზრიდან), არამედ საგარეოდანაც, მთელი მსოფლიოდან. არის თუ არა «ფინანსური კაპიტალის ერაში» კონკურენციის თავიდან მოცილების ეკონომიური შესაძლებლობა უცხო სახელმწიფოშიც კი? რასაკვირველია, არის: ეს საშუალებაა — ფინანსური დამოკიდებულება და ნედლეულის წყაროთა შესყიდვა, შემდეგ კი კონკურენტის ყველა საწარმოს შესყიდვაც.

ამერიკის ტრესტები იმპერიალიზმის ანუ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის უმაღლესი გამოხატულებაა. კონკურენტის თავიდან მოსაშორებლად ტრესტები არ სჯერდებიან ეკონომიურ საშუალებებს, არამედ მუდმივად მიმართავენ პოლიტიკურსა და სისხლის სამართლის ხასიათის საშუალებებსაც კი. მაგრამ უღრმესი შეცდომა იქნებოდა ტრესტების მონოპოლია ეკონომიურად განუხორციელებლად მიგვეჩნია ბრძოლის წმინდა ეკონომიური ხერხების დროს. პირიქით, სინამდვილე ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს ამის «განსახორციელებლობას»: ტრესტები ბანკების საშუალებით ძირს უთხრიან კონკურენტის კრედიტს (ტრესტების პატრონები ბანკების პატრონებიც არიან: აქციების შესყიდვა); ტრესტები ფუშავენ კონკურენტებისათვის მასალების მიწოდებას (ტრესტების პატრონები რკინიგზების პატრონებიც არიან: აქციების შესყიდვა); ტრესტები განსაზღვრული დროის განმავლობაში თვითღირებულებაზე დაბლა წევენ ფასებს და ამისათვის მილიონებს ხარჯავენ, რათა კონკურენტი გააკოტრონ და შეისყიდონ მისი საწარმოები, მისი ნედლეულის წყაროები (სამადნეები, მიწა და სხვ.).

აი ტრესტების ძალისა და მათი გაფართოების წმინდა ეკონომიური ანალიზი. აი წმინდა ეკონომიური გზა გაფართოებისაკენ: საწარმოთა, დაწესებულებათა, ნედლეულის წყაროთა შესყიდვა.

ერთი რომელიმე ქვეყნის მსხვილ ფინანსურ კაპიტალს ყოველთვის შეუძლია შეისყიდოს უცხო, პოლიტიკურად დამოუკიდებელი, ქვეყნის კონკურენტებიც და ყოველთვის

სჩადის კიდევაც ამას. ეკონომიურად ეს სავსებით განსახორციელებელია. ეკონომიური «ანექსია» სავსებით «განსახორციელებელია» პოლიტიკური ანექსიის გარეშე და ის მუდამ გვხვდება კიდეც. იმპერიალიზმის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით, მაგალითად, ისეთ მითითებებს, რომ არგენტინა სინამდვილეში ინგლისის «სავაჭრო კოლონიაა», რომ პორტუგალია სინამდვილეში ინგლისის «ვასალია» და სხვ.. ეს მართალია: ეკონომიური დამოკიდებულება ინგლისის ბანკებზე, ინგლისისადმი დავალიანება, ინგლისის მიერ ადგილობრივი რკინიგზების, სამადნეების, მიწებისა და სხვ. შესყიდვა — ყველაფერი ეს ხსენებულ ქვეყნებს ინგლისის «ანექსიად» აქცევს ეკონომიური აზრით, ამ ქვეყნების პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაურღვევლად.

ერთა თვითგამორკვევა ჰქვია მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. იმპერიალიზმი ცდილობს დაარღვიოს იგი, ვინაიდან პოლიტიკური ანექსიის დროს ეკონომიური ანექსია ხშირად უფრო მოსახერხებელია, უფრო იაფია (უფრო იოლია მოხელეთა მოსყიდვა, კონცესიების მიღება, ხელსაყრელი კანონის გატარება და სხვ.), უფრო ხელმისაწვდომია და უფრო მშვიდობიანი, — საკუთრივ ისევე, როგორც იმპერიალიზმი ცდილობს შეცვალოს საზოგადოდ დემოკრატია ოლიგარქიით. მაგრამ იმპერიალიზმის დროს ერთა თვითგამორკვევის ეკონომიურ «განუხორციელებლობაზე» მსჯელობა — ეს პირდაპირ აბდაუბდაა.

პ. კიევსკი თეორიულ სიძნელეებს გვერდს უვლის ერთი ფრიად იოლი და მსუბუქი ფანდის საშუალებით, რასაც გერმანულად «ბურშიკოზული», ე. ი. სტუდენტურ-მიამიტური, უხეში, სტუდენტთა ქეიფის დროს ხმარებული (და მაშინ ბუნებრივი) გამოთქმები ჰქვია. აი ნიმუში: «საყოველთაო საარჩევნო უფლება, — წერს ის, — 8-საათიანი სამუშაო დღე და რესპუბლიკაც კი ლოგიკურად შესათავსებელია იმპერიალიზმთან, თუმცა იმპერიალიზმს ისინი სრულიადაც არ

ულიმიან (!!) და ამიტომ მათი განხორციელება უკიდურესად გაძნელებულია».

ჩვენ სრულიადაც არაფერი გვექნებოდა საწინააღმდეგო ბურშიკოზული გამოთქმისა: რესპუბლიკა იმპერიალიზმს არ «ულიმისო», — მხიარული სიტყვა ხანდახან ალამაზებს მეცნიერულ მატერიებს! — სერიოზულ საკითხზე მსჯელობაში მათ გარდა ცნებათა ეკონომიური და პოლიტიკური ანალიზიც რომ იყოს. პ. კიევსკი კი ბურშიკოზობით ცვლის ასეთ ანალიზს, ფარავს მის უქონლობას.

რას ნიშნავს ეს: «რესპუბლიკა იმპერიალიზმს არ ულიმისო»? და რატომ არის ეს ასე?

რესპუბლიკა კაპიტალისტური საზოგადოების პოლიტიკური ზედნაშენის ერთ-ერთი შესაძლებელი ფორმაა და თანაც თანამედროვე პირობებში ყველაზე დემოკრატიული ფორმა. თქმა: რესპუბლიკა იმპერიალიზმს «არ ულიმისო», ნიშნავს იმის თქმას, რომ იმპერიალიზმსა და დემოკრატიას შორის წინააღმდეგობა არსებობს. ძალიან შესაძლებელია, ეს ჩვენი დასკვნა «არ ულიმოდეს», და შეიძლება «დიდადაც არ ულიმოდეს» პ. კიევსკის, მაგრამ იგი მაინც უდავოა.

შემდეგ. რანაირია ეს წინააღმდეგობა იმპერიალიზმსა და დემოკრატიას შორის? ლოგიკურია თუ არა ლოგიკური? პ. კიევსკი ხმარობს სიტყვას «ლოგიკური» მოუფიქრებლად, და ამიტომ ვერ ამჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ეს სიტყვა მას ეხმარება დაფაროს (მკითხველის თვალისა და ჭკუისაგან, ისე როგორც ავტორის თვალისა და ჭკუისაგან) სწორედ ის საკითხი, რომლის შესახებ მსჯელობას მან ხელი მოჰკიდა! ეს საკითხია — ეკონომიკის დამოკიდებულება პოლიტიკისადმი; იმპერიალიზმის ეკონომიურ პირობათა და ეკონომიური შინაარსის დამოკიდებულება ერთ-ერთი პოლიტიკური ფორმისადმი. ყოველგვარი «წინააღმდეგობა», რომელიც ემჩნევა ადამიანის მსჯელობას, ლოგიკური წინააღმდეგობაა; ეს ცარიელი ტავტოლოგიაა. ამ ტავტოლოგიის მეოხებით პ. კიევსკი გვერდს უვლის საკითხის დ ე დ ა ა რ ს ს. არის თუ არა ეს «ლოგიკური» წინააღმდეგობა ორ ეკო-

ნ ო მ ი უ რ მოვლენასა თუ მდგომარეობას შორის (1)? ან ორ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს შორის (2)? ან ე კ ო ნ ო მ ი უ რ ს ა და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს შორის (3)?

ამაშია ხომ დედაარსი, რაკი დაისვა საკითხი ამა თუ იმ პოლიტიკური ფორმის დროს ეკონომიური განუხორციელებლობის თუ განსახორციელებლობის შესახებ!

პ. კიევსკის ამ დედაარსისთვის რომ გვერდი არ აეხვია, იგი, ალბათ, დაინახავდა, რომ იმპერიალიზმსა და რესპუბლიკას შორის არსებული წინააღმდეგობა — ესაა წინააღმდეგობა უახლესი კაპიტალიზმის (სახელდობრ: მონოპოლისტური კაპიტალიზმის) ეკონომიკასა და პოლიტიკურ დემოკრატიას შორის საზოგადოდ. ვინაიდან პ. კიევსკი ვერასოდეს ვერ დაამტკიცებს, რომ რომელიმე დიდი და ძირითადი დემოკრატიული ღონისძიება (ხალხის მიერ მოხელეთა ან ოფიცრების არჩევა, კავშირებისა და კრებების სრული თავისუფლება და სხვ.) უფრო ნაკლებად ეწინააღმდეგება იმპერიალიზმს (თუ გნებავთ, უფრო «ულიმის» მას), ვიდრე რესპუბლიკა.

ვღებულობთ სწორედ იმ დებულებას, რომელსაც ჩ ვ ე ნ დაჟინებით ვიცავდით თეზისებში: იმპერიალიზმი ეწინააღმდეგება, «ლოგიკურად» ეწინააღმდეგება ს ა ზ ო გ ა დ ო დ მ თ ე ლ პოლიტიკურ დემოკრატიას. პ. კიევსკის «არ ულიმის» ეს ჩვენი დებულება, რადგან იგი არღვევს მის ულოგიკო მსჯელობას, მაგრამ რას იზამთ? ნუთუ მართლა უნდა შევურიგდეთ იმას, როცა ვითომ სურთ დაარღვიონ განსაზღვრული დებულებანი, ნამდვილად კი მათ ფარულად ატარებენ სწორედ გამოთქმით: «რესპუბლიკა არ ულიმის იმპერიალიზმსო»?

შემდეგ. რატომ არ ულიმის რესპუბლიკა იმპერიალიზმს? და როგორ «უთავსებს» იმპერიალიზმი თავის ეკონომიკას რესპუბლიკას?

პ. კიევსკი არ ჩაფიქრებია ამას. ჩვენ მას მოვაგონებთ ენგელსის შემდეგ სიტყვებს. ლაპარაკია დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. დასმულია ასეთი საკითხი: შეიძლება თუ არა სიმდიდრე ბატონობდეს მმართველობის ამ ფორმის დროს?

ე. ი. დასმულია სწორედ ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის არსებული «წინააღმდეგობის» საკითხი.

ენგელსი უპასუხებს: ... «დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ოფიციალურად არაფერი იცის» (მოქალაქეთა შორის) «სიმდიდრით განსხვავებაზე. მის დროს სიმდიდრე თავის ბატონობას არაპირდაპირ ახორციელებს, მაგრამ სამაგიეროდ მით უფრო საიმედოდ. ერთი მხრივ, მოხელეთა პირდაპირი მოსყიდვის ფორმით» («კლასიკური ნიმუშია — ამერიკა»), «მეორე მხრივ, მთავრობისა და ბირჟის კავშირის ფორმით»... [19]

აი, თუ გნებავთ, ნიმუში ეკონომიური ანალიზისა კაპიტალიზმის დროს დემოკრატიის «განსახორციელებლობის» საკითხთან დაკავშირებით; სწორედ ამ საკითხის პატარა ნაწილს წარმოადგენს იმპერიალიზმის დროს თვითგამორკვევის «განსახორციელებლობის» საკითხი!

დემოკრატიული რესპუბლიკა «ლოგიკურად» ეწინააღმდეგება კაპიტალიზმს, ვინაიდან «ოფიციალურად» ათანაბრებს მდიდარსა და ღარიბს. ეს არის წინააღმდეგობა ეკონომიურ წყობილებასა და პოლიტიკურ ზედნაშენს შორის. რესპუბლიკას იმპერიალიზმთან იგივე წინააღმდეგობა აქვს, გაღრმავებული და გაძლიერებული იმით, რომ თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიით კიდევ უფრო «აძნელებს» ყოველგვარი პოლიტიკური თავისუფლების განხორციელებას.

როგორღა უთავსდება კაპიტალიზმი დემოკრატიას? ცხოვრებაში კაპიტალის ყოვლისშემძლეობის არაპირდაპირი გატარებით! საამისოდ არის ორი ეკონომიური საშუალება: 1) პირდაპირი მოსყიდვა; 2) მთავრობის კავშირი ბირჟასთან. (ჩვენს თეზისებში ეს გამოხატულია სიტყვებით, რომ ბურჟუაზიული წყობილების დროს ფინანსური კაპიტალი «თავისუფლად იყიდის და მოისყიდის ყოველგვარ მთავრობასა და მოხელეებს»).

რაკი ბატონობს სასაქონლო წარმოება, ბურჟუაზია, ფულის ძალაუფლება — მოსყიდვა (პირდაპირი და ბირჟის საშუალებით) «განსახორციელებელია» მმართველობის ყოველგვარი ფორმის დროს, ყოველგვარი დემოკრატიის დროს.

საკითხავია, რა იცვლება ამ მხრივ, როცა კაპიტალიზმს ცვლის იმპერიალიზმი, ე. ი. წინამონოპოლისტურ კაპიტალიზმს ცვლის მონოპოლისტური კაპიტალიზმი?

მხოლოდ ის, რომ ბირჟის ბატონობა ძლიერდება! ვინაიდან ფინანსური კაპიტალი არის უმსხვილესი, მონოპოლიას მიღწეული, სამრეწველო კაპიტალი, რომელიც შერწყმია საბანკო კაპიტალს. მსხვილი ბანკები ერწყმიან ბირჟას და ნთქავენ მას. (იმპერიალიზმის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ლაპარაკობენ ბირჟის როლის დაცემაზე, მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ ყოველი გიგანტური ბანკი თვითონვეა ბირჟა).

შემდეგ. თუ «სიმდიდრისათვის» საერთოდ სავსებით განსახორციელებელი ხდება მოსყიდვისა და ბირჟის საშუალებით ბატონობა ყოველგვარ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, როგორღა შეუძლია პ. კიევსკის ამტკიცოს, სასაცილო «ლოგიკურ წინააღმდეგობაში» ჩაუვარდნელად, რომ იმ ტრესტებისა და ბანკების უდიდეს სიმდიდრეს, რომლებიც მილიარდებს ატრიალებენ, არ შეუძლია «განახორციელოს» ფინანსური კაპიტალის ბატონობა უცხო, ე. ი. პოლიტიკურად დამოუკიდებელ, რესპუბლიკაზე??

როგორ? მოხელეთა მოსყიდვა «განუხორციელებელია» უცხო სახელმწიფოში? ან, იქნებ, «ბირჟასთან მთავრობის კავშირი» მხოლოდ თავისი მთავრობის კავშირია?

* * *

მკითხველი აქედან უკვე ხედავს, რომ ათი სტრიქონი არევ-დარევის გასახსნელად და პოპულარულად განსამარტებლად დაახლოებით 10 ნაბეჯდი გვერდია საჭირო. პ. კიევსკის თვითეული მსჯელობის ასევე დაწვრილებით გარჩევა — მას კი პირდაპირ არც ერთი მსჯელობა არ მოეპოვება უდომხალოდ! — ჩვენ არ შეგვიძლია, და არც არის ეს საჭირო, რაკი უმთავრესი უკვე განვიხილეთ. დანარჩენს აღვნიშნავთ მოკლედ.

4. ნორვეგიის მაგალითი

ნორვეგიამ 1905 წელს, უაღრესად აღვირახსნილი იმპერიალიზმის ხანაში, «განახორციელა» თვითგამორკვევის ვითომდა განუხორციელებელი უფლება. ამიტომ «განსახორციელებლობაზე» ლაპარაკი არათუ თეორიულად აბსურდია, არამედ სასაცილოცაა.

პ. კიევსკის სურს ამის უარყოფა და განრისხებული გვიწოდებს «რაციონალისტებს» (ეს რა შუაშია? რაციონალისტი სჯერდება მსჯელობას და ისიც აბსტრაქტულს, ჩვენ კი უაღრესად კონკრეტული ფაქტი აღვნიშნეთ! პ. კიევსკი უცხო სიტყვა «რაციონალისტს» ხომ არ ხმარობს ისევე... როგორ ვთქვათ უფრო რბილად?.. ისევე «მარჯვედ», როგორც მან თავისი სტატიის დასაწყისში იხმარა სიტყვა «ექსტრაქტული», როცა მოგვაწოდა თავისი მოსაზრებანი «ექსტრაქტული სახით»?).

პ. კიევსკი გვისაყვედურებს, რომ ჩვენთვის «მნიშვნელობა აქვს მოვლენათა გარეგნობას და არა მათ ნამდვილ დედაარსს». მაშ ჩავუკვირდეთ ნამდვილ დედაარსს.

უარყოფა იწყება მაგალითით: ტრესტების წინააღმდეგ კანონის გამოცემის ფაქტი ვერ ამტკიცებს ტრესტების აკრძალვის განუხორციელებლობასო. სამართლიანია. ოღონდ ეს მაგალითი უხეიროა, ვინაიდან იგი პ. კიევსკის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მეტყველებს. კანონი პოლიტიკური ღონისძიებაა, პოლიტიკაა. ვერავითარი პოლიტიკური ღონისძიებით ვერ აკრძალავთ ეკონომიკას. პოლონეთის ვერავითარი პოლიტიკური ფორმით, იქნება პოლონეთი მეფის რუსეთის თუ გერმანიის ნაწილი, ავტონომიური ოლქი თუ დამოუკიდებელი პოლიტიკური სახელმწიფო, ვერც აკრძალავთ და ვერც აღკვეთავთ პოლონეთის დამოკიდებულებას იმპერიალისტური სახელმწიფოების ფინანსური კაპიტალისაგან, ამ კაპიტალის მიერ მის საწარმოთა აქციების შესყიდვას.

1905 წელს ნორვეგიის მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობა «განხორციელდა». ეკონომიური დამოკიდებულობის

შეხება მას არც განუზრახავს და არც შეეძლო შეხებოდა. სწორედ ამაზე ლაპარაკობს ჩვენი თეზისები. ჩვენ სწორედ იმას აღვნიშნავდით, რომ თვითგამორკვევა მხოლოდ პოლიტიკას შეეხება და ამიტომ უმართებულოა ეკონომიური განუხორციელებლობის საკითხის დასმაც კი. პ. კიევსკი კი ჩვენს აზრს იმით «არღვევს», რომ ასახელებს ეკონომიკის წინააღმდეგ პოლიტიკურ აკრძალვათა უძლურების მაგალითს! კარგი «დარღვევა» კია!

შემდეგ. «მსხვილ საწარმოებზე წვრილ საწარმოთა გამარჯვების ერთი ან თუნდაც მრავალი მაგალითი არ კმარა მარქსის იმ სწორი თეზისის დასარღვევად, რომ კაპიტალიზმის განვითარების საერთო მსვლელობას თან სდევს წარმოების კონცენტრაციაც და ცენტრალიზაციაც».

ეს საბუთიც უხეირო მ ა გ ა ლ ი თ ს წარმოადგენს, რომელიც იმისთვის არის ამორჩეული, რომ დავის ნამდვილ დედაარსს (მკითხველისა და ავტორის) ყურადღება ჩამოაცილოს.

ჩვენი თეზისი ამბობს, რომ თვითგამორკვევის ეკონომიურ განუხორციელებლობაზე იმავე აზრით ლაპარაკი, რა აზრითაც კაპიტალიზმის დროს მუშათა ფულის განუხორციელებლობაზე ვლაპარაკობთ, უმართებულოა. შეუძლებელია ასეთი განსახორციელებლობის რაიმე «მაგალითი» არსებობდეს. პ. კიევსკი ჩუმად აღიარებს ჩვენს სიმართლეს ამ პუნქტში, ვინაიდან გადადის «განუხორციელებლობის» ს ხ ვ ა-გ ვ ა რ განმარტებაზე.

რატომ არ სჩადის იგი ამას პირდაპირ? რატომ აშკარად და ზუსტად არ აყალიბებს თ ა ვ ი ს თეზისს: «თვითგამორკვევა, თუმცაღა ეკონომიური შესაძლებლობის მხრივ განსახორციელებელია კაპიტალიზმის დროს, მაგრამ განვითარებას ეწინააღმდეგება და ამიტომ რეაქციულია, ანდა მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენსო»?

იმიტომ, რომ კონტრთეზისის აშკარა ფორმულირება მაშინვე ამხილებდა ავტორს, და ის იძულებულია დაიმალოს.

ეკონომიური კონცენტრაციის, წვრილ წარმოებაზე მსხვილი წარმოების გამარჯვების კანონს აღიარებს ჩვენიცა და ერფურტის პროგრამაც. პ. კიევსკი მალავს იმ ფაქტს, რომ არსად არაა აღიარებული პოლიტიკური თუ სახელმწიფო კონცენტრაციის კანონი. თუ ეს ისეთივე კანონია, ან თუ იგიც კანონია, რატომ არ აყალიბებს მას პ. კიევსკი და წინადადებას არ იძლევა ჩვენი პროგრამა შევავსოთ? განა სამართლიანია მისი მხრით, რომ უხეირო, არასრული პროგრამის ამარა გვტოვებს, როდესაც მან აღმოაჩინა ეს ახალი კანონი სახელმწიფოებრივი კონცენტრაციისა, კანონი, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი იხსნიდა ჩვენს პროგრამას მცდარი დასკვნებისაგან?

პ. კიევსკი არ იძლევა კანონის არავითარ ფორმულირებას, არ გვირჩევს შევავსოთ ჩვენი პროგრამა, ვინაიდან ბუნდოვნად გრძნობს, რომ იგი მაშინ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდებოდა. ყველა ხარხარს დაიწყებდა კურიოზული «იმპერიალისტური ეკონომიზმის» გამო, ასეთი თვალსაზრისი რომ სააშკარაოზე ამოტივტივებულიყო, და მსხვილი წარმოების მიერ წვრილის განდევნის კანონის პარალელურად რომ წამოეყენებინათ «კ ა ნ ო ნ ი» (მასთან დაკავშირებით ან მის გვერდით) მსხვილ სახელმწიფოთა მიერ წვრილი სახელმწიფოების განდევნისა!

ამის განსამარტებლად დავკმაყოფილდებით ერთი შეკითხვით პ. კიევსკისადმი: რატომ ა რ ლაპარაკობენ ეკონომისტები უბრჭყალებოდ თანამედროვე ტრესტების ან მსხვილი ბანკების «დაშლაზე»? ასეთი დაშლის შესაძლებლობასა და მის განსახორციელებლობაზე? რატომ არის, რომ «იმპერიალისტური ეკონომისტიც» კი ბრჭყალებში იძულებულია აღიაროს მსხვილ სახელმწიფოთა დაშლის შესაძლებლობა და განსახორციელებლობა და არა მარტო დაშლისა საზოგადოდ, არამედ, მაგალითად, შესაძლებლობა რუსეთისაგან «მცირე ერთა» (ეს დაიხსომეთ!) გამოყოფისა (§ d პ. კიევსკის სტატიის მე-2 თავში)?

დასასრულ, რათა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ განვმარტოთ, თუ სადამდე მიდის ჩვენი ავტორი, და გავაფრთხილოთ იგი, აღვნიშნავთ შემდეგს: მსხვილი წარმოების მიერ წვრილის განდევნის კანონს ჩვენ ყველანი აშკარად ვაყენებთ და არავის ეშინია «მსხვილ საწარმოებზე წვრილ საწარმოთა გამარჯვების» ცალკე «მაგალითები» რეაქციულ მოვლენად აღიაროს. შვეციისაგან ნორვეგიის გამოყოფის რეაქციულ მოვლენად მიჩნევა ჯერ კიდევ ა რ ა ვ ი ს გაუბედნია თვითგამორკვევის მოწინააღმდეგეთაგან, თუმცა ჩვენ ეს საკითხი ჯერ კიდევ 1914 წელს წამოვაყენეთ ლიტერატურაში *.

მსხვილი წარმოება განუხორციელებელია, თუ შენარჩუნებულია, მაგალითად, ხელის დაზგები; სრული სისულელეა აზრი მექანიკური ფაბრიკის «დაშლისა» ხელით მომუშავე სახელოსნოებად. მსხვილი იმპერიებისადმი იმპერიალისტური ტენდენცია სავსებით განსახორციელებელია და პრაქტიკაში ხშირად ხორციელდება პოლიტიკურად თვითმყოფი და დამოუკიდებელი სახელმწიფოების იმპერიალისტური კავშირის ფორმით. ასეთი კავშირი შესაძლებელია და არსებობს კიდევაც არა მარტო ორი ქვეყნის ფინანსური კაპიტალის ეკონომიური შეზრდის ფორმით, არამედ იმპერიალისტურ ომში სამხედრო «თანამშრომლობის» ფორმითაც. ეროვნული ბრძოლა, ეროვნული აჯანყება, ეროვნული გამოყოფა სავსებით «განსახორციელებელია» და მათ ნამდვილადაც ვხედავთ იმპერიალიზმის დ რ ო ს; ისინი ძლიერდებიან კიდეც, ვინაიდან იმპერიალიზმი კი არ აჩერებს კაპიტალიზმის განვითარებას და მოსახლეობის მასაში დემოკრატიული ტენდენციების ზრდას, არამედ ა მ წ ვ ა ვ ე ბ ს ანტაგონიზმს ამ დემოკრატიულ მისწრაფებათა და ტრესტების ანტიდემოკრატიულ ტენდენციას შორის.

მხოლოდ «იმპერიალისტური ეკონომიზმის», ე. ი. კარიკატურული მარქსიზმის თვალსაზრისით შეიძლება უგულებელვყოთ, მაგალითად, იმპერიალისტური პოლიტიკის შემდეგი

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 20, გვ. 520 — 528. რ ე დ.

თავისებური მოვლენა; ერთი მხრივ, ახლანდელი იმპერიალისტური ომი გვიჩვენებს იმის მაგალითებს, თუ როგორ ახერხებენ, ფინანსური კავშირურთიერთობისა და ეკონომიური ინტერესების ძალით, ჩააბან დიდ სახელმწიფოთა ბრძოლაში პატარა, პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო (ინგლისი და პორტუგალია). მეორე მხრივ, თავის იმპერიალისტურ «მფარველებთან» შედარებით (ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც) ბევრად უფრო უძლურ მცირე ერთა მიმართ დემოკრატიზმის დარღვევა იწვევს ან აჯანყებას (ირლანდია) ან მტრის მხარეზე მთელი პოლკების გადასვლას (ჩეხები). საქმის ასეთ ვითარებაში ფინანსური კაპიტალის თვალსაზრისით არათუ «განსახორციელებელია», არამედ ხ ა ნ დ ა ხ ა ნ პირდაპირ ს ა რ ფ ი ა ნ ი ც არის ტრესტებისათვის, მ ა თ ი იმპერიალისტური პოლიტიკისათვის, მ ა თ ი იმპერიალისტური ომისათვის, ც ა ლ კ ე უ ლ მცირე ერებს მისცენ რაც შეიძლება მეტი დემოკრატიული თავისუფლება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც კი, რათა «თავისი» სამხედრო ოპერაციები ხიფათში არ ჩააგდონ. პოლიტიკურ და სტრატეგიულ თანაფარდობათა თავისებურების დავიწყება და უადგილო ადგილას, წარამარა, მხოლოდ გაზეპირებული სიტყვის: «იმპერიალიზმის» დაყენება, სრულიადაც არ არის მარქსიზმი.

პ. კიევსკი ნორვეგიის შესახებ გვაუწყებს, რომ, ჯერ-ერთი, იგი «ყოველთვის დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო». ეს არ არის მართალი, და ასეთი უმართებულობის ახსნა შეიძლება მხოლოდ ავტორის ბურშიკოზული დაუდევრობითა და უყურადღებობით პოლიტიკური საკითხებისადმი. 1905 წლამდე ნორვეგია ა რ ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო, იგი მხოლოდ უაღრესად ფართო ავტონომიით სარგებლობდა. ნორვეგიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შვეციამ იცნო მხოლოდ მას შ ე მ დ ე გ, რაც ნორვეგია მას გამოეყო. ნორვეგია რომ «ყოველთვის დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო», შვეციის მთავრობა ვეღარ შეატყობინებდა უცხო სახელმწიფოებს 1905 წ. 26 ოქტომბერს, რომ იგი ახლა ნორვეგიას დამოუკიდებელ ქვეყნად ცნობს.

მეორე, პ. კიევსკის მოჰყავს მთელი რიგი ამონაწერები, რათა დაამტკიცოს, რომ ნორვეგია იცქირებოდა დასავლეთისაკენ, ხოლო შვეცია აღმოსავლეთისაკენ, რომ ერთში «მუშაობდა» უმთავრესად ინგლისის, მეორეში — გერმანიის ფინანსური კაპიტალი და სხვ.. აქედან მას დიდი ამბით გამოჰყავს დასკვნა: «ეს მაგალითი» (ნორვეგიისა) «მთლიანად თავსდება ჩვენს სქემებშიო».

აი «იმპერიალისტური ეკონომიზმის» ლოგიკის ნიმუში! ჩვენს თეზისებში აღნიშნულია, რომ ფინანსურ კაპიტალს შეუძლია იბატონოს «ყოველგვარ», «თუნდაც დამოუკიდებელ ქვეყანაშიც», და რომ ამიტომ ყოველი მსჯელობა თვითგამორკვევის «განუხორციელებლობის» შესახებ ფინანსური კაპიტალის თვალსაზრისით — თავიდან ბოლომდე დომხალია. მოჰყავთ ცნობები, რომლებიც ადასტურებენ ჩვენს დებულებას ნორვეგიაში უცხო ფინანსური კაპიტალის როლის შესახებ გამოყოფამდეც და გამოყოფის შემდეგაც, — მოჰყავთ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ეს არღვევდეს ჩვენს დებულებას!!

ფინანსურ კაპიტალზე ლაპარაკი და ამის გამო პოლიტიკური საკითხების დავიწყება — განა პოლიტიკაზე მსჯელობას ნიშნავს?

არა. «ეკონომიზმის» ლოგიკური შეცდომების გამო პოლიტიკური საკითხები არ გამქრალა. ნორვეგიაში «მუშაობდა» ინგლისის ფინანსური კაპიტალი გამოყოფამდეც და მის შემდეგაც. პოლონეთში «მუშაობდა» გერმანიის ფინანსური კაპიტალი რუსეთისაგან მის გამოყოფამდე, და «იმუშავებს» პოლონეთის ყოველგვარი პოლიტიკური მდგომარეობის დროს. ეს ისეთი ანაბანაა, რომ უხერხულიც არის მისი განმეორება, მაგრამ რას იზამ, როდესაც ივიწყებენ ანაბანას?

ჰქრება თუ არა ამის გამო პოლიტიკური საკითხი ნორვეგიის ამა თუ იმ მდგომარეობის შესახებ? შვეციისადმი მისი კუთვნილების შესახებ? მუშათა მოქმედების შესახებ, როცა გამოყოფის საკითხი დაისვა?

პ. კიევსკიმ გვერდი აუხვია ამ საკითხებს, ვინაიდან ეს საკითხები მტკივნეულად ურტყამს «ეკონომისტებს». მაგრამ ცხოვრებაში ეს საკითხები იდგა — და ახლაც დგას. ცხოვრებაში იდგა საკითხი, შეიძლება თუ არა სოციალ-დემოკრატი იყოს ის შვეციელი მუშა, რომელიც არ აღიარებს ნორვეგიის გამოყოფის უფლებას? ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა.

შვეციელი არისტოკრატები მომხრენი იყვნენ ნორვეგიის წინააღმდეგ ომისა, აგრეთვე ხუცებიც. ეს ფაქტი არ გამქრალა იმის გამო, რომ პ. კიევსკის «დავიწყებია» წაეკითხა ამის შესახებ ნორვეგიელი ხალხის ისტორიაში. შვეციელ მუშას შეეძლო სოციალ-დემოკრატად დარჩენილიყო და ამავე დროს ნორვეგიელებისათვის ერჩია გამოყოფის წინააღმდეგ მიეცათ ხმა (გამოყოფის საკითხზე სახალხო კენჭისყრა ნორვეგიაში მოხდა 1905 წლის 13 აგვისტოს; გამოყოფის სასარგებლოდ ხმა მისცა 368 200 კაცმა, წინააღმდეგ — 184; ამასთან კენჭისყრაში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონეთა დაახლოებით 80%). მაგრამ ის შვეციელი მუშა, რომელიც, მსგავსად შვეციის არისტოკრატიისა და ბურჟუაზიისა, უარყოფდა ნორვეგიელთა იმ უფლებას, რომ მათ თვითონ, უშვეციელებოდ, უკანასკნელთა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად, გადაეწყვიტათ ეს საკითხი, ასეთი შვეციელი მუშა იქნებოდა ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ ი და ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ი ს რ ი გ ე ბ შ ი ა უ ტ ა ნ ე ლ ი ა რ ა მ ზ ა დ ა.

აი რაში მდგომარეობს ჩვენი პარტიული პროგრამის მე-9 პარაგრაფის გამოყენება, რომელზეც გ ა დ ა ხ ტ ო მ ა მოიწადინა ჩვენმა «იმპერიალისტურმა ეკონომისტმა». ვერ გადაახტებით, ბატონებო, ისე, რომ შოვინიზმს არ ჩაეკრათ გულში!

ხოლო ნორვეგიელი მუშა? ვალდებული იყო თუ არა იგი, ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით, ხმა მიეცა გ ა მ ო ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს? სრულიადაც არა! მას შეეძლო სოციალ-დემოკრატად დარჩენა და გამოყოფის წინააღმდეგ ხმის მიცემა. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის მოვალეობას დაარღვევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგურ ხელს

გაუწოდებდა ისეთ შავრაზმელ შვეიცელ მუშას, რომელიც ნორვეგიის გამოყოფის თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს წინააღმდეგ გაილაშქრებდა.

ნორვეგიელი და შვეიცელი მუშის მდგომარეობას შორის არსებული ამ ელემენტარული განსხვავების დანახვა არ სურთ ზოგიერთებს. მაგრამ ისინი თავისთავს ამხილებენ, როდესაც გ ვ ე რ დ ს უ ხ ვ ე ვ ე ნ უაღრესად კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხთაგან ამ ყველაზე კონკრეტულ საკითხს, რომელსაც ჩვენ პირისპირ ვუყენებთ მათ. დუმან, თავს იძვრენენ, და ამით თმობენ პოზიციას.

რათა დავამტკიცოთ, რომ «ნორვეგიის» საკითხი შეიძლება დადგეს რუსეთშიც, ჩვენ განგებ წამოვაყენეთ თეზისი: წ მ ი ნ დ ა სამხედრო და სტრატეგიული ხასიათის პირობებში სავსებით შესაძლებელია ა ხ ლ ა ც განხორციელდეს პოლონეთის ცალკე სახელმწიფო. პ. კიევსკის სურს «იკამათოს» — და დუმს!

დავსძენთ: ფინეთიც წ მ ი ნ დ ა სამხედრო და სტრატეგიული მოსაზრებებით, ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი იმპერიალისტური ომის განსაზღვრული შედეგების დროს (მაგალითად, თუ შვეცია გერმანელებს მიემხრო და მათ სანახევროდ გაიმარჯვეს), სავსებით შ ე ი ძ ლ ე ბ ა ცალკე სახელმწიფოდ იქცეს, ისე რომ ძირი არ გამოუთხაროს ფინანსური კაპიტალის არც ერთი ოპერაციის «განსახორციელებლობას», არ აქციოს «განუხორციელებლად» ფინეთის რკინიგზებისა და სხვა საწარმოთა აქციების შესყიდვა *.

---

* თუ თანამედროვე ომის ერთგვარი შედეგების დროს სავსებით «განსახორციელებელია» ევროპაში პოლონეთის, ფინეთისა და სხვ. ახალ სახელმწიფოთა შექმნა ისე, რომ ოდნავადაც არ დაირღვეს იმპერიალიზმის არც განვითარების პირობები, არც მისი ძალა, — პირიქით, კიდევაც გ ა ძ ლ ი ე რ დ ე ს ფინანსური კაპიტალის გავლენა, კავშირურთიერთობა და ზეიმოქმედება, — მაშინ, ომის სხვაგვარად დამთავრებისას ა ს ე ვ ე «განსახორციელებელია» უნგრეთის, ჩეხიისა და სხვ. ახალ სახელმწიფოთა შექმნა. ინგლისის იმპერიალისტები უკვე ახლავე ვარაუდობენ ამ მეორე

პ. კიევსკი თავს აძვრენს მისთვის არასასიამოვნო პოლიტიკის საკითხებს და ეფარება ჩინებულ ფრაზას, რომელიც ფრიად დამახასიათებელია მთელი მისი «მსჯელობისათვის»:... «ყოველ წუთს»... (სიტყვასიტყვით ასე წერია I თავის b პარაგრაფის ბოლოში)... «დამოკლეს მახვილი შეიძლება მოწყდეს და სიცოცხლე მოუსპოს «დამოუკიდებელ» სახელოსნოს» («გადაკვრით ნათქვამია» პატარა შვეციასა და ნორვეგიაზე).

აი, თურმე, ნამდვილი მარქსიზმი რა ყოფილა: სულ რაღაც 10 წელიწადია, რაც ნორვეგიის ცალკე სახელმწიფო არსებობს, რომლის შვეციისაგან გამოყოფას შ ვ ე ც ი ი ს მთავრობამ «რევოლუციური ღონისძიება» უწოდა. მაგრამ განა ღირს განვიხილოთ აქედან გამომდინარე პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი საკითხები, თუ ჩვენ ჰილფერდინგის «ფინანსური კაპიტალი» წავიკითხეთ და ის ისე «გავიგეთ», რომ «ყოველ წუთს» — რაკი მოვიქნევთ, მაგრად მაინც მოვიქნიოთ! — მცირე სახელმწიფო შეიძლება გაქრეს? ღირს განა ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ მარქსიზმი ჩვენ «ეკონომიზმად» გადავამახინჯეთ, ჩვენი პოლიტიკა კი ჭეშმარიტ რუს შოვინისტთა სიტყვების გადამღერებად ვაქციეთ?

როგორ სცდებოდნენ, ალბათ, რუსი მუშები 1905 წელს, როდესაც რესპუბლიკას მოითხოვდნენ: ფინანსური კაპიტალი ხომ უკვე მობილიზებული იყო მის წინააღმდეგ საფრანგეთშიც, ინგლისშიც და სხვ., და «ყოველ წუთს» შეეძლო «დამოკლეს მახვილით» მოეკვეთა იგი, კიდევაც რომ აღმოცენებულიყო!

შედეგს თავიანთი გამარჯვების შემთხვევაში. იმპერიალისტური ეპოქა არ სპობს არც ერების მისწრაფებებს პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი, არც ამ მისწრაფებათა «განსახორციელებლობას» მსოფლიო იმპერიალისტურ თანაფარდობათა ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი. ამ ფარგლებს ი ქ ი თ კი მთელი რიგი რევოლუციების გარეშე «განუხორციელებელია» და სოციალიზმის გარეშე მტკიცე ვერ იქნება ვერც რესპუბლიკა რუსეთში, ვერც საზოგადოდ ვერავითარი უაღრესად დიდი დემოკრატიული გარდაქმნა ვერსად მსოფლიოში. პ. კიევსკის სრულიად, სრულიად ვერ გაუგია იმპერიალიზმის დამოკიდებულება დემოკრატიისადმი.

* * *

«ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნა... უტოპიური არ არის მინიმალურ პროგრამაში: იგი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ განვითარებას, რამდენადაც მისი განხორციელება ვერ შეაჩერებდა ამ განვითარებას». მარტოვის ამ ციტატას პ. კიევსკი სადაოდ ხდის თავისი სტატიის სწორედ იმ პარაგრაფში, სადაც მას მოყავს «ამონაწერები» ნორვეგიის შესახებ, რომლებიც კიდევ და კიდევ ადასტურებენ იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ ნორვეგიის «თვითგამორკვევასა» და გამოყოფას არ შეუჩერებია არც განვითარება საზოგადოდ, არც კერძოდ ფინანსური კაპიტალის ოპერაციათა ზრდა, არც ინგლისელების მიერ ნორვეგიის შესყიდვა!

ჩვენ არა ერთხელ გვყოლია ისეთი ბოლშევიკები, მაგალითად, ალექსინსკი 1908—1910 წლებში, რომელნიც მარტოვს ეკამათებოდნენ სწორედ მაშინ, როდესაც მარტოვი მართალი იყო! ღმერთო გვიხსენ ასეთი «მოკავშირეებისაგან»!

5. «მონიზმისა და დუალიზმის» შესახებ

პ. კიევსკი გვისაყვედურებს «მოთხოვნის დუალისტურად განმარტებას» და წერს:

«ინტერნაციონალის მონისტურ მოქმედებას დუალისტური პროპაგანდა ცვლის».

ეს სავსებით მარქსისტულად, მატერიალისტურად გაისმის: მოქმედება, რომელიც ერთიანია, უპირისპირდება პროპაგანდას, რომელიც «დუალისტურია». სამწუხაროდ, თუ ახლოს დავაკვირდებით, უნდა ვთქვათ, რომ ეს ისეთივე სიტყვიერი «მონიზმია», როგორიც იყო დიურინგის «მონიზმი». «ფეხსაცმლის ჯაგრისი ძუძუმწოვართა ერთიან კატეგორიაში რომ ჩავრიცხოთ, — წერდა ენგელსი დიურინგის «მონიზმის» წინააღმდეგ, — ამით მას სარძეევე ჯირკვლები როდი გაუჩნდება» [20].

ეს ნიშნავს, რომ შეიძლება «ერთიანად» გამოვაცხადოთ მხოლოდ ისეთი საგნები, თვისებები, მოვლენები,

მოქმედებანი, რომლებიც ერთიანია ობიექტურ სინამდვილეში. სწორედ ეს «წვრილმანი» დავიწყებია ჩვენს ავტორს!

ჩვენს «დუალიზმს» ის ხედავს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ ჩაგრულ ერთა მუშებისაგან ჩვენ მოვითხოვთ, უწინარეს ყოვლისა, არა იმას, — ლაპარაკია მხოლოდ ეროვნულ საკითხზე, — რასაც მოვითხოვთ მჩაგვრელ ერთა მუშებისაგან.

რომ შევამოწმოთ, პ. კიევსკის «მონიზმი» აქ დიურინგისებური «მონიზმი» ხომ არ არის, უნდა ვნახოთ, როგორაა საქმე ობიექტურ სინამდვილეში.

ერთნაირია თუ არა მჩაგვრელ და ჩაგრულ ერთა მუშების ნამდვილი მდგომარეობა ეროვნული საკითხის თვალსაზრისით?

არა, არ არის ერთნაირი.

(1) ეკონომიურად განსხვავება ისაა, რომ მჩაგვრელი ქვეყნების მუშათა კლასის ნაწილი სარგებლობს იმ ზემოგების ნამცეცებით, რომელსაც ღებულობენ მჩაგვრელი ერების ბურჟუები, მუდამ ორმაგ ტყავს რომ აძრობენ ჩაგრული ერების მუშებს. გარდა ამისა, ეკონომიური მონაცემები გვიდასტურებენ, რომ მჩაგვრელი ერების მუშათა უფრო მეტი პროცენტი ხდება «ოსტატი», ვიდრე ჩაგრული ერების მუშებისა, — უფრო მეტი პროცენტი მაღლდება მუშათა კლასის არისტოკრატიის მდგომარეობამდე *. ეს ფაქტია. მჩაგვრელი ერის მუშები რამდენადმე მონაწილენი არიან თავისი ბურჟუაზიისა მის მიერ ჩაგრული ერის მუშების (და მოსახლეობის მასების) გაძარცვის საქმეში.

(2) პოლიტიკურად განსხვავება ისაა, რომ პოლიტიკური ცხოვრების მთელ რიგ დარგებში მჩაგვრელი ერების

* იხ., მაგალითად, გურვიჩის ინგლისური წიგნი იმიგრაციისა და მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ ამერიკაში. («Immigration and Labor») («იმიგრაცია და შრომა». რ ე დ.).

მუშებს ჩაგრული ერის მუშებთან შედარებით პ რ ი ვ ი ლ ე-
გ ი უ რ ი მდგომარეობა უჭირავთ.

(3) ი დ ე ო ლ ო გ ი ურ ად ანუ სულიერად განსხვავება ისაა, რომ მჩაგვრელი ერების მუშებს სკოლაც და ცხოვრებაც ყოველთვის ზრდის ჩაგრული ერების მუშებისადმი ზიზღის ან ქედმაღლობის სულისკვეთებით. მაგალითად, ყოველ ველიკოროსს, რომელიც ველიკოროსოს შორის აღზრდილა ან უცხოვრია, უეჭველად უ გ რ ძ ვ ნ ი ა ეს.

ამნაირად, ობიექტურ სინამდვილეში მ თ ე ლ ი ხ ა ზ ი თ განსხვავებაა, ე. ი. «დუალიზმია» ობიექტურ სამყაროში, რომელიც დამოუკიდებელია ცალკე პირთა ნებისყოფისა და შეგნებისაგან.

როგორღა უნდა შეეხედოთ ამის შემდეგ პ. კიევსკის სიტყვებს «ინტერნაციონალის მონისტური მოქმედების» შესახებ?

ეს — ცარიელი წკრიალა ფრაზაა, მეტი არაფერი.

ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რომ მოქმედება ინტერნაციონალისა, რომელიც ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში იმ მუშებისაგან შედგება, რომელნიც გ ა თ ი შ უ ლ ნ ი ა რ ი ან მჩაგვრელ ერთა და ჩაგრულ ერთა მუშებად, ე რ თ ი ა ნ ი ი ყ ო ს, ამისათვის აუცილებლად საჭიროა ა რ ა ე რ თ ნ ა ი რ ა დ ვაწარმოოთ პროპაგანდა ორსავე შემთხვევაში: აი როგორ უნდა ვმსჯელობდეთ ნამდვილი (და არა დიურინგისებური) «მონიზმის» თვალსაზრისით, მარქსის მატერიალიზმის თვალსაზრისით!

მაგალითი? მაგალითი ჩვენ უკვე მოვიყვანეთ (ლეგალურ პრესაში 2 წელზე მეტი ხნის წინათ!) — ნორვეგიის შესახებ, და არავინ ცდილა დაერღვია ჩვენი აზრი. ნორვეგიელი და შვეციელი მუშების მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ამ კონკრეტულ, ცხოვრებიდან აღებულ შემთხვევაში «მონისტური», ერთიანი, ინტერნაციონალისტური იყო **მხოლოდ** იმიტომ და იმდენად, რამდენადაც შვეციელი მუშები **უპირობოდ** იცავდნენ ნორვეგიის გამოყოფის თავისუფლებას, ხოლო ნორვეგიელები **პირობითად** აყენებდნენ ამ

გამოყოფის საკითხს. შვეიცელ მუშებს რომ უპირრბოდ მხარი არ დაეჭირათ ნორვეგიელების გამოყოფის თავისუფლებისათვის, ისინი შოვინისტები, იმ შვეიცელ მემამულეთა შოვინიზმის თანამონაწილენი იქნებოდნენ, რომელთაც სურდათ ნორვეგია ძალით, ომით «შეენარჩუნებინათ». ნორვეგიელ მუშებს გამოყოფის საკითხი რომ პირობითად არ დაეყენებინათ, ე. ი. ისე, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებსაც ჰქონოდათ უფლება გამოყოფის წინააღმდეგ ხმის მიცემისა და პროპაგანდისა, ნორვეგიელი მუშები ამით ინტერნაციონალისტების მოვალეობას დაარღვევდნენ და ვიწრო, ბურჟუაზიულ ნორვეგიულ ნაციონალიზმში ჩაეფლობოდნენ. რატომ? იმიტომ, რომ გამოყოფას აწარმოებდა ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი! იმიტომ, რომ ნორვეგიელი (როგორც ყოველი სხვა) ბურჟუაზია ყოველთვის ცდილობს გათიშოს თავისი და «უცხო» ქვეყნის მუშები! იმიტომ, რომ ყოველი დემოკრატიული მოთხოვნა (მათ შორის თვითგამორკვევაც) შეგნებული მუშებისათვის ექვემდებარება სოციალიზმის უმაღლეს ინტერესებს. მაგალითად, თუ შვეციისაგან ნორვეგიის გამოყოფა ნამდვილად ან ალბათ ინგლის — გერმანიის ომის მომამზადებელი იქნებოდა, ნორვეგიელი მუშები ამ მიზეზის გამო გამოყოფის წინააღმდეგნი უნდა ყოფილიყვნენ. ხოლო შვეციელი მუშები მიიღებდნენ უფლებას და შესაძლებლობას, დარჩებოდნენ რა სოციალისტებად, აგიტაცია გაეწიათ ასეთი ვითარების დროს გამოყოფის წინააღმდეგ **მხოლოდ** იმ შემთხვევაში, თუ ისინი სისტემატურად, თანამიმდევრობით, გამუდმებით იბრძოლებდნენ შვეციის მთავრობის წინააღმდეგ ნორვეგიის გამოყოფის თავისუფლებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ნორვეგიელი მუშები და ნორვეგიის ხალხი არ დაიჯერებდა და არც შეეძლო დაეჯერებინა შვეციელი მუშების რჩევის გულწრფელობა.

თვითგამორკვევის მოწინააღმდეგეთა მთელი უბედურება იქიდან წარმოდგება, რომ ისინი საკითხს თავიდან იშორებენ

მკვდარი აბსტრაქციებით, ე შ ი ნ ი ა თ ბოლომდე გაარჩიონ ცხოვრების სინამდვილიდან აღებული თუნდ ერთი კონკრეტული მაგალითი მაინც. ჩვენს კონკრეტულ მითითებას თეზისებში, რომ პოლონეთის ახალი სახელმწიფო სავსებით «განსახორციელებელია» ა ხ ლ ა, მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო, სტრატეგიული პირობების განსაზღვრული შეხამებისას *, არ გამოუწვევია წინააღმდეგობა არც პოლონელებისა და არც პ. კიევსკის მხრივ. მაგრამ იმაზე დ ა ფ ი ქ რ ე ბ ა, თუ რა გამომდინარეობს ჩვენი სიმართლის ამ ჩუმი აღიარებიდან, არავის არ მოუსურვებია. აქედან კი აშკარად გამომდინარეობს ის, რომ ინტერნაციონალისტების პროპაგანდა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა იყოს ერთნაირი რუსებს შორისაც და პოლონელებს შორისაც, თუ ამ პროპაგანდას მიზნად ექნება აღზარდოს ერთნიც და მეორენიც «ერთიანი მოქმედებისათვის». ველიკოროსი (და გერმანელი) მუშა ვალდებულია უეჭველად მომხრე იყოს პოლონეთის გამოყოფის თავისუფლებისა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ის ს ა ქ მ ი თ, ა ხ ლ ა — ნიკოლოზ II-ის ან ჰინდენბურგის ლაქია იქნება. პოლონელ მუშას შ ე ე ძ ლ ო ყ ო ფ ი ლ ი ყ ო გამოყოფის მომხრე **მხოლოდ** პირობითად, ვინაიდან ამა თუ იმ იმპერიალისტური ბურჟუაზიის გამარჯვებით სპეკულაციის გაწევა (როგორც ფრაკები სჩადიან) [21] მ ი ს ლაქიად გახდომას ნიშნავს. მიუხვედრელობა ამ განსხვავებისა, რომელიც ინტერნაციონალის «მონისტური მოქმედების» პირობაა, იმასა ჰგავს, რომ ვერ მიხვდეთ, თუ რატომ არის საჭირო, რომ, ვთქვათ, მოსკოვთან მდგარი მეფის არმიის წინააღმდეგ «მონისტური მოქმედებისათვის» რევოლუციური ჯარი ნიჟნინოვგოროდიდან დასავლეთისაკენ უნდა გაემართოს, ხოლო სმოლენსკიდან — აღმოსავლეთისაკენ.

* * *

მეორე მხრივ, დიურინგის მონიზმის ეს ახალი მომხრე გვისაყვედურებს, რომ ჩვენ არ ვზრუნავთ სოციალური გადა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 175. რ ე დ.

ტრიალების დროს «ინტერნაციონალის სხვადასხვა ეროვნული სექციის უმჭიდროესი ორგანიზაციული შეკავშირებისათვის».

სოციალიზმის დროს თვითგამორკვევა ქრება, — წერს პ. კიევსკი,—ვინაიდან მაშინ ქრება სახელმწიფო. ამას იგი წერს ვითომდა ჩვენს გასაბათილებლად! მაგრამ ჩვენს ს ა მ სტრიქონში — ჩვენი თეზისების პირველი პარაგრაფის უკანასკნელ სამ სტრიქონში—ნათქვამია ზუსტად და ნათლად, რომ «დემოკრატიაც აგრეთვე სახელმწიფოს ფორმაა, რომელიც უნდა გაქრეს, როდესაც გაქრება სახელმწიფო» *. სწორედ ამ ჭეშმარიტებას იმეორებს — რასაკვირველია, ჩვენს «გასაბათილებლად»! — პ. კიევსკი თავისი c პარაგრაფის (თავი I) რ ა მ დ ე ნ ი მ ე გ ვ ე რ დ ზ ე, ამასთან იმეორებს დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ი თ. «ჩვენ, — წერს იგი, — სოციალისტური წყობილება წარმოგვიდგენია და ყოველთვის გვქონდა წარმოდგენილი როგორც მეურნეობის მკაცრად დემოკრატიული (!!?) ცენტრალიზებული სისტემა, რომლის დროსაც სახელმწიფო, როგორც მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორეზე ბატონობის აპარატი, ჰქრება». ეს დომხალია, ვინაიდან დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ც «მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორეზე» ბატონობაა, ი ს ი ც სახელმწიფოა. თუ რას წარმოადგენს სახელმწიფოს კ ვ დ ო მ ა სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ და როგორია ამ პროცესის პირობები, ავტორი აშკარად ვერ მიმხვდარა.

მაგრამ მთავარი — ეს არის მისი «პასუხი», რომელიც სოციალური რევოლუციის ეპოქას ეხება. გვლანძღავს რა პირდაპირ საშინელი სიტყვებით — «თვითგამორკვევის თალმუდისტები» ხართო, ავტორი ამბობს: «ეს პროცესი (სოციალური გადატრიალება) ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც გაერთიანებული მოქმედება ყველა (!!) ქვეყნის პროლეტარებისა, რომელნიც არღვევენ ბურჟუაზიული (!!) სახელმწიფოს საზღვრებს, ანგრევენ სასაზღვრო მიჯნებს» («საზ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 174. რ ე დ.

ღვრების დანგრევის» დამოუკიდებლად?), «აფეთქებენ (!!) ეროვნულ ერთიანობას და ამყარებენ კლასობრივ ერთიანობას».

ნუ გაგვირისხდება «თალმუდისტების» სასტიკი მსაჯული, — აქ ფრაზა ბევრია, «აზრი» კი სრულიად არსადა ჩანს.

სოციალური გადატრიალება შეუძლებელია იყოს ყ ვ ე ლ ა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანებული მოქმედება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყნების უმეტესობა და დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა აქამდე ჯერ კიდევ განვითარების კაპიტალისტურ საფეხურზეც კი არ დგას ან მხოლოდ განვითარების კაპიტალისტური საფეხურის დასაწყისშია. ჩვენ ეს ვთქვით ჩვენი თეზისების მე-6 პარაგრაფში *, და პ. კიევსკის მხოლოდ უყურადღებობის თუ ჩაფიქრების უუნარობის გამო «ვერ შეუნიშნავს», რომ ეს პარაგრაფი ჩვენ ტყუილად კი არა, არამედ სწორედ მარქსიზმის კარიკატურულ დამახინჯებათა გასაბათილებლად გვაქვს წამოყენებული. სოციალიზმისათვის მომწიფებული არიან მ ხ ო ლ ო დ დასავლეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოწინავე ქვეყნები, და კაუცკისადმი მიმართულ ენგელსის წერილში («სბორნიკ სოციალ-დემოკრატა») [22] პ. კიევსკის შეუძლია ამოიკითხოს კონკრეტული ილუსტრაცია იმ — ნამდვილი და არა მხოლოდ დაპირებული — «ა ზ რ ი ს ა», რომ «ყ ვ ე ლ ა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანებულ მოქმედებაზე» ოცნებობა ნიშნავს სოციალიზმის გადადებას ბერძნულ კალენდამდე, ე. ი. «არასოდეს»-ამდე.

სოციალიზმს გაერთიანებული მოქმედებით განახორციელებენ პროლეტარები არა ყველა ქვეყნისა, არამედ იმ ქვეყნების უმცირესობისა, რომელთაც მ ო წ ი ნ ა ვ ე კაპიტალიზმის განვითარების საფეხურისათვის მიუღწევიათ. სწორედ ამის გაუგებლობამ გამოიწვია პ. კიევსკის შეცდომა. ა მ მოწინავე ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხვ.) ეროვნული საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია, ეროვ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 183 — 184. რ ე დ.

ნულმა ერთობამ დიდი ხანია უკვე დრო მოჭამა; «საერთო-ნაციონალური ამოცანები» **ობიექტურად** აღარ არსებობს. ამიტომ მხოლოდ ამ ქვეყნებშია შესაძლებელი ახლავე «ავაფეთქოთ» ეროვნული ერთობა, დავამყაროთ კლასობრივი ერთობა.

სხვანაირად არის საქმე განუვითარებელ ქვეყნებში, იმ ქვეყნებში, რომელნიც ჩვენ გამოვყავით (ჩვენი თეზისების მე-6 პარაგრაფში) მე-2 და მე-3 რუბრიკად, ე. ი. ევროპის მთელ აღმოსავლეთში და ყველა კოლონიასა და ნახევრად-კოლონიაში. აქ ჯერ კიდევ მოიპოვებიან, როგორც საერთო წესი, ჩაგრული და კაპიტალისტურად განუვითარებელი ერები. ამნაირ ერებში ობიექტურად ჯერ კიდევ არსებობს საერთო-ნაციონალური ამოცანები, სახელდობრ დემოკრატიული ამოცანები, უცხო-ეროვნული ჩაგვრის დამხობის ამოცანები.

სწორედ ამნაირ ერთა ნიმუშად ასახელებს ენგელსი ინდოეთს, როცა ამბობს: მან შეიძლება რევოლუცია მოახდინოს გამარჯვებული სოციალიზმის წინააღმდეგო, — ვინაიდან ენგელსი ძალიან შორს იყო იმ სასაცილო «იმპერიალისტური ეკონომიზმისაგან», რომელსაც ჰგონია, რომ მოწინავე ქვეყნებში გამარჯვებული პროლეტარიატი «თავისთავად», გარკვეულ დემოკრატიულ ღონისძიებათა გამოუყენებლად მოსპობს ეროვნულ ჩაგვრას ყველგან და ყველა ადგილას. გამარჯვებული პროლეტარიატი გარდაქმნის იმ ქვეყნებს, სადაც მან გაიმარჯვა. ამას იგი უცებ ვერ მოახდენს, და არც შეიძლება უცბად «გამარჯვება» ბურჟუაზიაზე. ჩვენ განგებ გავუსვით ხაზი ამას ჩვენს თეზისებში, და პ. კიევსკი აქაც ვერ მიმხვდარა, თუ რისთვის გავუსვით ხაზი ამას ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით.

ვიდრე მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატი ბურჟუაზიას ამხობს და მის კონტრრევოლუციურ ცდებს იგერიებს, — განუვითარებელი და ჩაგრული ერები როდი ელოდებიან, ისინი განაგრძობენ ცხოვრებას, არ ქრებიან. თუ კი ისინი სარგებლობენ აჯანყებებისათვის (კოლონიები, ირლანდია)

სოციალურ რევოლუციასთან შედარებით იმპერიალისტური ბურჟუაზიის ისეთი სულ პატარა კრიზისითაც კი, როგორიცაა 1915 — 1916 წლების ომი, ეჭვს გარეშეა, რომ მოწინავე ქვეყნებში სამოქალაქო ომით გამოწვეული დიდი კრიზისით ისინი მით უფრო ისარგებლებენ აჯანყებისათვის.

სოციალური რევოლუცია ვერ მოხდება სხვანაირად, თუ არა ეპოქის სახით, რომელიც შეაერთებს პროლეტარიატის სამოქალაქო ომს ბურჟუაზიის წინააღმდეგ მოწინავე ქვეყნებში და მთელ რიგ დემოკრატიულ და რევოლუციურ, მათ შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელ, მოძრაობებს განუვითარებელ, ჩამორჩენილსა და ჩაგრულ ერებში.

რატომ? იმიტომ, რომ კაპიტალიზმი არათანაბრად ვითარდება, და ობიექტური სინამდვილე გვიჩვენებს უაღრესად განვითარებული კაპიტალისტური ერების გვერდით მთელ რიგ ერებს, რომელნიც ძალიან სუსტად ან სრულიად არ არიან ეკონომიურად განვითარებულნი. პ. კიევსკი აბსოლუტურად არ ჩაფიქრებია სოციალური რევოლუციის ობიექტურ პირობებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიური მომწიფების თვალსაზრისით, და ამიტომ მისი საყვედური იმის შესახებ, თითქოს ჩვენ «ვიგონებდეთ», თუ სად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვითგამორკვევა, ჭეშმარიტად ეს არის «ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო».

დიდი გულმოდგინებით, რომელიც ღირსია უკეთესი გამოყენებისა, პ. კიევსკი მრავალჯერ იმეორებს მარქსისა და ენგელსის ციტატებს იმ თემაზე, რომ ამა თუ იმ სოციალური უბედურებისაგან კაცობრიობის დასახსნელად ჩვენ საშუალებანი «საკუთარი თავიდან კი არ უნდა გამოვიგონოთ, არამედ ჩვენი გონებით უნდა აღმოვაჩინოთ არსებულ მატერიალურ პირობებში». ამ გამეორებულ ციტატებს რომ ვკითხულობ, არ შემიძლია არ გავიხსენო ავად მოსაგონარი «ეკონომისტები», რომელნიც ასევე მოსაწყენად... ღეჭავდნენ თავიანთ «ახალ აღმოჩენას» რუსეთში კაპიტალიზმის გამარჯვების შესახებ. პ. კიევსკის სურს «გაგვაოცოს» ამ ციტატებით, ვინაიდან ჩვენ

ვითომ საკუთარი თავიდან ვიგონებთ იმპერიალისტურ ეპოქაში ერთა თვითგამორკვევის გამოყენების პირობებს! მაგრამ იმავე პ. კიევსკის ნაწერში ვკითხულობთ შემდეგ «წინდაუხედავ აღსარებას»:

«უკვე მარტოოდენ ის გარემოება, რომ სამშობლოს დაცვის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ნ ი ვართ (ხაზგასმა ავტორისაა), ცხადზე უცხადესად ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენ აქტიურ წინააღმდეგობას გავუწევთ ეროვნული აჯანყების ყოველგვარ დათრგუნვას, ვინაიდან ამით შევებრძოლებით ჩვენს მოსისხლე მტერს — იმპერიალიზმს» (თავი II, § c პ. კიევსკის სტატიისა).

შეუძლებელია რომელიმე ავტორი გააკრიტიკოთ, შეუძლებელია უ პ ა ს უ ხ ო თ მას ისე, თუ მთლად არ მოიყვანეთ მისი სტატიის უმთავრესი დებულებანი მაინც. მაგრამ როგორც კი მოვიყვანთ პ. კიევსკის თუნდაც ერთ დებულებას მთლიანად, ყოველთვის ირკვევა, რომ თვითეულ ფრაზაში მას აქვს 2 — 3 შეცდომა ან იჩენს ისეთ ჩაუკვირვებლობას, რომელიც მარქსიზმს ამახინჯებს!

1) პ. კიევსკიმ ვერ შეამჩნია, რომ ეროვნული ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ც «სამშობლოს დაცვაა»! ნამდვილად კი ოდნავი ჩაკვირვებაა საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს სწორედ ასეა, ვინაიდან ყ ო ვ ე ლ ი «აჯანყებული ერი» «იცავს» თავის თავს მჩაგვრელი ერისაგან, იცავს თავის ენას, თავის მხარეს, თავის სამშობლოს.

ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრა იწვევს ხალხის ფ ა რ თ ო მ ა ს ე ბ შ ი წინააღმდეგობას, ხოლო ეროვნულად ჩაგრული მოსახლეობის ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა — ეროვნული აჯანყებაა. თუ ჩვენ ხშირად ვხედავთ (განსაკუთრებით ავსტრიასა და რუსეთში), რომ ჩაგრულ ერთა ბურჟუაზია მ ხ ო ლ ო დ ლაყბობს ეროვნულ აჯანყებაზე, ნამდვილად კი რეაქციულ შეთანხმებას აწყობს მჩაგვრელი ერის ბურჟუაზიასთან თავისი ხალხის ზურგს უკან და მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ასეთ შემთხვევებში რევოლუციური მარქსისტების კრიტიკა მიმართული უნდა იყოს არა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, არამედ ამ მოძრაობის დაწვრილ-

მანების, გათახსირების და წვრილმან ჩხუბად დამახინჯების წინააღმდეგ. უნდა ითქვას, რომ ძალიან მრავალ ავსტრიელ და რუს სოციალ-დემოკრატს ავიწყდება ეს და ისინი თავიანთ კ ა ნ ო ნ ი ე რ სიძულვილს წვრილმანი, გათახსირებული, პაწაწკინტელა ეროვნული კინკლაობისადმი, როგორიცაა, მაგალითად, დავა და ჩხუბი იმის გამო, თუ რომელ ენაზე უნდა ეწეროს ქუჩის სახელი აბრაზე ზევით და რომელზე ქვევით, — თავიანთ კანონიერ სიძულვილს ამისადმი ეროვნული ბრძოლის მხარდაჭერის უარყოფად აქცევენ. ჩვენ არ «დავუჭერთ მხარს» რესპუბლიკობიას კომედიურ თამაშს რომელიმე მონაკოს სამთავროში, ან «გენერლების» «რესპუბლიკურ» ავანტიურებს სამხრეთ ამერიკის თუ წყნარი ოკეანის რომელიმე კუნძულის წვრილ სახელმწიფოებში; მაგრამ აქედან ის როდი გამომდინარეობს, რომ შესაწყნარებელი იყოს რესპუბლიკის ლოზუნგის დავიწყება სერიოზულ დემოკრატიულ და სოციალისტურ მოძრაობათათვის. ჩვენ სასაცილოდ ვიღებთ და უნდა ვიღებდეთ კიდეც ერების პაწაწინა ეროვნულ შუღლსა და ეროვნულ მეწვრილმანობას რუსეთსა და ავსტრიაში, მაგრამ აქედან ის როდი გამომდინარეობს, რომ შესაწყნარებელი იყოს მხარი არ დავუჭიროთ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ აჯანყებას ან ყოველგვარ სერიოზულ, საყოველთაო-სახალხო ბრძოლას.

2) თუ ეროვნული აჯანყებანი შეუძლებელია «იმპერიალისტურ ეპოქაში», პ. კიევსკის უფლება აღარ აქვს მათზე ილაპარაკოს. ხოლო თუ ისინი შესაძლებელია, მაშინ მთელი მისი დაუსრულებელი ფრაზები «მონიზმზე», იმაზე, რომ ჩვენ «ვიგონებთ» იმპერიალიზმის დროს თვითგამორკვევის მაგალითებს და სხვა მისთანებს, — ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ეს ნაცარტუტად იქცევა. პ. კიევსკი თავის თავს თვითონვე იმათრახებს.

თუ «ჩვენ» «აქტიურად ვეწინააღმდეგებით» «ეროვნული აჯანყების» «დათრგუნვას» — ეს არის «თვით» პ. კიევსკის მიერ აღებული შესაძლებელი შემთხვევა, — მაშინ რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა გამოდის ორმაგი, «დუალისტური», თუ ამ ფილოსოფიურ ტერმინს ისევე უადგილოდ ვიხმართ, როგორც მას უადგილოდ ხმარობს ჩვენი ავტორი. (ა) ჯერ-ერთი, ეს არის ეროვნულად ჩაგრული პროლეტარიატისა და გლეხობის «მოქმედება» ეროვნულად ჩაგრულ ბურჟუაზიასთან ე რ თ ა დ მჩაგვრელი ერის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ; (ბ) მეორე, ეს არის მჩაგვრელი ერის პროლეტარიატის ან ამ პროლეტარიატის შეგნებული ნაწილის «მოქმედება» მჩაგვრელი ერის ბურჟუაზიისა და ყველა იმ ელემენტის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომელნიც ბურჟუაზიას მიჰყვებიან.

«ეროვნული ბლოკის», ეროვნული «ილუზიების», ნაციონალიზმის «შხამის», «ეროვნული სიძულვილის გაღვივებისა» და სხვ. წინააღმდეგ დაუსრულებელი ფრაზები, რომლებიც პ. კიევსკიმ მრავლად წარმოთქვა, სულ არარაობა აღმოჩნდა, ვინაიდან, ურჩევს რა მჩაგვრელი ქვეყნების პროლეტარიატს (ნუ დაგვავიწყდება, რომ ავტორს ეს პროლეტარიატი სერიოზულ ძალად მიაჩნია) «აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს ეროვნული აჯანყების დათრგუნვას», ამით ავტორი **აღვივებს** ეროვნულ სიძულვილს, ავტორი ამით **მხარს უჭერს** ჩაგრული ქვეყნების მუშების «ბლოკს ბურჟუაზიასთან».

3) თუ იმპერიალიზმის დროს შესაძლებელია ეროვნული აჯანყებები, მაშინ შესაძლებელია ეროვნული ომებიც. არავითარი სერიოზული განსხვავება პოლიტიკურად პირველსა და მეორეს შორის არ არსებობს. ომების სამხედრო ისტორიკოსები სავსებით მართალნი არიან, როდესაც აჯანყებებსაც ომებად თვლიან. პ. კიევსკიმ, მოუფიქრებლად, გაამათრახა არა მარტო თავისი თავი, არამედ იუნიუსიც[23] და «ინტერნაციონალის» ჯგუფიც, რომლებიც უარყოფენ ეროვნული ომების შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს იმპერიალიზმის დროს. ხოლო ეს უარყოფა არის ერთადერთი წარმოსადგენი თეორიული დასაბუთება იმ შეხედულებისა, რომელიც იმპერიალიზმის დროს ერთა თვითგამორკვევას უარყოფს.

4) ვინაიდან — რა არის «ეროვნული» აჯანყება? ეს არის ისეთი აჯანყება, რომელიც მიისწრაფვის შეჰქმნას ჩაგრული

ერის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დამოუკიდებლობა, ე. ი. ც ა ლ კ ე ეროვნული სახელმწიფო.

თუ მჩაგვრელი ერის პროლეტარიატი სერიოზულ ძალას წარმოადგენს (როგორც ამას გულისხმობს და უნდა გულისხმობდეს კიდევაც ავტორი იმპერიალიზმის ეპოქისათვის), მაშინ ამ პროლეტარიატის გადაწყვეტილება «აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს ეროვნული აჯანყების დათრგუნვას» გ ა ნ ა ცალკე ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის **ხელის შეწყობა** ა რ ა რ ი ს? რა თქმა უნდა, არის!

ჩვენი მამაცი უარმყოფელი თვითგამორკვევის «განსახორციელებლობისა» იქამდე მივიდა, რომ ამბობს: მოწინავე ქვეყნების შეგნებულმა პროლეტარიატმა ხ ე ლ ი უნდა შ ე უ წ ყ ო ს ამ «განუხორციელებელი» ღონისძიების განხორციელებასო!

5) რ ა ტ ო მ უნდა «გავუწიოთ» «ჩვენ» «აქტიური წინააღმდეგობა» ეროვნული აჯანყების დათრგუნვას? პ. კიევსკის მოჰყავს მხოლოდ ერთი საბუთი: «იმიტომ, რომ ჩვენ ამით ბრძოლას ვაწარმოებთ ჩვენი მოსისხლე მტრის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ». ამ საბუთის მთელი ძ ა ლ ა გამოიხატება ერთი მ ა გ ა რ ი სიტყვით: «მოსისხლე», ისე როგორც ავტორს საზოგადოდ არგუმენტების ძალა შეუცვლია მაგარ-მაგარი და წკრიალა ფრაზების ძალით, «სოლის ჩასობით ბურჟუაზიის მთრთოლვარე სხეულში» და სტილის ამგვარი შელამაზებით ალექსინსკისებურად.

მაგრამ პ. კიევსკის ეს საბუთი ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს. იმპერიალიზმი ისეთივე «მოსისხლე» მტერია ჩვენი, როგორც კაპიტალიზმი. ეს ასეა. მაგრამ ვერც ერთი მარქსისტი ვერ დაივიწყებს, რომ კაპიტალიზმი პროგრესულია ფეოდალიზმის მიმართ, ხოლო იმპერიალიზმი პროგრესულია წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის მიმართ. მაშასადამე, ჩვენ უფლება რ ო დ ი გ ვ ა ქ ვ ს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ ბრძოლას დავუჭიროთ მხარი. ჩვენ მხარს ა რ დავუჭერთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ რეაქციული კლასების ბრძოლას, ა რ დავუჭერთ მხარს რეაქციული

კლასების აჯანყებებს იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მაშასადამე, თუ ავტორს აუცილებლად მიაჩნია დაეხმაროს ჩაგრულ ერთა აჯანყებას (აჯანყების დათრგუნვისადმი «აქტიური წინააღმდეგობა» აჯანყების დახმარებას ნიშნავს), ამით იგი აღიარებს ეროვნული აჯანყების პროგრესულობას, ამ აჯანყების წარმატების შემთხვევაში ცალკე და ახალი სახელმწიფოს შექმნის, ახალი საზღვრების დადგენისა და სხვ. პროგრესულობას.

ავტორს სრულებით ვერ გაურთმევია თავი ვერცერთი თავისი პოლიტიკური მსჯელობისათვის!

1916 წლის ირლანდიის აჯანყებამ, რომელიც «Vorbote»-ს * მე-2 ნომერში ჩვენი თეზისების გამოქვეყნების შემდეგ მოხდა, დაამტკიცა, — უადგილო არ იქნება ვთქვათ, — რომ ეროვნულ აჯანყებათა შესაძლებლობაზე ლაპარაკი ევროპაშიც კი უსაფუძვლო არ იყო!

6. დანარჩენი პოლიტიკური საკითხები, რომლებსაც შეეხო პ. კიევსკი და რომლებიც მან დაამახინჯა

ჩვენ განვაცხადეთ ჩვენს თეზისებში, რომ კოლონიების განთავისუფლება სხვა არა არის რა, თუ არ ერთა თვითგამორკვევა. ევროპელებს ხშირად ავიწყდებათ, რომ კოლონიური ხალხებიც აგრეთვე ერები არიან, მაგრამ ასეთი «გულმავიწყობის» მოთმენა შოვინიზმის მოთმენას ნიშნავს.

პ. კიევსკი «გვიპასუხებს»:

წმინდა ტიპის კოლონიებში «არ არსებობს პროლეტარიატი ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით» (c პარაგრაფის ბოლო, თავი II). «მაშ ვიღასთვის უნდა ვაყენებდეთ «თვითგამორკვევას»? კოლონიური ბურჟუაზიისათვის? ფელახებისათვის? გლეხებისათვის? რასაკვირველია, არა. კოლონიათა მიმართ სოციალისტებისათვის (ხაზ-

* — «წინასწარმაუწყებელი». რედ.

გასმა პ. კიევსკისაა) თვითგამორკვევის ლოზუნგის წამოყენება სისულელეა, ვინაიდან საზოგადოდ სისულელეა მუშათა პარტიის ლოზუნგების წამოყენება ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც მუშები არ არიან».

თუმცა საშინელია პ. კიევსკის რისხვა, როცა იგი ჩვენს თვალსაზრისს «სულელურს» უწოდებს, ჩვენ მაინც გავკადნიერდებით და მოკრძალებით შევნიშნავთ, რომ მისი საბუთები მცდარია. მხოლოდ სავალალოდ მოსაგონარ «ეკონომისტებს» ეგონათ, რომ «მუშათა პარტიის ლოზუნგების» წამოყენება მ ა რ ტ ო მუშებისათვის ხდება *. არა, ამ ლოზუნგების წამოყენება ხდება მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის, მთელი ხალხისათვის. ჩვენი პროგრამის დემოკრატიული ნაწილით — რომლის მნიშვნელობას «საზოგადოდ» არ ჩაჰკვირვებია პ. კიევსკი — ჩვენ მივმართავთ სპეციალურად მთელ ხალხს და ამიტომ პროგრამის ამ ნაწილში «ხალხზე» ვლაპარაკობთ **.

კოლონიურსა და ნახევრადკოლონიურ ხალხებს ჩვენ მიგაკუთვნეთ 1 000 მილიონი მოსახლეობა, და პ. კიევსკი არ ცდილა ჩვენი ეს უაღრესად კონკრეტული განცხადება გაებათილებინა. 1 000 მილიონი მოსახლეობიდან 700 მილიონზე მეტი (ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, ეგვიპტე) ეკუთვნის ისეთ ქვეყნებს, სადაც მუშები **არიან**. მაგრამ იმ კოლონიური ქვეყნებისათვისაც, სადაც მუშები არ არიან, სადაც მხოლოდ მონათმფლობელნი და მონები არიან და სხვ., არათუ სისულელე ა რ ა ა, არამედ ყოველი მარქსისტისათვის ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა «თვითგამორკვევის» წამოყენება. თუ ცოტას ჩაუკვირდება, პ. კიევსკი, ალბათ, მიხვდება ამას, როგორც მიხვდება იმასაც, რომ «თვითგამორკვევის» წამოყენება ყოველთვის

---

* პ. კიევსკის ვურჩევთ გადაიკითხოს ა. მარტინოვისა და კომპანიის 1899—1901 წლების ნაწერები. იქ ის ბევრ «თავის» არგუმენტს იპოვის.

** «ერთა თვითგამორკვევის» ზოგიერთი კურიოზული მოწინააღმდეგე გვედავება იმ საბუთით, რომ «ერები» დაყოფილი არიან კლასებად! ამ კარიკატურულ მარქსისტებს ჩვეულებრივად მიეუთითებთ, რომ ჩვენი პროგრამის დემოკრატიულ ნაწილში ლაპარაკია «ხალხის თვითმპყრობელობაზე».

ხდება ორი «ერისათვის»: ჩაგრულისა და მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს.

პ. კიევსკის მეორე «პასუხი»:

«ამიტომ ჩვენ კოლონიათა მიმართ ვკმაყოფილდებით უარყოფითი ლოზუნგით, ე. ი. იმ მოთხოვნით, რომელსაც სოციალისტები თავიანთ მთავრობებს უყენებენ — «მოცილდით კოლონიებს!». ეს მოთხოვნა, რომელიც ვერ ხორციელდება კაპიტალიზმის ფარგლებში, ამახვილებს ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ არ ეწინააღმდეგება განვითარებას, ვინაიდან სოციალისტურ საზოგადოებას კოლონიები არ ექნება».

პირდაპირ საოცარია ავტორის უუნარობა ან ჯიუტობა თუნდ ოდნავ მაინც ჩაუკვირდეს პოლიტიკური ლოზუნგების თეორიულ შინაარსს! ნუთუ საქმის ვითარებას შეცვლის ის, რომ ჩვენ თეორიულად ზუსტი პოლიტიკური ტერმინის მაგიერ სააგიტაციო ფრაზას ვიხმართ? თქმა — «მოცილდით კოლონიებს», ეს სწორედ თეორიული ანალიზის მაგიერ სააგიტაციო ფრაზის უკან ამოფარებას ნიშნავს! ჩვენი პარტიის ყოველ აგიტატორს, როდესაც ის უკრაინასა, პოლონეთსა, ფინეთსა და სხვებზე ლაპარაკობს, უფლება აქვს უთხრას ცარიზმს («თავის მთავრობას») — «მოცილდით ფინეთს და ა. შ.», მაგრამ გონიერი აგიტატორი მიხვდება, რომ შეუძლებელია უარყოფითი ან დადებითი ლოზუნგების წამოყენება მხოლოდ საკითხის «გამახვილებისათვის». მხოლოდ ალექსინსკის ტიპის ადამიანებს შეეძლოთ დაჟინებით ელაპარაკნათ, რომ «უარყოფითი» ლოზუნგი — «შორს შავ სათათბიროდან» შესაძლებელი იქნებოდა გაგვემართლებინა განსაზღვრული ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის «გამახვილებისადმი» მისწრაფებით.

ბრძოლის გამახვილება იმ სუბიექტივისტების ცარიელი ფრაზაა, რომელთაც ავიწყდებათ, რომ მარქსიზმი ყოველი ლოზუნგის გასამართლებლად მოითხოვს როგორც ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი სინამდვილის, ისე პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ვითარების, აგრეთვე ამ ლოზუნგის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მნიშვნელობის

ზუსტ ანალიზს. უხერხულია ამის ღეჭვა, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ამას გაიძულებენ?

თეორიულ საკითხზე თეორიული დისკუსიის შეწყვეტა სააგიტაციო წამოძახილებით — ალექსინსკის ამ მანერას ჩვენ კარგად გავეცანით, მაგრამ იგი ცუდი მანერაა. ლოზუნგის — «მოცილდით კოლონიებს» — პოლიტიკური და ეკონომიური შინაარსი ერთია და მხოლოდ ერთი: კოლონიური ერებისათვის გამოყოფის თავისუფლება, ცალკე სახელმწიფოს შექმნის თავისუფლება! თუ იმპერიალიზმის ზ ო გ ა დ ი კანონები, როგორც ამას ფიქრობს პ. კიევსკი, აფერხებს ერთა თვითგამორკვევას, უტოპიად, ილუზიად აქცევს მას და სხვა და სხვ., — როგორღა შეიძლება დაუფიქრებლად აცხადებდე ამ ზოგადი კანონებიდან გამონაკლისს მსოფლიოს ერთა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ა თ ვ ი ს? ცხადია, რომ პ. კიევსკის «თეორია» თეორიის კარიკატურაა.

სასაქონლო წარმოება და კაპიტალიზმი, ფინანსური კაპიტალის კავშირურთიერთობის ძაფები კოლონიური ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში არსებობს. როგორღა შეიძლება სახელმწიფოებს, იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობებს მოუწოდებდე «მოცილდით კოლონიებსო», თუ სასაქონლო წარმოების, კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ეს «არამეცნიერული», თ ვ ი თ ლენჩისა, კუნოვისა და სხვ. მიერ «უარყოფილი», «უტოპიური» მოთხოვნაა?

ა ზ რ ი ს ნატამალიც კი არ მოიპოვება ავტორის მსჯელობებში!

იმაზე, რომ კოლონიების განთავისუფლება «განუხორციელებელია» მ ხ ო ლ ო დ იმ აზრით, რომ «განუხორციელებელია მთელი რიგი რევოლუციების გარეშე», ავტორი არ დაფიქრებულა. იმაზე, რომ იგი განსახორციელებელია ევროპაში სოციალისტურ რევოლუციასთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ, იგი არ დაფიქრებულა. იმაზე, რომ «სოციალისტურ საზოგადოებას არ ექნება» ა რ ა თ უ კოლონიები, არამედ არ ეყოლება ჩაგრული ერებიც ს ა ზ ო გ ა დ ო დ, იგი

არ დაფიქრებულა. იმაზე, რომ არც ეკონომიური, არც პოლიტიკური განსხვავება ჩვენ მიერ განსახილველად აღებულ საკითხში რუსეთის მხრით პოლონეთის ან თურქესტანის «მფლობელობას» შორის ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს, იგი არ დაფიქრებულა. იმაზე, რომ «სოციალისტურ საზოგადოებას» სურს «მოცილდეს კოლონიებს» მ ხ ო ლ ო დ მათთვის თავისუფალი გამოყოფის უ ფ ლ ე ბ ი ს მინიჭების აზრით და **სრულიადაც** არა ი მ აზრით, რომ უ რ ჩ ი ო ს მ ა თ გ ა მ ო ყ ო ფ ა, იგი არ დაფიქრებულა.

იმის გამო, რომ ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავეთ გამოყოფის უფლების საკითხი და ის საკითხი, ვურჩევთ თუ არა ჩვენ ამ გამოყოფას, პ. კიევსკიმ გაგვლანძღა, «ჯამბაზები» გვიწოდა და, ეს მსჯელობა რომ «მეცნიერულად დაასაბუთოს» მუშების წინაშე, იგი წერს:

«რას იფიქრებს მუშა, როდესაც პროპაგანდისტს შეეკითხება, როგორ უნდა უყურებდეს პროლეტარი დამოუკიდებლობის საკითხს» (ე. ი. უკრაინის პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხს) და «როდესაც ის პასუხად მიიღებს: სოციალისტები მოითხოვენ გამოყოფის უფლებას და პროპაგანდას ეწევიან გამოყოფის წინააღმდეგ?»

მე ვფიქრობ, შემიძლია საკმაოდ ზუსტი პასუხი გავცე ამ კითხვაზე. სახელდობრ: მე მგონია, ყოველი გონიერი მუშა იმას ი ფ ი ქ რ ე ბ ს, რომ პ. კიევსკის ფ ი ქ რ ი ს უ ნ ა რ ი ა რ შ ე ს წ ე ვ ს.

ყოველი გონიერი მუშა «იფიქრებს»: ხომ იგივე პ. კიევსკი გვასწავლის ჩვენ, მუშებს, ვიყვიროთ: «მოცილდით კოლონიებსო». მაშასადამე, ჩვენ, ველიკოროსმა მუშებმა, ჩვენს მთავრობას უნდა მოვთხოვოთ, რომ მან დასტოვოს მონღოლეთი, თურქესტანი, სპარსეთი; ინგლისის მუშებმა უნდა მოითხოვონ, რომ ინგლისის მთავრობამ დასტოვოს ეგვიპტე, ინდოეთი, სპარსეთი და სხვ.. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩ ვ ე ნ, პროლეტარებს, გ ვ ს უ რ ს გამოვეყოთ ეგვიპტელ მუშებსა და ფელახებს, მონღოლეთის ან თურქესტანის ან ინდოეთის მუშებსა და გლეხებს? განა ეს იმას ნიშნავს, რომ

ჩ ვ ე ნ კოლონიების მშრომელთა მასებს ვურჩევდეთ «გამოეყონ» ევროპის შეგნებულ პროლეტარიატს? სრულიადაც არა. ჩვენ ყოველთვის მომხრენი ვიყავით, ვართ და ვიქნებით მოწინავე ქვეყნების შეგნებული მუშების უაღრესად მჭიდრო დაახლოებისა და შეერთებისა ყ ვ ე ლ ა ჩაგრული ქვეყნის მუშებსა, გლეხებსა და მონებთან. ჩვენ ყოველთვის ვურჩევდით და მომავალშიაც ყოველთვის ვურჩევთ ყველა ჩაგრული ქვეყნის, და მათ შორის კოლონიების, ყველა ჩაგრულ კლასს, კი ა რ გამოგვეყონ, არამედ რაც შეიძლება მჭიდროდ დაგვიახლოვდნენ და შეგვიერთდნენ.

თუ ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მთავრობებისაგან, რომ მათ დატოვონ კოლონიები — ე. ი. არა სააგიტაციო წამოძახილით, არამედ ზუსტი პოლიტიკური ტერმინით რომ ვთქვათ — რომ მათ მ ი ა ნ ი ჭ ო ნ კოლონიებს გამოყოფის სრული თ ა ვ ი ს-უ ფ ლ ე ბ ა, თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ი ს ნამდვილი უ ფ-ლ ე ბ ა, — თუ ჩვენ თვითონ უსათუოდ განვახორციელებთ ამ უფლებას, მივანიჭებთ ამ თავისუფლებას, როგორც კი ძალაუფლებას დავიპყრობთ, ჩვენ ამას მოვითხოვთ ახლანდელი მთავრობისაგან, და ჩვენ გ ა ნ ვ ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ თ ამას, როდესაც თვით ვიქნებით მთავრობა, ს რ უ ლ ი ა დ ა ც არა გამოყოფის «სარეკომენდაციოდ», არამედ, პირიქით: ერების დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი დაახლოებისა და შეერთების გასაადვილებლად და დასაჩქარებლად. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ დავუახლოვდეთ და შევუერთდეთ მონღოლებს, სპარსელებს, ინდოელებს, ეგვიპტელებს; ჩვენს მოვალეობად და ჩ ვ ე ნ ს ი ნ ტ ე რ ე ს ა დ მიგვაჩნია ეს გავაკეთოთ, ვინაიდან უამისოდ ევროპაში სოციალიზმი **მტკიცე ვერ** იქნება. ჩვენ შევეცდებით ამ ჩამორჩენილსა და ჩვენზე უფრო ჩაგრულ ხალხებს აღმოვუჩინოთ «უანგარო კულტურული დახმარება», როგორც ეს მშვენივრად თქვეს პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა, ე. ი. დავეხმაროთ მათ მანქანათა ხმარებაზე გადასვლაში, შრომის გაადვილებაში, დემოკრატიაზე, სოციალიზმზე გადასვლაში.

ჩვენ რომ მონღოლების, სპარსელების, ეგვიპტელებისა და გამოუკლებლივ ყველა ჩაგრული და არასრულუფლებიანი ერის გამოყოფის თავისუფლებას მოვითხოვთ, სრულიადაც არა იმიტომ, რომ ჩვენ მათი გამოყოფის მომხრენი ვართ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მომხრენი ვართ თავისუფალი, ნებაყოფლობითი, და არა ძალდატანებითი, დაახლოებისა და შეერთებისა. მხოლოდ ამიტომ!

და ამ მხრივ მონღოლეთის ან ეგვიპტის გლეხსა და მუშას და პოლონეთის ან ფინეთის გლეხსა და მუშას შორის ერთადერთ განსხვავებას იმაში ვხედავთ, რომ ეს უკანასკნელნი — მაღალგანვითარებულნი, პოლიტიკურად უფრო ნაცადნი არიან, ვიდრე ველიკოროსები, ისინი ეკონომიურად უფრო მომზადებულნი არიან და სხვ.; ამიტომ ისინი, ალბათ, ძალიან მალე დაარწმუნებენ თავიანთ ხალხებს, რომელთაც კანონიერად სძულთ ახლა ველიკოროსები, როგორც ჯალათის როლის შემსრულებელნი, რომ უგუნურებაა ამ სიძულვილის გადატანა სოციალისტ მუშებსა და სოციალისტურ რუსეთზე, რომ ეკონომიური ანგარიში, ისე როგორც ინტერნაციონალიზმისა და დემოკრატიზმის ინსტინქტი და შეგნება, მოითხოვს ყველა ერის რაც შეიძლება ჩქარა დაახლოებას და სოციალისტურ საზოგადოებაში შეერთებას. ვინაიდან პოლონელები და ფინელები მაღალკულტუროსანნი არიან, ისინი, ალბათ, ძალიან მალე დარწმუნდებიან ამ მოსაზრების სიმართლეში; ამიტომ პოლონეთისა და ფინეთის გამოყოფა სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მეტად მცირეოდენი ხნით. განუზომლად უფრო ნაკლებად კულტუროსანი ფელახები, მონღოლები, სპარსელები შეიძლება ბევრად უფრო მეტი ხნით გამოეყონ, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ეს ვადა, როგორც უკვე ვთქვით, შევამოკლოთ უანგარო კულტურული დახმარების მეოხებით.

არავითარი სხვა განსხვავება პოლონელთა და მონღოლთადმი ჩვენს დამოკიდებულებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. არავითარი «წინააღ-

მდეგობა» ერთა გამოყოფის თავისუფლების პროპაგანდასა და ამ თავისუფლების განხორციელების მტკიცე გადაწყვეტილებას შორის, როცა ჩ ვ ე ნ მთავრობა ვიქნებით, — და ერთა დაახლოებისა და შეერთების პროპაგანდას შორის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. — — —

— — — აი რას «იფიქრებს», ჩვენი რწმენით, პ. კიევსკისთან ჩვენს დავაზე ყოველი გონიერი მუშა, ნამდვილი სოციალისტი და ნამდვილი ინტერნაციონალისტი *.

პ. კიევსკის მთელ სტატიას წითელი ზოლივით გასდევს ძირითადი გაუგებრობა და ეჭვები: რისთვისაა საჭირო ვიქადაგოთ და — როდესაც ხელისუფლების სათავეში ვიქნებით — განვახორციელოთ ერთა გ ა მ ო ყ ო ფ ი ს თავისუფლება, თუ კი მთელი განვითარება ერთა შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა კ ე ნ მიდის? იმისთვის, — ვუპასუხებთ ჩვენ, — რისთვისაც ვქადაგებთ და, როდესაც ხელისუფლების სათავეში ვიქნებით, განვახორციელებთ პროლეტარიატის დიქტატურას, თუმცა მთელი განვითარება მიიმართება საზოგადოების ერთი ნაწილის მეორეზე

* როგორც ჩანს, ზოგიერთი გერმანელი და ჰოლანდიელი მარქსისტის წაბაძვით პ. კიევსკიმ მხოლოდ გ ა ი მ ე ო რ ა ლოზუნგი «მოცილდით კოლონიებს» და არ ჩაუფიქრდა არათუ ამ ლოზუნგის თეორიულ შინაარსსა და მნიშვნელობას, არამედ რუსეთის კონკრეტულ თავისებურებასაც. ჰოლანდიელ, გერმანელ მარქსისტს მიეტევება — განსაზღვრულ ფარგლებში — დაკმაყოფილდეს ლოზუნგით «მოცილდით კოლონიებს», ვინაიდან, ჯერ-ერთი, დ ა ს ა ვ ლ ე თ ევროპის ქვეყნების უმეტესობისათვის ერთა ჩაგვრის ტ ი პ ი უ რ შემთხვევას წარმოადგენს სწორედ კოლონიების ჩაგვრა, ხოლო, მეორე, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით აშკარა, ცხადი და ცხოველია «კოლონიის» ცნება.

რუსეთში კი? მისი თავისებურება სწორედ ისაა, რომ განსხვავება «ჩ ვ ე ნ ს» «კოლონიებსა» და «ჩვენს» ჩაგრულ ერებს შორის ბუნდოვანია, არაკონკრეტული და არაცხოველმყოფელი!

რამდენადაც მიეტევება რუსეთის ა მ თავისებურების დავიწყება, ვთქვათ, იმ მარქსისტს, რომელიც გერმანულად წერს, იმდენადვე არ მიეტევება ეს პ. კიევსკის. რუსი სოციალისტისათვის, რომელსაც სურს არა მარტო ი მ ე ო რ ო ს, არამედ ჩ ა უ ფ ი ქ რ დ ე ს კიდეც, ცხადი უნდა იყოს, რომ რუსეთის მიმართ განსაკუთრებით დიდი უაზრობაა იმის ცდა, რომ სერიოზული განსხვავება გაატაროს ჩაგრულ ერებსა და კოლონიებს შორის.

ძალმომრეობითი ბატონობის მოსპობისაკენ. დიქტატურა არის საზოგადოების ნაწილის ბატონობა მთელ საზოგადოებაზე, და ისიც ისეთი ბატონობა, რომელიც უშუალოდ ძალმომრეობას ეყრდნობა. დიქტატურა პროლეტარიატისა, როგორც ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასისა, აუცილებლად საჭიროა ბურჟუაზიის დასამხობად და მის კონტრრევოლუციურ გამოლაშქრებათა უკუსაგდებად. პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ შეუძლებელია სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად დარჩეს ის, ვინც უარყოფს ან მხოლოდ სიტყვიერად აღიარებს მას. მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, როგორც გამონაკლისი, მაგალითად, რომელიმე პატარა სახელმწიფოში მას შემდეგ, როდესაც მეზობელმა დიდმა სახელმწიფომ უკვე მოახდინა სოციალური რევოლუცია, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ბურჟუაზიის მიერ ძალაუფლების მშვიდობიანად დათმობა, თუ იგი დარწმუნდა წინააღმდეგობის უაზრობაში და არჩია საკუთარი თავის გადარჩენა. რასაკვირველია, ბევრად უფრო საფიქრებელია, რომ მცირე სახელმწიფოებშიც სოციალიზმი სამოქალაქო ომის გარეშე ვ ე რ განხორციელდება, და ამიტომ ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატიის ე რ თ ა დ ე რ თ ი პროგრამა უნდა იყოს ამნაირი ომის აღიარება, თუმცა ჩვენს იდეალში ადგილი არა აქვს ადამიანებზე ძალმომრეობას. იგივე ითქმის — **mutatis mutandis** (ს ა თ ა ნ ა დ ო ცვლილებებით) ერების შესახებ. ჩვენ მათი შეერთების მომხრენი ვართ, მაგრამ ძალმომრეობითი შეერთებიდან, ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ანექსიებიდან, შეუძლებელია გადასვლა ნებაყოფლობითს შეერთებაზე გამოყოფის თავისუფლების გარეშე. ჩვენ ვცნობთ — და სრულიად სამართლიანადაც, — რომ მთავარია ეკონომიური ფაქტორი, მაგრამ მისი გაგება à la * პ. კიევსკი — ეს ნიშნავს მარქსიზმის კარიკატურულად გაგებას, მის დამახინჯებას. ტრესტებიც, ბანკებიც კი თანამედროვე იმპერიალიზმის ხანაში, თუმცა თანაბრად აუცილებელნი არიან განვითარებული კაპიტალიზმის

* — მსგავსად. რ ე დ.

დროს, ერთნაირნი არ არიან თავისი კონკრეტული სახით სხვადასხვა ქვეყანაში. მით უფრო არ არის ერთნაირი, მიუხედავად ძირითადში მათი ერთგვარობისა, პოლიტიკური ფორმები მოწინავე იმპერიალისტურ ქვეყნებში, — ამერიკასა, ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში. ასეთივე მრავალფეროვანება იჩენს თავს იმ გზაზედაც, რომელსაც კაცობრიობა გაივლის ახლანდელი იმპერიალიზმიდან ხვალინდელი დღის სოციალისტური რევოლუციისაკენ. ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს, ეს აუცილებელია, მაგრამ ყველა განახორციელებს არა საკუთარი ერთნაირად; თვითეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში. თეორიულად იმაზე უფრო უბადრუკი და პრაქტიკულად იმაზე უფრო სასაცილო არა არის რა, როგორც ის, რომ «ისტორიული მატერიალიზმის გულისთვის» მომავალი ამ მხრივ ერთფეროვანი რუხი ფერით წარმოვიდგინოთ: ეს სუზდალური ჯღაბნა იქნებოდა და მეტი არაფერი. და თუნდაც სინამდვილემ ცხადყოს, რომ სოციალისტური პროლეტარიატის პირველ გამარჯვებამდე ამჟამად ჩაგრულ ერთაგან განთავისუფლდება და გამოიყოფა მხოლოდ 1/500, რომ დედამიწაზე სოციალისტური პროლეტარიატის უკანასკნელ გამარჯვებამდე (ე. ი. უკვე დაწყებული სოციალისტური რევოლუციის პერიპეტიათა დროს) გამოიყოფა, და ისიც ძალიან მოკლე ხნით, ჩაგრულ ერთა მხოლოდ 1/500, — ამ შემთხვევაშიც კი თეორიულადაც და პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც მართალნი ვიქნებოდით, როდესაც მუშებს უკვე ახლავე მივცემდით რჩევას თავიანთი სოციალ-დემოკრატიული პარტიების კარებზედაც კი არ გაეჭაჭანებინათ მჩაგვრელი ერების ის სოციალისტები, რომელნიც არ აღიარებენ და არ ქადაგებენ ყველა ჩაგრული ერის გამოყოფის თავისუფლებას. ვინაიდან დანამდვილებით ჩვენ არ ვიცით, და არც შეიძლება ვიცოდეთ, თუ რამდენ ჩაგრულ ერს დასჭირდება პრაქტიკაში გამოყოფა, რათა თავისი

წვლილი შეიტანოს დემოკრატიის ფ ო რ მ ა თ ა და სოციალიზმზე გადასვლის ფ ო რ მ ა თ ა მრავალფეროვანებაში. ხოლო გამოყოფის თავისუფლების უარყოფა რომ ახლა უსასრულო თეორიული სიყალბე და მჩაგვრელი ერების შოვინისტებისადმი პრაქტიკული მომსახურებაა, — ეს ჩვენ ვიცით, ვხედავთ და ყოველდღე ვგრძნობთ.

«ჩვენ ხაზს ვუსვამთ, — წერს ჩვენ მიერ მოყვანილი ადგილის შენიშვნაში პ. კიევსკი, — რომ სავსებით მხარს ვუჭერთ მოთხოვნას «ძალმომრეობითი ანექსიების წინააღმდეგ»»...

ჩვენს სავსებით გარკვეულ განცხადებაზე, რომ ასეთი «მოთხოვნა» თვითგამორკვევის აღიარებას ნიშნავს, რომ შეუძლებელია «ანექსიის» ცნების სწორად განმარტება, თუ არ მივიღებთ ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნას, ამ განცხადებაზე ავტორი კრინტსაც არა ძრავს! მას, ალბათ, ჰგონია, რომ დისკუსიისათვის საკმარისია დებულებათა და მოთხოვნათა წამოყენება და არა მათი დამტკიცება!

...«საზოგადოდ მთელ რიგ მოთხოვნებს, — განაგრძობს ის, — რომლებიც ამახვილებენ პროლეტარიატის შეგნებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენ სავსებით ვღებულობთ მათი უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ფორმულირებით; ამასთან, თუ არსებული წყობილების ნიადაგზე ვიდგომებით, ყოვლად შეუძლებელია სათანადო დ ა დ ე ბ ი თ ი ფორმულირებების შერჩევა. ომის წინააღმდეგ, მაგრამ არა დემოკრატიული ზავისათვის»...

ეს არ არის სწორი—პირველი სიტყვით დაწყებული უკანასკნელამდე. ავტორს წაუკითხავს ჩვენი რეზოლუცია «პაციფიზმი და ზავის ლოზუნგი» (ბროშურა «სოციალიზმი და ომი» *, გვ. 44 — 45) და, მგონი, კიდევაც იწონებდა მას, მაგრამ, აშკარაა, ვერ გაუგია იგი. ჩვენ მ ო მ ხ რ ე ნ ი ვართ დემოკრატიული ზავისა, მხოლოდ ვაფრთხილებთ მუშებს იმ სიცრუის შესახებ, თითქოს ასეთი ზავი შესაძლებელი იყოს ახლანდელი, ბურჟუაზიული, მთავრობების დროს «მთელი რიგი რევოლუციების გარეშე», როგორც ეს რეზოლუციაშია ნათქვამი. ჩვენ მუშების გაბრიყვებად გამოვაცხადეთ ზავის

* **იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 185 — 186, რ ე დ.**

«აბსტრაქტული» ქადაგება, ე. ი. ისეთი ქადაგება, რომელიც ანგარიშს ა რ უწევს მეომარი ქვეყნების ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მთავრობათა ნამდვილ კლასობრივ ბუნებას, უფრო კერძოდ: იმპერიალისტურ ბუნებას. გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» (№ 47) თეზისებში ჩვენ გარკვევით განვაცხადეთ, რომ ჩვენი პარტია, რევოლუციამ იგი ხელისუფლების სათავეში რომ დააყენოს ჯერ კიდევ ახლანდელი ომის დროს, დაუყოვნებლივ მისცემს ყველა მეომარ ქვეყანას დემოკრატიული ზავის წინადადებას *.

პ. კიევსკი კი, არწმუნებს რა თავის თავსა და სხვებს, რომ იგი «მხოლოდ» თვითგამორკვევის წინააღმდეგია და სრულიადაც არა დემოკრატიისა საზოგადოდ, იქამდე მივიდა, რომ ამბობს: ჩვენ «დემოკრატიული ზავის მომხრენი არა ვართო». განა ეს კურიოზი არ არის?

არაა საჭირო პ. კიევსკის თვითეულ დანარჩენ მაგალითზე შევჩერდეთ, ვინაიდან არ ღირს ადგილი დავკარგოთ ასეთივე გულუბრყვილო ლოგიკური შეცდომების უარსაყოფად, რომლებიც ყოველ მკითხველს მხოლოდ ღიმილს მოჰგვრის. სოციალ-დემოკრატიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს არც ერთი ისეთი «უარყოფითი» ლოზუნგი, რომელიც მიზნად ისახავდეს მხოლოდ «იმპერიალიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის შეგნების გამახვილებას» და იმავე დროს დადებით პასუხს არ იძლეოდეს იმაზე, თუ რ ო გ ო რ გადაწყვეტს სოციალ-დემოკრატია სათანადო საკითხს, როდესაც იგი თვითონ იქნება ხელისუფლების სათავეში. «უარყოფითი» ლოზუნგი, თუ იგი დაკავშირებული არაა გარკვეულ დადებით გადაწყვეტილებასთან, კი არ «ამახვილებს», არამედ აჩლუნგებს შეგნებას, ვინაიდან ასეთი ლოზუნგი არის ფშუტე, ცარიელი წამოძახილი, უშინაარსო დეკლამაცია.

განსხვავება ლოზუნგებს შორის, რომლებიც «უარყოფენ» ან გმობენ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს ა და ე კ ო ნ ო მ ი უ რ უბედურებას, გაუგებარი დარჩა პ. კიევსკისათვის. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული ეკონომიური

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 493. რ ე დ.

უბედურებანი მოსდგამს საზოგადოდ კაპიტალიზმს, მისი ყოველგვარი პოლიტიკური ზედნაშენის დროს, რომ ამ უბედურებათა მოსპობა, თუ არ მოსპეთ კაპიტალიზმი, ეკონომიურად შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა და ამგვარი მოსპობის არც ერთი მაგალითის დასახელება არ შეიძლება. პირიქით, პოლიტიკური უბედურებანი მდგომარეობენ დემოკრატიზმისაგან გადახვევაში; ეს დემოკრატიზმი ეკონომიურად სავსებით შესაძლებელია «არსებული წყობილების ნიადაგზე», ე. ი. კაპიტალიზმის დროს და გამონაკლისის სახით ხორციელდება მის დროს, ერთ სახელმწიფოში — მისი ერთი ნაწილით, მეორეში — მეორეთი. ავტორს კიდევ და კიდევ ვერ გაუგია სწორედ საზოგადოდ დემოკრატიის განსახორციელებლობის საერთო პირობები!

იგივე ითქმის განქორწინების საკითხის შესახებ. მოვაგონებთ მკითხველს, რომ ამ საკითხს ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი საკითხის გამო დისკუსიის დროს პირველად როზა ლუქსემბურგი შეეხო. მან გამოთქვა ის სამართლიანი აზრი, რომ, ვიცავთ რა ავტონომიას სახელმწიფოს (ოლქისა თუ მხარის და სხვ.) შიგნით, ჩვენ, როგორც სოციალ-დემოკრატმა ცენტრალისტებმა, უნდა დავიცვათ ის თვალსაზრისი, რომ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებს, რომელთა რიცხვსაც ეკუთვნის კანონმდებლობა გ ა ნ ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა ზ ე, წყვეტდეს საერთო-სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, საერთო-სახელმწიფოებრივი პარლამენტი. განქორწინების მაგალითი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია დემოკრატი და სოციალისტი იყოთ და ახლავე არ მოითხოვდეთ განქორწინების სრულ თავისუფლებას, ვინაიდან ასეთი თავისუფლების უქონლობა უაღრესი შევიწროებაა ჩაგრული სქესისა, ქალისა, — თუმცა ადვილი მისახვედრია, რომ ქმრების მიტოვების თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს აღიარება არ ნიშნავს ვ უ რ ჩ ი ო თ ყველა ცოლს მიატოვონ ქმრები!

პ. კიევსკი «გვიპასუხებს»:

«როგორი სახის იქნებოდა ეს უფლება» (განქორწინებისა), «ა მ შემთხვევებში» (როდესაც ცოლს ს უ რ ს ქმარი

მიატოვოს) «ცოლს რომ ა რ შეეძლოს მისი განხორციელება? ანდა ეს განხორციელება დამოკიდებული რომ იყოს მ ე ს ა-მ ე პირებზე, ან, რაც უფრო უარესია, ხსენებული ცოლის «შერთვის» პრეტენდენტების ნება-სურვილზე? განა დავიწყებდით ა მ ნ ა ი რ ი უფლების აღიარების მოთხოვნას? რასაკვირველია, არა!»

ეს პასუხი ცხადყოფს იმ ურთიერთობის სრულ გაუგებლობას, რომელიც არსებობს დემოკრატიასა ს ა ზ ო გ ა დ ო დ და კაპიტალიზმს შორის. კაპიტალიზმის დროს ჩვეულებრივი ამბავია, არა როგორც ცალკეული შემთხვევა, არამედ როგორც ტიპიური მოვლენა, ისეთი პირობები, როდესაც ჩაგრული კლასებისათვის შეუძლებელია მათი დემოკრატიული უფლებების «განხორციელება». განქორწინების უფლება უმეტეს შემთხვევაში განუხორციელებელი დარჩება კაპიტალიზმის დროს, ვინაიდან ჩაგრული სქესი დათრგუნვილია ეკონომიურად, ვინაიდან კაპიტალიზმის დროს, რანაირი დემოკრატიაც უნდა არსებობდეს, ქალი «შინაურ მხევლად» რჩება, მხევლად, რომელიც კარჩაკეტილია საწოლ ოთახში, საბავშვო ოთახში, სამზარეულოში. კაპიტალიზმის დროს «თავის» სახალხო მოსამართლეთა, მოხელეთა, მასწავლებელთა, წაფიც მსაჯულთა და სხვათა არჩევის უფლება უმეტეს შემთხვევაში აგრეთვე განუხორციელებელია სწორედ მუშათა და გლეხთა ეკონომიური დაჩაგრულობის გამო. იგივე ითქმის დემოკრატიულ რესპუბლიკაზეც: ჩვენი პროგრამა მას «აღიარებს» როგორც «ხალხის თვითმპყრობელობას», თუმცა ყველა სოციალ-დემოკრატმა ჩინებულად იცის, რომ კაპიტალიზმის დროს თვით ფრიად დემოკრატიულ რესპუბლიკას მოსდევს ბურჟუაზიის მიერ მხოლოდ მოხელეთა მოსყიდვა და ბირჟის კავშირი მთავრობასთან.

მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელთაც სრულიად არა აქვთ აზროვნების უნარი ან რომელნიც სრულიად არ იცნობენ მარქსიზმს, გამოჰყავთ აქედან დასკვნა: მაშასადამე, რესპუბლიკა არაფრადაა საჭირო, განქორწინების თავისუფლება არაფრადაა საჭირო, დემოკრატია არაფრადაა საჭირო,

ერთა თვითგამორკვევა არაფრადაა საჭირო! მარქსისტებმა კი იციან, რომ დემოკრატია ვ ე რ სპობს კლასობრივ ჩაგვრას, იგი მხოლოდ უფრო ხვეწს კლასობრივ ბრძოლას, აფართოებს, უფრო აშკარას ხდის, ამკვეთრებს მას; ჩვენც ეს გვინდა. რაც უფრო სრულია განქორწინების თავისუფლება, მით უფრო აშკარაა ქალისათვის, რომ მისი «შინაური მონობის» წყარო კაპიტალიზმია და არა უუფლებობა. რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფოებრივი წყობილება, მით უფრო ცხადია მუშებისათვის, რომ ბოროტების საფუძველი კაპიტალიზმია და არა უუფლებობა. რაც უფრო სრულია ეროვნული თანასწორუფლებიანობა (იგი სრული ვ ე რ იქნება გამოყოფის თავისუფლების გარეშე), მით უფრო ცხადია ჩაგრული ერის მუშებისათვის, რომ საქმე კაპიტალიზმშია და არა უუფლებობაში. და ასე შემდგომ.

კიდევ და კიდევ ვიტყვით: უხერხულია მარქსიზმის ანაბანის ღეჭვა, მაგრამ რას იზამთ, როდესაც პ. კიევსკიმ იგი არ იცის?

პ. კიევსკი განქორწინების შესახებ ისევე მსჯელობს, როგორც მსჯელობდა, — მახსოვს, პარიზის «გოლოსში» [24], — ოკ-ის [25] ერთ-ერთი საზღვარგარეთელი მდივანი, სემკოვსკი. მართალია, ამბობდა ის, განქორწინების თავისუფლება არ ნიშნავს ყველა ცოლს ურჩიოთ ქმრები მიატოვონ, მაგრამ თუ ცოლს უმტკიცეთ — ქალბატონო, თქვენს ქმარს ყველა სხვისი ქმარი სჯობიაო, იგივე გამოდის!!

ასეთი მსჯელობისას სემკოვსკის დაავიწყდა, რომ უცნაურობა სოციალისტისა და დემოკრატის ვალდებულებათა დარღვევა არ არის. სემკოვსკი რომ ჩააცივდეს რომელიმე ცოლს, ყველა ქმარი თქვენს ქმარს სჯობიაო, ამას მას არავინ ჩაუთვლიდა დემოკრატის ვალდებულებათა დარღვევად; სულ ბევრი-ბევრი, იტყოდნენ: არ შეიძლება დიდ პარტიაში დიდი უცნაურები არ იყვნენო! მაგრამ სემკოვსკიმ რომ მოინდომოს დაიცვას და დემოკრატი უწოდოს ისეთ ადამიანს, რომელიც განქორწინების თავისუფლებას უარყოფს, მაგალითად, თავისი ცოლის წინააღმდეგ, როცა ცოლი ეყრება,

მიმართავს სასამართლოს, პოლიციას ან ეკლესიას, — დარწმუნებული ვართ, სემკოვსკის კოლეგების უმრავლესობაც კი საზღვარგარეთულ სამდივნოში, თუმცა ისინი ვერაფერი შვილი სოციალისტები არიან, უარს იტყოდნენ სემკოვსკისთან სოლიდარობაზე!

როგორც სემკოვსკიმ, ისე პ. კიევსკიმ «ილაპარაკეს» განქორწინებაზე, გამოამეღავნეს საკითხის გაუგებლობა და საქმის დედაარსს გვერდი აუხვიეს: განქორწინების უფლება, როგორც გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა დემოკრატიული უფლება, კაპიტალიზმის დროს ძნელად განსახორციელებელია, პირობითია, შეზღუდულია, ფორმალურად შეიწროებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ უფლების უარმყოფლებს არც ერთი რიგიანი სოციალ-დემოკრატი არათუ სოციალისტებად, დემოკრატებადაც არ მიიჩნევს. და ამაშია მთელი დედაარსი. მ თ ე ლ ი «დემოკრატია» შედგება იმგვარ «უფლებათა» აღიარებისა და განხორციელებისაგან, რომელთა განხორციელება კაპიტალიზმის დროს ფრიად ნაკლებად და ფრიად პირობითადაა შესაძლებელი; ამგვარი აღიარების გარეშე კი, ამ უფლებათათვის დაუყოვნებლივი და გადაუდებელი ბრძოლის გარეშე, ასეთი ბრძოლის სულისკვეთებით მასების აღზრდის გარეშე სოციალიზმი შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა.

რაკი ამას ვერ მიხვდა, პ. კიევსკიმ თავის სტატიაში გვერდი აუხვია იმ მთავარ საკითხსაც, რომელიც მის სპეციალურ თემას ეკუთვნის, სახელდობრ საკითხს: რ ო გ ო რ მოვსპობთ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ ჩაგვრას? პ. კიევსკიმ ამას თავი დააღწია ფრაზებით იმის შესახებ, თუ როგორ «მორწყავენ სისხლით» ქვეყნიერებას და სხვ. (რაც საქმეს სრულიად არ ეხება). არსებითად კი დარჩა მხოლოდ ერთი რამ: სოციალისტური რევოლუცია ყველაფერს გადაწყვეტს! ან, როგორც ამბობენ ზოგჯერ პ. კიევსკის შეხედულებათა მომხრეები: კაპიტალიზმის დროს თვითგამორკვევა შეუძლებელია, სოციალიზმის დროს კი ზედმეტია.

ეს თეორიულად უაზრო, პრაქტიკულ-პოლიტიკურად შოვინისტური შეხედულებაა. ასეთი შეხედულება დემოკრატიის

მნიშვნელობის გაუგებლობაა. სოციალიზმი დემოკრატიის გარეშე შეუძლებელია ორი აზრით: (1) პროლეტარიატი ვერ შეძლებს სოციალისტური რევოლუციის მოხდენას, თუ იგი საამისოდ დემოკრატიისათვის ბრძოლით არ ემზადება; (2) გამარჯვებული სოციალიზმი ვერ შეინარჩუნებს თავის გამარჯვებას და ვერ მიიყვანს კაცობრიობას სახელმწიფოს კვდომამდე, თუ სრულად არ განახორციელა დემოკრატია. ამიტომ, როდესაც ამბობენ: თვითგამორკვევა სოციალიზმის დროს ზედმეტიაო, ეს ისეთივე უაზრობაა, ისეთივე უილაჯო დომხალია, როგორც ვინმემ რომ თქვას: დემოკრატია სოციალიზმის დროს ზედმეტი რამააო.

თვითგამორკვევა კაპიტალიზმის დროს ი მ ა ზ ე მ ე ტ ა დ შეუძლებელი ა რ ა ა და სოციალიზმის დროს ი მ დ ე ნ ა დ ვ ე ზედმეტია, როგორც დემოკრატია საზოგადოდ.

ეკონომიური გადატრიალება ქმნის აუცილებელ წანამძღვრებს ყ ო ვ ე ლ ი სახის პოლიტიკური ჩაგვრის მოსპობისათვის. სწორედ ამიტომაა ულოგიკობა, უმართებულობა თავის დაძვრენა ეკონომიურ გადატრიალებაზე მითითებით, როდესაც დასმულია საკითხი: რ ო გ ო რ მოვსპოთ ეროვნული ჩაგვრა? მისი მოსპობა შეუძლებელია ეკონომიური გადატრიალების მოუხდენლად. ეს უდავოა. მაგრამ ამით დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა სასაცილო და უმწეო იმპერიალისტურ «ეკონომიზმში» ჩავარდნას ნიშნავს.

უნდა გავატაროთ ეროვნული თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა; გამოვაცხადოთ, ჩამოვაყალიბოთ და განვახორციელოთ ყველა ერის თანაბარი «უფლებანი». ყ ვ ე ლ ა ამის თანახმაა, გარდა, შეიძლება, მარტო პ. კიევსკისა. მაგრამ სწორედ აქ დგება საკითხი, რომელსაც გვერდს უვლიან: საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უ ფ ლ ე ბ ი ს უარყოფა თანასწორუფლებიანობის უარყოფა ხომ არ არის?

რასაკვირველია, არის. და თანამიმდევარი, ე ს ე ი გ ი სოციალისტური დემოკრატია, აღიარებს, აყალიბებს და

განახორციელებს ამ უფლებას, ურომლისოდაც არ არსებობს გზა ერთა სრული ნებაყოფლობითი დაახლოებისა და შეერთებისაკენ.

7. დასკვნა. ალექსინსკის ფანდები

ჩვენ სრულიადაც არ გაგვიხილავს პ. კიევსკის ყველა მოსაზრება. ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს განხილვა — ეს ედრებოდა ხუთჯერ ამაზე უფრო დიდი სტატიის დაწერას, ვინაიდან მას არც ერთი სწორი მსჯელობა არა აქვს. ს წ ო რ ი ა მის სტატიაში — თუ ციფრებში შეცდომა არაა — მხოლოდ ერთი შენიშვნა, სადაც მოცემულია ციფრები ბანკების შესახებ. ყოველივე დანარჩენი—ეს რაღაც წარმოუდგენელი დომხალის გროვაა, მოკაზმული ამგვარი ფრაზებით: «სოლის ჩასობა მთრთოლვარე სხეულში», «გამარჯვებულ გმირებს ჩვენ არათუ გავასამართლებთ, არამედ მათ სიკვდილსა და გაქრობასაც მივუსჯით», «უსასტიკეს კონვულსიებში დაიბადება ახალი ქვეყნიერება», «სიგელებსა და უფლებებზე, ხალხთა თავისუფლების გამოცხადებაზე კი არ იქნება ლაპარაკი, არამედ ნამდვილად თავისუფალ ურთიერთობათა დამყარებაზე, საუკუნეობრივი მონობის დამხობაზე, საზოგადოდ სოციალური ჩაგვრისა და კერძოდ ეროვნული ჩაგვრის მოსპობაზე» და სხვ. და სხვ.

ეს ფრაზები ფარავენ და გამოხატავენ ორ «რამეს»: ჯერ-ერთი, მათ საფუძვლად უდევს «იდეა» ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ზ მ ი ს ა — მარქსიზმის ისეთივე მახინჯი კარიკატურისა, დემოკრატიისადმი სოციალიზმის დამოკიდებულების ისეთივე სრული გაუგებლობისა, როგორიც იყო 1894 — 1902 წლების სავალალოდ მოსაგონარი «ეკონომიზმი».

მეორე, ამ ფრაზებში ჩვენ აშკარად ვხედავთ ალექსინსკის ფანდების განმეორებას, რაზედაც იძულებული ვართ განსაკუთრებით შევჩერდეთ, რადგან პ. კიევსკის თავისი სტატიის მთელი ცალკე პარაგრაფი (თავი II, § e: «ებრაელთა განსა-

კუთრებული მდგომარეობა») მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ამნაირი ფანდებისაგან შეუდგენია.

ყოფილა შემთხვევა, როცა ჯერ კიდევ 1907 წლის ლონდონის ყრილობაზე ბოლშევიკები სცილდებოდნენ ალექსინსკის, როდესაც იგი, თეორიული საბუთების საპასუხოდ, აგიტატორის პოზას მიიღებდა და გაჰყვიროდა, სრულიად სხვა თემაზე, წკრიალა ფრაზებს ექსპლოატაციისა და ჩაგვრის რომელიმე სახის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში ჩვენი დელეგატები იტყოდნენ ხოლმე: «აბა, დაიწყო ახლა ჭყვირილიო». და ამ «ჭყვირილმა», სიკეთე არ მოუტანა ალექსინსკის.

სრულიად ასეთსავე «ჭყვირილს» ვამჩნევთ პ. კიევსკის. რაკი მან არ იცის, როგორ უპასუხოს თეზისებში წამოყენებულ მთელ რიგ თეორიულ საკითხებსა და მოსაზრებებს, ამიტომ იგი აგიტატორის პოზას იღებს და იწყებს ფრაზების წამოძახებას ებრაელთა ჩაგვრის გამო, თუმცა ყველა ადამიანისათვის, ვისაც კი ფიქრის რაიმე უნარი შესწევს, ცხადია, რომ თემასთან ოდნავი დამოკიდებულება არც ებრაელთა საკითხს საზოგადოდ, არც პ. კიევსკის არც ერთ «წამოძახილს» აბსოლუტურად არა აქვს.

ალექსინსკის ფანდები სიკეთეს არას მოიტანს.

დაწერილია 1916 წ.
აგვისტო —ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ჟურნალ «ზვეზდაში» № № 1 და 2
ხელმოწერა: ვ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
მანქანით გადაღებულ და
ლენინის მიერ
გასწორებულ ასლთან

პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა [26]

ჰოლანდიაში, სკანდინავიაში, შვეიცარიაში იმ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების წრიდან, რომელნიც ებრძვიან სოციალ-შოვინისტების სიცრუეს «სამშობლოს დაცვის» შესახებ ახლანდელ იმპერიალისტურ ომში, გაისმის ხმები იმის სასარგებლოდ, რომ სოციალ-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის ძველი პუნქტი: «მილიცია» ანუ «ხალხის შეიარაღება» შეიცვალოს ახლით: «განიარაღება». «Jugend-Internationale»-მ * ამ საკითხზე დისკუსია გამოაცხადა და მე-3 ნომერში მოათავსა სარედაქციო სტატია განიარაღების სასარგებლოდ. რ. გრიმის [27] უახლეს თეზისებში, სამწუხაროდ, ჩვენ აგრეთვე ვხვდებით დათმობას «განიარაღების» იდეისადმი. ჟურნალებში «Neues Leben» [28] და «Vorbote» ** გამოცხადებულია დისკუსია.

ჩავუკვირდეთ განიარაღების დამცველთა პოზიციას.

I

ძირითადი საბუთი ის არის, რომ განიარაღების მოთხოვნა წარმოადგენს ყოველგვარი მილიტარიზმისა და ყოველგვარი ომის წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად ნათელ, უაღრესად გადამჭრელ, უაღრესად თანამიმდევრულ გამოხატულებას.

* — «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი». რ ე დ.

** — «წინასწარმაუწყებელი». რ ე დ.

მაგრამ სწორედ ამ ძირითად საბუთში მარხია განიარაღების მომხრეთა ძირითადი შეცდომა. სოციალისტები, თუ სოციალისტობას თავს არ დაანებებენ, ვერ იქნებიან ყოველგვარი ომის წინააღმდეგნი.

ჯერ-ერთი, სოციალისტები არასოდეს არ ყოფილან და არც არასოდეს იქნებიან რევოლუციური ომების წინააღმდეგნი. «დიდი» იმპერიალისტური სახელმწიფოების ბურჟუაზია მთლად რეაქციული გახდა, და ომი, რომელსაც ახლა ეს ბურჟუაზია აწარმოებს, ჩვენ მიგვაჩნია რეაქციულ, მონათმფლობელურ და დანაშაულებრივ ომად. მაგრამ როგორ უნდა ვუყურეთ ომს ამ ბურჟუაზიის წინააღმდეგ? მაგალითად, ამ ბურჟუაზიის მიერ დაჩაგრულ და მისგან დამოკიდებულ ან კოლონიურ ხალხთა ომს თავისი განთავისუფლებისათვის? «ინტერნაციონალის» ჯგუფის თეზისებში, მე-5 პარაგრაფში, ჩვენ ვკითხულობთ: «ამ აღვირახსნილი იმპერიალიზმის ერაში უკვე არავითარი ნაციონალური ომები შესაძლებელი აღარაა» — ცხადია, ეს არ არის სწორი.

XX საუკუნის, ამ «აღვირახსნილი იმპერიალიზმის» საუკუნის, ისტორია აღსავსეა კოლონიური ომებით. მაგრამ ის, რასაც ჩვენ, ევროპელები, მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობის იმპერიალისტური მჩაგვრელები, ჩვენთვის ჩვეული საზიზღარი ევროპული შოვინიზმით, «კოლონიურ ომებს» ვუწოდებთ, ხშირად ეს არის ამ ჩაგრულ ხალხთა ნაციონალური ომები ან ნაციონალური აჯანყებანი. იმპერიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი თვისება სწორედ ისაა, რომ იგი აჩქარებს კაპიტალიზმის განვითარებას უაღრესად ჩამორჩენილ ქვეყნებში და მით აფართოებს და ამწვავებს ბრძოლას ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს — ფაქტია. და აქედან აუცილებლივ გამომდინარეობს, რომ იმპერიალიზმმა არა იშვიათად უნდა წარმოშვას ნაციონალური ომები. იუნიუსი, რომელიც თავის ბროშურაში იცავს აღნიშნულ «თეზისებს», ამბობს, რომ იმპერიალისტურ ეპოქაში ყოველგვარი ნაციონალური ომი ერთ-ერთი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ იწვევს მეორე სახელ-

მწიფოს, პირველის მოქიშპე და ასევე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს ჩარევას, და, ამრიგად, ყოველი ნაციონალური ომი იმპერიალისტურ ომად იქცევაო. მაგრამ არც ეს საბუთია სწორი. ეს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. მრავალი კოლონიური ომი 1900 — 1914 წლებში ამ გზით არ წასულა. და პირდაპირ სასაცილო იქნებოდა, ჩვენ რომ გაგვეცხადებინა, რომ, მაგალითად, ახლანდელი ომის შემდეგ, თუ იგი მეომარი ქვეყნების უკიდურესი გამოფიტვით დამთავრდა, «არ შეიძლება» «არავითარი» ნაციონალური, პროგრესული, რევოლუციური ომები, ვთქვათ, ჩინეთის მხრივ ინდოეთთან, სპარსეთთან, სიამთან და სხვებთან კავშირში დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

იმპერიალიზმის დროს ნაციონალური ომების ყოველგვარი შესაძლებლობის უარყოფა თეორიულად სწორი არ არის, ისტორიულად აშკარად მცდარია, ხოლო პრაქტიკულად იგი ევროპულ შოვინიზმს უდრის: ჩვენ, ვინც ვეკუთვნით იმ ერებს, რომელნიც ასეულ მილიონ ადამიანებს ჩაგრავენ ევროპაში, აფრიკაში, აზიაში და სხვ., ჩვენ უნდა განვუცხადოთ ჩაგრულ ხალხებს, რომ მათი ომი «ჩვენი» ერების წინააღმდეგ «შეუძლებელია»!

მეორე. სამოქალაქო ომებიც — ომებია. ვინც კლასთა ბრძოლას აღიარებს, მას არ შეუძლია არ აღიაროს სამოქალაქო ომებიც, რომელნიც ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში წარმოადგენენ კლასობრივი ბრძოლის ბუნებრივ, განსაზღვრულ ვითარებაში აუცილებელ განგრძობას, განვითარებასა და გამწვავებას. ამას ადასტურებს ყველა დიდი რევოლუცია. სამოქალაქო ომების უარყოფა ან მათი დავიწყება — ეს იქნებოდა უკიდურეს ოპორტუნიზმში ჩავარდნა და სოციალისტური რევოლუციის უარყოფა.

მესამე, ერთ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმი ერთბაშად როდი გამორიცხავს საზოგადოდ ყველა ომს. პირიქით, იგი მათ გულისხმობს. კაპიტალიზმის განვითარება სხვადა-

სხვა ქვეყანაში უაღრესად უთანაბროდ ხდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს სასაქონლო წარმოების დროს. აქედან — გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს გაიმარჯვოს ყველა ქვეყანაში. იგი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები რამდენიმე ხნის განმავლობაში დარჩებიან ბურჟუაზიულ ან წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად. ამან უნდა გამოიწვიოს არა მარტო შეხლა-შემოხლა, არამედ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის პირდაპირი მისწრაფებაც — გაანადგუროს სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი პროლეტარიატი. ამ შემთხვევაში ომი ჩვენი მხრივ კანონიერი და სამართლიანი იქნებოდა. ეს იქნებოდა ომი სოციალიზმისათვის, ბურჟუაზიისაგან სხვა ხალხთა განთავისუფლებისათვის. ენგელსი სავსებით მართალი იყო, როცა თავის წერილში კაუცკისადმი 1882 წლის 12 სექტემბერს[29] პირდაპირ აღიარებდა უკვე გამარჯვებული სოციალიზმის მხრივ «თავდაცვითი ომების» შესაძლებლობას. მას მხედველობაში ჰქონდა სწორედ გამარჯვებული პროლეტარიატის თავდაცვა სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჩვენ დავამხობთ, საბოლოოდ დავამარცხებთ და მოვახდენთ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას მთელ მსოფლიოში, და არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ომები შეუძლებელი გახდება. მეცნიერული თვალსაზრისითაც სრულიად უმართებულო და სრულიად არარევოლუციური იქნება, თუ ჩვენ გვერდს ავუხვევთ ან მივჩქმალავთ სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანს: ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვას, რაც ყველაზე მეტად ძნელია, ყველაზე მეტად მოითხოვს ბრძოლას სოციალიზმზე გადასვლისას. «სოციალური» ხუცები და ოპორტუნისტები ყოველთვის მზად არიან იოცნებონ მომავალ მშვიდობიან სოციალიზმზე, მაგრამ ისინი სწორედ იმით განირჩევიან რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისაგან, რომ არ სურთ იფიქრონ და გულში გაივლონ რამე გააფთრებულ კლასობ-

რივ ბრძოლაზე და კლასობრივ ომებზე ამ მშვენიერი მომავლის განსახორციელებლად.

ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ სიტყვებით მოგვატყუონ. მაგალითად, ცნება «სამშობლოს დაცვა» ბევრს სძაგს, იმიტომ რომ აშკარა ოპორტუნისტები და კაუცკელები მით ფარავენ და ჩქმალავენ ბურჟუაზიის სიცრუეს ახლანდელ მტაცებლურ ომში. ეს ფაქტია. მაგრამ აქედან ის როდი გამომდინარეობს, რომ ჩვენ უნდა გადავეჩვიოთ ფიქრს პოლიტიკური ლოზუნგების მნიშვნელობაზე. «სამშობლოს დაცვის» აღიარება ახლანდელ ომში — ნიშნავს ჩათვალო ეს ომი «სამართლიან», პროლეტარიატის ინტერესების შესაფერის ომად, — და მეტი არაფერი და კიდევ არაფერი, რადგან შესევა არც ერთ ომში არ არის გამორიცხული. აშკარა სისულელე იქნებოდა «სამშობლოს დაცვის» უარყოფა ჩაგრულ ხალხთა მხრივ მათს ომში დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ანდა გამარჯვებული პროლეტარიატის მხრივ — მის ომში ბურჟუაზიული სახელმწიფოს რომელიმე გალიფეს წინააღმდეგ.

თეორიულად სრული შეცდომა იქნებოდა იმის დაკვიწყება, რომ ყოველი ომი წარმოადგენს მხოლოდ პოლიტიკის განგრძობას სხვა საშუალებებით; ახლანდელი იმპერიალისტური ომი წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა ორი ჯგუფის იმპერიალისტური პოლიტიკის განგრძობას, და ეს პოლიტიკა წარმოშობილია და საზრდოობს იმპერიალისტური ეპოქის ურთიერთობათა ერთობლიობით. მაგრამ ამავე ეპოქამ აუცილებლად უნდა წარმოშვას და ასაზრდოოს ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის პოლიტიკაც, და ამიტომ შესაძლებლობაც და აუცილებლობაც, ჯერ-ერთი, რევოლუციური ნაციონალური აჯანყებებისა და ომებისა, მეორე, პროლეტარიატის ომებისა და აჯანყებებისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მესამეც, რევოლუციური ომების ორივე სახის შეერთებისა და ა. შ.

II

ამას ემატება კიდევ შემდეგი ზოგადი მოსაზრება.

ჩაგრული კლასი, რომელიც არ მიისწრაფვის იმისაკენ, რომ ისწავლოს იარაღის ხმარება, ჰქონდეს იარაღი, ასეთი ჩაგრული კლასი მხოლოდ იმის ღირსი იქნებოდა, რომ მას ეპყრობოდნენ, როგორც მონებს. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია, თუ არ გადავიქცევით ბურჟუაზიულ პაციფისტებად ან ოპორტუნისტებად, დავივიწყოთ, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და რომ მისგან არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა გამოსავალი, გარდა კლასობრივი ბრძოლისა. ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში, — თუნდაც ის დამყარებული იყოს მონობაზე, ბატონყმობაზე ან, როგორც ეს ახლა არის, დაქირავებულ შრომაზე, — მჩაგვრელი კლასი შეიარაღებულია. არა მარტო ახლანდელი მუდმივი ჯარი, არამედ ახლანდელი მილიციაც — ყველაზე უფრო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიაც კი, მაგალითად, შვეიცარიაში — წარმოადგენს ბურჟუაზიის შეიარაღებას პროლეტარიატის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ეს ისეთი ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ განსაკუთრებით მასზე შეჩერება არა გვგონია საჭირო იყოს. საკმარისია გავიხსენოთ ჯარის გამოყენება გაფიცულთა წინააღმდეგ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ბურჟუაზიის შეიარაღება პროლეტარიატის წინააღმდეგ არის თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი, ძირითადი, უმნიშვნელოვანესი ფაქტი. და ასეთი ფაქტის წინაშე რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს წინადადებას აძლევენ, რომ მათ წამოაყენონ «განიარაღების» «მოთხოვნა»! ეს უდრის სრულიად ხელის აღებას კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე, რევოლუციის შესახებ ყოველგვარი აზრის უარყოფას. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: პროლეტარიატის შეიარაღება იმისათვის, რომ დავამარცხოთ, ექსპროპრიაცია ვუყოთ და იარაღი ავყაროთ ბურჟუაზიას. ეს არის რევოლუციური კლასის ერთადერთი შესაძლებელი ტაქტიკა, ტაქტიკა, გამომდინარე კაპიტალის-

ტური მილიტარიზმის მთელი ობიექტური განვითარებიდან, ნაკარნახევი ამ განვითარებით. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პროლეტარიატი ბურჟუაზიას იარაღს აჰყრის, მას შეუძლია, ისე, რომ არ უღალატოს თავის მსოფლიო-ისტორიულ ამოცანას, გადაყაროს დასამტვრევად საერთოდ ყოველგვარი იარაღი, და პროლეტარიატი, უეჭველია, ამას გააკეთებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ დაარასგზით არაუფრო ადრე.

თუ ახლანდელი ომი იწვევს რეაქციულ ქრისტიანულ სოციალისტებში, მტირალა წვრილ ბურჟუებში მხოლოდ ძრწოლასა და დაიკრთხობას, მხოლოდ ზიზღს იარაღის ყოველგვარი ხმარებისადმი, სისხლისადმი, სიკვდილისადმი და სხვ., მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ: კაპიტალისტური საზოგადოება იყო და ყოველთვის წარმოადგენს დაუსრულებელ საშინელებას. და თუ ახლა ამ საზოგადოებას ახლანდელი, ყველა ომზე უფრო რეაქციული ომი უმზადებს საშინელ დასასრულს, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს სასოწარკვეთილებას მივეცეთ. ხოლო არაფერს სხვას, თუ არ სახელდობრ სასოწარკვეთილების გამოხატულებას, არ წარმოადგენს, თავისი ობიექტური მნიშვნელობით, განიარაღების «მოთხოვნა» — უფრო სწორად რომ ვთქვათ: ოცნება განიარაღების შესახებ — იმ დროს, როცა ყველას თვალწინ თვით ბურჟუაზიის ძალებითვე მზადდება ერთადერთი კანონიერი და რევოლუციური ომი, სახელდობრ: სამოქალაქო ომი იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ვინც იტყვის, რომ ეს არის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორია, ჩვენ მას მოვაგონებთ ორ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს: ერთი მხრივ, ტრესტების და ქალთა საფაბრიკო მუშაობის როლს და, მეორე მხრივ, 1871 წლის კომუნას და 1905 წლის დეკემბრის აჯანყებას რუსეთში.

ბურჟუაზიის საქმეა — განავითაროს ტრესტები, შერეკოს ბავშვები და ქალები ფაბრიკებში, აწამოს ისინი იქ, გახრწნას, ჩააგდოს უკიდურეს გაჭირვებაში. ჩვენ არ «მოვითხოვთ»

ამგვარ განვითარებას, მას არ «ვუჭერთ მხარს», ჩვენ ვიბრძვით მის წინააღმდეგ. მაგრამ როგორ ვიბრძვით? ჩვენ ვიცით, რომ ტრესტები და ქალების საფაბრიკო მუშაობა პროგრესულია. ჩვენ არ გვინდა მივდიოდეთ უკან, ხელოსნობისაკენ, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმისაკენ, ქალთა შინაოჯახური მუშაობისაკენ. წინ ტრესტებისა და სხვ. გზით და მათზე უფრო წინ — სოციალიზმისაკენ!

ეს მსჯელობა შეიძლება მივუყენოთ, სათანადო ცვლილებებით, ხალხის ახლანდელ მილიტარიზაციასაც. დღეს იმპერიალისტური ბურჟუაზია ახდენს არა მხოლოდ მთელი ხალხის, არამედ ახალგაზრდობის მილიტარიზაციასაც. ხვალ ის, ალბათ, შეუდგება ქალთა მილიტარიზაციასაც. ჩვენ უნდა ვთქვათ ამის გამო: მით უკეთესი! უფრო ჩქარა წინ! რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უფრო მივუახლოვდებით შეიარაღებულ აჯანყებას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. როგორ შეუძლიათ სოციალ-დემოკრატებს თავი დააფრთხობინონ ახალგაზრდობის მილიტარიზაციით და სხვ., თუ ისინი არ ივიწყებენ კომუნის მაგალითს? ეს «ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორია» კი არ არის, ოცნება კი არ არის, არამედ ფაქტია. და ჭეშმარიტად მთლად ცუდად იქნებოდა საქმე, რომ სოციალ-დემოკრატებს, წინააღმდეგ ყველა ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტისა, დაეწყოთ ეჭვის შეტანა იმაში, რომ იმპერიალისტურმა ეპოქამ და იმპერიალისტურმა ომებმა აუცილებლად უნდა მიგვიყვანონ ასეთი ფაქტების განმეორებამდე.

კომუნის ერთი ბურჟუაზიული მეთვალყურე წერდა 1871 წლის მაისში ერთ ინგლისურ გაზეთში: «ფრანგი ერი მხოლოდ ქალებისაგან რომ შედგებოდეს, რა საშინელი ერი იქნებოდა იგი!». ქალები და 13 წლისა და მეტი ხნის ბავშვები კომუნის დროს მამაკაცების გვერდით იბრძოდნენ. სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს მომავალ ბრძოლებშიაც ბურჟუაზიის დასამხობად. პროლეტარი ქალები პასიურად არ დაუწყებენ ცქერას, თუ როგორ დახვრეტს კარგად შეიარაღებული ბურჟუაზია ცუდად შეიარაღებულ ან შეუიარაღებელ მუშებს. ისინი იარაღს ხელს მოჰკიდებენ ისე, როგორც 1871 წელს და

ახლანდელ დამფრთხალ ერთაგან — უფრო სწორად: ახლანდელი მუშათა მოძრაობიდან, რომელიც დეზორგანიზებულია უფრო ოპორტუნისტების მიერ, ვიდრე მთავრობების მიერ, — უეჭველად აღმოცენდება ადრე თუ გვიან, მაგრამ აბსოლუტურად უეჭველად, რევოლუციური პროლეტარიატის «საშინელ ერთა» ინტერნაციონალური კავშირი.

ახლა მილიტარიზაციით გამსჭვალულია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. იმპერიალიზმი არის დიდ სახელმწიფოთა გააფთრებული ბრძოლა მსოფლიოს დანაწილებისა და გადანაწილებისათვის, — ამიტომ მან აუცილებლად უნდა გამოიწვიოს შემდგომი მილიტარიზაცია ყველა ქვეყანაში, ნეიტრალურშიც და პატარებშიც. რას გააკეთებენ ამის წინააღმდეგ პროლეტარი ქალები?? მხოლოდ დაწყევლიან ყოველგვარ ომს და ყველაფერ სამხედროს, მხოლოდ განიარაღებას მოითხოვენ? იმ ჩაგრული კლასის ქალები, რომელიც მართლაც რევოლუციურია, არასოდეს არ შეურიგდებიან ამგვარ სამარცხვინო როლს. ისინი ეტყვიან თავიანთ შვილებს: «შენ მალე დიდი გაიზრდები. შენ მოგცემენ თოფს. მოჰკიდე მას ხელი და კარგად ისწავლე სამხედრო საქმე. ეს მეცნიერება აუცილებლად საჭიროა პროლეტარებისათვის — არა იმისთვის, რომ ესროლო შენს ძმებს, სხვა ქვეყნის მუშებს, როგორც ეს ხდება ახლანდელ ომში და როგორც გირჩევენ შენ მოიქცე სოციალიზმის მოღალატენი, — არამედ იმისათვის, რომ იბრძოლო შენი საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ ბოლო მოუღო ექსპლოატაციას, სიღატაკეს და ომებს არა კეთილი სურვილების გზით, არამედ ბურჟუაზიაზე გამარჯვებით და მისთვის იარაღის აყრით».

თუ უარს ვიტყვით ასეთი პროპაგანდის წარმოებაზე და სწორედ ასეთ პროპაგანდაზე ახლანდელ ომთან დაკავშირებით, მაშინ სჯობს სულ არ ვილაპარაკოთ დიდ-დიდი სიტყვები საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიაზე, სოციალისტურ რევოლუციაზე, ომის წინააღმდეგ ომზე.

III

განიარაღების მომხრენი გამოდიან პროგრამული მუხლის — «ხალხის შეიარაღების» წინააღმდეგ, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ მოთხოვნას თითქოს უფრო ადვილად მივყავართ ოპორტუნიზმისადმი დათმობისაკენ. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: განიარაღების დამოკიდებულება კლასობრივ ბრძოლასთან და სოციალურ რევოლუციასთან. ახლა განვიხილოთ საკითხი განიარაღების მოთხოვნის დამოკიდებულებისა ოპორტუნიზმთან. ამ მოთხოვნის მიუღებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი სახელდობრ ის არის, რომ ის და მისგან წარმოშობილი ილუზიები აუცილებლივ ასუსტებენ და აუძლურებენ ჩვენს ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს ბრძოლა — ინტერნაციონალის მთავარი მორიგი საკითხია. ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თუ იგი განუყრელად არ არის დაკავშირებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, ცარიელი ფრაზა ან მოტყუებაა. ციმერვალდისა და კინტალის [30] ერთ-ერთი მთავარი ნაკლი, III ინტერნაციონალის ამ ჩანასახთა შესაძლებელი ფიასკოს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ის არის, რომ ოპორტუნიზმთან ბრძოლის საკითხი არც კი იყო აშკარად დასმული. მით უმეტეს არ იყო ის გადაწყვეტილი იმ აზრით, რომ აუცილებელია ოპორტუნისტებთან კავშირის გაწყვეტა. ოპორტუნიზმმა გაიმარჯვა — დროებით — ევროპის მუშათა მოძრაობის შიგნით. ყველა უდიდეს ქვეყანაში შეიქმნა ოპორტუნიზმის ორი მთავარი ელფერი: პირველი — ბატონ პლეხანოვების, შეიდემანების, ლეგინების, ალბერტ ტომების და სამბების, ვანდერველდეების, ჰაინდმანების, ჰენდერსონებისა და სხვათა აშკარა, ცინიკური და ამიტომ უფრო ნაკლებ სახიფათო სოციალ-იმპერიალიზმი. მეორე — დაფარული, კაუცკური: კაუცკი — ჰააზე და «სოციალ-დემოკრატიული შრომის ჯგუფი» [31] გერმანიაში; ლონგე, პრესმანი, მაიერასი და სხვანი საფრანგეთში; რამსეი მაკდონალდი და «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» [32] სხვა ბელადები ინგლისში; მარტოვი,

ჩხეიძე და სხვანი რუსეთში; ტრევესი და სხვა ეგრეთწოდებული მემარცხენე რეფორმისტები იტალიაში.

აშკარა ოპორტუნიზმი აშკარად და პირდაპირ წინააღმდეგია რევოლუციისა და დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობათა და აფეთქებათა, პირდაპირ კავშირშია მთავრობებთან, რა რიგ სხვადასხვაგვარიც უნდა იყოს ამ კავშირის ფორმები, დაწყებული სამინისტროში მონაწილეობით და გათავებული სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობით (რუსეთში) [33]. ფარული ოპორტუნისტები, კაუცკელები, გაცილებით უფრო მავნებელი და საზიფათონი არიან მუშათა მოძრაობისათვის, იმიტომ რომ ისინი მალავენ პირველი ელფერის ოპორტუნისტებთან კავშირის დაცვას კეთილხმოვანი ვითომდა-«მარქსისტული» სიტყვებითა და პაციფისტური ლოზუნგებით. გაბატონებული ოპორტუნიზმის ამ ორივე ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გატარდეს პროლეტარული პოლიტიკის ყ ვ ე ლ ა ასპარეზზე: პარლამენტარიზმი, პროფესიული კავშირები, გაფიცვები, სამხედრო საქმე და სხვ.. მთავარი თავისებურება, რომელიც გაბატონებული ოპორტუნიზმის ო რ ი ვ ე ამ ფორმას განასხვავებს, ისაა, რომ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს თ ა ნ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ო მ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს კონკრეტული საკითხი და რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს სხვა კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი უპასუხოდ რჩება, იჩქმალება ან განიმარტება პოლიციური აკრძალვებისადმი ანგარიშის გაწევით. და ეს — მიუხედავად იმისა, რომ ომის წინ უთვალავჯერ იყო მითითებული არაოფიციალურად და ბაზელის მანიფესტში [34] ოფიციალურადაც სწორედ ა მ მომავალი ომის კავშირზე პროლეტარულ რევოლუციასთან. განიარაღების მოთხოვნის მთავარი ნაკლი კი სწორედ ისაა, რომ აქ გვერდს უვლიან რევოლუციის ყველა კონკრეტულ საკითხს. ან იქნებ განიარაღების მომხრენი მხარს უჭერენ უიარაღო რევოლუციის სრულიად ახალ სახეს?

შემდეგ. ჩვენ არასგზით წინააღმდეგნი არა ვართ რეფორმებისათვის ბრძოლისა. ჩვენ არ გვინდა უგულებელვყოთ ის

სამწუხარო შესაძლებლობა, რომ კაცობრიობა გადაიტანს — უარეს შემთხვევაში — კიდევ მეორე იმპერიალისტურ ომს, თუ ახლანდელი ომიდან რევოლუცია არ წარმოიშვა, მიუხედავად მასობრივი მღელვარებისა და მასობრივი უკმაყოფილების მრავალრიცხოვან აფეთქებათა და მიუხედავად ჩვენი ღონისძიებებისა. ჩვენ ვემხრობით რეფორმათა ისეთ პროგრამას, რომელიც ა გ რ ე თ ვ ე უნდა იქნეს მიმართული ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ოპორტუნისტები მხოლოდ მოხარულნი იქნებოდნენ, თუ კი მარტო მათ დავუთმობდით რეფორმებისათვის ბრძოლას, ხოლო ჩვენ თვითონ რაღაც «განიარაღების» ციურ სივრცეში გადავიკარგებოდით და თავს ვუშველიდით სამწუხარო სინამდვილიდან გაქცევით. «განიარაღება» სწორედ გაქცევაა საძაგელი სინამდვილიდან და სრულიადაც არა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამგვარ პროგრამაში ჩვენ დაახლოებით ასე ვიტყოდით: «ლოზუნგი და აღიარება სამშობლოს დაცვისა 1914 — 1916 წლების იმპერიალისტურ ომში, ეს არის მხოლოდ მუშათა მოძრაობის გარყვნა ბურჟუაზიული სიცრუით». ასეთი კონკრეტული პასუხი კონკრეტულ კითხვებზე თეორიულად უფრო სწორი, პროლეტარიატისათვის ბევრად უფრო სასარგებლო, ოპორტუნისტებისათვის უფრო აუტანელი იქნებოდა, ვიდრე განიარაღების მოთხოვნა და სამშობლოს «ყოველგვარი» დაცვის უარყოფა. და ჩვენც შეგვეძლო დაგვემატებინა: «ყველა დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის, იტალიის, იაპონიის, შეერთებული შტატების ბურჟუაზია იმდენად რეაქციული გახდა და იმდენად გამსჭვალულია მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფებით, რომ ყ ო ვ ე ლ ი ომი ა მ ქვეყნების ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს მხრივ შეიძლება იყოს მხოლოდ რეაქციული. პროლეტარიატი ყოველი ამგვარი ომის არათუ წინააღმდეგი უნდა იყოს, არამედ უნდა სურდეს ასეთ ომებში «თავისი» მთავრობის დამარცხება და გამოიყენოს იგი რევოლუციური აჯანყებისათვის, თუ არ მოხერხდება აჯანყება ომის დაბრკოლების მიზნით».

მილიციის საკითხის შესახებ ჩვენ უნდა გვეთქვა: ჩვენ ვემხრობით არა ბურჟუაზიულ მილიციას, არამედ მხოლოდ პროლეტარულს. ამიტომ «არც ერთი გროში და არც ერთი კაცი» არათუ მუდმივი ჯარისათვის, არამედ ბურჟუაზიული მილიციისთვისაც, ისეთ ქვეყნებშიაც კი, როგორიც არიან შეერთებული შტატები ან შვეიცარია, ნორვეგია და სხვანი. მით უმეტეს, რომ ჩვენ ვხედავთ ყველაზე უფრო თავისუფალ რესპუბლიკურ ქვეყნებში (მაგალითად, შვეიცარიაში) მილიციის სულ უფრო მეტად გაპრუსიულებას, განსაკუთრებით 1907 და 1911 წლებში, მის გარყვნას გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარის მობილიზაციისათვის. ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ: ოფიცერთა არჩევა ხალხის მიერ, ყოველგვარი სამხედრო იუსტიციის გაუქმება, საზღვარგარეთელი და მკვიდრი მუშების უფლებრივი გათანასწორება (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მუხლია იმ იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ეწევიან, შვეიცარიის მსგავსად, უცხოელ მუშათა სულ უფრო მეტი რიცხვის და სულ უფრო ურცხვ ექსპლოატაციას, სტოვებენ რა მათ უუფლებო მდგომარეობაში), შემდეგ: იმის უფლება, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ყოველმა, ვთქვათ, ასმა მცხოვრებმა შექმნას თავისუფალი კავშირები მთელი სამხედრო საქმის შესასწავლად, ინსტრუქტორთა თავისუფალი არჩევით, მათი შრომის ანაზღაურებით ხაზინის ხარჯზე და სხვ.. მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლია პროლეტარიატს შეისწავლოს სამხედრო საქმე მართლაც თ ა ვ ი ს თ ვ ი ს, და არა თავის მონათმფლობელთათვის, და ასეთ შესწავლას აუცილებლივ მოითხოვს პროლეტარიატის ინტერესები. რუსეთის რევოლუციამ ცხადყო, რომ ყოველი წარმატება, რევოლუციური მოძრაობის თუნდ ნაწილობრივი წარმატებაც კი, — მაგალითად, გარკვეული ქალაქის, გარკვეული საფაბრიკო დასახლებული ადგილის, არმიის გარკვეული ნაწილის დაპყრობა, — აუცილებლივ ა ი ძ უ ლ ე ბ ს გამარჯვებულ პროლეტარიატს განახორციელოს სწორედ ასეთი პროგრამა.

ბოლოს, ოპორტუნიზმთან ბრძოლა არ შეიძლება, თავისთავად ცხადია, მარტო პროგრამების საშუალებით, არამედ მხოლოდ მუდმივი თვალყურის დევნებით იმაზე, რომ ისინი ნამდვილად ტარდებოდეს ცხოვრებაში. გაკოტრებული II ინტერნაციონალის ყველაზე დიდი, საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ სიტყვა არ შეესაბამებოდა საქმეს, რომ ინერგებოდა თვალთმაქცობისა და უსინდისო რევოლუციური ფრაზის ჩვევა (იხ. კაუცკისა და კომპანიის ახლანდელი დამოკიდებულება ბაზელის მანიფესტისადმი). განიარაღება, როგორც სოციალური იდეა, — ე. ი. ისეთი იდეა, რომელსაც განსაზღვრული სოციალური ვითარება წარმოშობს და რომელსაც შეუძლია იმოქმედოს განსაზღვრულ სოციალურ წრეზე და პიროვნულ უცნაურობად არ რჩება, — ცხადია, წარმოშობილია იმ ცალკეულ პატარა სახელმწიფოთა ცხოვრების განსაკუთრებული, გამონაკლისის სახით «წყნარი» პირობებით, რომელნიც საკმაოდ დიდხანს იდგნენ განზე ომების სისხლიანი მსოფლიო გზიდან და რომელთაც იმედი აქვთ ასევე განზე დარჩნენ. ამაში დასარწმუნებლად საკმაოა ჩავუფიქრდეთ, მაგალითად, განიარაღების ნორვეგიელ მომხრეთა არგუმენტაციას: «აქაოდა, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ჯარიც პატარა გვყავს, ვერას გავაწყობთ დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგო» (და ამიტომ ასევე უძლურნი ვართ წინაღვუდგეთ ძალით ჩაბმას იმპერიალისტურ კავშირში დიდ სახელმწიფოთა ამა თუ იმ ჯგუფთანო)... «ჩვენ გვსურს დავრჩეთ მშვიდად ჩვენს მიყრუებულ კუთხეში და განვაგრძოთ მიყრუებული კუთხის პოლიტიკა, მოვითხოვოთ განიარაღება, სავალდებულო სამედიატორო სასამართლოები, მუდმივი («მუდმივი» — ალბათ, ბელგიისებურად?) ნეიტრალობაო და სხვ.».

წვრილ სახელმწიფოთა ის წვრილმანი მისწრაფება, რომ განზე დარჩნენ, წვრილბურჟუაზიული სურვილი — იყვნენ უფრო დაშორებით მსოფლიო ისტორიის დიდი ბრძოლებისაგან, გამოიყენონ თავიანთი შედარებით მონოპოლიური მდგომარეობა, რათა იმყოფებოდნენ დახავსებულ პასივობაში — აი ობიექტური საზოგადოებრივი ვითარება,

რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს განიარაღების იდეის განსაზღვრული წარმატება და განსაზღვრული გავრცელება ზოგიერთ პატარა სახელმწიფოში. რასაკვირველია, ეს მისწრაფება რეაქციულია და მთლიანად ილუზიებს ემყარება, ვინაიდან იმპერიალიზმი ასე თუ ისე ითრევს წვრილ სახელმწიფოებს მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკის ორომტრიალში.

შვეიცარიას, მაგალითად, მისი იმპერიალისტური ვითარება ობიექტურად უკარნახებს მუშათა მოძრაობის ორ ხაზს: ოპორტუნისტები ბურჟუაზიასთან კავშირში იმისაკენ მიისწრაფვიან, რომ შვეიცარიისგან შექმნან რესპუბლიკურ-დემოკრატიული მონოპოლიური კავშირი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ტურისტებისაგან მოგების მისაღებად და რომ ეს «წყნარი» მონოპოლიური მდგომარეობა გამოიყენონ რაც შეიძლება ხელსაყრელად და რამდენადაც მოსახერხებელია მშვიდად.

შვეიცარიის ნამდვილი სოციალ-დემოკრატები მიისწრაფვიან შვეიცარიის შედარებითი თავისუფლება და მისი «საერთაშორისო» მდგომარეობა გამოიყენონ იმისათვის, რომ დაეხმარონ ევროპის მუშათა პარტიების რევოლუციური ელემენტების მჭიდრო კავშირის გამარჯვებას. შვეიცარია, მადლობა ღმერთს, ლაპარაკობს არა «თავის დამოუკიდებელ» ენაზე, არამედ სამ მსოფლიო ენაზე, და სწორედ იმ ენებზე, რომლებზედაც ლაპარაკობენ მის მოსაზღვრე მეომარ ქვეყნებში.

შვეიცარიის პარტიის 20 000 წევრს ყოველკვირეულად რომ შემოჰქონდეს 2 სანტიმი «საგანგებო სამხედრო გადასახადის» სახით, ჩვენ მივიღებდით წელიწადში 20 000 ფრანკს; ეს საჭიროზე მეტია იმისათვის, რომ, წინააღმდეგ გენერალური შტაბების მიერ აკრძალვისა, პერიოდულად ვბეჭდოთ და გავავრცელოთ სამ ენაზე მეომარი ქვეყნების მუშათა და ჯარისკაცთა შორის ყველაფერი ის, რაც სიმართლეს შეიცავს მუშათა დაწყებული აღშფოთების შესახებ, სანგრებში მათი დაძმობილების შესახებ, მათ იმედებზე იარაღის რევოლუ-

ციური გამოყენების შესახებ მათივე «საკუთარი» ქვეყნების იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ და სხვ.

ყველაფერი ეს ახალი არ არის. სწორედ ამას აკეთებენ საუკეთესო გაზეთები, როგორიც არის «La Sentinelle», «Volksrecht», «Berner Tagwacht» [35], მაგრამ, სამწუხაროდ, არასაკმაოდ. მხოლოდ ამგვარი მოღვაწეობის გზით შეიძლება გახდეს ააროეს პარტეიტაგის [36] მშვენიერი დადგენილება რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალო მშვენიერი დადგენილება.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხი ასე დგას: შეესაბამება თუ არა განიარაღების მოთხოვნა რევოლუციურ მიმართულებას შვეიცარიის სოციალ-დემოკრატებს შორის? ცხადია, არა. ობიექტურად, «განიარაღება» არის წვრილი სახელმწიფოების ყველაზე უფრო ნაციონალური, სპეციფიკურად ნაციონალური პროგრამა და სრულიადაც არა ინტერნაციონალური პროგრამა ინტერნაციონალური რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა.

დაწერილია 1916 წლის სექტემბერში

პირველად დაიბეჭდა 1917 წ. სექტემბერსა და ოქტომბერს გაზეთში **«Jugend-Internationale»** №№ 9 და 10
ხელმოწერა: **N. Lenin**
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1929 წ. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XIX

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

სამ ფიჯვს შუა გზა აქვნათ

ბუნდის «ბიულეტენის»[37] 1-ლ ნომერში (სექტემბერი, 1916), ბუნდელის 1916 წლის 26 თებერვლის წერილში პეტერბურგიდან, ვკითხულობთ:

«თავდაცვის ფორმულის მიღების სიძნელე ჩვენთვის მრავალგზის დიდდება იმის გამო, რომ ყოველ შემთხვევაში ჩვენ ხომ მაინც არ შეგვიძლია მივჩქმალოთ პოლონეთის საკითხი, როგორც ამას ჯერჯერობით სჩადიან ჩვენი რუსი ამხანაგები» (არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ვაუბატონის «ამხანაგები» არიან პოტრესოვი და კომპანია). «და ის გარემოება, რომ ობორონცებსაც კი ჩვენს წრეში არ სურთ რუსეთის მიმართ გამოიყენონ ფორმულა — «უანექსიოდ», იმათ თვალში, ვისთვისაც ამჟამად თავდაცვა ფსიქოლოგიურად მიუღებელია, ძლიერ არგუმენტს წარმოადგენს თავდაცვის წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი ირონიით კითხულობენ: რაღას იცავთ თქვენო? პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეას კი აღიარებენ ზედაფენები». (გაუგებარია, რომელი ზედაფენები).

როდესაც ჩვენ 1915 წლის რეზოლუციაში განვაცხადეთ, რომ ბუნდში გერმანოფილური შოვინიზმი სჭარბობსო *, ბატონმა კოსოვსკიმ და კომპანიამ შესძლეს მხოლოდ ლანძღვით ეპასუხნათ. ახლა მათსავე ორგანოში მათივე პარტიული კოლეგა ადასტურებს ჩვენს განცხადებას! ვინაიდან, თუ კი

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 186 — 187. რ ე დ.

«ობორონეც» ბუნდელებს არა სურთ «რ უ ს ე თ ი ს მიმართ» (დაიხსომეთ, რომ გერმანიაზე კრინტიც არაა დაძრული!) გამოიყენონ ფორმულა — «უანექსიოდ», მაშინ რითლა განსხვავდება არსებითად ეს გერმანოფილური შოვინიზმისაგან?

ბუნდელებს რომ სურდეთ და შეეძლოთ ფიქრი, ისინი დაინახავდნენ, რომ ანექსიის საკითხში ისინი დაიბნენ. დაბნეულობიდან და დომხალიდან გამოსავალი ერთია: მიიღონ ჩვენი პროგრამა, რომელიც განმარტებულ იქნა ჯერ კიდევ 1913 წელს *. სახელდობრ: იმისათვის, რომ შეგნებულად და პატიოსნად ატარებდნენ ანექსიების უარყოფის პოლიტიკას. ჩაგრული ერების სოციალისტები და დემოკრატები მთელ თავიანთ პროპაგანდასა და აგიტაციაში არამზადებად უნდა აცხადებდნენ მჩაგვრელი ერების იმ სოციალისტებს (სულ-ერთია, ველიკოროსებს თუ გერმანელებს, პოლონელებს უკრაინელთა მიმართ და სხვ.), რომელნიც თანამიმდევრულად და უყოყმანოდ არ ემხრობიან იმ ერთა გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც ჩაგრავს (ან ძალდატანებით ინარჩუნებს) მ ა თ ი ს ა კ უ თ ა რ ი ე რ ი.

თუ ბუნდელები არ იღებენ და არ მიიღებენ ამ დასკვნას, ეს მ ხ ო ლ ო დ იმიტომ, რომ მათ არ სურთ წაეჩხუბონ პოტრესოვებს რუსეთში, ლეგინებს, ზიუდეკუმებს და თვით ლედებურებს (იგი ა რ ემხრობა ელზას-ლოტარინგიის გამოყოფის თავისუფლებას) გერმანიაში, პოლონეთის ნაციონალისტებს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოციალ-შოვინისტებს და ა. შ.

მიზეზი საპატიოა, რაღა თქმა უნდა!

დაწერილია 1916 წ.
სექტემბერ — ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 19, გვ. 645 — 653. რ ე დ.

მისალმება იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობას [38]

ამორფასო ამხანაგებო!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მივესალმები იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობას და ვუსურვებ წარმატებას მის მუშაობაში.

იტალიის სოციალისტურმა პარტიამ მეომარი ქვეყნების სოციალისტური პარტიებიდან პ ი რ ვ ე ლ მ ა მოახერხა იმის გაკეთება, რაც შეეძლო გაეკეთებინა და კიდევაც უნდა გაეკეთებინა ამ სახელმწიფოთა ყველა სოციალისტურ პარტიას, მათ რომ არ ეღალატნათ სოციალიზმისათვის და არ გადასულიყვნენ ბურჟუაზიის მხარეზე, სახელდობრ: მოეწვიათ თავისი ყრილობა, თათბირი ან კონფერენცია იქ, სადაც მათ ვერ მიწვდებოდა «მშობლიური» სამხედრო ცენზურა, სამხედრო ხელისუფლება, მოეწვიათ თავისუფალ ქვეყანაში, სადაც შეიძლება თავისუფლად იქნეს განხილული და გამოთქმული სოციალისტური დამოკიდებულება ომისადმი. ნება მომეცით იმედი გამოვთქვა, რომ იტალიის სოციალისტური პარტიის თავისუფალი — პატრიოტული ლაგამისაგან თავისუფალი — ყრილობა შეძლებს ისევე ბევრი და კიდევ უფრო მეტი გააკეთოს ევროპის თითქმის ყველა სოციალისტური პარტიის მხრივ სოციალიზმისადმი ღალატის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ვიდრე დღემდე გააკეთა იტალიის მთელმა სოციალისტურმა პარტიამ.

ჩვენი პარტიის წარმომადგენლები თქვენი პარტიის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობდნენ ციმერვალდსა და კინტალში. და ერთადერთი სერიოზული უთანხმოება, რომელიც ჩვენ ერთმანეთისაგან გვყოფდა, იყო უთანხმოება იმის შესახებ, რომ გარდუვალი და აუცილებელია გამოვეთიშოთ სოციალ-შოვინისტებს, ე. ი. სოციალისტებს სიტყვით და შოვინისტებს საქმით, სახელდობრ: ყველა იმათ, ვინც წარმოადგენს ან ამართლებს «სამშობლოს დაცვას» ახლანდელ იმპერიალისტურ ომში, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხარს უჭერს «თავის» მთავრობას და «თავის» ბურჟუაზიას ამ რეაქციულ, ყაჩაღურ ომში კოლონიების გაყოფისათვის და მსოფლიოზე ბატონობისათვის. სოციალ-შოვინისტებთან გათიშვას ჩვენ ისტორიულად გარდუვალად და აუცილებლად ვთვლით სოციალიზმის მოსაპოვებლად პროლეტარიატის გულწრფელი რევოლუციური ბრძოლისათვის, რომელიც არ სჯერდება სიტყვიერ პროტესტებს. თქვენი პარტიის წარმომადგენლები იმ თვალსაზრისზე იდგნენ, რომ შეიძლება ჯერ კიდევ ვიქონიოთ იმედი სოციალ-შოვინისტებზე (**«sciovinisti»**) პროლეტარიატის გამარჯვებისა მათთან გათიშვის მ ო უ ხ დ ე ნ ლ ი დ ო.

ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მოვლენათა განვითარება მსოფლიო სოციალიზმში სულ უფრო მეტად აცლის ნიადაგს ამ უთანხმოებას ჩვენს შორის.

ერთი მხრივ, მთელ მსოფლიოში, არა მარტო მეომარ ქვეყნებში, არამედ მთავარ ნეიტრალურ ქვეყნებშიც, მაგალითად, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ სულ უფრო და უფრო მეტად ითიშება მუშათა მოძრაობა «სამშობლოს დაცვის» მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად ახლანდელ იმპერიალისტურ ომში და შემდგომ იმპერიალისტურ ომებში, რომელნიც მზადდება და მწიფდება ყველა თანამედროვე ეგრეთწოდებული «დიდი» სახელმწიფოს მთელი პოლიტიკით.

მეორე მხრივ, ამას წინათ ჩვენ **«A v a n t i!»**-ში[39], სოციალისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში, განსაკუთ-

რებული კმაყოფილებით წავიკითხეთ სარედაქციო სტატია: «**La chiusura della conferenza socialista tedesca**» *. გერმანიის სოციალისტური პარტიის ეს კონფერენცია ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა მსოფლიო სოციალიზმში უკანასკნელი თვეების მანძილზე, რადგან იქ ერთმანეთს შეეჯახა არა მარტო გერმანული, არამედ აგრეთვე მ ს ო ფ ლ ი ო სოციალიზმის ს ა მ ი მთავარი მიმართულება. ჯერ-ერთი, მიმართულება აშკარა სოციალ-შოვინისტებისა, ისეოებისა, როგორიც არიან ლეგინი, დავიდი და კომპანია გერმანიაში, პლეხანოვი, პოტრესოვი, ჩხენკელი რუსეთში, რენოდელი და სამბა საფრანგეთში, ბისოლატი და მისი პარტია იტალიაში; მეორე — მიმართულება, რომელიც იზიარებს სოციალ-შოვინიზმის ძირითად იდეას, სახელდობრ, «სამშობლოს დაცვას» ახლანდელ ომში, და რომელსაც სურს შეარიგოს ეს იდეა ნამდვილ სოციალიზმსა და ინტერნაციონალიზმთან, ჰაზე — კაუცკის მიმართულება; და, მესამეც, მიმართულება ნამდვილად სოციალისტური და ინტერნაციონალისტური, «ინტერნაციონალის» და «გერმანიის ინტერნაციონალურ სოციალისტთა» ჯგუფებისა გერმანიაში [10].

აფასებდა რა ამ სამ მიმართულებას, «**A v a n t i!**» აღნიშნულ სტატიაში (№ 269, 27. IX. 1916) წერდა:

«...**il proletariato tedesco finirà indubbiamente per trionfare contro i Legien, gli Ebert ed i David, che anno preteso di compromettere la sua azione di classe nei tristi pattegiameni coi Bethmann-Hollweg e gli altri fautori della guerra. Di questo noi abbiamo la più schietta certezza**».

Noi abbiamo la medesima certezza.

«**Piuttosto** — განაგრძობს «**Avanti!**» — **la conferenza dei socialisti tedeschi ci lascia incerti circa l'atteggiamento prossimo di una parte della opposizione, quella che ebbe per esponente principale l'Haase**».

* — «გერმანელ სოციალისტთა კონფერენციის დახურვა». რ ე დ.

«Il gruppo «Internazionale» con Liebknecht, con Mehring, con Clara Zetkin, con Rosa Luxemburg — con tutti gli altri «sabotatori e traditori della patria» è perfettamente a posto».

...«Meno conseguente ci è parso Haase» *.

და «**Avanti!**» განმარტავს, რომ იგი ჰაზეზეა და მისი ჯგუფის, — რომელსაც ჩვენს პრესაში ჩვენ ვუწოდებთ მსოფლიო სოციალიზმის კაუცკურ მიმართულებას, — «არათანამიმდევრულობას» ხედავს იმაში,

რომ «essi non accettano le logiche e naturali conseguenze cui sono giunti Liebknecht e compagni» **.

ასე წერს «**Avanti!**».

ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით «**Avanti!**»-ს ამ განცხადებებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ცდება «**Vorwärts**»-ი [1], გერმანიის სოციალ-დემოკრატების ცენტრალური ორგანო და კაუცკური მიმართულების მთავარი ორგანო, როდესაც «**Avanti!**»-ს ამ სიტყვების გამო 1916 წლის 7 ოქტომბრის ნომერში წერს,

---

* — «გერმანიის პროლეტარიატი, უეჭველია, ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს ლეგინებსა, ებერტებსა და დავიდებზე, რომელნიც ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მისი კლასობრივი ბრძოლისათვის უბადრუკი გარიგებით ბეტმან-ჰოლვეგებთან და ომის სხვა მომხრეებთან. ამაში ჩვენ გულწრფელად დარწმუნებული ვართ».

ამაში ჩვენც აგრეთვე დარწმუნებული ვართ.

«მაგრამ მაინც, — განაგრძობს «**Avanti!**», — გერმანელ სოციალისტთა კონფერენცია არ გვაძლევს იმის რწმენას, თუ როგორი იქნება შემდგომი საქციელი ოპოზიციის იმ ნაწილისა, რომლის მთავარი წარმომადგენელია ჰაზე».

«ჯგუფი «ინტერნაციონალი» ლიბკნეხტთან, მერინგთან, კლარა ცეტკინთან, როზა ლუქსემბურგთან — «სამშობლოს» ყველა სხვა «მესაბოტაჟეებთან და მოღალატეებთან» — ერთად მტკიცედ რჩება თავის პოსტზე».

...«უფრო ნაკლებ თანამიმდევრული გვგონია ჩვენ ჰაზე». რ ე დ.

** — «ისინი არ იღებენ იმ ლოგიკურსა და ბუნებრივ დასკვნებს, რომლებამდისაც მივიდნენ ლიბკნეხტი და მისი ამხანაგები». რ ე დ.

«dass der «Avanti!» über die Parteiverhältnisse und Parteivorgänge in Deutschland nicht ganz zutreffend informiert ist»*.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ «Avanti!» ინფორმირებულია «ganz zutreffend» ** და რომ იგი შემთხვევითად როდი თვლის, რომ ჰააზეს ჯგუფი მართალი არ არის, ლიბკნეხტის ჯგუფი კი — მართალია. ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იტალიის სოციალისტურ პარტიას შეუძლია თვალსაჩინო ადგილი დაიკავოს საერთაშორისო სოციალიზმში ლიბკნეხტის პრინციპებისა და ტაქტიკის დაცვით.

ჩვენი პარტია განუზომლად უფრო ძნელ პირობებში იმყოფება, ვიდრე იტალიის პარტია. მთელი ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ჩახშობილია. მაგრამ ჩვენ ემიგრაციიდანაც შევძელით დავხმარებოდით ჩვენი ამხანაგების ბრძოლას რუსეთში. იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ეს ბრძოლა ომის წინააღმდეგ ჩვენი პარტიის მხრივ რუსეთში იყო ნამდვილად მოწინავე მუშებისა და მუშათა მასების ბრძოლა, წარმოადგენს ორი ფაქტი: ჯერ-ერთი, მუშათა დეპუტატები ჩვენი პარტიისა, არჩეულნი მუშებისაგან რუსეთის ყველაზე უფრო სამრეწველო გუბერნიებში, პეტროვსკი, შაგოვი, ბადაევი, სამოილოვი და მურანოვი, მეფის მთავრობამ გადაასახლა ციმბირში რევოლუციური პროპაგანდისათვის ომის წინააღმდეგ. მეორეც, მათი გადასახლებიდან დიდი ხნის შემდეგ, პეტერბურგის მოწინავე მუშებმა, რომელნიც ჩვენს პარტიას ეკუთვნიან, გადაჭრით უარყვეს მონაწილეობა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში.

1917 წლის იანვარში იკრიბება **Entente-Sozialisten**-ის [42] კონფერენცია. ჩვენ ერთხელ ვცადეთ მონაწილეობა მიგვეღო ამგვარ კონფერენციაში ლონდონში [43], მაგრამ ჩვენს წარმომადგენელს წაართვეს სიტყვა, როგორც კი მან გაბედა სიმართლის

---

* — «რომ «Avanti!» სავსებით სწორად არ არის ინფორმირებული პარტიის ცხოვრებისა და საქმეების შესახებ გერმანიაში». რედ.

** «სავსებით სწორად». რედ.

თქმა ევროპის სოციალისტთა ღალატის შესახებ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარ კონფერენციებზე ყოფნა შეშვენით მხოლოდ ბატონებს ბისოლატის, პლეხანოვს, სამბას და **tutti quanti** *. ამიტომ ჩვენ განზრახული გვაქვს არ დავესწროთ კონფერენციას და ევროპის მუშებს მივმართოთ წერილით, **რომელშიაც** გამოაშკარავებული იქნება ხალხის მოტყუება სოციალ-შოვინისტების მიერ.

ერთხელ კიდევ მივესალმები იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობას და გამოვთქვამ მისი მუშაობის წარმატების სურვილს.

დაწერილია 1916 წ.
ოქტომბრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«განიარაღების» ლოზუნგის შესახებ

მთელ რიგ, უმთავრესად პატარა და ახლანდელი ომის გარეშე მდგომ, ქვეყნებში, მაგალითად, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, გაისმის ხმები იმის სასარგებლოდ, რომ სოციალ-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის ძველი მუხლი: «მილიცია» ანუ «ხალხის შეიარაღება» შეიცვალოს ახლით: «განიარაღება». ახალგაზრდობის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანოს «**Jugend-Internationale**»-ს («ახალგაზრდობის ინტერნაციონალი») მე-3 ნომერში [illegible]ავსებულია სარედაქციო სტატია განიარაღების [illegible] რ. გრიმის იმ «თეზისებში» სამხედრო საკ[illegible] შესახებ, რომლებიც შედგენილია შვეიცარიის სოციალ-დემ[illegible]ული პარტიის ყრილობისათვის, ვხედავთ დათმობას «განიარაღების» იდეისადმი. შვეიცარიულ ჟურნალ «**Neues Leben**»-ში («ახალი ცხოვრება») 1915 წლის თარიღით როლანდ-ჰოლსტი გამოდის ვითომდა ორივე მოთხოვნის «შეთანხმებისათვის», საქმით კი ამგვარივე დათმობისათვის. საერთაშორისო მემარცხენეთა ორგანოს «**Vorbote**»-ს («წინამორბედი») მე-2 ნომერში მოთავსებულია ჰოლანდიელი მარქსისტის ვაინკოპის სტატია ხალხის შეიარაღების ძველი მოთხოვნის დასაცავად. სკანდინავიის მემარცხენენი, როგორც ჩანს ქვემოთ დაბეჭდილი სტატიებიდან [14], ღებულობენ «განიარაღებას», აღიარებენ რა ზოგჯერ, რომ მასში არის პაციფიზმის ელემენტი.

ჩავუკვირდეთ განიარაღების დამცველთა პოზიციას.

I

ერთ-ერთ ძირითად საბუთს განიარაღების სასარგებლოდ წარმოადგენს არა ყოველთვის პირდაპირ გამოთქმული მოსაზრება: ჩვენ ვართ ომის წინააღმდეგი, საზოგადოდ ყოველგვარი ომის წინააღმდეგი, ხოლო ამ ჩვენი შეხედულების ყველაზე უფრო გარკვეული, ცხადი, არაორჭოფული გამოხატულება არის სწორედ განიარაღების მოთხოვნაო.

ამ მოსაზრების უმართებულობაზე ჩვენ შევჩერდით სტატიაში იუნიუსის ბროშურის შესახებ, რომელზედაც მივუთითებთ კიდეც მკითხველს *. სოციალისტები არ შეიძლება იყვნენ ყოველგვარი ომის წინააღმდეგნი, თუ სოციალისტობას თავს არ დაანებებენ. თავი არ უნდა დაიბრმავო ახლანდელი იმპერიალისტური ომით. იმპერიალისტური ეპოქისათვის ტიპიურია სწორედ ასეთი ომები «დიდ» სახელმწიფოთა შორის, მაგრამ სრულიად არ არის შეუძლებელი დემოკრატიული ომებიც და აჯანყებანიც, მაგალითად, ჩაგრული ერებისა მათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. აუცილებელია პროლეტარიატის სამოქალაქო ომები ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის. შესაძლებელია ომები ერთ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმისა სხვა, ბურჟუაზიული ან რეაქციული, ქვეყნების წინააღმდეგ.

განიარაღება არის სოციალიზმის იდეალი. სოციალისტურ საზოგადოებაში არ იქნება ომები, მაშასადამე, განხორციელდება განიარაღება. მაგრამ სოციალისტი არ არის ის, ვინც მოელის სოციალიზმის განხორციელებას სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გ ა რ ე შ ე. დიქტატურა არის სახელმწიფო ხელისუფლება, დამყარებული უშუალოდ ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ა ზ ე. ძალმომრეობა XX საუკუნის ეპოქაში, — როგორც საზოგადოდ ცივილიზაციის ეპოქაში, — ეს არც მუშტია და არც კეტი, არამედ არის ჯ ა რ ი. პროგრამაში «განიარაღების» შეტანა ნიშნავს საზოგადოდ განაცხადო: ჩვენ იარაღის ხმარების წინააღმდეგი

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 385 — 405. რ ე დ.

ვართო. ამაში იოტის ოდენიც არა არის რა მარქსიზმისა, ისე როგორც იმაში, რომ გვეთქვა: ჩვენ ძალმომრეობის გამოყენების წინააღმდეგი ვართო!

შევნიშნავთ, რომ საერთაშორისო დისკუსია ამ საკითხზე წარმოებდა უმთავრესად, თუ არ განსაკუთრებით, გერმანულ ენაზე. ხოლო გერმანულად იხმარება ორი სიტყვა, რომელთა შორის განსხვავების რუსულად გადმოცემა ადვილი არ არის. ერთი ნიშნავს საკუთრივ «განიარაღებას» და იხმარება, მაგალითად, კაუცკის და კაუცკელების მიერ — შეიარაღების შემცირების აზრით. მეორე ნიშნავს საკუთრივ «იარაღის აყრას» და იხმარება უმეტესად მემარცხენეების მიერ მილიტარიზმის გაუქმების, ყოველგვარი მილიტარისტული (სამხედრო) სისტემის გაუქმების აზრით. ამ სტატიაში ჩვენ ვლაპარაკობთ მ ე ო რ ე, ზოგიერთ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ სოციალ-დემოკრატებს შორის ჩვეულებრივი, მოთხოვნის შესახებ.

«განიარაღების» კაუცკური ქადაგება, მიმართული სახელდობრ დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ახლანდელი მთავრობებისადმი, არის ყველაზე უსაძაგლესი ოპორტუნიზმი, ბურჟუაზიული პაციფიზმი, რომელიც ს ა ქ მ ი თ ემსახურება — წინააღმდეგ მოშაქრულ კაუცკელთა «კეთილი სურვილებისა» — მუშათა ჩამოცილებას რევოლუციური ბრძოლისაგან. ვინაიდან ასეთი ქადაგებით მუშებს უნერგავენ იმ აზრს, თითქოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ახლანდელი, ბურჟუაზიული მთავრობები შებორკილნი ა რ ი ყ ვ ნ ე ნ ფინანსური კაპიტალის ათასგვარი ძაფებით და ურთიერთ შორის დადებული ათეული თუ ასეული სათანადო (ე. ი. მძარცველური, ყაჩაღური, იმპერიალისტური ომის მომამზადებელი) ს ა ი დ უ მ ლ ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ე ბ ი თ.

II

ჩაგრული კლასი, რომელიც არ მიისწრაფვის იმისაკენ, რომ ისწავლოს იარაღის ხმარება, ჰქონდეს იარაღი, მხოლოდ იმის ღირსი იქნებოდა, რომ მას მოპყრობოდნენ, როგორც

მონებს. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია, თუ არ გადავიქცევით ბურჟუაზიულ პაციფისტებად ან ოპორტუნისტებად, დავივიწყოთ, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და რომ მისაგან არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა გამოსავალი, გარდა კლასობრივი ბრძოლისა და გაბატონებული კლასის ძალაუფლების დამხობისა.

ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში, — თუნდაც ის დამყარებული იყოს მონობაზე, ბატონყმობაზე ან, როგორც ეს ახლა არის, დაქირავებულ შრომაზე, — მჩაგვრელი კლასი შეიარაღებულია. არა მარტო ახლანდელი მუდმივი ჯარი, არამედ ახლანდელი მილიციაც — ყველაზე უფრო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიაც კი, მაგალითად, შვეიცარიაში — წარმოადგენს ბურჟუაზიის შეიარაღებას პროლეტარიატის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ეს ისეთი ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ განსაკუთრებით მასზე შეჩერება არა გვგონია საჭირო იყოს. საკმარისია გავიხსენოთ ჯარის გამოყენება (რესპუბლიკურ-დემოკრატიული მილიციისაც, მათ შორის) გაფიცულთა წინააღმდეგ, მოვლენა, რომელიც საერთოა გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის. ბურჟუაზიის შეიარაღება პროლეტარიატის წინააღმდეგ არის თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი, ძირითადი, უმნიშვნელოვანესი ფაქტი.

და ასეთი ფაქტის წინაშე რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს წინადადებას აძლევენ, რომ მათ წამოაყენონ «განიარაღების» «მოთხოვნა»! ეს უდრის სრულიად ხელის აღებას კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე, რევოლუციის შესახებ ყოველგვარი აზრის უარყოფას. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: პროლეტარიატის შეიარაღება იმისათვის, რომ დავამარცხოთ, ექსპროპრიაცია ვუყოთ და იარაღი ავყაროთ ბურჟუაზიას. ეს არის რევოლუციური კლასის ერთადერთი შესაძლებელი ტაქტიკა, ტაქტიკა, გამომდინარე კაპიტალისტური მილიტარიზმის მთელი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი დ ა ნ, ნაკარნახევი ამ განვითარებით. მხოლოდ იმის

შ ე მ დ ე გ, რაც პროლეტარიატი ბურჟუაზიას იარაღს აჰყრის, მას შეუძლია, ისე, რომ არ უღალატოს თავის მსოფლიო-ისტორიულ ამოცანას, გადაყაროს დასამტვრევად საზოგადოდ ყოველგვარი იარაღი, და პროლეტარიატი, უეჭველია, ამას გააკეთებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ და არასგზით არა უფრო ადრე.

თუ ახლანდელი ომი იწვევს რეაქციულ ქრისტიანულ სოციალისტებში, მტირალა წვრილ ბურჟუებში მ ხ ო ლ ო დ ძრწოლას და დაფრთხობას, მხოლოდ ზიზღს იარაღის ყოველგვარი ხმარებისადმი, სისხლისადმი, სიკვდილისადმი და სხვ., მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ: კაპიტალისტური საზოგადოება იყო და ყოველთვის წარმოადგენს დ ა უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ს ა შ ი ნ ე ლ ე ბ ა ს. და თუ ახლა ამ საზოგადოებას ახლანდელი, ყველა ომზე უფრო რეაქციული ომი უმზადებს ს ა შ ი ნ ე ლ დ ა ს ა ს რ უ ლ ს, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს სასოწარკვეთილებას მივეცეთ. ხოლო არაფერს სხვას, თუ არ სახელდობრ სასოწარკვეთილების გამოხატულებას, არ წარმოადგენს, თავისი ობიექტური მნიშვნელობით, განიარაღების «მოთხოვნა» — უფრო სწორად რომ ვთქვათ: ოცნება განიარაღების შესახებ — იმ დროს, როცა ყველას თვალწინ თვით ბურჟუაზიის ძალებითვე მზადდება ერთადერთი კანონიერი და რევოლუციური ომი, სახელდობრ: სამოქალაქო ომი იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ვინც იტყვის, რომ ეს არის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორია, ჩვენ მას მოვაგონებთ ორ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს: ერთი მხრივ, ტრესტების და ქალთა საფაბრიკო მუშაობის როლს და, მეორე მხრივ, 1871 წლის კომუნას და 1905 წლის დეკემბრის აჯანყებას რუსეთში.

ბურჟუაზიის საქმეა — განავითაროს ტრესტები, შერეკოს ბავშვები და ქალები ფაბრიკებში, აწამოს ისინი იქ, გახრწნას, ჩააგდოს უკიდურეს გაჭირვებაში. ჩვენ არ «მოვითხოვთ» ამგვარ განვითარებას, მას არ «ვუჭერთ მხარს», ჩვენ ვიბრძვით მის წინააღმდეგ. მაგრამ რ ო გ ო რ ვიბრძვით? ჩვენ ვიცით, რომ ტრესტები და ქალების საფაბრიკო მუშაობა

პროგრესულია. ჩვენ არ გვინდა მივდიოდეთ უკან, ხელოსნობისაკენ, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმისაკენ, ქალთა შინაოჯახური მუშაობისაკენ. წინ ტრესტებისა და სხვ. გზით და მათზე უფრო წინ — სოციალიზმისაკენ!

ეს მსჯელობა, რომელიც ითვალისწინებს განვითარების ობიექტურ მსვლელობას, შეიძლება მივუყენოთ, სათანადო ცვლილებებით, ხალხის ახლანდელ მილიტარიზაციასაც. დღეს იმპერიალისტური ბურჟუაზია ახდენს არა მხოლოდ მთელი ხალხის, არამედ ახალგაზრდობის მილიტარიზაციასაც. ხვალ ის, ალბათ, შეუდგება ქალთა მილიტარიზაციასაც. ჩვენ უნდა ვთქვათ ამის გამო: მით უკეთესი! უფრო ჩქარა წინ! რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უფრო მივუახლოვდებით შეიარაღებულ აჯანყებას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. როგორ შეუძლიათ სოციალ-დემოკრატებს თავი დააფრთხობინონ ახალგაზრდობის მილიტარიზაციით და სხვ., თუ ისინი არ ივიწყებენ კომუნის მაგალითს? ეს «ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორია» კი არ არის, ოცნება კი არ არის, არამედ ფაქტია. და ჭეშმარიტად მთლად ცუდად იქნებოდა საქმე, რომ სოციალ-დემოკრატებს, წინააღმდეგ ყველა ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტისა, დაეწყოთ ეჭვის შეტანა იმაში, რომ იმპერიალისტურმა ეპოქამ და იმპერიალისტურმა ომებმა აუცილებლივ უნდა მიგვიყვანონ ასეთი ფაქტების განმეორებამდე.

კომუნის ერთი ბურჟუაზიული მეთვალყურე წერდა 1871 წ. მაისში ერთ ინგლისურ გაზეთში: «ფრანგი ერი მხოლოდ ქალებისაგან რომ შედგებოდეს, რა საშინელი ერი იქნებოდა იგი!». ქალები და 13 წლისა და მეტი ხნის ბავშვები კომუნის დროს მამაკაცების გვერდით იბრძოდნენ. სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს მომავალ ბრძოლებშიაც ბურჟუაზიის დასამხობად. პროლეტარი ქალები პასიურად არ დაუწყებენ ცქერას, თუ როგორ დახვრეტს კარგად შეიარაღებული ბურჟუაზია ცუდად შეიარაღებულ ან შეუიარაღებელ მუშებს. ისინი იარაღს ხელს მოჰკიდებენ ისე, როგორც 1871 წელს, და ახლანდელ დამფრთხალ ერთა-

გან — უფრო სწორად: ახლანდელი მუშათა მოძრაობიდან, რომელიც დეზორგანიზებულია უფრო ოპორტუნისტების მიერ, ვიდრე მთავრობების მიერ, — უეჭველად აღმოცენდება, ადრე თუ გვიან, მაგრამ აბსოლუტურად უეჭველად, რევოლუციური პროლეტარიატის «საშინელ ერთა» ინტერნაციონალური კავშირი.

ახლა მილიტარიზაციით გამსჭვალულია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. იმპერიალიზმი არის დიდ სახელმწიფოთა გააფთრებული ბრძოლა მსოფლიოს დანაწილებისა და გადანაწილებისათვის, — ამიტომ მან აუცილებლად უნდა გამოიწვიოს შემდგომი მილიტარიზაცია ყველა ქვეყანაში, ნეიტრალურშიც და პატარებშიც. რას გააკეთებენ ამის წინააღმდეგ პროლეტარი ქალები? მხოლოდ დაწყევლიან ყოველგვარ ომს და ყველაფერ სამხედროს, მხოლოდ განიარაღებას მოითხოვენ? იმ ჩაგრული კლასის ქალები, რომელიც მართლაც რევოლუციურია, არასოდეს არ შეურიგდებიან ამგვარ სამარცხვინო როლს. ისინი ეტყვიან თავიანთ შვილებს:

«შენ მალე დიდი გაიზრდები. შენ მოგცემენ თოფს. მოჰკიდე მას ხელი და კარგად ისწავლე სამხედრო საქმე. ეს მეცნიერება აუცილებლად საჭიროა პროლეტარებისათვის — არა იმისთვის, რომ ესროლო შენს ძმებს, სხვა ქვეყნების მუშებს, როგორც ეს ხდება ახლანდელ ომში და როგორც გირჩევენ შენ მოიქცე სოციალიზმის მოღალატენი, — არამედ იმისათვის, რომ იბრძოლო შენი საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ ბოლო მოუღო ექსპლოატაციას, სიღატაკეს და ომებს არა კეთილი სურვილების გზით, არამედ ბურჟუაზიაზე გამარჯვებით და მ ი ს თ ვ ი ს იარაღის აყრით».

თუ უარს ვიტყვით ასეთი პროპაგანდის წარმოებაზე და სწორედ ასეთ პროპაგანდაზე ახლანდელ ომთან დაკავშირებით, მაშინ სჯობს სულ არ ვილაპარაკოთ დიდ-დიდი სიტყვები საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიაზე, სოციალისტურ რევოლუციაზე, ომის წინააღმდეგ ომზე.

III

განიარაღების მომხრენი გამოდიან პროგრამული მუხლის — «ხალხის შეიარაღების» წინააღმდეგ, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ მოთხოვნას თითქოს უფრო ადვილად მივყავართ ოპორტუნიზმისადმი დათმობისაკენ. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: განიარაღების დამოკიდებულება კლასობრივ ბრძოლასთან და სოციალურ რევოლუციასთან. ახლა განვიხილოთ საკითხი განიარაღების მოთხოვნის დამოკიდებულებისა ოპორტუნიზმთან. ამ მოთხოვნის მიუღებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი სახელდობრ ის არის, რომ ის და მისგან წარმოშობილი ილუზიები აუცილებლივ ასუსტებენ და აუძლურებენ ჩვენს ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს ბრძოლა ინტერნაციონალის მთავარი მორიგი საკითხია. ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თუ იგი განუყრელად არ არის დაკავშირებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, ცარიელი ფრაზა ან მოტყუებაა. ციმერვალდისა და კინტალის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი, III ინტერნაციონალის ამ ჩანასახთა შესაძლებელი ფიასკოს (მარცხის, კრახის) ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ის არის, რომ ოპორტუნიზმთან ბრძოლის საკითხი არც კი იყო აშკარად დასმული, მით უმეტეს არ იყო ის გადაწყვეტილი იმ აზრით, რომ აუცილებელია ოპორტუნისტებთან კავშირის გაწყვეტა. ოპორტუნიზმმა გაიმარჯვა — დროებით — ევროპის მუშათა მოძრაობის შიგნით. ყველა უდიდეს ქვეყანაში შეიქმნა ოპორტუნიზმის ორი მთავარი ელფერი: პირველი — ბატონ პლეხანოვების, შეიდემანების, ლეგინების, ალბერტ ტომებისა და სამბების, ვანდერველდეების, ჰაინდმანების, ჰენდერსონებისა და სხვათა აშკარა, ცინიკური და ამიტომ უფრო ნაკლებ სახიფათო სოციალიმპერიალიზმი. მეორე — დაფარული, კაუცკური: კაუცკი — ჰააზე და «სოციალ-დემოკრატიული შრომის ჯგუფი» გერმანიაში; ლონგე, პრესმანი, მაიერასი და სხვ. საფრანგეთში; რამსეი მაკდონალდი და «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის»

სხვა ბელადები ინგლისში; მარტოვი, ჩხეიძე და სხვანი რუსეთში; ტრევესი და სხვა ეგრეთწოდებული მემარცხენე რეფორმისტები იტალიაში.

აშკარა ოპორტუნიზმი აშკარად და პირდაპირ წინააღმდეგია რევოლუციისა და დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობათა და აფეთქებათა, პირდაპირ კავშირშია მთავრობებთან, რა რიგ სხვადასხვაგვარიც უნდა იყოს ამ კავშირის ფორმები, დაწყებული სამინისტროში მონაწილეობით და გათავებული სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობით. ფარული ოპორტუნისტები, კაუცკელები, გაცილებით უფრო მავნებელი და საზიფათონი არიან მუშათა მოძრაობისათვის, იმიტომ რომ ისინი მალავენ პირველი ელფერის ოპორტუნისტებთან კავშირის დაცვას კეთილსმოვანი ვითომდა-«მარქსისტული» სიტყვებითა და პაციფისტური ლოზუნგებით. გაბატონებული ოპორტუნიზმის ამ ორივე ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გატარდეს პროლეტარული პოლიტიკის ყ ვ ე ლ ა ასპარეზზე: პარლამენტარიზმი, პროფესიული კავშირები, გაფიცვები, სამხედრო საქმე და სხვ.

რაში მდგომარეობს მთავარი თავისებურება, რომელიც გაბატონებული ოპორტუნიზმის ო რ ი ვ ე ამ ფორმას განასხვავებს?

იმაში, რომ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს თ ა ნ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ო მ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს კონკრეტული საკითხი და რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს სხვა კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი უპასუხოდ რჩება, იჩქმალება ან განიმარტება პოლიციური აკრძალვებისადმი ანგარიშის გაწევით და ეს — მიუხედავად იმისა, რომ ომის წინ უთვალავჯერ იყო მითითებული არაოფიციალურადაც და ბაზელის მანიფესტში ოფიციალურადაც სწორედ ა მ მომავალი ომის კავშირზე პროლეტარულ რევოლუციასთან.

განიარაღების მოთხოვნის მთავარი ნაკლი კი სწორედ ისაა, რომ აქ გვერდს უვლიან რევოლუციის ყველა კონკრე-

ტულ საკითხს. ან იქნებ განიარაღების მომხრენი მხარს უჭერენ უიარაღო რევოლუციის სრულიად ახალ სახეს?

IV

შემდეგ. ჩვენ არასგზით წინააღმდეგნი არა ვართ რეფორმებისათვის ბრძოლისა. ჩვენ არ გვინდა უგულებელვყოთ ის სამწუხარო შესაძლებლობა, რომ კაცობრიობა გადაიტანს — უარეს შემთხვევაში — კიდევ მეორე იმპერიალისტურ ომს, თუ ახლანდელი ომიდან რევოლუცია არ წარმოიშვა, მიუხედავად მასობრივი მღელვარებისა და მასობრივი უკმაყოფილების მრავალრიცხოვან აფეთქებათა და მიუხედავად ჩვენი ღონისძიებებისა. ჩვენ ვემხრობით რეფორმათა ისეთ პროგრამას, რომელიც ა გ რ ე თ ვ ე უნდა იქნეს მიმართული ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ოპორტუნისტები მხოლოდ მოხარულნი იქნებოდნენ, თუ კი მარტო მათ დავუთმობდით რეფორმებისათვის ბრძოლას, ხოლო ჩვენ თვითონ რაღაც «განიარაღების» ციურ სივრცეში გადავიკარგებოდით და თავს ვუშველიდით სამწუხარო სინამდვილიდან გაქცევით. «განიარაღება» სწორედ გაქცევაა საძაგელი სინამდვილიდან და სრულიადაც არა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამასთანავე: ზოგიერთი მემარცხენის ერთი დიდი ნაკლი საკითხის დაყენებაში, მაგალითად, სამშობლოს დაცვის შესახებ, არის პასუხის არასაკმაო კონკრეტულობა. ბევრად უფრო სწორია თეორიულად და უზომოდ უფრო მნიშვნელოვანია პრაქტიკულად იმის თქმა, რომ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ იმპერიალისტურ ომში სამშობლოს დაცვა არის ბურჟუაზიულ-რეაქციული მოტყუება, ვიდრე წამოაყენო «ზოგადი» დებულება სამშობლოს «ყოველგვარი» დაცვის წინააღმდეგ. ეს არც სწორია და ვერც «ურტყამს» უშუალოდ მუშათა მტერს მუშათა პარტიების შიგნით: ოპორტუნისტებს.

მილიციის საკითხის შესახებ ჩვენ უნდა გვეთქვა, გამოვიმუშავებდით რა კონკრეტულ და პრაქტიკულად საჭირო პასუხს: ჩვენ ვემხრობით არა ბურჟუაზიულ მილიციას, არამედ მხოლოდ პროლეტარულს. ამიტომ «არც ერთი გროში

და არც ერთი კაცი» არათუ მუდმივი ჯარისათვის, არამედ ბურჟუაზიული მილიციისთვისაც, ისეთ ქვეყნებშიაც კი, როგორიც აარიან შეერთებული შტატები ან შვეიცარია, ნორვეგია და სხვანი. მით უმეტეს, რომ ჩვენ ვხედავთ ყველაზე უფრო თავისუფალ რესპუბლიკურ ქვეყნებში (მაგალითად, შვეიცარიაში) მილიციის სულ უფრო მეტად გაპრუსიულებას, მის გარყვნას გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარის მობილიზაციისათვის. ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ: ოფიცერთა არჩევა ხალხის მიერ, ყოველგვარი სამხედრო იუსტიციის გაუქმება, საზღვარგარეთელი და მკვიდრი მუშების უფლებრივი გათანასწორება (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მუხლია იმ იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომელნიც ეწევიან, შვეიცარიის მსგავსად, უცხოელ მუშათა სულ უფრო მეტი რიცხვის და სულ უფრო ურცხვ ექსპლოატაციას, ტოვებენ რა მათ უუფლებო მდგომარეობაში), შემდეგ: იმის უფლება, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ყოველმა, ვთქვათ, ასმა მცხოვრებმა შექმნას თავისუფალი კავშირები მთელი სამხედრო საქმის შესასწავლად, ინსტრუქტორთა თავისუფალი არჩევით, მათი შრომის ანაზღაურებით ხაზინის ხარჯზე და სხვ.. მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლია პროლეტარიატს შეისწავლოს სამხედრო საქმე მართლაც თ ა ვ ი ს თ ვ ი ს, და არა თავის მონათმფლობელთათვის, და ასეთ შესწავლას აუცილებლივ მოითხოვს პროლეტარიატის ინტერესები. რუსეთის რევოლუციამ ცხადყო, რომ ყოველი წარმატება, რევოლუციური მოძრაობის თუნდ ნაწილობრივი წარმატებაც კი, — მაგალითად, გარკვეული ქალაქის, გარკვეული საფაბრიკო დასახლებული ადგილის, არმიის გარკვეული ნაწილის დაპყრობა, — აუცილებლივ ა ი ძ უ ლ ე ბ ს გამარჯვებულ პროლეტარიატს განახორციელოს სწორედ ასეთი პროგრამა.

ბოლოს, ოპორტუნიზმთან ბრძოლა არ შეიძლება, თავისთავად ცხადია, მარტო პროგრამების საშუალებით, არამედ მხოლოდ მუდმივი თვალყურის დევნებით იმაზე, რომ ისინი ნამდვილად ტარდებოდეს ცხოვრებაში. გაკოტრებული II ინტერ-

ნაციონალის ყველაზე დიდი, საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ სიტყვა არ შეესაბამებოდა საქმეს, რომ ინერგებოდა უსინდისო რევოლუციური ფრაზის ჩვევა (იხ. კაუცკისა და კომპანიის ახლანდელი დამოკიდებულება ბაზელის მანიფესტისადმი). თუ განიარაღების მოთხოვნას ამ მხრივ მივუდგებით, ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დავსვათ საკითხი მისი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მნიშვნელობის შესახებ. განიარაღება, როგორც სოციალური იდეა, — ე. ი. ისეთი იდეა, რომელსაც განსაზღვრული სოციალური ვითარება წარმოშობს და რომელსაც შეუძლია იმოქმედოს განსაზღვრულ სოციალურ წრეზე და პიროვნულ ან წრეობრივ უცნაურობად არ რჩება, — ცხადია, წარმოშობილია იმ ცალკეულ პატარა სახელმწიფოთა ცხოვრების განსაკუთრებული, გამონაკლისის სახით «წყნარი» პირობებით, რომელნიც საკმაოდ დიდხანს იდგნენ განზე ომების სისხლიანი მსოფლიო გზიდან და რომელთაც იმედი აქვთ ასევე განზე დარჩნენ. ამაში დასარწმუნებლად საკმაოა ჩავუფიქრდეთ, მაგალითად, განიარაღების ნორვეგიელ მომხრეთა არგუმენტაციას: «აქაო-და, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ჯარიც პატარა გვყავს, ვერას გავაწყობთ დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგო» (და ამიტომ ასევე უძლურნი ვართ წინაღვუდგეთ ძალით ჩაბმას იმპერიალისტურ კ ა ვ შ ი რ შ ი დიდ სახელმწიფოთა ამა თუ იმ ჯგუფთანო!), «ჩვენ გვსურს დავრჩეთ მშვიდად ჩვენს მიყრუებულ კუთხეში და განვაგრძოთ მიყრუებული კუთხის პოლიტიკა, მოვითხოვოთ განიარაღება, სავალდებულო სამედიატორო სასამართლოები, მუდმივი («მუდმივი» — ალბათ, ბელგიისებურად?) ნეიტრალობაო და სხვ.».

წვრილ სახელმწიფოთა ის წვრილმანი მისწრაფება, რომ განზე დარჩნენ, წვრილბურჟუაზიული სურვილი — იყვნენ უფრო დაშორებით მსოფლიო ისტორიის დიდი ბრძოლებისაგან, გამოიყენონ თავიანთი შედარებით მონოპოლიური მდგომარეობა, რათა იმყოფებოდნენ დახავსებულ პასივობაში — ა ი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი საზოგადოებრივი ვითარება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს განიარაღების იდეის

განსაზღვრული წარმატება და განსაზღვრული გავრცელება ზოგიერთ პატარა სახელმწიფოში. რასაკვირველია, ეს მისწრაფება რეაქციულია და მთლიანად ილუზიებს ემყარება, ვინაიდან იმპერიალიზმი ასე თუ ისე ითრევს წვრილ სახელმწიფოებს მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკის ორომტრიალში.

განვმარტოთ ეს შვეიცარიის მაგალითით. მისი იმპერიალისტური ვითარება ობიექტურად უკარნახებს მას მუშათა მოძრაობის ო რ ხაზს. ოპორტუნისტები ბურჟუაზიასთან კავშირში იმისაკენ მიისწრაფვიან, რომ შვეიცარიისგან შექმნან რესპუბლიკურ-დემოკრატიული მონოპოლიური კავშირი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ტურისტებისაგან მოგების მისაღებად და რომ ეს «წყნარი» მონოპოლიური მდგომარეობა გამოიყენონ რაც შეიძლება ხელსაყრელად და რამდენადაც მოსახერხებელია მშვიდად. საქმით ეს პოლიტიკა არის პოლიტიკა პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩაყენებული პატარა ქვეყნის მუშათა მცირე პრივილეგიური ფენის კავშირისა თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის მასების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. შვეიცარიის ნამდვილი სოციალ-დემოკრატები მიისწრაფვიან იმისაკენ, რომ შვეიცარიის შედარებითი თავისუფლება, მისი «საერთაშორისო» მდგომარეობა (ყველაზე დიდად კულტურული ქვეყნების მეზობლობა, შემდეგ, ის გარემოება, რომ შვეიცარია ლაპარაკობს, მადლობა ღმერთს, არა «თავის დამოუკიდებელ» ენაზე, არამედ სამ მსოფლიო ენაზე) გამოიყენონ მთელი ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური ელემენტების რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კავშირის გაფართოებისა, განმტკიცებისა და გამაგრებისათვის. დავეხმაროთ ჩვენს ბურჟუაზიას მეტხანს შეინარჩუნოს ალპების სიმშვენიერით არქიმოსვენებული ვაჭრობის მონოპოლიური მდგომარეობა, ვინძლო კაპიკები ჩვენც გვხვდეს წილადო, — აი შვეიცარიის ოპორტუნისტების პოლიტიკის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი შინაარსი. დავეხმაროთ რევოლუციური პროლეტარიატის კავშირს ფრანგებსა, გერმანელებსა, იტალიელებს შორის ბურჟუაზიის დასამხობად — აი შვეიცარიის

რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პოლიტიკის ობიექტური შინაარსი. საბუნებაროდ, ამ პოლიტიკას «მემარცხენენი» შვეიცარიაში ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაოდ ატარებენ, და მათი პარტიის 1915 წლის აარაუს ყრილობის მშვენიერი გადაწყვეტილება (რევოლუციური მასობრივი ბრძოლის აღიარება) ჯერჯერობით უფრო მეტად ქაღალდზე რჩება. მაგრამ ჩვენ ამჟამად ამაზე არ ვლაპარაკობთ.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხი ასე დგას: შეესაბამება თუ არა განიარაღების მოთხოვნა რევოლუციურ მიმართულებას შვეიცარიის სოციალ-დემოკრატებს შორის? ცხადია, არა. ობიექტურად, განიარაღების «მოთხოვნა» შეესაბამება ოპორტუნისტულ, ვიწრო-ნაციონალურ, პატარა სახელმწიფოს ჰორიზონტით შეზღუდულ მუშათა მოძრაობის ხაზს. ობიექტურად, «განიარაღება» არის წვრილი სახელმწიფოების ყველაზე უფრო ნაციონალური, სპეციფიკურად ნაციონალური პროგრამა და სრულიადაც არა ინტერნაციონალური პროგრამა ინტერნაციონალური რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა.

P. S. * ინგლისური «სოციალისტური მიმოხილვის» — **«The Socialist Review»**-ის [48] უკანასკნელ ნომერში (სექტემბერი, 1916), ოპორტუნისტული «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ორგანოში, 287-ე გვერდზე ჩვენ ვხვდებით ამ პარტიის ნიუკასტლის კონფერენციის რეზოლუციას: უარყოფა მხარის დაჭერისა *როგორიც არ უნდა იყოს* ომისათვის *და როგორი მთავრობის მიერაც* არ უნდა იყოს იგი წარმოებული, თუნდაც «ნომინალურად» ეს იყოს «თავდაცვითი» ომი. 205-ე გვერდზე კი ვხვდებით შემდეგ განცხადებას სარედაქციო სტატიაში: «ჩვენ არ ვიწონებთ სინ-ფენიების აჯანყებას» (ირლანდიის 1916 წლის აჯანყებას). «ჩვენ არ ვიწონებთ არავითარ შეიარაღებულ აჯანყებას, ისე როგორც არ ვიწონებთ მილიტარიზმისა და ომის არავითარ სხვა ფორმას».

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ეს «ანტიმილიტარისტები», განიარაღების ამგვარი მომხრენი არა პატარა, არამედ დიდ სახელმწიფოში, უბოროტესი ოპორტუნისტები არიან? თეორიულად კი ისინი სავსებით მართალნი არიან, როდესაც შეიარაღებულ აჯანყებას განიხილავენ როგორც მილიტარიზმისა და ომის აგრეთვე «ერთ-ერთ ფორმას».

დაწერილია 1916 წ. ოქტომბერში

დაიბეჭდა 1916 წ. დეკემბერში «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება «სბორნიკის» ტექსტის მიხედვით

იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა

არის თუ არა კავშირი იმპერიალიზმსა და იმ ყოვლად საზიზღარ გამარჯვებას შორის, რომელიც ოპორტუნიზმმა (სოციალ-შოვინიზმის სახით) მოიპოვა მუშათა მოძრაობაზე ევროპაში?

ეს თანამედროვე სოციალიზმის ძირითადი საკითხია. და მას შემდეგ, რაც ჩვენს პარტიულ ლიტერატურაში სავსებით დავამტკიცეთ, ჯერ-ერთი, ჩვენი ეპოქისა და ახლანდელი ომის იმპერიალისტური ხასიათი; მეორე, სოციალ-შოვინიზმის განუყრელი ისტორიული კავშირი ოპორტუნიზმთან, აგრეთვე მათი იდეურ-პოლიტიკური ერთნაირი შინაარსი, — შეიძლება და კიდეც უნდა გადავიდეთ ამ ძირითადი საკითხის განხილვაზე.

დაწყება გვიხდება იმპერიალიზმის რაც შეიძლება უფრო ზუსტი და სრული განსაზღვრით. იმპერიალიზმი წარმოადგენს კაპიტალიზმის განსაკუთრებულ ისტორიულ სტადიას. ეს განსაკუთრებულობა სამგვარია: იმპერიალიზმი არის (1) — მონოპოლისტური კაპიტალიზმი; (2) — პარაზიტული ანუ ლპობადი კაპიტალიზმი; (3) — მომაკვდავი კაპიტალიზმი. თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიით იმპერიალიზმის ძირითადი ეკონომიური თვისებაა, მისი ა რ ს ი ა. მონოპოლიზმი გვევლინება 5 მთავარი სახით: 1) კარტელები, სინდიკატები და ტრესტები; წარმოების კონცენტრაციამ მიაღწია იმ საფეხურს, რომ წარმოშვა კაპიტალისტთა ეს მონო-

პოლიტიკური კავშირები; 2) დიდი ბანკების მონოპოლიური მდგომარეობა: 3 — 5 გიგანტური ბანკი ატრიალებს ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის მთელ ეკონომიურ ცხოვრებას; 3) ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს წყაროების ხელში ჩაგდება ტრესტებისა და ფინანსური ოლიგარქიის მიერ (ფინანსური კაპიტალი არის მონოპოლისტური სამრეწველო კაპიტალი, შეერთებული საბანკო კაპიტალთან); 4) მსოფლიოს დანაწილება (ეკონომიური) საერთაშორისო კარტელების მიერ დ ა ი წ ყ ო. ამგვარი საერთაშორისო კარტელები, რომელთაც ხელთ უპყრიათ მ თ ე ლ ი მსოფლიო ბაზარი და «მეგობრულად» იყოფენ მას, — ვიდრე ომს არ გ ა დ აუნაწილებია იგი — უკვე ა ს ზ ე მეტი ითვლება! კაპიტალის გატანა, როგორც განსაკუთრებული დამახასიათებელი მოვლენა, რომელიც განსხვავდება საქონლის გატანისგან არამონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს, მჭიდროდ დაკავშირებულია მსოფლიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ-ტერიტორიულ დანაწილებასთან; 5) მსოფლიოს ტერიტორიული (კოლონიები) დანაწილება დ ა მ თ ა ვ რ დ ა.

იმპერიალიზმი, როგორც ამერიკისა და ევროპის, შემდეგ კი აგრეთვე აზიის, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, საკუთარ ჩამოყალიბდა 1898 — 1914 წლებში. ესპანეთ-ამერიკის (1898), ინგლის-ბურების (1899 — 1902), რუსეთ-იაპონიის (1904 — 1905) ომები და 1900 წლის ეკონომიური კრიზისი ევროპაში — აი მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქის მთავარი ისტორიული მოვლენები.

იმპერიალიზმი რომ პარაზიტული ანუ ლპობადი კაპიტალიზმია, ეს მეტყველდება, უწინარეს ყოვლისა, ლპობის ტენდენციაში, რომელიც ახასიათებს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ მონოპოლიას წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების დროს. რესპუბლიკურ-დემოკრატიულ და მონარქიულ-რეაქციულ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას შორის განსხვავება ქრება სწორედ იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც ცოცხლადვე ლპება (რითაც ოდნავადაც არ ისპობა კაპიტალიზმის გასაოცრად სწრაფი განვითარება მრეწველობის ცალკეულ დარგებში, ცალკეულ ქვეყნებში, ცალკეულ პერიოდებში). მეორე, კაპიტალიზმის

ლპობა გამოიხატება რანტიეთა, ისეთ კაპიტალისტთა უდიდესი ფენის შექმნით, რომელნიც «კუპონების კრეჭით» ცხოვრობენ. ოთხ მოწინავე იმპერიალისტურ ქვეყანაში, ინგლისში, ჩრდილოეთ ამერიკაში, საფრანგეთსა და გერმანიაში, კაპიტალი ფასიან ქაღალდებში შეადგენს თვითეულში 100 — 150 მილიარდ ფრანკს, რაც ნიშნავს თვითეულ ქვეყანაზე არა ნაკლებ 5 — 8 მილიარდ ყოველწლიურ შემოსავალს. მესამე, კაპიტალის გატანა არის პარაზიტიზმი კვადრატში. მეოთხე, «ფინანსური კაპიტალი მიილტვის ბატონობისაკენ და არა თავისუფლებისაკენ». პოლიტიკური რეაქცია მთელი ხაზით — იმპერიალიზმის თვისებაა. გამყიდველობა, მოსყიდვა გიგანტურ ფარგლებში, ყოველგვარი სახის პანამა. მეხუთე, ჩაგრული ერების ექსპლოატაცია, განუყრელად დაკავშირებული ანექსიებთან, და განსაკუთრებით კოლონიების ექსპლოატაცია ერთი მუჭა «დიდი» სახელმწიფოების მიერ სულ უფრო და უფრო მეტად აქცევს «ცივილიზებულ» მსოფლიოს პარაზიტად არაცივილიზებულ ხალხთა ასეული მილიონების სხეულზე. რომის პროლეტარი საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდა. ახლანდელი საზოგადოება თანამედროვე პროლეტარის ხარჯზე ცხოვრობს. სისმონდის ამ ღრმა შენიშვნას მარქსი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს [16]. იმპერიალიზმი რამდენადმე ცვლის საქმეს. იმპერიალისტური სახელმწიფოების პროლეტარიატის პრივილეგიური ფენა ნაწილობრივ ცხოვრობს არაცივილიზებულ ხალხთა ასეული მილიონების ხარჯზე.

გასაგებია, თუ რად არის იმპერიალიზმი მომაკვდავი კაპიტალიზმი, გარდამავალი სოციალიზმში: მონოპოლია, აღმოცენებული კაპიტალიზმიდან, უკვე კაპიტალიზმის კვდომაა, დასაწყისია მისი გადასვლისა სოციალიზმზე. შრომის გიგანტური განსაზოგადოება იმპერიალიზმის მიერ (ის, რასაც აპოლოგეტები — ბურჟუაზიული ეკონომისტები «გადახლართვას» უწოდებენ) — ამასვე ნიშნავს.

იმპერიალიზმის ამ განსაზღვრას რომ ვაყენებთ, ჩვენ სრულ წინააღმდეგობაში ვვარდებით კ. კაუცკის მიმართ, რომელიც უარს ამბობს მიიჩნიოს იმპერიალიზმი «კაპიტალიზმის ფაზად» და იმპერიალიზმს განსაზღვრავს როგორც პ ო ლ ი ტ ი კ ა ს, რომელსაც ფინანსური კაპიტალი «უპირატესობას აძლევს», როგორც «სამრეწველო» ქვეყნების მისწრაფებას—მოახდინონ «აგრარული» ქვეყნების ანექსია *. კაუცკის ეს განსაზღვრა თეორიულად სავსებით ყალბია. იმპერიალიზმის თავისებურებას შეადგენს ბატონობა სწორედ ა რ ა სამრეწველო, არამედ ფინანსური კაპიტალისა, მისწრაფება სწორედ ა რ ა მხოლოდ აგრარული, არამედ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ქვეყნის ანექსიებისაკენ. კაუცკი იმპერიალიზმის პოლიტიკას ს წ ყ ვ ე ტ ს მისი ეკონომიკისაგან, მონოპოლიზმს პოლიტიკაში სწყვეტს მონოპოლიზმისაგან ეკონომიკაში, რათა გზა გაუკაფოს თავის უხამს ბურჟუაზიულ რეფორმიზმს, როგორიც არის «განიარაღება», «ულტრაიმპერიალიზმი» და სხვა ამგვარი აბდაუბდა. ამ თეორიული სიყალბის აზრი და მიზანი მხოლოდ ისაა, რომ მიჩქმალოს იმპერიალიზმის უ ღ რ მ ე ს ი წინააღმდეგობანი და ამრიგად გაამართლოს იმპერიალიზმის აპოლოგეტებთან, აშკარა სოციალ-შოვინისტებსა და ოპორტუნისტებთან «ერთიანობის» თეორია.

მარქსიზმთან კაუცკის ამ კავშირის გაწყვეტაზე ჩვენ უკვე საკმაოდ შევჩერდით «სოციალ-დემოკრატშიც» და «კომმუნისტშიც» [47]. ჩვენმა რუსეთის კაუცკელებმა, «ოკისტებმა» აქსელროდისა და სპექტატორის მეთაურობით, მათ შორის მარტოვმა და მნიშვნელოვნად ტროცკიმაც, — ამჯობინეს სიჩუმით აევლოთ გვერდი კაუცკელობის, როგორც მიმართულების, საკითხისათვის. მათ შეეშინდათ იმის დაცვა, რასაც კაუცკი

* «იმპერიალიზმი დიდად განვითარებული სამრეწველო კაპიტალიზმის ნაყოფია. ის მდგომარეობს ყოველი სამრეწველო კაპიტალისტური ერის მისწრაფებაში — დაიმორჩილოს და შემოიერთოს სულ უფრო და უფრო მეტი ა გ რ ა რ უ ლ ი ქვეყნები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ერით არიან ისინი დასახლებულნი» (კაუცკი 1914 წლის 11 სექტემბრის «Neue Zeit»-ში).

წერდა ომის დროს; ისინი გვერდს უვლიდნენ ამას ან კაუცკის უბრალო ხოტბით (აქსელროდი თავის გერმანულ ბროშურაში, რომლის რუსულად დაბეჭდვა ა ღ გ ვ ი თ ქ ვ ა ორგანიზაციულ-მა კომიტეტმა), ანდა კაუცკის კერძო წერილებით (სპექტა-ტორი), სადაც ის გვარწმუნებს, რომ ოპოზიციას ეკუთვნის, და იეზუიტურად ცდილობს არარაობამდე დაიყვანოს თავისი შოვინისტური განცხადებანი.

აღვნიშნავთ, რომ იმპერიალიზმის «გაგებაში», — რაც მის შელამაზებას უდრის, — კაუცკი უკან მიდის არამცთუ ჰილ-ფერდინგის «ფინანსურ კაპიტალთან» შედარებით (რა გულმო-დგინებითაც უნდა იცავდეს თვით ჰილფერდინგი ამჟამად კაუცკის და სოციალ-შოვინისტებთან «ერთიანობას»!), არამედ ს ო ც ი ა ლ-ლ ი ბ ე რ ა ლ ჯ. ა. ჰობსონთან შედარებითაც. ეს ინგლისელი ეკონომისტი, რომელსაც არა აქვს პრეტენზიის ნატამალიც კი მარქსისტის სახელწოდებაზე, გაცილებით უფრო ღრმად განსაზღვრავს იმპერიალიზმს და ააშკარავებს მის წინააღმდეგობებს თავის 1902 წლის თხზულებაში *. აი რას წერდა ეს მწერალი (რომელსაც შეიძლება აღმოვუჩინოთ კაუცკის თითქმის ყველა პაციფისტური და «შემრიგებლური» უხამსობა) განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხზე — იმპე-რიალიზმის პარაზიტიზმზე:

ორგვარი გარემოება ასუსტებდა, ჰობსონის აზრით, ძველი იმპერიების ძალას: 1) «ეკონომიური პარაზიტიზმი» და 2) ჯარის შედგენა დამოკიდებული ხალხებისაგან. «პირველი გარემოება არის ეკონომიური პარაზიტიზმის ჩვეულება, რომ-ლის გამო გაბატონებული სახელმწიფო იყენებს თავის პროვინციებს, კოლონიებს და დამოკიდებულ ქვეყნებს თავისი მმართველი კლასის გასამდიდრებლად და თავისი დაბალი კლასების მოსასყიდად, რათა ისინი მშვიდად იყვნენ». მეორე გარემოების შესახებ ჰობსონი წერს:

«იმპერიალიზმის სიბრმავის ერთ-ერთ ყველაზე მეტად უცნაურ სიმპტომს» (სოციალ-ლიბერალ ჰობსონისათვის ეს

* J. A. Hobson. «Imperialism», London, 1902 (ჯ. ა. ჰობსონი. «იმპერიალიზმი», ლონდონი, 1902. რ ე დ.).

ლათაიები იმპერიალისტების «სიბრმავეზე» უფრო შესაფერისია, ვიდრე «მარქსისტ» კაუცკისათვის) «წარმოადგენს ის უტიფრობა, რომლითაც დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა იმპერიალისტური ერები ადგებიან ამ გზას. დიდი ბრიტანეთი ყველაზე შორს წავიდა. იმ შეტაკებათა უდიდეს ნაწილს, რომელთა შემწეობითაც დავიპყარით ჩვენი ინდოეთის იმპერია, აწარმოებდა ჩვენი ჯარი, შემდგარი ადგილობრივ მკვიდრთაგან; ინდოეთში, ისე როგორც უკანასკნელ დროს ეგვიპტეშიც, დიდ მუდმივ არმიებს ბრიტანელი მეთაურები ჰყავთ; თითქმის ყველა ომი, დაკავშირებული ჩვენ მიერ აფრიკის დაპყრობასთან, მისი სამხრეთი ნაწილის გამოკლებით, ჩატარებულია ჩვენთვის ადგილობრივ მკვიდრთა მიერ».

ჩინეთის დანაწილების პერსპექტივას ჰობსონი აძლევდა ასეთ ეკონომიურ შეფასებას: «მაშინ დასავლეთ ევროპის უმეტეს ნაწილს შეეძლო ისეთი სახისა და ხასიათის მიღება, როგორიც აქვს ახლა ამ ქვეყნების ნაწილებს: სამხრეთ ინგლისს, რივიერას, იტალიისა და შვეიცარიის იმ ადგილებს, რომელთაც ყველაზე მეტად ეტანებიან ტურისტები და რომლებიც დასახლებული არიან მდიდრებით, სახელდობრ: ერთი მუჭა მდიდარი არისტოკრატები, რომლებიც დივიდენდებსა და პენსიებს იღებენ შორეული აღმოსავლეთიდან, პროფესიულ მოსამსახურეთა და ვაჭართა ცოტა უფრო მნიშვნელოვანი ჯგუფით და შინამოსამსახურეთა და გადაზიდვის მრეწველობისა და ფაბრიკატების საბოლოოდ დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა უფრო დიდი რაოდენობით. მრეწველობის მთავარი დარგები კი გაქრებოდნენ, და მასობრივ საკვებ პროდუქტებს, მასობრივ ნახევრადფაბრიკატებს მიიღებდნენ, როგორც ხარკს, აზიიდან და აფრიკიდან». «აი რა შესაძლებლობებს გვისახავს დასავლეთი სახელმწიფოების უფრო ფართო კავშირი, დიდ სახელმწიფოთა ევროპის ფედერაცია: იგი არათუ წინ არ წასწევდა მსოფლიო ცივილიზაციის საქმეს, არამედ მომასწავებელი იქნებოდა დასავლეთის პარაზიტიზმის გიგანტური საფრთხისა: იმ მოწინავე სამრეწველო ერების ჯგუფის

გამოყოფისა, რომელთა უმაღლესი კლასები უდიდეს ხარკს იღებენ აზიიდან და აფრიკიდან და ამ ხარკის საშუალებით ინახავენ მოსამსახურეებისა და მსახურთა მოშინაურებულ დიდ მასებს, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან უკვე არა მასობრივი სამიწათმოქმედო და სამრეწველო პროდუქტების წარმოებით, არამედ პირადი სამსახურის გაწევით ან მეორეხარისხოვანი სამრეწველო მუშაობით ახალი ფინანსური არისტოკრატიის კონტროლით. დაე ისინი, ვინც მზადაა თავიდან მოიშოროს ასეთი თეორია» (უნდა ეთქვა: პერსპექტივა), «რომელიც განხილვის ღირსიც არაა, ჩაუფიქრდნენ თანამედროვე სამხრეთ ინგლისის იმ ოლქების ეკონომიურ და სოციალურ პირობებს, რომლებიც უკვე იმყოფებიან ასეთ მდგომარეობაში. დაე ისინი ჩაუფიქრდნენ, ასეთი სისტემის რარიგ უდიდესი გაფართოება იქნებოდა შესაძლებელი, ჩინეთი რომ დამორჩილებულ იქნეს ფინანსისტთა, «კაპიტალის მომთავსებელთა» (რანტიეთა), მათ პოლიტიკურ და სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა იმ ჯგუფების ეკონომიური კონტროლისადმი, რომლებიც მოგებას ქაჩავენ უდიდესი პოტენციური რეზერვუარიდან, როგორსაც კი ოდესმე იცნობდა მსოფლიო, ამ მოგების ევროპაში მოხმარების მიზნით. რა თქმა უნდა, სიტუაცია მეტად რთულია, მსოფლიო ძალთა თამაში მეტად ძნელი გასათვალისწინებელია, რომ ძალიან სარწმუნოდ ვაქციოთ მომავლის ასეთი თუ სხვა რომელიმე გაგება მხოლოდ ერთი მიმართულებით. მაგრამ ის გავლენანი, რომელნიც ამჟამად მართავენ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმს, აქეთ მიიმართებიან და, თუ ისინი წინააღმდეგობას არ წააწყდნენ, თუ ისინი სხვა მხრით არ იქნენ მიბრუნებულნი, ისინი პროცესის სწორედ ასეთი დაძთავრების მიმართულებით იმუშავებენ».

სოციალ-ლიბერალი ჰობსონი ვერ ხედავს, რომ ამ «წინააღმდეგობის» გაწევა შეუძლია მ ხ ო ლ ო დ რევოლუციურ პროლეტარიატს და მ ხ ო ლ ო დ სოციალური რევოლუციის სახით. ამიტომაც არის ის სოციალ-ლიბერალი

მაგრამ ის შესანიშნავად მიუდგა ჯერ კიდევ 1902 წელს «ევროპის შეერთებული შტატების» მნიშვნელობის საკითხსაც (კაუცკელ ტროცკის საყურადღებოდ!) და ყველაფერ იმას, რასაც ჩქმალავენ სხვადასხვა ქვეყნის პირმოთნე კაუცკელები, სახელდობრ: რომ ოპორტუნისტები (სოციალ-შოვინისტები) მუშაობენ იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან ერთად სწორედ იმ მიმართულებით, რათა შექმნან იმპერიალისტური ევროპა აზიისა და აფრიკის ზურგზე, რომ ოპორტუნისტები ობიექტურად წარმოადგენენ წვრილი ბურჟუაზიის და მუშათა კლასის ზოგიერთი ფენის ნაწილს, რომელიც მოსყიდულია იმპერიალისტური ზემოგების სახსრებით და გადაქცეულია კაპიტალიზმის მოდარაჯე ქოფაკებად, მუშათა მოძრაობის გამხრწნელებად.

სწორედ იმპერიალისტური ბურჟუაზიის ამ ეკონომიურ, ყველაზე მეტად ღრმა, კავშირს მუშათა მოძრაობაზე ამჟამად გამარჯვებულ (დიდი ხნით კი?) ოპორტუნიზმთან ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავდით, არა მარტო სტატიებში, არამედ ჩვენი პარტიის რეზოლუციებშიც. აქედან გამოგვყავდა ჩვენ, სხვათა შორის, სოციალ-შოვინიზმთან გათიშვის აუცილებლობა. ჩვენებური კაუცკელები ამჯობინებდნენ საკითხისათვის გვერდის ავლას! მარტოვი, მაგალითად, ჯერ კიდევ თავის რეფერატებში მიმართავდა სოფიზმს, რომელიც «ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთული სამდივნოს უწყებებში» [41] (№ 4, 1916 წლის 10 აპრილი) გამოთქმულია შემდეგნაირად:

——...«რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საქმე ძალიან ცუდად, უიმედოც კი იქნებოდა, რომ «ინტელიგენციასთან» თავისი გონებრივი განვითარებით ყველაზე მეტად დაახლოებული და ყველაზე მეტად კვალიფიციური მუშათა ჯგუფები ფატალურად მიდიოდნენ მისგან ოპორტუნიზმისაკენ»...

სულელური სიტყვის — «ფატალურის» საშუალებით და ერთგვარი «გაყალბებით» აქ გვერდი აქვს ავლილი

იმ ფაქტს, რომ მუშების განსაზღვრული ფენები ოპორტუნიზმისაკენ და იმპერიალისტური ბურჟუაზიისაკენ გადავიდნენ! ხოლო ორგანიზაციული კომიტეტის სოფისტებს სწორედ ის უნდათ, რომ ამ ფაქტს გვერდი აუარონ! ისინი თავს იძვრენენ იმ «კაზიონური ოპტიმიზმით», რომლითაც ამჟამად თავს იწონებს კაუცკელი ჰილფერდინგიც და მრავალი სხვაც: აქაო-და, ობიექტური პირობები პროლეტარიატის ერთიანობისა და რევოლუციური მიმდინარეობის გამარჯვების თავდებიაო! აქაო-და, ჩვენ პროლეტარიატის მიმართ «ოპტიმისტები» ვართო!

ნამდვილად კი ისინი, ყველა ეს კაუცკელები, ჰილფერდინგი, ოკისტები, მარტოვი და კომპანია — ოპტიმისტები არიან... ოპორტუნიზმის მიმართ. ამაშია დედაარსი!

პროლეტარიატი პირმშოა კაპიტალიზმისა — მსოფლიო კაპიტალიზმისა, და არა მარტო ევროპულისა და არა მარტო იმპერიალისტურისა. მსოფლიო მასშტაბით, 50 წლით ადრე თუ 50 წლით გვიან — ამ მასშტაბის თვალსაზრისით ეს კერძო საკითხია — «პროლეტარიატი», რა თქმა უნდა, ერთიანი «იქნება», და მასში «აუცილებლად» რევოლუციური სოციალ-დემოკრატია გაიმარჯვებს. საქმე ამაში კი არაა, ბატონო კაუცკელებო, არამედ იმაში, რომ თქვენ ამჟამად, ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნებში ლაქიობთ ოპორტუნისტების წინაშე, რომელნიც უცხონი არიან პროლეტარიატისათვის, როგორც კლასისათვის, რომელნიც ბურჟუაზიის მსახურნი, აგენტები, მისი გავლენის გამტარებლები არიან, და თუ მათგან არ იქნა განთავისუფლებული მუშათა მოძრაობა, იგი ბურჟუაზიულ მუშათა მოძრაობად დარჩება. თქვენი ქადაგება «ერთიანობისა» ოპორტუნისტებთან, ლეგინებთან და დავიდებთან, პლეხანოვებთან თუ ჩხენკელებთან და პოტრესოვებთან და სხვ. — ობიექტურად არის დაცვა მუშათა დამონებისა იმპერიალისტური ბურჟუაზიის მიერ მუშათა

მოძრაობაში მისი საუკეთესო აგენტების მეოხებით. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით აბსოლუტურად გარდუვალია, მაგრამ ის მიდის და წავა, ხდება და მოხდება მხოლოდ თქვენ წინააღმდეგ, ეს იქნება თქვენზე გამარჯვება.

იმ ორ ტენდენციას, ორ პარტიასაც კი თანამედროვე მუშათა მოძრაობაში, რომელნიც ასე აშკარად დასცილდნენ ერთმანეთს მთელ მსოფლიოში 1914 — 1916 წლებში, ენგელსი და მარქსი აღნიშნავდნენ ინგლისში მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში, დაახლოებით 1858-დან 1892 წლამდე.

ვერც მარქსი, ვერც ენგელსი ვერ მოესწრო მსოფლიო კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ეპოქას, რომელიც იწყება არა უადრეს 1898 — 1900 წლებისა. მაგრამ ინგლისის თავისებურებას უკვე XIX საუკუნის შუახანებიდან წარმოადგენდა ის, რომ იქ ყოველ შემთხვევაში არსებობდა იმპერიალიზმის ორი უდიდესი განმასხვავებელი თვისება მაინც: (1) თვალუწვდენი კოლონიები და (2) მონოპოლიური მოგება (მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის გამო). ორივე მხრივ ინგლისი მაშინ გამონაკლისი იყო კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, და ენგელსი და მარქსი, ანალიზს რომ უკეთებდნენ ამ გამონაკლისს, სრულიად გარკვევით და ნათლად აღნიშნავდნენ მის კავშირს ოპორტუნიზმის (დროებითს) გამარჯვებასთან ინგლისის მუშათა მოძრაობაში.

1858 წლის 7 ოქტომბრის წერილში მარქსისადმი ენგელსი წერდა: «ინგლისის პროლეტარიატი ფაქტიურად სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიულდება, ასე რომ ამ ყველაზე ბურჟუაზიულ ერს ყველა ერთა შორის, როგორც ჩანს, სურს ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ ბურჟუაზიის გვერდით ჰყავდეს ბურჟუაზიული არისტოკრატია და ბურჟუაზიული პროლეტარიატი. რა თქმა უნდა, ისეთი ერის მხრივ, რომელიც მთელი მსოფლიოს ექსპლოატაციას ეწევა, ეს რამდენადმე კანონზომიერია»[40]. 1872 წლის 21 სექტემბრის წერილში ზორგესადმი ენგელსი იუწყება,

რომ ჰეილზმა (**Hales**) ინტერნაციონალის ფედერალურ საბჭოში დიდი ალიაქოთი ატეხა და მარქსის გაკიცხვის ვოტუმი გაატარა მისი იმ სიტყვებისთვის, რომ «ინგლისის მუშათა ბელადები მიეყიდნენო». მარქსი სწერს ზორგეს 1874 წლის 4 აგვისტოს: «რაც შეეხება ქალაქის მუშებს აქ (ინგლისში), სამწუხაროა, რომ ბელადების მთელი ბანდა არ მოხვდა პარლამენტში. ეს ყველაზე ნამდვილი საშუალება იქნებოდა ამ არამზადებისაგან განთავისუფლებისათვის» [50]. ენგელსი 1881 წლის 11 აგვისტოს წერილში მარქსისადმი ლაპარაკობს «ინგლისის უცუდეს ტრედ-უნიონებზე, რომელნიც მათდამი ხელმძღვანელობის ნებას აძლევენ იმ ადამიანებს, რომლებიც ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულნი არიან ან ყოველ შემთხვევაში მისგან გასამრჯელოს იღებენ» [51]. 1882 წლის 12 სექტემბრის წერილში კაუცკისადმი ენგელსი წერდა: «თქვენ მეკითხებით, რას ფიქრობენ ინგლისელი მუშები კოლონიურ პოლიტიკაზე? იმასვე, რასაც ისინი ფიქრობენ პოლიტიკაზე საერთოდ. აქ არ არის მუშათა პარტია, არიან მხოლოდ კონსერვატიული და ლიბერალური რადიკალები, მუშები კი სრულიად არხეინად სარგებლობენ მათთან ერთად ინგლისის კოლონიური მონოპოლიით და მისი მონოპოლიით მსოფლიო ბაზარზე» [52].

1889 წლის 7 დეკემბერს ენგელსი სწერს ზორგეს: ...«ყველაზე უსაზიზღრესია აქ (ინგლისში) — მუშათა ძვალსა და რბილში გამჯდარი ბურჟუაზიული «დარბაისლობა» (**respectability**)... ტომ მანიც კი, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ მიმაჩნია, სიამოვნებით ლაპარაკობს იმაზე, რომ ის ისაუზმებს ლორდ-მერთან. როცა ადარებ ამას ფრანგებს, — ხედავ, თუ რას ნიშნავს რევოლუცია» [53]. 1890 წლის 19 აპრილის წერილში: «მოძრაობა (მუშათა კლასისა ინგლისში) წინ მიდის ზედაპირის ქ ვ ე შ, იპყრობს სულ უფრო ფართო ფენებს და ამასთანავე უმთავრესად აქამდე უძრავ ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ა ბ ა ლ (ხაზგასმა ენგელსისაა) მასაში, და შორს აღარ არის უკვე ის დღე, როცა ეს მასა ი პ ო ვ ი ს თ ა ვ ი ს თ ა ვ ს, როცა მისთვის ცხადი გახდება, რომ სწორედ თვი-

თონ იგი არის ეს უზარმაზარი მოძრავი მასა». 1891 წლის 4 მარტს: «დოკერთა დაშლილი კავშირის მარცხი, «ძველი», კონსერვატიული ტრედ-უნიონები, მ დ ი დ ა რ ნ ი და სწორედ ამიტომ მხდალნი, მარტონი რჩებიან ბრძოლის ველზე»... 1891 წლის 14 სექტემბერს: ტრედ-უნიონების ნიუ-კასტლის კონგრესზე დამარცხდნენ ძველი უნიონისტები, 8 საათიანი სამუშაო დღის მოწინააღმდეგენი, «და ბურჟუაზიული გაზეთები აღიარებენ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს დამარცხებას» (ხაზგასმა ყველგან ენგელსისაა)...[54]

ენგელსი რომ ამ აზრებს, რომელთაც იგი იმეორებდა ათეული წლების განმავლობაში, გამოთქვამდა საჯაროდაც, პრესაშიც, ამას ამტკიცებს მისი წინასიტყვაობა წიგნის — «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» 1892 წლის მეორე გამოცემისათვის[65]. აქ ლაპარაკია «არისტოკრატიაზე მუშათა კლასში», «მუშების პრივილეგიურ უმცირესობაზე» წინააღმდეგ «მუშათა ფართო მასისა». მუშათა კლასის მხოლოდ მარტოკა ამ «პატარა, პრივილეგიურ, დაცულ უმცირესობას» ჰქონდა «ხანგრძლივი სარგებლობა» ინგლისის პრივილეგიური მდგომარეობიდან 1848 — 1868 წლებში; «ფართო მასა უკეთეს შემთხვევაში სარგებლობდა მხოლოდ ხანმოკლე გაუმჯობესებით»... «ინგლისის სამრეწველო მონოპოლიის კრახთან ერთად ინგლისის მუშათა კლასი დაკარგავს თავის პრივილეგიურ მდგომარეობას»... «ახალ» უნიონთა, გაუწვრთნელი მუშების კავშირთა წევრებს «ერთი განუზომელი უპირატესობა აქვთ: მათი ფსიქიკა წარმოადგენს ჯერ კიდევ ხელუხლებელ ნიადაგს, სრულიად თავისუფალს მემკვიდრეობით გადმოცემულ, «საპატიო» ბურჟუაზიულ ცრურწმენათაგან, რომელნიც გზა-კვალს უბნევენ უკეთ მოწყობილ «ძველ უნიონისტებს»»... «ეგრეთწოდებულ მუშათა წარმომადგენლებს» ინგლისში იმ ადამიანებს უწოდებენ, «რომელთაც აპატიებენ იმას, რომ ისინი მუშათა კლასს ეკუთვნიან, აპატიებენ იმიტომ, რომ ისინი თვითონ მზად არიან ჩაახრჩონ ეს თავიანთი თვისება თავიანთი ლიბერალიზმის ოკეანეში»...

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ საკმაოდ დაწვრილებითი ამონაწერები მარქსისა და ენგელსის პირდაპირი განცხადებებიდან, რათა მკითხველებმა შეძლონ მათი მთლიანად შესწავლა. მათი შესწავლა კი საჭიროა, ღირს მათზე ყურადღებით ჩაფიქრება. ვინაიდან აქ არის თავი და თავი იმ ტაქტიკისა მუშათა მოძრაობაში, რომელსაც მას იმპერიალისტური ეპოქის ობიექტური პირობები უკარნახებენ.

კაუცკიმ აქაც სცადა უკვე «წყლის ამღვრევა» და მარქსიზმის შეცვლა ოპორტუნისტებთან ტკბილი შემთანხმებლობით. პოლემიკაში აშკარა და გულუბრყვილო სოციალ-იმპერიალისტებთან (როგორიცაა ლენჩი), რომელნიც ამართლებენ ომს გერმანიის მხრივ, როგორც ინგლისის მონოპოლიის დანგრევას, კაუცკი «ასწორებს» ამ აშკარა სიყალბეს მეორე იმდენადვე აშკარა სიყალბით. ცინიკური სიყალბის მაგიერ ის აყენებს მოშაქრულ სიყალბეს! ინგლისის სამრეწველო მონოპოლია დიდი ხანია მოტეხილია, — ამბობს ის, — დიდი ხანია დანგრეულია, დასანგრევი აქ არაფერია და არც შეიძლება მისი დანგრევაო.

რაშია ამ საბუთის სიყალბე?

იმაში, რომ, ჯერ-ერთი, გვერდავლილია ინგლისის კოლონიური მონოპოლია. ხოლო ენგელსმა, როგორც დავინახეთ, უკვე 1882 წელს, 34 წლის წინათ, სრულიად გარკვევით მიგვითითა ამაზე! თუ ინგლისის სამრეწველო მონოპოლია დანგრეულია, კოლონიური მონოპოლია არათუ დარჩა, არამედ მეტისმეტად გამწვავდა, ვინაიდან მთელი დედამიწა უკვე დანაწილებულია! თავისი მოშაქრული სიცრუის საშუალებით კაუცკი აპარებს ბურჟუაზიულ-პაციფისტურ და ოპორტუნისტულ-მეშჩანურ უბადრუკ იდეას, ვითომც «საომარი არაფერიაო». პირიქით, კაპიტალისტებს ახლა არათუ აქვთ მიზეზი ომისათვის, არამედ არც შეიძლება არ იომონ, თუკი სურთ კაპიტალიზმის შენარჩუნება, ვინაიდან კოლონიების ხელახალი ძალდატანებითი გადანაწილების გარეშე ახალი იმპერიალისტური ქვეყნები ვერ მიიღებენ იმ პრივილეგიებს, რომლებითაც უფრო ძველი

(და ნაკლებ ძლიერი) იმპერიალისტური სახელმწიფოები სარგებლობენ.

მეორე. რატომ არის, რომ ინგლისის მონოპოლიით აიხსნება ოპორტუნიზმის გამარჯვება (დროებით) ინგლისში? იმიტომ, რომ მონოპოლია იძლევა ზემოგებას, ე. ი. ნორმალურზე, მთელ მსოფლიოში არსებულ ჩვეულებრივ კაპიტალისტურ მოგებაზე გადამეტებულ მოგებას. ამ ზემოგებიდან კაპიტალისტებს შეუძლიათ გამეტონ ნაწილი (და არცთუ მცირედი ნაწილი!), რათა მოისყიდონ თავიანთი მუშები, შექმნან რაღაც კავშირის მსგავსი (გაიხსენეთ ინგლისის ტრედ-უნიონების განთქმული «ალიანსები» თავიანთ მეპატრონეებთან, აწერილი ვებების მიერ) — ამა თუ იმ ერის მუშათა ერთგვარი კავშირი თავიანთ კაპიტალისტებთან დანარჩენი ქვეყნების წინააღმდეგ. ინგლისის სამრეწველო მონოპოლია დაინგრა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს. ეს უდავოა. მაგრამ როგორ მოხდა ეს დანგრევა? ისე ხომ არა, რომ ყოველგვარი მონოპოლია გაქრა?

ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ კაუცკის შემარიგებლურ (ოპორტუნიზმთან) «თეორიას» ერთგვარი გამართლება ექნებოდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს ასე არ არის. იმპერიალიზმი არის მონოპოლისტური კაპიტალიზმი. თვითეული კარტელი, ტრესტი, სინდიკატი, თვითეული გიგანტურად დიდი ბანკი არის მონოპოლია. ზემოგება კი არ გამქრალა, იგი დარჩა. ერთი, პრივილეგიური, ფინანსურად მდიდარი ქვეყნის მიერ ყველა სხვა ქვეყნის ექსპლოატაცია დარჩა და გაძლიერდა. ერთმა მუჭა მდიდარმა ქვეყნებმა — ისინი სულ ოთხია, თუ ვილაპარაკებთ დამოუკიდებელ და მართლაც გიგანტურად დიდ, «თანამედროვე» სიმდიდრეზე: ინგლისი, საფრანგეთი, შეერთებული შტატები და გერმანია — ამ ერთმა მუჭა ქვეყნებმა განავითარეს მონოპოლიები უსაზღვრო მასშტაბით, ისინი ღებულობენ ზემოგებას ასეული მილიონების რაოდენობით, თუ მილიარდობით არა, «შემჯდარი» არიან სხვა ქვეყნების მოსახლეობის ასეული და

ასეული მილიონების «ზურგზე», იბრძვიან ურთიერთშორის განსაკუთრებით მდიდარი, განსაკუთრებით მსუქანი, განსაკუთრებით მშვიდი ნადავლის გასაყოფად.

სწორედ ამაშია ეკონომიური და პოლიტიკური არსი იმპერიალიზმისა, რომლის უღრმეს წინააღმდეგობებს კაუცკი კი არ ააშკარავებს, არამედ ჩქმალავს.

«დიდი» იმპერიალისტური სახელმწიფოს ბურჟუაზიას ეკონომიურად შეუძლია მოისყიდოს «თავისი» მუშების ზედაფენები, გაიღოს ამისათვის ასი-ორასი მილიონი ფრანკი წელიწადში, ვინაიდან მისი ზემოგება, ალბათ, მილიარდამდე ადის. და ის საკითხი, თუ როგორ იყოფა ეს პატარა მოწყალება მუშა-მინისტრთა, «მუშა-დეპუტატთა» (მოიგონეთ ამ ცნების შესანიშნავი ანალიზი, მოცემული ენგელსის მიერ), სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მონაწილე მუშათა, მუშა-მოხელეთა, ვიწრო-ამქრულ კავშირებში ორგანიზებულ მუშათა, მოსამსახურეთა და სხვათა და სხვათა შორის, — ეს უკვე მეორეხარისხოვანი საკითხია.

1848 — 1868 წლებში და ნაწილობრივ უფრო გვიანაც მონოპოლიით სარგებლობდა მხოლოდ ინგლისი; ამიტომ შეეძლო იქ ათეული წლების განმავლობაში გაემარჯვნა ოპორტუნიზმს; არც უმდიდრესი კოლონიების, არც სამრეწველო მონოპოლიის მქონე სხვა ქვეყნები არ არსებობდნენ.

XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედი იყო გადასვლა ახალ იმპერიალისტურ ეპოქაში. მონოპოლიით სარგებლობს ფინანსური კაპიტალი არა ერთი, არამედ რამდენიმე, ძალიან მცირერიცხოვანი, დიდი სახელმწიფოსი. (იაპონიასა და რუსეთში მონოპოლია სამხედრო ძალისა, თვალუწვდენი ტერიტორიისა, ანდა სხვა ერების, ჩინეთის და სხვათა ძარცვის განსაკუთრებული მოხერხებულობისა ნაწილობრივ ავსებს თანამედროვე, უახლესი ფინანსური კაპიტალის მონოპოლიას, ნაწილობრივ მის მაგივრობას სწევს). ამ განსხვავებიდან გამომდინარეობს ის, რომ ინგლისის მონოპოლია შესაძლებელი იყო უმეტოქეო ყოფილიყო ათეული

წლების განმავლობაში. თანამედროვე ფინანსური კაპიტალის მონოპოლიას გააფთრებით ექიშპებიან; დაიწყო იმპერიალისტური ომების ეპოქა. მაშინ ერთი ქვეყნის მუშათა კლასის მოსყიდვა და გახრწნა ათეული წლობით შეიძლებოდა. ახლა ეს წარმოუდგენელია, თითქმის შეუძლებელიცაა; სამაგიეროდ «მუშათა არისტოკრატიის» უფრო მცირე (ვიდრე ინგლისში 1848 — 1868 წლებში) ფენების მოსყიდვა შეუძლია და ამ მოსყიდვას კიდეც აწარმოებს თვითეული იმპერიალისტური «დიდი» სახელმწიფო. მაშინ «ბურჟუაზიული მუშათა პარტია», ენგელსის შესანიშნავი ღრმა გამოთქმით, შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ვინაიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა მონოპოლია, მაგრამ სამაგიეროდ დიდი ხნით. ახლა «ბურჟუაზიული მუშათა პარტია» აუცილებელი და ტიპიურია ყველა იმპერიალისტური ქვეყნისათვის, მაგრამ, მათი თავგანწირული ბრძოლის გამო ნადავლის გასაყოფად, წარმოუდგენელია, რომ ამგვარმა პარტიამ დიდი ხნით გაიმარჯვოს მთელ რიგ ქვეყნებში. ვინაიდან ტრესტები, ფინანსური ოლიგარქია, სიძვირე და სხვა, იძლევიან რა ერთი მუჭა ზედაფენების მოსყიდვის შესაძლებლობას, სულ უფრო ძლიერ აწვებიან, ჩაგრავენ, ღუპავენ და ტანჯავენ პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის მასას.

ერთი მხრივ, არის ბურჟუაზიისა და ოპორტუნისტების ტენდენცია — გადააქციონ ერთი მუჭა უმდიდრესი, პრივილეგიური ერები «სამუდამო» პარაზიტებად დანარჩენი კაცობრიობის სხეულზე, «განცხრომას მიეცნენ» ზანგების, ინდოელებისა და სხვათა ექსპლოატაციით, მორჩილებაში იყოლიონ ისინი საუცხოო გამანადგურებელი ტექნიკით აღჭურვილი უახლესი მილიტარიზმის საშუალებით. მეორე მხრივ, ტენდენცია მასებისა, რომელნიც წინანდელზე მეტად იჩაგრებიან და იმპერიალისტური ომების გამო მთელ ტანჯვა-წამებას განიცდიან, — მოიშორონ ეს უღელი, დაამხონ ბურჟუაზია. ახლა მუშათა მოძრაობის ისტორია აუცილებლად გაიშლება ბრძოლაში ამ ორ ტენდენციას შორის.

ვინაიდან პირველი ტენდენცია შემთხვევითი კი არაა, არამედ ეკონომიურად «დასაბუთებულია». ბურჟუაზიამ უკვე წარმოშვა, აღზარდა, უზრუნველყო თავისთვის სოციალ-შოვინისტების «ბურჟუაზიული მუშათა პარტიები» ყველა ქვეყანაში. განსხვავებანი, მაგალითად, იტალიაში ჩამოყალიბებულ ბისოლატის პარტიასა, რომელიც სავსებით სოციალ-იმპერიალისტურ პარტიას წარმოადგენს, და, ვთქვათ, პოტრესოვების, გვოზდიოვების, ბულკინების, ჩხეიძეების, სკობელევებისა და კომპანიის ნახევრადჩამოყალიბებულ თითქმის-პარტიას შორის, — ეს განსხვავებანი არსებითი არ არის. მნიშვნელოვანია ის, რომ მუშათა არისტოკრატიის ფენის მიკედლება ბურჟუაზიისადმი ეკონომიურად მომწიფდა და დასრულდა, ხოლო თავის ამა თუ იმ პოლიტიკურ ფორმას ეს ეკონომიური ფაქტი, ეს გადანაცვლება კლასთა შორის დამოკიდებულებაში — განსაკუთრებული «სიძნელის» გარეშე პოვებს.

აღნიშნულ ეკონომიურ საფუძველზე უახლესი კაპიტალიზმის პოლიტიკურმა დაწესებულებებმა — პრესამ, პარლამენტმა, კავშირებმა, ყრილობებმა და სხვ. — შექმნეს თავაზიან, უწყინარ, რეფორმისტულ და პატრიოტულ მოსამსახურეთა და მუშათათვის განკუთვნილი ეკონომიური პრივილეგიებისა და მოწყალებების შესაფერისი პოლიტიკური პრივილეგიები და მოწყალებანი. შემოსავლიანი და წყნარი ადგილები სამინისტროში თუ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში, პარლამენტში და სხვადასხვა კომისიაში, «დარბაისლური» ლეგალური გაზეთების რედაქციებში, ანდა არა ნაკლებ დარბაისლური «ბურჟუაზიულ-მორჩილი» მუშათა კავშირების გამგეობებში — აი რით იზიდავს და ასაჩუქრებს იმპერიალისტური ბურჟუაზია «ბურჟუაზიული მუშათა პარტიების» წარმომადგენლებსა და მომხრეებს.

პოლიტიკური დემოკრატიის მექანიკაც იმავე მიმართულებით მოქმედებს. უარჩევნებოდ ჩვენს დროში შეუძლებელია; უმასებოდ იოლად ვერ წახვალ, ხოლო მასებს წიგნის ბეჭდვისა და პარლამენტარიზმის ეპოქაში ვერ გაიყოლიებ,

თუ არა გაქვს ფართოდ განშტოებული, სისტემატურად გატარებული, მტკიცედ მოწყობილი სისტემა პირმოთნეობისა, სიცრუისა, თაღლითობისა, ახალმოდის და პოპულარული სიტყვებით ჟონგლიორობისა, ყოველგვარი რეფორმისა და სიკეთის დაპირებისა მარჯვნივ და მარცხნივ მუშებისათვის, — ოღონდ კი მათ უარი თქვან რევოლუციურ ბრძოლაზე ბურჟუაზიის დასამხობად. მე ამ სისტემას ვუწოდებდი ლოიდ-ჯორჯიზმს, «ბურჟუაზიული მუშათა პარტიის» კლასიკურ ქვეყანაში ამ სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე და მოხერხებული წარმომადგენლის, ინგლისის მინისტრ ლოიდ-ჯორჯის სახელის მიხედვით. ლოიდ-ჯორჯი, როგორც პირველხარისხოვანი ბურჟუაზიული საქმოსანი და პოლიტიკური გაიძვერა, პოპულარული ორატორი, რომელსაც შეუძლია წარმოთქვას როგორიც გნებავთ, თუგინდ რრრევოლუციური სიტყვებიც კი მუშათა აუდიტორიის წინაშე, რომელსაც შეუძლია გაატაროს მორჩილი მუშებისათვის გვარიანი მოწყალებანი სოციალური რეფორმების სახით (დაზღვევა და სხვ.), შესანიშნავად ემსახურება ბურჟუაზიას * და ემსახურება მას სწორედ მუშებს შ ო რ ი ს, ატარებს მის გავლენას ს წ ო რ ე დ პროლეტარიატში, იქ, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა და სადაც ყველაზე ძნელია მასების მორალურად დამორჩილება.

დიდია კი განსხვავება ლოიდ-ჯორჯსა და შეიდემანებსა, ლეგინებსა, ჰენდერსონებსა და ჰაინდმანებს, პლეხანოვებსა, რენოდელებსა და კომპ. შორის? უკანასკნელთაგან, — გვიჟასუხებენ ჩვენ, — ზოგიერთნი დაუბრუნდებიან მარქსის რევოლუციურ სოციალიზმსო. ეს შესაძლებელია, მაგრამ ეს — სრულიად უმნიშვნელო განსხვავებაა ოდენობის მხრივ, თუკი ავიღებთ საკითხს პოლიტიკური, ე. ი. მასობრივი მასშტაბით. ცალკეული პირნი ახლანდელი სოციალ-შოვინის-

* ამას წინათ ერთ ინგლისურ ჟურნალში მე შევხვდი ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ტორის სტატიას: «ლოიდ-ჯორჯი ტორის თვალსაზრისით». ომმა თვალი აუხილა ამ მოწინააღმდეგეს და დაანახვა, თუ რა ჩანებული ნოქარია ბურჟუაზიისა ეს ლოიდ-ჯორჯი! ტორები შეურიგდნენ მას!

ტური ბელადებიდან შეიძლება დაუბრუნდნენ პროლეტარიატს. მაგრამ სოციალ-შოვინისტური ან (რაც იგივეა) ოპორტუნისტული მიმდინარეობა არ შეიძლება არც გაქრეს, არც «დაუბრუნდეს» რევოლუციურ პროლეტარიატს. სადაც მუშათა შორის მარქსიზმი პოპულარულია, იქ ეს პოლიტიკური მიმდინარეობა, ეს «ბურჟუაზიული მუშათა პარტია», დაიწყებს ფიცს მარქსის სახელით. მათთვის ამის აკრძალვა შეუძლებელია, როგორც სავაჭრო ფირმას ვერ აუკრძალავ იხმაროს ყოველგვარი იარლიკი, აბრა, რეკლამა. ისტორიაში ყოველთვის მომხდარა, რომ ჩაგრულ კლასებში პოპულარული რევოლუციური ბელადების სახელების მითვისებას ცდილობდნენ მათი სიკვდილის შემდეგ მათი მტრები ჩაგრული კლასების მოსატყუებლად.

ფაქტია, რომ «ბურჟუაზიული მუშათა პარტიები», როგორც პოლიტიკური მოვლენა, შეიქმნენ უკვე ყველა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში, რომ გადამჭრელი, ულმობელი ბრძოლის გარეშე მთელი ხაზით ამ პარტიების წინააღმდეგ — ანდა, სულ ერთია, ჯგუფების, მიმდინარეობათა და სხვ. წინააღმდეგ — ლაპარაკიც კი არ შეიძლება არც იმპერიალიზმთან ბრძოლაზე, არც მარქსიზმზე, არც სოციალისტურ მუშათა მოძრაობაზე. ჩხეიძის ფრაქცია[56], «ნაშე დელო», «გოლოს ტრუდა»[57] რუსეთში და «ოკისტები» საზღვარგარეთ — ერთ-ერთი ასეთი პარტიის სახესხვაობაა და მეტი არაფერი. ჩვენ არა გვაქვს ოდნავი საფუძველიც კი ვიფიქროთ, რომ ეს პარტიები გაქრებიან სოციალურ რევოლუციამდე. პირიქით, რაც უფრო მოახლოვდება ეს რევოლუცია, რაც უფრო მძლავრად გაღვივდება ის, რაც უფრო მძაფრი და ძლიერი იქნება გადასვლები და ნახტომები მის პროცესში, მით უფრო მეტ როლს ითამაშებს მუშათა მოძრაობაში რევოლუციური — მასობრივი ნაკადის ბრძოლა ოპორტუნისტული — მეშჩანური ნაკადის წინააღმდეგ. ყაუცკელობა არ წარმოადგენს არავითარ დამოუკიდებელ მიმდინარეობას, რადგან მას არა აქვს ფესვები არც მასებში, არც ბურჟუაზიის მხარეზე გადასულ პრივილეგიურ ფენაში.

მაგრამ კაუცკელობის საფრთხე იმაშია, რომ ის, სარგებლობს რა წარსულის იდეოლოგიით, ცდილობს შეარიგოს პროლეტარიატი «ბურჟუაზიულ მუშათა პარტიასთან», დაიცვას პროლეტარიატის ერთიანობა ამ «პარტიასთან» და ამით აამაღლოს ამ უკანასკნელის ავტორიტეტი. აშკარა სოციალ-შოვინისტებს მასები უკვე აღარ მიჰყვებიან: ლოიდ-ჯორჯს ინგლისში მუშათა კრებებზე უსტვინეს, ჰაინდმანი პარტიიდან გავიდა, რენოდელებსა და შეიდემანებს, პოტრესოვებსა და გვოზდიოვებს პოლიცია იცავს. სოციალ-შოვინისტების შენიღბული დაცვა კაუცკელების მხრივ — ყველაზე უფრო საზიფათოა.

კაუცკელობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული სოფიზმია — «მასების» დამოწმება. ჩვენ არ გვინდა მასებს და მასობრივ ორგანიზაციებს მოვწყდეთო! მაგრამ ჩაუფიქრდით ენგელსის მიერ ამ საკითხის დაყენებას. ინგლისის ტრედ-უნიონების «მასობრივი ორგანიზაციები» XIX საუკუნეში ბურჟუაზიული მუშათა პარტიის მხარეზე იყვნენ. მაგრამ მარქსი და ენგელსი კი არ ურიგდებოდნენ ამ პარტიას ამის გამო, არამედ ამხელდნენ მას. ისინი არ ივიწყებდნენ (1), რომ ტრედ-უნიონების ორგანიზაციები უშუალოდ აერთიანებენ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს. მაშინაც ინგლისში და ახლაც გერმანიაში ორგანიზაციებში გაერთიანებულია პროლეტარიატის არა უმეტეს ერთი მეხუთედი. სერიოზულად ფიქრი იმაზე, რომ კაპიტალიზმის დროს შესაძლებელია ორგანიზაციებში მოქცეულ იქნეს პროლეტარების უმრავლესობა, ზედმეტია. მე-2, — და ეს მთავარია — საკითხი იმდენად ორგანიზაციის წევრთა რიცხვში კი არ არის, რამდენადაც მისი პოლიტიკის რეალურ, ობიექტურ მნიშვნელობაში: მასებს წარმოადგენს თუ არა ეს პოლიტიკა, ემსახურება თუ არა ის მასებს, ე. ი. მასების განთავისუფლებას კაპიტალიზმისაგან, თუ გამოხატავს უმცირესობის ინტერესებს, მის შერიგებას კაპიტალიზმთან? სწორედ უკანასკნელ მოვლენას ჰქონდა ადგილი

ინგლისში XIX საუკუნეში, — აქვს ადგილი ახლა გერმანიაში და სხვ.

ძ ვ ე ლ ი ტრედ-უნიონების «ბურჟუაზიული მუშათა პარტიისაგან», პრივილეგიური უმცირესობისაგან ენგელსი განასხვავებს «დ ა ბ ა ლ მასას», ნამდვილ უმრავლესობას, მიმართავს ამ უმრავლესობას, რომელიც «ბურჟუაზიული დარბაისლობით» ა რ დასნეულებულა. აი რაშია მარქსისტული ტაქტიკის დედაარსი!

ჩვენ არ შეგვიძლია — და არც არავის შეუძლია — იმის გათვალისწინება, თუ სახელდობრ პროლეტარიატის რომელი ნაწილი მიჰყვება და გაჰყვება სოციალ-შოვინისტებსა და ოპორტუნისტებს. ამას გვიჩვენებს მხოლოდ ბრძოლა, ამას საბოლოოდ გადაწყვეტს მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია. მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ «სამშობლოს დამცველნი» იმპერიალისტურ ომში წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ მხოლოდ უმცირესობას. და ამიტომ ჩვენი ვალია, თუ გვინდა დავრჩეთ სოციალისტებად, წავიდეთ უ ფ რ ო ქ ვ ე ვ ი თ და უ ფ რ ო ღ რ მ ა დ, ნამდვილ მასებთან: ამაშია ოპორტუნიზმთან ბრძოლის მთელი მნიშვნელობა და ამ ბრძოლის მთელი შინაარსი. ვამხილებთ რა, რომ ოპორტუნისტები და სოციალ-შოვინისტები საქმით ღალატობენ და ყიდიან მასების ინტერესებს, რომ ისინი იცავენ მუშათა უმცირესობის დროებითს პრივილეგიებს, რომ ისინი ატარებენ ბურჟუაზიულ იდეებს და გავლენას, რომ ისინი საქმით ბურჟუაზიის მოკავშირეები და აგენტები არიან, — ამით ჩვენ მასებს ვასწავლით შეიგნონ თავიანთი ნამდვილი პოლიტიკური ინტერესები, იბრძოლონ სოციალიზმისა და რევოლუციისათვის იმპერიალისტური ომებისა და იმპერიალისტური დროებითი დაზავების ყველა, ხანგრძლივი და მტანჯველი, პერიპეტიის გადალახვით.

ოპორტუნიზმთან გათიშვის აუცილებლობისა და საჭიროების ახსნა მასებისათვის, მათი აღზრდა რევოლუციისათვის ოპორტუნიზმთან ულმობელი ბრძოლით, ომის გამოცდილების მხედველობაში მიღება ნაციონალურ-ლიბერალური

მუშათა პოლიტიკის ყველა სისაძაგლის გამოსამქღავნებლად და არა მათთვის ხელის დასაფარებლად, — აი ერთადერთი მარქსისტული ხაზი მსოფლიოს მუშათა მოძრაობაში.

შემდგომ სტატიაში ჩვენ ვეცდებით შევაჯამოთ ამ ხაზის მთავარი განმასხვავებელი თავისებურებანი კაუცკელობისადმი დაპირისპირებით.

დაწერილია 1916 წ. ოქტომბერში

დაიბეჭდა 1916 წ. დეკემბერში
«სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება «სბორნიკის»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე 1916 წლის 4 ნოემბერს

ამას წინათ შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას პატივი ჰქონდა გამოეწვია დანიის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადის — ბატონი მინისტრის სტაუნინგის რისხვა. ამ უკანასკნელმა თავის ამა წლის 15 სექტემბრის წერილში მეორე — აგრეთვე quasi *-სოციალისტური — მინისტრის ვანდერველდეს სახელზე ამაყად განაცხადა, რომ «ჩვენ (დანიის პარტია) მკვეთრად და გარკვევით გავემიჯნეთ იმ ორგანიზაციულად საზიანო გამთიშველ მუშაობას, რომელსაც იტალიისა და შვეიცარიის პარტიების ინიციატივით ახორციელებს ეგრეთწოდებული ციმერვალდის მოძრაობაო».

მივესალმები რა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობას, მე ამას ჩავდივარ იმ იმედით, რომ ეს პარტია მომავალშიაც მხარს დაუჭერს რევოლუციური სოციალ-დემოკრატების საერთაშორისო გაერთიანებას, რომელიც დაიწყო ციმერვალდში და უნდა დამთავრდეს სოციალიზმის სრული გამოთიშვით მისი მინისტრული და სოციალ-პატრიოტული ვამცემლებისაგან.

* — ცრუ. რ ე დ.

ეს გათიშვა ახლოვდება განვითარებული კაპიტალიზმის ყველა ქვეყანაში. გერმანიაში კარლ ლიბკნეხტის თანამოაზრეს ამხ. ოტო რიულეს თავს დაესხნენ ოპორტუნისტები და ეგრეთწოდებული ცენტრი, როცა მან გერმანიის პარტიის ცენტრალურ ორგანოში განაცხადა, რომ გათიშვა აუცილებელი გახდაო («Vorwärts» *, 1916 წ. 12 იანვარი). მაგრამ ფაქტები უფრო და უფრო ნათლად ლაპარაკობენ იმის სასარგებლოდ, რომ ამხ. რიულე მართალი იყო, რომ გერმანიაში მართლაც ორი პარტია არსებობს: ერთი ეხმარება ბურჟუაზიასა და მთავრობას მძარცველური ომის წარმოებაში, მეორე, რომელიც თავის მუშაობას აჩაღებს უმთავრესად არალეგალურად, ავრცელებს ნამდვილ სოციალისტურ მოწოდებებს ნამდვილ მასებში, აწყობს მასობრივ დემონსტრაციებსა და პოლიტიკურ გაფიცვებს.

საფრანგეთში «საერთაშორისო კავშირურთიერთობის აღმდგენმა კომიტეტმა»[69] ამას წინათ გამოაქვეყნა ბროშურა: «ციმერვალდის სოციალისტები და ომი», რომელშიაც ვკითხულობთ, რომ საფრანგეთში პარტიის შიგნით განვითარდა სამი მთავარი მიმართულება. პირველი, რომელსაც ეკუთვნის უმრავლესობა, დაგმობილია ბროშურაში როგორც სოციალისტ-ნაციონალისტები, სოციალ-პატრიოტები, რომლებმაც «საღმრთო ერთობა» დაამყარეს ჩვენს კლასობრივ მტრებთან. მეორე მიმართულებას, ამ ბროშურის ცნობების მიხედვით, შეადგენს უმცირესობა; ესენი არიან დეპუტატების — ლონგეს და პრესმანის მომხრეები, რომელნიც უმნიშვნელოვანეს საკითხებში უმრავლესობასთან ერთად მიდიან და შეუგნებლად წყალს უშვებენ უმრავლესობის წისქვილზე, თავისკენ იზიდავენ უკმაყოფილო ელემენტებს მათი სოციალისტური სინდისის მიძინებით და აიძულებენ მათ გაჰყვნენ პარტიის ოფიციალურ პოლიტიკას. მესამე მიმართულებად ბროშურა ასახელებს ციმერვალდელებს. უკანასკნელნი აღიარებენ, რომ საფრანგეთი ომში ჩათრეულია

* — «წინ». რ ე დ.

არა გერმანიის მხრივ ომის გამოცხადებით, არამედ საკუთარი იმპერიალისტური პოლიტიკით, რომელმაც იგი ხელშეკრულებებითა და სესხებით მიაჯაჭვა რუსეთს. ეს მესამე მიმართულება არაორჭოფულად აღიარებს, რომ «ს ა მ შ ო ბ ლ ო ს დ ა ც ვ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ქ მ ე ა რ ა რ ი ს».

ასევეა ჩვენშიაც, რუსეთში, ისე როგორც ინგლისსა და ნეიტრალურ ამერიკის შეერთებულ შტატებში; ერთი სიტყვით, მთელ მსოფლიოში შეიქმნა არსებითად იგივე სამი მიმართულება. ამ მიმართულებათა შორის ბრძოლა განსაზღვრავს მუშათა მოძრაობის ბედს უახლოესი ხნისათვის.

ნება მომეცით რამდენიმე სიტყვით შევეხო კიდევ ერთ მუხლს, რომელზედაც ამხანად განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ და რომლის მხრივაც ჩვენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატებს, განსაკუთრებით მდიდარი გამოცდილება გვაქვს; ეს არის ტერორის საკითხი.

ჩვენ ჯერ არა გვაქვს არავითარი ცნობები ავსტრიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებზე, რომლებიც იქაც არსებობენ, მაგრამ რომელთა შესახებაც საზოგადოდ ფრიად მცირე ცნობები მოიპოვება. ამის გამო ჩვენ არ ვიცით, წარმოადგენს თუ არა ამხ. ფრიც ადლერის მიერ [59] შტიურგკის მოკვლა ტერორის გამოყენებას, როგორც ტაქტიკისა, რომელიც მდგომარეობს პოლიტიკურ მკვლელობათა სისტემატურ ორგანიზაციაში მასების რევოლუციურ ბრძოლასთან კავშირის გარეშე; თუ ეს მკვლელობა წარმოადგენს მხოლოდ ცალკეულ ნაბიჯს ავსტრიის ოფიციალური სოციალ-დემოკრატების ოპორტუნისტული არასოციალისტური ტაქტიკიდან, სამშობლოს დაცვიდან — რევოლუციური მასობრივი მოქმედების ტაქტიკაზე გადასასვლელად. ეს მეორე მოსაზრება, როგორც ჩანს, უფრო შეეფერება მდგომარეობას, და ამის გამო სრული სიმპათიის ღირსია ფრიც ადლერისადმი მისალმება, რომელიც წამოაყენა იტალიის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რომელიც გამოქვეყნდა «**Avanti!**»-ში * 29 ოქტომბერს.

* — «წინ!» რ ე დ.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთში რევოლუციისა და კონტრრევოლუციის გამოცდილებამ დაადასტურა 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ტერორის, როგორც ტაქტიკის, წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ბრძოლის სისწორე. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ულმობელ ბრძოლასთან ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც უარყოფდა ძალმომრეობის ყოველგვარ გამოყენებას ჩაგრული კლასების მხრივ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით ძალმომრეობის გამოყენებას როგორც მასობრივ ბრძოლაში, ისე ამ ბრძოლასთან დაკავშირებით. მეორე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენ დავუკავშირეთ შეიარაღებული აჯანყების მრავალწლიან პროპაგანდას, რომელიც დაიწყო მრავალი წლით ადრე 1905 წლის დეკემბრამდე. შეიარაღებულ აჯანყებაში ჩვენ ვხედავდით პროლეტარიატის არა მხოლოდ საუკეთესო პასუხს მთავრობის პოლიტიკაზე, არამედ ამასთანავე სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის კლასობრივი ბრძოლის განვითარების აუცილებელ შედეგსაც. მესამე, ჩვენ არ ვკმაყოფილდებოდით ძალადობის გამოყენების პრინციპული აღიარებით და შეიარაღებული აჯანყების პროპაგანდით. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ ოთხი წლით ადრე რევოლუციამდე ჩვენ მხარს ვუჭერდით ძალადობის გამოყენებას მასების მხრივ მათი მჩაგვრელების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ქუჩაში დემონსტრაციების დროს. ჩვენ ვცდილობდით, რომ თვითეული ასეთი დემონსტრაციის გაკვეთილი შეეთვისებინა მთელ ჩვენს ქვეყანას. ჩვენ სულ უფრო მეტად დავიწყეთ ფიქრი იმაზე, რომ მოგვეწყო მასების მედგარი და სისტემატური წინააღმდეგობა პოლიციისა და არმიისადმი, რომ ამ წინააღმდეგობის საშუალებით არმიის რაც შეიძლება მეტი ნაწილი ჩაგვება პროლეტარიატსა და მთავრობას შორის ბრძოლაში, რომ ჩაგვება გლეხობა და ჯარი ამ ბრძოლაში შეგნებულ მონაწილედ. აი ის ტაქტიკა, რომელსაც ჩვენ ვიყენებდით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძო-

ლაში და რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, წარმატებით დაგვირგვინდა.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო, ჩემი მისალმების განმეორებით შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობისადმი და თქვენი მუშაობის წარმატების სურვილით. (ტ ა შ ი).

დაიბეჭდა 1916 წ. წიგნში: **«Protokoll über die Verhandlungen des Parteitages der Sozialdemokratischen Partei der Schweiz vom 4. und 5. November 1916 abgehalten im Gesellschaftshaus «z. Kaufleuten» in Zürich»**

ბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 4 (27)

სეპარატიული ზავის შესახებ

რუსეთსა და გერმანიას შორის უკვე წარმოებს მოლაპარაკება სეპარატიული ზავის შესახებ. ეს მოლაპარაკება ოფიციალურია, და უმთავრესში ორივე სახელმწიფო უკვე შეთანხმდა.

ასეთი განცხადება იყო ამას წინათ დაბეჭდილი ბერნის სოციალისტურ გაზეთში, თანახმად მის განკარგულებაში არსებული ცნობებისა. და როცა რუსეთის საელჩო ბერნში გამოვიდა სასწრაფო ოფიციალური უარყოფით, ხოლო ფრანგმა შოვინისტებმა ამ ხმების გავრცელება იმას მიაწერეს, რომ «გერმანელი საქმეს აფუჭებსო», სოციალისტურმა გაზეთმა უარი თქვა მიეცა რაიმე მნიშვნელობა უარყოფისათვის და თავისი განცხადების დასადასტურებლად მიმართა კიდევ იმ ფაქტს, რომ შვეიცარიაში სწორედ ამჟამად იმყოფებიან როგორც გერმანიის (ბიულოვი), ისე რუსეთის «სახელმწიფო კაცები» (შტიურმერი, გირსი და ერთი დიპლომატი, ჩამოსული ესპანეთიდან) და რომ შვეიცარიის სავაჭრო წრეებში მოიპოვება ანალოგიური დადებითი ცნობები რუსეთის სავაჭრო წრეებიდან.

რასაკვირველია, ერთნაირად შესაძლებელია მოტყუება რუსეთის მხრიდანაც, რომელსაც არ შეუძლია აღიაროს მოლაპარაკების წარმოება სეპარატიული ზავის შესახებ, და გერმანიის მხრიდანაც, რომელსაც არ შეუძლია არ ეცადოს

ინგლისთან რუსეთის წაკიდებას დამოუკიდებლად იმისა, წარმოებს თუ არა მოლაპარაკება და რამდენად წარმატებით.

სეპარატიული ზავის საკითხში რომ გავერკვეთ, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ არა ხმებსა და ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ხდება ამჟამად შვეიცარიაში და რისი შემოწმებაც არსებითად შეუძლებელია, არამედ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლების პოლიტიკის ურყევად დადასტურებულ ფაქტებს. დაე ბატონები პლეხანოვი, ჩხენკელი, პოტრესოვი და კომპანია, რომელნიც ამჟამად პურიშკევიჩთან და მილიუკოვთან თამაშობენ მომარქსისტე ლაქიებისა თუ მასხარების როლს, ოფლში იწურებოდნენ იმის მტკიცებით, რომ «დამნაშავეა გერმანია» და რომ რუსეთის მხრივ ომს აქვს «თავდაცვითი ხასიათი», — ამ მასხარებს შეგნებული მუშები არც უსმენდნენ და არც უსმენენ. ომი წარმოშვა დიდ სახელმწიფოთა შორის იმპერიალისტურმა ურთიერთობამ, ე. ი. ბრძოლამ ნადავლის გაყოფისათვის, იმისათვის, თუ ვინ გადაყლაპოს ესა და ეს კოლონიები და წვრილი სახელმწიფოები; ამასთან პირველ ადგილზე ამ ომში დგას ორი შეჯახება. პირველი — ინგლისსა და გერმანიას შორის. მეორე — გერმანიასა და რუსეთს შორის. ეს სამი დიდი სახელმწიფო, ეს სამი დიდი ყაჩაღი დიდ შარაგზაზე მთავარი ძალებია ახლანდელ ომში, დანარჩენები — არადამოუკიდებელი მოკავშირეები არიან.

ორივე შეჯახება მზადდებოდა ამ სახელმწიფოთა მთელი პოლიტიკით რამდენიმე ათეული წლების მანძილზე ომის დაწყებამდე. ინგლისი ომობს იმისათვის, რომ გაძარცვოს გერმანიის კოლონიები და გაანადგუროს თავისი მთავარი კონკურენტი, რომელიც ულმობლად ურტყამდა მას თავისი შესანიშნავი ტექნიკით, ორგანიზაციით, სავაჭრო ენერგიით, ამარცხებდა და დაამარცხა ისე, რომ უომრად ინგლისს არ შეეძლო დაეცვა თავისი მსოფლიო ბატონობა. გერმანია ომობს იმიტომ, რომ მისი კაპიტალისტები თავს თვლიან — და სრულიად სამართლიანად — «წმინდა» ბურჟუაზიული უფლების მქონედ მსოფლიო პირ-

ველობაზე კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ძარცვაში, კერძოდ, ომობს ბალკანეთის ქვეყნებისა და თურქეთის დასამორჩილებლად. რუსეთი ომობს გალიციისათვის, რომლის ფლობა მას ესაჭიროება განსაკუთრებით უკრაინელი ხალხის დასახრჩობად (გალიციის გარდა ამ ხალხს არა აქვს და არც შეიძლება ექნეს თავისუფლების კუთხე, რაღა თქმა უნდა, შედარებითი თავისუფლებისა), ომობს სომხეთისა და კონსტანტინოპოლისათვის, შემდეგ აგრეთვე ბალკანეთის ქვეყნების დასამორჩილებლად.

რუსეთისა და გერმანიის ყაჩაღური «ინტერესების» შეჯახებასთან ერთად არსებობს არა ნაკლებ — თუ მეტი არა — ღრმა შეჯახება რუსეთსა და ინგლისს შორის. რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ამოცანა, რომელსაც განსაზღვრავს დიდ სახელმწიფოთა საუკუნეობრივი ქიშპობა და ობიექტური საერთაშორისო თანაფარდობა, შეიძლება მოკლედ ასე გამოითქვას: ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით დაამარცხოს ევროპაში გერმანია, რათა გაძარცვოს ავსტრია (წაართვას გალიცია) და თურქეთი (წაართვას სომხეთი და განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლი). შემდეგ კი იაპონიისა და ი მ ა ვ ე გერმანიის დახმარებით დაამარცხოს ინგლისი აზიაში, რათა წაართვას მ თ ე ლ ი სპარსეთი, ბოლომდე მიიყვანოს ჩინეთის დანაწილება და სხვ.

კონსტანტინოპოლის დაპყრობასაც და აზიის სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილის დაპყრობასაც ცარიზმი საუკუნეების მანძილზე ესწრაფვის, რისთვისაც სისტემატურად ატარებს სათანადო პოლიტიკას და ამისათვის იყენებს ყოველგვარ წინააღმდეგობასა და შეჯახებას დიდ სახელმწიფოთა შორის. ინგლისი გამოდიოდა ამ მისწრაფებათა უფრო ხანგრძლივ, უფრო შეუპოვარ და უფრო ძლიერ მოწინააღმდეგედ, ვიდრე გერმანია. 1878 წლიდან, როცა რუსეთის ჯარები კონსტანტინოპოლს უახლოვდებოდნენ, ხოლო ინგლისის ფლოტი გაჩნდა დარდანელის წინ და ემუქრებოდა რუსებს დახვრეტით, როგორც კი ისინი «ცარგრადში» გამოჩნდებოდნენ, — 1885 წლამდე, როცა რუსეთი ბეწვზე ეკიდა ინგლისთან ომისა-

განშუა აზიაში ნადავლის გაყოფისათვის (ავღანისტანი; რუსეთის ჯარების მოძრაობა შუა აზიის სიღრმეში ემუქრებოდა ინგლისელების ბატონობას ინდოეთში) — და 1902 წლამდე, როცა ინგლისმა კავშირი შეკრა იაპონიასთან. ამზადებდა რა მის ომს რუსეთის წინააღმდეგ, — მთელი ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინგლისი იყო უძლიერესი მტერი რუსეთის ყაჩაღური პოლიტიკისა, იმიტომ რომ რუსეთი იმუქრებოდა ძირი გამოეთხარა ინგლისის ბატონობისათვის მთელ რიგ უცხო ხალხებზე.

ახლა კი? შეხედეთ, რა ხდება ახლანდელ ომში. აუტანელია მოსმენა «სოციალისტებისა», რომელნიც პროლეტარიატისგან ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ და ლაყბობენ რუსეთის მხრივ ამ ომში «სამშობლოს დაცვის» ან «ქვეყნის ხსნის» შესახებ (ჩხეიძე). აუტანელია მოსმენა მოთაფლული კაუცკისა და კომპანიისა, რომელნიც დემოკრატიულ ზავზე ლაყბობენ ისე, თითქოს ამ ზავის შეკვრა შ ე ე ძ ლ ო თ ახლანდელ და საერთოდ ბურჟუაზიულ მთავრობებს. ვინაიდან სინამდვილეში ეს მთავრობები გახვეულნი არიან ს ა ი დ უ მ ლ ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა თ ა ბადეში ურთიერთშორის, თავიანთ მოკავშირეებთან და თავიანთი მოკავშირეების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ; ამასთან ამ ხელშეკრულებათა შინაარსი განსაზღვრულია არა შემთხვევით, არა მხოლოდ «ბოროტი ნებით», არამედ დამოკიდებულია იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის მთელ მსვლელობასა და განვითარებაზე. ის «სოციალისტები», რომელნიც მუშებს თვალს უხვევენ და გონებას უბნელებენ გაცვეთილი ფრაზებით კარგ საგნებზე საზოგადოდ (სამშობლოს დაცვა, დემოკრატიული ზავი), ა რ ა ა შ კ ა რ ა ვ ებ ენ რ ა თ ა ვ ი ა ნ თ მთავრობათა ს ა ი დ უ მ ლ ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ებ ს სხვისი ქვეყნების გაძარცვის შესახებ, — ასეთი «სოციალისტები» სავსებით ღალატობენ სოციალიზმს.

როგორც გერმანიის, ისე ინგლისის და რუსეთის მთავრობისათვის მხოლოდ სასარგებლოა, რომ სოციალისტების ბანა-

კიდან გაისმოდეს სიტყვები კეთილი ზავის შესახებ, ვინაიდან ამით, ჯერ-ერთი, უნერგავენ თანამედროვე მთავრობის დროს ასეთი ზავის შესაძლებლობის რწმენას, ხოლო, მეორე, ყურადღებას აცილებენ იმავე მთავრობათა ყაჩაღურ პოლიტიკას.

ომი არის პოლიტიკის განგრძობა. პოლიტიკაც აგრეთვე «გრძელდება» ომის დროს! გერმანიას აქვს საიდუმლო ხელშეკრულებანი ბულგარეთსა და ავსტრიასთან ნადავლის გაყოფის შესახებ და განაგრძობს ასეთი მოლაპარაკების წარმოებას. რუსეთს აქვს საიდუმლო ხელშეკრულებანი ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვ., და ყველა ისინი შეეხებიან ყაჩაღობასა და ძარცვას, გერმანიის კოლონიების ძარცვას, ავსტრიის ძარცვას, თურქეთის დანაწილებას და სხვ.

«სოციალისტი», რომელიც საქმის ამგვარი მდგომარეობის დროს ხალხებსა და მთავრობებს ელაპარაკება კეთილი ზავის შესახებ, სავსებით ემსგავსება იმ ხუცესს, რომელიც თავის წინ ეკლესიაში პირველ ადგილებზე ხედავს საროსკიპო სახლის პატრონ დედაკაცს და უბნის ბოქაულს, ერთმანეთთან შეთანხმებულნი რომ არიან, და «უქადაგებს» იმათ და ხალხს მოყვასის სიყვარულსა და ქრისტიანული მცნებების დაცვას.

რუსეთსა და ინგლისს შორის, უეჭველია, არის საიდუმლო ხელშეკრულება, სხვათა შორის, კონსტანტინოპოლის შესახებ. ცნობილია, რომ რუსეთს იმედი აქვს იგი მიიღოს, და რომ ინგლისს არ უნდა იგი მისცეს, ხოლო თუ მისცემს, ეცდება შემდეგში ან წაართვას, ანდა «დათმობას» ისეთ პირობებს წარუმძღვარებს, რომლებიც მიმართული იქნება რუსეთის წინააღმდეგ. საიდუმლო ხელშეკრულების ტექსტი არ არის ცნობილი, მაგრამ რომ ბრძოლა ინგლისსა და რუსეთს შორის წარმოებს სწორედ ამ საკითხის ირგვლივ, წარმოებს ამჟამადაც, ეს არა მხოლოდ ცნობილია, არამედ ოდნავ ეჭვსაც კი არ იწვევს. იმავე დროს ცნობილია, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის, დამატებით მათი ადრინდელი ხელშეკრულებებისა (მაგალითად, 1910 წლის ხელშეკრულებისა, რომელიც იაპონიას კორეის «შესანსვლის» სა-

შუალებას აძლევს, ხოლო რუსეთს — მონღოლეთის შესანსვლისას), დადებულია უკვე ახლანდელი ომის დროს ახალი საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია არა მარტო ჩინეთის წინააღმდეგ, არამედ რამდენადმე ინგლისის წინააღმდეგაც. ეს უდავოა, თუმცა ხელშეკრულების ტექსტი ცნობილი არ არის. იაპონიამ ინგლისის დახმარებით დაამარცხა 1904—1905 წელს რუსეთი და ახლა ფრთხილად ამზადებს შესაძლებლობას რუსეთის დახმარებით დაამარცხოს ინგლისი.

რუსეთის «მმართველ სფეროებში» — ნიკოლოზ პირსისხლიანის სასახლის ხროვაში, თავადაზნაურობაში, არმიაში და სხვ.—არის გერმანოფილური პარტია. გერმანიაში უკანასკნელ დროს მთელი ხაზის გასწვრივ ჩანს ბურჟუაზიის (და მასთან ერთად სოციალისტ-შოვინისტების) მობრუნება რუსოფილობისაკენ, რუსეთთან სეპარატიული ზავის შეკვრისაკენ, იმისაკენ, რომ რუსეთის გული მოიგონ და მთელი ძალღონით დაარტყან ინგლისს. გერმანიის მხრივ ეს გეგმა ცხადია და ეჭვებს არ იწვევს. რუსეთის მხრივ საქმე ასეა: ცარიზმს ურჩევნია, რა თქმა უნდა, ჯერ გერმანიის სრული დამარცხება, რომ «ხელში ჩაიგდოს» რაც შეიძლება მეტი, მთელი გალიციაც, მთელი პოლონეთიც, მთელი სომხეთიც, კონსტანტინოპოლიც, «ჩაკლას» ავსტრიაც და სხვა. მაშინ უფრო მოსახერხებელი იქნება, იაპონიის დახმარებით, ინგლისის წინააღმდეგ მიბრუნება. მაგრამ, როგორც ჩანს, ძალა არ ჰყოფნის. ეს არის მთავარი.

თუ ყოფილი სოციალისტი ბატონი პლეხანოვი საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს რუსეთის რეაქციონერებს სურდეთ საზოგადოდ გერმანიასთან ზავი, ხოლო «პროგრესულ ბურჟუაზიას» — «პრუსიის მილიტარიზმის» დანგრევა და «დემოკრატიულ» ინგლისთან შეგობრობა, ეს ბავშვური ზღაპარია, შეფარდებული პოლიტიკური ბალღების დონესთან. სინამდვილეში როგორც ცარიზმს, ისე ყველა რეაქციონერს რუსეთში, აგრეთვე მთელ «პროგრესულ» ბურჟუაზიას (ოქტიაბრისტებსა და კადეტებს) სურთ ერთი რამ:

გაძარცვონ ევროპაში გერმანია, ავსტრია და თურქეთი, — დაამარცხონ ინგლისი აზიაში (წაართვან მთელი სპარსეთი, მთელი მონღოლეთი, მთელი ტიბეტი და სხვ.). დავა წარმოებს ამ «კეთილ მეგობრებს» შორის მხოლოდ იმისათვის, როდის და როგორ მიბრუნდნენ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლიდან ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მხოლოდ იმისათვის, როდის და როგორ!

კეთილ მეგობრებს შორის ამ ერთადერთი სადავო საკითხის გადაწყვეტა კი დამოკიდებულია სამხედრო და დიპლომატიურ მოსაზრებებზე, რომელნიც სავსებით ცნობილია მარტო მეფის მთავრობისათვის, ხოლო მილიუკოვებმა და გუჩკოვებმა ამ მოსაზრებათა მხოლოდ ერთი მეოთხედი იციან.

წაართვას მთელი პოლონეთი გერმანიასა და ავსტრიას! ცარიზმი ამის მომხრეა, მაგრამ ეყოფა კი ძალები? დართავს კი ნებას ინგლისი?

წაართვას კონსტანტინოპოლი და სრუტეები! ჩაკლას და დააქუცმაცოს ავსტრია! ცარიზმი სავსებით ამის მომხრეა. მაგრამ ეყოფა კი ძალები? დართავს კი ნებას ინგლისი?

ცარიზმმა იცის, თუ სახელდობრ რამდენი მილიონი ჯარისკაცი დაიხოცა და რამდენის წაყვანა შეიძლება კიდევ ხალხიდან, სახელდობრ რამდენი ტყვია-წამალი იხარჯება და რამდენი შეიძლება კიდევ დაემატოს (იაპონია ჩინეთთან მოსალოდნელი და სრულიად შესაძლებელი ომის შემთხვევაში არ მისცემს მეტ ჭურვებს!). ცარიზმმა იცის, როგორ წარმოებდა და როგორ მიმდინარეობს ახლა მისი საიდუმლო მოლაპარაკება კონსტანტინოპოლის შესახებ ინგლისთან, იცის ინგლისის ჯარების ძლიერება სალონიკში, მესოპოტამიაში და სხვა. ცარიზმმა იცის ყველაფერი ეს, ხელთა აქვს ყველა ცნობები და ანგარიშობს ზუსტად, — რამდენადაც შესაძლებელია ზუსტი ცოდნა საზოგადოდ ასეთ საქმეებში, სადაც საეჭვოსა და არასარწმუნოს როლი, «სამხედრო ბედნიერების» როლი განსაკუთრებით დიდია.

მილიუკოვები და გუჩკოვები კი, რაც უფრო ცოტა იციან, მით უფრო მეტს ლაყბობენ ტყუილ-უბრალოდ. ხოლო პლეხანოვებმა, ჩხენკელებმა, პოტრესოვებმა სრულიად არაფერი იციან ცარიზმის საიდუმლო გარიგებათა შესახებ, ისინი იმასაც კი ივიწყებენ, რაც ადრე იცოდნენ, არ სწავლობენ იმას, რისი ცოდნაც შეიძლება უცხოეთის პრესიდან, ღრმად არ წვდებიან ცარიზმის საგარეო პოლიტიკის მსვლელობას ომამდე, არ ადევნებენ თვალყურს მ ი ს მიმდინარეობას ომის დროს და ამიტომ ისინი მხოლოდ სოციალისტური ნაცარქექიების როლს თამაშობენ.

თუ ცარიზმი დარწმუნდა, რომ, ლიბერალური საზოგადოების მხრივ ყოველივე დახმარების მიუხედავად, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მთელი გულმოდგინების მიუხედავად, ბატონი პლეხანოვების, გვოზდიოვების, პოტრესოვების, ბულკინების, ჩირკინების, ჩხეიძეების (საქმე «ქვეყნის ხსნას» შეეხება, ხუმრობა არ გეგონოთ!), კროპოტკინებისა და სხვა ხროვის მხრივ ჭურვების გამრავლების კეთილშობილური საქმისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობის მიუხედავად, — თუ კი ყოველივე ამის დროს და ყველა შესაძლებელ და ომში ჩაბმულ მოკავშირეთა სამხედრო ძალების (ანდა სამხედრო უძლურების) ახლანდელი მდგომარეობის დროს შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მეტის მიღწევა, შეუძლებელია გერმანიის უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ა დ დამარცხება, ანდა ეს განუზომლად ძვირი ჯდება (მაგალითად, ჯდება კ ი დ ე ვ რუსეთის ჯარისკაცთა ათეული მილიონის დაკარგვად, რომელთა გაწვევაზე, გაწვრთნასა და შეიარაღებაზე საჭიროა კიდევ ამდენი და ამდენი მილიარდები და ამდენი და ამდენი წლის ომი), მაშინ ცარიზმს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ა რ ე ძ ი ო ს სეპარატიული ზავი გერმანიასთან.

თუ კი «ჩვენ» გამოვეკიდებით ერთობ დიდ ნადავლს ევროპაში, მაშინ «ჩვენ» შეიძლება საბოლოოდ დავასუსტოთ «ჩვენი» სამხედრო რესურსები, თითქმის ვერაფერი მივიღოთ ევროპაში და დავკარგოთ იმის შესაძლებლობა, რომ აზიაში მივიღოთ «ჩვენი წილი» — ასე მსჯელობს ცარიზმი და მსჯელობს ს წ ო რ ა დ იმპერიალისტური ინტერესების თვალსა-

ზრისით. მსჯელობს უ ფ რ ო ს წ ო რ ა დ, ვიდრე ბურჟუაზიული და ოპორტუნისტული მოლაყბეები მილიუკოვები, პლეხანოვები, გუჩკოვები, პოტრესოვები.

თუ ევროპაში მეტის მიღება არ შეიძლება მას შემდეგაც კი, რაც შევიერთებთ რუმინეთსა და საბერძნეთს (რომლისგანაც «ჩვენ» წავიღეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო), მაშინ ავიღოთ ის, რისი აღებაც შეიძლება! ინგლისს ახლა «ჩვენთვის» არაფრის მოცემა ა რ შ ე უ ძ ლ ი ა. გერმანიამ, შეიძლება, ჩვენ უკანვე მოგვცეს კურლანდიაც და პოლონეთის ნაწილიც, და, უეჭველად, აღმოსავლეთი გალიცია, — ეს «ჩვენთვის» განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ჩავახრჩოთ უკრაინის მოძრაობა, მრავალმილიონიანი, ისტორიულად ჯერ კიდევ დღემდე მძინარი ხალხის მოძრაობა თავისუფლებისა და მშობლიური ენისაკენ, — ალბათ აგრეთვე თურქეთის სომხეთიც. თუ ამას ა ხ ლ ა ვ ე ავიღებთ, ჩვენ შეგვიძლია გამოვიდეთ ომიდან გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ უ ლ ი; მაშინ ხ ვ ა ლ ჩვენ იაპონიისა და გერმანიის დახმარებით, ჭკუიანი პოლიტიკის მეოხებით და მილიუკოვების, პლეხანოვებისა და პოტრესოვების შემდგომი დახმარებით საყვარელი «სამშობლოს» «ხსნის» საქმეში, შევძლებთ ინგლისის წინააღმდეგ ომით მივიღოთ აზიის კარგი ნაჭერი (მთელი სპარსეთი და სპარსეთის უბე ღია ოკეანეში გასასვლელით, და არა ისე, როგორც კონსტანტინოპოლში, სადაც გასასვლელი არის მხოლოდ ხმელთაშუა ზღვაში, და ისიც კუნძულებით, რომლებიც ადვილად შეუძლია აიღოს და გაამაგროს ინგლისმა, რითაც ის წაგვართმევს . «ჩვენ» ყოველგვარ გასასვლელს თავისუფალი ზღვისაკენ) და სხვ.

სწორედ ასე მსჯელობს ცარიზმი, და, ვიმეორებთ, ის მსჯელობს სწორად არა მარტო ვიწრო-მონარქიული, არამედ საერთო-იმპერიალისტური თვალსაზრისითაც; მან მეტი იცის და უფრო შორს ხედავს, ვიდრე ლიბერალები და პლეხანოვები პოტრესოვებთან ერთად.

ამიტომ სავსებით შესაძლებელია, ხვალ ან ზეგ გავიღვიძოთ და მივიღოთ სამი მონარქის მანიფესტი: «ყურად ვიღეთ რა საყვარელ ხალხთა ნება-სურვილი, გადავწყვიტეთ გავაბედნი-

ეროთ ისინი მშვიდობის სიკეთით, დავამყაროთ დროებითი ზავი და მოვიწვიოთ საერთო-ევროპული საზავო კონგრესი». სამ მონარქს შეუძლია ამასთანავე მოსწრებულად იოხუნჯოს, თუ კი გაიმეორებენ რამდენიმე ნაწყვეტს ვანდერველდეს, პლეხანოვისა და კაუცკის ფრაზებიდან: ჩვენ «გპირდებით», — დაპირება არის ერთადერთი საგანი, რომელიც იაფია საშინელი სიძვირის დროსაც კი, — განვიხილოთ შეიარაღების შემცირებისა და «მუდმივი» მშვიდობის საკითხიო და სხვ.. ვანდერველდე, პლეხანოვი და კაუცკი მამლაყინწასავით გაიქცევიან, რათა მოაწყონ თავიანთი «სოციალისტების» კონგრესი იმავე ქალაქში, სადაც ექნება სხდომები საზავო კონგრესს; კეთილი სურვილები, მოთაფლული ფრაზები, დარწმუნებანი «სამშობლოს დაცვის» აუცილებლობის შესახებ გაუთავებლად წარმოითქმება ყველა ენაზე. ვითარება ცუდი არ იქნება, რათა დაფარონ გადასვლა ინგლის-რუსეთის იმპერიალისტური კავშირიდან გერმანიის წინააღმდეგ, — გერმანია-რუსეთის ასეთსავე კავშირზე ინგლისის წინააღმდეგ!

გათავდება თუ არა ეს ომი ამგვარად სულ ახლო მომავალში, თუ რუსეთი რამდენადმე უფრო მეტხანს «გამაგრდება» გერმანიაზე გამარჯვებისა და ავსტრიის რაც შეიძლება მეტი გაძარცვის სურვილით გატაცებული, ითამაშებს თუ არა სეპარატიულ ზავზე მოლაპარაკება მოხერხებული შანტაჟისტის მანევრის როლს (ცარიზმი უჩვენებს ინგლისს გერმანიასთან დასადები ხელშეკრულების მზა პროექტს და ეტყვის: ამდენი და ამდენი მილიარდი მანეთი და ასეთი და ასეთი დათმობანი ან გარანტიები მომეცი, თუ არა და ხვალ ამ ხელშეკრულებას ხელს მოვაწერო), — ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი იმპერიალისტური ომი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გათავდეს სხვაგვარი, თუ არა იმპერიალისტური, ზავით, თ უ ეს ომი არ გადაიქცა პროლეტარიატის სამოქალაქო ომად ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის. ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელი გამოსავალის გამოკლებით, იმპერიალისტური ომი გამოიწვევს სამ უძლიერეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთაგან რომელიმეს — ინგლისის, გერმანიის, რუსეთის — გაძლიერებას სუსტთა

(სერბიის, თურქეთის, ბელგიისა და სხვ.) ხარჯზე, ამასთანავე სავსებით შესაძლებელია, ყ ვ ე ლ ა ეს სამი ავაზაკი გაძლიერდეს ომის შემდეგ, რაკი გაინაწილებენ ნაძარცვს (კოლონიებს, ბელგიას, სერბიას, სომხეთს), და მთელი დავა მერე იწარმოებს მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა პროპორციით მოხდეს ა მ ნადავლის გაყოფა.

ყოველ შემთხვევაში გარდუვალად, აუცილებლად და უეჭველად გაბრიყვებულნი და გაბიაბრუებულნი დარჩებიან როგორც სრული და აშკარა სოციალ-შოვინისტები, ე. ი. სუბიექტები, რომელნიც პირდაპირ ცნობენ «სამშობლოს დაცვას» ამ ომში, ისე ფარული, მერყევი სოციალ-შოვინისტები, ე. ი. კაუცკელები, რომელნიც ქადაგებენ «ზავს» ს ა ზ ო გ ა დ ო დ, «გამარჯვებულთა და დამარცხებულთა გარეშე» და სხვა. ყოველი ზავი, შეკრული იმავე, ან იმგვარივე ბურჟუაზიულ მთავრობათა მიერ, რომლებმაც ეს ომი დაიწყეს, თვალსაჩინოდ უჩვენებს ყველა ხალხს, თუ იმპერიალიზმის ყურმოჭრილი ყმების რანაირი როლი შეასრულეს ორივე ჯურის სოციალისტებმა.

როგორიც უნდა იქნეს ამ ომის ბოლო, მართალნი აღმოჩნდებიან ისინი, ვინც ამბობდა, რომ ერთადერთი სოციალისტური გამოსავალი ომიდან შესაძლებელია მხოლოდ როგორც პროლეტარიატის სამოქალაქო ომი სოციალიზმისათვის. მართალნი აღმოჩნდებიან რუსეთის ის სოციალ-დემოკრატები, რომელნიც ამბობდნენ, რომ ცარიზმის დამარცხება, მისი სრული სამხედრო განადგურება არის უმცირესი ბოროტება «ყოველ შემთხვევაში». ვინაიდან ისტორია არასოდეს არ დგას ერთ ადგილზე, ის წინ მიდის ახლანდელი ომის დროსაც; და თუ წინ, სოციალიზმისაკენ გადასვლას ევროპის პროლეტარიატი ვერ შეძლებს ამჟამად, თუ ის ვერ შეძლებს გადაიგდოს სოციალ-შოვინისტებისა და კაუცკელების უღელი პირველი დიდი იმპერიალისტური ომის დროს, სამაგიეროდ დემოკრატიისაკენ წინსვლა აღმოსავლეთ ევროპასა და აზიას შეუძლია შვიდმილიანი ნაბიჯებით მხოლოდ ცარიზმის სრული სამხედ-

რო განადგურების შემთხვევაში და იმ შემთხვევაში, თუ მას წაერთმევა ყოველგვარი შესაძლებლობა აწარმოოს ნახევრადფეოდალური ტიპის იმპერიალისტური პოლიტიკა.

ომი მოკლავს და ჩაკლავს ყოველივე სუსტს, მათ შორის სოციალ-შოვინიზმსა და კაუცკელობასაც. იმპერიალისტური ზავი ამ სისუსტეს კიდევ უფრო თვალსაჩინოს, კიდევ უფრო სამარცხვინოს, კიდევ უფრო საზიზღარს გახდის.

«სოციალ-დემოკრატი» № 56,
1916 წ. 6 ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

«სოციალისტ» მინისტრთა მთელი ათეული

საერთაშორისო სოციალ-შოვინისტური ბიუროს [60] მდივანმა ჰიუისმანსმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დანიის უპორტფელო მინისტრ სტაუნინგს, დანიის ვითომდა «სოციალ-დემოკრატიული» პარტიის ბელადს: «გაზეთებიდან შევიტყვე, რომ თქვენ მინისტრად ხართ დანიშნული. ჩემი გულითადი მოლოცვა. ამრიგად, ჩვენ გვყავს უკვე ათი სოციალისტი-მინისტრი მთელ ქვეყანაზე. საქმე წინ მიდის! საუკეთესო სალამი».

საქმე წინ მიდის, რა თქმა უნდა. მეორე ინტერნაციონალი სწრაფად მიდის — სრული შეერთებისაკენ ნაციონალურ-ლიბერალურ პოლიტიკასთან. გერმანელი უკიდურესი ოპორტუნისტებისა და სოციალ-შოვინისტების მებრძოლ ორგანოს, ხემნიცის «ხალხის ხმას» [61], მოჰყავს ეს დეპეშა და გესლიანად შენიშნავს: «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანი უყოყმანოდ მიესალმება მინისტრის პოსტის მიღებას სოციალ-დემოკრატის მიერ. ომამდე ცოტა ხნით ადრე კი ყველა პარტიული ყრილობა და საერთაშორისო კონგრესი გადაჭრით გამოვიდა ამის წინააღმდეგ! იცვლებიან დრონი, იცვლებიან აგრეთვე შეხედულებანი — ამ პუნქტშიაც».

ჰეილმანებს, დავიდებს, ზიუდეკუმებს სრული უფლება აქვთ აბუჩად აგდებით მოუთათუნონ ხელი მხარზე ჰიუისმანსებს, პლეხანოვებს, ვანდერველდეებს...

სტაუნინგმა ამას წინათ გამოაქვეყნა თავისი წერილი ვანდერველდესადმი, აღსავსე გერმანოფილური სოციალ-

შოვინისტის ღვარძლიანობით ფრანგი სოციალ-შოვინისტის წინააღმდეგ. ამ წერილში, სხვათა შორის, სტაუნინგი ამაყობს იმით, რომ «ჩვენ (დანიის პარტიამ) მკვეთრად და გარკვევით უარვყავით ორგანიზაციულად მავნე გამთიშავი მუშაობა, რომელსაც იტალიისა და შვეიცარიის პარტიათა ინიციატივით ახორციელებს ეგრეთწოდებული ციმერვალდის მოძრაობა». სიტყვასიტყვით ასეა!

დანიაში ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა XVI საუკუნეს მიეკუთვნება. დანიის ხალხის მასებმა უკვე დიდი ხანია რაც მოახდინეს ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. დანიის მოსახლეობის $^{66}/_{100}$-ზე მეტს შეადგენენ დანიელნი, რომელნიც დანიაში დაიბადნენ. გერმანიაში დანიელი ორასი ათასიც არ არის. (დანიაში 2,9 მილიონი მოსახლეობაა). ამიტომ შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რა უხეში ბურჟუაზიული მატყუარობაა დანიის ბურჟუაზიის ლაყბობა «დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს» თემაზე, როგორც დღევანდელ ამოცანაზე! ამას ლაპარაკობენ XX საუკუნეში დანიის ბურჟუები და მონარქისტები, მ ფ ლ ო ბ ე ლ ნ ი კ ო ლ ო ნ ი ე ბ ი ს ა, რომელთა მოსახლეობა თითქმის უდრის გერმანიაში მყოფ დანიელთა რიცხვს და რომლებითაც ვ ა ჭ რ ო ბ ს ამჟამად დანიის მთავრობა.

ვინ თქვა, ჩვენს დროში ადამიანებით არ ვაჭრობენო? ჩინებულად ვაჭრობენ. დანია ყიდის ამერიკაზე ამდენ და ამდენ მილიონად (ჯერ კიდევ არ მორიგებულან) სამ კუნძულს — რა თქმა უნდა, ყველა დასახლებულს.

დანიის იმპერიალიზმის სპეციფიკურ ნიშანს შეადგენს, ამას გარდა, ზემოგების მიღება რძისა და ხორცეული პროდუქტების ბაზრის მონოპოლიურ-ხელსაყრელი მდგომარეობის გამო: გასაღება ყველაზე უფრო იაფი საზღვაო გზით ლონდონში, რომელიც ყველაზე უფრო დიდი ბაზარია მსოფლიოში. ამის მეოხებით დანიის ბურჟუაზია და დანიის მდიდარი გლეხები (წმინდა წყლის ბურჟუები, მიუხედავად რუს ნაროდნიკთა ზღაპრებისა) გადაიქცნენ ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზიის «ჯანღონით სავსე» მუქთახორებად, მისი განსა-

კუთრებით უდავიდარაბო და განსაკუთრებით დიდი მოგების მონაწილეებად.

ამ ინტერნაციონალურ ვითარებას მთლიანად დაემორჩილა დანიის «სოციალ-დემოკრატიული» პარტია, რომელიც ფრიად ესარჩლებოდა და ახლაც ესარჩლება გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთას, ოპორტუნისტებს. დანიის სოციალ-დემოკრატებმა ხმა მისცეს ბურჟუაზიულ-მონარქისტული მთავრობის კრედიტებს — «ნეიტრალობის დასაცავად», როგორც ეს მოჩვენებითი პატიოსნებითაა ნათქვამი. ყრილობაზე 1916 წ. 30 სექტემბერს უმრავლესობამ 9/10-ით მხარი დაუჭირა სამინისტროში მონაწილეობას, მთავრობასთან გარიგებას! ბერლინის სოციალისტური გაზეთის კორესპონდენტი იტყობინება, რომ მინისტერიალიზმის ოპოზიციას დანიაში წარმოადგენდნენ გერსონ ტრირი და რედაქტორი ი. პ. სუნდბო. ტრირი ბრწყინვალე სიტყვაში იცავდა რევოლუციურ-მარქსისტულ შეხედულებებს და როცა პარტიამ გადაწყვიტა სამინისტროში მონაწილეობა, ის გამოვიდა ცენტრალური კომიტეტიდანაც და პარტიიდანაც, განაცხადა, რომ არ სურს იყოს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი პარტიის წევრი. უკანასკნელ წლებში დანიის «სოციალ-დემოკრატიული» პარტია არაფრით არ განსხვავდებოდა ბურჟუაზიული რადიკალებისაგან.

სალამი ამხანაგ გ. ტრირს! «საქმე წინ მიდის», ჰიუისმანსი მართალია, — წინ გარკვეული, ნათელი, პოლიტიკურად პატიოსანი, სოციალისტურად აუცილებელი გაყოფისაკენ რევოლუციურ მარქსისტებსა, რევოლუციური პროლეტარიატის მ ა ს ე ბ ი ს ამ წარმომადგენლებსა, და იმპერიალისტური ბურჟუაზიის პლეხანოვურ-პოტრესოვულ-ჰიუისმანსურ მოკავშირეებსა და აგენტებს შორის, რომელთაც ჰყავთ «ბ ე ლ ა დ ე ბ ი ს» უმრავლესობა, მაგრამ რომელნიც გამოხატავენ არა ჩაგრული მასების ინტერესებს, არამედ იმ პრივილეგიურ მუშათა უმცირესობის ინტერესებს, ბურჟუაზიის მხარეზე რომ გადადიან.

მოისურვებენ კი რუსეთის შეგნებული მუშები, ისინი, რომლებმაც აირჩიეს დეპუტატები, ციმბირში გადასახლებულნი,

ისინი, რომლებმაც იმპერიალისტური ომის მხარდასაჭერად შექმნილ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის წინააღმდეგ მისცეს ხმა, მოისურვებენ კი ისინი ირიცხებოდნენ ათი მინისტრის «ინტერნაციონალში»? ს ტ ა უ ნ ი ნ გ ე ბ ი ს ინტერნაციონალში? ინტერნაციონალში, საიდანაც გადიან ტ რ ი რ ე ბ ი?

«სოციალ-დემოკრატი» № 56,
1916 წ. 6 ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში[62]

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ციურიხის ყრილობამ (4—5. XI. 1916) საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ამ პარტიის გადაწყვეტილება ციმერვალდისადმი შეერთებისა და რევოლუციური მასობრივი ბრძოლის აღიარების შესახებ (აარაუს ყრილობის რეზოლუცია, 1915) მხოლოდ ქაღალდზე რჩება და რომ პარტიის შიგნით საკვებით ჩამოყალიბდა «ცენტრი», ე. ი. მიმართულება, რომელიც შეესაბამება კაუცკი — ჰაზესა და «Arbeitsgemeinschaft»-ის * მიმართულებას გერმანიაში, Longuet Pressemanne-ისა ** და კომპანიისას—საფრანგეთში. ეს «ცენტრი», რომლის სათავეშიც აღმოჩნდა რ. გრიმი, «მემარცხენე» განცხადებებს აერთებს «მემარჯვენე», ე. ი. ოპორტუნისტულ პრაქტიკასთან.

ამიტომ მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანას შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეადგენს დაუყოვნებლივ და უსათუოდ შეამჭიდროონ თავიანთი ძალები პარტიაზე სისტემატური ზეგავლენისათვის იმ აზრით, რომ აარაუს ყრილობის გადაწყვეტილება არ რჩებოდეს მკვდარ

* — «შრომითი თანამეგობრობა». რ ე დ.

** — ლონგე — პრესმანი. რ ე დ.

სიტყვად. მემარცხენე ციმერვალდელთა ძალების ასეთი შემჭიდროება მით უფრო აუცილებლად არის საჭირო, რომ როგორც აარაუს, ისე ციურიხის ყრილობა ოდნავ ეჭვსაც კი არ ტოვებს შვეიცარიის პროლეტარიატის რევოლუციურ და ინტერნაციონალისტურ სიმპათიებში. საკმარისი არ არის მიღებულ იქნეს ლიბკნეხტისადმი თანაგრძნობის რეზოლუციები; საჭიროა სერიოზულად შევითვისოთ მისი ლოზუნგი, რომ ახლანდელი სოციალ-დემოკრატიული პარტიები საჭიროებენ ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა ს (**Regeneration**)[69].

მემარცხენე ციმერვალდელთა პლატფორმა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში უნდა იყოს დაახლოებით შემდეგი:

I. დამოკიდებულება ომისა და ბურჟუაზიული მთავრობისადმი საზოგადოდ

1. «სამშობლოს დაცვა» შვეიცარიის მხრივ როგორც ახლანდელ იმპერიალისტურ ომში, ისე ახალ იმპერიალისტურ ომებში, რომლებიც მზადდება, სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა ხალხის ბურჟუაზიულ მოტყუებას, ვინაიდან შვეიცარიის მონაწილეობა ახლანდელ ომში და სხვა ამგვარ ომებში ნამდვილად იქნება მხოლოდ მონაწილეობა მძარცველურ და რეაქციულ ომში ე რ თ-ე რ თ ი იმპერიალისტური კოალიციის მხარეზე მასთან კავშირში, და სრულიადაც არა ომი «თავისუფლებისათვის», «დემოკრატიისათვის», «დამოუკიდებლობისათვის» და სხვ.

2. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულება შვეიცარიის ბურჟუაზიული მთავრობისა და შვეიცარიის ყველა ბურჟუაზიული პარტიისადმი უნდა იყოს დამოკიდებულება სრული უნდობლობისა. ვინაიდან ეს მთავრობა (**a**) იმყოფება უმჭიდროეს ეკონომიურ და ფინანსურ კავშირში «დიდი» იმპერიალისტური სახელმწიფოების ბურჟუაზიასთან და სავსებით დამოკიდებულია მისგან; (**b**) მან უკვე დიდი ხანია და მთელი ხაზით პირი იბრუნა საერთა-

შორისო და შინაურ საქმეებში პოლიტიკური რეაქციისაკენ (პოლიტიკური პოლიცია; მონური მორჩილება ევროპის რეაქციისა და ევროპის მონარქებისადმი და სხვ.); (c) მან დაამტკიცა მთელი თავისი პოლიტიკით მთელი რიგი წლების განმავლობაში (სამხედრო რეორგანიზაცია 1907 წ. და ა. შ.; ეგლის, დე-ლოს[64] «საქმე» და სხვ. და სხვ.), რომ ის სულ უფრო და უფრო იქცევა ტიკინად შვეიცარიის ყველაზე. რეაქციული სამხედრო პარტიისა და სამხედრო ხროვის ხელში.

3. ამის გამო შვეიცარიაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარსებო ამოცანა არის ამხილოს იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და სამხედრო ხროვისადმი მონურად მორჩილი მთავრობის ჭეშმარიტი ხასიათი, გამოააშკარაოს მის მიერ ხალხის მოტყუება ფრაზებით დემოკრატიის შესახებ და სხვ., ცხადყოს იმის სრული შესაძლებლობა, რომ ეს მთავრობა (შვეიცარიის მმართველი მთელი ბურჟუაზიის თანხმობით) შვეიცარიის ხალხის ინტერესებს მიჰყიდის ამა თუ იმ იმპერიალისტურ კოალიციას.

4. ამიტომ ახლანდელ ომში შვეიცარიის ჩაბმის შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიის ვალდებულებას შეადგენს უეჭველად უარყოს «სამშობლოს დაცვა» და ამხილოს ხალხის მოტყუება ამ ლოზუნგით. არა თავიანთი ინტერესებისათვის და არა დემოკრატიისათვის, არამედ იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებისათვის დაიხოცებიან ასეთ ომში მუშები და გლეხები. შვეიცარიის, ისე როგორც სხვა მოწინავე ქვეყნების სოციალისტებს შეუძლიათ და კიდეც ევალებათ აღიარონ სამშობლოს სამხედრო დაცვა მ ხ ო ლ ო დ მაშინ, როცა ეს სამშობლო სოციალისტურად იქნება გარდაქმნილი, ე. ი. აღიარონ პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის დაცვა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

5. არც მშვიდობის, არც ომის დროს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მის დეპუტატებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ ხმა მისცენ სამხედრო კრედიტებს, რა რიგ მატყუარა სიტყვებით «ნეიტრალობის დაცვისა» და სხვათა შესახებ არ უნდა ამართლებდნენ ასეთ ხმის მიცემას.

6. პროლეტარიატის მხრივ ომისადმი პასუხი უნდა იყოს რევოლუციურ მასობრივ მოქმედებათა პროპაგანდა, მომზადება და განხორციელება ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად, პოლიტიკური ძალაუფლების დასაპყრობად და სოციალისტური წყობილების განსახორციელებლად, ამ ერთადერთი წყობილებისა, რომელიც კაცობრიობას ომებისაგან იხსნის და რომლის განხორციელების გადაწყვეტილება ყ ვ ე ლ ა ქვეყნის მუშათა შეგნებაში ჯერ უნახავი სისწრაფით მწიფდება.

7. რევოლუციურ მოქმედებათა რიცხვში უნდა იყოს დემონსტრაციები და მასობრივი გაფიცვები, მაგრამ არასგზით — სამხედრო სამსახურზე უარის თქმა. პირიქით, არა უარის თქმას იარაღის აღებაზე, არამედ მხოლოდ იარაღის მიმართვას თ ა ვ ი ს ი ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუძლია უპასუხოს პროლეტარიატის ამოცანებს და იყოს ინტერნაციონალიზმის საუკეთესო წარმომადგენლების, მაგალითად, კ. ლიბკნეხტის ლოზუნგების შესაბამისი.

8. მთავრობის ოდნავმა ნაბიჯებმაც კი ომის წინ ან ომის დროს, მიმართულმა პოლიტიკურ თავისუფლებათა გაუქმებისა ან შეზღუდვისაკენ, უნდა გამოიწვიოს სოციალ-დემოკრატიული მუშების მხრივ არალეგალური ორგანიზაციების შექმნა, რომელთაც მიზნად ექნებათ დასახული სისტემატური, დაჟინებითი, მსხვერპლის წინაშე დაურიდებელი პროპაგანდა ომისა ომის წინააღმდეგ და მასებისათვის ომის ჭეშმარიტი ხასიათის ახსნა-განმარტება.

II. სიძვირე და მასების აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა

9. არა მარტო მეომარ ქვეყნებში, არამედ შვეიცარიაშიც ომმა გამოიწვია ერთი მუჭა მდიდრების გაუგონარი, სასკანდალო გამდიდრება და მასების წარმოუდგენელი გაჭირვება სიძვირის გამო და საარსებო საგნების ნაკლებობის გამო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ ამოცანას უნდა

შეადგენდეს არა რეფორმისტული, არამედ რევოლუციური ბრძოლა ამ უბედურების წინააღმდეგ, — სისტემატური და დაჟინებითი, აუცილებელ დროებით სიძნელეთა და დამარცხებათა წინაშე შეუჩერებელი პროპაგანდა და მომზადება ასეთი ბრძოლისა.

10. ფინანსური რეფორმების მრავალრიცხოვანი ბურჟუაზიული პროექტების პასუხად სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მხილება ბურჟუაზიის ცდებისა თავს დაატეხოს მუშებსა და უღარიბეს გლეხებს მობილიზაციისა და ომის სიმძიმენი.

სოციალ-დემოკრატიას არავითარ შემთხვევაში და არავითარი საბაბით არ შეუძლია დაეთანხმოს არაპირდაპირ გადასახადებს. აარაუს ყრილობის გადაწყვეტილებაც (1915), **Huber-Grimm**-ის * რეზოლუციაც ციურიხის (1916) ყრილობაზე, რომლებიც იწყნარებენ სოციალ-დემოკრატიის თანხმობას არაპირდაპირ გადასახადებზე, გაუქმებულ უნდა იქნეს. ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მეტად ენერგიულ სამზადისს პარტიის ბერნის ყრილობისათვის 1917 წ. თებერვალში და ყრილობაზე გასაგზავნად უნდა აირჩიოს მხოლოდ ისეთი დელეგატები, რომელნიც ეთანხმებიან ასეთ გაუქმებას.

ეს — ლიბერალური მოხელეების ამოცანაა, და არასგზით არა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა, — მოეხმაროს ბურჟუაზიულ მთავრობას თავი დააღწიოს ახლანდელ სიძნელეებს ისე, რომ კაპიტალისტური წყობილება შენარჩუნებულ იქნეს, ე. ი. მასების გაჭირვება სამუდამოდ დარჩეს.

11. სოციალ-დემოკრატები რაც შეიძლება ფართოდ უნდა ეწეოდნენ მასების წინაშე იმის პროპაგანდას, რომ საარსებო საჭიროებას წარმოადგენს ერთიანი ფედერალური გადასახადი, დაწესებული ქონებისა და შემოსავლის მიხედვით, მაღალი და მზარდი განაკვეთებით, ა რ ა უ მ დ ა ბ ლ ე ს შემდეგი განაკვეთებისა:

* — ჰუბერ-გრიმის. რ ე დ.

6. პროლეტარიატის მხრივ ომისადმი პასუხი უნდა იყოს რევოლუციურ მასობრივ მოქმედებათა პროპაგანდა, მომზადება და განხორციელება ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად, პოლიტიკური ძალაუფლების დასაპყრობად და სოციალისტური წყობილების განსახორციელებლად, ამ ერთადერთი წყობილებისა, რომელიც კაცობრიობას ომებისაგან იხსნის და რომლის განხორციელების გადაწყვეტილება ყ ვ ე ლ ა ქვეყნის მუშათა შეგნებაში ჯერ უნახავი სისწრაფით მწიფდება.

7. რევოლუციურ მოქმედებათა რიცხვში უნდა იყოს დემონსტრაციები და მასობრივი გაფიცვები, მაგრამ არასგზით — სამხედრო სამსახურზე უარის თქმა. პირიქით, არა უარის თქმას იარაღის აღებაზე, არამედ მხოლოდ იარაღის მიმართვას თ ა ვ ი ს ი ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუძლია უპასუხოს პროლეტარიატის ამოცანებს და იყოს ინტერნაციონალიზმის საუკეთესო წარმომადგენლების, მაგალითად, კ. ლიბკნეხტის ლოზუნგების შესაბამისი.

8. მთავრობის ოდნავმა ნაბიჯებმაც კი ომის წინ ან ომის დროს, მიმართულმა პოლიტიკურ თავისუფლებათა გაუქმებისა ან შეზღუდვისაკენ, უნდა გამოიწვიოს სოციალ-დემოკრატიული მუშების მხრივ არალეგალური ორგანიზაციების შექმნა, რომელთაც მიზნად ექნებათ დასახული სისტემატური, დაჟინებითი, მსხვერპლის წინაშე დაურიდებელი პროპაგანდა ომისა ომის წინააღმდეგ და მასებისათვის ომის ჭეშმარიტი ხასიათის ახსნა-განმარტება.

II. სიძვირე და მასების აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა

9. არა მარტო მეომარ ქვეყნებში, არამედ შვეიცარიაშიც ომმა გამოიწვია ერთი მუჭა მდიდრების გაუგონარი, სასკანდალო გამდიდრება და მასების წარმოუდგენელი გაჭირვება სიძვირის გამო და საარსებო საგნების ნაკლებობის გამო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ ამოცანას უნდა

შეადგენდეს არა რეფორმისტული, არამედ რევოლუციური ბრძოლა ამ უბედურების წინააღმდეგ, — სისტემატური და დაჟინებითი, აუცილებელ დროებით სიძნელეთა და დამარცხებათა წინაშე შეუჩერებელი პროპაგანდა და მომზადება ასეთი ბრძოლისა.

10. ფინანსური რეფორმების მრავალრიცხოვანი ბურჟუაზიული პროექტების პასუხად სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მხილება ბურჟუაზიის ცდებისა თავს დაატეხოს მუშებსა და უღარიბეს გლეხებს მობილიზაციისა და ომის სიმძიმენი.

სოციალ-დემოკრატიას არავითარ შემთხვევაში და არავითარი საბაბით არ შეუძლია დაეთანხმოს არაპირდაპირ გადასახადებს. აარაუს ყრილობის გადაწყვეტილებაც (1915), **Huber-Grimm**-ის * რეზოლუციაც ციურიხის (1916) ყრილობაზე, რომლებიც იწყნარებენ სოციალ-დემოკრატიის თანხმობას არაპირდაპირ გადასახადებზე, გაუქმებულ უნდა იქნეს. ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მეტად ენერგიულ სამზადისს პარტიის ბერნის ყრილობისათვის 1917 წ. თებერვალში და ყრილობაზე გასაგზავნად უნდა აირჩიოს მხოლოდ ისეთი დელეგატები, რომელნიც ეთანხმებიან ასეთ გაუქმებას.

ეს — ლიბერალური მოხელეების ამოცანაა, და არასგზით არა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა, — მოეხმაროს ბურჟუაზიულ მთავრობას თავი დააღწიოს ახლანდელ სიძნელეებს ისე, რომ კაპიტალისტური წყობილება შენარჩუნებულ იქნეს, ე. ი. მასების გაჭირვება სამუდამოდ დარჩეს.

11. სოციალ-დემოკრატები რაც შეიძლება ფართოდ უნდა ეწეოდნენ მასების წინაშე იმის პროპაგანდას, რომ საარსებო საჭიროებას წარმოადგენს ერთიანი ფედერალური გადასახადი, დაწესებული ქონებისა და შემოსავლის მიხედვით, მაღალი და მზარდი განაკვეთებით, ა რ ა უ მ დ ა ბ ლ ე ს შემდეგი განაკვეთებისა:

* — ჰუბერ-გრიმის. რ ე დ.

ქონება	შემოსავალი	გადასახადის პროცენტი
20 000 ფრ.	— 5 000 —	გადასახადისაგან თავისუფალია
50 000 »	— 10 000 —	10% გადასახადი
100 000 »	— 25 000 —	40% »
200 000 »	— 60 000 —	60% »
		და ა. შ.

გადასახადი პანსიონებით მოსარგებლეებზე:

4 ფრანკამდე	დღეში	— გადასახადისაგან თავისუფალია
5 ფრანკი	»	— 1%
10 »	»	— 20%
20 »	»	— 25% და ა. შ.

12. სოციალ-დემოკრატები ულმობლად უნდა ებრძოდნენ იმ ბურჟუაზიულ სიცრუეს, რომელსაც ავრცელებს ბევრი ოპორტუნისტიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და რომელიც იმაში მდგომარეობს, თითქოს «არაპრაქტიკული» იყოს ქონებისა და შემოსავლის მიხედვით დაწესებული გადასახადის რევოლუციურ-მაღალი განაკვეთების პროპაგანდა. პირიქით, ეს არის ერთადერთი პრაქტიკული და ერთადერთი სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა, ვინაიდან, ჯერ-ერთი, ჩვენ კი არ უნდა შევეგუოთ იმას, რაც მდიდრებისათვის არის «მისაღები», არამედ უნდა მივმართოთ ღარიბთა და უქონელთა ფართო მასებს, რომელნიც გულგრილად ან უნდობლობით ეპყრობიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უმთავრესად მისი რეფორმისტული და ოპორტუნისტული ხასიათის გამო. მეორე, ბურჟუაზიისაგან დათმობათა მიღწევისათვის ერთადერთი საშუალება მდგომარეობს არა «მორიგებებში» მასთან, არა მის ინტერესებთან ან. მის ცრურწმენასთან «შეგუებაში», არამედ მასების რევოლუციურ ძ ა ლ თ ა მომზადებაში მის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. და ხალხის რაც უფრო მეტ ნაწილს დავარწმუნებთ ჩვენ გადასახადის რევოლუციურ-მაღალი განაკვეთების სამართლიანობასა და მათი ბრძოლით მოპოვების აუცილებლობაში, მით უფრო მალე წავა ბურჟუაზია დათმობაზე, ხოლო ჩვენ ვისარგებლებთ თვითეული პატარა დათმობითაც კი,

რათა შეუპოვარი ბრძოლა ვაწარმოოთ ბურჟუაზიის სრული ექსპროპრიაციისათვის.

13. ხელფასის ზღვრული მაქსიმუმის დაწესება გამოუკლებლივ ყველა მოსამსახურისა და მოხელისათვის, **Bundesräte**-სთვის * და სხვ. 5 — 6 ათასი ფრანკის რაოდენობით წლიურად, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. სხვა შემოსავლის ყოველგვარი კუმულაციის აკრძალვა საპყრობილეში მოთავსებისა და ამ შემოსავლის კონფისკაციის მუქარით.

14. იძულებითი გასხვისება ფაბრიკებისა და ქარხნებისა, რომლებიც პირველ რიგში აუცილებელია მოსახლეობისათვის საარსებო საშუალებათა უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსი, რომელთაც აქვთ 15 **ha**-ზე ** მეტი მიწა (40 **«Jucharten»**-ზე *** მეტი) (შვეიცარიაში ასეთ საწარმოთა რიცხვი სულ 22 ათასს უდრის 252 ათასიდან, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მთელი რიცხვის 1/10-ზე ნაკლებია). სისტემატური ზომები ამ გარდაქმნათა ნიადაგზე სურსათ-სანოვაგის წარმოების გასადიდებლად და ხალხის უზრუნველსაყოფად იაფი პროდუქტებით.

15. დაუყოვნებლივი იძულებითი გასხვისება შვეიცარიის წყლების მთელი ძალებისა სახელმწიფოს სასარგებლოდ და ამის მიმართ, ისე როგორც სხვა გასხვისებათა მიმართ, ქონებისა და შემოსავლის მიხედვით დაწესებული გადასახადის ზემოაღნიშნული განაკვეთების გამოყენება.

III. განსაკუთრებით არსებითი დემოკრატიული გარდაქმნანი და პოლიტიკური ბრძოლისა და პარლამენტარიზმის გამოყენება

16. საპარლამენტო ტრიბუნის და ინიციატივისა და რეფერენდუმის უფლების გამოყენება არა რეფორმისტულად, ე. ი. არა ისეთი რეფორმების დასაცავად, რომლებიც ბურ-

* — საკავშირო საბჭოს მრჩევლებისათვის. რ ე დ.

** — **Hektar** — ჰექტარი. რ ე დ.

*** — «აკრზე». რ ე დ.

ჟუაზიისათვის «მისაღებია» და ამიტომ უძლურია მოსპოს მასების მთავარი და ძირითადი გაჭირვებანი, არამედ პროპაგანდისათვის შვეიცარიის სოციალისტურად გარდასაქმნელად, რაც ეკონომიურად სავსებით განსახორციელებელია და სულ უფრო დაბეჯითებით აუცილებელი ხდება როგორც აუტანელი სიძვირისა და ფინანსური კაპიტალისაგან ჩაგვრის გამო, ისე იმ საერთაშორისო ურთიერთობის გამო, რომელსაც ომი ქმნის და რომელიც მთელი ევროპის პროლეტარიატს რევოლუციის გზისკენ უბიძგებს.

17. გაუქმება ქალთა პოლიტიკური უფლებების გამოუკლებლივ **ყ ვ ე ლ ა** შეზღუდვისა მამაკაცთა უფლებებთან შედარებით. მასებისათვის განმარტება ამ გარდაქმნების განსაკუთრებული საარსებო მნიშვნელობისა ისეთ დროს, როცა ომი და სიძვირე აღელვებენ ხალხის ფართო მასებს და განსაკუთრებით ქალთა ინტერესებსა და ყურადღებას აპყრობენ პოლიტიკაზე.

18. შემოღება უცხოელთა იძულებითი გადასვლისა შვეიცარიის ქვეშევრდომებად (**Zwangseinbürgerung**), ყოველგვარი ხარჯის გარეშე. თვითეული უცხოელი, რომელმაც შვეიცარიაში დაჰყო 3 თვე, ხდება შვეიცარიის ქვეშევრდომი, თუ ის განსაკუთრებით საპატიო მიზეზების გამო არ იშუამდგომლებს ვადის გადადების შესახებ არა უმეტეს 3 თვით. განმარტება მასებისათვის ასეთი რეფორმის განსაკუთრებით არსებითი მნიშვნელობისა შვეიცარიისათვის არა მხოლოდ საერთო-დემოკრატიული თვალსაზრისით, არამედ იმის გამოც, რომ შვეიცარიის იმპერიალისტურმა ვითარებამ გახადა ის ისეთ სახელმწიფოდ, სადაც, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უცხოელები ყველაზე მეტ პროცენტს შეადგენენ. ამ უცხოელთა $^{6}/_{10}$ ლაპარაკობს შვეიცარიის 3 ენიდან ერთ-ერთ ენაზე. უცხოელი მუშების პოლიტიკური უუფლებობა და მათი განცალკევება აძლიერებს ისედაც მზარდ პოლიტიკურ რეაქციას და ასუსტებს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ სოლიდარობას.

19. აგიტაციის დაუყოვნებლივი დაწყება იმის სასარგებლოდ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატები Nationalrat-ის * 1917 წ. არჩევნებში წამოყენებულ იქნენ მხოლოდ ამომრჩევლების წინაშე პოლიტიკური პლატფორმის წინასწარი და ყოველმხრივი განხილვის საფუძველზე, განსაკუთრებით ომისადმი და სამშობლოს დაცვისადმი დამოკიდებულების საკითხის და სიძვირესთან რეფორმისტული თუ რევოლუციური ბრძოლის საკითხის წინასწარი და ყოველმხრივი განხილვის საფუძველზე.

IV. პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის მორიგი ამოცანები

20. მასების რევოლუციური ბრძოლის შესახებ აარაუს გადაწყვეტილების ნამდვილად განხორციელება შეუძლებელია ისე, თუ სისტემატური და შეუპოვარი მუშაობა არ ვაწარმოეთ მასებზე სოციალ-დემოკრატიული ზეგავლენის გასაფართოებლად და თუ მოძრაობაში არ ჩავაბით მშრომელი და ექსპლოატირებული მასის ა ხ ა ლ ი ფენები. პროპაგანდა და აგიტაცია სოციალური რევოლუციის სასარგებლოდ უნდა წარმოებდეს უფრო კონკრეტულად, თვალსაჩინოდ, უშუალოპრაქტიკულად, ისე რომ გასაგები იყოს არა მხოლოდ შეკავშირებული მუშებისათვის, რომელნიც ყოველთვის დარჩებიან კაპიტალიზმის დროს პროლეტარიატისა და საერთოდ ჩაგრული კლასების უმცირესობად, არამედ ექსპლოატირებულთა უმრავლესობისთვისაც, რომელსაც კაპიტალიზმის მხრივ საშინელი ჩაგვრის გამო სისტემატური ორგანიზაციის უნარი არ შესწევს.

21. მასების უფრო ფართო ფენებზე ზეგავლენისათვის პარტია უნდა გადავიდეს იმ ფურცლების უფრო სისტემატურ გამოცემაზე, რომლებიც უფასოდ რიგდება და რომლებიც განუმარტავენ მასებს, რომ რევოლუციური პროლეტარიატი იბრძვის შვეიცარიის სოციალისტური გარდაქმნისა-

* — ნაციონალური საბჭო. რ ე დ.

თვის, რაც აუცილებელია მოსახლეობის ცხრა მეათედისათვის და რაც მის ინტერესს შეადგენს. პარტიის ყველა სექციის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ორგანიზაციათა აშკარა შეჯიბრების მოწყობა ასეთი ფურცლების გავრცელების საქმეში, აგიტაცია ქუჩებში, სახლებსა და ბინებში; ყურადღებისა და ენერგიის გაძლიერება აგიტაციისადმი სოფლის მუშებსა, მოჯამაგირეებსა და დღიურად მომუშაველებში, აგრეთვე გლეხთა იმ უღარიბეს ნაწილში, რომელიც არ ეწევა დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციას და ხელს კი არ ითბობს სიძვირეზე, არამედ იტანჯება მისგან. უნდა მოეთხოვოს პარტიის წარმომადგენლებს პარლამენტებში (**National-, Kantons-, Gross-** და სხვ. **Räte**), რომ მათ თავიანთი განსაკუთრებით ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობა გამოიყენონ არა იმდენად რეფორმისტული უქმი სიტყვებისათვის პარლამენტში, რაც მუშებს კანონიერად თავს აბეზრებს და მათ უნდობლობას იწვევს, რამდენადაც სოციალისტური რევოლუციის ქადაგებისათვის პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ფენებში ქალაქად და განსაკუთრებით სოფლად.

22. კავშირის გადაჭრით გაწყვეტა მუშათა კლასის, მოსამსახურეებისა და სხვათა ეკონომიური ორგანიზაციების «ნეიტრალობის» თეორიასთან. მასებისათვის იმ ჭეშმარიტების განმარტება, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაადასტურა ომმა, სახელდობრ: რომ ეგრეთწოდებული «ნეიტრალობა» არის ბურჟუაზიული სიცრუე ან თვალთმაქცობა, რომ ის საქმით ნიშნავს პ ა ს ი უ რ მორჩილებას ბურჟუაზიისა და მის განსაკუთრებით საზიზღარ წამოწყებათადმი, როგორიცაა იმპერიალისტური ომი. სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაძლიერება მუშათა კლასის და წვრილი ბურჟუაზიის უღარიბესი ფენების ან მოსამსახურეების ყველა და ყოველგვარ კავშირებში, სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებული ჯგუფების შექმნა ყველა ასეთ კავშირში, საქმის ისეთი ვითარების სისტემატური მომზა-

დება, რომ ყველა ამ კავშირში რევოლუციური სოციალ-დემოკრატია უმრავლესობაში იყოს და გამგეობანი თავის ხელში ჰყავდეს. განმარტება მასებისათვის ამ პირობის განსაკუთრებული მნიშვნელობისა რევოლუციური ბრძოლის წარმატებისათვის.

23. სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაფართოება და გაძლიერება ჯარში როგორც მის რიგებში ახალგაზრდობის შესვლის წინ, ისე სამსახურის მოხდის დროს. სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების შექმნა ყველა სამხედრო ნაწილში. იმის განმარტება, რომ სოციალიზმის თვალსაზრისით ისტორიულად აუცილებელი და კანონიერია იარაღის მოხმარება ერთადერთ კანონიერ ომში, სახელდობრ პროლეტარიატის ომში ბურჟუაზიის წინააღმდეგ კაცობრიობის გასათავისუფლებლად დაქირავებული მონობისაგან. პროპაგანდა იზოლირებული ა ტ ე ნ ტ ა ტ ე ბ ი ს (თავდასხმათა) წინააღმდეგ იმისათვის, რომ ჯარის რევოლუციური ნაწილის ბრძოლა დაუკავშირდეს პროლეტარიატის და საერთოდ მოსახლეობის ექსპლოატირებული ნაწილის ფართო მოძრაობას. გაძლიერება ოლტენის გადაწყვეტილების იმ ნაწილის პროპაგანდისა, რომელიც ჯარისკაცებს ურჩევს მორჩილებაზე უარისთქმას იმ შემთხვევაში, როდესაც ჯარს იყენებენ გაფიცულთა წინააღმდეგ, და აგრეთვე იმის აუცილებლობის პროპაგანდა, რომ არ დაკმაყოფილდნენ მორჩილებაზე პასიური უარისთქმით [65].

24. იმის განმარტება მასებისათვის, რომ პრაქტიკული მუშაობა თანამიმდევრული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მიმართულებით, რომელიც განვითარებული იყო ზევით, განუყრელად დაკავშირებულია სისტემატურ პ რ ი ნ ც ი პ ულ ბრძოლასთან თანამედროვე მუშათა მოძრაობის **სამ მთავარ** მიმართულებას შორის, რომლებიც წარმოიშვნენ ყ ვ ე ლ ა ცივილიზებულ ქვეყანაში და საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ აგრეთვე შვეიცარიაში (განსაკუთრებით ციურიხის ყრილობაზე 1916 წელს). ეს სამი მიმართულებაა: 1) სოციალ-პატრიოტები, ე. ი. ისინი, რომელნიც აშკარად აღიარებენ «სამშობლოს დაცვას» 1914 — 1916 წლების

ახლანდელ, იმპერიალისტურ ომში. ეს — მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის აგენტების ოპორტუნისტული მიმართულებაა; 2) მემარცხენე ციმერვალდელები, იმპერიალისტურ ომში «სამშობლოს დაცვის» პრინციპულად უარმყოფელნი, რომელნიც მხარს უჭერენ გათიშვას სოციალ-პატრიოტებთან, როგორც ბურჟუაზიის აგენტებთან, და ემხრობიან მასების რევოლუციურ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის სრულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ასეთი ბრძოლის პროპაგანდისა და მისი მომზადების შესაბამისად; 3) ეგრეთწოდებული «ცენტრი» (კაუცკი — ჰაზე, «**Arbeitsgemeinschaft**» გერმანიაში; **Longuet** — **Pressemanne** საფრანგეთში) *, რომელიც ემხრობა პირველი და მეორე მიმართულების ერთიანობას. ასეთი «ერთიანობა» მხოლოდ ხელფეხს უბორკავს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას, არ აძლევს მას მუშაობის გაშლის შესაძლებლობას და რყვნის მასებს განუყრელი სრული კავშირის უქონლობით პარტიის პრინციპებსა და მის პრაქტიკას შორის.

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ციურიხის ყრილობაზე 1916 წელს წარმოთქმულ სამ სიტყვაში **Nationalratsfraktion**-ის ** საკითხის შესახებ, სახელდობრ პლატენის, ნენის და გრეილიხის სიტყვებში, განსაკუთრებით გარკვევით გამოიხატა იმის აღიარება, რომ სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულების ბრძოლა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით დიდი ხანია ფაქტი გახდა. დელეგატების უმრავლესობის თანაგრძნობა აშკარად პლატენის მხარეზე იყო, როცა ის ლაპარაკობდა, რომ აუცილებელია თანამიმდევრულად დავუჭიროთ მხარი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით მუშაობასო. ნენმა პირდაპირ, ზუსტად, გარკვევით განაცხადა, რომ **Nationalratsfrak-**

* გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ზოგჯერ «ცენტრს» უთანაბრებენ, და სრულიად სამართლიანადაც, «ციმერვალდელთა» მემარჯვენე ფრთას.

** — ნაციონალური საბჭოს ფრაქცია. რედ.

tion-ის შიგნით მუდმივად იბრძვის ორი მიმართულება და რომ მუშათა ორგანიზაციებმა თვითონ უნდა იზრუნონ, რათა Nationalrat-ში გაგზავნონ ურთიერთშორის ნამდვილად სოლიდარული მომხრეები რევოლუციური მიმართულებისა. როცა გრეილიხი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ პარტიამ მიატოვა თავისი ძველი «საყვარელი სახელები» (Lieblinge) და პოვა ახალი «საყვარელი სახელებიო», მან აღიარა იგივე ფაქტი სხვადასხვა მიმართულების არსებობისა და ბრძოლისა. მაგრამ «საყვარელ სახელთა თეორიას» არ დაეთანხმება არც ერთი შეგნებული და მოაზროვნე მუშა. სწორედ იმიტომ, რომ მიმდინარეობათა შორის აუცილებელი და საჭირო ბრძოლა არ გადაგვარდეს «საყვარელ სახელთა» შეჭიდებად, პირად კონფლიქტებად, წვრილმან ეჭვიანობად, წვრილმან სკანდალებად, სწორედ ამიტომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა წევრი ვალდებულია იზრუნოს სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულების ა მ კ ა რ ა **პრინციპული** ბრძოლისათვის.

25. გაძლიერებული ბრძოლა Grütli-Verein-ის[88] წინააღმდეგ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი თვალსაზრისით, როგორც შვეიცარიის ნიადაგზე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მუშათა პოლიტიკის ტენდენციების, სახელდობრ: ოპორტუნიზმის, რეფორმიზმის, სოციალ-პატრიოტიზმის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ილუზიებით მასების გარყვნის თვალსაჩინო გამოხატულებასთან. მასებისათვის სოციალ-პატრიოტიზმისა და «ცენტრის» პოლიტიკის მთელი მცდარობისა და მავნებლობის განმარტება Grütli-Verein-ის კონკრეტული მოღვაწეობის მაგალითით.

26. დაუყოვნებლივი დაწყება საარჩევნო სამზადისისა თებერვლის (1917 წ.) პარტიული ყრილობისათვის ბერნში იმ ანგარიშით, რომ ეს არჩევნები არ მოხდეს სხვაგვარად, თუ არა პარტიის თვითეულ ორგანიზაციაში პრინციპული და კონკრეტულ-პოლიტიკური პლატფორმების განხილვის საფუძველზე. თანამიმდევარ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატ

ინტერნაციონალისტთა ასეთი პლატფორმა წინამდებარე პლატფორმა უნდა იქნეს.

თანამდებობის პირთა არჩევნები პარტიის ყველა ხელმძღვანელ პოსტზე, Presskommission-ში *, ყველა წარმომადგენლობით დაწესებულებაში, ყველა გამგეობაში და სხვ. არა სხვაგვარად, თუ არ პლატფორმების ასეთივე განხილვის საფუძველზე.

თვითეული ადგილობრივი ორგანიზაციის გულდასმითი კონტროლი ადგილობრივ პარტიულ ბეჭდვით ორგანოზე არა მარტო საზოგადოდ სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა და ტაქტიკის, არამედ სახელდობრ სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ზ უ ს ტ ა დ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი პ ლ ა ტ ფ ო რ მ ი ს გატარების თვალსაზრისით.

V. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატების საერთაშორისო ამოცანები

27. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატების მიერ ინტერნაციონალიზმის აღიარება რომ არ დარჩეს ცარიელ, არავითარი ვალდებულების დამკისრებელ სიტყვად, — ისეთივე ცარიელ სიტყვად, როგორითაც ყოველთვის კმაყოფილდებიან «ცენტრის» მომხრენი და საერთოდ II ინტერნაციონალის ეპოქის სოციალ-დემოკრატები, — ამისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, თანამიმდევრული და ურყევი ბრძოლა უცხოელ მუშათა და შვეიცარიის მუშათა ორგანიზაციული დაახლოებისა და გაერთიანებისათვის ერთსა და იმავე კავშირებში და მათი სრული (სამოქალაქო და პოლიტიკური) თანასწორუფლებიანობისათვის. შვეიცარიაში იმპერიალიზმის სპეციფიკური თავისებურება არის სწორედ უუფლებო უცხოელ მუშათა მზარდი ექსპლოატაცია შვეიცარიის ბურჟუაზიის მიერ, რომელიც თავის იმედებს ამ ორი წყება მუშების განცალკევებაზე აშენებს.

* — ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომისია. რ ე დ.

მეორე, საჭიროა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ იმისათვის, რომ შვეიცარიის გერმანელ, ფრანგ და იტალიელ მუშებში გამომუშავდეს ერთიანი, მუშათა მოძრაობის მთელ პრაქტიკაში ნამდვილად ერთიანი ინტერნაციონალისტური მიმართულება, რომელიც ერთნაირი სიმტკიცით და ერთნაირად პრინციპულად იბრძოლებს როგორც ფრანგული (რომანულ შვეიცარიაში), ისე გერმანული და იტალიური სოციალ-პატრიოტიზმის წინააღმდეგ. ეს პლატფორმა საფუძვლად უნდა დაედოს შვეიცარიაში მცხოვრებ ყველა სამი მთავარი ერის ან ენის მუშათა საზოგადო და ერთიან პლატფორმას. შვეიცარიის ყველა ერის იმ მუშათა ასეთი გაერთიანების გარეშე, რომლებიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მხარეზე დგანან, ინტერნაციონალიზმი ცარიელ სიტყვას წარმოადგენს.

ამგვარი გაერთიანების განხორციელების გასაადვილებლად საჭიროა მივაღწიოთ შვეიცარიის ყველა სოციალ-დემოკრატიული გაზეთის (და მუშათა, მოსამსახურეთა და სხვ. ეკონომიური კავშირების ყველა ორგანოს) დამატებათა (თუნდაც ყოველკვირეულთა (ყოველთვიურთა) და თავდაპირველად მხოლოდ 2-გვერდიანთა) გამოცემას, რომლებიც დაიბეჭდება სამ ენაზე და განავითარებს წინამდებარე პლატფორმას ყოველდღიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

28. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატებმა მხარი უნდა დაუჭირონ ყველა სხვა სოციალისტური პარტიის მხოლოდ რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ ელემენტებს, რომელნიც დგანან ციმერვალდის მემარცხენეთა ნიადაგზე; ამასთან, ეს მხარის დაჭერა პლატონიური არ უნდა იყოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოწოდებათა ხელახლა გამოცემა შვეიცარიაში, რომლებიც ფარულად იბეჭდება მთავრობის წინაალმდეგ გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, მათი გადათარგმნა სამივე ენაზე და გავრცელება როგორც შვეიცარიის პროლეტარიატში, ისე ყველა მეზობელი ქვეყნის პროლეტარიატში.

29. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ არა მარტო უნდა გაატაროს ბერნის ყრილობაზე (თებერვალი, 1917) შეერთება, და ისიც უყოყმანო შეერთება, კინტალის კონფერენციის გადაწყვეტილებებთან, არამედ უნდა მოითხოვოს კიდეც, თავის მხრივ, დაუყოვნებლივი, სრული, ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტა ჰააგაში მყოფ I. S. B.-თან *, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის ინტერესებისადმი შეურიგებლად მტრული ოპორტუნიზმისა და სოციალ-პატრიოტიზმის დასაყრდენს.

30. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება იმ მხრივ, რომ გაეცნოს ევროპის მოწინავე ქვეყნების მუშათა მოძრაობაში მიმდინარე ამბებს და გააერთიანოს ამ მუშათა მოძრაობის რევოლუციური ელემენტები, პასიურად კი არ უნდა ელოდებოდეს ამ მოძრაობის შიგნით შინაგანი ბრძოლის განვითარებას, არამედ ასეთ ბრძოლას წ ი ნ უნდა გ ა უ ძ ღ ვ ე ს. სახელდობრ: ის უნდა მიდიოდეს ციმერვალდის მემარცხენეთა იმ გზით, რომლის სისწორე ყოველდღე სულ უფრო ცხადად აშკარავდება მოვლენათა მსვლელობით გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატების და საზოგადოდ ყველა ცივილიზებული ქვეყნის სოციალიზმში.

დაწერილია 1916 წ. ოქტომბრის
დამლევს — ნოემბრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1918 წ. ცალკე
ბროშურად ფრანგულ ენაზე

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რუსულ ენაზე პირველად
დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალ
«პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 4 (27)

---

* — **Internationalem Sozialistischen Bureau** — საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან. რ ე დ.

თეზისები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი[67]

1. თანამედროვე მსოფლიო ომი წარმოადგენს იმპერიალისტურ ომს, რომელიც წარმოებს მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიური ექსპლოატაციის მიზნით, გასაღების ბაზრებისა, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის დაბანდების ახალი სფეროებისათვის, სუსტი ხალხების ჩაგვრისათვის და ა. შ.

ორივე მეომარი კოალიციის ფრაზები «სამშობლოს დაცვის» შესახებ სხვა არაფერია, თუ არა ხალხების ბურჟუაზიული მოტყუება.

2. შვეიცარიის მთავრობა მხოლოდ საქმეთა მმართველია შვეიცარიის ბურჟუაზიისა, რომელიც საკუთრებით დამოკიდებულია საერთაშორისო ფინანსური კაპიტალისაგან და უმჭიდროესად დაკავშირებულია დიდ სახელმწიფოთა იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან.

ამიტომ სრულიადაც არა შემთხვევითობა, არამედ ამ ეკონომიური ფაქტების აუცილებელი შედეგია ის, რომ შვეიცარიის მთავრობა დღითი დღე — და ასე ხდება უკვე მრავალი ათეული წლების განმავლობაში — ეწევა სულ უფრო და უფრო რეაქციულ პოლიტიკას და საიდუმლო დიპლომატიას, ავიწროებს და არღვევს ხალხის დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ფეხქვეშ ეგება სამხედრო ხროვას და მოსახლეობის ფართო მასების ინტერესებს სისტემატურად და ურცხვად სწირავს მსხვერპლად ერთი მუჭა ფინანსური მაგნატების ინტერესებს.

შვეიცარიის ჩაბმა ახლანდელ ომში ამჟამად შესაძლებელია ყოველ მომენტში, ფინანსური ოლიგარქიის ინტერესებისაგან შვეიცარიის ბურჟუაზიული მთავრობის ამ დამოკიდებულების მეოხებით და აგრეთვე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ამა თუ იმ კოალიციის ძლიერი ზეგავლენით.

3. ამიტომ შვეიცარიის მიმართაც «სამშობლოს დაცვა» ახლა სხვა არაფერია, თუ არა თვალთმაქცური ფრაზა, რადგან სინამდვილეში ლაპარაკია არა დემოკრატიის, დამოუკიდებლობის და ხალხის ფართო მასების ინტერესებისა და სხვ. დაცვაზე, არამედ, პირიქით, მუშებისა და წვრილი გლეხობის მომზადებაზე ხოცვა-ჟლეტისათვის ბურჟუაზიის მონოპოლიებისა და პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით, კაპიტალისტთა ბატონობისა და პოლიტიკური რეაქციის გაძლიერებაზე.

4. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია პრინციპულად უარყოფს «სამშობლოს დაცვას», მოითხოვს დაუყოვნებლივ დემობილიზაციას და მოუწოდებს მუშათა კლასს — შვეიცარიის ბურჟუაზიის საომარ სამზადისს, ისევე როგორც ომს, თუ კი ის დაიწყო, უპასუხოს პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის უაღრესად მკვეთრი საშუალებებით.

როგორც ასეთი საშუალებანი, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

(a) არავითარი სამოქალაქო ზავი; გამწვავება პრინციპული ბრძოლისა ყველა ბურჟუაზიულ პარტიასთან, აგრეთვე გრიუტლის კავშირთან, როგორც მუშათა მოძრაობის შიგნით ბურჟუაზიის აგენტების კავშირთან, ისევე როგორც გრიუტლის კავშირის ტენდენციებთან სოციალისტური პარტიის შიგნით.

(b) ყველა სამხედრო კრედიტის უარყოფა როგორც მშვიდობის დროს, ისე ომის დროსაც, რა მიზეზითაც უნდა თხოულობდნენ ამ კრედიტებს.

(c) მხარის დაჭერა ყველა რევოლუციური მოძრაობისა და მეომარი ქვეყნების მუშათა კლასის ყოველგვარი ბრძოლისადმი ომის წინააღმდეგ და თავიანთ მთავრობათა წინააღმდეგ.

(d) ხელის შეწყობა რევოლუციური მასობრივი ბრძოლისათვის შვეიცარიის შიგნით, გაფიცვისათვის, დემონსტრაციებისათვის, შეიარაღებული აჯანყებისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

(e) სისტემატური პროპაგანდა ჯარში, ამ მიზნით განსაკუთრებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების შექმნა არმიაში, აგრეთვე წვევამდელი ახალგაზრდობისაგან.

(f) არალეგალური ორგანიზაციების შექმნა თვით მუშათა კლასის მიერ, როგორც პასუხი მთავრობის მხრივ პოლიტიკურ თავისუფლებათა ყოველგვარ შეკვეცასა ან მოსპობაზე.

(g) ისეთი მდგომარეობის სისტემატური მომზადება მუშებისათვის გეგმაშეწონილი ახსნა-განმარტების გზით, რომ მუშათა და მოსამსახურეთა უკლებლივ ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა გადავიდეს იმ პირთა ხელში, რომელნიც აღიარებენ ზემოაღნიშნულ ბრძოლას ომის წინააღმდეგ და შეძლებენ ასეთი ბრძოლა გაატარონ.

5. როგორც მიზანს რევოლუციური მასობრივი ბრძოლისას, რომელიც აღიარებულია უკვე 1915 წლის აარაუს პარტეიტაგზე, პარტია სახავს სოციალისტურ გადატრიალებას შვეიცარიაში. ეს გადატრიალება ეკონომიურად შეიძლება განხორციელებულ იქნეს დაუყოვნებლივ. იგი წარმოადგენს სიძვირისა და შიმშილის საშინელებათაგან მასების განთავისუფლების ერთადერთ ნამდვილ საშუალებას. იგი ახლოვდება როგორც იმ კრიზისის შედეგი, რომელსაც განიცდის ახლა მთელი ევროპა, იგი აბსოლუტურად აუცილებელია მილიტარიზმისა და ყველა ომის სრული მოსპობისათვის.

პარტია აცხადებს, რომ ყველა ბურჟუაზიულ-პაციფისტური და სოციალისტურ-პაციფისტური ფრაზები მილიტარიზმისა და ომების წინააღმდეგ, თუ არ ვაღიარეთ ეს მიზანი და მისკენ მიმავალი რევოლუციური გზები, წარმოადგენენ ილუზიებს ან სიცრუეს, რომლებსაც მხოლოდ იქითკენ მივყავართ, რომ ჩამოაცილონ მუშათა კლასი ყოველგვარ სერიოზულ ბრძოლას კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ.

არ წყვეტს რა ბრძოლას დაქირავებულ მონათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, პარტია მოუწოდებს მუშათა კლასს და მის წარმომადგენლებს დღის წესრიგში დააყენონ პროპაგანდა დაუყოვნებლივი სოციალისტური გადატრიალებისა შვეიცარიაში მასობრივი აგიტაციის, საპარლამენტო გამოსვლების, საინიციატივო წინადადებათა და სხვ. გზით, ცხადყონ, რომ აუცილებელია ბურჟუაზიული მთავრობის შეცვლა პროლეტარული მთავრობით, რომელიც დაეყრდნობა ხელმოკლე მოსახლეობის მასას, და განმარტონ ისეთ ღონისძიებათა აუცილებელი საჭიროება, როგორიცაა ბანკებისა და მსხვილი საწარმოების ექსპროპრიაცია, ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმება, შემოღება ერთიანი პირდაპირი გადასახადისა რევოლუციურად-მაღალი განაკვეთებით მსხვილი შემოსავლისათვის და ა. შ.

დაწერილია გერმანულ ენაზე
1916 წ. დეკემბრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

პრინციპული დებულებანი ომის საკითხისათვის

შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს შორის სრული ერთსულოვნებაა იმ საკითხში, რომ აუცილებელია, სწორედ ახლანდელ ომთან დაკავშირებით, უარყოფილ იქნეს ხამშობლოს დაცვის პრინციპი. პროლეტარიატი, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი საუკეთესო ელემენტები, აგრეთვე განწყობილია სამშობლოს დაცვის წინააღმდეგ.

ამრიგად, საზოგადოდ თანამედროვე სოციალიზმის და კერძოდ შვეიცარიის სოციალისტური პარტიის ყველაზე მწვავე საკითხის მიმართ, როგორც ჩანს, არსებობს აუცილებელი ერთიანობა. მაგრამ თუ საქმეს უფრო ახლო ჩავუკვირდებით, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს ერთიანობა მხოლოდ მ ო ჩ ვ ე ნ ებ ი თ ი ა.

ნამდვილად კი სრულიად არ არის სიცხადე — აღარაფერს ვამბობთ აზრთა ერთიანობაზე — იმ მხრივ, რომ განცხადება სამშობლოს დაცვისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ უკვე თავისთავად წარმოადგენს ისეთ საქმეს, რომელიც უ ჩ ვ ე უ ლ ო დ მ ა ღ ა ლ მ ო თ ხ ო ვ ნ ებ ს უყენებს ამის განმცხადებელი პარტიის რევოლუციურ შეგნებას, ისევე როგორც მის რევოლუციურ ქმედითუნარიანობას, — რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ამგვარი განცხადება ცარიელი ფრაზით არ ამოიწურება. ხოლო თუ ტყუილ-უბრალოდ აცხადებენ უარს ქვეყნის თავდაცვაზე ისე, რომ ნათლად ვერ

წარმოუდგენიათ, ე. ი. არ ესმით, თუ რა მოთხოვნები მოსდევს ამას, ვერ გაუგიათ, რომ მ თ ე ლ ი პ რ ო პ ა გ ა ნ დ ა, ა გ ი ტ ა- ც ი ა, ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა, ერთი სიტყვით, პარტიის მთელი მოღვაწეობა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, «განახლდეს» (კარლ ლიბკნეხტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ) და უ მ ა ღ ლ ე ს რევოლუციურ ამოცანებს შეეხამოს, — მაშინ ეს განცხადება ცარიელ ფრაზად იქცევა.

მაშ, სათანადოდ ჩავუფიქრდეთ, საკუთრივ რას ნიშნავს უარის თქმა სამშობლოს დაცვაზე, ოუ ჩვენ მას შევხედავთ როგორც პოლიტიკურ ლოზუნგს, რომელსაც ს ე რ ი ო ზ უ- ლ ა დ ვ ღ ე ბ უ ლ ო ბ თ და რომელიც ნამდვილად უნდა გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ს.

პირველი. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველა მეომარი ქვეყნისა და ომის საფრთხის წინაშე მყოფი ყველა ქვეყნის პროლეტარებსა და ექსპლოატირებულთ უარყონ სამშობლოს დაცვა. ახლა რამდენიმე მეომარი ქვეყნის გამოცდილებით ჩვენ უკვე სავსებით გარკვეულად ვიცით, თუ რას ნიშ- ნავს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი უარყოფა სამშობლოს დაცვისა ახლანდელ ომში. ეს ნიშნავს უარყო თანამედროვე ბურჟუა- ზიული საზოგადოების ყველა საფუძველი და ძირი გამოუ- თხარო თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებას არა მარტო თეორიულად, არა მარტო «საზოგადოდ», არამედ პრაქტიკუ- ლად, უშუალოდ, ახლავე. განა ცხადი არ არის, რომ ეს შეიძ- ლება გაკეთდეს მ ხ ო ლ ო დ იმ პირობით, თუ ჩვენ არა მარ- ტო მივედით იმ უაღრესად მტკიცე თეორიულ რწმენამდე, რომ კაპიტალიზმი უკვე სავსებით მომწიფდა მისი გადაქცე- ვისათვის სოციალიზმად, არამედ თუ ჩვენ ვალიარებთ, რომ ეს სოციალისტური გადატრიალება, ე. ი. სოციალისტური რევოლუცია, შეიძლება განხორციელებულ იქნეს პრაქტიკუ- ლად, უშუალოდ, დაუყოვნებლივ?

მაგრამ ამას თითქმის ყოველთვის მხედველობიდან უშვე- ბენ ხოლმე, როდესაც ლაპარაკობენ სამშობლოს დაცვაზე უარის თქმის შესახებ. უკეთეს შემთხვევაში თანახმა არიან

«თეორიულად» აღიარონ, რომ კაპიტალიზმი უკვე მომწიფდა სოციალიზმად გადაქცევისათვის, მაგრამ კარს მომდგარი სოციალისტური რევოლუციის შესაბამისად პარტიის მთელი მოღვაწეობის დაუყოვნებლივი, ძირფესვიანი შეცვლის შესახებ — ამის შესახებ გაგონებაც კი არა სურთ!

ხალხი თითქოსდა არ არის მომზადებული ამისათვის!

მაგრამ ეს სასაცილო არათანამიმდევრობაა. ან — ან. ჩვენ ან არ უნდა გამოვაცხადოთ დაუყოვნებლივი უარის თქმა სამშობლოს დაცვაზე, — ანდა ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური რევოლუციის უშუალო გატარების სისტემატური პროპაგანდა ან დავიწყოთ ამ პროპაგანდის გაჩაღება. ერთგვარი აზრით «ხალხი», რა თქმა უნდა, «არ არის მომზადებული» არც ქვეყნის დაცვაზე უარის თქმისათვის, არც სოციალისტური რევოლუციისათვის, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ორი წლის — — — ორი წლის! — — განმავლობაში ვაჭიანურებდეთ და არ ვკიდებდეთ ხელს ასეთი სისტემატური მომზადების დაწყებას!

მეორე. რა უპირისპირდება სამშობლოს დაცვისა და სამოქალაქო ზავის პოლიტიკას? რევოლუციური ბრძოლა ომის წინააღმდეგ, «რევოლუციური მასობრივი გამოსვლები», როგორც ისინი აღიარებულ იქნა 1915 წლის აარაუს პარტეიტაგის რეზოლუციით. ეს, უეჭველია, ჩინებული გადაწყვეტილებაა, მაგრამ... მაგრამ პარტიის ისტორია ამ პარტეიტაგის დროიდან, პარტიის ნამდვილი პოლიტიკა მოწმობენ, რომ ის ქაღალდზე დაწერილ გადაწყვეტილებად დარჩა!

რა არის რევოლუციური მასობრივი ბრძოლის მიზანი? პარტიას ოფიციალურად არაფერი უთქვამს ამის შესახებ, და ამაზე საზოგადოდ არც ლაპარაკობენ. ან თავისთავად ცხადად თვლიან, ან პირდაპირ აღიარებენ, რომ ამ მიზანს წარმოადგენს «სოციალიზმი». კაპიტალიზმს (ან იმპერიალიზმს) უპირისპირებენ სოციალიზმს.

მაგრამ ეს (თეორიულად) სწორედ უაღრესად ულოგიკორამ არის, პრაქტიკულად კი შინაარსს მოკლებულია. ულოგიკოა იმიტომ, **რომ** ეს მეტისმეტად ზოგადი, მეტისმეტად ბუნდოვანია. «სოციალიზმს» საზოგადოდ, როგორც მიზანს, დაპირისპირებულს კაპიტალიზმისადმი (ან იმპერიალიზმისადმი), ახლა აღიარებენ არა მარტო კაუცკელები და სოციალ-შოვინისტები, არამედ ბევრი ბურჟუაზიული სოციალური პოლიტიკოსიც. მაგრამ ახლა საქმე ეხება არა ორი სოციალური სისტემის ზოგად დაპირისპირებას, არამედ კონკრეტული ბოროტების წინააღმდეგ, სახელდობრ კი დღევანდელი სიძვირის, დღევანდელი სამხედრო საფრთხის ან ახლანდელი ომის წინააღმდეგ კონკრეტული «რევოლუციური მასობრივი ბრძოლის» კონკრეტულ მიზანს.

მთელი II ინტერნაციონალი 1889—1914 წლებისა სოციალიზმს უპირისპირებდა საზოგადოდ კაპიტალიზმს, და სწორედ ამ მეტისმეტად ზოგად «განზოგადებაზე» გაკოტრდა ის. იგი უგულებელყოფდა თავისი ეპოქის სწორედ სპეციფიკურ ბოროტებას, რომელსაც ფრ. ენგელსი უკვე თითქმის 30 წლის წინათ, 1887 წ. 10 იანვარს, ახასიათებდა შემდეგი სიტყვებით:

«...თვითონ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რეიხსტაგის ფრაქციის ჩათვლით, ადგილს პოულობს გარკვეული ჯურის წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი. იგი იქ გამოხატულებას პოულობს ისეთი ფორმით, რომ თანამედროვე სოციალიზმის ძირითადი შეხედულებანი და წარმოების ყველა საშუალების საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევის მოთხოვნა მართებულად მიიჩნიათ, მაგრამ ამის განხორციელება აღიარებულია შესაძლებლად მხოლოდ **შორეულ, პრაქტიკულად გაურკვეველ, მომავალში.** ამით ამოცანა ახლანდელი დროისათვის განისაზღვრება მხოლოდ როგორც **უბრალო სოციალური შეკეთება...»** («ბინის საკითხისათვის», წინასიტყვაობა) [68].

«რევოლუციური მასობრივი ბრძოლის» კონკრეტული მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალისტური რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ღონისძიებანი, და ა რ ა «სოციალიზმი» საზოგადოდ. ხოლო როდესაც წინადადებას იძლევიან ზუსტად იქნეს განსაზღვრული ეს კონკრეტული ღონისძიებანი, — როგორც ეს გააკეთეს ჰოლანდიელმა ამხანაგებმა თავიანთ პროგრამაში, რომელიც დაბეჭდილია «ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბიულეტენის» მე-3 ნომერში (ბერნი, 1916 წ. 29 თებერვალი): სახელმწიფო ვალების გაუქმება, ბანკების ექსპროპრიაცია, ყველა მსხვილი საწარმოს ექსპროპრიაცია, — თუ წინადადებას აყენებენ შეიტანონ ასეთი სავსებით კონკრეტული ღონისძიებანი პარტიის ოფიციალურ რეზოლუციაში და სისტემატურად განმარტონ ისინი უაღრესად პოპულარული ფორმით ყოველდღიური პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის გზით კრებებზე, პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვებში, საინიციატივო წინადადებებში, — მაშინ კვლავ ვღებულობთ ისევ იმ გამჭიანურებელ ან ორჭოფულ, მთლად სოფისტიკურ პასუხს, რომ ხალხი ამისთვის ჯერ კიდევ მოუმზადებელიაო და სხვა!

მაგრამ საქმე ხომ სწორედ ის არის, რომ ახლავე დავიწყოთ ეს მომზადება და განუხრელად გავატაროთ ის!

მესამე. პარტიამ «ცნო» რევოლუციური მასობრივი ბრძოლა. ძალიან კარგი. მაგრამ შ ე ს წ ე ვ ს თუ არა პარტიას უ ნ ა რ ი შეასრულოს მსგავსი რამ? ემზადება თუ არა ის ამისათვის? სწავლობს თუ არა ის ა მ საკითხებს, აგროვებს თუ არა ის სათანადო მასალას, ქმნის თუ არა ის ს ა თ ა ნ ა დ ო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, განიხილავს თუ არა ის ხალხში, ხალხთან ერთად, სათანადო საკითხებს?

არაფერი ამდაგვარი! პარტია ჯიუტად რჩება მთლიანად და სავსებით თავის ძველ, მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტურ, მხოლოდ და მხოლოდ ტრედ-უნიონისტურ, მხოლოდ და მხოლოდ რეფორმისტულ, მხოლოდ და მხოლოდ ლეგალურ კალაპოტში. პარტია შეგნებულად რჩება უ უ ნ ა რ ო — ხელი შეუწყოს რევოლუციურ მასობრივ ბრძოლას და უხელმძღვანელოს მას, ის შეგნებულად სრულიად არ ემზა-

დება საამისოდ. ბატონობს წინანდელი რუტინა, და «ახალი» სიტყვები (სამშობლოს დაცვაზე უარის თქმა, რევოლუციური მასობრივი ბრძოლა) — მ ხ ო ლ ო დ ს ი ტ ყ ვ ე ბ ა დ რჩება! მემარცხენეები კი ამას ვერ ხვდებიან და არ აგროვებენ სისტემატურად, დაჟინებით თავიანთ ძალებს ყველგან, პარტიული მუშაობის ყველა დარგში, იმისათვის, რომ ებრძოლონ ამ ბოროტებას.

არ შეიძლება მხრები არ აიჩეჩო, როდესაც კითხულობ, მაგალითად, შემდეგ ფრაზას (უკანასკნელ ფრაზას) გრიმის თეზისებში ომის საკითხზე:

«პარტიის ორგანოებმა, ქვეყნის პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად, ამ შემთხვევაში (ე. ი. როდესაც ომის საფრთხის შემთხვევაში რკინიგზელ მოსამსახურეებს მოუწოდებენ მასობრივი გაფიცვისაკენ და სხვ.) უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა».

ეს თეზისები გამოქვეყნდა მიმდინარე წლის ზაფხულში, ხოლო 1916 წლის 16 სექტემბერს «**Schweizerische Metallarbeiterzeitung**»-ში [68], რომელსაც ხელს აწერენ რედაქტორები: ო. შნეებერგერი და კ. დიური, შეიძლებოდა წაგეკითხათ შემდეგი ფრაზა (კინაღამ ვთქვი: შემდეგი ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი პ ა ს უ ხ ი გრიმის თეზისებზე ანუ კეთილ სურვილებზე):

«...ძალიან უხეიროა... ფრაზა: «მუშას სამშობლო არა აქვსო» ისეთ მომენტში, როდესაც მთელი ევროპის მუშათა უდიდესი უმრავლესობა უკვე ორი წელია ბურჟუაზიის მხარდამხარ დგას ბრძოლის ველზე თავისი სამშობლოს «მტრების» წინააღმდეგ, ხოლო იმათ, ვინც შინ დარჩა, სურთ «გაძლონ», მიუხედავად ხელმოკლეობისა და გაჭირვებისა. **უცხოელთა თავდასხმის შემთხვევაში ჩვენ, უეჭველია, იმავე სურათს დავინახავდით შვეიცარიაშიც!!!**»

განა ეს «კაუცკური» პოლიტიკა არ არის, პოლიტიკა უსუსური ფრაზის, მემარცხენე დეკლამაციებისა და ოპორტუნისტული პრაქტიკისა, როდესაც, ერთი მხრივ, აყენებენ რეზოლუციებს იმის შესახებ, რომ პარტია «**პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად**» უნდა მოუწოდებდეს რევოლუციური მასობრივი გაფიცვებისაკენ, მეორე მხრივ კი, არავითარ ბრძოლას არ აწარმოებენ გ რ ი უ ტ ლ უ რ ი, ე. ი. სოციალ-

პატრიოტული, რეფორმისტული, მხოლოდ და მხოლოდ ლეგალისტური მიმართულებისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ პარტიაში და პროფესიულ კავშირებში?

მასების «აღზრდას» ნიშნავს ეს, თუ მასების გაჯერწნას და დემორალიზაციას, როცა მათ არ ეუბნებიან და არ უმტკიცებენ ყოველდღე, რომ «ხელმძღვანელი» ამხანაგები ო. შნეებერგერი, კ. დიური, პ. პფლიუგერი, გ. გრეილიხი, გუბერი და ბევრი სხვა სწორედ ისეთსავე სოციალ-პატრიოტულ შეხედულებებს ადგანან და სწორედ ისეთსავე სოციალ-პატრიოტულ პოლიტიკას აწარმოებენ, როგორიცაა ის პოლიტიკა, რომელსაც გრიმი ესოდენ «ვაუკაცურად» ამხელს და ამათრახებს... როდესაც საქმე ეხება გერმანიის გერმანელებს, და არა შვეიცარიელებს? უცხოელები — აგინო, «შენს» «თანამოქალაქეებს» — ხელი დააფარო... განა ეს «ინტერნაციონალისტურია»? განა ეს «დემოკრატიულია»?

გერმან გრეილიხმა შემდეგი სიტყვებით დაასურათა შვეიცარიის მუშათა მდგომარეობა, შვეიცარიის სოციალიზმის კრიზისი, აგრეთვე გრიუტლური პოლიტიკის დედაარსი სოციალისტური პარტიის შიგნით:

«ცხოვრების დონე ძალიან ცოტათი ამაღლდა და ისიც მხოლოდ პროლეტარიატის ზედა ფენებისათვის (უსმინეთ, უსმინეთ!). მუშათა მასა წინანდებურად გაჭირვებული ცხოვრობს, საზრუნავშია, ხელმოკლეობას განიცდის. ამიტომ დრო და დრო იბადება ეჭვი, სწორია თუ არა ის გზა, რომლითაც დღემდე მივდიოდითო. კრიტიკოსები ახალ გზებს დაეძებენ და განსაკუთრებით იმედებს ამყარებენ უფრო გაბედულ გამოსვლაზე. ამ მიმართულებით ადგილი აქვს ცდებს, რომლებიც, როგორც წესი (?), მარცხით მთავრდება (??) და ახალი ძალით იწვევს დაბრუნებას ძველი ტაქტიკისაკენ» (აქაც ხომ არ არის სურვილი აზრის მამა?)... «და აი, დაიწყო მსოფლიო ომი... ცხოვრების დონის მეტისმეტი დაქვეითება, რაც გაჭირვებამდე აღწევს ისეთ ფენებში, რომელნიც წინათ ასე თუ ისე გვარიანად ცხოვრობდნენ, აძლიერებს რევოლუციურ სულისკვეთებას» (უსმინეთ! უსმინეთ!)... «მართლაცდა, პარტიის ხელმძღვანელობა არ იყო მის წინაშე მდგარი ამოცანების სიმაღლეზე და მეტისმეტად ემორჩილებოდა (??) ფიცხი ადამიანების გავლენას (ასე? ასე?)... გრიუტლის კავშირის ცენტრალური კომიტეტი კისრულობს გაატაროს «პრაქტიკული ნაციონალური

პოლიტიკა», რომელიც მას სურს აწარმოოს პარტიის გარეთ. ...რატომ არ გააკეთა ეს მან პარტიის შიგნით?» (უსმინეთ! უსმინეთ!). «რატომ იყო, რომ ის თითქმის ყოველთვის მე მანდობდა ბრძოლას ულტრა-რადიკალებთან?» («ღია წერილი გოტინგენის გრიუტლის კავშირს», 1916 წლის 26 სექტემბერი).

ასე ლაპარაკობს გრეილიხი. მაშასადამე, საქმე სრულიადაც ისე არ არის, რომ თითქოს რამდენიმე «ბოროტგანმზრახველ უცხოელს» (როგორც ჩუმჩუმად ფიქრობენ ან პრესაში გადაკვრით მიუთითებენ პარტიაში მყოფი გრიუტლელები, ხოლო აშკარად ლაპარაკობენ — პარტიის გარეთ მყოფი გრიუტლელები), თავისი პირადი მოუთმენლობით შეპყრობილს, სურდეს რევოლუციურობა შეიტანოს მუშათა მოძრაობაში, რომელსაც ისინი «უცხოელთა სათვალეებით» უყურებენ. არა. სხვა ვინმე კი არა, არამედ გერმან გრეილიხი, — რომლის პოლიტიკური როლი ფაქტიურად უდრის ბურჟუაზიული შრომის მინისტრის როლს პატარა დემოკრატიულ რესპუბლიკაში, — გვატყობინებს, რომ ერთგვარად გაუმჯობესდა მხოლოდ მუშათა ზედა ფენების მდგომარეობა, მ ა ს ა კი გაჭირვებული რჩება, და რომ «რევოლუციური სულისკვეთების გაძლიერება» მომდინარეობს არა წყეულ უცხოელ «წამქეზებელთაგან», არამედ «ცხოვრების დონის მეტისმეტი დაქვეითებიდან».

მაშასადამე?

მაშასადამე, უთუოდ მართებული იქნება, თუ ვიტყვით:

> ა ნ შვეიცარიელი ხალხი იშიმშილებს, ამასთანავე ყოველი კვირის შემდეგ იშიმშილებს სულ უფრო და უფრო საშინლად, და ყოველდღე იმის საფრთხეში იქნება, რომ შეიძლება ჩაითრიონ იმპერიალისტურ ომში, ე. ი. შეიძლება დაიხოცოს კაპიტალისტთა ინტერესებისათვის, ა ნ დ ა ის შეისმენს თავისი პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილის რჩევას, მოიკრებს მთელ თავის ძალებს და მოახდენს სოციალისტურ რევოლუციას.

სოციალისტური რევოლუცია? უტოპიაა! «შორეული, პრაქტიკულად გაურკვეველი» შესაძლებლობაა!...

ეს უტოპიაა სრულიადაც არა იმაზე მეტად, ვიდრე სამშობლოს დაცვის უარყოფა ამ ომში ან რევოლუციური მასობრივი ბრძოლა ამ ომის წინააღმდეგ. არ უნდა გავიბრუოთ თავი სიტყვებით და არც უნდა შევაშინებინოთ თავი სიტყვებით. თითქმის თვითეული მზად არის აღიაროს რევოლუციური ბრძოლა ომის წინააღმდეგ, მაგრამ დაე წარმოიდგინონ, რა უზარმაზარია ამოცანა — ბოლო მოეღოს ასეთ ომს რევოლუციის გზით! არა, ეს უტოპია არ არის. რევოლუცია იზრდება ყველა ქვეყანაში, და **ახლა** საკითხი ასე როდი დგას: განაგრძონ მშვიდად და გვარიანად ცხოვრება, თუ მიმართონ ავანტიურას. პირიქით, საკითხი ახლა ასე დგას: იშიმშილონ და სასაკლაოზე წავიდნენ გარეშე, უცხო ინტერესებისათვის, თუ გაიღონ დიადი მსხვერპლი სოციალიზმისათვის, კაცობრიობის ცხრა მეათედის ინტერესებისათვის.

სოციალისტური რევოლუცია თითქოსდა უტოპიაა! მაგრამ შვეიცარიელ ხალხს, მადლობა ღმერთს, არა აქვს «თვითმყოფი» ანუ «დამოუკიდებელი» ენა, არამედ ის ლაპარაკობს სამ მსოფლიო ენაზე, რომლებზედაც ლაპარაკობენ მოსაზღვრე მეომარ სახელმწიფოებში. ამრიგად, გასაკვირველი არაფერია იმაში, რომ შვეიცარიელმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა ხდება ამ სახელმწიფოებში. გერმანიაში მივიდნენ 66 მილიონი ადამიანის სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობამდე ერთი ცენტრიდან, 66 მილიონი ადამიანის სახალხო მეურნეობის ორგანიზაციამდე ერთი ცენტრის მიერ, უდიდესი მსხვერპლი დააკისრეს ხალხის დიდ უმეტესობას, და ყოველივე ეს იმისათვის, რომ «ზედა ფენის 30 ათასს» შესძლებოდა ჩაეჯიბა მილიარდობით სამხედრო მოგება და რომ მილიონები დაღუპულიყვნენ სასაკლაოზე ერის ამ «უკეთილშობილესი და საუკეთესო» წარმომადგენლების სასარგებლოდ. და ასეთი ფაქტების, ასეთი გამოცდილების წინაშე ნუთუ შეიძლება «უტოპიად» ჩაითვალოს, რომ პატარა ხალხი, რომელსაც არ გააჩნია არც მონარქია და არც იუნკრები, **რომელიც დგას** კაპიტალიზმის მეტად მაღალ საფეხურზე და ორგანიზებულია **სხვადასხვა**

კავშირში, თითქმის უკეთესად, ვიდრე ყველა სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში, — რომ ასეთი ხალხი თ ა ვ ი ს გ ა დ ა-ს ა რ ჩ ე ნ ა დ შ ი მ შ ი ლ ი ს ა გ ა ნ დ ა ო მ ი ს ს ა ფ რ თ ხ ი ს ა გ ა ნ გააკეთებს **იმასვე**, რაც პრაქტიკულად ნაცადია გერმანიაში, რა თქმა უნდა, იმ განსხვავებით, რომ გერმანიაში მილიონობით ადამიანებს ხოცავენ და ასახიჩრებენ, რათა გაამდიდრონ მცირეოდენნი, უზრუნველყონ თავისთვის ბაღდადი, დაიპყრონ ბალკანეთი, მაშინ როდესაც შვეიცარიაში საჭიროა ექსპროპრირებულ იქნეს სულ დიდი 30 000 ბურჟუა, ე. ი. ისინი დაღუპვამდე კი არ იქნენ მიყვანილი, არამედ მათი ხვედრი გახდეს «საშინელი» ბედი, ის, რომ ისინი მიიღებენ **«მხოლოდ»** 6 — 10 ათას ფრანკ შემოსავალს, ხოლო დანარჩენი უნდა მისცენ სოციალისტურ მუშათა მთავრობას ხალხის დასაცავად შიმშილისაგან და ომის საფრთხისაგან.

მაგრამ დიდი სახელმწიფოები ხომ არასოდეს არ მოითმენენ სოციალისტურ შვეიცარიას, და სოციალისტური რევოლუციის პირველივე ჩანასახები შვეიცარიაში ჩახშობილ იქნება ამ სახელმწიფოების ძალთა უზარმაზარი სიჭარბით!

ეს, უეჭველია, ასე მოხდებოდა, რომ, ჯერ-ერთი, რევოლუციის ჩანასახები შვეიცარიაში შესაძლებელი ყოფილიყო ისე, რომ ა რ გამოეწვია სოლიდარობის კლასობრივი მოძრაობა მოსაზღვრე ქვეყნებში;— მეორეც, ეს დიდი სახელმწიფოები რომ არ იმყოფებოდნენ იმ «გამომფიტველი ომის» ჩიხში, რომელმაც უკვე თითქმის ამოწურა ყველაზე უფრო მომთმენი ხალხების მოთმინება. ახლა კი ერთმანეთისადმი მტრულ დიდ სახელმწიფოთა სამხედრო ჩარევა მხოლოდ იმის პროლოგი იქნებოდა, რომ რევოლუციას მთელ ევროპაში ეფეთქნა.

თქვენ იქნებ ფიქრობთ, მე იმდენად გულუბრყვილო ვიყო, რომ მჯეროდეს, თითქოს «შეგონების საშუალებით» შეიძლებოდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიც სოციალისტური რევოლუციის საკითხია?

არა. მე მინდა მხოლოდ ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ა მოგცეთ და ამასთან მხოლოდ ერთი კ ე რ ძ ო ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს:

რანაირი ცვლილება უნდა მოხდეს პარტიის მთელ პროპაგანდაში, თუ კი მოისურვებდნენ ნამდვილი სერიოზულობით მოჰკიდებოდნენ სამშობლოს დაცვაზე უარის თქმის საკითხს! ეს მხოლოდ ილუსტრაციაა მხოლოდ ერთი კერძო საკითხისა — მეტის პრეტენზიას მე არ ვაცხადებ.

სრულიად უმართებულო იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ჩვენ, იმისათვის, რომ ვაწარმოოთ უშუალო ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად, შეგვიძლია უკუვაგდოთ ან უნდა უკუვაგდოთ რეფორმებისათვის ბრძოლა. სრულიადაც არა. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რამდენად მალე მოხერხდება წარმატების მოპოვება, რამდენად მალე დაუშვებენ ობიექტური პირობები ამ რევოლუციის დაწყებას. ჩვენ მხარს უნდა ვუჭერდეთ ყოველგვარ გაუმჯობესებას, მასების როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მდგომარეობის ნამდვილ გაუმჯობესებას. განსხვავება ჩვენსა და რეფორმისტებს (ე. ი. შვეიცარიაში გრიუტლელებს) შორის მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩვენ რეფორმების წინააღმდეგნი ვართ, ისინი კი — მომხრენი. არაფერი ამდაგვარი. ისინი კმაყოფილდებიან რეფორმებით და ამის მეოხებით, «**Schweizerische Metallarbeiterzeitung**»-ის (№ 40) ერთი (იშვიათი!) რევოლუციური თანამშრომლის მოსწრებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მხოლოდ «კაპიტალიზმის საავადმყოფოს მომვლელ ქალთა» როლამდე ეშვებიან. ჩვენ ვეუბნებით მუშებს: ხმა მიეცით პროპორციულ და ა. შ. არჩევნებს, მაგრამ ამით კი ნუ შემოფარგლავთ თქვენს მოღვაწეობას, არამედ პირველ რიგში წამოაყენეთ დაუყოვნებლივი სოციალისტური რევოლუციის იდეის სისტემატური გავრცელება, ემზადეთ მისთვის და მთელი ხაზით შეიტანეთ სათანადო ძირეული ცვლილებანი მთელ პარტიულ მოღვაწეობაში. ბურჟუაზიული დემოკრატიის პირობები ძალიან ხშირად გვაიძულებენ დავიკავოთ ესა თუ ის პოზიცია მცირე და უმცირეს რეფორმათა მთელი მასის მიმართ, მაგრამ უნდა შეგვეძლოს ან უნდა ვისწავლოთ რეფორმების სასარგებლო პოზიცია დავიკავოთ ისე

(იმნაირად), რომ ჩვენ, — რამდენადმე მარტივად თუ ვიტყვით, მეტი სიცხადისათვის, — ყოველ ნახევარსაათიან სიტყვაში 5 წუთი ვილაპარაკოთ რეფორმებზე, 25 წუთი კი — მომავალ რევოლუციაზე.

მძიმე, მრავალ მსხვერპლთან დაკავშირებული, რევოლუციური მასობრივი ბრძოლის გარეშე სოციალისტური რევოლუცია შეუძლებელია. მაგრამ არათანამიმდევრობა იქნებოდა გვეცნო რევოლუციური მასობრივი ბრძოლა და ომის დაუყოვნებლივი დამთავრებისადმი მისწრაფება — და იმავე დროს უარგვეყო დაუყოვნებლივი სოციალისტური რევოლუცია! პირველი მეორის გარეშე — არარაა, ფუჭი სიტყვაა.

გვერდს ვერ ავუვლით მძიმე ბ რ ძ ო ლ ა ს ა ც პ ა რ ტ ი ი ს შ ი გ ნ ი თ, მაგრამ მხოლოდ მანჭვა-გრეხა, თვალთმაქცობა, სირაქლემასებური მეშჩანური პოლიტიკა იქნებოდა, თუ ჩვენ წარმოვიდგენდით, თითქოს შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში საზოგადოდ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მეფობდეს «შინაგანი მშვიდობა». საკითხი ასე კი არ დგას: ან «შინაგანი მშვიდობა», ან «შინაპარტიული ბრძოლა». საკმარისია წაიკითხოთ გერმან გრეილიხის ზემოხსენებული წერილი და განიხილოთ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე პარტიაში მომხდარი ამბები, რომ დაინახოთ ამგვარი ვარაუდის სრული სიყალბე.

ნამდვილად საკითხი ასე დგას: ა ნ შინაპარტიული ბრძოლის ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ფარული ფ ო რ მ ე ბ ი, რომლებიც გამხრწნელად მოქმედებენ მასებზე, ა ნ დ ა აშკარა, პრინციპული ბრძოლა ინტერნაციონალისტურ-რევოლუციურ მიმდინარეობასა და გრიუტლურ მიმართულებას შორის პარტიის შიგნით და მის გარეთ.

ისეთი «შინაგანი ბრძოლა», როდესაც გ. გრეილიხი თავს ესხმის «ულტრა-რადიკალებს», ან «თავგახურებულებს», თუმცა ზუსტად არ ასახელებს ამ ურჩხულებს და ზუსტად არ განსაზღვრავს მათს პოლიტიკას, ხოლო რ. გრიმი «Berner Tagwacht»-ში * ბეჭდავს მკითხველთა 59/100-სათვის აბსოლუ-

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

ტურად გაუგებარ, გადაკრული სიტყვებით სავსე სტატიებს, ხადაც გათათხულია «უცხოელთა სათვალეები» ან გრიმისთვის არასასურველი რეზოლუციების პროექტთა «ფაქტიური დამნაშავენი», — ასეთი შინაგანი ბრძოლა ხ რ წ ნ ი ს მასებს, რომლებიც ამაში ხედავენ ან გრძნობენ თავისებურ «კინკლაობას ბელადებს შორის» და ა რ ე ს მ ი თ, რ ა ზ ე ა, ა რ ს ე - ბ ი თ ა დ, ლ ა პ ა რ ა კ ი.

მაგრამ ისეთი ბრძოლა, როდესაც გრიუტლური მიმართულება პარტიის შ ი გ ნ ი თ — ხოლო ის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე პარტიის გარეთ მყოფი მიმართულება — იძულებული იქნება ა შ კ ა რ ა დ იბრძოლოს მემარცხენეთა წინააღმდეგ, და ორივე მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ყველგან გამოვა თავისი დამოუკიდებელი შეხედულებებითა და თავისი პოლიტიკით, ერთიმეორეს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ შეებრძოლება და მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხების გადაწყვეტას ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მიანდობს პარტიული ამხანაგების მასას და არა მარტო «ბელადებს», — ასეთი ბრძოლა აუცილებლად საჭირო და სასარგებლოა, ის ზ რ დ ი ს მ ა ს ე ბ შ ი დამოუკიდებლობას და იმის უნარს, რომ მათ შეასრულონ თავიანთი მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური ამოცანა.

დაწერილია გერმანულ ენაზე
1916 წ. დეკემბერში
პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

სამშობლოს დაცვის საკითხის დაყენებისათვის

ბურჟუაზია და მისი მომხრენი მუშათა მოძრაობაში, გრიუტლელები, საკითხს ჩვეულებრივ ასე აყენებენ:

ან ჩვენ პრინციპულად ვცნობთ სამშობლოს დაცვის მოვალეობას, ანდა ჩვენს ქვეყანას ვტოვებთ დაუცველადო.

საკითხის ასეთი დაყენება ძირფესვიანად მცდარია.

ნამდვილად საკითხი ასე დგას:

ან ჩვენ ნებას მივცემთ დავიხოცოთ იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, ანდა ჩვენ სისტემატურად მოვამზადებთ ექსპლოატირებულთა უმრავლესობას და საკუთარ თავს იმისათვის, რომ ნაკლები მსხვერპლის ფასად ხელში ჩავიგდოთ ბანკები, მოვახდინოთ ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია, რათა საზოგადოდ ბოლო მოვუღოთ სიძვირესაც და ომებსაც.

* * *

საკითხის პირველი დაყენება თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიულია, და არა სოციალისტური. ის არ ითვალისწინებს იმას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმპერიალიზმის ეპოქაში, რომ ახლანდელი ომი იმპერიალისტურია, რომ შვეიცარია ამ ომში არავითარ პირობებში არ იბრძოლებს იმპერიალიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, არამედ იდგომება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ამა თუ იმ კოალიციის მ ხ ა რ ე ზ ე, ე. ი. ფაქტიურად იქნება ამა თუ იმ დიდ მტაცებელ სახელმწიფოთა დამქაში, რომ

შვეიცარიის ბურჟუაზიას უკვე დიდი ხანია ათასნაირი ძაფები აკავშირებს იმპერიალისტურ ინტერესებთან, სულერთია, განხორციელდება ეს მსხვილ ბანკებს შორის ურთიერთობისა და «ურთიერთ მონაწილეობის» ქსელის მეშვეობით, იქნება ეს კაპიტალის ექსპორტი, თუ მრეწველობა, რომელიც დაკავშირებულია ტურისტებთან და არსებობს უცხოელ მილიონერთა ხარჯზე, თუ უუფლებო უცხოელ მუშათა თავხედური ექსპლოატაცია და ა. შ.

ერთი სიტყვით, დავიწყებულია სოციალიზმის ყველა ძირითადი დებულება, ყველა სოციალისტური იდეა, მტაცებლური იმპერიალისტური ომი შელამაზებულია, თავისი «საკუთარი» ბურჟუაზია წარმოდგენილია როგორც უმანკო ბატკანი, ხოლო თანამედროვე შვეიცარიის ბანკების გაქნილი დირექტორები — როგორც გმირი ვილჰელმ ტელები, ამასთან არ უნდათ დაინახონ საიდუმლო შეთანხმებანი შვეიცარიის და უცხოეთის ბანკებსა და დიპლომატებს შორის, და ბურჟუაზიული სიცრუის მთელ ამ წარმოუდგენელ გროვას ფარავენ ლამაზი «პოპულარული» და ხალხის გამაბრუებელი ფრაზით: «სამშობლოს დაცვა»!

დაწერილია გერმანულ ენაზე
1916 წ. დეკემბერში
პირველად დაიბეჭდა 1929 წ. 1 აგვისტოს
გაზეთ «პრავდაში» № 174

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ახალგაზრდობის ინტერნაციონალი

(შენიშვნა)

ამ სათაურით გამოდის შვეიცარიაში 1915 წ. 1 სექტემბრიდან გერმანულ ენაზე «ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის საბრძოლო და პროპაგანდისტული ორგანო». სულ უკვე გამოვიდა 6 ნომერი ამ გამოცემისა, რომელიც საზოგადოდ საჭიროა აღვნიშნოთ და შემდეგ დაბეჭითებით მივაპყროთ მასზე ჩვენი პარტიის ყველა ამ წევრის ყურადღება, რომელთაც საშუალება აქვთ საქმე იქონიონ საზღვარგარეთულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებსა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან.

ევროპის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა ამჟამად დგას ყველაზე უსინდისო და უსაძაგლესი სოციალ-შოვინიზმისა და ოპორტუნიზმის პოზიციაზე. ასეთებია გერმანიის, საფრანგეთის პარტიები, ფაბიანური [70] და «მუშათა» [71] პარტიები ინგლისში, შვეიცის, ჰოლანდიის (ტრულსტრას პარტია), დანიის, ავსტრიისა და სხვ. პარტიები. შვეიცარიის პარტიაში, მიუხედავად უკიდურესი ოპორტუნისტების გამოყოფისა (დიდად საკეთილდღეოდ მუშათა მოძრაობისათვის), რომელნიც თავს იყრიან ა რ ა-პარტიულ «გრიუტლი-კავშირში», თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით დარჩნენ მრავალრიცხოვანი ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური და კაუცკური ყაიდის ბელადები, რომელთაც უ დ ი დ ე ს ი გავლენა აქვთ პარტიის საქმეებზე.

ევროპაში საქმის ამგვარი ვითარების დროს, ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციათა კავშირს ეკისრება უდიდესი, მადლიანი — მაგრამ ამიტომაც მძიმე — ამოცანა ბრძოლისა რევოლუციური ინტერნაციონალიზმის გ უ ლ ი ს თ ვ ი ს, ჭეშმარიტი სოციალიზმის გ უ ლ ი ს თ ვ ი ს გაბატონებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა. «ახალგაზრდობის ინტერნაციონალში» მოთავსებულია მთელი რიგი კარგი სტატიები რევოლუციური ინტერნაციონალიზმის დასაცავად, და მთელი გამოცემა გამსჭვალულია შესანიშნავი სულისკვეთებით უმძაფრესი სიძულვილისა სოციალიზმის მოღალატეებისადმი, რომელნიც «იცავენ სამშობლოს» ახლანდელ ომში, გამსჭვალულია უგულწრფელესი მისწრაფებით — გაიწმინდოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობა მისი მღრღნელი შოვინიზმისა და ოპორტუნიზმისაგან.

რა თქმა უნდა, თეორიული გარკვეულობა და სიმტკიცე ახალგაზრდობის ორგანოში ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ არის, შეიძლება არც არასოდეს იქნეს, სწორედ იმიტომაც, რომ ეს არის ორგანო დაუდგრომელი, აბობოქრებული, მაძიებელი ახალგაზრდობისა. მაგრამ ა ს ე თ ი ადამიანების არასაკმაო თეორიულ გარკვეულობას საჭიროა მოვეპყრათ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ჩვენ ვექცევით — და უნდა მოვექცეთ — თეორიულ დომხალს ჩვენი «ოკისტების», «სოციალ-რევოლუციონერების», ტოლსტოელების, ანარქისტების, მთელი ევროპის კაუცკელების («ცენტრის») და სხვათა თავში და რევოლუციური თანამიმდევრობის არარსებობას მათ გულში. ერთია — პროლეტარიატის გზის ამბნევი მოზრდილი ადამიანები, რომელნიც იმის პრეტენზიას აცხადებენ, რომ გაუძღვენ და ასწავლონ სხვებს: მათ წინააღმდეგ საჭიროა უ ლ მ ო ბ ე ლ ი ბრძოლა. სხვა საქმეა — ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს ორგანიზაციები, რომელნიც აშკარად აცხადებენ, რომ ისინი ჯერ კიდევ სწავლობენ, რომ მათი ძირითადი საქმეა — მოამზადონ მუშაკები სოციალისტური პარტიებისათვის. ასეთ ადამიანებს საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ, რაც შეიძლება მეტი მოთმინებით

მოვეპყრათ მათ შეცდომებს, ვეცადოთ ეს შეცდომები გავუსწოროთ თანდათანობით და უმთავრესად დაჯერების საშუალებით, და არა ბრძოლით. ხშირად ხდება, რომ ხნიერი და მოხუცი თაობის წარმომადგენლებმა არ იციან მიდგომა, როგორც საჭიროა, ახალგაზრდობისადმი, რომელიც აუცილებლობით იძულებულია სოციალიზმს სხვანაირად მიუახლოვდეს, არა იმ გზით, არა იმ ფორმით, არა იმ ვითარებაში, როგორც მისი მამები. ამიტომ, სხვათა შორის, ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ჩვენ უსათუოდ უნდა დავუჭიროთ მხარი, და არა მარტო იმიტომ, რომ ოპორტუნისტებს ეშინიათ ამ დამოუკიდებლობისა, არამედ არსებითადაც. ვინაიდან სრული დამოუკიდებლობის გარეშე ახალგაზრდობა ვერ შეძლებს ვერც კარგი სოციალისტების გამომუშავებას თავისთავისაგან, ვერც იმისათვის მომზადებას, რომ სოციალიზმი წინ წარმართოს.

ახალგაზრდობის კავშირთა სრული დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ მათი შეცდომების ამხანაგური კრიტიკის სრული თავისუფლებისთვისაც! ჩვენ არ უნდა ვეწეოდეთ პირმოთნეობას ახალგაზრდობის წინაშე.

ჩვენ მიერ მოხსენიებული შესანიშნავი ორგანოს შეცდომათა რიცხვს ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი სამი:

1) განიარაღების (ან «იარაღის აყრის») საკითხში დაკავებულია არასწორი პოზიცია, რომელსაც ჩვენ ვაკრიტიკებთ ზემოთ, განსაკუთრებულ სტატიაში.* საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შეცდომა გამოწვეულია მხოლოდ კარგი მისწრაფებით ხაზი გაესვას მისწრაფების აუცილებლობას «მილიტარიზმის სრული მოსპობისაკენ» (რაც სავსებით მართალია), მაგრამ დავიწყებულია სოციალისტურ რევოლუციაში სამოქალაქო ომების როლი.

2) საკითხში სოციალისტებისა და ანარქისტების განსხვავების შესახებ სახელმწიფოსადმი მათი დამოკიდებულების

* იხ. ეს ტომი, გვ. 115 — 129. რედ.

ძხრივ ამხ. **Nota-Bene**-ს[72] სტატიაში (№ 6) დაშვებული, ძალიან დიდი შეცდომა (ისე როგორც რამდენიმე სხვა საკითხშიც, მაგალითად, «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის დასაბუთების შესახებ). ავტორს სურს მოგვცეს «ნათელი წარმოდგენა სახელმწიფოზე საერთოდ» (იმპერიალისტურ ავაზაკურ სახელმწიფოზე წარმოდგენასთან ერთად). მას მოჰყავს მარქსისა და ენგელსის რამდენიმე განცხადება. ის, სხვათა შორის, შემდეგ ორ დასკვნამდე მიდის:

ა) ...«სრულიად მცდარია სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის განსხვავების ძიება იმაში, რომ პირველნი არიან სახელმწიფოს მომხრენი, ხოლო მეორენი — მოწინააღმდეგენი. განსხვავება ნამდვილად ისაა, რომ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას სურს მოაწყოს ახალი საზოგადოებრივი წარმოება, როგორც ცენტრალიზებული, ე. ი. ტექნიკურად ყველაზე უფრო პროგრესული, მაშინ როცა დეცენტრალიზებული ანარქიული წარმოება იქნებოდა მხოლოდ ნაბიჯის უკან გადადგმა ძველი ტექნიკისაკენ, საწარმოთა ძველი ფორმისაკენ». ეს არ არის სწორი. ავტორი აყენებს იმ საკითხს, თუ რა განსხვავებაა სოციალისტებისა და ანარქისტების დამოკიდებულებაში სახელმწიფოსადმი, ხოლო უპასუხებს არა ამას, არამედ მეორე კითხვას, თუ რა განსხვავებაა მათ დამოკიდებულებაში მომავალი საზოგადოების ეკონომიური საფუძვლისადმი. ეს ძლიერ მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხია, რაღა თქმა უნდა. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ შეიძლება დავიწყებულ იქნეს მთავარი იმ განსხვავებაში, რომელიც არსებობს სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში. სოციალისტები ემხრობიან თანამედროვე სახელმწიფოსა და მისი დაწესებულებების გამოყენებას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე იმის აუცილებლობას, რომ სახელმწიფო გამოყენებულ იქნეს თავისებური გარდამავალი ფორმისათვის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე. ასეთ გარდამავალ ფორმას,

ასევე სახელმწიფოს, წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა.

ანარქისტებს სურთ სახელმწიფოს «გაუქმება», მისი «აფეთქება» («sprengen»), როგორც ამას ამბობს ერთ ადგილას ამხ. **Nota-Bene**, რომელიც შეცდომით მიაწერს ამ შეხედულებას სოციალისტებს. სოციალისტები — ავტორს ენგელსის სიტყვები ამის შესახებ, სამწუხაროდ, მეტად არასრულად მოჰყავს — აღიარებენ სახელმწიფოს «კვდომას», თანდათანობით «მიძინებას» ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის შემდეგ.

ბ) «სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც არის, ანდა ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს მასების აღმზრდელი, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, აუცილებელია ხაზი გაუსვას თავის პრინციპულ მტრობას სახელმწიფოსადმი... ახლანდელმა ომმა გვიჩვენა, თუ რა ღრმად შეჭრილა მუშათა სულში სახელმწიფოებრიობის ფესვები». ასე წერს ამხ. **Nota-Bene**. იმისათვის, რომ «ხაზი გაუსვა» «პრინციპულ მტრობას» სახელმწიფოსადმი, საჭიროა ნამდვილად «გარკვევით» გაიგო ეს მტრობა: ხოლო ავტორს სწორედ გარკვეულობა აკლია. ფრაზა კი «სახელმწიფოებრიობის ფესვების» შესახებ უკვე სრულიად აბნეულია, არამარქსისტული და არასოციალისტურია. «სახელმწიფოებრიობა» კი არ შეეჯახა სახელმწიფოებრიობის უარყოფას, არამედ ოპორტუნისტული პოლიტიკა (ე. ი. ოპორტუნისტული, რეფორმისტული, ბურჟუაზიული დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი) შეეჯახა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას (ე. ი. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ დამოკიდებულებას ბურჟუაზიული სახელმწიფოსადმი და სახელმწიფოს გამოყენებისადმი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მის დასამხობად). ეს სრულიად, სრულიად სხვადასხვა საგანია. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ჩვენ იმედი გვაქვს დავუბრუნდეთ ცალკე სტატიაში [73].

3) «ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციათა საერთაშორისო კავშირის პრინციპულ განცხადებაში», რომელიც დაბეჭდილია მე-6 ნომერში, როგორც «სამდივნოს პროექტი»,

ცოტა როდია ცალკეული არასიზუსტენი და სრულიად არ არის მთავარი რამ: გარკვეული დაპირდაპირება იმ სამი ძირითადი მიმართულებისა (სოციალ-შოვინიზმი; «ცენტრი»; მემარცხენეები), რომლებიც იბრძვიან ახლა მთელი მსოფლიოს სოციალიზმში.

კიდევ ერთხელ: ეს შეცდომები უნდა უარვყოთ და განვმარტოთ, ამავე დროს მთელი ძალღონით უნდა ვეცადოთ კავშირი გავაბათ და დავუახლოვდეთ ახალგაზრდობის ორგანიზაციებს, ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ, მაგრამ მათ მოხერხებულად უნდა მივუდგეთ.

დაიბეჭდა 1916 წ. დეკემბერში «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში
ხელმოწერილი: ს. ლენინი

იბეჭდება «სბორნიკის» ტექსტის მიხედვით

ოპორტუნიზმის გათეთრების ცდები

პარიზის «ნაშე სლოვო»[74], აკრძალული ამას წინათ საფრანგეთის მთავრობის მიერ, რომელიც სამსახურს უწევს ცარიზმს (საბაბი აკრძალვისათვის: რუს ჯარისკაცებს, რომელნიც მარსელში აჯანყდნენ, უნახეს «ნაშე სლოვოს» ეგზემპლარები!), აღშფოთდა დეპუტატ ჩხეიძის «სავალალო» როლის გამო. ჩხეიძე ხელისუფალთა ნებართვით გამოვიდა კავკასიაში საჯარო კრებებზე მოსახლეობისადმი მოწოდებით — ნუ მოაწყობთ «მღელვარებას» (დუქნების დარბევას და სხვ.), არამედ მოაწყეთ კოოპერატივებიო და ა. შ.. კარგი კია ეს მოგზაურობა ვ ი თ ო მ დ ა სოციალ-დემოკრატისა, «მოწყობილი გუბერნატორის, პოლკოვნიკის, ხუცესისა და ბოქაულის პროტექტორატით» («ნაშე სლოვო» № 203).

ლ. მარტოვმა მიაშურა ბუნდელების «ბიულეტენს», რომ კეთილშობილურად განეცხადებინა პროტესტი წინააღმდეგ «ჩხეიძის» ამგვარად «გამოყვანისა ვიღაც» (?? არა «ვიღაც», არამედ «იმგვარივე, როგორიც არის ყველა ლიკვიდატორი») «ჩამხშობად გამოღვიძების გზაზე მდგომი რევოლუციური სულისა». ჩხეიძის დაცვა მარტოვის მიერ ორი ხაზით მიმდინარეობს: ფაქტიური და პრინციპული ხაზით.

ფაქტიური შედავება იმაში მდგომარეობს, რომ «ნაშე სლოვოს» მოჰყავს ამონაწერი კავკასიური შავრაზმული გაზეთიდან, და რომ ისინი, ვინც ჩხეიძის გვერდით გამოვიდნენ: მიქელაძე—სამსახურიდან გადამდგარი ოფიცერია, «თავის მაზ-

რაში ცნობილი რადიკალური საზოგადო მოღვაწე», ხოლო მღვდელი ხუნდაძე «1905 წელს პასუხისგებაში იყო მიცემული სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის» («საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, როგორც ცნობილია, — დასძენს მარტოვი, — სოფლის მღვდლების მონაწილეობა საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა»).

ასეთია მარტოვის მიერ ჩხეიძის «დაცვა». ეს ყოვლად უხეირო დაცვაა. თუ ხუცესის გვერდით ჩხეიძის გამოსვლაზე წერდა შავრაზმული გაზეთი, ფ ა ქ ტ ს ეს ოდნავადაც არ არღვევს და თვით მარტოვიც აღიარებს, რომ გამოსვლები იყო.

ხუნდაძე რომ «1905 წელს პასუხისგებაში იყო მიცემული», ეს სრულიად არაფერს ამბობს, ვინაიდან მაშინ გაპონიც და ალექსინსკიც «იყვნენ მიცემულნი პასუხისგებაში». რომელ პარტიას ეკუთვნიან ან თანაუგრძნობენ ა ხ ლ ა ხუნდაძე და მიქელაძე, ო ბ ო რ ო ნ ც ე ბ ი ხომ არ არიან ისინი, — აი რა უნდა გაეგო მარტოვს, თუ კი მას სიმართლის ძიება სურდა და არა «აბლაკატობა». «თავის მაზრაში ცნობილი რადიკალური საზოგადო მოღვაწე» — ასეთი ფრაზა ჩვენში, ჩვენს პრესაში, ძალიან ხშირად მხოლოდ ლიბერალურ მემამულეს ნიშნავს.

როცა გაჰყვირის, «ნაშე სლოვომ» «სრულიად ყალბი სურათი» მოგვცაო, მარტოვს სურს თავისი ყვირილით დაფაროს ს ი მ ა რ თ ლ ე, რომელიც მან იოტის ოდენადაც ვერ დაარღვია.

მაგრამ მთავარი კიდევ ეს როდია. ეს ყვავილებია, ნაყოფი კი შემდეგ იქნება. რაკი ვერ გააქარწყლა ჩხეიძის «სავალალო» საქციელი თავისი ფაქტიური უარყოფით, მარტოვმა დ ა ა-დ ა ს ტ უ რ ა იგი თავისი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი დაცვით.

«უეჭველი რჩება, — წერს მარტოვი, — რომ ამხანაგმა» (?? პოტრესოვისა და კომპანიის?) «ჩხეიძემ საჭიროდ ჩათვალა გამოსულიყო არა მხოლოდ იმ რეაქციული მიმართულების წინააღმდეგ, რომლითაც წარიმართა კავკასიის მღელვარებანი, რამდენადაც იგი მოექცა» (? ისინი მოექცნენ?) «შავრაზმელთა გავლენის ქვეშ, არამედ მისი იმ დამანგრეველი ფორმების (დუქნების დარბევა, ძალმომრეობა ვაჭრებზე) წინააღმდეგაც,

რომლებშიაც, საზოგადოდ რომ ვთქვათ, შეიძლება გამოიხატებოდეს ხალხის უკმაყოფილება რეაქციული გავლენის დამოუკიდებლადაც». დაიხსომეთ: «უეჭველი რჩება»!

და მარტოვი ბულბულივით გალობს არა ნაკლებ, ვიდრე ვ. მაკლაკოვი: მასების უილაჯობა, დაქსაქსულობა, «დაბნეულობა და თანაც მცირე შეგნებულობა»... «ამგვარი ხასიათის «ამბოხებათა» გზას არ მივყავართ მიზნისაკენ და საბოლოო ანგარიშით იგი პროლეტარიატის ინტერესთა თვალსაზრისით მავნებელია»... ერთი მხრივ, «ცუდია ის რევოლუციური პარტია, რომელიც ზურგს შეაქცევდა დაწყებულ მოძრაობას იმიტომ, რომ მას თან სდევს სტიქიური და მიზანშეუწონელი ექსცესები», მეორე მხრივ, «ცუდი იქნებოდა ის პარტია, რომელიც თავის რევოლუციურ მოვალეობად ჩათვლიდა უარი ეთქვა ბრძოლაზე ამ ექსცესებთან, როგორც მიზანშეუწონელ გამოსვლებთან»... «რამდენადაც ჩვენში, რუსეთში... ომის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებული კამპანია აქამდე არ დაწყებულა (?), რამდენადაც პროლეტარიატის შეგნებული ელემენტების დაქსაქსულობა ნებას არ გვაძლევს შევადაროთ ჩვენი მდგომარეობა არათუ 1904 — 1905, არამედ 1914 — 1915 წლებსაც კი (?), — იმდენად სიძვირისა და სხვათა ნიადაგზე დაწყებულ ხალხის მღელვარებებს, რომლებიც დიდი მნიშვნელობის ს ი მ პ ტ ო მ ე ბ ი ა, არ შეუძლიათ (?) უ შ უ ა ლ ო დ (?) იქცნენ იმ მოძრაობის წყაროდ, რომელიც ჩვენს ამოცანას შეადგენს. მათი მიზანშეწონილი «გამოყენება» შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ მათში გამოხატული უკმაყოფილება გადაყვანილ იქნეს რაიმე სახის ორგანიზებული ბრძოლის კალაპოტში, ურომლისოდაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია მასების მიერ რევოლუციური ამოცანების დასმაზე. ამიტომ თუნდაც (!!) მოწოდება კოოპერატივთა ორგანიზაციისაკენ, ქალაქის საბჭოებზე ზეგავლენისაკენ ფასების ტაქსაციის მიზნით და სხვა მსგავსი პალიატივებისაკენ მასების თვითმოქმედების განვითარების საფუძველზე, წარმოადგენს უფრო რევოლუციურ (ხა-ხა!) და ნაყოფიერ საქმეს, ვიდრე კეკლუ-

ცობა... ფუქსავატური სპეკულაციები «პირდაპირ დანაშაულობაა» და სხვ.

ძნელია სიმშვიდის შენარჩუნება, როცა ამ აღმაშფოთებელ სიტყვებს კითხულობ. როგორც ჩანს, ბუნდის რედაქციამაც კი იგრძნო, რომ მარტოვი თაღლითობს, და მის წერილს წარუმძღვარა ორაზროვანი დაპირება: «კიდევ დავუბრუნდებითო»...

საკითხი ცხადზე უცხადესია. ვთქვათ, ჩხეიძეს საქმე ჰქონდა ისეთი ფორმის მღელვარებასთან, რომელიც მას მიზანშეუწონლად მიაჩნდა. ცხადია, მისი უფლება და მოვალეობა როგორც რევოლუციონერისა იყო ებრძოლა მ ი ზ ა ნ შ ე უ წ ო ნ ე ლ ი ფორმის წინააღმდეგ... რისთვის? მიზანშეწონილი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი გამოსვლებისათვის? თუ მიზანშეწონილი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ბრძოლისათვის?

ამაშია მთელი საქმე! მარტოვი კი სწორედ ამას აბნევს!

ბატონ ჩხეიძეს «გადაჰყავდა» გამოაშკარავებული რევოლუციური «უკმაყოფილება მასებისა» **ლიბერალური** ბრძოლის «კ ა ლ ა პ ო ტ შ ი» (მხოლოდ მშვიდობიანი კოოპერატივები, მხოლოდ ლეგალური, გუბერნატორის მიერ მოწონებული, ზეგავლენა ქალაქის საბჭოებზე და სხვ.) და არა მიზანშეწონილი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბრძოლის კალაპოტში. ამაშია დედაარსი, მარტოვი კი რაღაცეებს მიედებ-მოედება და ლიბერალურ პოლიტიკას იცავს!

რევოლუციური სოციალ-დემოკრატი იტყვის: დუქნის დარბევა მიზანშეწონილი არაა, მოვაწყოთ უფრო სერიოზულად დემონსტრაცია თუნდაც ერთსა და იმავე დროს ბაქოს, თბილისის, პიტერის მუშებთან ერთად, მივმართოთ ჩვენი სიძულვილი მთავრობის წინააღმდეგ, გადმოვიყვანოთ ჩვენს მხარეზე ნაწილი ჯარისა, რომელსაც ზავი სურს. გ ა ნ ა ა ს ე ლაპარაკობდა ბ-ნი ჩხეიძე? არა, ის მოუხმობდა «ბრძოლისაკენ», რ ო მ ე ლ ი ც მ ი ს ა ღ ე ბ ი ა ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს!

მარტოვმა ერთბაშად მოაწერა ხელი «პლატფორმას», რომელიც გვირჩევს «რევოლუციურ მასობრივ მოქმედებას»,— ხომ უნდა მოაჩვენო თავი მუშებს რევოლუციონერად! — ხოლო როცა ადგილობრივ, რუსეთში, საქმე მიდის ამ მოქმე-

დებათა პირველ ჩანასახებამდე, მაშინ ის ყოველგვარი ტყუილითა და მართალით იწყებს «მემარცხენე»-ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ჩხეიძის დაცვას.

«რუსეთში ომის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებული კამპანია აქამდე არ დაწყებულა»... ჯერ-ერთი — ეს არ არის მართალი. ის დაწყებულია თუნდაც პიტერში პროკლამაციებით, მიტინგებით, გაფიცვებით, დემონსტრაციებით. მეორე, თ უ კ ი ის სადმე პროვინციაში არ დაწყებულა, ი ს უ ნ დ ა დ ა ვ ი წ ყ ო თ; მარტოვი კი ბ-ნ ჩხეიძის მიერ «დაწყებულ» ლიბერალურ კამპანიას «უფრო რევოლუციურ» კამპანიად ასაღებს.

განა ეს ოპორტუნისტული სისაძაგლის გათეთრება არ არის?

დაიბეჭდა 1916 წ. დეკემბერში
«სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება «სბორნიკის»
ტექსტის მიხედვით

ჩხეიძის ფრაქცია და მისი როლი

ჩვენ ყოველთვის მივუთითებდით, რომ ბატონები ჩხეიძე და კომპანია არ წარმოადგენენ სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარიატს და რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ნამდვილად არასოდეს არ შეურიგდება ამ ფრაქციას და არ გაერთიანდება მასთან. ჩვენ ვასაბუთებდით ამას უდავო ფაქტებზე მითითებით: 1) «ქვეყნის ხსნის» ფორმულა, რომელსაც ჩხეიძე ხმარობს, არსებითად არაფრით არ განსხვავდება ობორონცობისაგან; 2) ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიის წინააღმდეგ ჩხეიძის ფრაქცია არასოდეს არ გამოსულა, მაშინაც კი, როცა მის წინააღმდეგ მარტოვი გამოვიდა; 3) სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის წინააღმდეგ — გადამწყვეტი ფაქტია — ეს ფრაქცია არ გამოვიდა.

ამ ფაქტების უარყოფას არავინ ცდილობ. ჩხეიძის მომხრეები მათზე პირდაპირ დუმან.

«ნაშე სლოვო» და ტროცკი, გვაგინებდნენ რა ჩვენ «ფრაქციულობისათვის», ფაქტების გავლენით სულ უფრო და უფრო მიდიოდნენ ორგანიზაციული კომიტეტისა და ჩხეიძის წინააღმდეგ ბრძოლამდე. მაგრამ ნაშესლოველები სწორედ მხოლოდ (ჩვენი კრიტიკისა და ფაქტების კრიტიკის) «ზეგავლენით» იხევდნენ უკან პოზიციიდან პოზიციაზე, ხოლო გადამჭრელი სიტყვა აქამდე არ უთქვამთ. ერთობა თუ გათიშვა ჩხეიძის ფრაქციასთან? — მათ ჯერ კიდევ ეშინიათ ბოლომდე ჩაუფიქრდნენ ამას!

«ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის ბიულეტენის» № 1 (1916 წ. სექტემბერი) შეიცავს წერილს პიტერიდან 1916 წ. 26 თებერვლის თარიღით. ეს წერილი — ძვირფასი დოკუმენტია, რომელიც სავსებით ადასტურებს ჩვენს შეფასებას. წერილის ავტორი აშკარად აღიარებს «უეჭველ კრიზისს თვით მენშევიზმის ბანაკში». ამასთანავე — რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია — სრულიად არას ამბობს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის მოწინააღმდეგე მენშევიკების შესახებ! რუსეთში მას ისინი არც უნახავს და მათ შესახებ არც რაიმე გაუგონია!

ის აცხადებს: ჩხეიძის ფრაქციის ხუთი წევრიდან სამი «თავდაცვის პოზიციის» წინააღმდეგია (როგორც ორგანიზაციული კომიტეტიც), ორი კი — მომხრეო.

«ფრაქციის მომსახურე პირები — წერს იგი — ვერ ახერხებენ დაძრან ფრაქციის უმრავლესობა მათ მიერ დაკავებული პოზიციიდან. ფრაქციის უმრავლესობას დახმარებას უწევს ადგილობრივი «საინიციატივო ჯგუფი» [75], რომელიც თავდაცვის პოზიციას უარყოფს».

მომსახურე პირები არიან ბატონი ლიბერალური ინტელიგენტები პოტრესოვის, მასლოვის, ორთოდოქსის [76] და კომპანიის ტიპისა, რომელნიც თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ. ჩვენი მრავალგზისი მითითება, რომ ინტელიგენტების ეს ჯგუფი არის ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის «კერა», — ახლა ბუნდელმა დაადასტურა.

ის შემდეგ წერს: «ცხოვრებამ წამოაყენა (და არა პურიშკევიჩმა და გუჩკოვმა წამოაყენეს?)... ახალი ორგანო, მუშათა ჯგუფი, რომელიც სულ უფრო და უფრო ხდება მუშათა მოძრაობის ცენტრი». (ავტორი ლაპარაკობს გუჩკოვის, ან, თუ წინანდელ ტერმინს ვიხმართ, სტოლიპინის მუშათა მოძრაობის შესახებ: სხვას იგი არა ცნობს!). «მისი ამორჩევის დროს შეთანხმდნენ შემდეგ კომპრომისზე: არა დაცვა და თავდაცვა, არამედ ქვეყ-

ნის გადარჩენა, რომლითაც გულისხმობ-
დნენ რაღაც უფრო ფართოს».

აი ჩხეიძის მხილება და ჩხეიძის შესახებ მარტოვის სიცრუის მხილება ბუნდელისაგან! ჩხეიძე და ორგანიზაციული კომიტეტი, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში გუჩკოვის ბიჭების (გვოზდიოვი, ბრეიდო და სხვ.) არჩევის დროს, კომპრომისზე შეთანხმდნენ. ფორმულა, რომელსაც ჩხეიძე ხმარობს, არის კომპრომისი პოტრესოვთან და გვოზდიოვებთან!

მარტოვი მალავდა და მალავს ამას.

კომპრომისი ამით არ გათავებულა. დეკლარაციას იმუშავებდნენ აგრეთვე კომპრომისის საშუალებით, რომელსაც ბუნდელი ასე ახასიათებს:

«გარკვეულობა გაქრა». «ფრაქციის უმრავლესობისა და «საინიციატივო ჯგუფის» წარმომადგენელნი უკმაყოფილო დარჩნენ, ვინაიდან ეს დეკლარაცია მაინც დიდი ნაბიჯია წინ თავდაცვის პოზიციის ფორმულირების თვალსაზრისით». «კომპრომისი — არსებითად გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოზიციას წარმოადგენს, მაგრამ რუსეთთან შეფარდებით».

ასე წერს ბუნდელი.

საქმე, მგონი, ნათელია? ერთი პარტიაა — ოკისტური, ჩხეიძური, პოტრესოვური. ამ პარტიაში იბრძვის ორი ფრთა და ერთმანეთს უთანხმდება, კომპრომისს სდებს, ერთ პარტიაში რჩება. კომპრომისი იდება სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის ნიადაგზე. დავობენ მხოლოდ «მოტივების» ფორმულირების გამო (ე. ი. მუშების მოტყუების ხერხისათვის). კომპრომისის შედეგად ვღებულობთ «არსებითად გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოზიციას».

რას იტყვით? განა ჩვენ მართალნი არ ვიყავით, როცა ვამბობდით, რომ ორგანიზაციული კომიტეტის პარტია სოციალ-შოვინისტურია? რომ ორგანიზაციული კომიტეტი

და ჩხეიძე, როგორც პარტია, იგივეა, რაც ზიუდეკუმები გერმანიაში?

მათი იგივეობა ზიუდეკუმებთან იძულებულია აღიაროს თვით ბუნდელმაც კი!

არსად და არასოდეს არც ჩხეიძე კომპანიით, არც ორგანიზაციული კომიტეტი, თუმც კომპრომისით «უკმაყოფილონი», არ გამოსულან მის წინააღმდეგ.

ასე იყო საქმე 1916 წ. თებერვალში, ხოლო 1916 წ. აპრილს მარტოვი ცხადდება კინტალში მანდატით «საინიციატივო ჯგუფისაგან» და წარმომადგენლობს მ თ ე ლ ორგანიზაციულ კომიტეტს, ორგანიზაციულ კომიტეტს ს ა ზ ო გ ა დ ო დ.

ეს ინტერნაციონალის მოტყუება არ არის?

შეხედეთ, რა გამოდის ახლა! პოტრესოვი, მასლოვი, ორთოდოქსი აარსებენ თ ა ვ ი ს ორგანოს — «დელოს» [77], აშკარად ობორონცულს, თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ა დ ი წ ვ ე ვ ე ნ პლეხანოვს, აჯგუფებენ ბატონ დმიტრიევებს, ჩერვანინებს, მაევსკებს, გრ. პეტროვიჩებსა და სხვ., ინტელიგენტთა მთელ კომპანიას, რომელნიც წარმოადგენდნენ ლიკვიდატორობის ბურჯს. ის, რაც მე ვთქვი ბოლშევიკების სახელით 1 9 1 0 წ. მ ა ი ს ში («დისკუსსიონნი ლისტოკ» [78]) ლ ე გ ა ლ ი ს ტ-დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ თ ა* ჯ გ უ ფ ი ს საბოლოოდ შეკავშირების შესახებ, — სავსებით დასტურდება.

«დელოს» თავხედურად უკავია შოვინისტური და რეფორმისტული პოზიცია. ღირს შეხედო კაცმა იმას, თუ როგორ ეწევა ქ-ნი ორთოდოქსი მარქსის ფალსიფიკაციას, მიჰყავს რა იგი გადამახინჯებათა საშუალებით ჰინდენბურგთან კავშირამდე («ფილოსოფიური» დასაბუთებით, ნუ ეხუმრებით!), თუ როგორ იცავს ბ-ნი მასლოვი (განსაკუთრებით «დელოს» № 2) რეფორმიზმს მთელი ხაზის გასწვრივ, თუ როგორ დებს ბრალს ბ-ნი პოტრესოვი აქსელროდსა და მარტოვს «მაქსიმალიზმსა» და ანარქო-სინდიკალიზმში, თუ როგორ ასაღებს მთელი ჟურნალი თავდაცვის ვალდებულებას «დემოკრატიის» საქმედ და მოკრძალებით უვლის გვერდს არასასიამოვნო

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 295 — 312. რ ე დ.

საკითხს: ცარიზმი ხომ არ არის, რომ აწარმოებს გაძარცვის მიზნით ამ რეაქციულ ომს გალიციის, სომხეთისა და სხვ. დასახრჩობად.

ჩხეიძის ფრაქცია და ორგანიზაციული კომიტეტი დუმახ. სკობელევი სალამს უძღვნის «ყველა ქვეყნის ლიბკნეხტებს», თუმცა ნამდვილი ლიბკნეხტი ულმობლად ამხილებდა და გმობდა თავის შეიდემანებს და თავის კაუცკელებს, სკობელევს კი მუდმივი ერთობა და მეგობრობა აქვს როგორც რუსეთის შეიდემანებთან (პოტრესოვი და კომპანია, ჩხენკელი და სხვ.), ისე რუსეთის კაუცკელებთან (აქსელროდი და სხვ.).

მარტოვი «გოლოსში» [79], № 2 (სამარა, 20 სექტემბერი, 1916), თავისი და თავის საზღვარგარეთელ მეგობართა სახელით უარს აცხადებს ითანამშრომლოს «დელოში» და იმავე დროს ეწევა ჩხეიძის გამართლებას, იმავე დროს («იზვესტია» № 6, 12 სექტემბერი, 1916) არწმუნებს საზოგადოებას, თითქოს ის დაშორდა ტროცკის და «ნაშე სლოვოს» რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის უარყოფის «ტროცკისტული» იდეის გამო, მაშინ როდესაც ყველამ იცის, რომ ეს სიცრუეა, რომ მარტოვი წავიდა «ნაშე სლოვოდან», რადგან უკანასკნელმა ვერ მოითმინა მარტოვისაგან ორგანიზაციული კომიტეტის გამართლება! იმავე «იზვესტიაში» მარტოვი იცავს მის მიერ გერმანელი საზოგადოების მოტყუებას, რამაც აღაშფოთა თვით როლანდ-ჰოლსტიც კი და რაც ჩადენილ იქნა გერმანული ბროშურის გამოცემით, რომელშიაც გამოტოვებულია პიტერისა და მოსკოვის მენშევიკების დეკლარაციის სწორედ ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია მათ თანხმობაზე მონაწილეობა მიიღონ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში!

გაიხსენეთ ტროცკისა და მარტოვის პოლემიკა «ნაშე სლოვოში» უკანასკნელის რედაქციიდან გამოსვლის წინ. მარტოვი უსაყვედურებდა ტროცკის იმას, რომ მან აქამდე არ იცის, გაჰყვება თუ არა ის გადამწყვეტ მომენტში კაუცკის. ტროცკი ეუბნებოდა მარტოვს, რომ მისი როლი არის როლი რევოლუციური მუშების «მოტყუებით მიმხრობისა», «გადა-

ბირებისა» პოტრესოვების ოპორტუნისტული და შოვინისტური პარტიისაკენ, შემდეგ ორგანიზაციული კომიტეტისაკენ და სხვ.

ორივე მოდავე იმეორებდა ჩ ვ ე ნ ს საბუთებს. და ორივე მართალი იყო.

თუმცა ძალიან მალავენ სიმართლეს ჩხეიძეზე და კომპანიაზე, მაგრამ ის მაინც აშკარავდება. ჩხეიძის როლია — კომპრომისები დადოს პოტრესოვებთან და გაურკვეველი ან თითქმის «მემარცხენე» სიტყვებით დ ა ფ ა რ ო ს ოპორტუნისტული და შოვინისტური პოლიტიკა. ხოლო მარტოვის როლია — გაამართლოს ჩხეიძე.

დაიბეჭდა 1916 წ. დეკემბერში
«სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება «სბორნიკის»
ტექსტის მიხედვით

პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური[80]

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ლენინის II კრებულში
ხელმოწერა: ნ. ლ.
15 ტ. 23

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სტატია (ანუ თავი) I

მობრუნება მსოფლიო პოლიტიკაში

არის ნიშნები, რომ ასეთი მობრუნება დაიწყო ან იწყება. სახელდობრ: ეს არის — მობრუნება იმპერიალისტური ომიდან იმპერიალისტური ზავისაკენ.

ორივე იმპერიალისტური კოალიციის უეჭველად ძლიერი გამოფიტვა; ომის შემდგომი განგრძობის სიძნელე; სიძნელე საზოგადოდ კაპიტალისტებისა და კერძოდ ფინანსური კაპიტალისათვის გააძროს ხალხებს კიდევ რამდენიმე ტყავი გარდა ორი და მეტი ტყავისა, რომელიც მან გააძრო სასკანდალო «სამხედრო» მოგებათა სახით; ძალზე გაძღომა ნეიტრალური ქვეყნების, შეერთებული შტატების, ჰოლანდიის, შვეიცარიის და სხვ. ფინანსური კაპიტალისა, რომელიც გიგანტურად გამდიდრდა ომში და რომელსაც უჭირს შემდგომ განაგრძოს ეს «სარფიანი» მეურნეობა ნედლი მასალისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის გამო; გერმანიის გაძლიერებული ცდები — ჩამოაცილოს თავის მთავარ იმპერიალისტურ მოქიშპეს, ინგლისს, ესა თუ ის მოკავშირე; გერმანიის მთავრობისა და მასთან ერთად ნეიტრალური ქვეყნების მთელი რიგი მთავრობების პაციფისტური გამოსვლები — აი უმთავრესნი ამ ნიშნებიდან.

არის თუ არა ომის მალე გათავების შანსები?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. ჩვენი აზრით, ორი შესაძლებლობა ისახება საკმაოდ გარკვევით:

პირველი — სეპარატიული ზავი გერმანიასა და რუსეთს შორის შეკრულია, თუნდაც ამ ზავს არ ჰქონდეს ჩვეულე-

ბრივი ფორმა წერილობითი ფორმალური ხელშეკრულებისა. მეორე — ასეთი ზავი არ არის შეკრული, ინგლისსა და მის მოკავშირეებს მართლაც ძალუძთ გაძლონ კიდევ ერთ წელიწადსაც, ორსაც და სხვ.. პირველ შემთხვევაში ომი ახლა თუ არა, უახლოეს მომავალში მაინც უეჭველად შეწყდება, და მის მსვლელობაში სერიოზულ ცვლილებებს არ უნდა მოველოდეთ. მეორე შემთხვევაში შესაძლებელია მისი განგრძობა განუსაზღვრელად დიდი ხნით.

შევჩერდეთ პირველ შემთხვევაზე.

გერმანიასა და რუსეთს შორის სეპარატიული ზავის დადების შესახებ მოლაპარაკება რომ ამ ცოტა ხანში წარმოებდა, თვით ნიკოლოზ II ან სასახლის ფრიად გავლენიანი ხროვა რომ ასეთი ზავის მომხრეა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში დაისახა მობრუნება გერმანიის წინააღმდეგ ინგლისისა და რუსეთის იმპერიალისტური კავშირიდან არა ნაკლებ იმპერიალისტური კავშირისაკენ რუსეთსა და გერმანიას შორის ინგლისის წინააღმდეგ, — ყველაფერი ეს ეჭვს გარეშეა.

შტიურმერის შეცვლა ტრეპოვით, ცარიზმის საჯარო განცხადება, რომ რუსეთის «უფლება» კონსტანტინოპოლის მიმართ აღიარებულია ყველა მოკავშირის მიერ, პოლონეთის განსაკუთრებული სახელმწიფოს შექმნა გერმანიის მიერ — ეს ნიშნები თითქოს იმაზე მიუთითებენ, რომ მოლაპარაკება სეპარატიული ზავის შესახებ მარცხით დამთავრდა. იქნებ, ცარიზმი ამ მოლაპარაკებას მ ხ ო ლ ო დ იმ მიზნით აწარმოებდა, რომ ინგლისისთვის შანტაჟი გაეწია, რათა მისგან მიეღო ფორმალური და არაორჭოფული დასტური ნიკოლოზ პირსისხლიანის «უფლებებისა» კონსტანტინოპოლის მიმართ და ამ უფლების ესა თუ ის «სერიოზული» გარანტია?

რადგანაც ახლანდელი იმპერიალისტური ომის მთავარ, ძირითად შინაარსს შეადგენს ნადავლის გაყოფა სამ უმთავრეს იმპერიალისტურ მოქიშპეს შორის, სამ ავაზაკს შორის, რუსეთსა, გერმანიასა და ინგლისს შორის, ამიტომ არაფერი შეუძლებელი ასეთ ვარაუდში არ არის.

მეორე მხრივ, რაც უფრო მეტად ისახება ცარიზმისათვის ფაქტიური, სამხედრო შეუძლებლობა დაიბრუნოს პოლონეთი, დაიპყროს კონსტანტინოპოლი, გატეხოს გერმანიის რკინისებური ფრონტი, რომელსაც გერმანია შესანიშნავად ასწორებს, ამოკლებს და ამაგრებს თავისი უკანასკნელი გამარჯვებებით რუმინეთში, მით უფრო იძულებული ხდება ცარიზმი დადოს გერმანიასთან სეპარატიული ზავი, ესეიგი გერმანიის წინააღმდეგ მიმართული იმპერიალისტური კავშირიდან ინგლისთან გადავიდეს იმპერიალისტურ კავშირზე გერმანიასთან ინგლისის წინააღმდეგ. რატომაც არა? ხომ ერთი ბეწვით იყო დაცილებული რუსეთი ომისაგან ინგლისის წინააღმდეგ ორივე სახელმწიფოს იმპერიალისტური ქიშპობის გამო შუა აზიაში ნადავლის გასაყოფად! ხომ წარმოებდა ინგლისსა და გერმანიას შორის მოლაპარაკება კავშირის შესახებ რუსეთის საწინააღმდეგოდ 1898 წელს; ამასთან ინგლისი და გერმანია საიდუმლოდ შეთანხმდნენ მაშინ პორტუგალიის კოლონიების თავიანთ შორის გაყოფის შესახებ «იმ შემთხვევისათვის», თუ ის არ შეასრულებდა თავის ფინანსურ ვალდებულებებს!

გერმანიის ხელმძღვანელი იმპერიალისტური წრეების გაძლიერებული მისწრაფება, რომ რუსეთთან დადონ კავშირი ინგლისის წინააღმდეგ, გამოირკვა უკვე რამდენიმე თვის წინათ. კავშირის საფუძველი, ალბათ, იქნება დაყოფა გალიციისა (ცარიზმისათვის ძალიან მნიშვნელოვანია უკრაინული აგიტაციისა და უკრაინის თავისუფლების ცენტრის ჩახშობა), სომხეთისა და, შეიძლება, რუმინეთისაც! აკი გაიპარა ერთ გერმანულ გაზეთში «გადაკრული» შენიშვნა, რომ რუმინეთის გაყოფა შეიძლებოდა ავსტრიასა, ბულგარეთსა და რუსეთს შორის! გერმანიას შეეძლო კიდევ რაიმე «დათმობაზე» დათანხმებოდა ცარიზმს, ოღონდ კი გაენაღდებინა რუსეთთან კავშირი, და შეიძლება კიდევ იაპონიასთან კავშირიც ინგლისის წინააღმდეგ.

სეპარატიული ზავის დადება შეიძლებოდა ნიკოლოზ II-ესა და ვილჰელმ II-ეს შორის საიდუმლოდ. დიპლომატიის ისტო-

რია იცნობს ისეთ საიდუმლო ხელშეკრულებათა მაგალითებს, რომელთა შესახებ არავინ არა იცოდა რა, თვით მინისტრებმაც კი, გარდა 2 — 3 კაცისა. დიპლომატიის ისტორიამ იცის მაგალითები, როცა «დიდი სახელმწიფოები» მიდიოდნენ «ევროპის საერთო» კონგრესზე, წინასწარ საიდუმლოდ შეთანხმებულნი იმაზე, რაც უმთავრესი იყო უმთავრეს მოქიშპეთა შორის (მაგალითად, რუსეთის საიდუმლო შეთანხმება ინგლისთან თურქეთის გასაძარცვავად ბერლინის 1878 წლის კონგრესის წინ). სრულიად არაფერი საკვირველი არ იქნებოდა იმაში, ცარიზმს რომ უარეყო მთავრობათა ფორმალური სეპარატიული ზავი სხვათა შორის იმ მოსაზრებით, რომ რუსეთის დღევანდელ მდგომარეობაში მის მთავრობად მაშინ შეიძლებოდა გამხდარიყო მილიუკოვი გუჩკოვითურთ, ან მილიუკოვი კერენსკითურთ, და იმავე დროს შეეკრა საიდუმლო, არა ფორმალური, მაგრამ არა ნაკლებ «მტკიცე» ხელშეკრულება გერმანიასთან იმაზე, რომ ორივე «ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარე» ერთად ატარებს ა მ ა დ ა ა მ ხ ა ზ ს მომავალ მსოფლიო კონგრესზე!

მართალია თუ არა ეს მოსაზრება, ამის გადაწყვეტა შეუძლებელია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ერთი-ათასად უფრო შეიცავს ს ი მ ა რ თ ლ ე ს, ი მ ი ს დახასიათებას, რ ა ც ა რ ი ს, ვიდრე გაუთავებელი კეთილი ფრაზები ზავის შესახებ ახლანდელ და საზოგადოდ ბურჟუაზიულ მთავრობებს შორის ანექსიის უარყოფის საფუძველზე და სხვ.. ეს ფრაზები — ან უმანკო სურვილებია, ან ფარისევლობა და სიცრუეა, რაც ჭეშმარიტების მიჩქმალვას ემსახურება. დღევანდელი დროის, დღევანდელი ომის, ზავის შეკვრის ცდების დღევანდელი მომენტის ჭეშმარიტება მდგომარეობს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ნ ა დ ა ვ ლ ი ს გ ა ყ ო ფ ა შ ი. ამაშია დედაარსი, და ამ ჭეშმარიტების გაგება, მისი გამოთქმა, «გამოთქმა იმისა, რაც არის», — ასეთია სოციალისტური პოლიტიკის ძირითადი ამოცანა განსხვავებით ბურჟუაზიულისაგან, რომლისთვისაც მთავარია ამ ჭეშმარიტების დამალვა, მიჩქმალვა.

ორივე იმპერიალისტურმა კოალიციამ ძარცვით მოაგროვა ნადავლის განსაზღვრული რაოდენობა; ამასთან სწორედ ორმა მთავარმა და ყველაზე ძლიერმა მტაცებელმა, გერმანიამ და ინგლისმა, გაძარცვა ყველაზე მეტი. ინგლისს არ დაუკარგავს თავისი მიწისა და თავისი კოლონიების ერთი გოჯიც კი, ამასთან მან «შეიძინა» გერმანიის კოლონიები და თურქეთის ნაწილი (მესოპოტამია). გერმანიამ დაკარგა თითქმის ყველა თავისი კოლონია, მაგრამ შეიძინა განუზომლად უფრო ძვირფასი ტერიტორიები ევროპაში, რაკი ხელთ იგდო ბელგია, სერბია, რუმინეთი, საფრანგეთის ნაწილი, რუსეთის ნაწილი და სხვ.. ლაპარაკია იმაზე, რომ ეს ნადავლი გაიყოს; ამასთან თვითეული ყაჩაღური ხროვის «ატამანმა», ე. ი. ინგლისმაც და გერმანიამაც, ამა თუ იმ რაოდენობით უნდა დაასაჩუქროს თავისი მოკავშირეები, რომლებმაც ბულგარეთის და, უფრო ნაკლებად, იტალიის გამოკლებით, განსაკუთრებით ბევრი დაკარგეს. ყველაზე სუსტმა მოკავშირეებმა დაკარგეს ყველაზე მეტი: ინგლისის კოალიციაში გაისრისა ბელგია, სერბია, ჩერნოგორია, რუმინეთი, გერმანიის კოალიციაში თურქეთმა დაკარგა სომხეთი და მესოპოტამიის ნაწილი.

აქამდე გერმანიის ნადავლი უეჭველად და ძალიან მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ინგლისის ნადავლი. აქამდე გერმანიამ გაიმარჯვა, აღმოჩნდა განუზომლად უფრო ძლიერი, ვიდრე ეს ვისმე ჰქონდა ომამდე წარმოდგენილი. ამიტომ გასაგებია, რომ გერმანიისათვის სასარგებლო იქნებოდა რაც შეიძლება უფრო მალე შეეკრა ზავი, ვინაიდან მის მოქიშპეს კიდევ შეეძლო, მისთვის წარმოსადგენ ყველაზე ხელსაყრელ (თუმცა არც ისე ძალიან მოსალოდნელ) შემთხვევაში, რეკრუტების დიდი რეზერვის გამოყენანა და სხვ.

ასეთია ობიექტური მდგომარეობა. ასეთია დღევანდელი მომენტი ბრძოლისა იმპერიალისტური ნადავლის გასაყოფად. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ მომენტმა წარმოშვა პაციფისტური მისწრაფებები, განცხადებები და გამოსვლები უმთავრესად გერმანიის კოალიციის და შემდეგ ნეიტრალური ქვეყნების ბურჟუაზიასა და მთავრობებში. ასევე ბუნებრივია,

რომ ბურჟუაზია და მ ი ს ი მთავრობები იძულებულნი არიან მთელი ძალღონით მიისწრაფოდნენ იმისაკენ, რომ გააბრიყვონ ხალხები, ფარავენ რა იმპერიალისტური ზავის საზიზღარ სიშიშვლეს, ნაძარცვის გაყოფას, — ფრაზებით, ერთიანად ცრუ ფრაზებით დემოკრატიულ ზავზე, მცირე ხალხთა თავისუფლებაზე, შეიარაღების შემცირებაზე და სხვ.

მაგრამ თუ ბურჟუაზიისათვის ბუნებრივია მისწრაფება გააბრიყვოს ხალხები, როგორღა ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სოციალისტები? ამის შესახებ შემდეგ სტატიაში (ანუ თავში).

ს ტ ა ტ ი ა (ა ნ უ თ ა ვ ი) I I

კაუცკისა და ტურატის პაციფიზმი

კაუცკი II ინტერნაციონალის ყველაზე ავტორიტეტული თეორეტიკოსია, ყველაზე თვალსაჩინო ბელადია ეგრეთწოდებული «მარქსისტული ცენტრისა» გერმანიაში, წარმომადგენელია ოპოზიციისა, რომელმაც რეიხსტაგში შექმნა განსაკუთრებული ფრაქცია: «სოციალ-დემოკრატიული შრომის ჯგუფი» (ჰაზე, ლედებური და სხვ.). გერმანიის მთელ რიგ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში ამჟამად მოთავსებულია კაუცკის სტატიები ზავის პირობების შესახებ; ეს სტატიები წარმოადგენენ «სოციალ-დემოკრატიული შრომის ჯგუფის» იმ ოფიციალური განცხადების სხვა სიტყვებით გადმოცემას, რომლითაც იგი გამოვიდა გერმანიის მთავრობის ცნობილი ნოტის გამო, სადაც მოცემული იყო წინადადება ზავზე მოლაპარაკების შესახებ. მოითხოვს რა მთავრობისაგან გარკვეული საზავო პირობების წამოყენებას, ეს განცხადება სხვათა შორის შეიცავს შემდეგ დამახასიათებელ ფრაზას:

...«იმისათვის, რომ ამ (გერმანიის მთავრობის) ნოტას მოჰყვეს ზავი, საჭიროა ყველა ქვეყანაში არაორჭოფულად უარყოფილ იქნეს უცხო ოლქების ანექსიის, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი რომელიმე ხალხის პოლიტიკური, სამეურნეო ან სამხედრო დამორჩილების აზრი»...

გამოთქვამს და აკონკრეტებს რა სხვა სიტყვებით ამ დებულებას, კაუცკი თავის სტატიებში დაწერილებით «ამტკი-

ცებს», რომ კონსტანტინოპოლი რუსეთს არ უნდა ერგოს და რომ თურქეთი არ უნდა იქცეს ვისიმე ვასალურ სახელმწიფოდ.

ჩავუკვირდეთ უფრო ყურადღებით კაუცკის და მის თანამოაზრეთა ამ პოლიტიკურ ლოზუნგებსა და არგუმენტებს.

როცა საქმე შეეხება რუსეთს, ე. ი. გერმანიის იმპერიალისტურ მოქიშპეს, მაშინ კაუცკი აყენებს არა აბსტრაქტულ, არა «ზოგად», არამედ სრულიად კონკრეტულ, ზუსტ, გარკვეულ მოთხოვნას: კონსტანტინოპოლი რუსეთს არ უნდა ერგოსო. ამით იგი ა მ ხ ი ლ ე ბ ს ნ ა მ დ ვ ი ლ იმპერიალისტურ ზრახვებს... რუსეთისას. როცა საქმე ეხება გერმანიას, ე. ი. სახელდობრ იმ ქვეყანას, რომლის ბურჟუაზიას და მთავრობას ეხმარება იმპერიალისტური ომის წარმოებაში პარტიის უმრავლესობა, პარტიისა, რომელსაც კაუცკი თავის წევრად მიაჩნია (და რომელმაც დანიშნა კაუცკი თავისი მთავარი, ხელმძღვანელი, თეორიული ორგანოს «**Neue Zeit**»-ის * რედაქტორად), მაშინ კაუცკი კი **არ** ამხილებს თ ა ვ ი ს ი მთავრობის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ იმპერიალისტურ ზრახვებს, არამედ კმაყოფილდება «ზოგადი» სურვილით ან დებულებით: თურქეთი არ უნდა იქნეს ვისიმე ვასალური სახელმწიფოო!!

რითღა განირჩევა, თავისი ნამდვილი შინაარსის მიხედვით, კაუცკის პოლიტიკა საფრანგეთისა და ინგლისის მებრძოლი, ასე ვთქვათ, სოციალ-შოვინისტების (ე. ი. სიტყვით სოციალისტების, საქმით შოვინისტების) პოლიტიკისაგან, რომლებიც პირდაპირ ამხილებენ გერმანიის კონკრეტულ იმპერიალისტურ ნაბიჯებს, მაგრამ კმაყოფილდებიან «ზოგადი» სურვილებით ან დებულებებით იმ ქვეყნებისა და ხალხთა შესახებ, რომელთაც იპყრობენ ინგლისი და რუსეთი? ბელგიისა და სერბიის დაპყრობის შესახებ გაჰყვირიან, ხოლო გალიციის, სომხეთის, აფრიკაში კოლონიების დაპყრობის შესახებ დუმან?

საქმით, კაუცკისა და სამბა — ჰენდერსონის პოლიტიკა თანაბრად ეხმარება თ ა ვ ი ს იმპერიალისტურ მთავრობას, რაკი მთავარ ყურადღებას აქცევს მოქიშპისა და მტრის მზაკვრობას,

* — «ახალი დროება». რ ე დ.

ხოლო ბუნდოვანი, ზოგადი ფრაზებისა და კეთილი სურვილების საბურველში ახვევს «თ ა ვ ი ს ი» ბურჟუაზიის ა მ დ ე ნ ა დ ვ ე იმპერიალისტურ ნაბიჯებს. და ჩვენ მარქსისტები აღარ ვიქნებოდით, საზოგადოდ სოციალისტები აღარ ვიქნებოდით, ამ კეთილი ზოგადი ფრაზების სიკეთის ქრისტიანული, ასე ვთქვათ, ჰვრეტით რომ დავკმაყოფილებულიყავით და არ გამოგვეაშკარავებინა მათი ნ ა მ დ ვ ი ლ ი პოლიტიკური მნიშვნელობა. განა ჩვენ მუდამ არ ვხედავთ, რომ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოს დიპლომატიას თავი მოაქვს უაღრესად გულკეთილი «ზოგადი» ფრაზებით და «დემოკრატიული» განცხადებებით, რომლებითაც ფ ა რ ა ვ ს მცირე ხალხთა ძარცვა-გლეჯას, მათ მიმართ ძალმომრეობას და მათ დახრჩობას?

«თურქეთი არ უნდა იქნეს არავისი ვასალური სახელმწიფო»... თუ მე მხოლოდ ამას ვლაპარაკობ, გარეგნულად ისე მოჩანს, თითქოს მე თურქეთის სრული თავისუფლების მომხრე ვიყო. მაგრამ ნამდვილად მე ვიმეორებ მხოლოდ ფრაზას, რომელსაც ჩვეულებრივად ხმარობენ გერმანელი დიპლომატებიც, ა შ კ ა რ ა დ რომ ტყუიან და ფარისეველობენ, ფარავენ რა ასეთი ფრაზით ი მ ფ ა ქ ტ ს, რომ გერმანიამ ა მ ჟ ა მ ა დ თურქეთი გადააქცია თავის რ ო გ ო რ ც ფინანსურ, ი ს ე სამხედრო ვასალად! და თუ მე გერმანელი სოციალისტი ვარ, გერმანიის დიპლომატიისათვის მხოლოდ გ ა მ ო ს ა დ ე გ ი ა ჩემი «ზოგადი» ფრაზები, ვინაიდან მათი ნამდვილი მნიშვნელობა გერმანიის იმპერიალიზმის შ ე ლ ა მ ა ზ ე ბ ა ა.

...«ყველა ქვეყანაში უნდა უარყოფილ იქნეს აზრი ანექსიების შესახებ,... რომელიმე ხალხის სამეურნეო დამორჩილების შესახებ»... რა ჩინებული გულკეთილობაა! იმპერიალისტები ათასჯერ «უარყოფენ აზრს» სუსტი ხალხების ანექსიისა და ფინანსური დახრჩობის შესახებ, მაგრამ განა საჭირო არ არის დავუპირდაპიროთ ამას ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, შეერთებული შტატების რომელ მსხვილ ბანკსაც გნებავთ «მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა შ ი» ჰ ყ ა ვ ს მცირე ხალხები? განა შეუძლია მდიდარი

ქვეყნის ახლანდელ ბურჟუაზიულ მთავრობას ს ა ქ-
მ ი თ უარყოს ანექსია და უცხო ხალხთა სამეურნეო დამორ-
ჩილება, როცა მილიარდები და მილიარდებია დაბანდებული
სუსტ ხალხთა რკინიგზებსა და სხვა საწარმოებში?

ვინ ებრძვის ნამდვილად ანექსიებს და სხვ., — ის, ვინც
ქარის გასატანებლად ისვრის გულკეთილ ფრაზებს, რომელთა
ობიექტური მნიშვნელობა სავსებით უდრის ქრისტიანულ
აიაზმის წყალს, რითაც ასხურებენ გვირგვინოსან და კაპი-
ტალისტურ ყაჩაღებს, თუ ის, ვინც მუშებს განუმარტავს
ანექსიებისა და ფინანსური დახრჩობის შეწყვეტის შეუძ-
ლებლობას იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მისი მთავ-
რობების დაუმხობლად?

აი კიდევ იტალიური ილუსტრაცია იმ პაციფიზმისა,
რომელსაც კაუცკი ქადაგებს.

იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ ორგანო
«Avanti!»-ში («წინ!») 1916 წ. 25 დეკემბრის თარიღით ცნო-
ბილმა რეფორმისტმა ფილიპე ტურატიმ მოათავსა სტატია სა-
თაურით «აბრაკადაბრა». 1916 წ. 22 ნოემბერს — წერს ის —
იტალიის პარლამენტის სოციალისტურმა ჯგუფმა შეიტანა პარ-
ლამენტში წინადადება ზავის შესახებ. ამ წინადადებაში მან
«აღნიშნა თანხმობა ინგლისის და გერმანიის წარმომადგენელ-
თაგან აღიარებული პრინციპებისა, რომლებიც საფუძვლად
უნდა დაედოს შესაძლებელ ზავს, და მთავრობას მოუწოდა
დაეწყო შეერთებული შტატებისა და სხვა ნეიტრალური ქვეყ-
ნების საშუალებით საზავო მოლაპარაკება». ასე გადმოსცემს
სოციალისტური წინადადების შინაარსს თვით ტურატი.

1916 წ. 6 დეკემბერს პალატამ «დამარხა» სოციალისტური
წინადადება, «გადადო რა» მისი განხილვა. 12 დეკემბერს გერ-
მანიის კანცლერი თავისი სახელით აყენებს რეიხსტაგში იმას,
რაც იტალიის სოციალისტებს სურდათ. 22 დეკემბერს თავისი
ნოტით გამოდის ვილსონი, რომელმაც «სხვა ფრაზებით გამოთ-
ქვა და გაიმეორა — ფ. ტურატის თქმით — სოციალისტური
წინადადების იდეები და მოტივები». 23 დეკემბერს სცენაზე

გამოდიან სხვა ნეიტრალური სახელმწიფოები, რომლებიც გადასხვაფერებული ფრაზებით გამოთქვამენ ვილსონის ნოტას.

ჩვენ ბრალს გვდებენ, რომ ჩვენ მივეყიდეთ გერმანიასო, გაიძახის ტურატი. ვილსონიც და ნეიტრალური სახელმწიფოებიც ხომ არ მიეყიდნენ გერმანიას?

17 დეკემბერს ტურატიმ წარმოთქვა პარლამენტში სიტყვა, რომლის ერთმა ადგილმა გამოიწვია არაჩვეულებრივი — და დამსახურებული — სენსაცია. აი ეს ადგილი «**Avanti!**»-ს ანგარიშის მიხედვით:

...«დავუშვათ, რომ იმგვარ განხილვას, როგორსაც ჩვენ გერმანია გვთავაზობს, შეუძლია მთავარ ხაზებში გადაჭრას საკითხები, როგორიცაა ბელგიის, საფრანგეთის ევაკუაცია, აღდგენა რუმინეთის, სერბიის და, თუ გნებავთ, ჩერნოგორიისაც; მე დაგიმატებთ თქვენ იტალიის საზღვრების შესწორებას იმ მხრივ, რაც უდავოდ იტალიას ეკუთვნის და სტრატეგიული ხასიათის გარანტიებს აკმაყოფილებს»... ამ ადგილას ბურჟუაზიული და შოვინისტური პალატა აწყვეტინებს სიტყვას ტურატის; ყოველი მხრით გაისმის ხმები: «ჩინებულია! მაშასადამე, თქვენც გინდათ ყველაფერი ეს! გაუმარჯოს ტურატის! გაუმარჯოს ტურატის»...

ტურატიმ ბურჟუაზიის ამ აღტაცებაში, როგორც ჩანს, იგრძნო რაღაც ცუდი და ის ცდილობს ნათქვამი «გამოასწოროს» ან «განმარტოს»:

...«ბატონებო, — ამბობს იგი, — არ არის საჭირო უადგილო ხუმრობა. ერთი საქმეა დავუშვათ შესაფერისობა და უფლება ნაციონალური ერთიანობისა, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვაღიარებდით; სხვა საქმეა — ვიწვევდეთ ან ვამართლებდეთ ომს ამ მიზნისათვის».

ტურატის ვერც ეს «განმარტება», ვერც «**Avanti!**»-ს სტატია მის დასაცავად, ვერც ტურატის 21 დეკემბრის წერილი, ვერც ვინმე «**b b**»-ს სტატია ციურიხის «**Volksrecht**»-ში* საქმეს ოდნავადაც ვერ «ასწორებს» და ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ

* — «ხალხის უფლება». რ ე დ.

ტ უ რ ა ტ ი მ ა ხ ე შ ი გ ა ე ბ ა!.. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მახეში გაება არა ტურატი, არამედ მთელი სოციალისტური პაციფიზმი, რომელსაც წარმოადგენენ კაუცკიც და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფრანგი «კაუცკელებიც». იტალიის ბურჟუაზიული პრესა მ:როალი იყო, როცა ხელი ჩასჭიდა ტურატის სიტყვის ამ ადგილს და ამის გამო ზეიმს მიეცა.

ხსენებული «b b» ცდილობს ტურატი დაიცვას იმით, თითქოს ის ლაპარაკობდა მხოლოდ «ერთა თვითგამორკვევის უფლების» შესახებ.

უხეირო დაცვაა! რა შუაშია აქ «ერთა თვითგამორკვევის უფლება», რომელიც, როგორც ყველასთვის ცნობილია, მარქსისტების პროგრამაში შეეხება — და ყოველთვის შეეხებოდა საერთაშორისო დემოკრატიის პროგრამაში — ჩ ა გ რ უ ლ ერთა დაცვას? იმპერიალისტურ ომს, ე. ი. ომს კოლონიების დანაწილებისათვის, უცხო ქვეყნების ჩ ა გ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს, ომს მძარცველ, მჩაგვრელ სახელმწიფოებს შ ო რ ი ს იმის გამო, თ უ ვ ი ნ უ ფ რ ო მ ე ტ ი უცხო ხალხები უნდა ჩაგროს?

მითითება ერთა თვითგამორკვევაზე იმპერიალისტური, და არა ნაციონალური, ომის გასამართლებლად, — რითღა განირჩევა ეს ალექსინსკის, ერვეს, ჰაინდმანის სიტყვებისაგან, რომელნიც მიუთითებენ საფრანგეთის რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ზ ე, გერმანიის მონარქიას რომ უპირისპირდება, თუმცა ყველასთვის ცნობილია, რომ ახლანდელი ომი წარმოებს სრულიადაც არა მონარქიულ საწყისთან რესპუბლიკანიზმის შეჯახების გამო, არამედ ორ იმპერიალისტურ კოალიციას შორის კოლონიებისა და სხვ. დანაწილებისათვის?

ტურატი განმარტავდა და თავს იმართლებდა იმით, რომ ის ომს ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ «ამართლებს».

დავუჯეროთ რეფორმისტ ტურატის, კაუცკის მომხრე ტურატის, რომ მას გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა ა რ ჰქონია გაემართლებინა ომი. მაგრამ ვინ არ იცის, რომ პოლიტიკაში ანგარიშში იღებენ არა განზრახვებს, არამედ საქმეებს? არა კეთილ სურ-

ვილებს, არამედ ფაქტებს? არა წარმოსახულს, არამედ სინამდვილეს?

ვთქვათ, ტურატის არ სურდა ომის გამართლება, ვთქვათ, კაუცკის არ სურდა გაემართლებინა გერმანიის მიერ გერმანიის იმპერიალიზმისადმი თურქეთის ვასალური ურთიერთობის დამყარება. მაგრამ ს ა ქ მ ი თ ორივე გულკეთილ პაციფისტს ს წ ო რ ე დ ო მ ი ს გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა გ ა მ ო უ ვ ი დ ა! ეი რაშია ღედაარსი. კაუცკის არა ჟურნალში, რომელიც ისეთი მოსაწყენია, რომ მას არავინ კითხულობს, არამედ პარლამენტის ტრიბუნიდან, ცოცხალი, მგრძნობიარე, სამხრეთის ტემპერამენტის მქონე ბურჟუაზიული საზოგადოების წინაშე რომ წარმოეთქვა ასეთი ფრაზა: «კონსტანტინოპოლი რუსეთს არ უნდა ერგოს, თურქეთი არავის ვასალურ სახელმწიფოდ არ უნდა იქცესო», არაფერი საკვირველი არ იქნებოდა ენამოსწრებული ბურჟუების წამოძახილებში: «ჩინებულია! სწორია! გაუმარჯოს კაუცკის!».

ტურატი ფაქტიურად იდგა, — დამოუკიდებლად იმისა, სურდა მას თუ არა ეს, შეცნობილი ჰქონდა თუ არა ეს, — ბურჟუაზიული მაკლერის თვალსაზრისზე, რომელიც იმპერიალისტურ მტაცებელთა შორის მშვიდობიანი გარიგების წინადადებას იძლევა. «განთავისუფლება» იტალიის მიწებისა, რომლებიც ავსტრიას ეკუთვნის, ს ა ქ მ ი თ იქნებოდა დაფარვა იტალიის ბურჟუაზიის დასაჩუქრებისა გიგანტური იმპერიალისტური კოალიციის იმპერიალისტურ ომში მონაწილეობისათვის; იქნებოდა არაარსებითი დანამატი აფრიკაში კოლონიების, დალმაციასა და ალბანეთში გავლენის სფეროების განაწილებისა. რეფორმისტ ტურატისათვის, კაცმა რომ თქვას, ბუნებრივია ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგომა, მაგრამ ფაქტიურად კაუცკი სრულიად არაფრით არ განირჩეოდა ტურატისაგან.

იმპერიალისტური ომი რომ არ შევალამაზოთ, რომ არ დავეხმაროთ ბურჟუაზიას ასეთი ომი ხელაღებით გაასაღოს ნაციონალურ, ხალხთა განმათავისუფლებელ ომად, რომ არ აღმოვჩნდეთ ბურჟუაზიული რეფორმიზმის პოზიციებზე, სა-

ვირო იყო გველაპარაკნა არა ისე, როგორც კაუცკი და ტურატი ლაპარაკობენ, არამედ ისე, როგორც ლაპარაკობდა კარლ ლიბკნეხტი, საჭირო იყო გამოგვეცხადებინა ჩ ვ ე ნ ი ბურჟუაზიისათვის, რომ ის თვალთმაქცობს, როცა ლაყბობს ნაციონალური განთავისუფლების შესახებ, რომ დემოკრატიული ზავი შეუძლებელია ახლანდელ ომთან დაკავშირებით, თუ პროლეტარიატი არ «მიაბრუნებს იარაღს» თ ა ვ ი ს მთავრობათა წინააღმდეგ.

ასეთი და მხოლოდ ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო პოზიცია ნამდვილი მარქსისტისა, ნამდვილი სოციალისტისა, და არა ბურჟუაზიული რეფორმისტისა. დემოკრატიული ზავის სასარგებლოდ ნამდვილად მუშაობს არა ის, ვინც იმეორებს პაციფიზმის ზოგად, არაფრისმთქმელ, არაფრის დამავალდებულებელ კეთილ სურვილებს, არამედ ის, ვინც ამხილებს როგორც ამ ომის, ისე იმ იმპერიალისტური ზავის იმპერიალისტურ ხასიათს, რომელსაც ეს ომი ამზადებს, ვინც მოუწოდებს ხალხებს რევოლუციისაკენ დამნაშავე მთავრობათა წინააღმდეგ.

ზოგიერთნი ცდილობენ ხანდახან დაიცვან კაუცკი და ტურატი იმით, რომ ლეგალურად არ შეიძლებოდა მთავრობის წინააღმდეგ «გადაკრული თქმაზე» შორს წასვლა, ხოლო ასეთი «გადაკრული თქმა» ამგვარი ჯურის პაციფისტებს კი აქვთო. მაგრამ ამაზე უნდა ვუპასუხოთ, ჯერ-ერთი, რომ სიმართლის ლეგალურად თქმის შეუძლებლობა საბუთია არა სიმართლის დაფარვის სასარგებლოდ, არამედ არალეგალური, ე. ი. პოლიციისა და ცენზურისაგან თავისუფალი, ორგანიზაციისა და ბეჭდვითი სიტყვის აუცილებლობის სასარგებლოდ; მეორე, რომ დგება ხოლმე ისეთი ისტორიული მომენტები, როდესაც სოციალისტს მ ო ე თ ხ ო ვ ე ბ ა გაწყვიტოს კავშირი ყოველგვარ ლეგალობასთან; მესამე, რომ ბატონყმურ რუსეთშიაც კი ახერხებდნენ დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი სიმართლის თქმას ხან სიჩუმით 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტის შესახებ, ხან მაშინდელი იმ ლიბერალების მასხრად აგდებითა და

გაბიაბრუებით, რომელნიც სწორედ ისეთ სიტყვებს ამბობ-დნენ, როგორსაც ტურატი და კაუცკი.

შემდეგ სტატიაში ჩვენ გადავალთ ფრანგულ პაციფიზმზე, რომელმაც თავისი გამოსახულება პოვა ახლახან შემდგარ საფრანგეთის მუშურ და სოციალისტურ ორგანიზაციათა ორი კონგრესის რეზოლუციებში.

სტატია (ანუ თავი) III

საფრანგეთის სოციალისტებისა და სინდიკალისტების პაციფიზმი

ახლახან დასრულდა საფრანგეთის C. G. T.-ის (**Confédération générale du Travail**, მუშათა პროფესიული კავშირების საყოველთაო კავშირი)[81] და ფრანგული სოციალისტური პარტიის[82] კონგრესები. სოციალისტური პაციფიზმის ნამდვილი მნიშვნელობა და ნამდვილი როლი ახლანდელ მომენტში განსაკუთრებული სიცხადით აქ გამოისახა.

აი სინდიკალური კონგრესის რეზოლუცია, რომელიც ერთ-ხმად მიიღო ყველამ, თავგამოდებული შოვინისტების უმრავლესობამაც სავალალოდ ცნობილ ჟუოს (**Jouhaux**) მეთაურობით, ანარქისტმა ბრუტშუმაც და... «ციმერვალდელმა» მერჰეიმმაც:

«ნაციონალურ კორპორაციულ ფედერაციათა, სინდიკატების კავშირთა (პროფესიულ კავშირთა), შრომის ბირჟათა კონფერენცია, მიიღო რა ცნობად შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნოტა, «რომელიც მოუწოდებს ამჟამად ურთიერთ შორის მეომარ ყველა ერს გამოთქვან საჯაროდ თავიანთი შეხედულებანი იმ პირობათა შესახებ, რომლებითაც შესაძლებელია ომის გათავება», —

სთხოვს საფრანგეთის მთავრობას დაეთანხმოს ამ წინადადებას;

მოუწოდებს მთავრობას იკისროს ინიციატივა ამგვარივე გამოსვლისათვის თავისი მოკავშირეების წინაშე, რათა დააჩქაროს ზავის შეკვრა;

აცხადებს, რომ ერთა ფედერაცია, რომელიც წარმოადგენს საბოლოო ზავის ერთ-ერთ საწინდარს, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ყველა, როგორც პატარა, ისე დიდი, ერის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელუხლებლობისა და პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლების პირობებში.

კონფერენციაზე წარმოდგენილი ორგანიზაციები კისრულობენ ვალდებულებას მხარი დაუჭირონ ამ იდეას და გაავრცელონ ის მუშათა მასაში, რათა შეწყდეს გაურკვეველი, ორჭოფული მდგომარეობა, ხელსაყრელი მხოლოდ საიდუმლო დიპლომატიისათვის, რომლის წინააღმდეგაც მუდამ ჯანყდებოდა მუშათა კლასი».

აი ნიმუში «წმინდა» პაციფიზმისა, სავსებით კაუცკისებური პაციფიზმისა, — მუშათა იმ ოფიციალური ორგანიზაციისაგან მოწონებული პაციფიზმისა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან და რომელიც უმთავრესად შოვინისტებისაგან შედგება. ჩვენ წინაშეა ღირსშესანიშნავი, მეტად სერიოზული ყურადღების ღირსი დოკუმენტი, დოკუმენტი შოვინისტებისა და «კაუცკელების» პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ა ცარიელი პაციფისტური ფრაზის პლატფორმაზე. თუ წინა სტატიაში ჩვენ ვცდილობდით გვეჩვენებინა, რაშია თ ე ო რ ი უ ლ ი საფუძველი შოვინისტებისა და პაციფისტების, ბურჟუებისა და სოციალისტური რეფორმისტების შეხედულებათა ერთიანობისა, ახლა ჩვენ ამ ერთიანობას ვხედავთ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ განხორციელებულს მეორე იმპერიალისტურ ქვეყანაში.

კონფერენციაზე ციმერვალდში, 5 — 8. IX. 1915, მერჰეიმმა განაცხადა: «**Le parti, les Jouhaux, le gouvernement, ce ne sont que trois têtes sous un bonnet**» («პარტია, ბატონი ჟუოები, მთავრობა, ეს სამი თავია ერთ ქუდქვეშ», ე. ი. ისინი — ერთნი არიან). C. G. T.-ის კონფერენციაზე 1916 წლის 26 დეკემბერს მერჰეიმი ხმას აძლევს, ჟ უ ო ს თ ა ნ ე რ თ ა დ, პაციფისტურ რეზოლუციას. 1916 წლის 23 დეკემბერს გერმანიის სოციალ-იმპერიალისტთა ერთ-ერთმა ყველაზე გულახდილმა და ყველაზე უკიდურესმა ორგანომ, ხემნიცის გაზეთმა

გაბიაბრუებით, რომელნიც სწორედ ისეთ სიტყვებს ამბობ-დნენ, როგორსაც ტურატი და კაუცკი.

შემდეგ სტატიაში ჩვენ გადავალთ ფრანგულ პაციფიზმზე, რომელმაც თავისი გამოსახულება პოვა ახლახან შემდგარ საფრანგეთის მუშურ და სოციალისტურ ორგანიზაციათა ორი კონგრესის რეზოლუციებში.

სტატია (ანუ თავი) III

საფრანგეთის სოციალისტებისა და სინდიკალისტების პაციფიზმი

ახლახან დასრულდა საფრანგეთის C. G. T.-ის (**Confédération générale du Travail**, მუშათა პროფესიული კავშირების საყოველთაო კავშირი)[81] და ფრანგული სოციალისტური პარტიის[82] კონგრესები. სოციალისტური პაციფიზმის ნამდვილი მნიშვნელობა და ნამდვილი როლი ახლანდელ მომენტში განსაკუთრებული სიცხადით აქ გამოისახა.

აი სინდიკალური კონგრესის რეზოლუცია, რომელიც ე რ თ ხ მ ა დ მიიღო ყველამ, თავგამოდებული შოვინისტების უმრავლესობამაც სავალალოდ ცნობილ ჟუოს (**Jouhaux**) მეთაურობით, ანარქისტმა ბრუტშუმაც და... «ციმერვალდელმა» მერჰეიმმაც:

«ნაციონალურ კორპორაციულ ფედერაციათა, სინდიკატების კავშირთა (პროფესიულ კავშირთა), შრომის ბირჟათა კონფერენცია, მიიღო რა ცნობად შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნოტა, «რომელიც მოუწოდებს ამჟამად ურთიერთ შორის მეომარ ყველა ერს გამოთქვან საჯაროდ თავიანთი შეხედულებანი იმ პირობათა შესახებ, რომლებითაც შესაძლებელია ომის გათავება», —

სთხოვს საფრანგეთის მთავრობას დაეთანხმოს ამ წინადადებას;

მოუწოდებს მთავრობას იკისროს ინიციატივა ამგვარივე გამოსვლისათვის თავისი მოკავშირეების წინაშე, რათა დააჩქაროს ზავის შეკვრა;

აცხადებს, რომ ერთა ფედერაცია, რომელიც წარმოადგენს საბოლოო ზავის ერთ-ერთ საწინდარს, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ყველა, როგორც პატარა, ისე დიდი, ერის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელუხლებლობისა და პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლების პირობებში.

კონფერენციაზე წარმოდგენილი ორგანიზაციები კისრულობენ ვალდებულებას მხარი დაუჭირონ ამ იდეას და გაავრცელონ ის მუშათა მასაში, რათა შეწყდეს გაურკვეველი, ორჭოფული მდგომარეობა, ხელსაყრელი მხოლოდ საიდუმლო დიპლომატიისათვის, რომლის წინააღმდეგაც მუდამ ჯანყდებოდა მუშათა კლასი».

აი ნიმუში «წმინდა» პაციფიზმისა, სავსებით კაუცკისებური პაციფიზმისა, — მუშათა იმ ოფიციალური ორგანიზაციისაგან მოწონებული პაციფიზმისა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან და რომელიც უმთავრესად შოვინისტებისაგან შედგება. ჩვენ წინაშეა ღირსშესანიშნავი, მეტად სერიოზული ყურადღების ღირსი დოკუმენტი, დოკუმენტი შოვინისტებისა და «კაუცკელების» პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ა ცარიელი პაციფისტური ფრაზის პლატფორმაზე. თუ წინა სტატიაში ჩვენ ვცდილობდით გვეჩვენებინა, რაშია თ ე ო რ ი უ ლ ი საფუძველი შოვინისტებისა და პაციფისტების, ბურჟუებისა და სოციალისტური რეფორმისტების შეხედულებათა ერთიანობისა, ახლა ჩვენ ამ ერთიანობას ვხედავთ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ განხორციელებულს მეორე იმპერიალისტურ ქვეყანაში.

კონფერენციაზე ციმერვალდში, 5 — 8. IX. 1915, მერჰეიმმა განაცხადა: «**Le parti, les Jouhaux, le gouvernement, ce ne sont que trois têtes sous un bonnet**» («პარტია, ბატონი ჟუოები, მთავრობა, ეს სამი თავია ერთ ქუდქვეშ», ე. ი. ისინი — ერთნი არიან). C. G. T.-ის კონფერენციაზე 1916 წლის 26 დეკემბერს მერჰეიმი ხმას აძლევს, ჟ უ ო ს თ ა ნ ე რ თ ა დ, პაციფისტურ რეზოლუციას. 1916 წლის 23 დეკემბერს გერმანიის სოციალ-იმპერიალისტთა ერთ-ერთმა ყველაზე გულახდილმა და ყველაზე უკიდურესმა ორგანომ, ხემნიცის გაზეთმა

«Volkssstimme»-მ * მოათავსა სარედაქციო სტატია: «ბურჟუაზიული პარტიების დაშლა და სოციალ-დემოკრატიული ერთიანობის აღდგენა». ამ სტატიაში ხოტბას ასხამენ, თავისთავად, ზიუდეკუმის, ლეგინის, შეიდემანისა და კომპანიის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთელი უმრავლესობისა და აგრეთვე გერმანიის მთავრობის მშვიდობისმოყვარეობას და აღიარებენ, რომ «პარტიის პირველმა კონგრესმა, რომელიც ომის შემდეგ შეიკრიბება, უნდა აღადგინოს პარტიის ერთიანობა, გარდა პარტიული შესატანის გადახდაზე უარისმთქმელ მცირერიცხოვან ფანატიკოსებისა» (ე. ი. კარლ ლიბკნეხტის მომხრეებისა!), « — პარტიის ერთიანობა პარტიის გამგეობის, რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და პროფესიულ კავშირთა პოლიტიკის საფუძველზე».

აქ ცხადზე უცხადესად გამოთქმულია იდეა და აღიარებულია პოლიტიკა გერმანიის აშკარა სოციალ-შოვინისტების «ერთიანობისა» კაუცკისთან და კომპანიასთან, «სოციალ-დემოკრატიულ შრომის ჯგუფთან», — ერთიანობისა პაციფისტური ფრაზების საფუძველზე, — «ერთიანობისა», რომელიც საფრანგეთში განხორციელდა 1916 წ. 26 დეკემბერს ჟუოსა და მერჰეიმს შორის!

იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო **«Avanti!»** წერს სარედაქციო შენიშვნაში 1916 წ. 28 დეკემბერს:

«თუ ბისოლატი და ზიუდეკუმი, ბონომი და შეიდემანი, სამბა და დავიდი, ჟუო და ლეგინი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ბანაკში გადაბარგდნენ და გასცეს (**hanno tradito**, ღალატი ჩაიდინეს) ინტერნაციონალისტების იდეური ერთიანობა, რომელსაც აღუთქვეს რწმენით და სიმართლით სამსახური, ჩვენ დავრჩებით ჩვენს გერმანელ ამხანაგებთან ერთად, ისეთებთან, როგორიც არიან ლიბკნეხტი, ლედებური, ჰოფმანი, მეიერი, ჩვენს ფრანგ ამხანაგებთან, ისეთებთან, როგორიც არიან მერჰეიმი, ბლანი, ბრიზონი, რაფენ-დიუჟანსი, რომელნიც არ შეცვლილან და არ შეყოყმანებულან».

* — «ხალხის ხმა». რ ე დ.

შეხედეთ, როგორი დომხალი გამოდის:

ბისოლატი და ბონომი გ ა რ ი ც ხ ე ს, როგორც რეფორმისტები და შოვინისტები, იტალიის სოციალისტური პარტიიდან ჯერ კიდევ ომამდე. «Avanti!» ათავსებს მათ ერთ დაფაზე ზიუდეკუმთან და ლეგინთან, და სრულიად სწორად, რა თქმა უნდა; მაგრამ ზიუდეკუმი, დავიდი და ლეგინი სათავეში უდგანან გერმანიის ვითომდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, საქმით კი სოციალ-შოვინისტურ პარტიას, და იგივე «Avanti!» ჯანყდება მათი გარიცხვის წინააღმდეგ, მათთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ, III ინტერნაციონალის შექმნის წინააღმდეგ. «Avanti!» აცხადებს, და სრულიად სწორადაც, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ბანაკში გადაბარგებულებად ლეგინსა და ჟუოს, რომელთაც უპირდაპირებს ლიბკნეხტსა და ლედებურს, მერჰეიმსა და ბრიზონს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მერჰეიმი ხ მ ა ს ა ძ ლ ე ვ ს ჟ უ ო ს თ ა ნ ე რ თ ა დ, ხოლო ლეგინი აცხადებს, — ხემნიცის «ხალხის ხმის» პირით, — თავის რწმენას პარტიის ერთიანობის აღდგენისადმი მ ხ ო ლ ო დ ლიბკნეხტის თანამოაზრეთა გამოკლებით, ე. ი. «ერთიანობისა» იმ «სოციალ-დემოკრატიულ შრომის ჯგუფთან» (მათ რიცხვში კაუცკისთან) ე რ თ ა დ, რომელსაც ეკუთვნის ლედებური!!

ეს დომხალი გამოწვეულია იმით, რომ «Avanti!» ერთმანეთში ურევს ბურჟუაზიულ პაციფიზმს და რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალიზმს; ხოლო ისეთმა გამოცდილმა პოლიტიკანებმა, როგორიც არიან ლეგინი და ჟუო, ჩინებულად გაიგეს სოციალისტური და ბურჟუაზიული პაციფიზმის ი გ ი ვ ე ო ბ ა.

მართლაცდა, როგორ არ უნდა იზეიმოს ბატონმა ჟუომ და მისმა გაზეთმა, შოვინისტურმა «La Bataille»-მ [83] ჟუოსა და მერჰეიმის «ერთსულოვნების» გამო, როცა ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც ჩვენ მთლიანად მოვიყვანეთ, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ არაფერი არ არის ბურჟუაზიულ-პაციფისტური ფრაზებს გარდა, არ არის რევოლუციური შეგნების ა ჩ რ დ ი ლ ი ც კ ი, არ არის ა რ ც ე რ თ ი სოციალისტური აზრი!

განა სასაცილო არ არის ლაპარაკი «ყველა, პატარა და დიდი, ერის ეკონომიური თავისუფლების» შესახებ, როცა ხმას არ იღებენ იმაზე, რომ სანამ ბურჟუაზიული მთავრობები დამხობილნი არ არიან და ბურჟუაზია ექსპროპრიაციაქმნილი არაა, ეს «ეკონომიური თავისუფლება» ხალხის ისეთივე მ ო ტ ყ უ ე ბ ა ა, როგორიცაა ფრაზები ს ა ზ ო გ ა დ ო დ მოქალაქეების, წვრილი გლეხების და მდიდრების, მუშების და კაპიტალისტების «ეკონომიურ თავისუფლებაზე» თანამედროვე საზოგადოებაში?

რეზოლუცია, რომელსაც ერთსულოვნად მისცეს ხმა ჟუომ და მერჰეიმმა, სავსებით და მთლიანად გამსჭვალულია იდეებით «ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა», რომელსაც «Avanti!» სამართლიანად აღნიშნავს ჟუოს მიმართ, მაგრამ რომელსაც იგი, «Avanti!», გასაოცრად ვ ე რ ამჩნევს მერჰეიმის მიმართ.

ბურჟუაზიული ნაციონალისტები ყოველთვის და ყველგან თავს იწონებდნენ «ზოგადი» ფრაზებით «ერთა ფედერაციის» შესახებ ს ა ზ ო გ ა დ ო დ, «ყველა, დიდი და პატარა, ერის ეკონომიური თავისუფლების» შესახებ. სოციალისტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისაგან განსხვავებით, ამბობდნენ და ამბობენ: ორატორობა «დიდი და პატარა ერების ეკონომიური თავისუფლების» შესახებ არის საძაგელი თვალთმაქცობა, სანამ ზ ო გ ი ე რ თ ი ერი (მაგალითად, ინგლისი და საფრანგეთი) ათავსებს საზღვარგარეთ, ე. ი. აძლევს სესხად მევახშური პროცენტებით მცირე და ჩამორჩენილ ერებს, კ ა პ ი ტ ა ლ ს ა თ ე უ ლ ი დ ა ა თ ე უ ლ ი მ ი ლ ი ა რ დ ი ფ რ ა ნ კ ი ს რაოდენობით, ხოლო მცირე და სუსტი ერები მათ მონობაში იმყოფებიან.

სოციალისტები ვერ შეძლებდნენ მტკიცე პროტესტის გარეშე დაეტოვებინათ ე რ თ ი ფ რ ა ზ ა ც კ ი იმ რეზოლუციაში, რომელსაც ერთხმად მისცეს ხმა ჟუომ და მერჰეიმმა. სოციალისტები ამ რეზოლუციის პირდაპირ საწინააღმდეგოდ განაცხადებდნენ, რომ ვილსონის გამოსვლა აშკარა სიცრუე და თვალთმაქცობაა, ვინაიდან ვილსონი წარმომადგენელია

ბურჟუაზიისა, რომელმაც ომში მილიარდები შეიძინა, მეთაურია იმ მთავრობისა, რომელმაც გაშმაგებამდე მიიყვანა შეერთებული შტატების შეიარაღება აშკარად მ ე ო რ ე დიდი იმპერიალისტური ომის მიზნით; — რომ საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობას, ხელფეხშეკრულს ფინანსური კაპიტალით, რომლის მონაც ის არის, და საიდუმლო იმპერიალისტური, მთლიანად მძარცველური და რეაქციული ხელშეკრულებით ინგლისთან, რუსეთთან და სხვ., არ შეუძლია არც თქვას, არც გააკეთოს რაიმე, გარდა ასეთივე სიცრუისა, დემოკრატიული და «სამართლიანი» ზავის საკითხის შესახებ; — რომ ბრძოლა ამგვარი ზავისათვის მდგომარეობს არა ზოგადი, ცარიელი, არაფრისმთქმელი, არაფრის დამავალდებულებელი, საქმით მხოლოდ იმპერიალისტური სიბილწის შემალამაზებელი კეთილი და ტკბილი პაციფისტური ფრაზების განმეორებაში, არამედ ხალხებისათვის ს ი მ ა რ თ ლ ი ს განცხადებაში, სახელდობრ ხალხებისათვის შემდეგი რამის განცხადებაში: რათა მივაღწიოთ დემოკრატიულ და სამართლიან ზავს, საჭიროა დავამხოთ ყველა მეომარი ქვეყნის ბურჟუზიული მთავრობანი და ამისათვის გამოვიყენოთ შეიარაღებულ მუშათა მილიონები, აგრეთვე მოსახლეობის მასების საყოველთაო გაბოროტება ცხოვრების სიძვირით და იმპერიალისტური ომის საშინელებებით.

აი რა უნდა ეთქვათ სოციალისტებს ჟუოსა და მერჰეიმის რეზოლუციების ნაცვლად.

ფრანგულმა სოციალისტურმა პარტიამ თავის კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობდა პარიზში C. G. T.-ის კონგრესთან ერთდროულად, არათუ არ თქვა ეს, არამედ მან მიიღო უ ფ რ ო ც უ დ ი რეზოლუცია, 2 838 ხმით 109 ხმის წინააღმდეგ, 20 კაცმა თავი შეიკავა, ე. ი. რეზოლუცია მიღებულ იქნა სოციალ-შოვინისტებისა (რენოდელი და კომპანია, ეგრეთწოდებული «მაჟორიტერები», უმრავლესობის მომხრენი) და ლ ო ნ გ ე ტ ი ს ტ ე ბ ი ს (ლონგეს მომხრეების, ფრანგი კაუცკელების) ბლოკის მიერ!! ამასთანავე ციმერვალდელმა ბურდე-

რონმა და კინტალელმა (**kinthalien**, კინტალის კონფერენციის მონაწილე) რაფენ-დიუჟანსმა ხმა მისცეს ამ რეზოლუციას!!

ჩვენ არ მოვიყვანთ ამ რეზოლუციის ტექსტს, ვინაიდან ის უზომოდ გრძელია და სრულიად არ არის საინტერესო: მასში კეთილი, ტკბილი ფრაზები ზავის შესახებ დ ა ყ ე ნ ებ ულ ი ა იმ განცხადების გ ვ ე რ დ ი თ, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ შემდგომში ეგრეთწოდებულ «სამშობლოს დაცვას» საფრანგეთში, ე. ი. მხარი დაუჭირონ იმპერიალისტურ ომს, რომელსაც აწარმოებს საფრანგეთი ისეთ კიდევ უფრო დიდ და ძლიერ ყაჩაღებთან კავშირში, როგორიც არიან ინგლისი და რუსეთი.

სოციალ-შოვინისტების გაერთიანება პაციფისტებთან (ან კაუცკელებთან) საფრანგეთში და ციმერვალდელთა ნაწილთან იქცა, მაშასადამე, ფაქტად არა მხოლოდ C. G. T.-ში, არამედ სოციალისტურ პარტიაშიც.

ს ტ ა ტ ი ა (ა ნ უ თ ა ვ ი) IV

ციმერვალდი გზაჯვარედინზე

28 დეკემბერს ბერნში მოვიდა ფრანგული გაზეთები C. G. T.-ის კონგრესის ანგარიშით, ხოლო 30 დეკემბერს ბერნისა და ციურიხის სოციალისტურ გაზეთებში გამოქვეყნდა ახალი მოწოდება ბერნის I. S. K.-სა (**«Internationale Sozialistische Kommission»**) — საერთაშორისო სოციალისტური კომისიისა, ციმერვალდის გაერთიანების აღმასრულებელი ორგანოსი. ამ მოწოდებაში, რომელიც დათარიღებულია 1916 წლის დეკემბრის დამლევით, ლაპარაკია საზავო წინადადების შესახებ გერმანიის მხრივ, აგრეთვე ვილსონის და სხვა ნეიტრალური ქვეყნების მხრივ; ამასთანავე მთავრობათა ყველა ამ გამოსვლას ეწოდება — და, რასაკვირველია, სავსებით სამართლიანად ეწოდება — «ზავის კომედიური თამაში», «თამაში საკუთარი ხალხების გასაბრიყვებლად», «დიპლომატების თვალთმაქცური პაციფისტური ჟესტიკულაციები».

ამ კომედიას და სიცრუეს უპირდაპირდება, როგორც «ერთადერთი ძალა», რომელსაც ძალუძს ზავის განხორციელება და სხვ., საერთაშორისო პროლეტარიატის «მტკიცებება» «მიაბრუნოს ბრძოლის იარაღი არა თავისი ძმების, არამედ საკუთარ ქვეყანაში მყოფი მტრის წინააღმდეგ».

მოყვანილი ციტატები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ ორ ძირფესვიანად განსხვავებულ პოლიტიკას, რომლებიც დღემდე თითქოს ერთმანეთს ეგუებოდნენ ციმერვალდის გაერთიანების შიგნით და რომლებიც საბოლოოდ დასცილდნენ ერთმანეთს ამჟამად.

ერთი მხრივ, ტურატი გარკვევით ამბობს, და სავსებით სამართლიანად, რომ გერმანიის, ვილსონის და სხვ. წინადადება წარმოადგენდა მხოლოდ იტალიური «სოციალისტური» პაციფიზმის «ს ხ ვ ა ფ რ ა ზ ე ბ ი თ გ ა მ ო თ ქ მ ა ს». გერმანელი სოციალ-შოვინისტების განცხადება და ფრანგი სოციალ-შოვინისტების ხმის მიცემა გვიჩვენებს, რომ პირველთაც და მეორეთაც ჩინებულად შეაფასეს თ ა ე ი ა ნ თ ი პოლიტიკის პაციფისტური მიჩქმალვის სარგებლობა.

მეორე მხრივ, ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის მოწოდება ყველა მეომარი და ნეიტრალური მთავრობის პაციფიზმს კომედიას და თვალთმაქცობას უწოდებს.

ერთი მხრივ, ჟუო უერთდება მერჰეიმს, ბურდერონი, ლონგე და რაფენ-დიუჟანსი უერთდებიან რენოდელს, სამბას და ტომას, ხოლო გერმანელი სოციალ-შოვინისტები, ზიუდეკუმი, დავიდი და შეიდემანი აცხადებენ «სოციალ-დემოკრატიული ერთიანობის» მომავალ «აღდგენას» კაუცკისთან და «სოციალ-დემოკრატიულ შრომის ჯგუფთან».

მეორე მხრივ, ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის მიმართვა მოუწოდებს «სოციალისტურ უმცირესობებს» ენერგიულად ებრძოლონ «თავიანთ მთავრობებს» «და მათს სოციალ-პატრიოტულ დაქირავებულ დამქაშებს» (Söldlinge).

ან — ან.

ვამხილოთ ბურჟუაზიული პაციფიზმის უშინაარსობა, უაზრობა, თვალთმაქცობა, თუ «ფრაზებით გადავასხვაფეროთ»

იგი «სოციალისტურ» პაციფიზმად? ვებრძოლოთ ჟუოს და რენოდელებს, ლეგინებს და დავიდებს, როგორც მთავრობათა «დაქირავებულებს», **თუ** გავერთიანდეთ მათთან ფრანგული თუ გერმანული ნიმუშების ცარიელი პაციფისტური დეკლამაციების საფუძველზე?

ამ ხაზით მიდის ამჟამად მიჯნა ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფსა, რომელიც ყოველთვის მთელი ძალღონით ილაშქრებდა სოციალ-შოვინისტებთან გათიშვის წინააღმდეგ, და ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს შორის, რომელსაც ჯერ კიდევ ციმერვალდში ტყუილ-უბრალოდ არ უზრუნია საჯაროდ გამიჯნოდა მემარჯვენე ჯგუფს, გამოსულიყო კონფერენციაზეც და მის შემდეგაც პრესაში განსაკუთრებული პლატფორმით. ზავის მოახლოებამ, ან თუნდაც ზავის საკითხის გაძლიერებულმა განხილვამ ზოგიერთი ბურჟუაზიული ელემენტის მიერ, არა შემთხვევით, არამედ გარდუვალად გამოიწვია პირველი და მეორე პოლიტიკის განსაკუთრებით ცხადი დაშორება. ვინაიდან ზავი ბურჟუაზიულ პაციფისტებს და მათ «სოციალისტურ» წამბაძველთ ან გადამმღერებელთ ყოველთვის ეხატებოდათ და ეხატებათ როგორც რაღაც პრინციპულად განსხვავებული იმ აზრით, რომ იდეა: «ომი არის მშვიდობიანი დროის პოლიტიკის განგრძობა, ზავი არის ომის პოლიტიკის განგრძობა» — ყოველთვის გაუგებარი რჩებოდა ორივე ელფერის პაციფისტებისათვის. 1914 — 1917 წლების იმპერიალისტური ომი რომ 1898 — 1914 წლების, — თუ კიდევ უფრო ადრინდელი პერიოდის არა, — იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელებაა, ეს არ სურდათ და არ სურთ დაინახონ არც ბურჟუებს, არც სოციალ-შოვინისტებს. ა ხ ლ ა რომ ზავი შეიძლება წარმოადგენდეს, თუ კი ბურჟუაზიული მთავრობები რევოლუციურად დამხობილნი არ იქნებიან, მხოლოდ იმპერიალისტურ ზავს, რომელიც განაგრძობს იმპერიალისტურ ომს, ამას ვერ ხედავენ ვერც ბურჟუაზიული, ვერც სოციალისტური პაციფისტები.

როგორც ახლანდელი ომის შეფასებას უდგებოდნენ უაზრო, ეულგარული, ობივატელური ფრაზებით თავდასხმისა თუ

თავდაცვის შესახებ საზოგადოდ, ისე ზავის შეფასებასაც უდგებიან ასეთივე ფილისტერული ზოგადი ფრაზებით და ივიწყებენ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციას, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის კონკრეტულ სინამდვილეს. ხოლო სოციალ-შოვინისტებისათვის, მთავრობებისა და ბურჟუაზიის ამ აგენტებისათვის მუშათა პარტიების შიგნით, ბუნებრივი იყო ხელის ჩაკიდება განსაკუთრებით ზავის მოახლოებისათვის, ზავის შესახებ ლაპარაკისთვისაც კი, რათა მ ი ე ჩ ქ მ ა ლ ა თ ომით გამოაშკარავებული სიღრმე მათი რეფორმიზმისა, მათი ოპორტუნიზმისა, რათა აღედგინათ თავიანთი შერყეული გავლენა მასებზე. ამიტომ სოციალ-შოვინისტები, როგორც დავინახეთ, გერმანიაშიც და საფრანგეთშიც მიმართავენ გაძლიერებულ ცდებს «გაერთიანდნენ» «ოპოზიციის» მერყევ, უპრინციპო, პაციფისტურ ნაწილთან.

ციმერვალდის გაერთიანების შიგნითაც, უთუოდ, იქნება ცდები მიჩქმალონ პოლიტიკის ორი შეურიგებელი ხაზის დაშორება. შეიძლება გავითვალისწინოთ ასეთი ორგვარი ცდა. «საქმოსნური» შერიგება უბრალოდ ის იქნება, რომ მექანიკურად შეაერთონ მყვირალა რევოლუციური ფრაზები (როგორიც არის, მაგალითად, ფრაზები ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის მოწოდებაში) ოპორტუნისტულ და პაციფისტურ პრაქტიკასთან. ასე იყო II ინტერნაციონალში. არქირევოლუციური ფრაზები ჰიუისმანსისა და ვანდერველდეს მოწოდებებში და კონგრესების ზოგიერთ რეზოლუციაში მხოლოდ ფარავდა ევროპის პარტიების უმრავლესობის არქიოპორტუნისტულ პრაქტიკას, მის გარდაუქმნელად, მისთვის ნიადაგის გამოუთხრელად, მის წინააღმდეგ უბრძოლველად. საეჭვოა, რომ ციმერვალდის გაერთიანების შიგნით კვლავ მოხერხდეს ეს ტაქტიკა.

«პრინციპული შემარიგებელნი» შეეცდებიან წარმოგვიდგინონ მარქსიზმის ფალსიფიკაცია, მაგალითად, ისეთი მსჯელობის სახით, რომ რეფორმები არ გამორიცხავენ რევოლუციებს, რომ იმპერიალისტური ზავი ეროვნებათა საზღვრების

ან საერთაშორისო სამართლის ან შეიარაღების საგასავლო ბიუჯეტის და სხვ. ერთგვარი «გაუმჯობესებით» შესაძლებელია რევოლუციური მოძრაობის გვერდით, როგორც ამ მოძრაობის «გაშლის ერთ-ერთი მომენტი» და ასე შემდგომ და ასე ამგვარად.

ეს იქნებოდა მარქსიზმის ფალსიფიკაცია. რა თქმა უნდა, რეფორმები არ გამორიცხავენ რევოლუციებს. მაგრამ ამჟამად საქმე ამას კი არ შეეხება, არამედ იმას, რომ რევოლუციონერებმა არ გამორიცხონ თავისთავი რეფორმისტების წინაშე, ე. ი. რომ სოციალისტებმა არ შეცვალონ თავიანთი რევოლუციური მუშაობა რეფორმისტულით. ევროპა რევოლუციურ სიტუაციას განიცდის. ომი და სიძვირე ამწვავებს მას. ომიდან ზავზე გადასვლა ჯერ კიდევ აუცილებლად როდი სპობს ამას, რადგან არსაიდან არ გამომდინარეობს, რომ მუშათა მილიონები, რომელთა ხელშიაც არის ამჟამად შესანიშნავი იარაღი, აუცილებლივ და უყოყმანოდ ნებას მისცემენ ბურჟუაზიას მოახდინოს მათი «მშვიდობიანი განიარაღება», იმის მაგიერ, რომ შეასრულონ კ. ლიბკნეხტის რჩევა, ე. ი. იარაღი მიაბრუნონ თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

საკითხი ისე არა დგას, როგორც მას პაციფისტები, კაუცკელები აყენებენ: ან რეფორმისტული პოლიტიკური კამპანია, ან რეფორმებზე ხელის აღებაო. ეს საკითხის ბურჟუაზიული დაყენებაა. სინამდვილეში საკითხი ასე დგას: ან რევოლუციური ბრძოლა, რომლის, თუ ის სრული წარმატებით არ დამთავრდა, არაპირდაპირი პროდუქტია რეფორმები (ეს დაამტკიცა რევოლუციების მთელმა ისტორიამ მთელ მსოფლიოში), ან არაფერი, გარდა ლაყბობისა რეფორმებზე და რეფორმათა დაპირებებისა.

კაუცკის, ტურატის, ბურდერონის რეფორმიზმი, რომელიც ამჟამად გამოდის პაციფიზმის ფორმით, არათუ განზე ტოვებს საკითხს რევოლუციის შესახებ (ეს უკვე სოციალიზმის ღალატია), არათუ პრაქტიკაში უარს აცხადებს ყოველგვარ სისტემატურ და შეუპოვარ რევოლუციურ მუშაობაზე, არამედ იქამდეც კი მიდის, რომ აცხადებს, ქუჩის

დემონსტრაციები ავანტიურა არისო (კაუცკი «Neue Zeit»-ში, 1915 წ. 26 ნოემბერს), იქამდე მიდის, რომ იცავს და ახორციელებს ერთიანობას რევოლუციური ბრძოლის აშკარა და გადამჭრელ მოწინააღმდეგეებთან — ზიუდეკუმებთან, ლეგინებთან, რენოდელებთან, ტომებთან და სხვ. და სხვ.

ეს რეფორმიზმი აბსოლუტურად შეურიგებელია რევოლუციურ მარქსიზმთან, რომელიც ვალდებულია ყოველმხრივ გამოიყენოს ახლანდელი რევოლუციური სიტუაცია ევროპაში რევოლუციის უშუალოდ საქადაგებლად, ბურჟუაზიულ მთავრობათა დასამხობად, შეიარაღებული პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დასაპყრობად, და რომელმაც სრულიადაც არ უნდა თქვას უარი და არ უნდა უარყოს რეფორმების გამოყენება რევოლუციისათვის ბრძოლის განსავითარებლად და მის მსვლელობაში.

უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ წარიმართება მოვლენათა მსვლელობა ევროპაში საზოგადოდ, ბრძოლა რეფორმიზმ-პაციფიზმისა რევოლუციურ მარქსიზმთან კერძოდ, მათ შორის, ციმერვალდის გაერთიანების ორი ნაწილის ბრძოლაც.

ციურიხი, 1917 წ. 1 იანვარი

ლია წერილი ბოჭრის სუვარინს [84]

მოქალაქე სუვარინი აცხადებს, რომ თავის წერილს ჩემი მისამართითაც გზავნის. მე მას მით უფრო მეტი კმაყოფილებით ვუპასუხებ, რომ მისი სტატია ეხება საერთაშორისო სოციალიზმის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

სუვარინი «აპატრიოტულად» თვლის იმათ თვალსაზრისს, ვინც ფიქრობს, რომ «სამშობლოს დაცვა» შეუთავსებელია სოციალიზმთან. და, თავის მხრივ, იგი «იცავს» ტურატის, ლედებურის, ბრიზონის თვალსაზრისს, რომელნიც, ხმას აძლევენ რა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ, თავს აცხადებენ «სამშობლოს დაცვის» მომხრეებად, ე. ი. იმ მიმართულების თვალსაზრისს, რომელსაც ეწოდება «ცენტრი» (მე ვიტყოდი უმალ — «ბაობი»), ანუ, — ამ მიმართულების მთავარი თეორიული და ლიტერატურული წარმომადგენლის, კარლ კაუცკის სახელის მიხედვით, — კაუცკელობა. გაკვრით შევნიშნავ, რომ სუვარინი მართალი არ არის, როცა ამტკიცებს, «ისინი (ე. ი. რუსი ამხანაგები, რომლებიც ლაპარაკობენ II ინტერნაციონალის კრახზე) ისეთ ადამიანებს, როგორიცაა კაუცკი, ლონგე და ა. შ., აიგივებენ... შეიდემანისა და რენოდელის ტიპის ნაციონალისტებთანო». არასოდეს არც მე, არც პარტია, რომელსაც მე ვეკუთვნი (რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტი), არ ვაიგივებდით სოციალ-შოვინისტების თვალსაზრისს «ცენტრის» თვალსაზრისთან. ჩვენი პარტიის ოფიციალურ განცხადებებში, ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში, რომელიც გამოქვეყნდა 1914 წლის

1 ნოემბერს *, და 1915 წლის მარტში მიღებულ რეზოლუციებში ** (ორივე ეს დოკუმენტი in extenso *** მოცემულია ჩვენს ბროშურაში «სოციალიზმიდაომი» ****, რომელსაც სუვარინი იცნობს), ჩვენ ყოველთვის ვატარებდით განსხვავებას სოციალ-შოვინისტებსა და «ცენტრს» შორის. პირველნი, ჩვენი აზრით, ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ. მათ მიმართ ჩვენ მოვითხოვთ არა მარტო ბრძოლას, არამედ გათიშვასაც. მეორენი კი, — ესენი არიან გაუბედავი, მერყევი ადამიანები, რომლებიც უდიდეს ზიანს აყენებენ პროლეტარიატს თავიანთი ცდებით — გააერთიანონ სოციალისტური მასები შოვინისტურ ბელადებთან.

სუვარინი ამბობს, რომ მას უნდა «განიხილოს ფაქტები მარქსისტული თვალსაზრისით».

მაგრამ მარქსისტული თვალსაზრისით ისეთ ზოგადსა და განყენებულ განსაზღვრებს, როგორიცაა «აპატრიოტიზმი», აბსოლუტურად არავითარი ფასი არა აქვს. სამშობლო, ერი — ეს ისტორიული კატეგორიებია. თუ ომის დროს ლაპარაკია დემოკრატიის დაცვაზე ან ერის მჩაგვრელი უღლის წინააღმდეგ ბრძოლაზე, მე ოდნავადაც ასეთი ომის წინააღმდეგი არა ვარ და არ მაშინებს სიტყვები «სამშობლოს დაცვა», როცა ისინი შეეხებიან ამგვარ ომს ან აჯანყებას. სოციალისტები ყოველთვის ჩაგრულთა მხარეზე დგებიან და, მაშასადამე, ისინი არ შეიძლება იყენენ ისეთი ომების წინააღმდეგნი, რომელთა მიზანია დემოკრატიული ან სოციალისტური ბრძოლა ჩაგვრის წინააღმდეგ. ამრიგად, პირდაპირ სასაცილო იქნებოდა უარგვეყო კანონიერება 1793 წლის ომებისა, ევროპის რეაქციული მონარქიების წინააღმდეგ საფრანგეთის ომებისა, ან გარიბალდის ომებისა და ა. შ. ... სწორედ ასევე სასაცილო იქნებოდა, რომ არ გვდომებოდა გვეცნო კანონიერება ჩაგრულ ხალხთა ომებისა მათი მჩაგვრელების

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 13—24. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 180—187. რ ე დ.

*** — მთლიანად. რ ე დ.

**** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 357—412. რ ე დ.

წინააღმდეგ, ომებისა, რომლებიც შეიძლებოდა ამტყდარიყო ამჟამად, მაგალითად, კანონიერება ირლანდიელთა აჯანყებისა ინგლისის წინააღმდეგ, ან მაროკოს აჯანყებისა საფრანგეთის წინააღმდეგ, უკრაინის აჯანყებისა რუსეთის წინააღმდეგ და ა. შ. ...

მარქსისტული თვალსაზრისით აუცილებლად საჭიროა თვითეულ ცალკე შემთხვევაში, თვითეული ომისათვის განსაკუთრებულად, განვსაზღვროთ მისი პოლიტიკური შინაარსი.

მაგრამ როგორ განვსაზღვროთ ომის პოლიტიკური შინაარსი?

ყოველგვარი ომი მხოლოდ პოლიტიკის განგრძობაა. როგორი პოლიტიკის განგრძობაა ახლანდელი ომი? არის თუ არა ის პროლეტარიატის პოლიტიკის განგრძობა, პროლეტარიატისა, რომელიც 1871-დან 1914 წლამდე სოციალიზმისა და დემოკრატიის ერთადერთი წარმომადგენელი იყო საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში? თუ ის არის, უმალ, განგრძობა იმპერიალისტური პოლიტიკისა, კოლონიური ძარცვის და სუსტ ხალხთა ჩაგვრის პოლიტიკისა, რომელსაც რეაქციული, დაქვეითების გზაზე დამდგარი და მომაკვდავი ბურჟუაზია ახორციელებს?

საკმარისია საკითხი მხოლოდ გარკვევით და მართებულად დავსვათ, რომ საესებით ნათელი პასუხი მივიღოთ: ახლანდელი ომი — იმპერიალისტური ომია, ეს არის მონათმფლობელთა ომი, რომელნიც თავიანთი მუშა პირუტყვის გამო წაიჩხუბნენ და რომელთაც სწადიათ განამტკიცონ და სამუდამოდ დაამკვიდრონ მონობა. ეს ომი არის ის «კაპიტალისტური ყაჩაღობა», რომელზედაც ლაპარაკობდა ჟიულ გედი 1899 წელს, რითაც წინასწარვე გმობდა თავის საკუთარ ღალატს მომავალში. გედი მაშინ ამბობდა:

«არის სხვანაირი ომები..., რომლებიც ყოველდღე წარმოიშობა ხოლმე, ეს არის ომები გასაღების ბაზრებისათვის. ამ მხრივ ომი არათუ არ ჭრება, არამედ იმუქრება იმით, რომ განუწყვეტელი გახდეს. ეს არის უმთავრესად კაპიტალისტური ომი, ომი ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა შორის მოგებისათვის, მსოფლიო ბაზრის დაპყრობისათვის ჩვენი სისხლის

ფასად. და აი, წარმოიდგინეთ, რომ ევროპის თვითეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ძარცვა-გლეჯის გულისათვის ამტყდარ ამგვარ ურთიერთ ხოცვა-ჟლეტას სათავეში უდგას სოციალისტი! წარმოიდგინეთ ინგლისელი მილიერანი, იტალიელი მილიერანი, გერმანელი მილიერანი ფრანგ მილიერანთან ერთად, რომელნიც ითრევენ პროლეტარებს ერთიმეორის საწინააღმდეგოდ ამ კაპიტალისტურ ყაჩაღობაში! რაღა დარჩებოდა, გეკითხებით თქვენ, ამხანაგებო, საერთაშორისო სოლიდარობიდან? იმ დღეს, როდესაც მილიერანიზმი საერთო მოვლენა გახდებოდა, ყოველგვარი ინტერნაციონალიზმისთვის უნდა გვეთქვა «მშვიდობით» და გავმხდარიყავით ნაციონალისტი, რასაც არც თქვენ და არც მე არასოდეს არ დავთანხმდებით. (იხ. ჟიულ გედის «სადარაჯოზე!» («En Garde!»), პარიზი, 1911, გვ. 175 — 176).

მართალი არ არის ის, რომ საფრანგეთი ამ 1914—1917 წლების ომში იბრძვის თავისუფლებისათვის, ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის და ა. შ. ... ის იბრძვის თავისი კოლონიების შენარჩუნებისათვის, ინგლისის მიერ იმ კოლონიების შენარჩუნებისათვის, რომელთა მიმართაც გერმანიას გაცილებით მეტი უფლებები ექნებოდა, — რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული სამართლის თვალსაზრისით. ის იბრძვის იმისათვის, რომ რუსეთს მიეცეს კონსტანტინოპოლი და ა. შ. ... მაშასადამე, ამ ომს ეწევა არა დემოკრატიული და რევოლუციური საფრანგეთი, არა 1792 წლის საფრანგეთი, არა 1848 წლის საფრანგეთი და არა კომუნის საფრანგეთი. ომს ეწევა ბურჟუაზიული საფრანგეთი, რეაქციული საფრანგეთი, ცარიზმის მოკავშირე და მეგობარი, «მსოფლიო მეკახშე» (გამოთქმა ჩემი არ არის, ის ეკუთვნის «L'Humanité»-ს[85] თანამშრომელ ლიზისს), რომელიც იცავს თავის ნადავლს, თავის «წმიდა უფლებას» კოლონიების მიმართ, იმის «თავისუფლების» მიმართ, რომ ექსპლოატაციას უწევდეს მთელ მსოფლიოს თავისი მილიარდების დახმარებით, რომლებიც მიცემული აქვთ სესხად სუსტ ან ნაკლებად მდიდარ ხალხებს.

ნუ ამბობთ, რომ ძნელია რევოლუციური ომების განსხვავება რეაქციული ომებისაგან. თქვენ გინდათ, რომ იმ მეცნიერულ კრიტერიუმს გარდა, რომელიც მე უკვე მივუთითე,

წმინდა პრაქტიკული, ყველასთვის გასაგები კრიტერიუმიც მივუთითო?

აი ის: ყოველგვარი, რამდენადმე მნიშვნელოვანი ომი წინასწარ მზადდება. როდესაც მზადდება რევოლუციური ომი, დემოკრატებსა და სოციალისტებს არ ეშინიათ წინასწარ განაცხადონ, რომ ისინი ემხრობიან «სამშობლოს დაცვას» ამგვარ ომში. ხოლო როდესაც, პირიქით, მზადდება რეაქციული ომი, ვერც ერთი სოციალისტი ვერ გაბედავს წინასწარ, ე. ი. ომის გამოცხადებამდე, განსაზღვროს, რომ იგი მიემხრობა «სამშობლოს დაცვას» ამგვარ ომში.

მარქსსა და ენგელსს არ ეშინოდათ გერმანელი ხალხისთვის მოეწოდებინათ რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ 1848 და 1859 წლებში.

ბაზელში კი, 1912 წელს, პირიქით, სოციალისტები ვერ ბედავდნენ ელაპარაკნათ «სამშობლოს დაცვაზე» იმ ომში, რომლის მოახლოებას ისინი უკვე წინასწარ ჰვრეტდნენ და რომელიც, მართლაც, დაიწყო 1914 წელს.

ჩვენს პარტიას არ ეშინია საჯაროდ განაცხადოს, რომ ის თანაგრძნობით შეხვდება იმ ომებს ან აჯანყებებს, რომლებიც შეიძლებოდა დაეწყო ირლანდიას ინგლისის წინააღმდეგ, მაროკოს, ალჟირს, ტუნისს — საფრანგეთის წინააღმდეგ, ტრიპოლს — იტალიის წინააღმდეგ, უკრაინას, სპარსეთს, ჩინეთს — რუსეთის წინააღმდეგ და ა. შ.

ხოლო სოციალ-შოვინისტები? ხოლო «ცენტრისტები»? გაბედავენ კი ისინი აშკარად და ოფიციალურად განაცხადონ, რომ ისინი ემხრობიან ან მიემხრობიან «სამშობლოს დაცვას» იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ატყდება ომი იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის, სავსებით იმპერიალისტური ომი, რომელიც მრავალ ასეულ მილიონ ადამიანს ემუქრება და ათეული წლების განმავლობაში მზადდება? დაე სცადონ! მე მზადა ვარ სანაძლეო დავდო, რომ ისინი ამას არ იზამენ, რადგან მათ ძალიან კარგად მოეხსენებათ, რომ თუ ისინი

ამას გაბედავენ, მუშათა მასები მათ სასაცილოდ აიგდებენ, ყიყინას დასცემენ და სოციალისტური პარტიებიდან გააძევებენ. აი ამიტომ სოციალ-შოვინისტები და «ცენტრისტები» თავს აარიდებენ ყოველგვარ აშკარა განცხადებას ამ საკითხზე და კვლავ განაგრძობენ თავის დაძვრენას, მოტყუებას, საკითხის არევ-დარევას და ფონს გასვლას იმგვარი სოფიზმებით, როგორიც მიიღო საფრანგეთის პარტიის უკანასკნელმა კონგრესმა 1915 წელს: «ქვეყანას, რომელსაც თავს დაესხნენ, უფლება აქვს თავი დაიცვასო».

თითქოსდა, დედაარსი ის იყოს, თუ ვინ დაესხა პირველი, და არა ის, თუ როგორია ომის მიზეზები, მიზნები, რომლებსაც იგი ისახავს, და ის კლასები, რომლებიც მას აწარმოებენ. შეიძლება თუ არა, მაგალითად, დავუშვათ, რომ სრულ ჭკუაზე მყოფ სოციალისტებს შეეძლოთ ეცნოთ 1796 წელს ინგლისის უფლება «სამშობლოს დაცვის» მიმართ, როცა საფრანგეთის რევოლუციურმა ჯარებმა იწყეს ირლანდიელებთან ომობა? ამაკე დროს კი, ხომ სწორედ ფრანგები ესხმოდნენ თავს ამ მომენტში ინგლისს, და საფრანგეთის არმია ირლანდიაში დესანტის გადასასხმელადაც კი ემზადებოდა. და შეიძლებოდა თუ არა ხვალ გვეცნო რუსეთისა და ინგლისის უფლება «სამშობლოს დაცვის» მიმართ, თუ მას შემდეგ, რაც მათ მიიღეს გაკვეთილი გერმანიისაგან, მათ თავს დაესხმოდა სპარსეთი, შეკავშირებული ინდოეთთან, ჩინეთთან და აზიის სხვა რევოლუციურ ხალხებთან, რომლებიც თაკიანთი 1789 და 1793 წლების ამბებს აწყობენ?

ასეთია ჩემი პასუხი ჩვენ მიმართ წამოყენებულ იმ პირდაპირ სასაცილო ბრალდებაზე, თითქოს ჩვენ ვიზიარებდეთ ტოლსტოის იდეებს. ჩვენმა პარტიამ უარყო როგორც ტოლსტოის მოძღვრება, ისე პაციფიზმიც, მან განაცხადა, რომ სოციალისტები ახლანდელ ომში უნდა ცდილობდნენ გადააქციონ ის პროლეტარიატის სამოქალაქო ომად ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის.

თუ თქვენ მეტყვით, რომ ეს უტოპიაა, მე გიპასუხებთ, რომ, ცხადია, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვ. ბურჟუაზია არ იზიარებს თქვენს აზრს, რადგან იგი, რა თქმა უნდა, არ დაიწყებდა საზიზღარი და სასაცილო როლის თამაშს, როცა არ ერიდება «პაციფისტების» საპატიმროში მოთავსებას და მობილიზაციას, იგი რომ წინასწარ არ გრძნობდეს და წინასწარ არ ჭვრეტდეს რევოლუციის აუცილებელ და განუწყვეტელ ზრდას და მისი დაწყების მოახლოებას.

ამას მივყავარ გათიშვის საკითხთან, რომელიც აგრეთვე აღძრა სუვარინმა. გათიშვა! ეს საფრთხობელაა, რომლითაც სოციალისტური ბელადები ცდილობენ დააფრთხონ სხვები და რომლისაც თვითონ მათ ასე ეშინიათ! «რა სარგებლობას მოიტანდა ახლა ახალი ინტერნაციონალის შექმნა?» — ამბობს სუვარინი. — «მისი მოღვაწეობის სენი იქნებოდა უნაყოფობა, რადგან რიცხობრივად ის ძალიან სუსტი იქნებოდა».

მაგრამ, აკი სახელდობრ პრესმანისა და ლონგეს «მოღვაწეობას» საფრანგეთში, კაუცკისა და ლედებურის «მოღვაწეობას» გერმანიაში მოსდგამს უნაყოფობა, რაც დასტურდება ყოველდღიური ფაქტებით, სწორედ იმიტომ, რომ მათ გათიშვის ეშინიათ! და სწორედ იმიტომ, რომ კ. ლიბკნეხტს და ო. რიულეს გერმანიაში არ ეშინოდათ გათიშვისა, რომ მათ აშკარად განაცხადეს მისი აუცილებლობის შესახებ (იხ. რიულეს წერილი 1916 წ. 12 იანვრის «Vorwärts»-ში *) და უყოყმანოდ განახორციელეს ის, — მათ მოღვაწეობას ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატისათვის, მიუხედავად მათი რიცხობრივი სისუსტისა. ლიბკნეხტი და რიულე — ეს არის მხოლოდ 2 წინააღმდეგ 108-ისა. მაგრამ ეს ორნი წარმოადგენენ მილიონობით ადამიანებს, ექსპლოატირებულ მასებს, მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, კაცობრიობის მომავალს, რევოლუციას, რომელიც დღითი დღე იზრდება და მწიფდება. 108 კაცი კი გამოხატავს მხოლოდ პროლეტარიატის წრეში

* — «წინ». რედ.

ბურჟუაზიის ერთი მუჭა ლაქიების მლიქვნელურ ბუნებას. ბრიზონის მოღვაწეობას, როცა იგი იზიარებს ცენტრის ანუ ჭაობის სისუსტეს, უნაყოფობა მოსდგამს. და, პირიქით, ბრიზონის მოღვაწეობა უნაყოფო აღარ არის, ის რაზმავს პროლეტარიატს, აღვიძებს და ამოძრავებს მას, როცა ბრიზონი ნამდვილად ანგრევს «ერთიანობას» და როცა იგი პარლამენტში მამაცურად გაიძახის: «ძირს ომი!», ან როცა იგი საჯაროდ ამბობს სიმართლეს და აცხადებს, მოკავშირენი იმისთვის იბრძვიან, რომ რუსეთს კონსტანტინოპოლი მისცენო.

ჭეშმარიტად-რევოლუციური ინტერნაციონალისტები რიცხობრივად სუსტნი არიან? სცდებით! მაგალითისათვის ავიღოთ 1780 წლის საფრანგეთი და 1900 წლის რუსეთი. შეგნებული და გაბედული რევოლუციონერები, რომელნიც პირველ შემთხვევაში ბურჟუაზიის — მაშინდელი ეპოქის რევოლუციური კლასის — წარმომადგენლები იყვნენ, მეორე შემთხვევაში კი ახლანდელი დროის რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის წარმომადგენლები იყვნენ, რიცხობრივად მეტად სუსტნი იყვნენ. ესენი იყვნენ მხოლოდ ერთეულები, რომელნიც თავიანთი კლასის სულ დიდი მხოლოდ 1/10 000 ან 1/100 000-ედ ნაწილს თუ შეადგენდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ კი სწორედ ამ ერთეულებმა, სწორედ ამ, თითქოსდა ესოდენ უმნიშვნელო, უმცირესობამ გაიყოლია მასები, მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანები. რატომ? იმიტომ რომ ეს უმცირესობა ნამდვილად გამოხატავდა ამ მასების ინტერესებს, იმიტომ რომ მას სწამდა მომავალი რევოლუცია, იმიტომ რომ ის მზად იყო ერთგული სამსახური გაეწია რევოლუციისთვის.

რიცხობრივი სისუსტე? მაგრამ ეს როდიდან არის, რომ რევოლუციონერები თავიანთ პოლიტიკას დამოკიდებულს ხდიან იმ ფაქტისაგან, უმრავლესობას შეადგენენ ისინი თუ უმცირესობას? როცა 1914 წლის ნოემბერში ჩვენმა პარტიამ გამოაცხადა ოპორტუნისტებთან გათიშვის აუცილებლობა *

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 13 — 24. რ ე დ.

და განაცხადა, რომ ეს გათიშვა ერთადერთი მართებული და ლირსეული პასუხი იქნება 1914 წლის აგვისტოში მათ მიერ ჩადენილ ღალატზეო, ბევრს ეს განცხადება ეჩვენებოდა მხოლოდ იმ ადამიანთა სექტანტურ უგუნურებად, რომელნიც საბოლოოდ მოწყდნენ ცხოვრებას და სინამდვილეს. გავიდა ორი წელი, და — ნახეთ, რა ხდება. ინგლისში გათიშვა — მომხდარი ფაქტია; სოციალ-შოვინისტი ჰაინდმანი იძულებული გახდა პარტია დაეტოვებინა. გერმანიაში გათიშვა ყველას თვალწინ ვითარდება. ბერლინის, ბრემენისა და შტუტგარტის ორგანიზაციებს წილად ხვდათ ის პატივიც კი, რომ გარიცხული ყოფილიყვნენ პარტიიდან... კაიზერის ლაქიების პარტიიდან, ბატონ გერმანელ რენოდელების, სამბების, ტომების, გედებისა და კომპანიის პარტიიდან. ხოლო საფრანგეთში? ერთი მხრივ, ამ ვაჟბატონთა პარტია აცხადებს, რომ იგი რჩება «სამშობლოს დაცვის» მომხრედ; მეორე მხრივ, ციმერვალდელები თავიანთ ბროშურაში «ციმერვალდის სოციალისტები და ომი» აცხადებენ, რომ «სამშობლოს დაცვა» სოციალისტური არ არის. განა ეს გათიშვა არაა?

და როგორ შეეძლოთ კეთილსინდისიერად ემუშავნათ ერთიმეორის მხარდამხარ ერთ პარტიაში იმ ადამიანებს, რომელნიც ამ უდიდესი მსოფლიო კრიზისის ორი წლის შემდეგ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პასუხს იძლევიან პროლეტარიატის თანამედროვე ტაქტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე?

შეხედეთ ამერიკასაც — ქვეყანას, რომელიც, ამასთანავე, ნეიტრალურია. განა იქაც არ დაიწყო გათიშვა: მაშინ როდესაც, ერთი მხრივ, ევგენი დებსი, ეს «ამერიკელი ბებელი», სოციალისტურ პრესაში აცხადებს, რომ იგი ცნობს მხოლოდ ერთი სახის ომს, სამოქალაქო ომს სოციალიზმის გამარჯვებისათვის, და რომ იგი ამჯობინებდა დასახვრეტად გაეწირა თავი, ვიდრე ხმა მიეცა თუნდაც ერთი ცენტის სასარგებლოდ ამერიკის სამხედრო ხარჯებისათვის (იხ. «Appeal to Reason» № 1032, 1915 წ. 11 სექტემბერი), იმავე დროს, მეორე მხრივ,

ამერიკელი რენოდელები და სამბები აცხადებენ «სამშობლოს დაცვას» და «ომისათვის მომზადებულობას». ამერიკელი ლონგეები და პრესმანები კი — საბრალონი! — ცდილობენ შეარიგონ სოციალ-შოვინისტები და რევოლუციური ინტერნაციონალისტები.

ორი ინტერნაციონალი უკვე არსებობს. ერთი სამბა-ზიუდეკუმ-ჰაინდმან-პლეხანოვის და კომპანიისა და მეორე კ. ლიბკნეხტისა, მაკლინისა (შოტლანდიელი მასწავლებელი, რომელსაც ინგლისის ბურჟუაზიამ კატორღა მიუსაჯა მუშათა კლასობრივი ბრძოლის მხარდაჭერისათვის), ჰეგლუნდისა (შვედი დეპუტატი, რომელსაც კატორღა მიუსაჯეს თავისი რევოლუციური აგიტაციისათვის ომის წინააღმდეგ; ციმერვალდში იგი «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის» ერთ-ერთი დამაარსებელი იყო), სახელმწიფო სათათბიროს ხუთი დეპუტატისა, რომელთაც მიესაჯათ სამუდამო გადასახლება ციმბირში მათი აგიტაციისათვის ომის წინააღმდეგ და სხვ. ეს არის, ერთი მხრივ, იმათი ინტერნაციონალი, რომელნიც თავიანთ მთავრობებს ეხმარებიან იმპერიალისტური ომის წარმოებაში, მეორე მხრივ კი, იმათი ინტერნაციონალი, რომელნიც ეწევიან რევოლუციურ ბრძოლას ამ ომის წინააღმდეგ. და ვერც პარლამენტის მოლაყბეთა მეჭეერმეტყველება, ვერც სოციალიზმის «სახელმწიფო კაცთა» «დიპლომატია» ვერ შეძლებს გააერთიანოს ეს ორი ინტერნაციონალი. მეორე ინტერნაციონალმა თავისი დრო მოჭამა. მესამე ინტერნაციონალი უკვე იშვა. და თუ იგი ჯერ კიდევ არ უკურთხებიათ II ინტერნაციონალის მღვდელმთავრებსა და პაპებს, არამედ, პირიქით, შეაჩვენეს მათ (იხ. ვანდერველდეს და სტაუნინგის სიტყვები), ეს მაინც ხელს არ უშლის მას დღითი დღე ახალი ძალები შეიძინოს. მესამე ინტერნაციონალი შესაძლებლობას მისცემს პროლეტარიატს თავიდან მოიშოროს ოპორტუნისტები, და იგივე ინტერნაციონალი მიიყვანს მასებს გამარჯვებამდე სოციალურ რევოლუციაში, რომელიც მწიფდება და ახლოვდება.

ვიდრე დავამთავრებდე, რამდენიმე სიტყვით უნდა ვუპასუხო სუვარინის პირად პოლემიკას. იგი (შვეიცარიაში მყოფ სოციალისტებს) სთხოვს შეანელონ პირადი კრიტიკა, რომელიც მიმართულია ბერნშტეინის, კაუცკის, ლონგეს და სხვ. წინააღმდეგ... ჩემი მხრივ უნდა ვთქვა, რომ მე არ შემიძლია დავეთანხმო ამ თხოვნას. და უწინარეს ყოვლისა, მე სუვარინს მივუთითებ, რომ «ცენტრისტების» წინააღმდეგ გამოვდივარ არა პირადი კრიტიკით, არამედ პოლიტიკური კრიტიკით. მასებზე ბატონ ზიუდეკუმების, პლეხანოვებისა და სხვ. გავლენას ვეღარ უშველი: მათი ავტორიტეტი უკვე იმდენად შერყეულია, რომ პოლიციას ყველგან უხდება მათი დაცვა. მაგრამ «ცენტრისტები» «ერთიანობისა» და «სამშობლოს დაცვის» თავიანთი პროპაგანდით, შეთანხმებისადმი თავიანთი მისწრაფებით, თავიანთი ცდებით — სიტყვებით დაფარონ უაღრესად ღრმა უთანხმოებანი, უდიდეს ზიანს აყენებენ მუშათა მოძრაობას, რადგან აბრკოლებენ სოციალ-შოვინისტების მორალური ავტორიტეტის საბოლოოდ გაკოტრებას და, ამრიგად, ხელს უწყობენ მათს გავლენას მასებზე, აცოცხლებენ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტთა ლეშს. ყველა ამ მოსაზრების გამო მე მიმაჩნია, რომ კაუცკისა და «ცენტრის» სხვა წარმომადგენელთა წინააღმდეგ ბრძოლა არის ჩემთვის სოციალისტური მოვალეობა.

სუვარინი, სხვებთან ერთად, «მიმართავს გილბოს, ლენინს, ყველა იმათ, ვინც სარგებლობს უპირატესობით «შეტაკებისაგან განზე» იმყოფებოდეს, უპირატესობით, რომელიც ხშირად საშუალებას იძლევა სალად განვსაჯოთ სოციალიზმის ადამიანები და საქმეები, მაგრამ რომელიც, შესაძლოა, ზოგიერთ უხერხულობასაც შეიცავს».

ყველაფერი აშკარაა. ციმერვალდში ეს აზრი ლედებურმა მოურიდებლად გამოთქვა და ჩვენ, «მემარცხენე ციმერვალდელებს», ბრალად დაგვდო ის, რომ ჩვენ საზღვარგარეთიდან მივმართავთ ხოლმე მასებს რევოლუციური მოწოდებებით. მოქალაქე სუვარინს მე ვუმეორებ იმასვე, რაც ვუთხარი ლედებურს ციმერვალდში. 29 წელი გავიდა მას

შემდეგ, რაც მე დამაპატიმრეს რუსეთში. ამ 29 წლის განმავლობაში მე არ შემიწყვეტია მასებისადმი მიმართვა რევოლუციური მოწოდებებით. მე ამას ჩავდიოდი ჩემი საპატიმროდან, ციმბირიდან, უფრო გვიან კი — საზღვარგარეთიდან. და მე ხშირად შემხვედრია რევოლუციურ პრესაში ისეთივე «ნართაულები», როგორც მეფის პროკურორთა სიტყვებში, «ნართაულები», რომლებიც მე ბრალად მდებდნენ არასაკმაო პატიოსნებას, რადგან მე, ვცხოვრობ რა საზღვარგარეთ, რევოლუციური მოწოდებებით მივმართავ ხოლმე მასებს რუსეთში. მეფის პროკურორთა მხრივ ეს «ნართაულები» ვერავის გააკვირვებს. მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ლედებურის მხრივ მე სხვა არგუმენტებს მოველოდი. ლედებურს, ალბათ, დაავიწყდა, რომ მარქსი და ენგელსი, როცა ისინი 1847 წელს თავიანთ განთქმულ «კომუნისტურ მანიფესტს» წერდნენ, ასევე მიმართავდნენ საზღვარგარეთიდან რევოლუციური მოწოდებებით გერმანელ მუშებს! რევოლუციური ბრძოლა ხშირად შეუძლებელია ხოლმე რევოლუციონერთა ემიგრაციის გარეშე. საფრანგეთს არა ერთხელ უცდია ეს. და მოქალაქე სუვარინი უკეთესს იზამდა, თუ ლედებურისა და... მეფის პროკურორთა ცუდ მაგალითს არ მიბაძავდა.

სუვარინი აგრეთვე ამბობს, რომ ტროცკის, «რომელსაც ჩვენ (საფრანგეთის უმცირესობა) ინტერნაციონალის უკიდურესი მემარცხენე ფრთის ერთ-ერთ ყველაზე უკიდურეს ელემენტად ვთვლით, მოურიდებლად გმობს ლენინი, როგორც შოვინისტს. უნდა ვაღიაროთ, რომ აქ ერთგვარი გაზვიადებაა».

დიახ, რა თქმა უნდა, «აქ ერთგვარი გაზვიადებაა», მაგრამ არა ჩემი მხრივ, არამედ სუვარინის მხრივ. რადგან მე არასოდეს არ დამიგმია ტროცკის პოზიცია, როგორც შოვინისტური. რასაც მე მას ვუსაყვედურებდი — ეს არის ის, რომ იგი ძალიან ხშირად წარმოადგენდა რუსეთში «ცენტრის» პოლიტიკას. აი ფაქტები. 1912 წლის იანვრიდან გათიშვა რსდმ პარტიაში ფორმალურად არსებობს[87]. ჩვენი პარტია (რომელიც შემოკრებილია ცენტრა-

ლური კომიტეტის გარშემო) ბრალად სდებს ოპორტუნიზმს მეორე ჯგუფს, ორგანიზაციულ კომიტეტს, რომლის ყველაზე ცნობილი ბელადებია მარტოვი და აქსელროდი. ტროცკი მარტოვის პარტიას ეკუთვნოდა და ის მხოლოდ 1914 წელს დატოვა. ამ დროს ომი დაიწყო. სათათბიროს ჩვენი მიმართულების ფრაქცია, რომელიც ხუთი წევრისაგან შედგებოდა (მურანოვი, პეტროვსკი, შაგოვი, ბადაევი, სამოილოვი), ციმბირს გადაასახლეს. პეტერბურგში ჩვენი მუშები ხმას აძლევენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის წინააღმდეგ (ყველაზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხია ჩვენთვის; რუსეთისათვის ის იმდენადვე მნიშვნელოვანია, როგორც მთავრობაში მონაწილეობის საკითხი საფრანგეთში). მეორე მხრივ, ორგანიზაციული კომიტეტის ყველაზე ცნობილი და ყველაზე გავლენიანი ლიტერატორები — პოტრესოვი, ზასულიჩი, ლევიცკი და სხვები — აზრს გამოთქვამენ «სამშობლოს დაცვისა» და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის სასარგებლოდ. მარტოვი და აქსელროდი პროტესტს აცხადებენ და აზრს გამოთქვამენ ამ კომიტეტებში მონაწილეობის წინააღმდეგ, მაგრამ არ წყვეტენ კავშირს თავიანთ პარტიასთან, რომლის ერთი ფრაქცია, შოვინისტური რომ გახდა, თანხმდება მონაწილეობაზე. ამიტომ ვუსაყვედურებდით კიდეც ჩვენ მარტოვს კინტალში იმას, რომ მას უნდოდა ყოფილიყო მთელი ორგანიზაციული კომიტეტის წარმომადგენელი, მაშინ როდესაც სინამდვილეში იგი შეიძლება ამ მიმართულების მხოლოდ ერთი ფრაქციის წარმომადგენელი იყოს. ამ პარტიის წარმომადგენლობა სათათბიროში (ჩხეიძე, სკობელევი და სხვ.) გაიყო. ამ დეპუტატთა ნაწილი «სამშობლოს დაცვას» ემხრობა, მეორე ნაწილი — წინააღმდეგია. ისინი ყველანი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის მომხრენი არიან, და ისინი ხმარობენ «სამშობლოს ხსნის» აუცილებლობის ორაზროვან ფორმულას, რაც, არსებითად, წარმოადგენს ზიუდეკუმისა და რენოდელის «სამშობლოს დაცვის» მხოლოდ სხვა სიტყვე-

ბით გამოთქმულ ლოზუნგს. მეტიც, ისინი არავითარ პროტესტს არ აცხადებენ პოტრესოვის პოზიციის წინააღმდეგ (ნამდვილად ის პლეხანოვის პოზიციის ანალოგიურია; მარტოვმა საჯარო პროტესტი განაცხადა პოტრესოვის წინააღმდეგ და უარი თქვა მის ჟურნალში თანამშრომლობაზე, რადგან პოტრესოვმა პლეხანოვი მიიწვია ამ ჟურნალის თანამშრომლად).

ხოლო ტროცკი? გაწყვიტა რა კავშირი მარტოვის პარტიასთან, იგი კვლავ გვისაყვედურებს, რომ ჩვენ გამთიშველნი ვართ. იგი ცოტ-ცოტა მარცხნივ მიიწევს და რუსეთის სოციალ-შოვინისტთა ბელადებთან კავშირის გაწყვეტის წინადადებასაც კი იძლევა, მაგრამ იგი საბოლოოდ არ გვეუბნება, ერთიანობა სურს თუ განხეთქილება ჩხეიძის ფრაქციის მიმართ. ეს კი სწორედ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მართლაცდა, თუ ხვალ ზავი ჩამოვარდა, ზეგ ჩვენში მოხდება სათათბიროს ახალი არჩევნები. და ჩვენ წინაშე მყისვე დგება საკითხი, ჩხეიძესთან ერთად მივდივართ ჩვენ, თუ მის წინააღმდეგ. ჩვენ ამ კავშირის წინააღმდეგი ვართ. მარტოვი — მომხრეა. ხოლო ტროცკი? არ ვიცით. პარიზში გამომავალი რუსული გაზეთის «ნაშე სლოვოს» 500 ნომერში, რომლის ერთ-ერთი რედაქტორიც ტროცკია, გადამწყვეტი სიტყვა არ თქმულა. აი რატომ არ ვეთანხმებით ჩვენ ტროცკის.

მაგრამ მარტო ჩვენ როდი შეგვეხება საქმე. ციმერვალდში ტროცკის არ უნდოდა შეერთებოდა «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს». ტროცკი და ამხ. გ. როლანდ-ჰოლსტი წარმოადგენდნენ «ცენტრს». ხოლო აი რას წერს ახლა ამხ. როლანდ-ჰოლსტი ჰოლანდიის სოციალისტურ გაზეთ «ტრიბუნაში» [18] (№ 159, 1916 წ. 23 აგვისტო): «იმათ, ვისაც, ტროცკისა და მისი ჯგუფის მსგავსად, სურს რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, უნდა გადალახონ იმ ემიგრანტულ უთანხმოებათა შედეგები, რომლებიც მეტწილად საკმაოდ პირადულ ხასიათს ატარებენ და უკიდურეს მემარცხენე ფრთას თიშავენ, და ისინი უნდა შეუერთ-

დნენ ლენინელებს. «რევოლუციური ცენტრი» — შეუძლებელია».

ბოდიშს ვიხდი იმის გამო, რომ ესოდენ ბევრი ვილაპარაკე ჩვენს ურთიერთობაზე ტროცკისთან და მარტოვთან, მაგრამ საფრანგეთის სოციალისტური პრესა ამაზე საკმაოდ ხშირად ლაპარაკობს, და ინფორმაცია, რომელსაც ის მკითხველებს აწვდის, ხშირად მეტად არაზუსტია. საჭიროა, რომ ფრანგი ამხანაგები უკეთ იცნობდნენ იმ ფაქტებს, რომლებიც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. დეკემბრის
(ძვ. სტ.) მეორე ნახევარში

პირველად შემოკლებებით დაიბეჭდა
1918 წ. 27 იანვარს გაზეთში
«La Vérité» № 48

 იბეჭდება გაზეთის
კორექტურული ანაბეჭდის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

პირველად მთლიანად დაიბეჭდა
რუსულ ენაზე 1929 წ. ჟურნალ
«პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 7 (90)

შავად მოწასახი პროექტი ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიისადმი და ყველა სოციალისტური პარტიისადმი მიმართვის თეზისებისა[89]

1. მსოფლიო პოლიტიკის მობრუნებას იმპერიალისტური ომიდან მთელ რიგ ბურჟუაზიულ მთავრობათა აშკარა გამოსვლისაკენ იმპერიალისტური ზავის სასარგებლოდ ახლა ემთხვევა მობრუნება მსოფლიო სოციალიზმის განვითარებაში.

2. პირველი მობრუნება იწვევს პაციფისტური, კეთილი და სანტიმენტალური ფრაზების, აღთქმების, დაპირებების მოზღვავებას, რომლებითაც იმპერიალისტური ბურჟუაზია და იმპერიალისტური მთავრობები ცდილობენ გააბრიყვონ ხალხები და «მშვიდობიანად» გადაიყვანონ ისინი მძარცველური ომისათვის გაწეული ხარჯების მორჩილად გადახდის მდგომარეობაზე, მშვიდობიანად განაიარაღონ პროლეტართა მილიონები, მცირეოდენი ნახევრული დათმობებით დაფარონ ის გარიგებანი, რომლებიც მზადდება კოლონიების გაყოფისა და სუსტი ერების ფინანსური (თუ შემთხვევა იქნა, აგრეთვე პოლიტიკური) დახრჩობის შესახებ, — გარიგებანი, რომელნიც შეადგენენ მომავალი იმპერიალისტური ზავის შინაარსს და წარმოადგენენ ორივე მეომარი იმპერიალისტური კოალიციის ყველა სახელმწიფოს შორის ამჟამად არსებულ, განსაკუთრებით ომის დროს დადებულ, საიდუმლო მძარცველურ ხელშეკრულებათა პირდაპირ განგრძობას.

3 *. მეორე მობრუნება მდგომარეობს სოციალიზმის მოღალატე და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ანუ იმპერია-

* შეუერთდეს მე-4 პარაგრაფს.

ლიზმის მხარეზე გადასული სოციალ-შოვინისტების, როგორც მიმდინარეობის, «შერიგებაში» ციმერვალდელთა მემარჯვენე ფრთასთან, რომელსაც წარმოადგენენ კაუცკი და კომპანია გერმანიაში, ტურატი და კომპანია იტალიაში, ლონგე-პრესმან-**Merrheim**-ი * საფრანგეთში და სხვ.. ერთიანდება რა ლიტონი, არაფრისმთქმელი, არაფრის დამავალდებულებელი, პაციფისტური ფრაზების ნიადაგზე. რომლებიც სინამდვილეში ფარავენ იმპერიალისტურ პოლიტიკას და იმპერიალისტურ ზავს, ალამაზებენ მათ, ნაცვლად იმისა, რომ ამხილონ ისინი, ეს ორი მიმდინარეობა გადამწყვეტ ნაბიჯს დგამს მუშათა უდიდესი მოტყუებისაკენ, მუშათა მოძრაობაში სოციალისტური ფრაზებით დაფარული ბურჟუაზიული მუშათა პოლიტიკის ბატონობის განმტკიცებისაკენ, იმ ბელადებისა და მუშათა კლასის იმ პრივილეგიური ფენების პოლიტიკის ბატონობის განმტკიცებისაკენ, რომლებიც ეხმარებოდნენ მთავრობებსა და ბურჟუაზიას მძარცველური იმპერიალისტური ომის წარმოებაში იმით, რომ ამას უწოდებდნენ «სამშობლოს დაცვას».

4. სოციალ-პაციფისტური პოლიტიკა ანუ სოციალ-პაციფისტური ფრაზის პოლიტიკა, რომელიც ახლა გაბატონდა ევროპის მთავარი ქვეყნების სოციალისტურ პარტიებში (იხ. კაუცკის გამოსვლა ხუთი პაციფისტური სტატიით გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში და სოციალ-იმპერიალიზმის ბელადების იმავდროინდელი განცხადება **Chemnitzer «Volksstimme»**-ში ** იმის შესახებ, რომ ისინი სავსებით მზად არიან მშვიდობისა და ერთიანობისათვის კაუცკელებთან პაციფისტური ფრაზების ბაზაზე; გერმანიის კაუცკური ოპოზიციის 1917 წლის 7 იანვრის პაციფისტური მანიფესტი; ლონგეტისტების, რენოდელისა და კომპანიის ერთობლივი ხმის მიცემა სოციალისტური პარტიის ყრილობაზე საფრანგეთში; ჟუოსა და მერჰეიმის, აგრეთვე ბრუტშუს ხმის მიცემა

* მერჰეიმი. რ ე დ.

** — ხემნიცის «სახალხო ხმა». რ ე ო.

Confédération Générale du Travail-ის * ყრილობაზე ინ
რეზოლუციების სასარგებლოდ, რომლებიც შედგენილია
ხალხის მომტყუებელი პაციფისტური ფრაზებისაგან; ტურა-
ტის ამგვარივე პაციფისტური გამოსვლა 1916 წლის
17 დეკემბერს და მისი პოზიციის დაცვა იტალიის მთელი
სოციალისტური პარტიის მიერ), — ეს პოლიტიკა ორივე
იმპერიალისტური კოალიციის ახლანდელ, ე. ი. ბურჟუა-
ზიულ მთავრობათა შორის ზავის მიმდინარე მომზადების
ყველა შესაძლებელ პირობებში მოასწავებს სოცია-
ლისტური და სინდიკალისტური (ჟუო და მერჰეიმი)
ორგანიზაციების გადაქცევას მთავრობათა ინტრიგებისა და საი-
დუმლო იმპერიალისტური დიპლომატიის იარაღად.

5. შესაძლებელი პირობები ზავისა, რომელსაც ახლა
ამზადებენ ორივე იმპერიალისტური კოალიციის ბურჟუაზიუ-
ლი მთავრობანი, ნამდვილად განისაზღვრება იმ ცვლილე-
ბებით ძალის თანაფარდობაში, რომლებიც მოახდინა
და შეიძლება მოახდინოს ომმა. ეს ცვლილებები ძირითადად
და უმთავრესად შემდეგია: (ა) გერმანიის იმპერიალისტური
კოალიცია დღემდე თავის მოქიშპეზე გაცილებით უფრო
ძლიერი აღმოჩნდა, და ის მხარეები, რომლებიც გერმანულმა
და მისმა მოკავშირე ჯარებმა დაიკავეს, მათ ხელში წარ-
მოადგენს საწინდარს მსოფლიოს (კოლონიების, სუს-
ტი ქვეყნების, ფინანსური კაპიტალის გავლენის სფეროებისა
და სხვ.) ახალი იმპერიალისტური განაწილების დროს, რაც
მხოლოდ ფორმალურად იქნება განმტკიცებული ზავით; (ბ) ინ-
გლისის იმპერიალისტურ კოალიციას იმედი აქვს თავისი სამ-
ხედრო მდგომარეობა გააუმჯობესოს გაზაფხულზე; მაგრამ
(გ) ომით გამოწვეული გამოფიტვა და, რაც მთავარია,
ფინანსური ოლიგარქიისათვის შექმნილი სიძნელე, რომელიც
მას ხელს უშლის გაძარცვოს ხალხები კიდევ უფრო
მეტად, ვიდრე ეს ჩადენილ იქნა გაუგონარ «სამხედრო
მოგებათა» საშუალებით, იწვევს, პროლეტარული რევოლუ-

* — შრომის საყოველთაო კონფედერაციის. რედ.

ციის შიშთან დაკავშირებით, ზოგიერთი ბურჟუაზიული წრეების მისწრაფებას რაც შეიძლება ჩქარა დაამთავრონ ომი გარიგებით იმპერიალისტურ ავაზაკთა ორივე ჯგუფს შორის; (დ) მსოფლიო პოლიტიკაში ჩანს მობრუნება გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ ინგლის-რუსეთის კოალიციიდან ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ გერმანია-რუსეთის (ამდენადვე იმპერიალისტური ხასიათის) კოალიციისაკენ; ეს კოალიცია იმას ემყარება, რომ ცარიზმს არ ძალუძს დაიპყროს კონსტანტინოპოლი, რომელიც მას აღუთქვეს საიდუმლო ხელშეკრულებებით საფრანგეთთან, ინგლისთან, იტალიასთან და სხვ., და იგი ესწრაფვის თავისი დანაკარგები აინაზღაუროს გალიციის, სომხეთის და, შესაძლოა, რუმინეთისა და სხვათა განაწილებით, აგრეთვე გერმანიასთან კავშირით აზიის ძარცვისათვის ინგლისის წინააღმდეგ; (ე) მეორე დიდი მობრუნება მსოფლიო პოლიტიკაში ის არის, რომ ევროპის ხარჯზე გიგანტურად გამდიდრდა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური კაპიტალი, რომელმაც სულ ბოლო ხანებში თავისი შეიარაღება გაადიდა (ისე როგორც იაპონიის იმპერიალიზმმა, რომელიც, თუმცა, გაცილებით უფრო სუსტია) გაუგონარი ოდენობით და რომელიც ძალიან მოხარულია ჩამოაშოროს ამ შეიარაღებას «თავისი» მუშების ყურადღება იაფფასიანი პაციფისტური ფრაზებით... ევროპის შესახებ!

6. ბურჟუაზია, პროლეტარული რევოლუციის შიშით, იძულებულია ყოველნაირად ცდილობდეს დამალოს და შეალამაზოს ეს ობიექტური პოლიტიკური სიტუაცია, ეს იმპერიალისტური სინამდვილე, ჩამოაშოროს მას მუშათა ყურადღება, გააბრიყვოს ისინი, და ამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს არაფრის დამავალდებულებელი, თვალთმაქცური, მთლად გაცრუპენტელავებული დიპლომატიისათვის ჩვეულებრივი, ფრაზები «დემოკრატიულ» ზავზე, მცირე ხალხთა თავისუფლებაზე «საზოგადოდ», «შეიარაღების შეზღუდვაზე» და სხვ.. ხალხთა ამნაირად გაბრიყვებას იმპერიალისტური ბურჟუაზია მით უფრო ადვილად ახერხებს,

რომ, როცა ლაპარაკობს, მაგალითად, «უანექსიო ზავზე», ყ ო ვ ე ლ ი ბურჟუაზია გულისხმობს თავისი მ ო ქ ი შ პ ი ს ანექსიებს და «მოკრძალებით დუმს» იმ ანექსიებზე, რომლებიც უ კ ვ ე მოახდინა თ ვ ი თ ო ნ მ ა ნ. გერმანელებს «ავიწყდებათ», რომ ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მათს ანექსიას წარმოადგენს არა მარტო კონსტანტინოპოლი, ბელგრადი, ბუქარესტი, ბრიუსელი, არამედ აგრეთვე ელზას-ლორენი, შლეზვიგის ნაწილი, პრუსიის პოლონეთი და სხვ.. ცარიზმსა და მის ლაქიებს, რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუებს (პლეხანოვსა და პოტრესოვს კომპანიითურთ მათ შორის, ე. ი. ორგანიზაციული კომიტეტის პარტიის უმრავლესობას რუსეთში) «ავიწყდებათ», რომ რუსეთის ანექსიას წარმოადგენს არა მარტო არზრუმი და გალიციის ნაწილი, არამედ აგრეთვე ფინეთი, უკრაინა და სხვ.. ფრანგ ბურჟუებს «ავიწყდებათ», რომ მათ ინგლისელებთან ერთად გაძარცვეს გერმანიის კოლონიები. იტალიელ ბურჟუებს «ავიწყდებათ», რომ ისინი დაუსრულებლივ ძარცვავენ ტრიპოლს, დალმაციას, ალბანეთს და სხვ.

7. საქმის ასეთი ობიექტური ვითარების დროს ყოველგვარი გულწრფელი სოციალისტური, ყოველგვარი პატიოსანი პროლეტარული პოლიტიკის (რომ აღარაფერი ვთქვათ შეგნებულად — მარქსისტული პოლიტიკის შესახებ) აშკარა და უდავო ამოცანას პირველ რიგში და უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს **თავისი** მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა და **თავისი** ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს პ ა ც ი ფ ი ს ტ უ რ ი დ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ო ბ ი ს თანამიმდევრული, სისტემატური, გაბედული და უყოყმანო მ ხ ი ლ ე ბ ა. უამისოდ ყოველგვარი ფრაზები სოციალიზმზე, სინდიკალიზმზე, ინტერნაციონალიზმზე — მხოლოდ ხალხის სულ ერთიანად მოტყუებაა, რადგან თავიანთ იმპერიალისტურ მოქიშპეთა (სულერთია, აშკარად ასახელებენ ამ უკანასკნელთ, თუ მხოლოდ უსიტყვოდ გულისხმობენ, «საზოგადოდ» ანექსიების საწინააღმდეგო ფრაზებით და საკუთარი აზრების დაფარვის სხვა «დიპლომატიური» ხერხებით) ანექსიების მხილება პირ-

დაპირი ინტერესი და პირდაპირი გეშეფტია ყველა სინდისგარეცხილი ჟურნალისტისა, ყველა იმპერიალისტისა, მათ შორის იმათიც, რომლებიც სოციალისტების სამოსით მორთულ-მოკაზმულან, როგორიც არიან შეიდემანი და კომპანია, სამბა და კომპანია, პლეხანოვი და კომპანია და სხვ.

8. ეს თავიანთი პირდაპირი მოვალეობა სრულიად ვერ გაიგეს ტურატიმ და კომპანიამ, კაუცკიმ და კომპანიამ, ლონგემ, მერჰეიმმა და კომპანიამ, რომლებიც წარმოადგენენ მთელ მიმდინარეობას საერთაშორისო სოციალიზმში და რომლებიც ნამდვილად, ობიექტურად — როგორიც უნდა იყოს მათი ფრიად სათნოიანი ზრახვები — მხოლოდ ეხმარებიან თვითეული «თავის» იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ხალხთა გაბრიყვებაში, მისი იმპერიალისტური მიზნების შელამაზებაში. ეს სოციალ-პაციფისტები, ე. ი. სოციალისტები სიტყვით, ბურჟუაზიულ-პაციფისტური თვალთმაქცობის გამტარებელნი საქმით, ამჟამად სავსებით ისეთსავე როლს ასრულებენ, როგორსაც საუკუნეთა განმავლობაში ასრულებდნენ ქრისტიანი ხუცები, რომელნიც ფრაზებით მოყვასის სიყვარულისა და ქრისტეს მცნებათა შესახებ ალამაზებდნენ მჩაგვრელი კლასების, მონათმფლობელების, ფეოდალების, კაპიტალისტების პოლიტიკას და ცდილობდნენ ჩაგრული კლასების შერიგებას მათს ბატონობასთან.

9. პოლიტიკა, რომელიც კი არ ატყუებს მუშებს, არამედ თვალს უხელს მათ, შემდეგში უნდა მდგომარეობდეს:

(ა) თვითეული ქვეყნის სოციალისტი სწორედ ახლა, როცა დღის წესრიგში დადგა ზავის საკითხი, უფრო ენერგიულად, ვიდრე საზოგადოდ, უსათუოდ უნდა ამხილებდეს თავის მთავრობასა და თავის ბურჟუაზიას, ამხილებდეს საიდუმლო ხელშეკრულებებს, რომლებიც მათ დაუდვიათ ან ამჟამად დებენ თავიანთ იმპერიალისტურ მოკავშირეებთან კოლონიების განაწილების შესახებ, გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ, სხვა ქვეყნებში ერთობლივ ფინანსურ

წამოწყებათა შესახებ, აქციების შესყიდვის, მონოპოლიების, კონცესიებისა და სხვ. შესახებ.

რადგან ამაში და მ ხ ო ლ ო დ ამაში მდგომარეობს მომზადების პროცესში მყოფი იმპერიალისტური ზავის რეალური, ნამდვილი, არა ყალბი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი, დედაარსი, ყოველივე დანარჩენი — ხალხის მოტყუებაა. ის კი არ ემხრობა დემოკრატიულ ზავს, უანექსიოდ და სხვ., ვინც ამ სიტყვებს იმეორებს და ღმერთსა და ხატს ფიცულობს, არამედ ის, ვინც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ააშკარავებს ს წ ო რ ე დ თ ა ვ ი ს ბურჟუაზიას, რომელიც თავისი ს ა ქ მ ე ე ბ ი თ ანგრევს ჭეშმარიტი სოციალიზმისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის ამ დიად პრინციპებს.

რადგან ყოველ პარლამენტარს, რედაქტორს, მუშათა კავშირის მდივანს, ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს შ ე უ ძ ლ ი ა შეკრიბოს მასალა, რომელსაც მთავრობა და ფინანსისტები მალავენ და რომელიც შეიცავს ს ი მ ა რ თ ლ ე ს იმპერიალისტურ გარიგებათა რეალური საფუძვლების შესახებ, და სოციალისტების მიერ ამ მოვალეობის შ ე უ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ა სოციალიზმის ღ ა ლ ა ტ ი ა მათი მხრით. ეჭვი არ არის, რომ ა რ ც ე რ თ ი მთავრობა ნებას არ მისცემს თავისუფლად ბეჭდონ მისი ნამდვილი პოლიტიკის, მისი ხელშეკრულებების, ფინანსურ გარიგებათა მამხილებელი მასალები სწორედ ამჟამად და სხვ.. ეს არ არის მხილებაზე უარისთქმის საბუთი. ეს იმის საბუთია, რომ აუცილებლად საჭიროა ცენზურისადმი მონუ-რი მორჩილებიდან გადავიდეთ თავისუფალ, ე. ი. უცენ-ზურო, ე. ი. არალეგალურ გამომცემლობაზე.

რადგან ს ხ ვ ა ქვეყნის სოციალისტს არ შეუძლია ამ-ხილოს «თავის» ერთან მეომარი სახელმწიფოს მთავრობა და ბურჟუაზია, არა მარტო ხალხის ენის, ისტორიის, თავისებურებათა და სხვ. უცოდინარობის გამო, არამედ იმის გამოც, რომ ა მ გ ვ ა რ ი მ ხ ი ლ ე ბ ა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ინტრიგაა და არა ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი მოვალეობა.

ინტერნაციონალისტი ის კი არ არის, ვინც ღმერთსა და ხატს ფიცულობს, რომ იგი ინტერნაციონალისტია, არამედ მხოლოდ ის, ვინც ნამდვილად ინტერნაციონალისტურად ებრძვის თავის ბურჟუაზიას, თავის სოციალ-შოვინისტებს, თავის კაუცკელებს.

(ბ) თვითეული ქვეყნის სოციალისტი ახლა თავის აგიტაციაში ყველაზე მეტად ხაზს უნდა უსვამდეს იმას, რომ აუცილებელია სრული უნდობლობა გამოვიჩინოთ არა მარტო საკუთარი მთავრობის თვითეული პოლიტიკური ფრაზისადმი, არამედ საკუთარ სოციალ-შოვინისტთა თვითეული პოლიტიკური ფრაზისადმიც, რომელნიც საქმით ემსახურებიან ამ მთავრობას.

(გ) თვითეული ქვეყნის სოციალისტი ყველაზე მეტად უნდა განუმარტავდეს მასებს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ ნამდვილად მტკიცე, ნამდვილად დემოკრატიული (უანექსიო და ა. შ.) ზავი ახლა შეიძლება შეიკრას მხოლოდ იმ პირობით, თუ მას შეკრავენ არა ახლანდელი და საზოგადოდ არა ბურჟუაზიული მთავრობანი, არამედ პროლეტარული მთავრობანი, რომელთაც დაუმხვიათ ბურჟუაზიის ბატონობა და დაუწყიათ მისი ექსპროპრიაცია.

ომმა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ და თანაც პრაქტიკულად ცხადყო ის ჭეშმარიტება, რომელსაც ომამდე იმეორებდნენ სოციალიზმის ყველა ბელადები, ახლა ბურჟუაზიის მხარეზე გადასულნი, სახელდობრ, რომ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში მოწინავე ქვეყნებში, სავსებით მომწიფდა სოციალიზმზე გადასასვლელად. თუ მძარცველური ომისათვის ხალხის ძალთა დასაძაბავად, მაგალითად, გერმანიას მოუხდა 66-მილიონიანი ხალხის მთელი სამეურნეო ცხოვრება წარემართა ერთიცენტრალური დაწესებულებიდან ერთი-ორი ასეული ფინანსური მაგნატის ან თავადაზნაურის, მონარქიისა და კომპანიის ინტერესთა სასარგებლოდ, ეს საქმე მოსახლეობის ცხრა მეათედის ინტერესთა სასარგებლოდ

სავსებით შეიძლება განახორციელონ უქონელთა მასებმა, თუ მათს ბრძოლას უხელმძღვანელებენ შეგნებული მუშები, რომელნიც განთავისუფლდებიან სოციალ-იმპერიალისტებისა და სოციალ-პაციფისტების გავლენისაგან.

მთელი აგიტაცია სოციალიზმის სასარგებლოდ აბსტრაქტულიდან და ზოგადიდან უნდა გარდაიქმნას კონკრეტულ და უშუალოდ პრაქტიკულ აგიტაციად: გააკეთეთ, ბანკების ექსპროპრიაციით, მასაზე დაყრდნობითა და მისი ინტერესებისათვის, ს წ ო რ ე დ ი ს, რასაც **WUMBA** * აკეთებს გერმანიაში!

(დ) თვითეული ქვეყნის სოციალისტი უნდა განუმარტავდეს მასებს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ თუ სიტყვებს «დემოკრატიული ზავის» შესახებ მოვეკიდებით სერიოზულად, გულწრფელად და პატიოსნად, და არ ვიხმართ მათ როგორც ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ყალბ ფრაზას, რომელიც ფარავს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ზ ა ვ ს, მაშინ მუშები მ ხ ო ლ ო დ ერთი საშუალებით შეძლებდნენ ნამდვილად ა ხ ლ ა ვ ე მართლაც განეხორციელებინათ ასეთი ზავი, სახელდობრ: თ უ კ ი შ ე ა ბ რ უ ნ ე ბ დ ნ ე ნ ი ა რ ა ღ ს თ ა ვ ი ს ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ (ე. ი. თუ შეასრულებდნენ კარლ ლიბკნეხტის რჩევას, რომელსაც ამისთვის კატორღა მიუსაჯეს და რომელმაც სხვა სიტყვებით თქვა ის, რასაც ჩვენმა პარტიამ თავის 1914 წლის 1 ნოემბრის მანიფესტში ** უწოდა იმპერიალისტური ომის გადაქცევა პროლეტარიატის სამოქალაქო ომად ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის).

როცა 1912 წლის 24 ნოემბრის ბაზელის მანიფესტი, — რომელსაც ხელი მოაწერა ყ ვ ე ლ ა სოციალისტურმა პარტიამ და რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ს წ ო რ ე დ ი ს ო მ ი, კიდევაც რომ ატყდა, — ემუქრებოდა მთავრო-

---

* — **Waffen und Munitionbeschaffungsamt** — იარაღითა და საომარი მასალით მომარაგების უწყება. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 13 — 24. რ ე დ.

ბებს «პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი თ» სწორედ მომავალ ომთან დაკავშირებით, როცა ის მიუთითებდა პარიზის კომუნაზე, ის ამბობდა სიმართლეს, რომელსაც ახლა ლაჩრულად უარყოფენ სოციალიზმის მოღალატენი. რადგან, თუ კი პარიზის მუშებს 1871 წელს შეეძლოთ ჩინებული იარაღი, რომელიც მათ ნაპოლეონ მესამემ მისცა თავისი ცეზარისტული მიზნებით, გამოეყენებინათ იმისათვის, რომ მოეხდინათ ცდა, გმირული და მთელი მსოფლიოს სოციალისტებისაგან დიდად დაფასებული ცდა ბურჟუაზიის დამხობისა და ძალაუფლების დაპყრობისა სოციალიზმის განსახორციელებლად, — მაშინ ათასგზის უფრო განსახორციელებელი, შესაძლებელი და წარმატების იმედის მომცემი იქნებოდა ამგვარი ცდა ახლა, როდესაც რამდენიმე ქვეყნის უფრო ორგანიზებულ, უფრო შეგნებულ მუშათა ბევრად მეტ რაოდენობას ხელთა აქვს ბევრად უკეთესი იარაღი და როდესაც მასებს დღითი დღე ათვითცნობიერებს და არევოლუციურებს ომის მსვლელობა. და ამნაირი სულისკვეთებით სისტემატური პროპაგანდისა და აგიტაციის დაწყებისათვის ახლა ყველა ქვეყანაში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს სრულიადაც არა «მასების დაღლილობა», რაზედაც ყალბად მიუთითებენ შეიდემანები პლუს კაუცკები და სხვ., — «მასები» ჯერ არ დაღლილან სროლით და კიდევ გაისვრიან გაზაფხულზე დიდი მასშტაბით, თუ მათი კლასობრივი მტრები ვერ შეთანხმდნენ თურქეთის, რუმინეთის, სომხეთის, აფრიკისა და სხვ. გაყოფის შესახებ, — მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს შეგნებულ მუშათა ერთი ნაწილის ნ დ ო ბ ა სოციალ-იმპერიალისტებისა და სოციალ-პაციფისტებისადმი, და დღევანდელი დღის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ამ მიმდინარეობათა, ი დ ე ა თ ა, პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ამ სახეთა მიმართ ნდობის მოსპობა.

თუ რამდენად შესაძლებელია განხორციელდეს უაღრესად ფართო მასების გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს თვალსაზრისით ასეთი ცდა, ეს შეიძლება ცხადყოს ამგვარი აგიტაციისა და პროპაგანდის მხოლოდ უაღრესად გადამწყვეტმა, საყოველადგილო, უაღრესად ენერგიულმა დაწყებამ, მასების

მზარდი გაბოროტების ყველა რევოლუციური გამოვლინების, იმ გაფიცვებისა და დემონსტრაციების უაღრესად გულწრფელმა და თავდადებულმა მხარდაჭერამ, რომლებიც აიძულებენ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს რუსეთში პირდაპირ აღიარონ, რომ რევოლუცია მოდის, და რომლებმაც აიძულეს გელფერიხი რეიხსტაგში ეთქვა: «სჯობს საპატიმროში ვიყოლიოთ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, ვიდრე ვხედავდეთ გვამებს პოტსდამის მოედანზეო», ე. ი. ელიარებინა, რომ მემარცხენეთა აგიტაციას ნიადაგი ა ქ ვ ს მასებში.

ყ ო ვ ე ლ შემთხვევაში, ალტერნატივა, რომელსაც სოციალისტები ნათლად უნდა აყენებდნენ მასების წინაშე, ასეთია: ან ერთიმეორის ხოცვა-ჟლეტის განგრძობა კაპიტალისტთა მოგების გულისათვის, სიძვირის, შიმშილის, მილიარდიანი ვალების უღლის ატანა და დემოკრატიული და რეფორმისტული დაპირებებით დაფარული იმპერიალისტური დ რ ო ე ბ ი თ ი ზ ა ვ ი ს კომედიის მოთმენა, ანდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ აჯანყება.

რევოლუციური პარტია, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშე აშკარად ემუქრებოდა მთავრობებს «პროლეტარული რევოლუციით» იმ შემთხვევაში, თუ დაიწყებოდა სწორედ ი ს ე თ ი ომი, როგორიც ატყდა, ეს პარტია მორალურად იკლავს თავს, თუ მუშებსა და მასებს არ ურჩევს მთელი ფიქრები და მთელი ძალღონე წარმართონ აჯანყებისაკენ, როდესაც მასები ჩინებულად შეიარაღებულნი, სამხედრო ხელოვნებაში მშვენივრად გაწვრთნილნი და ილაჯგაწყვეტილნი არიან იმ იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის უაზრობისა და დანაშაულებრივი ხასიათის შეგნებით, რომელსაც ისინი დღემდე ეხმარებიან.

(ე) სოციალისტებმა თავიანთი მუშაობის ქვაკუთხედად უნდა გაიხადონ ბრძოლა რეფორმიზმთან, რომელიც ყოველთვის რყვნიდა რევოლუციურ მუშათა მოძრაობას ბურჟუაზიული იდეებით და რომელმაც ახლა რამდენადმე განსაკუთრებული ფორმა მიიღო. სახელდობრ: იგი «ეყრდნობა» რე-

ფორმებს, რომლებიც უნდა გაატაროს ბურჟუაზიამ ომის შემდეგ! იგი საკითხს ისე აყენებს, თითქოს, ჩვენ, როდესაც ვქადაგებთ, პროპაგანდას ვეწევით და ვამზადებთ პროლეტარიატის სოციალისტურ რევოლუციას, «მხედველობიდან ვუშვებდეთ» «პრაქტიკულ» საქმეებს, «ვკარგავდეთ» რეფორმების შანსებს.

ძირფესვიანად არამეცნიერული, ცრუ და ბურჟუაზიულად ყალბია საკითხის მთელი ეს დაყენება, რაც ჩვეულებრივი ამბავია სოციალ-შოვინისტებისთვისაც და კაუცკის მომხრეებისთვისაც, კაუცკისა, რომელსაც შეეძლო ქუჩის დემონსტრაციებისთვის «ავანტიურა» ეწოდებინა.

ომის დროს მსოფლიო კაპიტალიზმმა გადადგა ნაბიჯი წინ არა მარტო საზოგადოდ კონცენტრაციის დარგში, არამედ საერთოდ მონოპოლიებიდან ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ზ ე კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გადასვლის მხრივაც, ვიდრე წინათ. ეკონომიური რეფორმები ამ მიმართულებით გარდუვალია.

პოლიტიკის დარგში იმპერიალისტურმა ომმა ცხადყო, რომ სწორედ იმპერიალისტების თვალსაზრისით ხ ა ნ დ ა ხ ა ნ გაცილებით უფრო ხელსაყრელია მოკავშირედ გყავდეს პატარა, პოლიტიკურად დამოუკიდებელი, ფინანსურად დამოკიდებული ერი, ვიდრე ეწეოდე ირლანდიის ან ჩეხთა «ინციდენტების» (ე. ი. აჯანყებების ან მოწინააღმდეგის მხარეზე მთელი პოლკების გადასვლის) რისკს ომის დროს. ამიტომ საკვებით შესაძლებელია, რომ წვრილი ერების პირდაპირი დახრჩობის პოლიტიკასთან ერთად, რომელზედაც საკვებით ხელის აღებას იმპერიალიზმი ვერასოდეს ვერ შეძლებს, იგი ცალკეულ შემთხვევებში გაატარებს ახალ პატარა ნაციონალურ სახელმწიფოებთან ან პოლონეთის მაგვარ ნაბუშარ სახელმწიფოებთან «ნებაყოფლობითი» (ე. ი. მხოლოდ ფინანსური დახრჩობით გამოწვეული) კავშირის პოლიტიკას.

აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ სოციალ-დემოკრატებს, თუ ისინი თავის თავს არ უღალატებენ, შეუძ-

ლიათ «ხმა მისცენ» იმპერიალისტთა ამგვარ «რეფორმებს» ან შეუერთდნენ მათ.

მხოლოდ ბურჟუაზიული რეფორმისტები, რომელთა პოზიციაზეც ა რ ს ე ბ ი თ ა დ გადავიდნენ კაუცკი, ტურატი, მერჰეიმი, აყენებენ საკითხს ასე: ა ნ რევოლუციაზე უარის თქმა, და მაშინ რეფორმები, ა ნ დ ა არავითარი რეფორმებიო.

მსოფლიო ისტორიის მთელი გამოცდილება, ისე როგორც რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებაც, საწინააღმდეგოს გვასწავლის: ა ნ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლა, რომლის არაპირდაპირი პროდუქტი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს არის ხოლმე რეფორმები (რევოლუციის არასრული წარმატების შემთხვევაში), ა ნ დ ა არავითარი რეფორმები.

რადგან ე რ თ ა დ ე რ თ ნ ა მ დ ვ ი ლ ძალას, რაც იძულებით იწვევს ცვლილებებს, წარმოადგენს მხოლოდ მასების რევოლუციური ენერგია, ამასთან არა ისეთი ენერგია, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე რჩება, როგორც ეს II ინტერნაციონალს დაემართა, არამედ ისეთი, რომელსაც მივყავართ ყოველმხრივი რევოლუციური პროპაგანდისა, აგიტაციისა და მასების ორგანიზაციისაკენ თვით იმ პარტიების მიერ, რევოლუციას რომ მიუძღვიან და არა კუდში მისჩანჩალებენ მას.

მხოლოდ მაშინ, თუ აშკარად აღიარებს რევოლუციას, თუ მუშათა პარტიებს ჩამოაშორებს რევოლუციის ყველა მოწინააღმდეგეს ან იმათ, ვინც მას «სკეპტიკურად» დასაშვებად თვლის, მხოლოდ მაშინ, თუ პარტიების მ თ ე ლ მუშაობას რევოლუციურ ხასიათს მისცემს, სოციალ-დემოკრატიას მსოფლიო ისტორიის ისეთ «კ რ ი ზ ი ს უ ლ» ეპოქებში, როგორიც ახლაა, შეუძლია მტკიცედ აღუთქვას მასებს მათი საქმის ან სრული წარმატება, თუ რევოლუციას მხარს დაუჭერენ ძალიან ფართო მასები, ანდა რეფორმები, ე. ი. ბურჟუაზიის დათმობანი, თუ რევოლუცია სრულ წარმატებას ვერ მიაღწევს.

სხვანაირად, შეიდემანებისა და კაუცკების პოლიტიკის დროს, არავითარი გარანტია არ არის, რომ რეფორმებს ნულამდე არ დაიყვანენ ან ისეთ პოლიციურ-რეაქციულ შეზღუდვათა პირობებში არ განახორციელებენ, რომლებიც გამორიცხავენ პროლეტარიატისათვის იმის შესაძლებლობას, რომ შემდგომ დაეყრდნოს მათ თავის განმეორებითს ბრძოლაში რევოლუციის მოსახდენად.

(ვ) სოციალისტებმა სერიოზულად უნდა მიიღონ შესასრულებლად კარლ ლიბკნეხტის ლოზუნგი. ამ სახელისადმი მასების თანაგრძნობა რევოლუციური მუშაობის შესაძლებლობისა და საიმედობის ერთ-ერთი გარანტიაა. შეიდემანისა და კომპანიის, კაუცკისა და კომპანიის დამოკიდებულება ამ სახელისადმი ნიმუშია თვალთმაქცობისა, რომელიც სიტყვით «ყველა ქვეყნის ლიბკნეხტებს» მიესალმება, საქმით კი ლიბკნეხტის ტაქტიკას ებრძვის.

ლიბკნეხტმა კავშირი გაწყვიტა არა მარტო შეიდემანებთან (რენოდელებთან, პლეხანოვებთან, ბისოლატებთან), არამედ კაუცკის (ლონგეს, აქსელროდის, ტურატის) მიმდინარეობასთანაც.

ლიბკნეხტმა ჯერ კიდევ თავის 1914 წლის 2 ოქტომბრის წერილში Parteivorstand-ისადმი * განაცხადა:

«Ich habe erklärt, dass die deutsche Partei, nach meiner innersten Ueberzeugung, von der Haut bis zum Mark regeneriert werden muss, wenn sie das Recht nicht verwirken will, sich sozialdemokratisch zu nennen, wenn sie sich die jetzt gründlich verscherzte Achtung der Welt wiedererwerben will» («Klassenkampf gegen den Krieg! Material zum «Fall Liebknecht»». Seite 22). (Geheim gedruckt in Deutschland: «Als Manuskript gedruckt») **.

* — პარტიის გამგეობა. რედ.

** — «მე განვაცხადე, რომ გერმანიის პარტიას, ჩემი უღრმესი რწმენით, ესაჭიროება **რეგენერაცია** თავიდან ბოლომდე, თუ მას არ უნდა დაკარგოს უფლება ეწოდებოდეს სოციალ-დემოკრატიული პარტია, თუ

ლიბკნეხტის ეს ლოზუნგი ყველა პარტიამ უნდა მიიღოს, და, რა თქმა უნდა, სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ამ ლოზუნგის შესრულება შესაძლებელია პარტიიდან შეიდემანების, ლეგინების, რენოდელების, სამბების, პლეხანოვების, ვანდერველდესა და კომპანიის გაურიცხავად, ან კაუცკის, ტურატის, ლონგეს, მერჰეიმის მიმართულებისადმი დათმობათა პოლიტიკასთან კავშირის გაუწყვეტლად.

* * *

10. ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით მოწვეულ იქნეს ციმერვალდელთა კონფერენცია და ამ კონფერენციას ვუყენებთ შემდეგ წინადადებებს:

(1) გადაჭრით, უყოყმანოდ უარყოს, როგორც ბურჟუაზიული რეფორმიზმი (ზემოთ გადმოცემული თეზისების საფუძველზე), განსაზღვრული მიმართულების: ლონგე — მერპეიმის, კაუცკის, ტურატისა და სხვათა სოციალისტური პაციფიზმი, რომელიც პრინციპულად უკვე უარყოფილია კინტალში და უარყოფილ უნდა იქნეს იმ სახითაც, როგორადაც მას კონკრეტულად იცავენ მიმდინარეობათა დასახელებული წარმომადგენლები.

(2) ასევე გადაჭრით გამოაცხადოს სოციალ-შოვინიზმთან კავშირის გაწყვეტა ორგანიზაციული მხრივაც.

(3) მიუთითოს მუშათა კლასს მისი უშუალო და გადაუდებელი რევოლუციური ამოცანები სწორედ იმასთან დაკავშირებით, რომ ამოიწურა მასების მოთმინება, რაც ომმა და ბურჟუაზიის გულკეთილი პაციფისტური ფრაზების სიყალბემ გამოიწვიეს.

(4) აშკარად აღიაროს და დაგმოს კავშირის სრული გაწყვეტა ციმერვალდისა და კინტალის მთელ სულისკვეთებასა და ყველა გადაწყვეტილებასთან როგორც სწორედ პაციფიზ-

---

მას განზრახული აქვს აღადგინოს თავისი, ამჟამად საფუძვლიანად შელანძღული, პრესტიჟი მსოფლიოს თვალში» («კლასობრივი ბრძოლა ომის წინააღმდეგ! მასალები «ლიბკნეხტის საქმისათვის»». გვ. 22). (კონსპირაციულად დაიბეჭდა გერმანიაში: «დაბეჭდილია ხელნაწერის უფლებით»). რ ე დ.

მის გზაზე დამდგარი იტალიის სოციალისტური პარტიის პოლიტიკისა, ისე შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკისა; ამ უკანასკნელმა პარტიამ 1916 წლის 4 ნოემბერს ციურიხში ხმა მისცა არაპირდაპირი გადასახადების შემოღებას, 1917 წლის 7 იანვარს კი, სოციალ-პატრიოტებთან — გრეილიხთან, გ. მიულერთან და კომპანიასთან «ცენტრელ» რ. გრიმის კავშირის მეოხებით, გაატარა წინადადება გაურკვეველი დროით გადაიდოს სპეციალური პარტიული ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 1917 წლის 11 თებერვლისათვის სამხედრო საკითხის განსახილველად, და ახლა ის ხმის ამოუღებლად ითმენს იმავე სოციალ-პატრიოტული ბელადების პირდაპირ ულტიმატუმს, რომელნიც აშკარად იმუქრებიან მანდატებზე უარისთქმით, თუ პარტია უარყოფს სამშობლოს დაცვას.

II ინტერნაციონალის სავალალო გამოცდილებამ საკმაოდ ცხადყო იმ პრაქტიკის დიდი ზიანი, როდესაც «ზოგად», ზოგადი ფრაზებით ფორმულირებულ რევოლუციურ გადაწყვეტილებებს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ერთვის რეფორმისტული პრაქტიკა, — როდესაც ინტერნაციონალიზმის გამოცხადებას თან სდევს უარი იმაზე, რომ მართლაც ინტერნაციონალისტურად და ე რ თ ო ბ ლ ი ვ ა დ იქნეს განხილული თვითეული ცალკე პარტიის ტაქტიკის ძირითადი საკითხები, პარტიისა, რომელიც ინტერნაციონალური გაერთიანების ნაწილს შეადგენს.

ჩვენმა პარტიამ უკვე ციმერვალდის წინ და ციმერვალდის კონფერენციაზე თავის მოვალეობად ჩათვალა გაეცნო ამხანაგებისათვის, რომ ჩვენ მტკიცედ ვგმობთ პაციფიზმს, ზავის აბსტრაქტულ ქადაგებას, როგორც ბურჟუაზიულ სიცრუეს (ჩვენი პარტიის რეზოლუცია, რომელიც ციმერვალდში დაურიგდათ გერმანულ ენაზე ბროშურაში «სოციალიზმი და ომი» * და ფრანგულ ენაზე — ფურცელში რეზოლუციების თარგმანით). ც ი მ ე რ ვ ა ლ დ ი ს მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ჯ გ უ ფ ი,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 180 — 187. რ ე დ.

რომლის შექმნაში ჩვენ მონაწილეობას ვიღებდით, ცალკე ჩამოყალიბდა იმავე ციმერვალდში სწორედ იმისათვის, რათა დაენახვებინა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ციმერვალდის გაერთიანებას, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ის ებრძვის სოციალ-შოვინიზმს.

სწორედ ახლა საბოლოოდ გამოირკვა, ჩვენი ღრმა რწმენით, რომ ციმერვალდის უმრავლესობამ ანუ ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფმა ს ა ვ ს ე ბ ი თ პირი იბრუნა არა სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, არამედ თავისი პოზიციების დათმობისაკენ, მასთან შეერთებისაკენ ლიტონი პაციფისტური ფრაზების პლატფორმის ნიადაგზე. და ჩვენს მოვალეობად ვთვლით აშკარად განვაცხადოთ, რომ იმ ილუზიის ხელშეწყობა — ციმერვალდი ერთიანია და ის III ინტერნაციონალისათვის იბრძვისო, ასეთ პირობებში უდიდეს ზიანს აყენებს მუშათა მოძრაობას. არა «მუქარისა» და არა «ულტიმატუმის» სახით, არამედ ჩვენი გადაწყვეტილების აშკარად გამოქვეყნების სახით, ჩვენ ვაცხადებთ, რომ თუ ეს მდგომარეობა არ შეიცვალა, ჩვენ არ დავრჩებით ციმერვალდის გაერთიანების წევრებად.

დაწერილია 1916 წ. 25 დეკემბრამდე
(1917 წ. 7 იანვრამდე)
პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. ა. ძარპინსკის [90]

ძვირფასო ამხანაგებო!

გიგზავნით ფრიად მნიშვნელოვან ცნობას.

თქვენ თვითონ განიხილეთ და შემდეგ გადაეცით ბრილიანტსა და გილბოს: აი სად გადაწყდება საკითხი, თუ ვის ემხრობიან და ვინ არიან ისინი: ლაჩრები თუ ბრძოლის უნარის მქონენი.

მთელი ბრძოლა ახლა გადმოტანილ იქნება აქ.

მოიწერეთ, როგორ შეხვდნენ ისინი და არის თუ არა პროტესტის ან ღია წერილის გამოცემის შანსები.

უნდა გამოვიყენოთ ის გარემოება, რომ ნენი უდავო ავტორიტეტია ფრანგულ შვეიცარიაში.

საუკეთესო სალამი. თქვენი

კვირას, 7. I. 1917, ციურიხში შედგა შვეიცარიის სოციალისტური პარტიის გამგეობის (**Parteivorstand**) სხდომა.

მიღებულია სამარცხვინო გადაწყვეტილება — გადაიდოს გაურკვეველი დროით პარტიული ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 1917 წლის 11 თებერვლისათვის ბერნში სპეციალურად სამხედრო საკითხის განსახილველად. მოტივები: უნდა ვებრძოლოთ სიძვირეს; მუშები მზად არ არიან; კომისიაში ერთსულოვნება ვერ იქნა მიღწეულიო და სხვა, პარტიის პირდაპირ აბუჩად ამგდები მოტივები. (კომისიაში უკვე მომზადებული და კონფიდენციალურად დაბეჭდილია ორი პროექტი: აფოლტერის, ნობსის, შმიდის,

ნენის და გრაბერისა — სამშობლოს დაცვის წ ი ნ ა ა ღ-
ე ბ ე ბ; გ. მიულერის, პფლიუგერის, **H u b e r**-ის და **Klöti**-სა * — სამშობლოს დაცვის ს ა ს ა ა რ ბ ე ბ ლ ო ბ).

7 იანვრის სხდომა მეტად მღელვარე იყო. გ რ ი ბ ი მე-თაურობდა მემარჯვენეებს, ე. ი. ოპორტუნისტებს, ე. ი. ნა-ციონალისტებს, გაიძახოდა ყოველად საზიზღარ ფრაზებს «უცხოელთა» წინააღმდეგ, ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი ს წინააღ-მდეგ, ბრალად სდებდა «გათიშვას» (!!!) და სხვა. ყრილობის გადადების წინააღმდეგ მ ტ კ ი ც ე ბ ლ ა პ ა რ ა კ ო ბ დ ნ ე ნ ი, პლატენი, ნობსი, მიუნცენბერგი. ნენმა პირდაპირ განუცხადა გრიმს, რომ იგი თავს ირცხვენს როგორც «ინტერნაციონა-ლური მდივანი»!

მიღებული გადაწყვეტილება ნიშნავს გრიმის სრულ ღა-ლატს და პ ა რ ტ ი ი ს ა ბ უ ჩ ა დ ა გ დ ე ბ ა ს ოპორტუნის-ტული ბელადების, სოციალ-ნაციონალისტების მხრივ. ციმერვალდ-კინტალის მ თ ე ლ ი გაერთიანება და მოქმედება ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ფრაზად აქციეს ერთმა მუჭა ბელადებმა (მათ შორის არის გრიმი), რომლებიც იმუქრებიან, რომ ხელს აიღებენ მანდატებზე (**Sic**! **), თუ გავა სამშობლოს დაცვის უარყოფა, და რომლებმაც გადაწყვიტეს ა რ დ ა უ შ ვ ა ნ პარტიის «ბრბოს» მიერ ამ საკითხის განხილვა ომის დამთავ-რებამდე. «**Grütlianer**»-ი[91] (4 იანვრისა და 8 იანვრისა) ს ი მ ა რ თ ლ ე ს ამბობს, როცა სილას აწნავს ა ს ე თ პარტიას.

მემარცხენეთა მთელი ბრძოლა, ციმერვალდისა და კინტა-ლის ს ა ს ა ა რ ბ ე ბ ლ ო ბ წარმოებული მთელი ბრძოლა ახლა გადატანილია სხვა ნიადაგზე: ბრძოლა ბელადების ამ ბრბოს წინააღმდეგ, რომლებმაც შეაფურთხეს პარტიას. სა-ჭიროა ყველგან შევკრიბოთ მემარცხენეები და განვიხილოთ ბრძოლის საშუალებანი. იჩქარეთ!

ხომ არ იქნება ბრძოლის საუკეთესო საშუალება (არ შეიძლება არც ერთი წუთის დაკარგვა) ის, რომ **La Chaux-**

---

* — ჰუბერის და კლიოტისა. რ ე დ.

** — ასე!! რ ე დ.

de-Fonds-სა * და ჟენევაში ახლავე გავატაროთ საპროტესტო რეზოლუციები პლუს ღია წერილები ნენისადმი და მყისვე გამოვცეთ ისინი. ეჭვი არ არის, რომ «ბელადები» ყველა საშუალებას გამოიყენებენ, რათა პროტესტი გაზეთებში არ გაუშვან.

ღია წერილში აშკარად უნდა ვთქვათ ყველაფერი ის, რაც აქაა ნათქვამი, და პირდაპირ დავაყენოთ საკითხი: (1) უარყოფს თუ არა ნენი ამ ფაქტებს? (2) თვლის თუ არა ის, რომ სოციალისტების დემოკრატიულ პარტიაში მ ო ს ა თ მ ე ნ ი ა ყრილობის გადაწყვეტილების გაუქმება გამგეობის გადაწყვეტილებით? — (3) რომ მ ო ს ა თ მ ე ნ ი ა — დაუმალონ პარტიას სოციალიზმის მოღალატეთა ხმის მიცემა და **სიტყვები** 1917 წლის 7 იანვრის სხდომაზე? — (4) რომ მ ო ს ა თ მ ე ნ ი ა — შეურიგდნენ **Internationale Sozialistische Kommission**-ის ** ისეთ თავმჯდომარეს (გრიმს), რომელიც მემარცხენე ფრაზებს აერთებს შვეიცარიელი ნაციონალისტებისადმი, ციმერვალდის მოწინააღმდეგეებისადმი, «სამშობლოს დამცველებისადმი», პფლიუგერისა, **Huber**-ისა და კომპანიისადმი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს თ ა ნ ციმერვალდის გადაწყვეტილებათა ფაქტიური ჩაშლის საქმეში? — (5) რომ მოსათმენია — **«Berner Tagwacht»**-ში *** აგინებდე გერმანელ სოციალ-პატრიოტებს და ფ ა რ უ ლ ა დ ე ხ მ ა რ ე ბ ო დ ე შვეიცარიელ სოციალ-პატრიოტებს? და ა. შ.

ვიმეორებ: გაზეთებში არ გაუშვებენ. ეს ცხადია. საუკეთესო საშუალებაა დავბეჭდოთ ღია წერილი სწორედ ნენისადმი რომელიმე ჯგუფის სახელით. თუ ეს შესაძლებელია, იჩქარეთ და მიპასუხეთ დაუყოვნებლივ.

დაწერილია 1916 წ. 26 დეკემბერს
(1917 წ. 8 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ლა შო-დე-ფონი. რ ე დ.

** — საერთაშორისო სოციალისტური კომისიის. რ ე დ.

*** — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

ღია წერილი შარლ ნენს, ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კომისიის წევრს

პატივცემულო ამხანაგო! მიმდინარე წლის 7 იანვარს პარტიის გამგეობის სხდომაზე ნაციონალური მრჩევლის პატონ რობერტ გრიმის გამოსვლა პარტიული ყრილობის გადადების რეზოლუციის მ ო მ ხ რ ე დ, ყველა სოციალ-ნაციონალისტთან ერთად და მნიშვნელოვანწილად მათ მეთაურად, — მოთმინების ფიალას ავსებს და საბოლოოდ ხდის ნიღაბს პატონ ნაციონალურ მრჩეველს რ. გრიმს.

საერთაშორისო სოციალისტური კომისიის თავმჯდომარე, რომელიც არჩეულ იქნა ციმერვალდში, ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციათა თავმჯდომარე, ყველაზე «ავტორიტეტული» წარმომადგენელი მთელი ციმერვალდის გაერთიანებისა მთელი მსოფლიოს წინაშე, გამოდის სოციალ-პატრიოტებთან ერთად და მათ მეთაურად როგორც პირდაპირი მოღალატე ციმერვალდისა, გამოდის პარტიული ყრილობის ჩაშლის წინადადებით, ყრილობისა, რომელიც დიდი ხანია სპეციალურად იყო დანიშნული, რათა გადაეწყვიტა — ევროპის ყველაზე თავისუფალ და, ადგილისა და დროის პირობების მიხედვით, ინტერნაციონალურად ყველაზე გავლენიან ქვეყანაში — გადაეწყვიტა საკითხი სამშობლოს დაცვისა იმპერიალისტურ ომში!!

განა შეიძლება გაჩუმება? განა შეიძლება სიმშვიდის დაცვა ისეთი ფაქტის წინაშე, რომელიც სამუდამოდ შეარცხვენდა, სამუდამოდ კომედიად გადააქცევდა ციმერვალდის

მთელ მოძრაობას, თუ კი ბატონ ნაციონალურ მრჩეველს რ. გრიმს ნიღაბს არ ჩამოვგლეჯდით?

შვეიცარიის სოციალისტური პარტია — ერთადერთია ევროპის სოციალისტურ პარტიათა შორის, რომელიც პირდაპირ და ოფიციალურად, ღია ყრილობაზე, სამხედრო ცენზურისა და სამხედრო ხელისუფალთა მხრივ ხელის შეუშლელად მიემხრო ციმერვალდს, მხარი დაუჭირა მას, მოგვცა საერთაშორისო სოციალისტური კომისიის ორი წევრი, გამოვიდა მთელი მსოფლიოს წინაშე, როგორც ციმერვალდის მოძრაობის უმთავრესი წარმომადგენელი, თუ არაფერს ვიტყვით იტალიის პარტიის შესახებ, რომელიც განუზომლად უფრო მძიმე პირობებშია ჩაყენებული სამხედრო წესებისაგან სულის შეხუთვის გამო. და აი, შვეიცარიის სოციალისტურ პარტიაში, რომელმაც თავის ყრილობაზე ციურიხში, 4 — 5. XI. 1916, საბოლოოდ გადაწყვიტა — გაჭიანურებათა შემდეგ, რაც, სხვათა შორის, გამოიწვია ბრძოლამ აშკარა სოციალ-პატრიოტების წინააღმდეგ, რომელნიც პარტიას გამოეთიშნენ მხოლოდ 1916 წ. შემოდგომაზე განსაკუთრებულ Grütli-Verein-ში *, — გადაწყვიტა მოეწვია 1917 წ. თებერვალში განსაკუთრებული პარტიული ყრილობა ბერნში სამხედრო საკითხისა და სამშობლოს დაცვის საკითხის გადასაჭრელად, — ამ პარტიაში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც გადაწყვიტეს არ დაუშვან ეს ყრილობა, ჩაშალონ იგი, არ მისცენ საშუალება მუშებს თ ვ ი თ ო ნ, და ამასთანავე სწორედ ომის დროს, განიხილონ და გადაჭრან საკითხი სამხედრო ხროვისადმი და სამშობლოს დაცვისადმი დამოკიდებულების შესახებ.

და ამ ხალხის ხათავეში, რომელთა პოლიტიკა მთელ ციმერვალდის მოძრაობას სახეში სცემს, აღმოჩნდა საერთაშორისო სოციალისტური კომისიის თავმჯდომარე!

განა ეს ციმერვალდიზ ხრული ღალატი არ არის? განა ეს ციმერვალდის ყველა გადაწყვეტილებისთვის შ ე ფ უ რ თ ხ ე ბ ა არ არის?

* — გრიუტლი-კავშირი. ს ე ფ.

საკმარისია გადავხედოთ თუნდაც ზოგიერთ იმ მოტივთა-განს, რომლებითაც ოფიციალურად ამართლებენ ყრილობის გადადებას, რომ გავიგოთ ამ ღონისძიების მთელი მნიშვნელობა.

«ხედავთ, მუშები მზად არ არიან» ჯერ კიდევ, რომ გადაწყვიტონ ეს საკითხი!

ციმერვალდისა და კინტალის ყველა მანიფესტში, ყველა რეზოლუციაში მრავალჯერ და მრავალჯერ არის ნათქვამი, რომ სამშობლოს დაცვა იმპერიალისტურ ომში, ომში ორ იმპერიალისტურ კოალიციას შორის, ომში კოლონიების გასაძარცვავად და სუსტი ერების დასახრჩობად — სოციალიზმის ღალატია, სულერთია, შეეხება ეს «დიდ სახელმწიფოებს» თუ იმ პატარა ერებს, რომელთაც განსაზღვრულ დრომდე შეინარჩუნეს თავიანთი ნეიტრალობა. ათასგვარად მეორდება ეს აზრი ციმერვალდისა და კინტალის ყველა ოფიციალურ დოკუმენტში. ასობით სტატიასა და შენიშვნაში შვეიცარიის ყველა სოციალისტური გაზეთი და განსაკუთრებით «**Berner Tagwacht**»-ი *, რომელიც ბ-ნი ნაციონალური მრჩეველის რ. გრიმის რედაქტორობით გამოდის, ღეჭავდა და ხელახლა ღეჭავდა ამ აზრს. კ. ლიბკნეხტისა, ჰეგლუნდისა, მაკლინისა და სხვათა მიმართ სიმპათიის გამოცხადებით მეასეჯერ ხაზი ესმებოდა ყველა ციმერვალდელისათვის საერთო რწმენას, რომ ამ ადამიანებმა სწორად გაიგეს მასის მდგომარეობა და ინტერესები, რომ თანაგრძნობა სწორედ მასისა, ე. ი. ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა უმრავლესობისა, მათ მხარეზეა, რომ პროლეტარები თავიანთი კლასობრივი ინსტინქტით — ყველგან, «დიდ» მეომარ გერმანიაშიც და პატარა ნეიტრალურ შვეიცარიაშიც — ალღოს უღებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ სამშობლოს დაცვა იმპერიალისტურ ომში სოციალიზმის ღალატია.

ახლა კი საერთაშორისო სოციალისტური კომისიის თავმჯდომარე, შვეიცარიის სოციალისტური პარტიის შიგნით არსებული სოციალ-პატრიოტიზმის ყველა გარკვეული

* — «ბერნის გუშაგი». რედ.

წარმომადგენლის, **H. Greulich**-ის, **P. Pflüger**-ის, **Huber**-ის, **Manz-Schäppi**-სა * და სხვათა და სხვათა აღფრთოვანებული დასტურით და მხურვალე მხარდაჭერით, გამოდის თვალთმაქცური და მატყუარა საბუთით, თითქოს პარტიის ყრილობა იდება, ვინაიდან «მუშები მზად არ არიან».

ეს — აღმაშფოთებელი, აუტანელი თვალთმაქცობა და სიცრუეა. ყველამ იცის — და გაზეთი «**Grütlianer**»-იც ** აშკარად ბეჭდავს ამ მწარე სიმართლეს, — რომ ყრილობა გადადვეს, რადგან ხსენებულ სოციალ-პატრიოტებს ე შ ი ნ ი ა თ მუშების, ე შ ი ნ ი ა თ მუშათა გადაწყვეტილებისა სამშობლოს დაცვის წინააღმდეგ, ი მ უ ქ რ ე ბ ი ა ნ ჩააბარონ თავიანთი მანდატები ნაც.-რატში, თუ გავა გადაწყვეტილება სამშობლოს დაცვის უარყოფის შესახებ. შვეიცარიის სოციალისტური პარტიის სოციალ-პატრიოტულმა «ბელადებმა», რომლებიც დღემდეც, ომის დაწყებიდან 2½ წლის შემდეგ, დგანან «სამშობლოს დაცვის» მხარეზე, ე. ი. ამა თუ იმ კოალიციის იმპერიალისტური ბურჟუაზიის დ ა ც ვ ი ს მხარეზე, ამ ბელადებმა გადაწყვიტეს ჩ ა შ ა ლ ო ნ ყ რ ი ლ ო ბ ა, ჩაშალონ შვეიცარიის სოციალისტური მუშების ნება-სურვილი, არ დართონ მათ ნება ომის დროს განიხილონ, განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება ომისადმი, «სამშობლოს დამცველთადმი», ე. ი. იმპერიალისტური ბურჟუაზიის ლაქიებისადმი.

აი რაშია ნამდვილი, ყველასთვის კარგად ცნობილი, მიზეზი ყრილობის გადადებისა, აი რაშია ღალატი ციმერვალდის მიმართ საერთაშორისო სოციალისტური კომისიის თავმჯდომარის მხრით, რომელიც გადაბარგდა შვეიცარიის სოციალისტური პარტიის სოციალ-პატრიოტების მხარეზე შვეიცარიის შეგნებული მუშების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!

აი რა არის მწარე სიმართლე, რაც უკვე გამოთქვა გულახდილმა სოციალ-პატრიოტულმა «**Grütlianer**»-მა, რომელსაც სხვათა შორის ყოველთვის საუკეთესო ცნობები მოეპო-

* — ჰ. გრეილიხის, პ. პფლიუგერის, ჰუბერის, მანც-შეპის. რ ე დ.

** — «გრიუტლელი». რ ე დ.

ვება ხოლმე იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ და აკეთებენ გრიუტლელი ბელადები, გრეილიხი, პფლიუგერი, **Huber**-ი, **Manz-Schäppi** და კომპანია, სოციალისტური პარტიის შიგნით, — და რომელიც, სხვათა შორის, 1917 წლის 7 იანვრის სხდომამდე სამი დღით ადრე წერდა: *

ყრილობის გადადების მეორე «ოფიციალური» მოტივია: კომისიამ, სპეციალურად არჩეულმა 1916 წ. დეკემბერში თუ ნოემბერშიც კი სამხედრო საკითხზე რეზოლუციის შესადგენად, «ვერ მიაღწია ერთსულოვნებასო»!!

თითქოს გრიმსა და კომპანიას ადრევე არ სცოდნოდეთ, **რომ** ერთსულოვნება შეუძლებელია ამგვარ საკითხზე შვეიცარიის სოციალისტურ პარტიაში, თუ კი მასში რჩებიან და სოციალ-პატრიოტულ გრიუტლი-პარტიაში არ გადადიან ისეთი «ბელადები», როგორიც არიან გრეილიხი, პფლიუგერი, გ. მიულერი, ჰუბერი, მანც-შეპი, ოტო ლანგი და სხვები, რომლებიც სავსებით იზიარებენ «გრიუტლი-კავშირის» სოციალ-პატრიოტულ თვალსაზრისს და მხოლოდ ატყუებენ სოციალისტურ მუშებს თავიანთი მონაწილეობით სოციალისტურ პარტიაში!

თითქოს 1916 წლის ზაფხულში გრიმსა და კომპანიას არ დაენახოთ ცხადად, რომ ერთსულოვნება არ არის და არც შეიძლება იქნეს სამშობლოს დაცვის საკითხში, ვინაიდან 1916 წ. ზაფხულში დაიბეჭდა პფლიუგერის, გ. მიულერისა და სხვ. სოციალ-პატრიოტული თეზისები, ხოლო გრიმს, რასაკვირველია, არ შეეძლო ათასჯერ არ ღაენახა **National-Rath**-ში ** სოციალ-პატრიოტული შეხედულებები, თუ **National-Rath**-ის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრთა უმრავლესობის არა, გრეილიხისა და კომპანიისა მაინც!

---

* — აქ ხელნაწერში გამოტოვებულია. რედ.

** — ნაციონალურ საბჭოში. რედ.

გრიმსა და კომპანიას სწადიათ შვეიცარიის სოციალისტური მუშების მოტყუება. ამიტომ, როდესაც კომისია დანიშნეს, მათ ა რ გ ა მ ო ა ქ ვ ე ყ ნ ე ს მისი წევრების გვარები. «Grütlianer»-მა კი თქვა ს ი მ ა რ თ ლ ე, გამოაქვეყნა ეს გვარები და დასძინა, როგორც თავისთავად საგულისხმებელი ჭეშმარიტება, ყველასთვის ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ერთსულოვანი გადაწყვეტილების გამოტანა ა მ გ ვ ა რ კომისიას არ შეუძლიაო!

მუშები რომ მოეტყუებინათ, გრიმსა და კომპანიას ა რ მიუღიათ დადგენილება კომისიის რეზოლუციების დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გამოქვეყნების შესახებ, ისინი უ მ ა ლ ა ვ დ ნ ე ნ მუშებს სიმართლეს. რეზოლუციები კი დიდი ხანია მზად არის **და კონფიდენციალურად დაიბეჭდა კიდევაც**!!

როგორც მოსალოდნელი იყო, **Huber**-ის, **Pflüger**-ის, **Klöti**-ს, **G. Müller**-ის * გვარები ხელმოწერილია ამ რეზოლუციაზე, რომელიც ა ღ ი ა რ ე ბ ს «სამშობლოს დაცვას», ე. ი. ამართლებს ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ღ ა ლ ა ტ ს იმ ომის დროს, რომლის იმპერიალისტური ხასიათი გამოაშკარავებულია უკვე 1 000-ჯერ!! **Nobs**-ი, **Affolter**-ი, **Schmid**-ი, **Naine**, **Graber**-ი ** ხელს აწერენ «სამშობლოს დაცვის» უ ა რ მ ყ ო ფ ე ლ რეზოლუციას.

ერთი შეხედეთ, რა უსირცხვილო, უსინდისო თამაშს ეწევიან სოციალისტური მუშების მიმართ გრიმი და სოციალ-პატრიოტები:

ისინი გაჰყვირიან, რომ მუშები მზად არ არიანო, და გაჰყვირიან ამას სწორედ მაშინ, როცა **თვით** ეს ბელადები **უმალავენ** მუშებს **უკვე გამზადებულ რეზოლუციებს,** რომელნიც გარკვევით აყენებენ მუშების წინაშე იდეათა ორ წყებას, **ორ** შეურიგებელ პოლიტიკას, სოციალ-პატრიოტულ პოლიტიკას და ციმერვალდის პოლიტიკას!!

გრიმი და სოციალ-პატრიოტები — მუშების უსინდისო მომტყუებელნი არიან, ვინაიდან სწორედ მათ გადაწყვიტეს

* — ჰუბერი, პფლიუგერი, კლოტი, გ. მიულერი. რ ე დ.

** — ნობსი, აფოლტერი, შმიდი, ნენი, გრაბერი. რ ე დ.

ყრილობა ჩაეშალათ, რეზოლუციები არ გამოექვეყნებინათ, მუშებისთვის საშუალება არ მიეცათ, რათა საჯაროდ აეწონათ და განეხილათ ორივე პოლიტიკა, და ისინივე გაჰყვირიან მუშათა «მოუმზადებლობის» შესახებ!

ყრილობის გადადების სხვა «ოფიციალური» საბუთებია: საჭიროა სიძვირესთან ბრძოლა, საჭიროა საარჩევნო კამპანიის წარმოებაო და სხვ.

ეს საბუთები — მუშების პირდაპირ აბუჩად აგდებაა. ვინ არ იცის, რომ ჩვენ — სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგნი არა ვართ რეფორმებისათვის ბრძოლისა, მაგრამ სოციალ-პატრიოტებისაგან განსხვავებით, ოპორტუნისტებისა და რეფორმისტებისაგან განსხვავებით, ჩვენ არ ვკმაყოფილდებით რეფორმებისათვის ბრძოლით, არამედ **ვუმორჩილებთ** მას რევოლუციისათვის ბრძოლას? ვინ არ იცის, რომ სწორედ ეს პოლიტიკა არა ერთხელ არის გადმოცემული ციმერვალდისა და კინტალის მანიფესტებში? ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ არჩევნებისა და რეფორმებისა სიძვირის შესასუსტებლად, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ ვაყენებთ მასების წინაშე სიმართლის აშკარა განცხადებას, სახელდობრ: რომ არ შეიძლება სიძვირის დაძლევა სხვანაირად, თუ არ მოხდა ბანკებისა და მსხვილ საწარმოთა ექსპროპრიაცია, ე. ი. თუ არ მოხდა სოციალური რევოლუცია.

ხოლო საითკენ მოუწოდებს პროლეტარიატს ციმერვალდის გაერთიანების თვითეული მანიფესტი ომის **საპასუხოდ?** ომთან **დაკავშირებით?**

რევოლუციური მასობრივი ბრძოლისაკენ, იარაღის მიბრუნებისაკენ მტრის წინააღმდეგ საკუთარ ქვეყანაში (იხ. უკანასკნელი მიმართვა **Internationale Sozialistische Kommission «an die Arbeiterklasse»** *, 1916 წ. დეკემბრის დამლევს), ე. ი. იარაღის მიბრუნებისაკენ თავისი ბურჟუაზიის, თავისი მთავრობის წინააღმდეგ.

---

* — საერთაშორისო სოციალისტური კომისიისა «მუშათა კლასისადმი». რედ.

ნუთუ ცხადი არ არის აქედან ყოველი, რამდენადმე მოფიქრების უნარის მქონე კაცისათვის, რომ სწორედ სამშობლოს დაცვაზე უარისთქმის პოლიტიკა დაკავშირებულია ნამდვილ რევოლუციურ, ნამდვილ სოციალისტურ ბრძოლასთან სიძვირის წინააღმდეგ? საარჩევნო კამპანიის ნამდვილად სოციალისტურ და არა ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ გამოყენებასთან?

ნუთუ ცხადი არ არის, რომ სწორედ სოციალ-პატრიოტული პოლიტიკა, იმპერიალისტურ ომში «სამშობლოს დაცვის» პოლიტიკა, არის პოლიტიკა რეფორმიზმისა, ე. ი. ბურჟუაზიულ-რეფორმისტული, **და არა** სოციალისტური ბრძოლისა სიძვირესთან, ბრძოლისა საარჩევნო კამპანიის დროს?

როგორ შეიძლება «გადაიდოს» ყრილობა, რომელიც წყვეტს საკითხს «სამშობლოს დაცვის» შესახებ (ე. ი. სოციალ-პატრიოტულსა და სოციალისტურ პოლიტიკას შორის არჩევანის შესახებ), სიძვირესთან ბრძოლის «საბაბით» და სხვ.?? ამ ყალბი, ცრუ საბუთით გრიმს და სოციალ-პატრიოტებს სურთ მუშებისაგან მიჩქმალონ ის სიმართლე, რომ მათ სიძვირესთან ბრძოლაც, არჩევნებიც და სხვ. სურთ გაატარონ ბურჟუაზიულ-რეფორმისტულად და არა ციმერვალდურად.

1916 წ. 6 აგვისტოს ციურიხში გრიმი გამოვიდა 115 **Arbeitervertrauensleute aus der ganzen Schweiz** * წინაშე და განავითარა სწორედ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და მხოლოდ რეფორმისტული ბრძოლა სიძვირესთან! გრიმი «მტკიცე ნაბიჯით» მიდის თავისი მიზნისაკენ: სოციალ-პატრიოტებთან დაახლოებისაკენ სოციალისტური მუშების წინააღმდეგ, ციმერვალდის წინააღმდეგ.

მაგრამ რაც ყოველივე ამასთან განსაკუთრებით საძაგელია, ეს ის არის, რომ გრიმი თავის გადასვლას სოციალ-პატრიოტების მხარეზე ფარავს არაშვეიცარიელ

* — მთელი შვეიცარიის მუშათა ნდობით აღჭურვილი პირის. რედ.

სოციალ-პატრიოტთა გაძლიერებული გინებით. აი სად არის ერთი უღრმესი ფესვთაგანი გრიმის ღალატისა, აი სად არის ერთი უღრმესი წყაროთაგანი მოტყუების მთელი იმ პოლიტიკისა, რომელიც გამო

«გაითამაშებდა» როგორც ერთთა, ისე მეორეთა უთანხმოებაზე, მან ეს თეზისები დაასრულა შემდეგი ფრაზით:

«პარტიისა და პროფესიული კავშირების ორგანოები ერთმანეთს უნდა შეუთანხმდნენო» (სწორედ ომის მუქარისა და რევოლუციურ მასობრივ მოქმედებათა აუცილებლობის შემთხვევისათვის).

მაგრამ ვინ დგას შვეიცარიის პროფესიული კავშირების სათავეში? სხვათა შორის, სწორედ შნეებერგერი და დიური, რომელნიც ორივენი ხელს აწერდნენ 1916 წ. ზაფხულში გაზეთ **«Schweizerische Metallarbeiterzeitung»**-ს * როგორც რედაქტორები, წარმართავდნენ ამ გაზეთს რეაქციული, რეფორმისტული, სოციალ-პატრიოტული სულისკვეთებით, პ ი რ დ ა პ ი რ აცხადებდნენ, რომ ისინი «სამშობლოს დაცვის» მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან, პ ი რ დ ა პ ი რ ამხედრებული იყვნენ ციმერვალდის მ თ ე ლ ი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ხოლო შვეიცარიის სოციალისტური პარტიის სათავეში, როგორც კიდევ და კიდევ დაამტკიცა 1917 წლის 7-მა იანვარმა, დგანან სოციალ-პატრიოტები გრეილიხი, პფლიუგერი, მანც-შეპი, ჰუბერი და სხვ. და სხვ.

ამრიგად, რას ვლებულობთ?

ჩვენ ვლებულობთ იმას, რომ გრიმი თავის თეზისებში წინადადებას აძლევდა პარტიას ო მ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო რევოლუციურ მასობრივ მოქმედებათა ხელმძღვანელობა მიენდო **სწორედ** სოციალ-პატრიოტებისათვის, შნეებერგერებისა, დიურებისა, გრეილიხებისა, პფლიუგერებისა და კომპანიისათვის! სწორედ ასეთ მოქმედებათა **მოწინააღმდეგეთათვის**, სწორედ **რეფორმისტებისათვის!!**

ახლა კი, 1917 წლის 7 იანვრის შემდეგ, გრიმის მთელი «ტაქტიკა» ბოლომდე ნიღაბახდილია.

მას სურს ითვლებოდეს მემარცხენეთა ბელადად, ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის **თავმჯდომარედ**, ციმერვალდელთა წარმომადგენლად და ხელმძღვანელად, ის

* — «შვეიცარიელ მელითონე მუშათა გაზეთი». რ ე დ.

ატყუებს მუშებს როგორიც გნებავთ «რრრევოლუციური» ფრაზებით, სინამდვილეში კი მით **ფარავს** პარტიის ძველ, სოციალ-პატრიოტულ, ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ პრაქტიკას.

ის ირწმუნება და ფიცულობს, რომ თანაუგრძნობს კ. ლიბკნეხტს, ჰეგლუნდს და სხვ., რომ ის მათი მომხრეა, რომ ის მათ პოლიტიკას ატარებს.

მაგრამ კ. ლიბკნეხტი გერმანიაში, ჰეგლუნდი ნეიტრალურ პატარა შვეიცარიაში ებრძოდნენ არა უცხოეთის, არა-მედ თავის საკუთარ სოციალ-პატრიოტებს; ისინი თავს ესხმოდნენ რეფორმისტებსა და ნაციონალისტებს მათთანვე ბერლინში, მათთანვე სტოკჰოლმში, და არა სხვა ქვეყნებში. სოციალ-პატრიოტების დაუნდობელი მხილებით მათ მოიხ-ვეჭეს ბერლინელ და სტოკჰოლმელ გრეი-ლიხების, ჰფლიუგერების, შნეებერგერების, დიურების საპა-ტიო სიძულვილი.

ნუთუ ძნელი გასაგებია, რომ როდესაც ფრანგი შოვი-ნისტები აქებენ გერმანელ ლიბკნეხტს, ხოლო გერმანელები ინგლისელ მაკლინს, მაშინ ისინი იქცევიან როგორც გაიძვე-რები, რომელთაც სურთ სხვისი ინტერნაციონალიზმის შემქები «ინტერნაციონალისტური» ფრაზებით დაფარონ თავისი ნაციონალიზმი? ნუთუ ძნელი გასაგებია, რომ სავსებით ასევე იქცევა გრიმიც, როცა ლანძღავს ყველა ქვეყნის სოციალ-პატრიოტებს, გარდა შვეიცარიისა, და ამას სწორედ იმიტომ სჩადის, რომ დაფაროს თავისი გადასვ-ლა შვეიცარიის სოციალ-პატრიოტების მხარეზე?

გრიმმა გალანძღა გერმანელი სოციალ-პატრიოტი ებერტი **«Rausschmeisser in einem Bordell»**-ის წოდებით იმისათ-ვის, რომ მან მოპარა გერმანელ მუშებს **«Vorwärts»**-ი *, — იმისათვის, რომ მან, გაჰყვირის რა გათიშვაზე, გამოაძე-ვა და აძევებს პარტიიდან მემარცხენეებს.

---

* — «წინ». რედ.

მაგრამ რას აკეთებს გრიმი თავის სახლში, შვეიცარიაში, სავალალო 1917 წლის 7 იანვრის სავალალო გმირებთან ერთად?

განა გრიმმა არ მოჰპარა შვეიცარიის მუშებს ზეიმით შეპირებული სპეციალური ყრილობა სამშობლოს დაცვის საკითხის შესახებ? განა გრიმი, გაჰყვირის რა გათიშვაზე, არ ამზადებს პარტიიდან ციმერვალდელთა გამორიცხვას?

ნუ ვიქნებით ბავშვებივით გულუბრყვილონი, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს!

1917 წ. 7 იანვრის კრებაზე გრიმის ახალი მეგობრები და მფარველნი, სოციალ-პატრიოტები, მასთან ერთად, გაჰყვიროდნენ გათიშვის წინააღმდეგ; ამასთან ისინი განსაკუთრებით ბრალს სდებდნენ გათიშვაში ახალგაზრდობის ორგანიზაციას, ხოლო ერთმა პარტიის მდივანს პლატენს შესძახა, რომ პლატენი «er sei kein Parteisekretär, er sei Parteiverräter» *.

ნუთუ შეიძლება დუმდე, როცა ასეთ რამეებს ლაპარაკობენ და როცა «ბელადებს» სურთ დაუმალონ ეს პარტიას? ნუთუ შვეიცარიის სოციალისტური მუშები არ აღშფოთდებიან ამგვარი ხერხებით?

რა არის ახალგაზრდობის კავშირისა და პლატენის დანაშაული? მხოლოდ ის, რომ ისინი არიან ციმერვალდის გულწრფელი მომხრეები, გულწრფელი ციმერვალდელები და არა კარიერისტები. მხოლოდ ის, რომ ისინი ყრილობის გადადების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ნ ი არიან. და თუ ჭორიკანები გაჰყვირიან, ვითომ ყრილობის გადადების წინააღმდეგ, ისე როგორც საზოგადოდ «მისი უდიდებულესობის გრიმის წინააღმდეგ» გამოდიოდნენ მხოლოდ ციმერვალდელი მემარცხენეები, როგორც განსაკუთრებული ფრაქცია, განა არ დაამტკიცა 1917 წლის 7 იანვარმა, რომ ეს ჭორია? განა არ გამოხვედით გრიმის წინააღმდეგ თქვენ, ამხ. შ. ნენ, რომე-

* — «ის — პარტიის მდივანი კი არა, პარტიის გამცემიაო». რ ე დ.

ლიც არასოდეს არ ემხრობოდით .არც პირდაპირ, არც არაპირ-დაპირ, არც ფორმალურად, არც არაფორმალურად ციმერ-ვალდელ მემარცხენეებს?

ბრალის დადება გათიშვაში! აი, ჭეშმარიტად გაცვეთილი ბრალდება, რომლითაც ახლა გამოდიან ყველა ქვეყანაში სწორედ ყველა ქვეყნის სოციალ-პატრიოტები იმის დასა-ფარავად, თუ როგორ აძევებენ ი ს ი ნ ი პარტიიდან ლიბ-კნეხტებსა და ჰეგლუნდებს.

დაწერილია 1916 წ. 26 — 27 დეკემბერს
(1917 წ. 8 — 9 იანვარს)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალ
«პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 4 (27)

მუშებს, რომელნიც მხარს უჭერენ ბრძოლას ომის წინააღმდეგ და თავიანთ მთავრობათა მხარეზე გადასული სოციალისტების წინააღმდეგ

საერთაშორისო მდგომარეობა სულ უფრო მეტად გარკვეული და სულ უფრო მეტად მრისხანე ხდება. ომის იმპერიალისტური ხასიათი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოააშკარავა სულ ბოლო დროს ორივე მეომარმა კოალიციამ. პაციფისტური ფრაზები, ფრაზები დემოკრატიულ ზავზე, ზავზე უანექსიოდ და სხვ., მთელი მათი სიცარიელითა და სიცრუით აშკარავდება მით უფრო ჩქარა, რაც უფრო გულმოდგინედ ხმარობენ მათ კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები, ბურჟუაზიული და სოციალისტური პაციფისტები. გერმანია ახრჩობს რამდენიმე მცირე ერს, მოქცეული ყავს ისინი რკინის ქუსლქვეშ სავსებით ნათელი გადაწყვეტილებით — არ გაუშვას ხელიდან ნადავლი სხვაფრივ, თუ მისი ნაწილის სამაგიეროდ არ მიიღებს უზარმაზარ კოლონიურ სამფლობელოებს, და თვალთმაქცური პაციფისტური ფრაზებით მალავს თავის მზადყოფნას — დაუყოვნებლივ შეკრას იმპერიალისტური ზავი.

ინგლისს და მის მოკავშირეებს ასევე მაგრად უჭირავთ მათ მიერ დაპყრობილი გერმანული კოლონიები, თურქეთის ნაწილი და სხვ., და ისინი «სამართლიანი» ზავისათვის ბრძოლად ასაღებენ ხოცვა-ჟლეტის დაუსრულებლივ განგრძნობას კონსტანტინოპოლის დასაპყრობად, გალიციის დახრჩობას, ავსტრიის დაყოფას, გერმანიის გაჩანაგებას.

ის ჭეშმარიტება, რომელიც ომის დაწყებისას მცირეოდენთა თეორიული რწმენა იყო, ხელშესახებად თვალსაჩინო ხდება შეგნებულ მუშათა სულ უფრო მზარდი რიცხვისათვის, სახელდობრ: რომ ლაპარაკიც კი შეუძლებელია ომის წინააღმდეგ სერიოზულ ბრძოლაზე, ბრძოლაზე ომების მოსასპობად და მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, თუ თვითეული ქვეყნის მასებმა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით არ აწარმოეს რევოლუციური ბრძოლა თავიანთ მთავრობათა წინააღმდეგ, თუ არ იქნა დამხობილი ბურჟუაზიის ბატონობა, თუ არ მოხდა სოციალისტური გადატრიალება. და თვითონ ომს, რომელიც იწვევს ხალხთა ძალების გაუგონარ დაძაბვას, მიჰყავს კაცობრიობა ჩიხიდან ამ ერთადერთ გამოსავალამდე, აიძულებს მას გადადგას გიგანტური ნაბიჯები წინ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის გზაზე, უჩვენებს პრაქტიკულად, როგორ უნდა და როგორ შეიძლება წარმოებდეს გეგმიანი საზოგადოებრივი მეურნეობა რევოლუციური პროლეტარიატის ხელმძღვანელობით არა კაპიტალისტთა ინტერესებისათვის, არამედ მათი ექსპროპრიაციის გზით, იმ მასების ინტერესებისათვის, რომელნიც ამჟამად შიმშილისაგან და ომის სხვა უბედურებათაგან იღუპებიან.

რაც უფრო თვალსაჩინო ხდება ეს ჭეშმარიტება, მით უფრო ღრმად იხსნება უფსკრული სოციალისტური მუშაობის ორ შეურიგებელ ტენდენციასა, პოლიტიკასა, მიმართულებას შორის, რომლებიც ჩვენ აღვნიშნეთ უკვე ციმერვალდში, როცა ცალკე გამოვედით იქ ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის სახით და ციმერვალდის შემდეგ მაშინვე მივმართეთ მანიფესტით ამ მემარცხენე ჯგუფის სახელით ყველა სოციალისტურ პარტიას და ყველა შეგნებულ მუშას. ეს არის უფსკრული, ერთი მხრივ, იმის ცდას შორის, რომ დაფარონ ოფიციალური სოციალიზმის გამოაშკარავებული კრახი, მისი წარმომადგენლების გადასვლა ბურჟუაზიისა და მთავრობათა მხარეზე, შეარიგონ მასები სოციალიზმისადმი ამ სრულ ღალატთან, — და, მეორე მხრივ, იმ მისწრაფებას შორის, რომ ფარდა აეხადოს ამ კრახის მთელ სიღრმეს, გამოაშკარავდეს

ბურჟუაზიული პოლიტიკა «სოციალ-პატრიოტებისა», რომელნიც პროლეტარიატისაგან ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ, გამოგლეჯილ იქნეს მასები მათი გავლენისაგან, შეიქმნას შესაძლებლობა და ორგანიზაციული საფუძველი ომის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლისათვის.

ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფი, რომელიც უმრავლესობას შეადგენდა ციმერვალდში, მთელი ძალღონით იბრძოდა სოციალ-პატრიოტებთან გათიშვის, III ინტერნაციონალის დაარსების აზრის წინააღმდეგ. მას შემდეგ ეს გათიშვა ინგლისში საბოლოო ფაქტად იქცა, ხოლო გერმანიაში «ოპოზიციის» უკანასკნელმა კონფერენციამ, 1917 წ. 7 იანვარს, ყველას, ვინც განგებ თვალს არ ხუჭავს, დაანახვა, რომ ნამდვილად ამ ქვეყანაშიც მუშაობს ერთმანეთის პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით ორი, შეურიგებლად მტრული, მუშათა პარტია, ერთი — სოციალისტური, რომელიც მეტწილად არალეგალურად მოქმედებს და თავის ბელადებს შორის ითვლის კ. ლიბკნეხტს, მეორე — სავსებით ბურჟუაზიული, სოციალ-პატრიოტული, რომელიც მუშებს არიგებს ომთან და მთავრობასთან. მსოფლიოში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი ქვეყანა, სადაც ასეთსავე დაყოფას თავი არ ეჩინოს.

კინტალში ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფი აღმოჩნდა უკვე არა ისეთ უმრავლესობაში, რომ განეგრძო თ ა ვ ი ს ი პოლიტიკა; ამ მემარჯვენე ჯგუფმა ხმა მისცა რეზოლუციას სოციალ-პატრიოტული საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წინააღმდეგ, მისი მეტად მკაცრი გაკიცხვის რეზოლუციას, და რეზოლუციას სოციალ-პაციფიზმის წინააღმდეგ, რეზოლუციას, რომელიც აფრთხილებდა მუშებს პაციფისტური ფრაზების სიყალბის წინააღმდეგ, რანაირი სოციალისტური მოკაზმულობაც უნდა ხლებოდა მათ. სოციალისტური პაციფიზმი, რომელიც მუშებს არ განუმარტავს, რომ ზავის იმედები ბურჟუაზიის დამხობისა და სოციალიზმის ორგანიზაციის გ ა რ ე შ ე ილუზიაა, არის მხოლოდ ბურჟუაზიული პაციფიზმის გადამღერება, რაც უნერგავს მუშებს ბურჟუაზიისადმი ნდობას, ალამაზებს იმპერიალისტურ მთავრობებს და

მათ გარიგებებს ურთიერთ შორის, აცილებს მასებს მომწიფებული, მოვლენათაგან დღის წესრიგში დაყენებული სოციალისტური რევოლუციისაგან.

და რა აღმოჩნდა? ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფი კინტალის შემდეგ მთელ რიგ დიდ ქვეყნებში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში სავსებით და მთლიანად დაეშვა სოციალ-პაციფიზმისაკენ, რომელიც კინტალში გაკიცხული და უარყოფილი იყო! იტალიაში სოციალისტური პარტია ხმა-ამოუღებლივ შეურიგდა თავისი საპარლამენტო ფრაქციის და თავისი მთავარი ორატორის ტურატის პაციფისტურ ფრაზებს, თუმცა სწორედ ახლა სრულიად ასეთივე ფრაზებით გამოსვლა გერმანიისაც, ანტანტისაც და მთელი რიგი იმ ნეიტრალური ქვეყნების ბურჟუაზიულ მთავრობათა წარმომადგენლებისაც, სადაც ბურჟუაზია გაუგონრად გამდიდრდა და მდიდრდება ომის გამო, სწორედ ახლა მთელი სიცრუე ამ პაციფისტური ფრაზებისა თვალნათლივ გამოაშკარავდა. პაციფისტური ფრაზები სინამდვილეში საფარველი გახდა ახალი მობრუნებისა იმპერიალისტური ნადავლის გაყოფისათვის ბრძოლაში!

გერმანიაში ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფის მეთაური, კაუცკი, გამოვიდა ასეთივე, არაფრისმთქმელი, არაფრის დამავალდებულებელი, საქმით მუშებში ბურჟუაზიისადმი მხოლოდ იმედებისა და ილუზიების რწმენის ჩამნერგავი პაციფისტური მანიფესტით, რომელზედაც ფორმალურად უნდა ეთქვათ უარი ნამდვილ სოციალისტებს, გერმანიის ნამდვილ ინტერნაციონალისტებს, «ინტერნაციონალის» ჯგუფს და «გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტების» ჯგუფს, რომელნიც სინამდვილეში ატარებენ კარლ ლიბკნეხტის ტაქტიკას.

საფრანგეთში ციმერვალდის მონაწილეები, მერჰეიმი, ბურდერონი და კინტალის მონაწილე, რაფენ-დიუჟანსი, ხმას აძლევენ სრულიად ცარიელ და, თავისი ობიექტური მნიშვნელობით, ერთიანად მატყუარა პაციფისტურ რეზოლუციებს, რომლებიც საქმის დღევანდელი ვითარების დროს იმდენად ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის, რომ ამ რეზოლუციებს ხმა მისცეს ჟუომაც და რენოდელმაც,

რომელთაც ციმერვალდისა და კინტალის თვითეულ განცხადებაში სოციალიზმის ღალატი ედებათ ბრალად!

ეს ხმის მიცემა მერჰეიმისა ჟუოსთან ერთად, ბურდერონისა და რაფენ-დიუკანსისა რენოდელთან ერთად არის არა შემთხვევითი, არა ცალკეული ეპიზოდი, არამედ მეტად თვალსაჩინო სიმბოლო სოციალ-პატრიოტების უკვე ყველგან მომზადებული შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა სოციალ-პაციფისტებთან ინტერნაციონალური სოციალისტების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

პაციფისტური ფრაზები მრავალ იმპერიალისტურ მთავრობათა ნოტებში, ასეთივე პაციფისტური ფრაზები კაუცკის, ტურატის, ბურდერონის და მერჰეიმისა, — რენოდელის მეგობრულად გაწოდებული ხელი როგორც ერთისა, ისე მეორეებისაკენ, — ასეთია პაციფიზმის მხილება ნ ა მ დ ვ ი ლ პოლიტიკაში, როგორც ხალხთა მ ა ნ უ გ ე შ ე ბ ლ ი ს ა, როგორც მთავრობათა საშუალებისა მასების დამორჩილების გ ა ს ა ა დ ვ ი ლ ე ბ ლ ა დ შემდგომ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტაში!

და ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფის ეს სრული კრახი კიდევ უფრო მეტი ძალით გამოაშკარავდა შვეიცარიაში, ევროპის ამ ერთადერთ ქვეყანაში, სადაც ციმერვალდელებს თავისუფლად შეეძლოთ შეკრება და სადაც მათ ჰქონდათ თავიანთი ბაზა. შვეიცარიის სოციალისტური პარტია, რომელიც ომის დროს თავის ყრილობებს აწყობდა მთავრობის მხრივ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, რომელსაც ყველაზე მეტი შესაძლებლობა ჰქონდა დახმარებოდა გერმანელი, ფრანგი და იტალიელი მუშების ინტერნაციონალურ შემჭიდროებას ომის წინააღმდეგ, ფორმალურად მიემხრო ციმერვალდს.

ხოლო ამ პარტიის ერთ-ერთი ბელადი, ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციების თავმჯდომარე, ბერნის ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ფრიად თვალსაჩინო წევრი და წარმომადგენელი, ნაციონალური მრჩეველი რ. გრიმი პროლეტარული პარტიისათვის გადამწყვეტ საკითხში გ ა დ ა ვ ი დ ა თ ა ვ ი ს ი ქ ვ ე ყ ნ ი ს სოციალ-პატრიოტე-

ბის მ ხ ა რ ე ზ ე, რადგან მან 1917 წლის 7 იანვარს შვეიცარიის სოციალისტური პარტიის **Partei-Vorstand**-ის * სხდომაზე გაატარა გადაწყვეტილება პარტიის ყრილობის გამოურკვეველ დრომდე გ ა დ ა დ ე ბ ი ს შესახებ, ყრილობისა, რომელიც სპეციალურად უნდა მოწვეულიყო სამშობლოს დაცვის და სოციალ-პაციფიზმის დამგმობ კინტალის გადაწყვეტილებებისადმი დამოკიდებულების საკითხის გადასაჭრელად!

Internationale Sozialistische Kommission-ის მიერ ხელმოწერილ და 1916 წ. დეკემბრით დათარიღებულ მოწოდებაში გრიმი მთავრობათა პაციფისტურ ფრაზებს თვალთმაქცურს უწოდებს და ერთ სიტყვასაც არ ამბობს სოციალისტური პაციფიზმის შესახებ, რომელმაც შეაერთა მერჰეიმი და ჟუო, რაფენ-დიუჟანსი და რენოდელი. ამ მოწოდებაში გრიმი მოუწოდებს სოციალისტურ უმცირესობებს მთავრობათა და მათ სოციალ-პატრიოტულ დაქირავებულთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, იმავე დროს კი «სოციალ-პატრიოტულ დაქირავებულებთან» ერთად ის შვეიცარიის პარტიის შიგნით აწყობს პარტ-ყრილობის დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ა ს, რომელიც ასე სამართლიანად აღაშფოთებს შვეიცარიის ყველა შეგნებულ და გულწრფელ ინტერნაციონალისტ მუშას.

ვერავითარი მომიზეზება ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ **Partei- Vorstand**-ის 1917 წ. 7 იანვრის გადაწყვეტილებას აქვს მნიშვნელობა შვეიცარიის სოციალ-პატრიოტების სწორედ სრული გამარჯვებისა შვეიცარიის სოციალისტ მ უ შ ე ბ ზ ე, ციმერვალდის შვეიცარიელ მოწინააღმდეგეთა სრული გამარჯვებისა ც ი მ ე რ ვ ა ლ დ ზ ე.

მუშათა მოძრაობის შიგნით ბურჟუაზიის თანამიმდევრულ და გულახდილ მსახურთა გაზეთმა, «**Grütlianer**»-მა **, ყველასთვის ცნობილი სიმართლე თქვა, როცა განაცხადა, რომ

* — პარტიის გამგეობის. რ ე დ.

** — «გრიუტლელი». რ ე დ.

გრეილიხისა და პფლიუგერის ტიპის სოციალ-პატრიოტებს მათ შეიძლება და უნდა მიემატოს კიდევაც ზეიდელი, **Huber**-ი, **Lang**-ი, **Schneeberger**-ი, **Dürr**-ი * და სხვ. — სურთ არ დაუშვან ყრილობა, არ დაუშვან სამშობლოს დაცვის საკითხის გადაწყვეტა მუშების მიერ, იმუქრებიან მანდატების ჩ ა ბ ა რ ე ბ ი თ ყრილობის მოწვევისა და საკითხის ციმერვალდისებური სულისკვეთებით გადაწყვეტის შემთხვევაში.

გრიმი ალმაშფოთებელ, აუტანელ სიყალბეს ამბობდა **Partei-Vorstand**-ის სხდომაზეც და თავის გაზეთ «**Berner Tagwacht**»-შიაც ** 1917 წ. 8 იანვარს, როცა ყრილობის გადადებას ამართლებდა მუშათა მოუმზადებლობით, სიძვირის საწინააღმდეგო კამპანიის აუცილებლობით, თვით «მემარცხენეთა» დათანხმებით გადადებაზე და სხვ.

ნამდვილად სწორედ მემარცხენეები, ე. ი. გულწრფელ ციმერვალდელები, რომელთაც სურდათ, ერთი მხრივ, გაეყვანათ ნაკლები ბოროტება, ხოლო, მეორე მხრივ, ემხილებინათ სოციალ-პატრიოტებისა და მათი ახალი მეგობრის გრიმის ჭეშმარიტი განზრახვები, მ ა რ ტ ა მ დ ე გადადების წინადადებას იძლეოდნენ, მათ ხმა მისცეს გადადებას მ ა ი ს ა მ დ ე, წინადადება შეიტანეს კანტონალური გამგეობებისათვის დაენიშნათ ვადა ი ვ ლ ი ს ა მ დ ე, მაგრამ **ყველა** ეს წინადადება უარყვეს «სამშობლოს დამცველებმა» ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციათა თავმჯდომარის რ. გრიმის მეთაურობით!!

ნამდვილად საკითხი სწორედ ასე იდგა: მოვითმინოთ თუ არა, რომ ბერნის **Internationale Sozialistische Kommission**-მა და გრიმის გაზეთმა ლანძღონ უ ც ხ ო ე ლ ი სოციალ-პატრიოტები და დ ა ფ ა რ ო ნ შ ვ ე ი ც ა რ ი ი ს სოციალ-პატრიოტები ჯერ თავისი დუმილით, შემდეგ კი რ. გრიმის გადაბარგებითაც, თუ ვაწარმოოთ პატიოსანი ინტერნაციონალისტური

* — ჰუბერი, ლანგი, შნეებერგერი, დიური. რ ე დ.

** — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

პოლიტიკა, ვიბრძოლოთ პირველ ყოვლისა ჩ ვ ე ნ ი ქვეყნის სოციალ-პატრიოტების წინააღმდეგ.

ნამდვილად საკითხი ასე იდგა: დავფაროთ თუ არა რევოლუციური ფრაზით სოციალ-პატრიოტებისა და რეფორმისტების ბატონობა შვეიცარიის პარტიის შიგნით, თუ გამოვიდეთ მათ წინააღმდეგ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პროგრამითა და ტაქტიკით როგორც სიძვირესთან ბრძოლის საკითხში, ისე ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, დღის წესრიგში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის დაყენების საკითხში.

ნამდვილად საკითხი ასე იდგა: მოვითმენოთ თუ არა, რომ ციმერვალდში განმეორდეს უ ც უ დ ე ს ი ტრადიციები II ინტერნაციონალისა, რომელმაც სამარცხვინო კრახი განიცადა, რომ მუშათა მასებს უმალავდნენ იმას, რასაც წყვეტენ და ლაპარაკობენ მათი ბელადები **Partei-Vorstand**-ში, რომ რევოლუციური ფრაზა ფარავდეს სოციალ-პატრიოტულ და რეფორმისტულ სისაძაგლეს, თუ ვიყვნეთ ინტერნაციონალისტები ს ა ქ მ ი თ.

ნამდვილად საკითხი სწორედ ასე იდგა: დავიცვათ **თუ არა** შვეიცარიაშიც, რომლის პარტიას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მთელი ციმერვალდის გაერთიანებისათვის, გარკვეული, პრინციპული, პოლიტიკურად პატიოსანი დაყოფა სოციალ-პატრიოტებსა და ინტერნაციონალისტებს შორის, ბურჟუაზიულ რეფორმისტებსა და რევოლუციონერებს შორის, პროლეტარიატის მრჩეველთა, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის მოხდენაში მას ეხმარებიან, და ბურჟუაზიის აგენტთა ან «დაქირავებულთა» შორის, რომელთაც სურთ რეფორმებით და რეფორმათა დაპირებებით ჩამოაცილონ რევოლუციას მუშები, გრიუტლელებსა და სოციალისტურ პარტიას შორის, — **თუ** მუშათა შეგნებაში შევიტანოთ არევ-დარევა და გახრწნა, ისე, რომ სოციალისტური პარტიის შიგნით ტარდებოდეს სწორედ «გრიუტლური» პოლიტიკა გრიუტლელებისა, სოციალ-პატრიოტებისა თვით სოციალისტური პარტიის რიგებიდან.

დაე, შვეიცარიის სოციალ-პატრიოტებმა, ამ «გრიუტ-ლელებმა», რომელთაც სურთ პარტიის შიგნიდან გაატარონ გრიუტლის პოლიტიკა, ე. ი. თავისი ნაციონალური ბურჟუა-ზიის პოლიტიკა, დაე, მათ აგინონ უცხოელები, დაე, დაიცვან შვეიცარიის პარტიის «ხელუხლებლობა» კრიტიკისაგან სხვა პარტიების მხრივ, დაე, დაიცვან ძველი, ბურჟუაზიულ-რეფორმისტული პოლიტიკა, სწორედ ისეთი, რომელმაც კრახამდე მიიყვანა გერმანიისა და სხვა პარტიები 1914 წ. 4 აგვისტოს, — ჩვენ, ციმერვალდის მომხრეებს, მომხრეებს არა სიტყვით, არამედ საქმით, ჩვენ ინტერნაციონალიზმად სხვა რამე მიგვაჩნია.

ჩვენ თანახმა არა ვართ დუმილით ვუყუროთ საბოლოოდ გამოაშკარავებულ და თვითონ ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციათა თავმჯდომარის მიერ მოწონებულ მისწრაფე-ბებს, რომ ყველაფერი ძველებურად დატოვონ ევროპის დამ-პალ სოციალიზმში და კ. ლიბკნეხტისადმი თვალთმაქცური სოლიდარობის საშუალებით გვერდი აუარონ ინტერ-ნაციონალური მუშების ამ ბელადის ნამდვილ ლოზუნგს, მის მოწოდებას — ვიმუშაოთ ძველი პარტიების «რეგენერაციი-სათვის თავიდან ბოლომდე». ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მხარეზეა ყველა შეგნებული მუშა, რომლებიც მთელ მსოფლიოში აღტაცებით მიესალმნენ კ. ლიბკნეხტსა და მის ტაქტიკას.

ჩვენ აშკარად გამოვდივართ ციმერვალდის იმ მემარჯვენე ჯგუფის მხილებით, რომელიც ბურჟუაზიულ-რეფორმისტუ-ლი პაციფიზმის მხარეზე გადავიდა.

ჩვენ აშკარად გამოვდივართ რ. გრიმის მხრივ ციმერვალდი-სადმი ღალატის მხილებით და მოვითხოვთ კონფერენციის მოწვევას მის გადასაყენებლად **Internationale Sozialistische Kommission**-ის წევრობის თანამდებობიდან.

სიტყვა ციმერვალდი ინტერნაციონალური სოციალიზმისა და რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგს წარმოადგენს. ეს სიტყვა არ უნდა იქნეს გამოყენებული სოციალ-პატრიოტი-ზმისა და ბურჟუაზიული რეფორმიზმის დასაფარავად.

ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმისათვის, რომელიც მოითხოვს ბრძოლას **უწინარეს ყოვლისა** თავისი საკუთარი ქვეყნის სოციალ-პატრიოტების წინააღმდეგ! ჭეშმარიტი რევოლუციური ტაქტიკისათვის, რომელიც შეუძლებელია სოციალ-პატრიოტებთან შეთანხმებისას სოციალისტური და რევოლუციური მუშების **წინააღმდეგ**!

(დაწერილია 1916 წ. დეკემბრის
დამლევს (ძვ. სტ.)

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში»
№ 5 (28)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მოგსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ [92]

ახალგაზრდა მეგობრებო და ამხანაგები!

დღეს მეთორმეტე წლისთავია «სისხლიანი კვირისა», რომელსაც სრული უფლებით უყურებენ როგორც რუსეთის რევოლუციის დასაწყისს.

რამდენიმე ათასი მუშა, — და მასთან არა სოციალ-დემოკრატიული, არამედ მორწმუნე, ერთგული ქვეშევრდომი ხალხი, თავს იყრის მღვდელ გაპონის წინამძღოლობით ქალაქის ყველა ნაწილიდან დედაქალაქის ცენტრში, მოედანზე ზამთრის სასახლის წინ, რომ მეფეს გადასცეს თავისი პეტიცია. მუშები მიდიან ხატებით, და მათი მაშინდელი ბელადი გაპონი მეფეს წერილობით არწმუნებდა, რომ ის უზრუნველყოფს მის პირად უშიშროებას და სთხოვს მას ხალხთან გამოვიდეს.

გამოიწვიეს ჯარები. ულანები და კაზაკები ცივი იარაღით თავს ესხმიან ხალხს, ესვრიან უიარაღო მუშებს, რომელნიც მუხლებზე დაჩოქილნი ევედრებოდნენ კაზაკებს, რომ ისინი მეფესთან გაეშვათ. პოლიციის მოხსენების მიხედვით, მაშინ მოკლულ იქნა ათასზე მეტი, ორი ათასზე მეტი დაიჭრა. მუშათა აღშფოთება აუწერელი იყო.

აი მეტად ზოგადი სურათი 1905 წ. 22 იანვრის — «სისხლიანი კვირისა».

უფრო ცხადი რომ გავხადო თქვენთვის ამ მოვლენის ისტორიული მნიშვნელობა, წაგიკითხავთ რამდენიმე ადგილს მუშათა პეტიციიდან. პეტიცია შემდეგნაირად იწყება:

«ჩვენ, მუშები, მცხოვრებნი პეტერბურგისა, მოვედით შენთან. ჩვენ — უბედური, შეურაცხყოფილი მონები ვართ, ჩვენ დესპოტიზმისა და თვითნებობისაგან ვართ გასრესილი.

როცა მოთმინების ფიალა აივსო, შევწყვიტეთ მუშაობა და ჩვენს მეპატრონეებს ვთხოვეთ მოეცათ ჩვენთვის მხოლოდ ის, ურომლისოდაც ცხოვრება ტანჯვას წარმოადგენს. მაგრამ ყველაფერი ეს უარყოფილ იქნა, მეფაბრიკეებს ყველაფერი უკანონოდ მოეჩვენათ. ჩვენ აქ, მრავალ ათასეულს, ისე როგორც მთელ რუს ხალხს, არა გვაქვს არავითარი ადამიანური უფლებები. შენი მოხელეების მეოხებით ჩვენ მონებად ვიქეცით».

პეტიცია ჩამოთვლის შემდეგ მოთხოვნებს: ამნისტია, საზოგადოებრივი თავისუფლებანი, ნორმალური ხელფასი, მიწის თანდათანობით ხალხისათვის გადაცემა, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების ნიადაგზე და თავდება სიტყვებით: «ხელმწიფევ! შენს ხალხს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვი! დაანგრიე შენსა და შენს ხალხს შორის არსებული კედელი. უბრძანე და შემოგვიცე, რომ ჩვენი თხოვნა შესრულდება, და შენ რუსეთს ბედნიერად გახდი; თუ არა, მაშინ ჩვენ მზადა ვართ მოვკვდეთ აქვე. ჩვენ მხოლოდ ორი გზა გვაქვს: თავისუფლება და ბედნიერება ან სამარე».

საოცარ გრძნობას განიცდი, როცა ახლა კითხულობ ამ პეტიციას გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი მუშებისას, რომელთაც ხელმძღვანელობდა პატრიარქალური მღვდელი. უნებურად გებადება პარალელი ამ გულუბრყვილო პეტიციასა და სოციალ-პაციფისტების, ე. ი. იმ ადამიანების თანამედროვე მშვიდობიან რეზოლუციებს შორის, რომელთაც სურთ სოციალისტები იყვნენ, საქმით კი მხოლოდ ბურჟუაზიული ფრაზიორები არიან. რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის შეუგნებელმა მუშებმა არ იცოდნენ, რომ მეფე გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს მეთაურია, სახელდობრ იმ მსხვილ მიწათმფლობელთა კლასისა, რომელნიც უკვე ათასგვარი ძაფებით არიან დაკავშირებულნი მსხვილ ბურჟუაზიასთან და მზად არიან ძალმომრეობის ყველა საშუალებით დაიცვან თავისი მონოპოლია, პრივილეგიები და მოგება. თანამედროვე სოციალ-პაციფისტებმა, რომელთაც —

ყოველგვარი ხუმრობის გარეშე! — სურთ «დიდად განათლებულ» ადამიანებად მოგვაჩვენონ თავი, არ იციან, რომ «დემოკრატიული» ზავის მოლოდინი ბურჟუაზიული მთავრობებისაგან, რომელნიც იმპერიალისტურ მტაცებლურ ომს ეწევიან, ისეთივე სისულელეა, როგორც სულელურია აზრი, თითქოს შეიძლებოდეს სისხლიანი მეფე დაითანხმო დემოკრატიულ რეფორმებზე მშვიდობიანი პეტიციებით.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა მათ შორის დიდი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე სოციალ-პაციფისტები დიდად პირმოთნეები არიან, რომლებიც მშვიდობიანი შთაგონებებით ლამობენ რევოლუციური ბრძოლისაგან ხალხის ჩამოცილებას, მაშინ როდესაც რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის გაუნათლებელმა რუსმა მუშებმა საქმით დაამტკიცეს, რომ ისინი არიან პირდაპირი ადამიანები, რომელთაც პირველად გაიღვიძეს პოლიტიკური შეგნებისათვის.

და აი, პოლიტიკური შეგნებისა და რევოლუციური ბრძოლისათვის ხალხის უზარმაზარი მასების სწორედ ამ გამოღვიძებაში მდგომარეობს 1905 წლის 22 იანვრის ისტორიული მნიშვნელობაც.

«რუსეთში ჯერ კიდევ არ არის რევოლუციური ხალხი», — ასე წერდა «სისხლიანი კვირის» ო რ ი დ ღ ი თ ა დ რ ე ბატონი პეტრე სტრუვე, რუსი ლიბერალების მაშინდელი ბელადი, რომელიც იმ დროს სცემდა არალეგალურ, თავისუფალ, საზღვარგარეთულ ორგანოს. ასეთ აბსურდად მიაჩნდა ბურჟუაზიული რეფორმისტების ამ «დიდად განათლებულ», ქედმაღალ და არქისულელ ბელადს იდეა, რომ წერა-კითხვის უცოდინარ გლეხურ ქვეყანას შეუძლია წარმოშვას რევოლუციური ხალხი! ასე ღრმა იყო მაშინდელი, — ისე როგორც ახლანდელი, — რეფორმისტების რწმენა ნამდვილი რევოლუციის შეუძლებლობისა!

1905 წლის 22 (ძველი სტილით 9) იანვრამდე რუსეთის რევოლუციური პარტია შედგებოდა ერთი მუჭა ადამიანებისაგან, — მაშინდელი რეფორმისტები (სწორედ ისევე, რო-

გორც ახლანდელნი) დაგვცინოდნენ და «სექტას» გვიწოდებ-
დნენ ჩვენ. რამდენიმე ასეული რევოლუციური ორგანიზატო-
რი, ადგილობრივი ორგანიზაციების რამდენიმე ათასი წევრი,
ექვსიოდე რევოლუციური ფურცელი, რომლებიც თვეში
ერთჯერ თუ გამოდიოდა, იბეჭდებოდა უმთავრესად საზღვარ-
გარეთ და კონტრაბანდული გზით, წარმოუდგენელი სიძნე-
ლეებით, მრავალი მსხვერპლის გაღებით იგზავნებოდა
რუსეთში, — ასეთი იყვნენ რევოლუციური პარტიები რუსეთ-
ში და, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციური სოციალ-დემო-
კრატია 1905 წლის 22 იანვრამდე. ეს გარემოება ფორმალუ-
რად აძლევდა უფლებას გონებაშეზღუდულ და თავგასულ
რეფორმისტებს ემტკიცებინათ, რუსეთში ჯერ კიდეე არ
არის რევოლუციური ხალხიო.

მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში სურათი სრუ-
ლიად შეიცვალა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატების
ასეულები «უცბად» გაიზარდნენ ათასებად, ათასები კი
ბელადები გახდნენ ორიდან სამ მილიონამდე პროლეტარისა.
პროლეტარულმა ბრძოლამ გამოიწვია დიდი მღელვარება,
ნაწილობრივ რევოლუციური მოძრაობაც, ორმოცდაათ —
ასმილიონიანი გლეხთა მასის სიღრმეში; გლეხთა მოძრაობამ
გამოძახილი პოვა არმიაში და გამოიწვია ჯარისკაცთა აჯან-
ყებები, არმიის ერთი ნაწილის შეიარაღებული შეტაკებებ-
მეორე ნაწილთან. ამრიგად, უზარმაზარმა ქვეყანამ 130 მი-
ლიონი მცხოვრებით ფეხი შედგა რევოლუციაში; ამრიგად,
მთვლემარე რუსეთი გადაიქცა რევოლუციური პროლეტარი-
ატისა და რევოლუციური ხალხის რუსეთად.

აუცილებლად საჭიროა შევისწავლოთ ეს გადასვლა, გავი-
გოთ მისი შესაძლებლობა, მისი, ასე ვთქვათ, მეთოდები და
გზები.

უმთავრესი საშუალება ამ გადასვლისა იყო მ ა ს ო ბ რ ი-
ვ ი გ ა ფ ი ც ვ ა. რუსეთის რევოლუციის თავისებურება
სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის თავისი სოციალური
შინაარსით ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი იყო,
მაგრამ ბრძოლის საშუალებებით — პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი.

ის იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, რადგან მიზანი, რომლისკენაც ის უშუალოდ მიისწრაფოდა და რომლისთვისაც მას შეეძლო მიეღწია უშუალოდ თავისი საკუთარი ძალებით, იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე, კოლოსალურად მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის კონფისკაცია, — ყველა ზომა, რომლებიც თითქმის მთელი მოცულობით განახორციელა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფრანგეთში 1792 და 1793 წლებში.

რუსეთის რევოლუცია იყო ამასთანავე პროლეტარულიც არა მარტო იმ აზრით, რომ პროლეტარიატი იყო ხელმძღვანელი ძალა, მოძრაობის ავანგარდი, არამედ იმ აზრითაც, რომ ბრძოლის სპეციფიკური პროლეტარული საშუალება, სახელდობრ გაფიცვა, წარმოადგენდა მასების ამოძრავების მთავარ საშუალებას და ყველაზე მეტად დამახასიათებელ მოვლენას გადამწყვეტი ომბების ტალღისებური აზვირთების დროს.

რუსეთის რევოლუცია არის მსოფლიო ისტორიაში პ ი რ ვ ე ლ ი, — მაგრამ, უეჭველია, ის იქნება არა უკანასკნელი,— დიდი რევოლუცია, რომელშიც მასობრივმა პოლიტიკურმა გაფიცვამ შეასრულა არაჩვეულებრივად დიდი როლი. შეიძლება კიდევაც ვამტკიცოთ, რომ შეუძლებელია რუსეთის რევოლუციის მოვლენებისა და მისი პოლიტიკური ფორმების შეცვლის გაგება, თუ გ ა ფ ი ც ვ ა თ ა ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ი თ არ იქნება შესწავლილი ამ მოვლენებისა და ფორმათა ამ ცვლის ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი.

მე ძალიან კარგად ვიცი, რამდენად არ შეეფერება ზეპირ მოხსენებას მშრალი სტატისტიკური ციფრები, რამდენად შეუძლიათ მათ მსმენელის დაფრთხობა. მაგრამ მაინც არ შემიძლია არ მოვიყვანო რამდენიმე დამრგვალებული ციფრი, რათა შესაძლებლობა გვექნეს შევაფასოთ მთელი მოძრაობის ნამდვილი ობიექტური საფუძველი. გაფიცულთა საშუალო წლიური ციფრი რუსეთში 10 წლის განმავლობაში რევოლუციამდე უდრიდა 43 ათასს. მაშასადამე, გაფიცულთა საერთო რაოდენობა რევოლუციამდე მთელი ათი წლის გან-

ძავლობაში შეადგენდა 430 ათასს. 1905 წლის იანვარში, რევოლუციის პირველ თვეში, გაფიცულთა რიცხვი უდრიდა 440 ათასს. მაშასადამე, მარტო ერთი თვის განმავლობაში უფრო მეტი იყო, ვიდრე მთელ წინა ათწლეულში!

მსოფლიოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნებშიც კი, როგორიც არიან, მაგალითად, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, მსოფლიოს არ უნახავს ისეთი გრანდიოზული საგაფიცვო მოძრაობა, როგორიც იყო რუსეთში 1905 წელს. გაფიცულთა საერთო რაოდენობა უდრიდა 2 მილიონ 800 ათასს, ფაბრიკების მუშათა საერთო რიცხვის ორჯერ მეტს! ეს, რა თქმა უნდა, არ ამტკიცებს, რომ ქალაქის ფაბრიკის მუშები რუსეთში იყვნენ უფრო განათლებულნი, ან უფრო ძლიერნი, ან უფრო მომზადებულნი ბრძოლისათვის, ვიდრე მათი ძმები დასავლეთ ევროპაში. მართალია სწორედ პირიქით.

მაგრამ ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი შეიძლება იყოს პროლეტარიატის მთვლემარე ენერგია. ეს მოწმობს, რომ რევოლუციურ ეპოქაში, — მე ამას ვამტკიცებ სრულიად გაუზვიადებლად, რუსეთის ისტორიის უაღრესად ზუსტი მონაცემების საფუძველზე, — პროლეტარიატს შეუძლია ბრძოლის ენერგია განავითაროს ასჯერ უფრო მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ მშვიდობიან დროს. ეს იმას მოწმობს, რომ კაცობრიობამ 1905 წლამდე კიდევ არ იცოდა, თუ რა დიდი, რა გრანდიოზული შეიძლება იყოს და იქნება პროლეტარიატის ძალთა დაძაბვა, თუ საქმე იმას შეეხება, რომ იბრძოლოს ნამდვილად დიადი მიზნებისათვის, იბრძოლოს ნამდვილად რევოლუციურად!

რუსეთის რევოლუციის ისტორია გვიჩვენებს, რომ სწორედ ავანგარდი, დაქირავებული მუშების რჩეული ელემენტები აწარმოებდნენ ბრძოლას უდიდესი სიმტკიცითა და უდიდესი თავგანწირულებით. რაც უფრო დიდი იყო ქარხნები, მით უფრო შეუდრეკელად ტარდებოდა გაფიცვები, მით უფრო ხშირად მეორდებოდნენ ისინი ერთსა და იმავე წელს. რაც უფრო დიდი იყო ქალაქი,

ბით უფრო მნიშვნელოვანი იყო ბრძოლაში პროლეტარიატის როლი. სამი დიდი ქალაქი, რომლებშიც ცხოვრობენ ყველაზე უფრო შეგნებული და ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მუშები, პეტერბურგი, რიგა და ვარშავა, იძლევიან გაფიცულთა შეუდარებლად მეტ რიცხვს მუშათა საერთო რიცხვთან შედარებით, ვიდრე ყველა სხვა ქალაქი, რომ აღარაფერი ვთქვათ სოფელზე.

მელითონელები წარმოადგენენ რუსეთში, ალბათ ისევე, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, --- პროლეტარიატის მოწინავე რაზმს. და აქ ჩვენ ვხედავთ შემდეგ საგულისხმო ფაქტს: რუსეთის ფაბრიკის მუშათა თვითეულმა ასეულმა, საზოგადოდ, 1905 წელს მოგვცა 160 გაფიცული. მაშინ როცა მ ე ლ ი თ ო ნ ე თ ა თვითეულმა ასეულმა იმავე წელს მოგვცა 320 გაფიცული! გამოანგარიშებათა მიხედვით ფაბრიკის თვითეული რუსი მუშა 1905 წელს საშუალოდ კარგავდა გაფიცვის შედეგად 10 მანეთს,---დაახლოებით 26 ფრანკს ომამდელი კურსის მიხედვით, ასე ვთქვათ, სწირავდა მას ბრძოლისათვის. ხოლო მარტოოდენ მელითონელებს თუ ავიღებთ, ჩვენ მივიღებთ ს ა მ ჯ ე რ მ ე ტ თანხას! წინ მიდიოდნენ მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტები, რომელთაც თან მიჰყავდათ მერყევნი, აღვიძებდნენ მძინარეთ და ამხნევებდნენ სუსტებს.

განსაკუთრებით თავისებური იყო რევოლუციის დროს ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვათა გადახლართვა. ეჭვს გარეშეა, რომ გაფიცვათა ამ ორი ფორმის მხოლოდ მეტად ძვიდრო კავშირი უზრუნველყოფდა მოძრაობის დიდ ძალას. ექსპლოატირებულთა ფართო მასების რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმა არასგზით არ შეიძლებოდა, რომ ამ მასებს ყოველდღე თვითონვე არ ენახათ მაგალითები, თუ როგორ აიძულებდნენ კაპიტალისტებს მრეწველობის სხვადასხვა დარგის დაქირავებული მუშები თავისი მდგომარეობის უშუალო, დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას. ამ ბრძოლის გამო რუსეთის ხალხის მთელ მასაში ახალმა სიომ დაჰბერა. მხოლოდ ახლა მოიშორა თავიდან ბატონყმურმა, დათვური ძილით შე-

პყრობილმა, პატრიარქალურმა, კეთილმორწმუნე და მორჩილმა რუსეთმა დახავსებული ადამი; მხოლოდ ახლა მიიღო რუსეთის ხალხმა ნამდვილი დემოკრატიული, ნამდვილი რევოლუციური აღზრდა.

თუ ბურჟუაზიული ვაჟბატონები და მათი უკრიტიკო დამჭაშები, სოციალისტური რეფორმისტები, ასეთი ყოყოჩობით ლაპარაკობენ მასების «აღზრდის» შესახებ, მათ ჩვეულებრივ აღზრდა წარმოდგენილი აქვთ რაღაც სკოლურად, პედანტურად, ისეთ რამედ, რაც მასების დემორალიზაციას ახდენს, მათში ბურჟუაზიულ ცრურწმენებს ნერგავს.

მასების ნამდვილი აღზრდა არასოდეს არ შეიძლება დაცილებულ იქნეს თვით მასის დამოუკიდებელი პოლიტიკური და განსაკუთრებით რევოლუციური ბრძოლისაგან. მხოლოდ ბრძოლა აღზრდის ექსპლოატირებულ კლასს, მხოლოდ ბრძოლა უჩვენებს მას თავის ძალთა საზომს, აფართოებს მის ჰორიზონტს, ამაღლებს მის უნარიანობას, ანათლებს მის გონებას და ჭედს მის ნებისყოფას. და ამიტომ თვით რეაქციონერებიც კი იძულებულნი იყვნენ ელიარებინათ, რომ 1905 წელმა, ბრძოლის წელმა, «გიჟმა წელმა», საბოლოოდ დასაძარა პატრიარქალური რუსეთი.

გავარჩიოთ უფრო ახლოს თანაფარდობა რუსეთის მელითონეებსა და ფეიქრებს შორის საგაფიცვო ბრძოლის დროს 1905 წელს. მელითონეები წარმოადგენენ ყველაზე უკეთესი ხელფასის მქონე, ყველაზე შეგნებულ, ყველაზე კულტურულ პროლეტარებს. ფეიქარი მუშები, რომელთა რაოდენობა რუსეთში 1905 წელს ორნახევარჯერ და მეტად აღემატებოდა მელითონეთა რაოდენობას, წარმოადგენენ ყველაზე ჩამორჩენილ, ყველაზე ცუდი ხელფასის მქონე მასას, რომელსაც ხშირად ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გაუწყვეტია კავშირი საკუთარ გლეხ ნათესაობასთან სოფლად. და აქ ჩვენ ვხვდებით შემდეგ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას.

მელითონეთა გაფიცვები მთელი 1905 წლის განმავლობაში იძლევიან პოლიტიკური გაფიცვის გადაჭარბებას ეკონომიურთან შედარებით, თუმცა წლის დასაწყისს ეს გადაჭარ-

ბება ჯერ კიდევ არც იმდენად დიდია, როგორც წლის დამ-ლევს. პირიქით, ფეიქრებში ჩვენ ვხედავთ 1905 წლის დასაწყისს ეკონომიური გაფიცვების კოლოსალურ გადაჭარბებას, რომელიც მხოლოდ წლის დამლევს იცვლება პოლიტიკური გაფიცვის გადაჭარბებით. აქედან სრული სიცხადით გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას, მხოლოდ თავისი მდგომარეობის დაუყოვნებლივ, უშუალო გაუმჯობესებისათვის ბრძოლას შესწევს უნარი აამოძრაოს ექსპლოატირებული მასის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენები. იგი აძლევს მათ ნამდვილ აღზრდას და ხდის მათ — რევოლუციურ ეპოქაში — რამდენიმე თვის განმავლობაში პოლიტიკურ მებრძოლთა არმიად.

რა თქმა უნდა, ამისათვის საჭირო იყო, რომ მუშათა მოწინავე რაზმს არ მიეჩნია კლასობრივ ბრძოლად მცირეოდენ ზედაფენის ინტერესებისათვის ბრძოლა, როგორც ამის შთაგონებას მუშებისათვის ძალიან ხშირად ცდილობდნენ რეფორმისტები, არამედ საჭირო იყო პროლეტარები ნამდვილად გამოსულიყვნენ ექსპლოატირებულთა უმრავლესობის ავანგარდის სახით, ჩაებათ ბრძოლაში ეს უმრავლესობა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი 1905 წელს რუსეთში და როგორც უნდა მოხდეს ეს და, ყოველივე ეჭვს გარეშე, მოხდება ევროპაში მომავალი პროლეტარული რევოლუციის დროს.

1905 წლის დასაწყისს მოჰყვა საგაფიცვო მოძრაობის პირველი დიდი ტალღა მთელ ჩვენს ქვეყანაში. უკვე ამ წლის გაზაფხულზე ჩვენ ვხედავთ რუსეთში გ ლ ე ხ თ ა პირველი დიდი, არა მარტო ეკონომიური, არამედ აგრეთვე პოლიტიკური მ ო ძ რ ა ო ბ ი ს გამოღვიძებას. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს, რომელიც მობრუნებას წარმოადგენდა ისტორიისათვის, შეუძლია მხოლოდ იმან გაიგოს, ვინც მოიგონებს, რომ გლეხობა რუსეთში მხოლოდ 1861 წელს განთავისუფლდა უმძიმესი ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, რომ გლეხები უმრავლესად წერა-კითხვის უცოდინარნი არიან, ცხოვრობენ აუწერელ გაჭირვებაში, მემამულეებისაგან დაჩაგრულნი, ხუცებისაგან გაბრუებულნი, ერთი-

მეორისაგან განცალკევებულნი უზარმაზარი მანძილით და თითქმის სრული უგზოობით.

1825 წელს რუსეთმა პირველად დაინახა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობა, და ეს მოძრაობა წარმოდგენილი იყო თითქმის მხოლოდ თავადაზნაურებით. იმ მომენტიდან 1881 წლამდე, როცა ალექსანდრე II მოკლეს ტერორისტებმა, მოძრაობის სათავეში იდგნენ ინტელიგენტები საშუალო წოდებიდან. მათ უდიდესი თავგანწირვა გამოიჩინეს და თავისი ბრძოლის გმირული ტერორისტული მეთოდით მთელი მსოფლიოს განცვიფრება გამოიწვიეს. უეჭველია, ეს მსხვერპლი ტყუილ-უბრალოდ არ იყო გაღებული, უეჭველია, მან ხელი შეუწყო — პირდაპირ თუ არაპირდაპირ — რუსეთის ხალხის შემდგომ რევოლუციურ აღზრდას. მაგრამ თავის უშუალო მიზანს, სახალხო რევოლუციის გამოწვევას, მან ვერ მიაღწია და არც შეეძლო მიეღწია.

ეს შეძლო მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ. მხოლოდ მასობრივი გაფიცვების ტალღებმა, რომლებმაც მთელ ჩვენს ქვეყანაზე გადაიარა, რუსეთ-იაპონიის იმპერიალისტური ომის სასტიკ გაკვეთილებთან დაკავშირებით, გამოაღვიძა გლეხობის ფართო მასები ლეთარგიული ძილისაგან. სიტყვა «გაფიცულმა» მიიღო გლეხებში სრულიად ახალი მნიშვნელობა: იგი გამოხატავდა რაღაც მეამბოხის მაგვარს, რევოლუციონერს, რაც წინათ გამოითქმებოდა სიტყვა «სტუდენტით». მაგრამ რამდენადაც «სტუდენტი» ეკუთვნოდა საშუალო წოდებას, «მეცნიერებს», «ბატონებს», ის ხალხისათვის უცხო იყო. პირიქით, «გაფიცული» თვით ხალხიდან გამოვიდა, თვით ეკუთვნოდა ექსპლოატირებულთა რიცხვს. პეტერბურგიდან გადასახლებული, ის ძალიან ხშირად სოფელში ბრუნდებოდა და თავის სოფლელ ამხანაგებს უამბობდა იმ ხანძრის შესახებ, რომელიც ედებოდა ქალაქებს და რომელსაც უნდა გაენადგურებინა როგორც კაპიტალისტები, ისე თავადაზნაურები. რუსეთის სოფელში გამოჩნდა ახალი ტიპი — შეგნებული ახალგაზრდა გლეხი. მას «გაფიცულებთან» ურთიერთობა ჰქონდა, ის კითხულობდა გაზეთებს, ის უყვებოდა

გლეხებს ქალაქებში მომხდარ ამბებს, ის უხსნიდა სოფლელ ამხანაგებს პოლიტიკურ მოთხოვნათა მნიშვნელობას, ის მოუწოდებდა მათ ებრძოლათ მსხვილ მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა, ხუცებისა და მოხელეთა წინააღმდეგ.

გლეხები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, იხილავდნენ თავიანთ მდგომარეობას და თანდათანობით ებმებოდნენ ბრძოლაში: გროვა-გროვად მიდიოდნენ ისინი მსხვილ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ, წვავდნენ მათ სასახლეებს და კარმიდამოს ან ართმევდნენ მათ მარაგს, ეპატრონებოდნენ პურს და ცხოვრებისათვის საჭირო სხვა სურსათ-სანოვაგეს, ხოცავდნენ პოლიციელებს, მოითხოვდნენ თავადაზნაურთა უზარმაზარი მამულების მიწის გადაცემას ხალხისათვის.

1905 წლის გაზაფხულზე გლეხთა მოძრაობა მხოლოდ ჩანასახად იყო, იგი მოედო მხოლოდ მაზრების უმცირესობას, დაახლოებით მათ მეშვიდედ ნაწილს.

მაგრამ საკმარისი იყო ქალაქების პროლეტარული მასობრივი გაფიცვა შეერთებოდა სოფლის გლეხთა მოძრაობას, რომ შერყეულიყო ცარიზმის ყველაზე «მტკიცე» და უკანასკნელი დასაყრდენი. მე მხედველობაში მყავს ა რ მ ი ა.

იწყება ს ა მ ხ ე დ რ ო ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა თ ა ხანა ფლოტსა და არმიაში. რევოლუციის დროს საგაფიცვო და გლეხთა მოძრაობის ტალღის ყოველ აზვირთებას თან სდევს ჯარისკაცთა აჯანყებები რუსეთის ყველა კუთხეში. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია აჯანყება შავი ზღვის ჯავშნოსან «თავად პოტიომკინზე», რომელიც ხელში ჩაუვარდა აჯანყებულებს და მონაწილეობას იღებდა რევოლუციაში ოდესაში, ხოლო რევოლუციის დამარცხებისა და სხვა ნავსადგურთა (მაგალითად, ფეოდოსიისა ყირიმში) ხელში ჩაგდების ცდების მარცხით გათავების შემდეგ დანებდა რუმინეთის ხელისუფალთ კონსტანცაში.

ნება მომეცით დაწვრილებით გიამბოთ ერთი პატარა ეპიზოდი შავი ზღვის ფლოტის ამ აჯანყებიდან, რომ თქვენ მიიღოთ მოვლენათა კონკრეტული სურათი მათი განვითარების უმაღლეს წერტილზე:

«იმართებოდა რევოლუციური მუშებისა და მატროსების კრებები; კრებები სულ ხშირი და ხშირი ხდებოდა. რადგანაც სამხედრო პირებს არ უშვებდნენ მუშათა მიტინგებზე, მუშებმა მასობრივად იწყეს სამხედრო მიტინგებზე სიარული. იკრიბებოდნენ ათასობით. შეერთებულად გამოსვლის იდეამ ცოცხალი გამოძახილი პოვა. უფრო შეგნებულ ასეულებში ირჩევდნენ დეპუტატებს.

მაშინ სამხედრო სარდლობამ გადაწყვიტა ზომების მიღება. მიტინგებზე ცალკეული ოფიცრების მიერ «პატრიოტული» სიტყვების წარმოთქმის ოდენ მეტად სავალალო შედეგებს იძლეოდა: დისკუსიებს მიჩვეული მატროსები თავიანთ უფროსებს სამარცხვინოდ უკუაქცევდნენ. ამგვარი მარცხის გამო გადაწყდა საერთოდ მიტინგების აკრძალვა. 1905 წლის 24 ნოემბერს დილით ფლოტის ყაზარმების ჭიშკართან დააყენეს საომრად დაწყობილი ასეული სრული საბრძოლო აღჭურვილობით. კონტრადმირალმა პისარევსკიმ ყველას გასაგონად გასცა ბრძანება: «არავინ გამოუშვათ ყაზარმიდან! დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ესროლეთ». იმ ასეულისთვის, რომელისადმიც გაცემული იყო ეს ბრძანება, გამოვიდა მატროსი პეტროვი, ყველას თვალწინ გატენა თავისი შაშხანა, ერთი გასროლით მოკლა შტაბს-კაპიტანი შტეინი ბელოსტოკის პოლკიდან, ხოლო მეორე გასროლით დაჭრა კონტრადმირალი პისარევსკი. გაისმა ოფიცრის ბრძანება: «დაპატიმრეთ ის!». ადგილიდან არავინ დაძრულა. პეტროვმა თოფი ძეწაზე დაიგდო. «რას გაჩერებულხართ? წამიყვანეთ!». ის შეიპყრეს. ყოველი მხრიდან შეგროვილი მატროსები აღელვებულნი მოითხოვდნენ მის განთავისუფლებას, აცხადებდნენ, რომ ისინი მისთვის პასუხისმგებლობას კისრულობენ. მღელვარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

— პეტროვ, გასროლა შემთხვევითი იყო, ხომ? — ჰკითხა ოფიცერმა, რომ გამოენახა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი.

— რატომ შემთხვევითი! მე გამოვედი წინ, გავტენე შაშხანა და დავუმიზნე, განა ეს შემთხვევითია?

— ისინი შენს განთავისუფლებას მოითხოვენ...

და პეტროვი გაათავისუფლეს. მაგრამ მატროსები ამით არ დაკმაყოფილდნენ: ყველა მორიგე ოფიცერი შეიპყრეს, იარაღი აჰყარეს და კანცელარიაში წაიყვანეს... მატროსების დელეგატები დაახლოებით 40 კაცის რაოდენობით მთელ ღამეს თათბირობდნენ. გადაწყვიტეს ოფიცრები გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ყაზარმებში აღარ შეეშვათ»....

ეს პატარა სურათი ნათლად გიჩვენებთ, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები უმრავლეს შემთხვევაში სამხედრო აჯანყებათა დროს. რევოლუციური დულილი ხალხში არ შეიძლებოდა ჯარსაც არ მოსდებოდა. დამახასიათებელია, რომ

მოძრაობის ბელადებს იძლეოდნენ სამხედრო ფლოტისა და არმიის ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, რომელნიც გაწვეულნი იყვნენ უმთავრესად სამრეწველო მუშებიდან და რომლებისთვისაც სავალდებულო იყო უფრო მეტი ტექნიკური მომზადება, მაგალითად, მესანგრეები. მაგრამ ფართო მასები ჯერ კიდევ მეტად გულუბრყვილონი იყვნენ, მეტად მშვიდად, მეტად გულკეთილად, მეტად ქრისტიანულად იყვნენ განწყობილნი ისინი აენთებოდნენ ხოლმე საკმაოდ ადვილად, უსამართლობის ყოველგვარ შემთხვევას, ოფიცერთა მეტად უხეშ მოპყრობას, ცუდ კვებას და სხვ. შეეძლო აღშფოთება გამოეწვია მაგრამ არ ყოფნიდათ გამძლეობა, არ ჰქონდათ ამოცანის ნათელი შეგნება: არ ყოფნიდათ იმის საკმაო შეგნება, რომ შეიარაღებული ბრძოლის მხოლოდ მეტად ენერგიული განგრძობა, მხოლოდ ყველა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებაზე გამარჯვება, მხოლოდ მთავრობის ჩამოგდება და მთელ სახელმწიფოში ძალაუფლების დაპყრობა წარმოადგენს რევოლუციის წარმატების ერთადერთ გარანტიას.

მატროსთა და ჯარისკაცთა ფართო მასები ამბოხებას ადვილად იწყებდნენ. მაგრამ ასევე ადვილად სჩადიოდნენ ისინი იმ გულუბრყვილო სისულელეს, რომ ათავისუფლებდნენ შეპყრობილ ოფიცრებს; ისინი თავს აწყნარებინებდნენ უფროსებს აღთქმებითა და შეპირებებით; ამგვარად, უფროსები იგებდნენ ძვირფას დროს, ღებულობდნენ დამხმარე ძალებს, ამარცხებდნენ აჯანყებულთა ძალებს, და შემდეგ ამას მოსდევდა აჯანყების უსასტიკესი ჩაქრობა და ბელადების სიკვდილით დასჯა.

განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის 1905 წლის სამხედრო აჯანყებათა შედარება 1825 წლის დეკაბრისტების სამხედრო აჯანყებასთან. მაშინ პოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელობა თითქმის მხოლოდ ოფიცრებს ეკუთვნოდა, და სახელდობრ თავადაზნაურ ოფიცრებს; ისინი გამსჭვალულნი იყვნენ ევროპის დემოკრატიული იდეებით, რომლებსაც გაეცნენ ნაპოლეონის ომების დროს. ჯარისკაცთა მასას,

რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ყმა გლეხები შეადგენდნენ, თავი ჰასიურად ეჭირა.

1905 წლის ისტორია სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვაძლევს. ოფიცრები, მცირე გამონაკლისს გარდა, მაშინ განწყობილი იყვნენ ან ბურჟუაზიულ-ლიბერალურად, რეფორმისტულად, ანდა პირდაპირ კონტრრევოლუციურად. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მუშები და გლეხები აჯანყების სული და გული იყვნენ; მოძრაობა ხალხური შეიქნა. პირველად რუსეთის ისტორიაში მან მოიცვა ექსპლოატირებულთა უმრავლესობა. თუ რაიმე აკლდა მას, ეს იყო, ერთი მხრივ, გამძლეობა, სიმტკიცე მასებისა, რომელნიც მეტად დაავადებულნი იყვნენ ნდობით; მეორე მხრივ, საკმაოდ არ იყვნენ დარაზმულნი სამხედრო მუნდირებში გამოწყობილი რევოლუციური სოციალ-დემოკრატი მუშები: მათ არ შესწევდათ უნარი ხელმძღვანელობა ეკისრნათ, რევოლუციურ არმიას სათავეში ჩასდგომოდნენ და გადასულიყვნენ შეტევაზე მთავრობის ხელისუფლების წინააღმდეგ.

აქვე უნდა ვთქვათ, — შეიძლება უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ გვსურს, მაგრამ სამაგიეროდ უეჭველად, — ეს ორი ნაკლი მოისპობა არა მხოლოდ კაპიტალიზმის საერთო განვითარებით, არამედ ახლანდელი ომითაც...

ყოველ შემთხვევაში, რუსეთის რევოლუციის ისტორია, ისე როგორც 1871 წლის პარიზის კომუნის ისტორია, გვაძლევს უტყუარ გაკვეთილს, რომ მილიტარიზმი არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამარცხდეს და მოისპოს სხვა რაიმე საშუალებით, თუ არა მხოლოდ სახალხო არმიის ერთი ნაწილის ძლევამოსილი ბრძოლით მისი მეორე ნაწილის წინააღმდეგ. არ კმარა მხოლოდ სიტყვით შემუსრო, შეაჩვენო, «უარყო» მილიტარიზმი, გააკრიტიკო ის და დაასაბუთო მისი მავნებლობა; სისულელეა მშვიდობიანად თქვა უარი სამხედრო სამსახურზე, — ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაძაბული შევინარჩუნოთ პროლეტარიატის რევოლუციური შეგნება და ამასთან არა მხოლოდ ზოგადად, არამედ კონკრეტულად ვამზადოთ მისი საუკეთესო ელემენ-

ტები იმისათვის, რომ ხალხში უღრმესი მღელვარების მომენტში ისინი სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციურ არმიას.

ამასვე გვასწავლის ჩვენ ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფოს ყოველდღიური გამოცდილება. თვითეული «პატარა» კრიზისი, რომელსაც ასეთი სახელმწიფო განიცდის, მინიატიურულად გვიჩვენებს იმ ბრძოლების ელემენტებსა და ჩანასახებს, რომელნიც დიდი კრიზისის პერიოდში აუცილებლად უნდა განმეორდნენ დიდი მასშტაბით. და სხვას რას წარმოადგენს, მაგალითად, რომელიმე გაფიცვა, თუ არ კაპიტალისტური საზოგადოების პატარა კრიზისს? განა მართალი არ იყო პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ფონ პუტკამერი, როცა წარმოთქვა თავისი ცნობილი გამოთქმა: «ყოველი გაფიცვიდან გამოიყურება რევოლუციის გველეშაპიო». ჯარისკაცთა გამოწვევა გაფიცვების დროს ყველგან, თვით — უკაცრავად პასუხია — ყველაზე მშვიდობიან, ყველაზე «დემოკრატიულ» კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, განა არ გვიჩვენებს, თუ რ ო გ ო რ ი იქნება საქმის ვითარება ნამდვილად დ ი დ ი კრიზისების დროს?

მაგრამ კვლავ ვუბრუნდები რუსეთის რევოლუციის ისტორიას.

მე ვცადე დამეხატა თქვენთვის, თუ როგორ შესძრეს მუშათა გაფიცვებმა მთელი ქვეყანა და ექსპლოატირებულთა ყველაზე ფართო, ყველაზე ჩამორჩენილი ფენები, თუ როგორ დაიწყო გლეხთა მოძრაობა, როგორ თან სდევდა მას სამხედრო აჯანყებები.

1905 წლის შემოდგომაზე მთელმა მოძრაობამ მიაღწია თავის უმაღლეს წერტილს. 19 (6) აგვისტოს გამოიცა მეფის მანიფესტი წარმომადგენლობითი დაწესებულების შესახებ. ეგრეთწოდებული ბულიგინის სათათბირო უნდა შექმნილიყო იმ საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც გულისხმობდა ამომრჩეველთა კურიოზულად მცირე რაოდენობას და არ ანიჭებდა ამ თავისებურ «პარლამენტს» არავითარ საკანონმდებლო უფლებას, გარდა ს ა თ ა თ ბ ი რ ო, საკონსულტაციო უფლებებისა!

ბურჟუაზია, ლიბერალები, ოპორტუნისტები მზად იყვნენ ორივე ხელით ჩაბღაუჭებოდნენ დამფრთხალი მეფის ამ «საჩუქარს». მსგავსად ყველა რეფორმისტისა, 1905 წლის ჩვენმა რეფორმისტებმა ვერ გაიგეს, რომ არის ხოლმე ისეთი ისტორიული სიტუაციები, როცა რეფორმები, განსაკუთრებით კი რეფორმების დაპირებანი, ისახავენ მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ ერთ მიზანს: შეაჩერონ ხალხის მღელვარება, აიძულონ რევოლუციური კლასი შეწყვიტოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეასუსტოს ბრძოლა.

რუსეთის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ კარგად გაიგო ჭეშმარიტი ხასიათი მოჩვენებითი კონსტიტუციის ამ ბოძებისა, ამ ჩუქებისა 1905 წლის აგვისტოში. და ამიტომაც მან ერთი წუთითაც არ დააყოვნა, და გადმოისროლა ლოზუნგი: ძირს რჩეული სათათბირო! ბოიკოტი სათათბიროს! ძირს მეფის მთავრობა! რევოლუციური ბრძოლის განგრძობა ამ მთავრობის ჩამოგდების მიზნით! არა მეფემ, არამედ დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ უნდა მოიწვიოს რუსეთში პირველი ჭეშმარიტი სახალხო წარმომადგენლობა!

ისტორიამ დაამტკიცა რევოლუციური სოციალ-დემოკრატების სიმართლე იმით, რომ ბ უ ლ ი გ ი ნ ი ს ს ა თ ა თ ბ ი რ ო არასოდეს არ ყოფილა მოწვეული. იგი წალეკა რევოლუციურმა ქარტეხილმა უფრო ადრე, ვიდრე ის მოწვეული იქნებოდა; ამ ქარტეხილმა აიძულა მეფე გამოეცა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ადიდებდა ამომრჩეველთა რაოდენობას, და ეღიარებინა სათათბიროს საკანონმდებლო ხასიათი.

1905 წლის ოქტომბერი და დეკემბერი მოასწავებენ რუსეთის რევოლუციის აღმავალი ხაზის უმაღლეს წერტილს. ხალხის რევოლუციური ძალების ყველა წყარო აჩქეფდა ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე წინათ. გაფიცულთა რაოდენობამ, რომელიც 1905 წლის იანვარში, როგორც უკვე გაცნობეთ, შეადგენდა 440 ათასს, 1905 წლის ოქტომბერში ნახევარ მილიონს გადააჭარბა (დაიხსომეთ, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში!). მაგრამ ამ რაოდენობას, რომელიც შეიცავს

მხოლოდ ფაბრიკის მუშებს, უნდა მიემატოს კიდევ რამდენიმე ასეული ათასი რკინიგზის მუშა, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე და სხვ.

რუსეთის რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვამ შეაჩერა რკინიგზის მოძრაობა და ყველაზე გადამწყვეტი სახით დამბლა დასცა მთავრობის ძლიერებას. გაიღო უნივერსიტეტების კარები, და აუდიტორიები, რომელნიც მშვიდობიან დროს მხოლოდ იმას ემსახურებოდნენ, რომ გაებრუებიათ ახალგაზრდა ადამიანები პროფესორული კათედრული სიბრძნით და გადაექციათ ისინი ბურჟუაზიისა და ცარიზმის მორჩილ მსახურებად, ახლა იქცნენ შესაკრებ ადგილებად მრავალი ათასი მუშებისა, ხელოსნებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც აშკარად და თავისუფლად მსჯელობდნენ პოლიტიკურ საკითხებზე.

მოპოვებულ იქნა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. ცენზურა პირდაპირ გაუქმდა. ვერც ერთი გამომცემელი ვერ ბედავდა წარედგინა ხელისუფალთათვის სავალდებულო ეგზემპლარი, ხოლო ხელისუფალნი ვერ ბედავდნენ მიეღოთ ამის საწინააღმდეგოდ რაიმე ზომები. პირველად რუსეთის ისტორიაში თავისუფლად გამოჩნდნენ პეტერბურგში და სხვა ქალაქებში რევოლუციური გაზეთები. მარტო პეტერბურგში გამოდიოდა სამი ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი 50-დან 100 ათას ეგზემპლარამდე ტირაჟით.

პროლეტარიატი მოძრაობის სათავეში მიდიოდა. მან თავის ამოცანად დაისახა 8 საათიანი სამუშაო დღის მოპოვება რევოლუციური გზით. მაშინ პეტერბურგის პროლეტარიატის საბრძოლო ლოზუნგი იყო: «8 საათიანი დღე და იარაღი!». მუშების სულ უფრო და უფრო მზარდი მასებისათვის აშკარა ხდებოდა, რომ რევოლუციის ბედის გადაწყვეტა შეუძლია და მას გადაწყვეტს მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლა.

ბრძოლის ცეცხლში შეიქმნა თავისებური მასობრივი ორგანიზაცია: სახელოვანი მუშათა დეპუტატების საბჭოები, ყველა ფაბრიკის დელეგატთა კრებები. ეს მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთის

რამდენიმე ქალაქში სულ უფრო და უფრო მეტად იწყებდნენ დროებითი რევოლუციური მთავრობის როლის, აჯანყებათა ორგანოებისა და ხელმძღვანელების როლის შესრულებას. იყო ცდები ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოების შექმნისა და მათი შეერთებისათვის მუშათა დეპუტატების საბჭოებთან.

რუსეთის ზოგიერთი ქალაქი იმ დღეებში განიცდიდა პერიოდს სხვადასხვა ადგილობრივი პატარა «რესპუბლიკებისას», რომლებშიც მთავრობის ხელისუფლება გადაყენებულ იქნა და მუშათა დეპუტატების საბჭო ნამდვილად მოქმედებდა როგორც ახალი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. სამწუხაროდ, ეს პერიოდები მეტად ხანმოკლე იყო, «გამარჯვებანი» მეტად სუსტი, მეტად იზოლირებული.

1905 წლის შემოდგომაზე გლეხთა მოძრაობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. მაზრების მესამედზე მეტი მთელ ქვეყანაში მაშინ მოცული იყო ეგრეთწოდებული «გლეხთა არეულობებით» და გლეხთა ნამდვილი აჯანყებებით. გლეხებმა გადაწვეს 2 ათასამდე კარმიდამო და ურთიერთშორის გაინაწილეს თავადაზნაურ მტაცებელთა მიერ ხალხისაგან ნაძარცვი საარსებო საშუალებანი.

სამწუხაროდ, ეს მუშაობა ძალიან ნაკლებ საფუძვლიანი იყო! სამწუხაროდ, გლეხებმა მაშინ მოსპეს მხოლოდ მეთხუთმეტედი წილი თავადაზნაურთა კარმიდამოების საერთო რაოდენობისა, მხოლოდ მეთხუთმეტედი ნაწილი იმისა, რაც მათ უნდა მოესპოთ, რათა ბოლომდე აღეგავათ პირისაგან რუსეთის მიწისა სამარცხვინო მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა. სამწუხაროდ, გლეხები მოქმედებდნენ მეტად დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, ვერ იჩენდნენ სათანადო შეტევითს უნარს, და ეს არის რევოლუციის დამარცხების ერთი ძირითადი მიზეზთაგანი.

რუსეთის ჩაგრულ ხალხთა შორის იფეთქა განმათავისუფლებელმა ნაციონალურმა მოძრაობამ. რუსეთში მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თითქმის სამი მეხუთედი (ზუსტად: 57 პროც.) განიცდის ნაციონალურ ჩაგვ-

რას, ისინი არ სარგებლობენ დედაენის თავისუფლებითაც კი, მათ ძალმომრეობით არუსებენ. მაგალითად, მუსლიმანებმა, რომელნიც რუსეთის მოსახლეობის ათეულ მილიონებს შეადგენენ, გასაოცარი სისწრაფით მოაწყვეს. მაშინ — ეს იყო საერთოდ ეპოქა სხვადასხვა ორგანიზაციების კოლოსალური ზრდისა — მუსლიმანთა კავშირი.

კრებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომ მიეცეს იმის მაგალითი. თუ მაშინდელ რუსეთში ნაციონალური განმათავისუფლებელ- მოძრაობა როგორ მიიწევდა ზევით მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით, მე მოგიყვანთ ერთ პატარა მაგალითს.

1905 წლის დეკემბერში ასობით სკოლებში პოლონელმა მოწაფეებმა დაწვეს ყველა რუსული წიგნი, სურათები და მეფის პორტრეტები, სცემეს და სკოლებიდან გააძევეს რუსი მასწავლებლები და რუსი ამხანაგები ყვირილით: «დაიკარგეთ აქედან, რუსეთში!». საშუალო სკოლების პოლონელი მოწაფეების მოთხოვნები, სხვათა შორის, შემდეგი იყო: «1) ყველა საშუალო სკოლა უნდა დაემორჩილოს მუშათა დეპუტატების საბჭოს; 2) მოწვეულ იქნეს მოწაფეთა და მუშათა გაერთიანებული კრებები სკოლის სადგომებში; 3) გიმნაზიებში წითელი ხალათების ტარების ნებართვა ნიშნად იმისა, რომ მოწაფეები ეკუთვნიან მომავალ პროლეტარულ რესპუბლიკას» და ა. შ.

რაც უფრო ზვირთდებოდა მოძრაობის ტალღები, მით უფრო მეტი ენერგიითა და სიმტკიცით იარაღდებოდა რეაქციის რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთის 1905 წლის რევოლუციაში გამართლდა ის, რასაც კ. კაუცკი წერდა 1902 წელს თავის წიგნში «სოციალური რევოლუცია» (აქვე უნდა ვთქვათ, რომ მაშინ ის ჯერ კიდევ რევოლუციური მარქსისტი იყო და არა სოციალ-პატრიოტებისა და ოპორტუნისტების დამცველი, როგორც ამჟამად არის). ის შემდეგს წერდა:

... «მომავალი რევოლუცია... უფრო ნაკლებად დაემსგავსება მთავრობის საწინააღმდეგო უეცარ აჯანყებას და უფრო მეტად — გაჭიანურებულ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ს».

ასეც მოხდა! უეჭველია, ეს ასეც იქნება ევროპის მომავალ რევოლუციაში!

ცარიზმის სიძულვილი წარიმართა განსაკუთრებით ებრაელების წინააღმდეგ. ერთი მხრივ, ებრაელები იძლეოდნენ რევოლუციური მოძრაობის ბელადების განსაკუთრებით მაღალ პროცენტს (ებრაელი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით). და ახლაც ებრაელებს აქვთ, შევნიშნავთ აქვე, ის დამსახურება, რომ ისინი იძლევიან ინტერნაციონალისტური მიმდინარეობის წარმომადგენელთა შეფარდებით მაღალ პროცენტს სხვა ხალხებთან შედარებით. მეორე მხრივ, ცარიზმი შესანიშნავად იყენებდა მოსახლეობის ყველაზე უფრო უმეცარი ფენების უსაძაგლეს ცრურწმენებს ებრაელების წინააღმდეგ, რათა მოეწყო დ ა რ ბ ე ვ ე ბ ი, თუ უშუალოდ არ გაუწევდა მათ ხელმძღვანელობას, — 100 ქალაქში ამ ხნის განმავლობაში ითვლიან 4 000-ზე მეტ მოკლულს, 10 000-ზე მეტ დასახიჩრებულს, — მოეწყო მშვიდობიანი ებრაელების, მათი ცოლებისა და ბავშვების ეს საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რამაც ასეთი ზიზღი გამოიწვია მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში. მე მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, ზიზღი ცივილიზებული მსოფლიოს ნამდვილად დემოკრატიული ელემენტებისა, ასეთებს კი წარმოადგენენ მ ხ ო ლ ო დ სოციალისტური მუშები, პროლეტარები.

ბურჟუაზია, დასავლეთ ევროპის თვით ყველაზე თავისუფალი, თვით რესპუბლიკური ქვეყნებისაც კი, ახერხებს «რუსულ მხეცობათა» შესახებ თავისი პირმოთნე ფრაზების შესანიშნავად შეთავსებას მეტად უსირცხვილო ფულად გარიგებებთან, განსაკუთრებით ცარიზმისადმი ფინანსურ დახმარებასთან და რუსეთის იმპერიალისტურ ექსპლოატაციასთან კაპიტალის ექსპორტის მეოხებით და სხვ.

თავის მწვერვალს 1905 წლის რევოლუციამ მიაღწია დეკემბრის აჯანყებით მოსკოვში. აჯანყებულთა, სახელდობრ შეკავშირებულ და შეიარაღებულ მუშათა, მცირე რაოდენობა — ისინი იყვნენ არა უმეტეს რ ვ ა ა თ ა ს ი ს ა — 9 დღის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა მეფის მთავრობას,

რომელიც მოსკოვის გარნიზონს ვერ ენდობოდა, — პირიქით, იძულებული იყო ის ჩაკეტილში ყოლოდა, — და რომელმაც მხოლოდ პეტერბურგიდან სემიონოვის პოლკის მოსვლის ბეოხებით შეძლო აჯანყების ჩახშობა.

ბურჟუაზიას უყვარს მოსკოვის აჯანყებას რაღაც ხელოვნური უწოდოს და ლანძღოს მას. მაგალითად, გერმანულ ენგრეთწოდებულ «მეცნიერულ» ლიტერატურაში ბატონმა პროფესორმა მაქს ვებერმა თავის დიდ შრომაში რუსეთის პოლიტიკური განვითარების შესახებ მოსკოვის აჯანყებას უწოდა «პუტჩი». «ლენინის ჯგუფი — წერს ეს «დიდად განსწავლული» ბატონი პროფესორი — და ესერების ნაწილი უკვე დიდი ხანია ამზადებდნენ ამ უ ა ზ რ ო აჯანყებასო».

სათანადოდ რომ შევაფასოთ მშიშარა ბურჟუაზიის ეს პროფესორული სიბრძნე, საკმაოა მხოლოდ აღვადგინოთ მეხსიერებაში გაფიცვების სტატისტიკის მშრალი ციფრები. 1905 წლის იანვარში რუსეთში იყო მხოლოდ 123 ათასი წმინდა პოლიტიკური გაფიცული, ოქტომბერში — 330 ათასი, დ ე კ ე მ ბ ე რ ში მ ი ღ წ ე უ ლ ი ქ ნ ა მ ა ქ ს ი მ უ მ ი, სახელდობრ 3 7 0 ა თ ა ს ი წმინდა პოლიტიკური გაფიცული ერთი თვის განმავლობაში! მოვიგონოთ რევოლუციის აზვირთებები, გლეხთა და ჯარისკაცთა აჯანყებები, და ჩვენ მაშინვე მივალთ რწმენამდე: ბურჟუაზიული «მეცნიერების» მსჯელობა დეკემბრის აჯანყების შესახებ არა მხოლოდ სისულელეა, ის წარმოადგენს სიტყვიერ თავდაძვრენას იმ მშიშარა ბურჟუაზიის წარმომადგენლების მხრივ, რომელიც პროლეტარიატში ხედავს თავის ყველაზე საშიშ კლასობრივ მტერს.

სინამდვილეში რუსეთის რევოლუციის მთელი განვითარება აუცილებლობით უბიძგებდა შეიარაღებული გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მეფის მთავრობასა და კლასობრივად შეგნებულ პროლეტარიატის ავანგარდს შორის.

ჩემს ზემოთ გადმოცემულ მოსაზრებებში მე უკვე აღვნიშნე, თუ რაში მდგომარეობდა რუსეთის რევოლუციის სისუსტე, რომელმაც მიიყვანა ის დროებით დამარცხებამდე.

დეკემბრის აჯანყების ჩახშობით იწყება რევოლუციის ბოლოდროინდელი ხანა. და ამ პერიოდშიც არის მეტისმეტად საინტერესო მომენტები; საკმარისია მხოლოდ მოვიგონოთ მუშათა კლასის ყველაზე უფრო მებრძოლი ელემენტების ორგანიზაცია, ცდა შეეჩერებინათ რევოლუციის უკანდახევა და მოემზადებინათ ახალი შეტევა.

მაგრამ ჩემი დრო თითქმის უკვე გავიდა, და მე არ მსურს ბოროტად გამოვიყენო ჩემი მსმენელების მოთმინება. ხოლო ის, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია რუსეთის რევოლუციის გასაგებად: მისი კლასობრივი ხასიათი და მისი მაძოძრავებელი ძალები, მისი ბრძოლის საშუალებები, მე მგონია, უკვე დავასურათე, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია ასეთი ბოგასტური საქმის ამოწურვა მოკლე მოხსენებაში.

კიდევ მხოლოდ რამდენიმე მოკლე შენიშვნა რუსეთის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ.

რუსეთი გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ისტორიულად ეკუთვნის არა მხოლოდ ევროპას, არამედ აზიასაც. და ამიტომაც ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის რევოლუციამ მიაღწია არა მარტო იმას, რომ მან სამუდამოდ გამოაღვიძა ძილისაგან ევროპის ყველაზე დიდი და ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა და შექმნა რევოლუციური ხალხი, რომელსაც რევოლუციური პროლეტარიატი ხელმძღვანელობს.

მან არა მარტო ამას მიაღწია. რუსეთის რევოლუციამ გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში ამტკიცებენ, რომ 1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავდება მრავალ ასეულ მილიონი ადამიანის წინმსწრაფ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას.

რუსეთის რევოლუციამ არაპირდაპირი გზით გავლენა მოახდინა იმ ქვეყნებზედაც, რომელნიც დასავლეთით მდებარეობენ. **არ უნდა დავიიწყოთ, რომ როგორც** კი 1905 წლის 30 ოქტომბერს ვენაში მივიდა დეპეშა მეფის კონსტიტუციური მანიფესტის შესახებ, ამ ცნობამ გადამწყვეტი როლი

ითამაშა ავსტრიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების საბოლოო გამარჯვების საქმეში.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობის სხდომის დროს, როცა ამხანაგი ელენბოგენი — მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო სოციალ-პატრიოტი, მაშინ ის კიდევ ამხანაგი იყო — აკეთებდა თავის მოხსენებას პოლიტიკური გაფიცვის შესახებ, მის წინ მაგიდაზე დადვეს ეს დეპეშა. კამათი მაშინვე შეწყდა. ჩვენი ადგილი ქუჩაშია! — აი რა ხმა გაისმა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის დელეგატთა სხდომების დარბაზში. და უახლოესმა დღეებმა იხილეს უდიდესი დემონსტრაციები ვენის ქუჩებში და ბარიკადები პრაღაში. ავსტრიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების გამარჯვება გადაწყდა.

ძალიან ხშირად გვხვდებიან დასავლეთ-ევროპელნი, როცა ისინიც რუსეთის რევოლუციაზე მსჯელობენ იმგვარად, თითქოს მოვლენებს, დამოკიდებულებებსა და ბრძოლის საშუალებებს ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში ძალიან მცირე მსგავსება აქვთ დასავლეთ-ევროპულ დამოკიდებულებებთან და ამიტომ საეჭვოა, რომ შეეძლოთ ჰქონდეთ რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა.

არა არის რა უფრო მცდარი, ვიდრე ამგვარი აზრი.

უეჭველია, მომავალი ბრძოლების ფორმები და საბაბნი ევროპის მომავალ რევოლუციაში მრავალი მხრით იქნებიან განსხვავებულნი რუსეთის რევოლუციის ფორმებისაგან.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის რევოლუცია — სწორედ თავისი პროლეტარული ხასიათის გამო ამ სიტყვის იმ განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომლის შესახებაც მე უკვე ვილაპარაკე, — რჩება ევროპის მომავალი რევოლუციის პ რ ო ლ ო გ ად. უეჭველია, ეს მომავალი რევოლუცია შეიძლება იქნეს მხოლოდ პროლეტარული რევოლუცია და ისიც ამ სიტყვის კიდევ უფრო ღრმა მნიშვნელობით: პროლეტარული, სოციალისტური თავისი შინაარსითაც. ეს მომავალი რევოლუცია გვიჩვენებს კიდევ უფრო მეტად, ერთი მხრივ, რომ მხოლოდ მძაფრ ბრძოლებს, სახელდობრ სამოქალაქო ომებს, შეუძლიათ კაცობრიობის განთავისუფლება

კაპიტალის უღლისაგან, ხოლო მეორე მხრივ, რომ მხოლოდ კლასობრივად შეგნებულ პროლეტარებს შეუძლიათ გამოვიდნენ და გამოვლენ ექსპლოატირებულთა უდიდესი უმრავლესობის ბელადებად.

ჩვენ არ უნდა გვატყუებდეს ახლანდელი სამარისებური სიჩუმე ევროპაში. ევროპა ფეხმძიმედაა რევოლუციით. იმპერიალისტური ომის გასაოცარი საშინელებანი, სიძვირის წამებანი ყველგან ბადებენ რევოლუციურ განწყობილებას, და გაბატონებული კლასები — ბურჟუაზია, და მათი ნოქრები — მთავრობები, სულ უფრო მეტად და მეტად ექცევიან ჩიხში, საიდანაც უდიდეს შერყევათა გარეშე მათ საერთოდ გამოსავალის მონახვა არ ძალუძთ.

მსგავსად იმისა, როგორც 1905 წელს რუსეთში პროლეტარიატის ხელმძღვანელობით დაიწყო სახალხო აჯანყება მეფის მთავრობის წინააღმდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვების მიზნით, ასევე უახლოესი წლები სწორედ ამ მტაცებლურ ომთან დაკავშირებით მიგვიყვანს ევროპაში სახალხო აჯანყებებამდე პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ფინანსური კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ, მსხვილი ბანკების წინააღმდეგ, კაპიტალისტების წინააღმდეგ; და ეს შერყევანი არ შეიძლება დამთავრდნენ სხვაგვარად, თუ არ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციით, სოციალიზმის გაძარჯვებით.

ჩვენ, მოხუცებმა, შეიძლება ვერ მივაღწიოთ ამ მომავალი რევოლუციის გადამწყვეტ ბრძოლებამდე. მაგრამ, მე მგონია, შემიძლია დიდი რწმენით გამოვთქვა იმედი, რომ ახალგაზრდობას, რომელიც ასე მშვენივრად მუშაობს შვეიცარიისა და მთელი მსოფლიოს სოციალისტურ მოძრაობაში, პედნიერება ექნება არა მხოლოდ იბრძოლოს, არამედ კიდევაც გაიმარჯვოს მომავალ პროლეტარულ რევოლუციაში.

დაწერილია გერმანულ ენაზე
1917 წ. 9 (22) იანვრამდე

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. 22 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 18
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

თოთხმეტი მოკლე თეზისი ჰ. გრეილიხის მიერ სამშობლოს დაცვის ლოზუნგის დაცვის შესახებ [93]

1. ჰ. გრეილიხი თავისი პირველი სტატიის დასაწყისში აცხადებს, რომ ახლა არიან «სოციალისტები» (ალბათ, იგი ლაპარაკობს ვ ი თ ო მ დ ა სოციალისტებზე), რომელნიც «ენდობიან იუნკრულ და ბურჟუაზიულ მთავრობებს».

თანამედროვე «სოციალიზმის» ე რ თ ი მიმართულების, სახელდობრ სოციალ-პატრიოტიზმის, ეს ბრალდება, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ რას ამტკიცებს ამხ. ჰ. გრეილიხის ოთხივე სტატია, თუ არ იმას, რომ ისიც აგრეთვე ბ რ მ ა ლ «ენდობა» შვეიცარიის «ბურჟუაზიულ მთავრობას»?? მას ისიც კი ავიწყდება, რომ შვეიცარიის «ბურჟუაზიული მთავრობა», შვეიცარიის საბანკო კაპიტალის მრავალრიცხოვანი კავშირურთიერთობათა მეოხებით, არა მარტო «ბურჟუაზიული მთავრობაა», არამედ ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ბურჟუაზიული მთავრობაც არის.

2. ჰ. გრეილიხი პირველ სტატიაში აღიარებს, რომ მთელ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში არსებობს ო რ ი მთავარი მიმდინარეობა. ერთ მათგანს (რა თქმა უნდა, ს ო ც ი ა ლ-პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ს) იგი სავსებით მართებულად განსაზღვრავს, როცა სამარცხვინო დაღს ასვამს მის მიმდევრებს, როგორც ბურჟუაზიულ მთავრობათა «აგენტებს».

მაგრამ გრეილიხს უცნაურად ავიწყდება, რომ, ჯერ-ერთი, შვეიცარიის სოციალ-პატრიოტებიც შვეიცარიის ბურჟუაზიული მთავრობის აგენტები არიან; რომ, მეორე, როგორც

საერთოდ შვეიცარიის გამოგლეჯა არ შეიძლება მსოფლიო ბაზრის კავშირურთიერთობათა ქსელიდან, ისე არც თანამედროვე, დიდად განვითარებული და უაღრესად მდიდარი ბურჟუაზიული შვეიცარიის გამოგლეჯა არ შეიძლება იმპერიალისტურ მსოფლიო ურთიერთობათა ქსელიდან; რომ, მესამე, კარგი იქნებოდა სამშობლოს დაცვის სასარგებლო და მისი საწინააღმდეგო არგუმენტების განხილვა სწორედ მთელ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში და განსაკუთრებით ევროპ ამ იმპერიალისტურ, ფინანსურ-კაპიტალისტურ მსოფლიო ურთიერთობასთან დაკავშირებით; რომ, მეოთხეც, მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამ ორი მთავარი მიმდინარეობის შერიგება შეუძლებელია და რომ, ამიტომ, შვეიცარიის პარტიამ უნდა მ ო ა ხ დ ი ნ ო ს ა რ ჩ ე ვ ა ნ ი, რომელ მიმართულებასთან ერთად უნდა მას წავიდეს.

ბ. ჰ. გრეილიხი მეორე სტატიაში აცხადებს: «შვეიცარიას არ შეუძლია შეტევითი ომი აწარმოოსო».

გრეილიხი უცნაურად ივიწყებს იმ უდავო და აშკარა ფაქტს, რომ ო რ ი ვ ე შესაძლებელ შემთხვევაში, — სახელდობრ, როგორც შვეიცარიის კავშირის დროს გერმანიასთან ინგლისის წინააღმდეგ, ისე ინგლისთან კავშირის დროს გერმანიის წინააღმდეგ, — ო რ ი ვ ე შემთხვევაში შვეიცარია მონაწილეობას მიიღებს იმპერიალისტურ ომში, მძარცველურ ომში, შეტევიოს ომში.

ბურჟუაზიულ შვეიცარიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია არც ახლანდელი ომის ხასიათის შეცვლა და არც საერთოდ ანტიიმპერიალისტური ომის წარმოება.

განა დასაშვებია, რომ გრეილიხი ტოვებს «ფაქტების სფეროს» (იხ. მისი მეოთხე სტატია) და იმის ნაცვლად, რომ ამ ომის შესახებ ილაპარაკოს, რაც [illegible] ანტანტისტიკურ ომზე ლაპარაკობს?

4. ჰ. გრეილიხი მეორე სტატიაში აცხადებს:

«ნეიტრალიტეტი და სამშობლოს დაცვა შვეიცარიისთვის ერთი და იგივეა. ვინც სამშობლოს დაცვას უარყოფს, ის ნეიტრალიტეტს ემუქრება. ამაში უნდა გავერკვეთო».

ორი მოკრძალებული შეკითხვა ამხ. გრეილიხს:

ჯერ-ერთი, ნუთუ საჭირო არ არის გავერკვეთ იმაში, რომ ნდობა ნეიტრალიტეტის გამოცხადებისადმი და ახლანდელ ომში მისი შენარჩუნების განზრახვისადმი ნიშნავს არა მარტო ბრმა ნდობას საკუთარი «ბურჟუაზიული მთავრობისა» და ხელი «ბურჟუაზიული მთავრობებისადმი», რამედ პირდაპირ სასაცილოც არის?

მეორეც, ნუთუ საჭირო არ არის გავერკვეთ იმაში, რომ ნამდვილად საქმე შემდეგნაირად არის:

ვინც ამ ომში ცნობს სამშობლოს დაცვას, ის იქცევა დამქაშად «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიისა, რომელიც შვეიცარიაშიც მთლად იმპერიალისტურია, რადგან იგი ფინანსური მხრით დაკავშირებულია დიდ სახელმწიფოებთან და ჩათრეულია იმპერიალისტურ მსოფლიო პოლიტიკაში.

ვინც ამ ომში უარყოფს სამშობლოს დაცვას, ის აქარწყლებს პროლეტარიატის ნდობას ბურჟუაზიისადმი და ეხმარება საერთაშორისო პროლეტარიატს ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებაში.

5. ჰ. გრეილიხი მეორე სტატიის დასასრულს აცხადებს: «შვეიცარიის მილიციის მოსპობით ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვსპობთ ომებს დიდ სახელმწიფოთა შორისო».

რატომ ავიწყდება ამხ. გრეილიხს, რომ სოციალ-დემოკრატებს ყოველგვარი არმიის (და, მაშასადამე, აგრეთვე მილიციის) მოსპობა წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ ძლევამოსილი სოციალური რევოლუციის შემდეგ? რომ სწორედ ახლა აუცილებელია ყველა დიდი სახელმწიფოს ინტერნაციონალისტურ-რევოლუციურ უმცირესობებთან კავშირში ვიბრძოლოთ სოციალური რევოლუციისათვის?

ვისგან მოელის გრეილიხი «დიდ სახელმწიფოთა შორის ომების» მოსპობას? ნუთუ იმ პატარა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მილიციისაგან, სადაც ოთხი მილიონი მოსახლეობაა?

ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, «დიდ სახელმწიფოთა შორის ომების» მოსპობას მოველით ყველა დიდი და პა-

ტ ა რ ა სახელმწიფოს პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედებისაგან.

6. მესამე სტატიაში გრეილიხი ამტკიცებს, რომ შვეიცარიის მუშებმა უნდა «დაიცვან» «დემოკრატია»!!

ნუთუ ამხ. გრეილიხმა მართლაც არ იცის, რომ ამ ომში ევროპის **არც ერთი** სახელმწიფო არ იცავს დემოკრატიას და არც შეუძლია დაიცვას ის? პირიქით, ამ იმპერიალისტურ ომში მონაწილეობა ყ ვ ე ლ ა, დიდი და პატარა, სახელმწიფოსთვის ნიშნავს დემოკრატიის დ ა ხ რ ჩ ო ბ ა ს, დემოკრატიაზე რეაქციის გამარჯვებას. ნუთუ გრეილიხმა მართლაც არ იცის ამის ათასობით მაგალითი ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში და ა. შ.? თუ ამხ. გრეილიხი მართლაც ისე დიდად «ენდობა» შვეიცარიის, ე. ი. თავის, «ბურჟუაზიულ მთავრობას», რომ შვეიცარიის ყველა ბანკების დირექტორებსა და მილიონერებს ნამდვილ ვილჰელმ ტელებად თვლის?

არა იმპერიალისტურ ომში მონაწილეობას, არა თითქოსდა ნეიტრალიტეტის დასაცავად მობილიზაციებში მონაწილეობას, არამედ ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლას — ამას და მხოლოდ ამას შეუძლია მიგვიყვანოს სოციალიზმთან, უსოციალიზმოდ კი დემოკრატიისათვის არავითარი გ ა რ ა ნ ტ ი ა არ არის!

7. ამხ. გრეილიხი მესამე სტატიაში წერს:

«შვეიცარია იმას ხომ არ მოელის პროლეტარიატისაგან, რომ იგი «თვითონ იბრძოლებს თავის თავთან იმპერიალისტურ ომებში»?»

ეს კითხვა ცხადყოფს, რომ ამხ. გრეილიხი ორივე ფეხით დგას ნაციონალურ ნიადაგზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლანდელ ომში შვეიცარიისთვის ასეთი ნიადაგი ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს.

შვეიცარია კი არ «მოელის» ამას პროლეტარიატისაგან, არამედ კაპიტალიზმი, რომელიც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, შვეიცარიაშიც ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, იქცა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ კაპიტალიზმად. ბურჟუაზიის ბა-

ტონობა ახლა ყველა ქვეყნის პროლეტარიატისაგან «მოელის», რომ იგი «თვითონ იბრძოლებს თავის თავთან იმპერიალისტურ ომებში», — აი, რა ავიწყდება გრეილიხს. ასეთი მდგომარეობისაგან თავის დასაცავად ახლა არ არსებობს არავითარი სხვა საშუალება, გარდა ინტერნაციონალური რევოლუციური კლასობრივი ბრძოლისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ!

რატომ ავიწყდება გრეილიხს, რომ უკვე ინტერნაციონალის ბაზელის მანიფესტმა 1912 წელს პირდაპირ აღიარა, ჯერ-ერთი, ის, რომ იმპერიალისტური კაპიტალიზმი განსაზღვრავს მომავალი ომის ძირითად ხასიათს; მეორეც, ის, რომ იქვე ლაპარაკია პროლეტარულ რევოლუციაზე **სახელდობრ** სწორედ ამ ომთან დაკავშირებით?

8. გრეილიხი ძესამე სტატიაში წერს:

რევოლუციური მასობრივი ბრძოლა «დემოკრატიულ უფლებათა გამოყენების ნაცვლად» — «მეტად გაურკვეველი ცნებაა».

ეს მოწმობს, რომ გრეილიხი ცნობს მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ გზას, რევოლუციას კი იგი უარყოფს ან უგულებელყოფს. ეს გრიუტლელს შეჰფერის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატს არ შეჰფერის.

«რევოლუციური მასობრივი ბრძოლის» გარეშე რევოლუციები შეუძლებელია. ასეთი რევოლუციები არასოდეს არ ყოფილა. რევოლუციები გარდუვალია ევროპაშიც ახლახან დაწყებულ იმპერიალისტურ ეპოქაში.

9. მეოთხე სტატიაში ამბ. გრეილიხი პირდაპირ აცხადებს, «თავისთავად ცხადია», მე უარს ვიტყვი ჩემს რწმუნებაზე ნაციონალურ საბჭოში, თუ პარტია პრინციპულად უარყოფს სამშობლოს დაცვასო. იგი ამას დასძენს, ასეთი უარყოფა «ჩვენი ერთიანობის დარღვევა» იქნებაო.

ასეთი განცხადება აშკარა ულტიმატუმია, რომელსაც ვერავითარი განმარტება ვერ აქარწყლებს და რომელსაც პარტიას უდგენენ ნაციონალური საბჭოს სოციალ-პატრიოტული წევ-

რები. ან პარტიამ უნდა ცნოს სოციალ-პატრიოტული შეხედულებანი, ან «ჩვენ» (გრეილიხი, მიულერი და ა. შ.) ჩვენს რწმუნებაზე ხელს ვიღებთო.

მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, რომელ «ერთიანობაზე» შეიძლება ლაპარაკი? რა თქმა უნდა, არავითარ სხვა ერთიანობაზე, გარდა მხოლოდ სოციალ-პატრიოტული ბელადების «ერთიანობისა» მ ა თ ს მანდატებთან ნაციონალურ საბჭოში?!

პრინციპული პროლეტარული ერთიანობა სულ სხვა რამეს ნიშნავს: სოციალ-პატრიოტები, ე. ი. «სამშობლოს დამცველნი», «ერთიანი» უნდა იყვნენ სოციალ-პატრიოტულ, მთლად ბურჟუაზიულ გრიუტლურ კავშირთან. სამშობლოს დაცვის უარმყოფელნი, სოციალ-დემოკრატები, «ერთიანი» უნდა იყვნენ სოციალისტურ პროლეტარიატთან. ეს სავსებით ცხადია.

ჩვენ მტკიცე იმედი გვაქვს, რომ ამხ. გრეილიხი არ მოისურვებს თავი შეირცხვინოს და არ დაიწყებს იმის მტკიცებას (მიუხედავად ინგლისის, გერმანიის, შვეიცის და სხვ. გამოცდილებისა), რომ სოციალ-პატრიოტების, ბურჟუაზიულ მთავრობათა «აგენტების» «ერთიანობას» სოციალისტურ პროლეტარიატთან არ შეუძლია სხვა რამ გამოიწვიოს, თუ არა აშკარა დეზორგანიზაცია, დემორალიზაცია, თვალთმაქცობა და სიცრუე.

10 ნაციონალური საბჭოს წევრთა ის «ფიცი», რომ დაიცვან ქვეყნის დამოუკიდებლობა, გრეილიხის აზრით, «შეუთავსებელია» ქვეყნის დაცვაზე უარის თქმასთან.

კეთილი! მაგრამ განა რაიმე რევოლუციური მოღვაწეობა შეიძლება «შეუთავსდეს» «ფიცს», რომ დაცული იქნება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კანონები?? გრიუტლელები, ე. ი. ბურჟუაზიის მსახურნი, პრინციპულად მხოლოდ კანონიერ გზებს ცნობენ. დღემდე ჯერ კიდევ არ ყოფილა არც ერთი სოციალ-დემოკრატი, რომელსაც უარეყოს რევოლუციები ან ეცნოს მხოლოდ ისეთი რევოლუციები, რომლებიც შეიძლება «შეუთავსდეს» ბურჟუაზიული კანონების დაცვის «ფიცს».

11. გრეილიხი უარყოფს იმას, რომ შვეიცარია წარმოადგენს «ბურჟუაზიულ კლასობრივ სახელმწიფოს» «ამ სიტყვის აბსოლუტური აზრით». იგი სოციალიზმს (მეოთხე სტატიის ბოლოს) იმნაირად განსაზღვრავს, რომ მისი ამ განსაზღვრიდან სავსებით ქრება სოციალური რევოლუციაც და ყოველგვარი რევოლუციური მოქმედებაც. სოციალური რევოლუცია — ეს «უტოპიაა», ასეთია გრეილიხის ყველა გრძელ-გრძელი სიტყვისა თუ სტატიების მოკლე აზრი.

კეთილი! მაგრამ ეს ხომ ყველაზე უფრო აშკარა გრიუტლელობაა, და არა სოციალიზმი. ეს ბურჟუაზიული რეფორმიზმია, და არა სოციალიზმი.

რატომ არ შემოაქვს ამხ. გრეილიხს პირდაპირი წინადადება ამოიშალოს 1912 წლის ბაზელის მანიფესტიდან სიტყვები «პროლეტარული რევოლუციის» შესახებ? ან სიტყვები «რევოლუციური მასობრივი მოქმედების» შესახებ აარაუს 1915 წლის გადაწყვეტილებიდან? ან დავწვათ ციმერვალდისა და კინტალის ყველა რეზოლუციაო?

12. ამხ. გრეილიხი ორივე ფეხით დგას ნაციონალურ ნიადაგზე, — ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ, გრიუტლურ ნიადაგზე.

იგი ჯიუტად უგულებელყოფს ახლანდელი ომის იმპერიალისტურ ხასიათს, ისევე როგორც შვეიცარიის თანამედროვე ბურჟუაზიის იმპერიალისტურ კავშირურთიერთობას. იგი უგულებელყოფს მთელი მსოფლიოს სოციალისტების გათიშვას სოციალ-პატრიოტებად და რევოლუციურ ინტერნაციონალისტებად.

მას ავიწყდება, რომ ნამდვილად შვეიცარიის პროლეტარიატის წინაშე მ ხ ო ლ ო დ ორი გზაა:

პირველი გზა. დაეხმაროს თავის ნაციონალურ ბურჟუაზიას შეიარაღებაში, მხარი დაუჭიროს მობილიზაციებს თითქოსდა ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით და ყოველდღე იმის საფრთხეში იყოს, რომ შეიძლება ჩათრეულ იქნეს იმპერიალისტურ ომში. ასეთ ომში «გამარჯვების» შემთხვევაში — იშიმშილოს, აღრიცხოს 100 000 მოკლული, ჯიბეში ჩაუჩ-

ხრიალოს შვეიცარიის ბურჟუაზიას სამხედრო მოგებათა ახალი მილიარდები, უზრუნველყოს მისთვის კაპიტალის ახალი მომგებიანი დაბანდება საზღვარგარეთ და კვლავ ფინანსურად დამოკიდებული გახდეს თავისი იმპერიალისტური «მოკავშირეებისაგან» — დიდი სახელმწიფოებისაგან.

მეორე გზა. ყველა დიდი სახელმწიფოს ინტერნაციონალისტურ რევოლუციურ უმცირესობებთან მჭიდრო კავშირში აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა ყველა «ბურჟუაზიული მთავრობის» წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა — თ ა ვ ი ს ი «ბურჟუაზიული მთავრობის» წინააღმდეგ, არ გამოიჩინოს არავითარი «ნდობა» არც თავისი ბურჟუაზიული მთავრობისადმი საზოგადოდ და არც მისი სიტყვებისადმი ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ, და თავაზიანად სთხოვოს სოციალ-პატრიოტებს გადაბარგდნენ გრიუტლურ კავშირში.

გამარჯვების შემთხვევაში სამუდამოდ თავი დააღწიოს სიძვირეს, შიმშილსა და ომებს, ფრანგ. გერმანელ და სხვ. მუშებთან ერთად გამოიწვიოს სოციალისტური რევოლუცია.

ორივე ძნელი გზაა, ორივე მსხვერპლს მოითხოვს.

შვეიცარიის პროლეტარიატმა უნდა აირჩიოს, რა სურს მას: ის, რომ ეს მსხვერპლი შესწიროს შვეიცარიის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და დიდ სახელმწიფოთა ერთ-ერთ კოალიციას, თუ კაპიტალიზმისა, შიმშილისა და ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს.

პროლეტარიატმა უნდა აირჩიოს.

დაწერილია გერმანულ ენაზე 1917 წ.
13 და 17 (26 და 30) იანვარს შუა
დაიბეჭდა 1917 წ. 31 იანვარს და
1 თებერვალს გაზეთში **«Volksrecht»**
№ № 26 და 27

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ხელმოწერა: — ე —
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

ნეიტრალიტეტის დაცვა

იმ დებულების აღიარება, რომ ახლანდელი ომი იმპერიალისტურია, ე. ი. ისეთი ომია, რომელიც წარმოებს ორ დიდ მტაცებელს შორის მსოფლიოზე ბატონობისა და მისი გაძარცვისათვის, ჯერ კიდევ არ ამტკიცებს, რომ საჭიროა უარყოფილ იქნეს შვეიცარიის სამშობლოს დაცვა. ჩვენ, შვეიცარიელები, ვიცავთ სწორედ ჩვენს ნეიტრალიტეტს, ჩვენ ჯარებით დავიკავეთ ჩვენი საზღვრები სწორედ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ამ მტაცებლურ ომში მონაწილეობაო!

ასე ლაპარაკობენ სოციალ-პატრიოტები, გრიუტლელები, სოციალისტურ პარტიაში და მის გარეთ.

ეს არგუმენტი ემყარება შემდეგ წანამძღვრებს, რომელთაც უხმოდ იღებენ ან შეუმჩნევლად გვაჩეჩებენ ხელში:

არაკრიტიკული განმეორება იმისა, რასაც ამბობს ბურჟუაზია და რასაც ის უნდა ამბობდეს თავისი კლასობრივი ბატონობის შესანარჩუნებლად.

სრული ნდობა ბურჟუაზიისადმი და სრული უნდობლობა პროლეტარიატის მიმართ.

უგულებელყოფა იმ ნამდვილი, არა გამოგონილი, საერთაშორისო მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა ევროპის ყველა ქვეყანას შორის იმპერიალისტური ურთიერთობისა და შვეიცარიის კაპიტალისტური კლასის იმპერიალისტური «დაკავშირებულობის» ნიადაგზე.

განა რუმინეთისა და ბულგარეთის ბურჟუაზია მთელი რიგი თვეების განმავლობაში უაღრესად საზეიმოდ არ ირწ-

მუნებოდა, რომ მათი საომარი მზადება თითქოს ნაკარნახევია «მხოლოდ» ნეიტრალიტეტის დაცვით?

არსებობს თუ არა სერიოზული, მეცნიერული საფუძვლები პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი განსხვავების გასატარებლად ამ საკითხში დასახელებული ქვეყნების ბურჟუაზიასა და შვეიცარიის ბურჟუაზიას შორის?

რა თქმა უნდა, არა! როდესაც მიუთითებენ იმაზე, რომ რუმინეთსა და ბულგარეთში ბურჟუაზია შეპყრობილია ერთგვარი მისწრაფებით დაპყრობისა და ანექსიებისადმი, შვეიცარიის ბურჟუაზიის მიმართ კი ამის დადასტურება არ შეიძლებაო, ხომ შეუძლებელია ეს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ განსხვავებად ჩაითვალოს. იმპერიალისტური ინტერესები, როგორც ყველასათვის ცნობილია, თავს იჩენს არა მარტო ტერიტორიების, არამედ ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი ს შეძენითაც. მხედველობიდან არ უნდა გამოვუშვათ, რომ შვეიცარიის ბურჟუაზიას გააქვს, სულ ცოტა, 3 მილიარდი ფრანკი კაპიტალი, ე. ი. ის იმპერიალისტურ ექსპლოატაციას უწევს ჩამორჩენილ ხალხებს. ასეთია ფაქტი. ფაქტია ისიც, რომ შვეიცარიის საბანკო კაპიტალი უმჭიდროესად დაკავშირებული და გადახლართულია დიდ სახელმწიფოთა საბანკო კაპიტალთან, რომ «Fremdenindustrie» * შვეიცარიაში და ა. შ. ნიშნავს იმპერიალისტური სიმდიდრის მუდმივ გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ს დიდ სახელმწიფოებსა და შვეიცარიას შორის. ამასთანავე შვეიცარია კაპიტალიზმის განვითარების გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე რუმინეთი და ბულგარეთი; რაიმე «ნაციონალურ» სახალხო მოძრაობაზე შვეიცარიაში არავითარი ლაპარაკიც კი არ შეიძლება: ისტორიული განვითარების ეს ეპოქა შვეიცარიისთვის უკვე მრავალი საუკუნის წინ დასრულდა, რაც არ შეიძლება ითქვას ბალკანეთის არც ერთ ზემოდასახელებულ სახელმწიფოზე.

ამრიგად, ბურჟუაზიას შეჰფერის ესწრაფოდეს იმას, რომ ხალხს, ექსპლოატირებულთ, შთააგონოს ბურჟუაზიისადმი

* — «უცხოელთა მომსახურე მრეწველობა». რ ე დ.

ნდობა და ცდილობდეს შესაფერი ფრაზებით დაფაროს «თავისი» ბურჟუაზიის ნ ა მ დ ვ ი ლ ი იმპერიალისტური პოლიტიკა.

სოციალისტს კი სულ სხვა რამ შეჰფერის, სახელდობრ: ულმობლად, რაიმე ილუზიების დაუშვებლად, ამხილოს «თავისი» ბურჟუაზიის ნამდვილი პოლიტიკა. შვეიცარიის ბურჟუაზიის ამ ნამდვილი პოლიტიკის ისეთი განგრძობა, როგორიცაა საკუთარი ხალხის მ ი ყ ი დ ვ ა სახელმწიფოთა ამა თუ იმ იმპერიალისტური კოალიციისთვის, ბევრად უფრო მოსალოდნელი და ბევრად უფრო «ბუნებრივი» (ე. ი. ამ ბურჟუაზიის ბუნებისადმი უფრო შესაბამისი) იქნებოდა, ვიდრე დემოკრატიის დაცვა ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, წინააღმდეგ მოგების ინტერესებისა.

«თვითეულმა თავისი საქმე აკეთოს»: დაე გრიუტლელებმა, როგორც ბურჟუაზიის მსახურებმა და აგენტებმა, ატყუონ ხალხი ფრაზებით «ნეიტრალიტეტის დაცვის» შესახებ.

ხოლო სოციალისტებმა, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლებმა, ხალხს თვალი უნდა აუხილონ და დაანახვონ მეტად რეალური, შვეიცარიის ბურჟუაზიული პოლიტიკის მთელი ისტორიით დადასტურებული საფრთხე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ხალხი შეიძლება გ ა ყ ი დ ო ს «საკუთარმა» ბურჟუაზიამ!

დაწერილია გერმანულ ენაზე
1917 წ. იანვარში
პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

მოგბრუნება მსოფლიო პოლიტიკაში

პაციფისტების ქუჩაზე რაღაც დღესასწაულის მაგვარი რამ არის. ნეიტრალური ქვეყნების სათნოიანი ბურჟუები ზეიმობენ: «ჩვენ საკმაოდ მოვითბეთ ხელი სამხედრო მოგებებითა და სიძვირით; განა არ კმარა? მეტ მოგებას, სულ-ერთია, ვეღარ მიიღებს კაცი, ხალხი კი შეიძლება ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდესო»...

როგორ არ უნდა ზეიმობდნენ ისინი, როცა «თვით» ვილსონი «სხვა ფრაზებით იმეორებს» პაციფისტურ განცხადებას იტალიის სოციალისტური პარტიისას, რომელმაც ახლახან მიიღო კინტალში ოფიციალური და საზეიმო რეზოლუცია სოციალ-პაციფიზმის სრული უბადრუკობის შესახებ?

განა საკვირველია, რომ ტურატი «**Avanti**»-ში * ზეიმობს ვილსონის მიერ მ ა თ ი, იტალიელთა, «ვითომდა სოციალისტური» პაციფისტური ფრაზების ამ გამოთქმის გამო სხვა სიტყვებით? განა საკვირველია, რომ ფრანგი სოციალ-პაციფისტები და კაუცკელები თავიანთ «**Le Populaire**»-ში [94] სიყვარულით «უერთდებიან» ტურატისა და კაუცკის, რომელიც გამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ხუთი განსაკუთრებით სულელური პაციფის-

* — «წინ!» რ ე დ.

ტური სტატიით; ეს სტატიები, რაღა თქმა უნდა, ასევე «სხვა ფრაზებით იმპერიალისტებენ» მოვლენათა მიერ დღის წესრიგში წამოყენებულ ლაყბობას კეთილი დემოკრატიული ზავის შესახებ.

ეს ლაყბობა კი ამჟამად მართლაც განსხვავდება წინანდელისაგან სწორედ იმით, რომ მას აქვს განსაზღვრული ობიექტური ნიადაგი. ასეთი ნიადაგი შექმნა მობრუნებამ მსოფლიო პოლიტიკაში იმპერიალისტური ომიდან, რომელმაც დაასაჩუქრა ხალხები უდიდესი უბედურებებით და სოციალიზმის უდიდესი გამცემლობით ბატონი პლეხანოვების, ალბერტ ტომების, ლეგინების, შეიდემანებისა და სხვების მიერ, იმპერიალისტური ზავისაკენ, რომელიც ხალხებს უპირებს დასაჩუქრებას კეთილი ფრაზების, ნახევარრეფორმების, ნახევარდათმობებისა და ამის მსგავსი უდიდესი სიცრუით.

ეს მობრუნება დაიწყო.

შეუძლებელია ამჟამად ვიცოდეთ, — და თვითონ იმპერიალისტური პოლიტიკის ხელმძღვანელებს, ფინანსურ მეფეებსა და გვირგვინოსან ავაზაკებსაც არ ძალუძთ განსაზღვრონ ეს ზუსტად — სახელდობრ როდის მოვა ეს იმპერიალისტური ზავი, რანაირი ცვლილებები მოხდება მანამდე ომში, როგორი იქნება ამ ზავის დეტალები. მაგრამ ამას არცა აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია ფაქტი ზავისაკენ მობრუნებისა, მნიშვნელოვანია ამ ზავის ძირითადი ხასიათი, ეს ორი გარემოება კი უკვე საკმაოდ გამორკვეულია მოვლენათა წინანდელი განვითარებით.

ომის 29 თვის განმავლობაში ორივე იმპერიალისტური კოალიციის რესურსები საკმაოდ გამოირკვა; ყველა ან თითქმის ყველა შესაძლებელი მოკავშირე უახლოეს «მეზობელთა» შორის, რომელნიც კი რაიმე სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ, ჩაბმულნი არიან ხოცვა-ჟლეტაში, არმიებისა და ფლოტების ძალები გამოცდილია და მეტადაც გამოცდილი, გაზომილია და მეტადაც გაზომილი. ფინანსურმა კაპიტალმა შეიძინა მილიარდები: სამხედრო ვალების მთა გვიჩვენებს

იმ ხარკის სიდიდეს, რომელიც პროლეტარიატმა და ხელმოკლე მასებმა «უნდა» უხადონ ახლა ათეული წლების განმავლობაში საერთაშორისო ბურჟუაზიას იმისათვის, რომ მან ყოვლად მოწყალედ ნება დართო მათ გაეჟლიტათ მათნაირადვე დაქირავებულ მონობაში მყოფი მილიონობით თავიანთი ძმები იმპერიალისტური ნადავლის გაყოფისათვის წარმოებულ ომში.

ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ომის მეოხებით, ვფიქრობ, უკვე შეუძლებელია კიდევ უფრო მეტი ტყავი გააძრონ დაქირავებული შრომის ხარებს — ესაა ერთ-ერთი ღრმა ეკონომიური საფუძველი ამჟამად შემჩნეული მობრუნებისა მსოფლიო პოლიტიკაში. შეუძლებელია იმიტომ, რომ იწურება რესურსები საზოგადოდ. ამერიკელი მილიარდერები და მათი უმცროსი ძმები ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, დანიაში და სხვა ნეიტრალურ ქვეყნებში იწყებენ იმის შენიშვნას, რომ ოქროს მადანი ილევა, — ესაა ნეიტრალური პაციფიზმის ზრდის წყარო, და არა კეთილშობილური ჰუმანური გრძნობები, როგორც ამას ფიქრობენ გულუბრყვილო, საცოდავი, სასაცილო ტურატი, კაუცკი და კომპანია.

ამასთან ერთად კი იზრდება მასების უკმაყოფილება და აღშფოთება. წინა ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ გუჩკოვისა და ჰელფერიხის[95] მოსაზრებანი, რომელნიც მოწმობენ, რომ მათ ორივეს ე შ ი ნ ი ა თ რევოლუციისა. განა დრო არაა გავათავოთ პირველი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტაო?

ამრიგად, ობიექტურ პირობებს, რომლებიც იძულებულს ხდიან ომის შეწყვეტას, ემატება სამხედრო მოგებით გამძლარი ბურჟუაზიის კლასობრივი ინსტინქტისა და კლასობრივი ანგარიშის ზეგავლენა.

პოლიტიკური მობრუნება ამ ეკონომიური მობრუნების ნიადაგზე მიდის ორი უმთავრესი ხაზით: გამარჯვებული გერმანია ა ც ი ლ ე ბ ს თავის უმთავრეს მტერს, ინგლისს, მის მოკავშირეებს, ერთი მხრივ, იმით, რომ სწორედ არა ინგლისს, არამედ სახელდობრ ამ მოკავშირეებს დაატყდათ თავს

(და შემდგომაც შეიძლება დაატყდეთ) უმძიმესი უბედურებანი, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ გერმანიის იმპერიალიზმს, რომელმაც ძალიან და ძალიან ბევრი ნაძარცვი ჩაიგდო ხელში, შეუძლია ინგლისის მოკავშირეებს მისცეს პატარა ნახევარდათმობანი.

შეიძლება, გერმანიასა და რუსეთს შორის სეპარატიული ზავი მაინც დადებულია. შეცვლილია მხოლოდ ფორმა პოლიტიკური გარიგებისა ამ ორ ავაზაკს შორის. მეფეს შეეძლო ეთქვა ვილჰელმისათვის: «თუ მე სეპარატიულ ზავს აშკარად მოვაწერ ხელს, მაშინ ხვალ შენ, ჰოი, ჩემო უავგუსტესო კონტრაჰენტო, შეიძლება მოგიხდეს საქმის დაჭერა მილიუკოვისა და გუჩკოვის მთავრობასთან, თუ მილიუკოვისა და კერენსკის მთავრობასთან არა. ვინაიდან რევოლუცია იზრდება, და მე იმედი არა მაქვს არმიისა, რომლის გენერლებთან მიწერ-მოწერას აწარმოებს გუჩკოვი, და რომლის ოფიცრები ახლა უფრო მეტად გუშინდელი გიმნაზიელებისაგან შედგებიან. განა ჩვენთვის ხელსაყრელია იმის რისკი გავწიოთ, რომ მე შემიძლია ტახტი დავკარგო, შენ კი შეგიძლია კარგი კონტრაჰენტი დაჰკარგო?».

«რაღა თქმა უნდა, არ არის ხელსაყრელი», — უნდა ეპასუხნა ვილჰელმს, თუ კი მას პირდაპირ ან არაპირდაპირ ასეთი რამ უთხრეს. «ანდა რად გვინდა ჩვენ აშკარა სეპარატიული ზავი ან საზოგადოდ ქაღალდზე დაწერილი ზავი? განა არ შეიძლება იმასვე მივაღწიოთ სხვაგვარი, უფრო მოხერხებული, გზით? მე აშკარად მივმართავ მთელ კაცობრიობას წინადადებით გავაბედნიერო იგი ზავის სიკეთით. მალულად თვალს ჩავუკრავ ფრანგებს, რომ მზად ვარ უკანვე დავაბრუნო მთელი, ან თითქმის მთელი საფრანგეთი და ბელგია, აფრიკაში მათი კოლონიების «ღვთისნიერად» ჩვენთვის დათმობისათვის, — ხოლო იტალიელებს ვანიშნებ, რომ მათ შეუძლიათ იმედი ჰქონდეთ მიიღონ ავსტრიის იტალიური მიწების «ნაჭერი», ბალკანეთის ნაჭრების მიმატებით. მე შემწევს ძალა მივაღწიო იმას, რომ ჩემი წინადადებები და გეგმები ცნობილი გახდება ხალხებისათვის: განა შეძლებენ

მაშინ ინგლისელები კიდევ შეაკავონ თავიანთი დასავლეთ-ევროპელი მოკავშირეები? ხოლო ჩვენ შენთან ერთად გავიყოთ რუმინეთი, გალიცია, სომხეთი, — კონსტანტინოპოლს კი შენ, ჰოი, ჩემო უავგუსტესო ძმაო, სულერთია, ვერ იხილავ ისევე, როგორც საკუთარ ყურებს! პოლონეთს, ჰოი, ჩემო უავგუსტესო ძმაო, სულერთია, ვერ იხილავ ისევე, როგორც საკუთარ ყურებს!»

იყო თუ არა ასეთი ბაასი, ამის გაგება შეუძლებელია. და ეს არც არის არსებითი. არსებითია ის, რომ საქმე ს წ ო რ ე დ ასე წავიდა. თუ მეფე არ დაეთანხმა გერმანიის დიპლომატების არგუმენტებს, სამაგიეროდ მაკენზენის არმიის «ა რ გ უ მ ე ნ ტ ე ბ ს» რუმინეთში უფრო შთამაგონებლად უნდა ემოქმედნა.

ხოლო რუსეთსა და «ოთხთა კავშირს» შორის (ე. ი. გერმანიის მოკავშირეებს, ავსტრიასა და ბულგარეთს შორის) რუმინეთის დაყოფის გეგმის შესახებ უკვე ა შ კ ა რ ა დ ლაპარაკობენ გერმანიის იმპერიალისტურ პრესაში! მოლაყბე ერვემ კი უკვე წამოროშა: ჩვენ ვეღარ შევძლებთ ვაიძულოთ ხალხი იომოს, თუ ის გაიგებს, რომ ჩვენ ა ხ ლ ა ვ ე შეგვიძლია მივიღოთ უკანვე ბელგია და საფრანგეთიო. და ნეიტრალური ბურჟუაზიის პაციფისტური ბრიყვები უკვე «საქმეში» ჩააბეს: მათ ვილჰელმმა ამოუდგა ენა! ხოლო პაციფისტური... ბრძენები სოციალისტებიდან, ტურატი იტალიაში, კაუცკი გერმანიაში და სხვანი და სხვანი ოფლში იწურებიან და თავის ჰუმანურობას, თავის კაცთმოყვარეობას, თავის არამიწიერ სათნოებას (და თავის დიდ ჭკუას) მომავალი იმპერიალისტური ზავის შ ე ლ ა მ ა ზ ე ბ ა ს ანდომებენ!

რა კარგად არის საზოგადოდ მოწყობილი ყველაფერი ამ ყველა ქვეყანათა შორის საუკეთესო ქვეყანაზე! დავიბენით ჩვენ, ფინანსური მეფეები და გვირგვინოსანი ავაზაკები, იმპერიალისტური ძარცვის პოლიტიკაში, იძულებული შევიქენით გვეომნა — მერე რა? ომი ჩვენ იმაზე ნაკლებ არ გვამდიდრებს, ვიდრე მშვიდობა, გაცილებით უკეთესადაც კი! ხოლო ჩვენი ომის «განმათავისუფლებელ» ომად გამოსაცხა-

დებლად ჩვენ გვყავს რამდენიც გნებავთ ლაქიათა ჯალაბი, ყველა ეს პლეხანოვები, ალბერტ ტოძები, ლეგინები, შეიდემანები და კომპანია! დგება დრო შევკრათ იმპერიალისტური ზავი? — მერე რა? სამხედრო ვალები, ეს ხომ ვალდებულებებია, რომელნიც უზრუნველყოფენ ჩვენს წმინდა უფლებას ავკრიბოთ ასმაგი ხარკი ხალხთაგან? ხოლო მიამიტნი ამ იმპერიალისტური ზავის შ ე ს ა ლ ა მ ა ზ ე ბ ლ ა დ, ტკბილი სიტყვებით ხალხთა მოსატყუებლად, ჩვენ რამდენიც გნებავთ იმდენი გვყავს, აიღეთ თუ გნებავთ ტურატი, კაუცკი და მსოფლიო სოციალიზმის სხვა «ბელადები»!

ტურატისა და კაუცკის გამოსვლების ტრაგიკომედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ ა რ ე ს მ ი თ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი, ობიექტური, პოლიტიკური როლი, რასაც ისინი ასრულებენ, როლი ხუცებისა, რომელნიც ხალხებს ა ნ უ გ ე შ ე ბ ე ნ, იმის მაგიერ, რომ ისინი რევოლუციისათვის აამხედრონ, როლი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ვ ე ქ ი ლ ე ბ ი ს ა, რომელნიც მაღალფარდოვანი ფრაზებით ათასგვარ სიკეთეთა შესახებ საზოგადოდ და განსაკუთრებით დემოკრატიული ზავის შესახებ ჩქმალავენ, მალავენ, ალამაზებენ, მოსავენ ხალხებით მოვაჭრე და ქვეყნების დამაქუცმაცებელი იმპერიალისტური ზავის საძაგელ სიშიშვლეს.

სოციალ-შოვინისტების (პლეხანოვებისა და შეიდემანების) და სოციალ-პაციფისტების (ტურატისა და კაუცკის) პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთნიც და მეორენიც ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ წარმოადგენენ იმპერიალიზმის მ ს ა ხ უ რ თ: ერთნი «ემსახურებიან» მას იმპერიალისტური ომის შელამაზებით, უფარდებენ რა ამ ომს «სამშობლოს დაცვის» ცნებას; მეორენი ემსახურებიან ი მ ა ვ ე იმპერიალიზმს იმით, რომ მოახლოებულ და მომზადების პროცესში მყოფ იმპერიალისტურ ზავს ალამაზებენ ფრაზებით დემოკრატიული ზავის შესახებ.

იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ესაჭიროება ორივე სახის ანუ ელფერის ლაქიები: პლეხანოვები — რათა ყიჟინალით «ძირს დამპყრობნი». წააქეზონ ხოცვა-ყლეტის განგრძობა,

კაუცკები — რათა ზავისადმი ტკბილი ხოტბის შესხმით ანუ-გეშონ და დაამშვიდონ დიდად გაბოროტებული მასები.

ამიტომაც ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტების საზოგადო გაერთიანებაც სოციალ-პაციფისტებთან, — ის საერთო «შეთქმულება სოციალიზმის წინააღმდეგ», რომელზედაც ლაპარაკობს ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კომისიის ერთი მოწოდება, [96] ის «საყოველთაო ამნისტია», რომელზედაც ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია, — არ იქნება შემთხვევითი, არამედ იქნება მხოლოდ გამოხატულება მსოფლიო ვითომდა-«სოციალიზმის» ორივე ამ მიმართულების პრინციპული ერთიანობისა. შემთხვევითი არ არის, რომ პლეხანოვი ერთსა და იმავე დროს გაშმაგებით გაჰყვირის შეიდემანების «ლალატზე» და გადაკრულად ლაპარაკობს შერიგებასა და ერთიანობაზე ამ ვაჟბატონებთან, როცა ამისათვის დრო დადგება.

მაგრამ — იქნებ შეგვედავოს მკითხველი — განა შეიძლება იმის დავიწყება, რომ იმპერიალისტური ზავი «მაინც უკეთესია», ვიდრე იმპერიალისტური ომი? რომ დემოკრატიული ზავის პროგრამა თუ მთლიანად არა, «შეძლებისაგვარად», «ნაწილ-ნაწილად» შეიძლება განხორციელდეს? რომ დამოუკიდებელი პოლონეთი უკეთესია, ვიდრე რუსეთის პოლონეთი? რომ ავსტრიის იტალიური მიწების იტალიისადმი შეერთება — წინგადადგმული ნაბიჯია?

ამგვარ მოსაზრებებს აფარებენ კიდეც თავს ტურატისა და კაუცკის დამცველნი და ვერ ამჩნევენ, რომ რევოლუციური მარქსისტებიდან ისინი ამით იქცევიან ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ რეფორმისტებად.

განა შეიძლება, თუ კაცს ჭკუა არ დაუკარგავს, იმის უარყოფა, რომ ბისმარკის გერმანია და მისი სოციალური კანონები «უკეთესია», ვიდრე გერმანია 1848 წლამდე? სტოლიპინის რეფორმები «უკეთესია», ვიდრე რუსეთი 1905 წლამდე? განა ამ საფუძველზე მისცეს გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა (ისინი მაშინ ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატები იყვნენ) ხმა ბისმარკის რეფორმებს? განა სტოლიპინის რეფორ-

მებს ალამაზებდნენ, ან თუნდაც მხარს უჭერდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატები, გარდა, რაღა თქმა უნდა, ბბ. პოტრესოვისა, მასლოვისა და კომპანიისა, რომელთაგან ახლა ზიზღით პირს იბრუნებს მ ა თ ი ვ ე ს ა კ უ თ ა რ ი პ ა რ ტ ი ი ს წევრი მარტოვიც კი?

ისტორია ერთ ადგილას არაა გაჩერებული კონტრრევოლუციების დროსაც კი. ისტორია წინ მიდიოდა 1914 — 1916 წლების იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის დროსაც, რომელიც იყო მანამდე გასულ მრავალ ათეულ წელთა იმპერიალისტური პოლიტიკის გ ა ნ გ რ ძ ო ბ ა. მსოფლიო კაპიტალიზმმა, რომელიც წარსული საუკუნის 60 — 70-იან წლებში თავისუფალი კონკურენციის მოწინავე და პროგრესული ძალა იყო, და რომელიც XX საუკუნის დამდეგს გადაიზარდა მ ო ნ ო პ ო ლ ი ს ტ უ რ კაპიტალიზმში, ე. ი. იმპერიალიზმში, ომის განმავლობაში უჩვეულო ნაბიჯი წარსდგა წ ი ნ არა მხოლოდ ფინანსური კაპიტალის კიდევ უფრო მეტი კონცენტრაციისაკენ, არამედ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ა დ გადაქცევისკენაც. ნაციონალური შეკავშირების ძალა, ნაციონალური სიმპათიების მნიშვნელობა გამოაჩინა ამ ომში, მაგალითად, ირლანდიელების საქციელმა ერთ იმპერიალისტურ კოალიციაში, ჩეხებისამ — მეორეში. იმპერიალიზმის შეგნებული ბელადები ეუბნებიან თავიანთ თავს: ჩვენ არ შეგვიძლია, რასაკვირველია, განვახორციელოთ ჩვენი მიზნები წვრილ ხალხთა დაუხრჩობლად, მაგრამ ხომ არსებობს დახრჩობის ორი ხერხი. არის შემთხვევა, როცა უფრო საიმედოა — და უფრო ხელსაყრელიც — გაიჩინო გულწრფელი, პატიოსანი «სამშობლოს დამცველები» იმპერიალისტურ ომში პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის გზით, რომელთა ფ ი ნ ა ნ ს უ რ დამოკიდებულებაზე უკვე «ჩვენ» თვითონ ვიზრუნებთ! უფრო ხელსაყრელია ყოფნა დამოუკიდებელი ბულგარეთის მოკავშირედ (იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სერიოზული ომის დროს), ვიდრე დამოკიდებული ირლანდიის ბატონად! დაუმთავრებელის დასრულებას ნაციონალურ რეფორმათა დარგში

შეუძლია ხანდახან შინაგანად განამტკიცოს იმპერიალისტური კოალიცია — ამას მართებულად უწევს ანგარიშს, მაგალითად, გერმანიის იმპერიალიზმის ერთი განსაკუთრებით საზიზღარი მონათაგანი, კ. რენერი, რომელიც, თავისთავად ცხადია, მთელი არსებით იცავს სოციალ-დემოკრატიული პარტიების «ერთიანობას» საზოგადოდ და განსაკუთრებით შეიდემანთან და კაუცკისთან ერთიანობას.

მოვლენათა ობიექტურ მსვლელობას მაინც თავისი გააქვს, და როგორც 1848 და 1905 წლების რევოლუციათა ჩამხრჩობნი, ერთგვარად, მათივე ანდერძის შემსრულებელნი იყვნენ, ასევე იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის დირიჟორები იძულებულნი არიან გაატარონ განსაზღვრული სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური, განსაზღვრული ნაციონალური რეფორმები. ხოლო ამასთანავე საჭიროა მცირე დათმობებით დაამშვიდო ომითა და სიძვირით გაბოროტებული მასები: რატომ არ უნდა შეჰპირდე (და ნაწილობრივ არ განახორციელო — ეს ხომ არაფერს არ გავალებს!) «შეიარაღების შემცირებას»? სულერთია, ომი ხომ «მრეწველობის» ისეთი «დარგია», რომელიც ტყის მოშენებას ემსგავსება: საჭიროა ათეული წლები, რომ წამოიზარდოს საკმაოდ დიდი ხეები... ესე იგი საკმაოდ უხვი და მოწიფული «საზარბაზნე ხორცი». ხოლო ათეული წლების შემდეგ, ჩვენ იმედი გვაქვს, საერთაშორისო «ერთიანი» სოციალ-დემოკრატიის წიაღში წამოიზრდებიან ახალი პლეხანოვები, ახალი შეიდემანები, ახალი ტკბილი შემარიგებელი კაუცკები...

ბურჟუაზიული რეფორმისტები და პაციფისტები ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც, საერთო წესისამებრ, ამა თუ იმ ფორმით, სასყიდელს აძლევენ იმისათვის, რომ მათ განამტკიცონ კაპიტალიზმის ბატონობა მისი პატარ-პატარა შეკეთების საშუალებით, რომ მათ მიაძინონ ხალხის მასები და ჩამოაცილონ ისინი რევოლუციურ ბრძოლას. როცა სოციალიზმის ისეთი «ბელადები», როგორიც არიან ტურატი და კაუცკი, პირდაპირი განცხადებების საშუალებით (ერთი

მათგანი «წამოროშა» ტურატიმ თავის სავალალოდ განთქმულ სიტყვაში 1916 წ. 17 დეკემბერს) თუ დუმილის გზით (ამისი დიდი ოსტატია კაუცკი) უნერგავენ მასებს აზრს დემოკრატიული ზავის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ვითომ წარმოიშობა ახლანდელი იმპერიალისტური ომიდან, ბურჟუაზიულ მთავრობათა შენარჩუნების პირობებში, იმპერიალისტურ მსოფლიო თანაფარდობათა მთელი ქსელის წინააღმდეგ რევოლუციური აჯანყების მოუხდენლად, — მაშინ ჩვენ მოვალენი ვართ განვაცხადოთ, რომ ამგვარი ქადაგება არის ხალხის მოტყუება, რომ მას სოციალიზმთან საერთო არა აქვს რა, რომ იგი მხოლოდ იმპერიალისტური ზავის შელამაზებაა.

ჩვენ დემოკრატიულ ზავს ვემხრობით. და სწორედ ამიტომ ჩვენ არ გვინდა ხალხების წინაშე ვიცრუოთ, ისე როგორც ცრუობენ — რა თქმა უნდა, მეტად კეთილი განზრახვებით და მეტად სათნო სურვილებით! — ტურატი და კაუცკი. ჩვენ ვიტყვით სიმართლეს: დემოკრატიული ზავი შეუძლებელია, თუ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი არ დაამხობს ბურჟუაზიულ მთავრობებს. ჩვენ უდიდეს უაზრობად ჩავთვლიდით, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს რომ ხელი აეღოთ საერთოდ რეფორმებისათვის ბრძოლაზე, მათ შორის «სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის» ბრძოლაზეც. მაგრამ სწორედ ახლა განიცდის ევროპა ისეთ მომენტს, როცა უფრო მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ, საჭიროა გვახსოვდეს ის ჭეშმარიტება, რომ რეფორმები წარმოადგენს რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის არაპირდაპირ შედეგს. ვინაიდან დღის წესრიგში — არა ჩვენი ნებით, არა ვისიმე გეგმებით, არამედ მოვლენათა ობიექტური მსვლელობის ძალით — დაყენებულია დიადი ისტორიული საკითხების გადაწყვეტა მასების პირდაპირი ძალდატანებით, რომელიც ქმნის ახალ ბურჯებს, და არა გარიგებებით დამპალი და მომაკვდავი ძველი წესწყობილების ნიადაგზე.

სწორედ ახლა, როცა მმართველი ბურჟუაზია ემზადება იმისათვის, რომ მშვიდობიანად განაიარაღოს პროლეტართა მილიონები და უშიშრად გადაიყვანოს ისინი — კეთილსახოვანი იდეოლოგიის საფარით და აუცილებლად ტკბილ პაციფისტურ ფრაზათა აიაზმის წყლის სხურებით! — ბინძური, მყრალი, აშმორებული სანგრებიდან, სადაც ისინი ხოცვა-ჟლეტას ეწეოდნენ, კაპიტალისტური ფაბრიკების კატორღაში, სადაც მათ «პატიოსანი შრომით» უნდა გაისტუმრონ ასეული მილიარდები სახელმწიფო ვალი, — სწორედ ახლა ღებულობს უფრო მეტ მნიშვნელობას, ვიდრე ომის დაწყებისას, ის ლოზუნგი, რომლითაც მიმართა ხალხებს ჩვენმა პარტიამ 1914 წლის შემოდგომაზე: იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად სოციალიზმისათვის! * კარლ ლიბკნეხტი, კატორღამისჯილი, შეუერთდა ამ ლოზუნგს, როცა რეიხსტაგის ტრიბუნიდან თქვა: მიაბრუნეთ იარაღი თქვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ქვეყნის შიგნითვეო! თუ რამდენად მომწიფდა თანამედროვე საზოგადოება სოციალიზმზე გადასასვლელად, ეს სწორედ ომმა დაამტკიცა, როდესაც ხალხის ძალთა დაძაბვამ იძულებული გახადა გადასვლა ორმოცდაათ მილიონზე მეტი კაცის მთელი სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებაზე ერთი ცენტრიდან. თუ ეს შესაძლებელია ერთი მუჭა იუნკერ-აზნაურთა ხელმძღვანელობით ერთი მუჭა ფინანსური ბობოლების ინტერესებისათვის, უეჭველად, ეს არა ნაკლებ შესაძლებელია შეგნებული მუშების ხელმძღვანელობით შიმშილითა და ომით ღონემიხდილი მოსახლეობის ცხრა მეათედის ინტერესებისათვის.

მაგრამ მასებს რომ უხელმძღვანელონ, შეგნებულმა მუშებმა უნდა შეიგნონ სრული სიდამპლე სოციალიზმის ისეთი ბელადებისა, როგორიც არიან ტურატი, კაუცკი და კომპანია. ამ ვაუბატონებს თავი მოაქვთ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებად და ღრმა აღშფოთებას გამოთქვამენ, როცა

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 13 — 24. რედ.

მათ ეუბნებიან, რომ მათი ადგილი არის ბბ. ბისოლატის, შეიდემანის, ლეგინისა და კომპანიის პარტიაში. მაგრამ ტურატის და კაუცკის არა აქვთ არავითარი გაგება იმისა, რომ მხოლოდ მასების რევოლუციას შესწევს უნარი გადაწყვიტოს ღღის წესრიგში დასმული დიიდი საკითხები; მათ არა აქვთ რევოლუციის იოტისოდენა რწმენაც კი, ოდნავი გულისყური და ინტერესიც კი იმის მიმართ, თუ როგორ მწიფდება რევოლუცია მასების შეგნებასა და განწყობილებაში სწორედ ომთან დაკავშირებით. მათი ყურადღება სავსებით მიუპყრია რეფორმებს, გარიგებებს გაბატონებული კლასების ნაწილთა შორის, მათ მიმართავენ ისინი, მათ «არწმუნებენ», სურთ მათ შეუგუონ მუშათა მოძრაობა.

მთელი საქმე კი ამჟამად სწორედ ის არის, რომ პროლეტარიატის შეგნებულმა ავანგარდმა თავისი ფიქრები მიაპყროს და საკუთარი ძალები შეკრიბოს რევოლუციური ბრძოლისათვის თავიანთ მთავრობათა დასამხობად. ისეთი რევოლუციები არ ხდება, როგორიც «მზად» არიან აღიარონ ტურატიმაც და კაუცკიმაც, — სახელდობრ ისეთი, რომ წინდაწინ შეიძლებოდეს თქმა, თუ სახელდობრ როდის იფეთქებს რევოლუცია, სახელდობრ რამდენად დიდია მისი გამარჯვების შანსები. რევოლუციური სიტუაცია ევროპაში თვალწინ გვაქვს. ჩვენ თვალწინ გვაქვს მასების უდიდესი უკმაყოფილება, მღელვარება და გაბოროტება. ამ ნაკადის გაძლიერებისაკენ უნდა მიმართონ მთელი თავიანთი ძალღონე რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა. რევოლუციური მოძრაობის ძალაზე, მისი მცირე წარმატების შემთხვევაში, იქნება დამოკიდებული ის, თუ «შეპირებული» რეფორმების რა ნაწილი განხორციელდება ნამდვილად და რამდენადმე მაინც სარგებლობას მოუტანს მუშათა კლასის შემდგომ ბრძოლას. რევოლუციური მოძრაობის ძალაზე, მისი წარმატების შემთხვევაში, დამოკიდებული იქნება სოციალიზმის გამარჯვება ევროპაში და განხორციელება არა იმპერიალისტური დროებითი ზავისა რუსეთის და ინგლისის

წინააღმდეგ გერმანიის ბრძოლასა და ინგლისის წინააღმდეგ რუსეთ-გერმანიის ბრძოლას შორის, ანდა გერმანიის და ინგლისის წინააღმდეგ შეერთებული შტატების ბრძოლას შორის და სხვ., არამედ განხორციელება ნამდვილად მტკიცე და ნამდვილად დემოკრატიული ზავისა.

«სოციალ-დემოკრატი» № 58,
1917 წ. 31 იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სტატისტიკა და სოციოლოგია[97]

წინასიტყვაობა

გამომაქვს რა მკითხველის საყურადღებოდ ეს ნარკვევები, აღვნიშნავ, რომ მათი ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არ ყოფილა დაბეჭდილი, ნაწილი კი შეიცავს იმ გადმობეჭდილ სტატიებს, რომლებიც ომამდე გამოქვეყნდა ცალკეულ პერიოდულ გამოცემებში. საკითხი, რომელსაც ნარკვევები ეხება, — ნაციონალურ მოძრაობათა მნიშვნელობისა და როლის შესახებ, ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობის შესახებ, — ამჟამად, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ყველაზე ხშირად და ყველაზე მეტად ამ საკითხზე მსჯელობის ნაკლია ისტორიული თვალსაზრისისა და კონკრეტულობის უქონლობა. მეტად ჩვეულებრივი მოვლენაა ყოველნაირი კონტრაბანდის გაპარება ზოგადი ფრაზების საფარით. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მცირეოდენი სტატისტიკა ფრიად საჭირო იქნება. იმის შედარება ომის გაკვეთილებთან, რაც ჩვენ ომამდე ვთქვით, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება. ნარკვევები ურთიერთთან დაკავშირებულია თეორიისა და თვალსაზრისის ერთიანობით.

1917 წ. იანვარი

ა ვ ტ ო რ ი

ნაციონალურ მოძრაობათა ისტორიული ვითარება

ფაქტები ჯიუტი რამაა, ამბობს ინგლისური ანდაზა. ეს ანდაზა განსაკუთრებით ხშირად გახსენდება, როცა ხედავ, როგორ გალობს ბულბულის ჰანგზე ზოგიერთი მწერალი «ეროვნულობის პრინციპის» სიდიადის საკითხზე მისი სხვადასხვა მნიშვნელობითა და თანაფარდობით, ამასთან ამ «პრინციპს» მეტწილად ისევე მარჯვედ იყენებენ, როგორც მოსწრებული და დროული იყო ხალხური ზღაპრის ცნობილი გმირის წამოძახილი: «ეგ ერთი და სხვა მრავალიო» სამგლოვიარო პროცესიის დანახვის დროს.

ზუსტი ფაქტები, უდავო ფაქტები — აი განსაკუთრებით რა ვერ აუტანიათ ამგვარ მწერლებს და აი რა არის განსაკუთრებით აუცილებელი, თუ გვინდა სერიოზულად გავერკვეთ ამ რთულსა და ძნელ საკითხში, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე განზრახ აბუნდოვანებენ. მაგრამ როგორ შევკრიბოთ ფაქტები? როგორ დავადგინოთ მათი კავშირი და ურთიერთ დამოკიდებულობა?

საზოგადოებრივი მოვლენების სფეროში არ არსებობს იმაზე უფრო გავრცელებული და უფრო უსაფუძვლო ხერხი, როგორიცაა ცალკეული ფაქტების ამოგლეჯა, მაგალითებით თამაში. მაგალითების შერჩევა საზოგადოდ ძალიან ადვილია, მაგრამ ამას არც არავითარი მნიშვნელობა აქვს, ანდა ის წმინდა უარყოფითი ხასიათისა იქნება, ვინაიდან მთელი საქმე ცალკეულ შემთხვევათა ისტორიულ კონკრეტულ ვითარებაში მდგომარეობს. ფაქტები, თუ მათ აიღებთ მათს მთლიანობაში, მათს კავშირში, არათუ «ჯიუტი» რამ, არამედ უსათუოდ დამამტკიცებული საბუთიც არის. წვრილმანი ფაქტები, თუ ისინი აღებულია მთლიანის გარეშე, კავშირის გარეშე, თუ ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მოგონილია, სწორედ რომ მხოლოდ სათამაშოს ან კიდევ რაღაც უარეს რამეს წარმოადგენენ. მაგალითად, როცა მწე-

რალი, რომელიც წარსულში სერიოზული კაცი ყოფილა და რომელსაც სურს, რომ მას ასეთად თვლიდნენ, იღებს მონღოლთა ბატონობის ფაქტს და მას სახავს როგორც მაგალითს ზოგიერთი მოვლენის გასარკვევად XX საუკუნის ევროპაში, შეიძლება თუ არა ეს მხოლოდ თამაშობად მივიჩნიოთ, თუ უფრო მართებული იქნება ეს პოლიტიკურ თაღლითობას მივაკუთვნოთ? მონღოლთა ბატონობა ისტორიული ფაქტია, რომელიც უეჭველად დაკავშირებულია ნაციონალურ საკითხთან, ისე როგორც XX საუკუნის ევროპაშიც ვხვდებით მთელ რიგ ფაქტებს, რომელნიც ასევე უეჭველად დაკავშირებული არიან ამ საკითხთან. მაგრამ ცოტანი იქნებიან ისეთი ადამიანები — იმათი ტიპისა, ვისაც ფრანგები «ნაციონალურ ჯამბაზებს» უწოდებენ, — რომელთაც შეეძლოთ სერიოზულობის პრეტენზია ჰქონდეთ და იმავე დროს XX საუკუნის ევროპაში მიმდინარე ამბების საილუსტრაციოდ მონღოლთა ბატონობის «ფაქტს» მიმართონ.

დასკვნა აქედან ნათელია: უნდა ვცადოთ ზუსტი და უდავო ფაქტების მიხედვით შევქმნათ ისეთი საფუძველი, რომელსაც შეიძლებოდა დავყრდნობოდით, რომლისთვისაც შეიძლებოდა დაგვეპირისპირებინა ყოველი მსჯელობა იმ «ზოგად» თუ «სამაგალითო» მსჯელობათაგან, რომელთაც ასე უზომოდ ბოროტად იყენებენ ზოგიერთ ქვეყანაში ამჟამად. ეს რომ ნამდვილად საფუძველი იყოს, საჭიროა ავიღოთ არა ცალკეული ფაქტები, არამედ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ფაქტების მ თ ე ლ ი ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ა, სრულიად გამოუკლებლივ, რადგან თუ ასე არ მოვიქეცით, უსათუოდ დაიბადება ეჭვი, და სავსებით კანონიერი ეჭვიც, რომ ფაქტები ამორჩეული ან განზრახ შერჩეულია თვითნებურად, რომ მთლიანი სახით წარმოდგენილი ისტორიული მოვლენების ობიექტური კავშირისა და ურთიერთ დამოკიდებულობის ნაცვლად გვთავაზობენ «სუბიექტურ» შენათითხნს, იქნებ, ბინძური საქმის გასამართლებლად. ეს ხომ... უფრო ხშირად ხდება ხოლმე, ვიდრე ჩვენ გვგონია.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ დავიწყოთ სტატისტიკით, თუმცა, რა თქმა უნდა, სავსებით შეგნებული გვაქვს, რა ღრმა ანტიპათიას იწვევს სტატისტიკა ზოგიერთ მკითხველში, რომელთაც «უბრალო ჭეშმარიტებებს» ურჩევნიათ «ჩვენი ამამაღლებელი სიცრუე», და ზოგიერთ მწერალში, რომელთაც უყვართ გააპარონ პოლიტიკური კონტრაბანდა ინტერნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმის, ნაციონალიზმის, პატრიოტიზმისა და სხვათა შესახებ «ზოგადი» მსჯელობის საფარით.

თავი 1

ცოტაოდენი სტატისტიკა

I

ნაციონალურ მოძრაობათა მონაცემების მ თ ე ლ ი ერთობლიობა ნამდვილად რომ მიმოვიხილოთ, უნდა ავიღოთ დედამიწის მ თ ე ლ ი მოსახლეობა. ამასთან რაც შეიძლება უფრო ზუსტად უნდა დავადგინოთ და რაც შეიძლება უფრო სრულად გამოვიკვლიოთ ორი ნიშანი: ჯერ-ერთი, ცალკეულ სახელმწიფოთა ნაციონალური შემადგენლობის სიწმინდე ან სიჭრელე; მეორეც, სახელმწიფოთა დაყოფა (ან სახელმწიფოს მაგვარ ერთეულთა დაყოფა იმ შემთხვევებში, როდესაც ეჭვი იბადება, შეიძლება თუ არა ლაპარაკი საკუთრივ სახელმწიფოს შესახებ) პოლიტიკურად დამოუკიდებელ და პოლიტიკურად დამოკიდებულ სახელმწიფოებად.

ავიღოთ 1916 წელს გამოქვეყნებული უახლესი მონაცემები და დავეყრდნოთ ორ წყაროს: ერთია — გერმანული, ოტო გიუბნერის «გეოგრაფიულ-სტატისტიკური ცხრილები», და მეორე — ინგლისური, «პოლიტიკური ყოველწლიური კრებული» («The Statesman's Year-Book»). პირველი წყარო უნდა ავიღოთ საფუძვლად, რადგან იგი ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით ბევრად უფრო სრულია, მეორეს კი გამოვიყენებთ შემოწმებისა და ზოგიერთი, მეტწილად კერძო, შესწორებისათვის.

დავიწყოთ ჩვენი მიმოხილვა პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ნაციონალური შემადგენლობის მთლიანობის თვალსაზრისით ყველაზე უფრო «წმინდა» სახელმწიფოებით. აქ პირველ ადგილზე ერთბაშად გამოდის დასავლეთ ევროპის, ე. ი. რუსეთისა და ავსტრიის დასავლეთით მდებარე, სახელმწიფოთა ჯგუფი.

აქ ჩვენ გვაქვს სულ 17 სახელმწიფო, მაგრამ მათ შორის ხუთი, რომლებიც ნაციონალური შემადგენლობით ძალიან წმინდაა, თავისი სრულიად უმნიშვნელო ოდენობით პირდაპირ სათამაშო ტიკინებს წარმოადგენენ. ესენია: ლიუქსემბურგი, მონაკო, მარინო, ლიხტენშტეინი და ანდორა, რომელთა მოსახლეობა, ერთად აღებული, სულ 310 ათას კაცს შეადგენს. უეჭველია, ბევრად უფრო მართებული იქნება, თუ მათ სრულიად არ შევიტანთ სახელმწიფოთა რიცხვში. დანარჩენი 12 სახელმწიფოდან შვიდი — სავსებით წმინდა ნაციონალური შემადგენლობისაა: იტალიაში, ჰოლანდიაში, პორტუგალიაში, შვეიცაში, ნორვეგიაში ერთ ეროვნებას ეკუთვნის თვითეული სახელმწიფოს მოსახლეობის 99%; ესპანეთსა და დანიაში — მოსახლეობის 96%. შემდეგ, თითქმის წმინდა ნაციონალური შემადგენლობისაა სამი სახელმწიფო: საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია. საფრანგეთში მოსახლეობის სულ 1,3 პროცენტს შეადგენენ იტალიელები, რომელთა ანექსირება მოახდინა ნაპოლეონ III-ემ მოსახლეობის ნება-სურვილის დარღვევითა და გაყალბებით. ინგლისში ანექსიას წარმოადგენს ირლანდია, რომლის მოსახლეობა, 4,4 მილიონი, მთელი მოსახლეობის (46,8 მილიონი) ერთ მეათედზე ნაკლებს შეადგენს. გერმანიაში 64,9 მილიონი მოსახლეობიდან ნაციონალურად უცხო და თითქმის მთლიანად ისევე ნაციონალურად ჩაგრულ ელემენტს, როგორიც არიან ირლანდიელები ინგლისში, წარმოადგენენ პოლონელები (5,47%), დანიელნი (0,25%) და ელზას-ლორენელები (1,87 მილიონი), მაგრამ ამასთან ერთად ამ უკანასკნელთა ერთი (ზუსტად არ ვიცით, სახელდობრ რა) ნაწილი უეჭველია არა მარტო ენის, არამედ ეკონომიური ინტერესებისა

და სიმპათიების მხრივაც გერმანიისაკენ იხრება. საერთოდ, გერმანიის დაახლოებით 5 მილიონი მოსახლეობა უცხო, არასრულუფლებიან და თვით ჩაგრულ ერებს მიეკუთვნება.

დასავლეთ ევროპის მხოლოდ ორ პატარა სახელმწიფოში არის შერეული ნაციონალური შემადგენლობა: შვეიცარიაში, რომლის მოსახლეობა ოთხ მილიონზე ცოტა ნაკლებია და შედგება 69% გერმანელებისა, 21% ფრანგებისა და 8% იტალიელებისაგან, — და ბელგიაში (8 მილიონზე ცოტა ნაკლები მოსახლეობა; დაახლოებით 53%, ალბათ, ფლამანდიელები არიან და თითქმის 47% — ფრანგები). მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ, თუმცა ამ სახელმწიფოთა ნაციონალური შემადგენლობის სიჭრელე ძალიან დიდია, ეროვნებათა ჩაგვრაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება. ორივე სახელმწიფოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა ეროვნება თანასწორუფლებიანია; შვეიცარიაში ეს თანასწორუფლებიანობა მართლაც საკვლებით გატარებულია; ბელგიაში უთანასწორობაა ფლამანდიელების ბიმართ, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ ისინი შეადგენენ, მაგრამ ეს უთანასწორობა სრულიად უმნიშვნელოა, მაგალითად, იმასთან შედარებით, რასაც განიცდიდნენ პოლონელები გერმანიაში ან ირლანდიელები ინგლისში, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რასაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს იმ ქვეყნებში, რომელნიც განსახილველ სახელმწიფოთა ჯგუფს არ მიეკუთვნებიან. ამიტომ, სხვათა შორის, ტერმინი — «ეროვნებათა სახელმწიფო», რომელიც განსაკუთრებით გავრცელდა ნაციონალურ საკითხში ოპორტუნისტების, ავსტრიელი მწერლების კ. რენერისა და ო. ბაუერის ლოცვა-კურთხევით, სწორია მხოლოდ მეტად განსაზღვრული აზრით, სახელდობრ, თუ, ერთი მხრივ, არ დავივიწყებთ ასეთი ტიპის სახელმწიფოთა უმრავლესობის განსაკუთრებულ ისტორიულ ადგილს (ამაზე კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი ქვემოთ), ხოლო, მეორე მხრივ, ნებას არ მივცემთ ამ ტერმინით დაფარონ ძირფესვიანი განსხვავება ერთა ნამდვილ თანასწორუფლებიანობასა და ერთა ჩაგვრას შორის.

განხილულ ქვეყნებს თუ შევაერთებთ, მივიღებთ დასავლეთ ევროპის 12 სახელმწიფოს ერთ ჯგუფს, რომელთა საერთო მოსახლეობა 242 მილიონ კაცს შეადგენს. ამ 242 მილიონიდან მხოლოდ დაახლოებით $9^1/_2$ მილიონი, ე. ი. სულ 4%. წარმოადგენენ ჩაგრულ ერებს (ინგლისსა და გერმანიაში). თუ შევაჯამებთ ყველა ამ სახელმწიფოს მოსახლეობის ყველა იმ ნაწილს, რომელნიც მთავარ სახელმწიფო ეროვნებას არ მიეკუთვნებიან, მივიღებთ დაახლოებით 15 მილიონს, ე. ი. 6 პროცენტს.

მაშასადამე, საერთოდ და მთლიანად, სახელმწიფოთა ეს ჯგუფი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ესენი — ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებია, ყველაზე მეტად განვითარებულნი როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მხრით. კულტურული დონეც აგრეთვე ყველაზე მაღალია. ნაციონალური მხრით ამ სახელმწიფოთა უმრავლესობა სავსებით წმინდა ან თითქმის სავსებით წმინდა ეროვნული შემადგენლობისაა. ნაციონალური უთანასწორობა, როგორც განსაკუთრებული პოლიტიკური მოვლენა, სრულიად უმნიშვნელო როლს ასრულებს. ჩვენ წინაშეა იმ «ნაციონალური სახელმწიფოს» ტიპი, რომელზედაც ასე ხშირად ლაპარაკობენ, თუმცა მეტწილ შემთხვევებში ავიწყდებათ ამ ტიპის ისტორიულად პირობითი და წარმავალი ხასიათი კაცობრიობის საერთო კაპიტალისტურ განვითარებაში. მაგრამ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით თავის ადგილას ვიტყვით.

კითხვა ისმება, განისაზღვრება თუ არა ეს ტიპი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებით? ცხადია, არა. ამ ტიპის ყველა ძირითადი ნიშანი, — ეკონომიური (კაპიტალიზმის მაღალი და განსაკუთრებით ჩქარი განვითარება), პოლიტიკური (წარმომადგენლობითი წყობილება), კულტურული, ნაციონალური, — გვხვდება აგრეთვე ამერიკისა და აზიის მოწინავე სახელმწიფოებში: შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში. ამ უკანასკნელის ნაციონალური შემადგენლობა დიდი ხანია ჩამოყალიბებული და სავსებით წმინდაა; მოსახლეო-

ბის 99 პროცენტზე მეტი იაპონელებისაგან შედგება. შეერთებულ შტატებში მოსახლეობის მხოლოდ 11,1 პროცენტს შეადგენენ ზანგები (აგრეთვე მულატები და ინდიელები), რომლებიც ჩაგრულ ერს უნდა მიეკუთვნონ, რამდენადაც თანასწორობა, 1861 — 1865 წლების სამოქალაქო ომით მოპოვებული და რესპუბლიკის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი, ნამდვილად ზანგების ბინადრობის მთავარ ადგილებში (სამხრეთში) და მრავალი მხრივ სულ უფრო და უფრო იზღუდებოდა 1860 — 1870-იანი წლების პროგრესული, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმიდან იმ უახლესი ეპოქის რეაქციულ, მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე (იმპერიალიზმზე) გადასვლასთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიყოფა ესპანეთ-ამერიკის 1898 წლის იმპერიალისტური (ე. ი. ორ ყაჩაღს შორის ნადავლის გაყოფით გამოწვეული) ომით.

შეერთებული შტატების 88,7% თეთრკანიანი მოსახლეობიდან 74,3 პროცენტს შეადგენენ ამერიკელები და მხოლოდ 14,4 პროცენტს — საზღვარგარეთ დაბადებულნი, ე. ი. სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულნი. როგორც ცნობილია, ამერიკაში კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებით ხელსაყრელმა პირობებმა და ამ განვითარების განსაკუთრებულმა სიჩქარემ ისა ქნეს, რომ მსოფლიოში არსად ისე არ ხდება უდიდეს ნაციონალურ განსხვავებათა ასე სწრაფად და ასე რადიკალურად გათქვეფა ერთიან «ამერიკელ» ერში, როგორც აქ.

დასავლეთ ევროპის ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს თუ მივუმატებთ შეერთებულ შტატებსა და იაპონიას, მივიღებთ 14 სახელმწიფოს 394 მილიონი საერთო მოსახლეობით, რომლიდანაც ნაციონალურად არათანასწორუფლებიანია დაახლოებით 26 მილიონი კაცი, ე. ი. 7%. წინასწარ შევნიშნავთ, რომ სახელდობრ ამ 14 მოწინავე სახელმწიფოს უმრავლესობა XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის პერიოდში, ე. ი. სწორედ კაპიტალიზმის იმპერიალიზმად გადაქცევის პერიოდში, განსაკუთრებით ძლიერ გაეშურა წინ

კოლონიური პოლიტიკის გზით, რომლის შედეგად ამჟამად ამ სახელმწიფოთა «განკარგულებაშია» ნახევარ მილიარდზე მეტი მოსახლეობა დამოკიდებულ, კოლონიურ ქვეყნებში.

II

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ჯგუფი — რუსეთი, ავსტრია, თურქეთი (გეოგრაფიულად უფრო მართებული იქნება ეს უკანასკნელი ამჟამად ჩაითვალოს აზიურ სახელმწიფოდ, ხოლო ეკონომიურად — «ნახევრადკოლონიად») და ბალკანეთის 6 პატარა სახელმწიფო: რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, სერბია, ჩერნოგორია და ალბანეთი — ერთბაშად გვიჩვენებს ისეთ სურათს, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება წინანდელისაგან. აქ არ არის არც ერთი სახელმწიფო, სადაც წმინდა ნაციონალური შემადგენლობა იყოს! მხოლოდ ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებს შეიძლება ეწოდოს ნაციონალური სახელმწიფოები, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქაც უცხო ეროვნების მოსახლეობა შეადგენს 5-დან 10-მდე პროცენტს, რომ რუმინელებისა და სერბების ძალიან დიდი (ამ ეროვნებათა წარმომადგენლების მთელ რიცხვთან შედარებით) რაოდენობანი «თავისი» სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, რომ საზოგადოდ «სახელმწიფოებრივი მშენებლობა» ბალკანეთში ბურჟუაზიულ-ნაციონალური მიმართულებით არ დამთავრებულა თვით «გუშინდელი», შეიძლება ითქვას, 1911 — 1912 წლების ომებითაც კი. ბალკანეთის წვრილ სახელმწიფოთა შორის არ არის არც ერთი ისეთი ნაციონალური სახელმწიფო, როგორიცაა ესპანეთი, შვეცია და სხვა. აღმოსავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოებში კი, სამივეში, «თავისი» და თანაც მთავარი ეროვნების მოსახლეობის პროცენტი მხოლოდ 43%-ს შეადგენს. მოსახლეობის ნახევარზე მეტი, 57%, თვითეულ სახელმწიფოში ამ სამი დიდი სახელმწიფოდან, «უცხო ეროვნების» (ჭეშმარიტ-რუსული ენით რომ გამოვთქვათ — «ინოროდცულ») მოსახლეობას მიეკუთვნება. სტატისტიკურად, განსხვავება დასავლეთ ევრო-

პისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ჯგუფს შორის შემდეგნაირად გამოიხატება:

პირველ ჯგუფში ჩვენ გვაქვს 10 წმინდა ან თითქმის წმინდა ნაციონალური სახელმწიფო 231 მილიონი მოსახლეობით; მხოლოდ 2 ნაციონალურად «ჭრელი» სახელმწიფო, მაგრამ ისეთი, სადაც ერთა ჩაგვრა არ არის და სადაც არსებობს მათი კონსტიტუციური თანასწორუფლებიანობა, რაც ფაქტიურად ტარდება, — 11½ მილიონი მოსახლეობით.

მეორე ჯგუფში — თითქმის წმინდა 6 სახელმწიფო 23 მილიონი მოსახლეობით; ს ა მ ი «ჭრელი» ანუ «შერეული» სახელმწიფო, სადაც ერთა თანასწორუფლებიანობა არ არის, — 249 მილიონი მოსახლეობით.

საერთოდ და მთლიანად, სხვა ეროვნების მოსახლეობის (ე. ი. ისეთისა, რომელიც თვითეული ცალკე სახელმწიფოს მთავარ ერს * არ ეკუთვნის) პროცენტი შეადგენს დასავლეთ ევროპაში 6%, ხოლო შეერთებულ შტატებსა და იაპონიას თუ მივუმატებთ — 7 პროცენტს. აღმოსავლეთ ევროპაში კი ეს პროცენტია — 53%!

პირველად დაიბეჭდა 1935 წ.
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 2

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* რუსეთში — ველიკოროსები, ავსტრიაში — გერმანელები და ჩადიარები, თურქეთში — თურქები.

მოჩვენებითი თუ ნამდვილი ჭაობი?

ამხ. რ. გრიმი თავის სტატიაში უმრავლესობისა და უმცირესობის შესახებ («Berner Tagwacht» * და «Neues Leben» **) ამტკიცებს, რომ «ჩვენშიაც გამოიგონეს» «ჭაობი, მოჩვენებითი პარტიული ცენტრი».

ჩვენ დავამტკიცებთ, რომ სწორედ ის პოზიცია, რომელიც გრიმს ზემოაღნიშნულ სტატიაში უჭირავს, წარმოადგენს ცენტრის ტიპიურ თვალსაზრისს.

გრიმი ეკამათება უმრავლესობას და წერს:

«ა რ ც ე რ თ პარტიას იმ პარტიებიდან, რომლებიც ციმერვალდისა და კინტალის პლატფორმაზე იდგნენ, არ წამოუყენებია სამხედრო სამსახურზე უარის თქმის ლოზუნგი და იმავე დროს თავისი წევრებისთვის სავალდებულოდ არ გაუხდია მისი ცხოვრებაში გატარება. თვითონ ლიბკნეხტმა სამხედრო ფორმა ჩაიცვა და არმიის რიგებში შევიდა. იტალიის პარტია დაკმაყოფილდა სამხედრო კრედიტებისა და სამოქალაქო ზავის უარყოფით. ასევე მოიქცა საფრანგეთში უმცირესობა».

ჩვენ გაკვირვებული ვიფშვნეტთ თვალებს. ჩვენ კვლავ ვკითხულობთ ამ მნიშვნელოვან აბზაცს გრიმის სტატიაში და ვურჩევთ მკითხველს ჩაუფიქრდეს მას.

---

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

** — «ახალი ცხოვრება». რ ე დ.

წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ასეა! იმის დასამტკიცებლად, რომ ცენტრი ჩვენში გამოგონილია, ამ ჩვენი ცენტრის წარმომადგენელი, გრიმი, ერთ გროვაში აქცევს მემარცხენე ინტერნაციონალისტებს (ლიბკნეხტი) და მემარჯვენე ციმერვალდელებს ანუ ცენტრს!!!

ნუთუ გრიმს მართლა იმედი აქვს მოატყუოს შვეიცარიელი მუშები და დაარწმუნოს ისინი, რომ ლიბკნეხტი და იტალიის პარტია ერთსა და იმავე მიმართულებას ეკუთვნიან? რომ მათ შორის არ არის სწორედ ის განსხვავება, რომელიც ჰყოფს მემარცხენეებსა და ცენტრს?

მოვიყვანოთ ჩვენი საბუთები:

ჯერ-ერთი, მოვუსმინოთ მოწმეს, რომელიც არც ცენტრს ეკუთვნის და არც მემარცხენეებს. გერმანიის სოციალ-იმპერიალისტი ერნსტ ჰეილმანი 1916 წლის 12 აგვისტოს «Glocke»-ში [98], გვ. 772, წერდა: ...«Die Arbeitsgemeinschaft *, ანუ ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფი, რომლის თეორეტიკოსია კაუცკი, ხოლო პოლიტიკური ბელადები არიან ჰააზე და ლედებური»... შეუძლია თუ არა გრიმს იდავოს იმაზე, რომ კაუცკი-ჰააზე-ლედებური ცენტრის ტიპიური წარმომადგენლები არიან?

მეორე. შეიძლება თუ არა გრიმისთვის უცნობი დარჩეს, რომ ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფი ანუ ცენტრი გამოდის თანამედროვე სოციალიზმში კავშირის დაუყოვნებლივი გაწყვეტის წინააღმდეგ სსბ-თან, ჰააგის საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან, სოციალ-პატრიოტების ბიუროსთან? რომ მემარცხენე ჯგუფი მხარს უჭერს ამ კავშირის გაწყვეტას? რომ «ინტერნაციონალის» ჯგუფის წარმომადგენლები კინტალში — ლიბკნეხტი კი სწორედ ამ ჯგუფს ეკუთვნის — იბრძოდნენ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის წინააღმდეგ და მასთან კავშირის გაწყვეტისათვის?

მესამე. ნუთუ გრიმს დაავიწყდა, რომ სოციალ-პაციფიზმი, რომელიც პირდაპირ დაგმო კინტალის რეზოლუციამ,

* — შრომითი თანამეგობრობა. რედ.

სწორედ ახლა გახდა ცენტრის პლატფორმა საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში? რომ იტალიის მთელი პარტია, რომელსაც პროტესტი არ განუცხადებია არც თავისი საპარლამენტო ჯგუფის მრავალრიცხოვანი სოციალ-პაციფისტური რეზოლუციებისა და განცხადებების წინააღმდეგ, არც ტურატის 17 დეკემბრის სამარცხვინო სიტყვის წინააღმდეგ, სოციალ-პაციფიზმის პლატფორმაზე დგას? რომ ორივე მემარცხენე ჯგუფმა გერმანიაში, როგორც I. S. D-მ (გერმანიის ინტერნაციონალურმა სოციალისტებმა), ისე «ინტერნაციონალმა» (ანუ «სპარტაკის» ჯგუფმა, რომელსაც ეკუთვნის კიდეც ლიბკნეხტი), პ ი რ დ ა პ ი რ უ ა რ ყ ვ ე ს ცენტრის სოციალ-პაციფიზმი? ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საფრანგეთის უაღრესად ბოროტმავნებელმა სოციალ-იმპერიალისტებმა და სოციალ-პატრიოტებმა, სამბას, რენოდელისა და ჟუოს მეთაურობით, ა გ რ ე თ ვ ე ხმა მისცეს სოციალ-პაციფისტურ რეზოლუციებს და რომ ამ გზით განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამომქღავნდა სოციალ-პაციფიზმის ნამდვილი, ობიექტური მნიშვნელობა.

მეოთხე... მაგრამ კმარა! გრიმი სწორედ ცენტრის თვალსაზრისზე დგას, როცა ის შვეიცარიის პარტიას ურჩევს «დაკმაყოფილდეს» კრედიტებისა და სამოქალაქო ზავის უარყოფით, როგორც იტალიის პარტია მოიქცა. გრიმი უმრავლესობის წინადადებებს აკრიტიკებს სწორედ ცენტრის თვალსაზრისით, იმიტომ რომ ამ უმრავლესობას სურს დაუახლოვდეს ლ ი ბ კ ნ ე ხ ტ ი ს თვალსაზრისს.

გრიმი გამოდის სიცხადის, პირდაპირობისა და პატიოსნების დასაცავად. კეთილი! განა ეს ჩინებული თვისებები არ გვიკარნახებენ ნათლად, აშკარად, პატიოსნად განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ლიბკნეხტისა და ცენტრის თვალსაზრისი და ტაქტიკა და ერთ გროვაში არ მოვაქციოთ ისინი?

ლიბკნეხტთან ერთად ყოფნა — ეს ნიშნავს: (1) თავს ესხმოდე მთავარ მტერს შენს საკუთარ ქვეყანაში; (2) ამხელდე შენი საკუთარი ქვეყნის (და არა მარტო უ ც ხ ო ე ლ, თქვენი ნებართვით, ამხ. გრიმ!) სოციალ-პატრიოტებს,

ებრძოდე მათ, არ გაერთიანდე მათთან — თქვენი ნებართვით, ამხ. გრიმ! — მემარცხენე რადიკალთა წინააღმდეგ; (3) აშკარად აკრიტიკებდე და ამხელდე არა მარტო სოციალ-პატრიოტების, არამედ აგრეთვე სოციალ-პაციფისტებისა და «ცენტრისტების» სუსტ მხარეებს შენს ქვეყანაში; (4) იყენებდე საპარლამენტო ტრიბუნას იმისათვის, რომ მოუწოდებდე პროლეტარიატს რევოლუციური ბრძოლისაკენ, იმისაკენ, რომ მან შეაბრუნოს იარაღი; (5) ავრცელებდე არალეგალურ ლიტერატურას და აწყობდე არალეგალურ კრებებს; (6) აწყობდე პროლეტარულ დემონსტრაციებს, როგორიცაა, მაგალითად, ბერლინში პოტსდამის მოედანზე გამართული დემონსტრაცია, რომელზედაც დააპატიმრეს ლიბკნეხტი; (7) მოუწოდებდე გაფიცვებისაკენ სამხედრო მრეწველობის მუშებს, როგორც ამას აკეთებდა თავის არალეგალურ პროკლამაციებში «ინტერნაციონალის» ჯგუფი; (8) აშკარად ამტკიცებდე, რომ აუცილებელია სრული «განახლება» ახლანდელი პარტიებისა, რომლებიც რეფორმისტული საქმიანობით კმაყოფილდებიან, და ისევე მოქმედებდე, როგორც მოქმედებდა ლიბკნეხტი; (9) უყოყმანოდ უარყოფდე სამშობლოს დაცვას იმპერიალისტურ ომში; (10) მთელი ხაზით იბრძოდე რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიის შიგნით; (11) ასევე შეურიგებლად გამოდიოდე პროფესიული ბელადების წინააღმდეგ, რომლებიც ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით გერმანიაში, ინგლისსა და შვეიცარიაში, სოციალ-პატრიოტიზმისა და ოპორტუნიზმის ავანგარდს შეადგენენ, და ა. შ.

ცხადია, რომ ამ თვალსაზრისით ბევრი რამ უმრავლესობის პროექტში გასაკრიტიკებელია. მაგრამ ამაზე შეიძლება მხოლოდ ცალკე სტატიაში ვილაპარაკოთ. აქ კი აუცილებლად საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ უმრავლესობა ყოველ შემთხვევაში სახავს ზოგიერთ ნაბიჯს ამ მიმართულებით, გრიმი კი ამ უმრავლესობას თავს ესხმის არა მარცხნიდან, არამედ **მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ**, არა ლიბკნეხტის თვალსაზრისიდან, არამედ ცენტრის თვალსაზრისიდან.

თავის სტატიაში გრიმი მუდამ ერთმანეთში ურევს ორ პრინციპულად სხვადასხვა საკითხს: ჯერ-ერთი, იმ საკითხს, თუ როდის, რა მომენტში უნდა განხორციელდეს ესა თუ ის რევოლუციური მოქმედება. ამ საკითხის წინასწარ გადაწყვეტისადმი მისწრაფება უაზრობაა, და აქედან გამომდინარე საყვედურები გრიმისა უმრავლესობის წინააღმდეგ— მხოლოდ მუშების თვალის ახვევაა.

მეორე საკითხი: როგორ გადავაქციოთ, გარდავქმნათ პარტია, რომელსაც ამჟამად უნარი არ შესწევს აწარმოოს სისტემატური, მედგარი და ყოველგვარ კონკრეტულ პირობებში ნამდვილად რევოლუციური ბრძოლა, ისეთ პარტიად, რომელსაც ამის უნარი ექნება.

ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია! ეს არის სამხედრო საკითხში, ისევე როგორც ქვეყნის დაცვის საკითხში არსებულ მიმართულებათა მთელი დავის, მთელი მათი ბრძოლის **თავი და ბოლო!** და სწორედ ამ საკითხს აფუჩეჩებს, ჩქმალავს, აბუნდოვანებს გრიმი. მეტიც: გრიმის განმარტება იმით ამოიწურება, რომ იგი ამ საკითხს უარყოფს.

ყველაფერი ძველებურად რჩება — აი წითელი ზოლი, რომელიც გრიმის მთელ სტატიას გასდევს; ეს არის იმ მტკიცების უღრმესი საფუძველი, რომ ამ სტატიით წარმოდგენილია ცენტრი. ყველაფერი ძველებურად რჩება: **მხოლოდ** სამხედრო კრედიტებისა და სამოქალაქო ზავის უარყოფა! არც ერთ გონიერ ბურჟუას არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ბოლოს და ბოლოს ეს ბურჟუაზიისოვისაც არ არის მიუღებელი: ეს ჯერ კიდევ არ ემუქრება ბურჟუაზიის ბატონობას, ხელს არ უშლის მას აწარმოოს ომი («ჩვენ ვემორჩილებით» როგორც «უმცირესობა სახელმწიფოშია» — გრიმის ამ სიტყვებს ძალიან, ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს!).

და განა ეს საერთაშორისო ფაქტი არ არის, რომ თვით ბურჟუაზია და მისი მთავრობანი მეომარ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა ინგლისსა და გერმანიაში, დევნიან მხო-

ლ ო დ ლიბკნეხტის მომხრეებს და ი თ მ ე ნ ე ნ ცენტრის წარმომადგენლებს?

წინ, მარცხნივ, მაშინაც კი, თუ ეს დაკავშირებულია ზოგიერთი სოციალ-პატრიოტული ბელადის ჩამოშორებასთან! — ასეთია, მოკლედ, უმრავლესობის წინადადებათა პოლიტიკური აზრი.

უკან ციმერვალდიდან, მარჯვნივ, სოციალ-პაციფიზმისაკენ, ცენტრის პოზიციისაკენ, სოციალ-პატრიოტულ ბელადებთან «ზავისაკენ», არავითარი მასობრივი მოქმედება, მოძრაობის არავითარი გარეკოლუციურება, პარტიის არავითარი განახლება! — ასეთია გრიმის თვალსაზრისი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს თვალსაზრისი, ბოლოს და ბოლოს, თვალს აუხელს შვეიცარიელ მემარცხენე რადიკალებს და დაანახვებს მათ გრიმის ცენტრისტულ პოზიციას.

დაწერილია გერმანულ ენაზე
1917 წ. იანვრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

თარგმანი გერმანულიდან

წინადადება სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ [99]

1. პარტიის წარმომადგენლებმა პარლამენტში ვალდებულება იკისრონ პრინციპული დასაბუთების საფუძველზე უარყონ ყველა სამხედრო მოთხოვნა და კრედიტები. დემილიზაციის მოთხოვნა.

2. არავითარი სამოქალაქო ზავი; გამწვავება პრინციპული ბრძოლისა ყველა ბურჟუაზიული პარტიის წინააღმდეგ, აგრეთვე მუშათა მოძრაობასა და პარტიაში ნაციონალისტურ-გრიუტლური იდეების წინააღმდეგ.

3. სისტემატური რევოლუციური პროპაგანდა არმიაში.

4. მხარის დაჭერა ყველა რევოლუციური მოძრაობისათვის და ომისა და საკუთარ მთავრობათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ყველა მეომარ ქვეყანაში.

5. ხელის შეწყობა თვით შვეიცარიაში ყოველგვარი რევოლუციური მასობრივი ბრძოლისათვის, გაფიცვებისა და დემონსტრაციებისათვის და მათი გადაქცევა აშკარა შეიარაღებულ ბრძოლად.

6. რევოლუციური მასობრივი ბრძოლის მიზნად, რომელიც უკვე აღიარებულია აარაუს 1915 წლის პარტეიტაგის მიერ,

პარტია აცხადებს შვეიცარიის სოციალისტურ გარდაქმნას. ეს გადატრიალება ერთადერთი და ყველაზე ნამდვილი საშუალებაა მუშათა კლასის გასათავისუფლებლად სიძვირისა და შიმშილობის საშინელებათაგან, იგი აუცილებლად საჭიროა მილიტარიზმისა და ომის სრული მოსპობისათვის.

დაწერილია 1917 წ. 27 და 29 იანვარს
(9 და 11 თებერვალს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება მანქანით გადაღებული
პირის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ისტორია ერთი სოციალისტური პარტიის ცხოვრების ერთი პატარა პერიოდისა

7. I. 1917. შვეიცარიის სოციალისტური პარტიის გამგეობის სხდომა. «ცენტრის» ბელადი რ. გრიმი გაერთიანდა სოციალ-პატრიოტ ლიდერებთან და გაურკვეველი დროით გადადო პარტეიტაგის მოწვევა (რომელზედაც უნდა განეხილათ სამხედრო საკითხი და რომელიც დანიშნული იყო 1917 წლის 11 თებერვლისათვის).

ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ და ხმას აძლევენ ნობსი, პლატენი, ნენი და სხვ.

ამ გადადების წინააღმდეგ უდიდეს აღშფოთებას გამოთქვამენ შეგნებულ მუშათა წრეებში.

9. I. 1917. გამოქვეყნდა უმრავლესობისა და უმცირესობის რეზოლუციები. უმრავლესობის პროექტში სრულიად არ არის მკაფიო განცხადება სამშობლოს დაცვის წინააღმდეგ (აფოლტერი და შმიდი ამის წინააღმდეგი იყვნენ), მაგრამ მე-3 პარაგრაფი მაინც შეიცავს მოთხოვნას: «პარტიის წარმომადგენლებმა პარლამენტში ვალდებულება იკისრონ პრინციპული დასაბუთების საფუძველზე უარყონ ყველა სამხედრო მოთხოვნა და კრედიტები». ეს კარგად უნდა დავიმახსოვროთ.

23. I. 1917. ციურიხის «**Volksrecht**»-ი * ბეჭდავს რეფერენდუმის დასაბუთებას [100]. ამ დასაბუთებაში გადადება მკაცრად, მაგრამ სავსებით მართებულად, დახასიათებულია, როგორც გრიუტლელთა გამარჯვება სოციალიზმზე.

ლიდერების გულისწყრომის ქარიშხალი ამ რეფერენდუმის წინააღმდეგ. გრიმი «**Berner Tagwacht**»-ში, ** «ტაკ

* — «ხალხის უფლება». რედ.

** — «ბერნის გუშაგი». რედ.

შ მ ი დ ი (ოლტენი) «Neue Freie Zeitung»-ში, ფ. შ ნ ე ი დ ე-რ ი «Basler Vorwärts»-ში [101], შემდეგ, გარდა ამ «ცენტრელებისა», სოციალ-პატრიოტი ჰ უ ბ ე რ ი ს.-ჰალენის «Volksstimme»-ში, * — ყველა ისინი თათხავენ და ემუქრებიან რეფერენდუმის ინიციატორებს.

ამ სამარცხვინო ლაშქრობას მეთაურობს რ. გრიმი, იგი განსაკუთრებით ცდილობს დააშინოს «ახალგაზრდობის ორგანიზაცია» და იქადის მის წინააღმდეგ გამოსვლას უახლოეს პარტეიტაგზე.

მრავალი ასეული მუშა გერმანულ და ფრანგულ შვეიცარიაში გულმოდგინედ ავსებს რეფერენდუმის ხელმოწერის ფურცლებს. ნენი დეპეშას უგზავნის მიუნცენბერგს, რომ კანტონალური სამდივნო, ალბათ, მიემხრობა რეფერენდუმისოვის მხარის დაჭერას.

22. I. 1917. «Berner Tagwacht»-ი და «Volksrecht»-ი ბეჭდავენ ნაციონალური საბჭოს წევრის გ უ ს ტ ა ვ მ ი უ ლ ე რ ი ს განცხადებას. მიულერი პარტიას ფორმალურ ულტიმატუმს უყენებს, როცა თავისი ჯგუფის (იგი წერს: «ჩვენი ჯგუფი») სახელით აცხადებს, რომ უარს იტყვის ნაციონალური საბჭოს წევრის თავის მანდატზე, რადგანაც მისთვის «სამხედრო კრედიტების პრინციპული უარყოფა» მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი ა.

1917 წ. 26 იანვარს გ რ ე ი ლ ი ხ ი «Volksrecht»-ში მოთავსებულ თავის მეოთხე სტატიაში პარტიას უყენებს იმავე ულტიმატუმს, როცა აცხადებს, «თავისთავად ცხადია», ჩემს რწმუნებას მოვიხსნი, თუ პარტეიტაგი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ი ს მ ე-3 პ ა რ ა გ რ ა ფ ს მიიღებსო.

1917 წ. 27 იანვარს ე. ნობსი სარედაქციო შენიშვნაში («რეფერენდუმის გამო») აცხადებს, რომ იგი ა რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი არ იზიარებს რეფერენდუმის დასაბუთებას.

პლატენი დუმს.

1917 წ. 31 იანვარს სამდივნო ადგენს მოიწვიოს პარტეიტაგი 1917 წლის 2 და 3 ივნისისათვის (არ უნდა დავივიწყოთ,

* — «ხალხის ხმა». რ ე დ.

რომ სამდივნომ ერთხელ უკვე დაადგინა დაენიშნა პარტეიტაგი 1917 წლის 11 თებერვლისათვის, მაგრამ ეს გადაწყვეტილება გააუქმა პარტიის გამგეობამ!).

1917 წ. 1 თებერვალს ოლტენში არასრული შემადგენლობით იკრიბება ციმერვალდის კონფერენცია. მასში მონაწილეობას იღებენ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მიწვეული არიან ანტანტის სოციალისტთა კონფერენციაზე (1917 წ. მარტში).

რადეკი, ზინოვიევი, მიუნცენბერგი, «ინტერნაციონალის» (გერმანიაში არსებული «სპარტაკის» ჯგუფი, რომლის წევრი იყო კ. ლიბკნეხტი) ერთი წევრი საჯაროდ ამათრახებენ რ. გრიმს და აცხადებენ, რომ მისი კავშირი სოციალ-პატრიოტებთან შვეიცარიის სოციალისტ მუშათა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მას აქცევს «პოლიტიკურ ლეშად».

პრესა ჯიუტად მალავს ამ კონფერენციის ამბავს.

1917 წ. 1 თებერვალს პლატენი ბეჭდავს თავის პირველ სტატიას სამხედრო საკითხზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორ განცხადებას.

ჯერ-ერთი, პლატენი სიტყვასიტყვით წერს შემდეგს: «რა თქმა უნდა, კომისიაში იგრძნობოდა, რომ იქ არ იყო ნათელი გონების ადამიანი და უშიშარი და თანამიმდევარი ციმერვალდელი მებრძოლი, რომელიც იმის მომხრე იყო, რომ სამხედრო საკითხი გ ა დ ა ე დ ო თ ომის დამთავრებამდე».

ადვილი მისახვედრია, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს იერიში სახელის მიუთითებლად.

მეორეც, პლატენი იმავე სტატიაში პრინციპულ აზრს გამოთქვამს:

«სამხედრო საკითხი — არა მარტო აზრთა ბრძოლაა ა მ საკითხის გარშემო, არამედ განსაზღვრული მიმართულებაც პარტიის შემდგომ განვითარებაში, ეს არის ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ პარტიაში, ეს არის გამოსვლა რეფორმისტების წინააღმდეგ და რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სასარგებლოდ».

1917 წ. 3 თებერვალს მიმდინარეობს ცენტრისტების (გრიმი, შნეიდერი, რიმატე და სხვ.) კერძო თათბირი, რომელშიც მონაწილეობენ აგრეთვე ნობსი და პლატენი. მიუნცენბერგი და დოქტორი ბრონსკი აგრეთვე მიწვეული იყვნენ, მაგრამ თათბირში მონაწილეობაზე მათ უარი თქვეს.

მიღებულია დადგენილება, რათა «შეცვლილ იქნეს» უმრავლესობის რეზოლუცია ისე, რომ იგი არსებითად უ ა რ ე ს დ ე ბ ა და იქცევა «ცენტრისტულ რეზოლუციად», განსაკუთრებით იმის გამო, რომ მ ე-3 პ ა რ ა გ რ ა ფ ი ქრება და მას ცვლის ზრის სრულიად გაურკვეველი, ბუნდოვანი გამოთქმა.

1917 წ. 6 თებერვალს ციურიხში მიმდინარეობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა საერთო კრება. უმნიშვნელოვანესი პუნქტია: კომიტეტის არჩევნები.

ხალხი ცოტა შეიკრიბა, განსაკუთრებით მუშები.

პლატენს წინადადება შეაქვს, სხდომა გადაიდოს. სოციალ-პატრიოტები და ნობსი — წინააღმდეგი არიან. წინადადება უარყოფილ იქნა.

იწყება არჩევნები. როცა ირკვევა, რომ დოქტორი ბრონსკი არჩეულია, სოციალ-პატრიოტი ბ ა უ მ ა ნ ი კომიტეტის ოთხი წევრის სახელით აცხადებს, რომ ის უარს ამბობს იმუშაოს დოქტორ ბრონსკისთან ერთად.

პლატენს წინადადება შეაქვს, ეს ულტიმატუმი მიღებულ იქნეს (ამას დაემორჩილონ), რამდენადაც იგი (სრულიად არადემოკრატიულად და უკანონოდ) ყველა არჩევნების შესახებ აცხადებს, რომ ისინი არ მომხდარაო. ეს წინადადება მიღებულ იქნა!!!

9. II. 1917. გამოქვეყნდა უმრავლესობის «ახალი» რეზოლუცია. ხელმოწერა: «ცენტრისტები» გრიმი, რიმატე, შნეიდერი, ჟაკ შმიდი და სხვები, შემდეგ — ნობსი და პლატენი. რეზოლუცია ძალიან გაუარესდა, და მ ე ს ა მ ე პ ა რ ა გ რ ა ფ ი, როგორც უკვე ითქვა, გაქრა.

რეზოლუციაში გ ა დ ა კ ვ რ ი თ ა ც კ ი ა რ ა რ ი ს ლ ა პ ა რ ა კ ი ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის წინააღ-

მდეგ ბრძოლაზე, მტკიცე გადაწყვეტილებაზე — გაჰყვნენ კარლ ლიბკნეხტის ტაქტიკას!

ეს არის ტიპიური ცენტრისტული რეზოლუცია, სადაც სჭარბობს «ზოგადი», ვითომდა «თეორიული» ყბედობა, პრაქტიკული მოთხოვნები კი განზრახ ისე სუსტად და ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული, შეიძლება კაცმა იმედი იქონიოს, რომ არა მარტო გრიმი და გ. მიულერი, არამედ თვით ბაუმანი=ციურიხი, შესაძლოა, კეთილს ინებებენ თავისი ულტიმატუმი უკან წაიღონ და... პარტია შეიწყალონ.

შედეგი: ციმერვალდიზმი ზარზეიმით დამარხეს «ჭაობში» შვეიცარიის პარტიის ლიდერებმა.

დამატება.

ს.-ჰალენის 1917 წ. 25 იანვრის «**Volksstimme**» (სადაც ძალიან ხშირად წერს ჰ უ ბ ე რ = რორშახი):

«საკმარისია ამ უნამუსობას (ე. ი. რეფერენდუმის დასაბუთებას) დავუპირისპიროთ ის ფაქტი, რომ გადადების წინადადება (7. I) შეიტანა ამხ. გ რ ი მ მ ა და მას, სხვათა შორის, ენერგიულად იცავდნენ ამხანაგები მ ა ნ ც ი, გ რ ე ი ლ ი ხ ი, მ ი უ ლ ე რ ი, ა ფ ო ლ ტ ე რ ი და შ მ ი დ ი».

1917 წ. 16 იანვრის «**Basler Vorwärts**»-ი იტყობინება, რომ გადადების წინადადება (7. I.) შეიტანეს შემდეგმა ამხანაგებმა:

«გრიმმა, რიმატემ, შტუდერმა, მიუნხმა, ლანგმა = ციურიხი, შნეიდერმა = ბაზელი, კეელმა = ს.-ჰალენი და შნურენბერგერმა» (ასეა!!? იქნებ ბეჭდვის შეცდომაა? ნაცვლად შნეებერგერისა?).

მუშებს სრული საფუძველი აქვთ ორივე გაზეთის მადლობელი იყვნენ ამ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს გამოქვეყნებისათვის!..

დაწერილია გერმანულ ენაზე
1917 წ. თებერვლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

1917 წლის 4(17) მარტის თეზისების მონასახი [102]

რუსეთიდან მოსული ცნობები, რაც ამჟამად, 1917 წ. 17 მარტს, აქ, ციურიხში, მოგვეპოვება, იმდენად მცირეა, და ჩვენს ქვეყანაში ახლა მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ საქმის ვითარებაზე მსჯელობა მხოლოდ დიდი სიფრთხილით შეიძლება.

გუშინ დეპეშები საქმეს ისე გვისახავდნენ, რომ მეფე უკვე გადადგა და ახალმა ოქტიაბრისტულ-კადეტურმა მთავრობამ [103] უკვე მოახდინა შეთანხმება რომანოვთა დინასტიის სხვა წარმომადგენლებთანო. დღეს კი ინგლისიდან მოსულია ცნობა, მეფე ჯერ არ გადამდგარა და არ იციან, სად იმყოფებაო! მაშასადამე, მეფე ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას, თავისი პარტიის მოწყობას და შეიძლება ჯარის შედგენასაც რესტავრაციის მიზნით; შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ხალხის მოსატყუებლად მეფე, თუკი მან მოახერხა რუსეთიდან გაქცევა, ან მიიმხრო სამხედრო ძალთა ნაწილი, გამოვიდეს მანიფესტით დაუყოვნებლივი სეპარატიული ზავის შესახებ, რომელსაც იგი ხელს მოაწერს გერმანიასთან!

საქმის ამგვარი ვითარების დროს პროლეტარიატის ამოცანა საკმაოდ რთულია. უეჭველია, რომ იგი უნდა დაირაზმოს რაც შეიძლება უკეთესად, თავი მოუყაროს თავის ძალებს, შეიარაღდეს, განამტკიცოს და განავითაროს თავისი კავშირი მშრომელთა მასების ყველა ფენასთან ქალაქად და სოფლად, რათა ულმობელი წინააღმდეგობა გაუწიოს მეფის რეაქციას და საბოლოოდ გასრისოს მეფის მონარქია.

მეორე მხრივ, ახალი მთავრობა, რომელმაც პეტერბურგში ძალაუფლება ხელთ იგდო, ან, უკეთ რომ ვთქვათ, იგი ხელიდან გამოსტაცა გმირულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში გამარჯვებულ პროლეტარიატს, ეს მთავრობა შედგება ლიბერალური ბურჟუებისა და მემამულეებისაგან, ხოლო მათი დამქაშია კერენსკი — წარმომადგენელი დემოკრატიული გლეხობისა და, შესაძლოა, ბურჟუაზიულ გზაზე გადაბირებულ იმ მუშათა ნაწილისა, რომლებმაც ინტერნაციონალიზმი დაივიწყეს. ახალი მთავრობა შედგება გერმანიასთან იმპერიალისტური ომის აშკარა მომხრეთა და დამცველთაგან, ე. ი. იმათგან, ვინც ემხრობა ომის წარმოებას ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურ მთავრობებთან კავშირში, ვინც ემხრობა ომს უცხო ქვეყნების, სომხეთის, გალიციის, კონსტანტინოპოლისა და სხვათა ძარცვისა და დაპყრობის მიზნით.

ახალ მთავრობას არ შეუძლია არც რუსეთის ხალხებს (და არც იმ ერებს, რომლებთანაც ჩვენ ომმა დაგვაკავშირა) მისცეს ზავი, პური და სრული თავისუფლება; ამიტომ მუშათა კლასმა უნდა განაგრძოს თავისი ბრძოლა სოციალიზმისა და ზავისათვის, უნდა გამოიყენოს ამ მიზნით ახალი მდგომარეობა და განუმარტოს იგი ხალხის უფართოეს მასებს.

ახალ მთავრობას არ შეუძლია მოგვცეს ზავი როგორც იმიტომ, რომ იგი კაპიტალისტთა და მემამულეთა წარმომადგენელია, ისე იმიტომ, რომ იგი ხელშეკრულებებითა და ფულადი ვალდებულებებით არის დაკავშირებული ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან. ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ, ინტერნაციონალიზმის ერთგული რომ რჩება, უწინარეს ყოვლისა და პირველ რიგში უნდა განუმარტოს ხალხის მასებს, რომელნიც ზავს მოელიან, რომ ახლანდელი მთავრობის დროს ზავის მიღწევა შეუძლებელია. თავის პირველ მიმართვაში ხალხისადმი (17 მარტს) ამ მთავრობას კრიტი არ დაუძრავს ახლანდელი მომენტის მთავარი და ძირითადი საკითხის — ზავის შესახებ. იგი საიდუმლოდ ინახავს მტაცებლურ ხელშეკრულებებს, რომლებიც ცარიზმმა ინგლისთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, იაპონიასთან და სხვებთან დადო. მას

სურს ხალხს დაუმალოს სიმართლე თავისი სამხედრო პროგრამის შესახებ, იმის შესახებ, რომ იგი მომხრეა ომისა, მომხრეა გერმანიაზე გამარჯვებისა. მას არ ძალუძს გააკეთოს ის, რაც ახლა აუცილებლად საჭიროა ხალხებისათვის: დაუყოვნებლივ და აშკარად წინადადება მისცეს ყველა მეომარ ქვეყანას ახლავე ჩამოაგდონ დროებითი ზავი, შემდეგ კი შეკრან ზავი კოლონიათა და ყველა დამოკიდებულ თუ არასრულუფლებიან ერთა სრული განთავისუფლების საფუძველზე. ამის განსახორციელებლად საჭიროა მუშათა მთავრობა, რომელსაც კავშირი ექნება, ჯერ-ერთი, სოფლის მოსახლეობის უღარიბეს მასასთან და, მეორეც, ყველა მეომარი ქვეყნის რევოლუციურ მუშებთან.

ახალ მთავრობას არ შეუძლია ხალხს პური მისცეს. ხოლო ვერავითარი თავისუფლება ვერ დააკმაყოფილებს მასებს, რომლებიც შიმშილობენ სურსათის ნაკლებობის, მისი უხეირო განაწილებისა და, რაც მთავარია, იმის გამო, რომ სურსათი მემამულეებსა და კაპიტალისტებს ჩაუგდიათ ხელში. იმისათვის, რომ ხალხებს პური მივცეთ, აუცილებელია რევოლუციური ღონისძიებანი მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, ამ ღონისძიებათა განხორციელება კი მხოლოდ მუშათა მთავრობას შეუძლია.

ბოლოს, ახალ მთავრობას არ შეუძლია ხალხს მისცეს სრული თავისუფლებაც, თუმცა თავის 1917 წლის 17 მარტის მანიფესტში იგი ლაპარაკობს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ თავისუფლებაზე და ხმას არ იღებს დანარჩენ, ამაზე არა ნაკლებად მნიშვნელოვან, საკითხებზე. ახალმა მთავრობამ უკვე სცადა რომანოვთა დინასტიასთან შეთანხმება, ვინაიდან იგი ხალხის ნებისყოფას ანგარიშს არ უწევდა და წინადადებას იძლეოდა ეცნოთ ეს დინასტია იმ პირობით, რომ ნიკოლოზ II გადამდგარიყო და მისი შვილისთვის რეგენტად დაენიშნათ რომანოვთა ოჯახის რომელიმე წევრი. ახალი მთავრობა თავისი მანიფესტით ათასგვარ თავისუფლებას გვპირდება, მაგრამ არ ასრულებს თავის პირდაპირსა და უდავო მოვალეობას: იგი დაუყოვნებლივ არ ახორციელებს თავისუფლებას, არ ატარებს

ჯარისკაცთა მიერ ოფიცერთა და სხვათა არჩევას, არ ნიშნავს ქალაქის საბჭოს არჩევნებს პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა-გან ნამდვილად საყოველთაო ხმის მიცემით და არა მარტო მამაკაცთა მონაწილეობით; იგი დაუყოვნებლივ არ ხსნის ყველა სახაზინო და საზოგადოებრივ შენობას სახალხო კრებების მოსაწყობად, არ ნიშნავს ასეთივე ნამდვილად საყოველთაო ხმის მიცემის საფუძველზე ყველა ადგილობრივი დაწესებულე-ბისა და ერობის არჩევნებს; იგი დაუყოვნებლივ არ ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა ყოველ-გვარი შეზღუდვის გაუქმებას, არ დაუთხოვნია ადგილობრივი თვითმმართველობისადმი თვალყურის სადევნებლად ზემოდან დანიშნული ყველა მოხელენი; იგი დაუყოვნებლივ არ ახორ-ციელებს არათუ სარწმუნოების თავისუფლებას, არამედ რელიგიისაგან თავისუფლებასაც, მაშინვე არ გამოუყვია სკოლა ეკლესიისაგან და არ გაუთავისუფლებია ის მოხელეთა მეურ-ვეობისაგან და ა. შ.

ახალი მთავრობის 17 მარტის მთელი მანიფესტი სრულ უნდობლობას იწვევს, რადგან ის მხოლოდ დაპირებათაგან შედგება და დაუყოვნებლივ არ ატარებს ცხოვრებაში არც ერთ ასეთ ფრიად საჭირო ღონისძიებას, რომელთა ახლავე განხორ-ციელება სავსებით შესაძლებელია და უნდა მოხდეს.

ახალი მთავრობა თავის პროგრამაში კრინტს არა ძრავს არც 8 საათიან სამუშაო დღეზე და მუშათა მდგომარეობის სხვა ეკონომიურ გაუმჯობესებაზე, არც გლეხებისათვის მიწის შესა-ხებ, არც იმაზე, რომ გლეხებს გამოუყიდავად გადაეცეთ მემამულეთა მთელი მიწები. ამ ფრიად არსებით საკითხებზე დუმილით მთავრობა ამყღავნებს თავის კაპიტალისტურსა და მემამულურ ბუნებას.

ხალხისათვის ზავის, პურისა და სრული თავისუფლების მიცემა შეუძლია მხოლოდ მუშათა მთავრობას, რომელიც ეყრდნობა, ჯერ-ერთი, გლეხი მოსახლეობის უდიდეს უმრავ-ლესობას, სოფლის მუშებსა და უღარიბეს გლეხებს, და, მეო-რეც, ყველა მეომარი ქვეყნის რევოლუციურ მუშებთან კავშირს.

ამიტომ რევოლუციურ პროლეტარიატს არ შეუძლია 1 (14) მარტის რევოლუცია არ მიიჩნიოს თავის დიად გზაზე მიღწეულ მხოლოდ პირველ, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიადაც არა სრულ გამარჯვებად, არ შეუძლია ამოცანად არ დაისახოს ბრძოლის განგრძობა დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალიზმის მოსაპოვებლად.

ამ ამოცანის შესასრულებლად პროლეტარიატმა და რსდმ პარტიამ პირველ რიგში უნდა გამოიყენონ ის შედარებითი და არასრული თავისუფლება, რომელიც ახალ მთავრობას შემოაქვს და რომლის უზრუნველყოფა და გაფართოება შეიძლება მხოლოდ შემდგომი უფრო მტკიცე და მედგარი რევოლუციური ბრძოლით.

აუცილებლად საჭიროა, რომ სოფლისა და ქალაქის მთელმა მშრომელმა მასებმა, აგრეთვე ჯარმა, გაიგონ სიმართლე ახლანდელი მთავრობისა და არსებითი საკითხებისადმი მისი ნამდვილი დამოკიდებულების შესახებ. აუცილებლად საჭიროა მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაცია და მუშათა შეიარაღება; აუცილებლად საჭიროა პროლეტარული ორგანიზაციების გადატანა ჯარში (რომელსაც ახალი მთავრობა აგრეთვე ჰპირდება პოლიტიკურ უფლებებს) და სოფლად; განსაკუთრებით აუცილებლად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო დაქირავებულ მუშათა ცალკე კლასობრივი ორგანიზაცია.

მხოლოდ იმ პირობით, თუ მოსახლეობის უფართოესი მასები გაიგებენ საქმის ვითარებას და დაირაზმებიან, უზრუნველყოფილი იქნება რევოლუციის შემდგომი ეტაპის სრული გამარჯვება და მუშათა მთავრობის მიერ ხელისუფლების დაპყრობა.

ამ ამოცანის შესასრულებლად, რომელიც რევოლუციურ ხანაში და ომის მძიმე გაკვეთილების გავლენით ხალხს შეუძლია ბევრად უფრო მოკლე დროში შეითვისოს, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში, აუცილებელია იდეური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისა, რომელიც ინტერნაციონალიზმის ერთგული დარჩა და ბურჟუაზიული ფრაზების სიცრუეს არ აჰყვა, არ აჰყვა ამ

ფრაზებს, რომელნიც ხალხს ატყუებენ სიტყვებით «სამშობლოს დაცვის» შესახებ ახლანდელ იმპერიალისტურ, მძარცველურ ომში.

არათუ ახლანდელ მთავრობას, არამედ დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ რესპუბლიკურ მთავრობასაც კი, თუნდაც იგი შედგებოდეს მხოლოდ კერენსკისა და სხვა ნაროდნიკ თუ «მარქსისტ» სოციალ-პატრიოტთაგან, არ ძალუძს ხალხი იმპერიალისტური ომისაგან იხსნას და ზავი უზრუნველყოს.

ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია არავითარი ბლოკისა და კავშირის შეკვრა, არ შეგვიძლია შეთანხმებაც კი არც მუშაობორონცებთან, არც გვოზდიოვ-პოტრესოვ-ჩხენკელ-კერენსკის და სხვ. მიმართულებასთან, არც იმ ადამიანებთან, რომელთაც, ჩხეიძისა და სხვათა მსგავსად, მერყევი და გაურკვეველი პოზიცია უჭირავთ ამ ძირითად საკითხში. ამგვარი შეთანხმებები არათუ სიყალბეს შეიტანდა მასების შეგნებაში და მათ რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულს გახდიდა, არამედ აგრეთვე შეასუსტებდა და ძირს გამოუთხრიდა პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს იმპერიალისტური ომებისაგან ხალხთა ხსნისა და ყველა ქვეყნის მუშათა მთავრობებს შორის ნამდვილად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ლენინის II კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დეპეშა რუსეთს მიმავალ ბოლშევიკებს[104]

ჩვენი ტაქტიკა: სრული უნდობლობა, არავითარი მხარდაჭერა ახალ მთავრობას, კერენსკის მიმართ განსაკუთრებით ეჭვი გვაქვს, პროლეტარიატის შეიარაღება — ერთადერთი გარანტიაა, პეტროგრადის საბჭოს დაუყოვნებლივი არჩევნები, არავითარი დაახლოება სხვა პარტიებთან. დეპეშით აცნობეთ ეს პეტროგრადში.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წ. 6 (19) მარტს
პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის პირის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

განცხადება გაზეთ «VOLKSRECHT»-ში[105]

სხვადასხვა გერმანულმა გაზეთებმა დამახინჯებული სახით გამოაქვეყნეს დეპეშა, რაც მე ორშაბათს, 19 მარტს, გავუგზავნე სკანდინავიაში ჩვენი პარტიის ცალკეულ წევრებს, რომელნიც რუსეთს მიემგზავრებოდნენ და მთხოვდნენ რჩევა-დარიგებას იმ ტაქტიკის შესახებ, რასაც უნდა ადგეს სოციალ-დემოკრატია.

მე დეპეშით ვატყობინებდი შემდეგს:

«ჩვენი ტაქტიკა: სრული უნდობლობა, არავითარი მხარ-დაჭერა ახალ მთავრობას, კერენსკის მიმართ განსა-კუთრებით ეჭვი გვაქვს, პროლეტარიატის შეიარაღება — ერთადერთი გარანტიაა, პეტროგრადის საბჭოს (ქალაქის საბ-ჭოს) დაუყოვნებლივი არჩევნები, არავითარი დაახლოება სხვა პარტიებთან. დეპეშით აცნობეთ ეს პეტროგრადში».

მე ეს დეპეშა გავგზავნე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელ წევრთა და არა თვით ცენტრა-ლური კომიტეტის სახელით. მე ვლაპარაკობდი არა დამფუძ-ნებელი კრების შესახებ, არამედ მუნიციპალური ორგანოების არჩევნების შესახებ. დამფუძნებელი კრების არჩევნები ჯერჯერობით მხოლოდ ცარიელი დაპირებაა. პეტრო-გრადის საქალაქო საბჭოს არჩევნები შეიძლება და უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ, თუ მთავრობას ნამდვილად

შესწევს უნარი განახორციელოს დაპირებული თავისუფლებანი. ამ არჩევნებს შეიძლებოდა დახმარება გაეწია პროლეტარიატისთვის მისი რევოლუციური პოზიციის ორგანიზაციისა და განმტკიცების დროს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ. 6 (19) მარტის შემდეგ
დაიბეჭდა 1917 წ. 29 მარტს
გაზეთში «Volksrecht» № 75
რუსულ ენაზე იბეჭდება პირველად

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

წერილები ზოკრიდან [106]

წერილები შორიდან

წერილი პირველი

პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი

მსოფლიო იმპერიალისტური ომის მიერ წარმოშობილმა პირველმა რევოლუციამ იფეთქა. ეს პირველი რევოლუცია, ალბათ, უკანასკნელი არ იქნება.

ამ პირველი რევოლუციის, სახელდობრ რუსეთის 1917 წლის 1 მარტის რევოლუციის პირველი ეტაპი, შვეიცარიაში მიღებული მცირე ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დამთავრდა. ეს პირველი ეტაპი, ალბათ, არ იქნება ჩვენი რევოლუციის უკანასკნელი ეტაპი.

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ისეთი «სასწაული», რომ სულ 8 დღეში, — ამ ვადას ასახელებს ბ-ნი მილიუკოვი თავის მკვეხარა დეპეშაში რუსეთის ყველა წარმომადგენლისადმი საზღვარგარეთ, — დაინგრა მონარქია, რომელიც საუკუნეობით იდგა და რომელმაც, ყველაფრის მიუხედავად, 3 წლის განმავლობაში მაინც გაუძლო 1905 — 1907 წლების უდიდეს, საყოველთაო სახალხო კლასობრივ ბრძოლებს?

ბუნებასა და ისტორიაში სასწაულები არ ხდება, მაგრამ ისტორიის ყოველი მკვეთრი მობრუნება, მათ შორის ყოველი რევოლუცია, ისეთ მდიდარ შინაარსს იძლევა, ბრძოლის ფორმათა შეხამების და მებრძოლ ძალთა თანაფარდობის ისეთ მოულოდნელსა და თავისებურ სურათებს გვიშლის, რომ ობივატელის გონებას ბევრი რამ სასწაულად უნდა მოეჩვენოს.

მეფის მონარქია რამდენიმე დღეში რომ დანგრეულიყო, ამისათვის საჭირო იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მთელი რიგი პირობების შეხამება. აღვნიშნოთ უმთავრესი მათგანი.

თუ არა სამი წლის უდიდესი კლასობრივი ბრძოლები და რუსეთის პროლეტარიატის 1905 — 1907 წლების რევოლუციური ენერგია, ისე შეუძლებელი იქნებოდა ესოდენ სწრაფი მეორე რევოლუცია, სწრაფი იმ აზრით, რომ მისი დ ა წ ყ ებ ი თ ი ე ტ ა პ ი რამდენიმე დღეში დამთავრდა. პირველმა რევოლუციამ (1905 წ.) ღრმად გათხარა ნიადაგი, აღმოფხვრა საუკუნეობრივი ცრურწმენანი, პოლიტიკური ცხოვრებისა და პოლიტიკური ბრძოლისათვის გამოაღვიძა მილიონობით მუშები და ათეულ მილიონობით გლეხები, დაანახვა ერთმანეთს და მთელ მსოფლიოს რუსეთის საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კ ლ ა ს ი (და ყველა მთავარი პარტია), დაანახვა მათი ნამდვილი ბუნება, მათი ინტერესების ნამდვილი თანაფარდობა, მათი ძალები, მათი მოქმედების საშუალებანი, მათი უახლოესი და უშორესი მიზნები. პირველმა რევოლუციამ და მისმა მომდევნო კონტრრევოლუციურმა ეპოქამ (1907 — 1914) გამოააშკარავა მეფის მონარქიის მთელი არსება, მიიყვანა იგი «უკანასკნელ მიჯნამდე», გამოამზეურა მთელი მისი სიდამპლე, სისაძაგლე, მთელი ცინიზმი და გარყვნილება მეფის ბრბოსი, რომელსაც საშინელი რასპუტინი მეთაურობდა, მთელი სიმხეცე რომანოვების ოჯახისა — ამ დამრბევებისა, რომლებმაც რუსეთი მორწყეს ებრაელების, მუშებისა და რევოლუციონერების სისხლით, — ამ «თანასწორთა შორის პირველი» მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს ა, რომლებიც მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ დესეტინა მიწას ფ ლ ო ბ დ ნ ე ნ და, ამ თავისი და თ ა ვ ი ს ი კ ლ ა ს ი ს «წმინდა საკუთრების» შესანარჩუნებლად, ყოველგვარ მხეცობას, ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ, უთვალავ მოქალაქეებს აჩანაგებდნენ და ახშობდნენ.

თუ არა 1905 — 1907 წლების რევოლუცია, თუ არა 1907 — 1914 წლების კონტრრევოლუცია, ისე შეუძლებელი იქნებოდა რუსი ხალხისა და რუსეთში მოსახლე ხალხების

ყველა კლასის ასეთი ზუსტი «თვითგამორკვევა», შეუძლებელი იქნებოდა ამ კლასების ურთიერთისადმი და მეფის მონარქიისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა, რამაც თავი იჩინა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის 8 დღის განმავლობაში. ეს რვა დღის რევოლუცია, თუ შეიძლება ასე მეტაფორულად ითქვას, ზუსტად იქნა «გათამაშებული» ათიოდე მთავარი და მეორეხარისხოვანი რეპეტიციის შემდეგ; «მსახიობები» თავით ფეხამდე იცნობდნენ ერთმანეთს, ჩინებულად იცოდნენ თავიანთი როლები, თავიანთი ადგილები, გარემო, პოლიტიკურ მიმართულებათა ყველა რამდენადმე თვალსაჩინო ელფერი და მოქმედების ხერხები.

მაგრამ თუ 1905 წლის პირველმა, დიდმა რევოლუციამ, რომელიც ბატონმა გუჩკოვებმა, მილიუკოვებმა და მათმა დამქაშებმა გაკიცხეს როგორც «დიდი ჯანყი», 12 წლის შემდეგ მიგვიყვანა 1917 წლის «ბრწყინვალე», «სახელოვან» რევოლუციამდე, რომელსაც გუჩკოვები და მილიუკოვები «სახელოვნად» აცხადებენ, ვინაიდან მან ხელისუფლება (ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ) მათ არგუნა, — მაშინ აუცილებლად საჭირო იყო კიდევ უფრო დიდებული, მძლავრი, ყოვლის შემძლე «რეჟისორი», რომელიც, ერთი მხრივ, შეძლებდა უდიდესად დაეჩქარებინა მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობა, ხოლო მეორე მხრივ — წარმოეშვა არნახული ძალის მსოფლიო კრიზისები: ეკონომიური, პოლიტიკური, ნაციონალური და ინტერნაციონალური. მსოფლიო ისტორიის უჩვეულო დაჩქარების გარდა, საჭირო იყო ამ ისტორიის განსაკუთრებით მკვეთრი მობრუნებანი, რომ ერთ-ერთი ასეთი მობრუნების დროს ე რ თ ბ ა შ ა დ გადაბრუნებულიყო ურემი სისხლითა და ტალახით გათხვრილი რომანოვების მონარქიისა.

ასეთ ყოვლის შემძლე «რეჟისორად», ასეთ ძალოვან დამჩქარებლად მოგვევლინა მსოფლიო იმპერიალისტური ომი.

ახლა უკვე უდავოა, რომ ეს ომი მსოფლიო ომია, რადგან შეერთებული შტატები და ჩინეთი დღეს უკვე სანახევროდ არიან ჩათრეულნი ომში, ხვალ კი მთლად იქნებიან ჩათრეულნი.

ახლა უკვე უდავოა, რომ იგი ორივე მხრივ იმპერიალისტურია. ამ ფაქტის უარყოფა ან მიჩქმალვა შეუძლიათ მხოლოდ კაპიტალისტებს და მათ მაჩანჩალებს, სოციალ-პატრიოტებსა და სოციალ-შოვინისტებს, — ანუ, ზოგად კრიტიკულ განსაზღვრათა ნაცვლად რუსეთში ნაცნობ პოლიტიკურ პიროვნებათა გვარებს თუ დავასახელებთ, — შეუძლიათ მხოლოდ გუჩკოვებსა და ლვოვებს, მილიუკოვებსა და შინგარიოვებს, ერთი მხრივ, მხოლოდ გვოზდიოვებს, პოტრესოვებს, ჩხენკელებს, კერენსკებსა და ჩხეიძეებს, მეორე მხრივ. როგორც გერმანიის, ისე ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია ომს აწარმოებს სხვათა ქვეყნების გასაძარცვავად, მცირე ხალხთა ჩასახრჩობად, მსოფლიო ფინანსური ბატონობის მოსაპოვებლად, კოლონიების დასაყოფად და ხელახლა გასანაწილებლად, დაღუპვის გზაზე დამდგარი კაპიტალისტური წყობილების გადასარჩენად სხვადასხვა ქვეყნის მუშების გაბრიყვებისა და ერთიმეორისაგან მათი დაშორების გზით.

იმპერიალისტურ ომს ობიექტური გარდუვალობით უაღრესად უნდა დაეჩქარებინა და წარმოუდგენლად გაემწვავებინა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ეს ომი უნდა გადაქცეულიყო სამოქალაქო ომად მტრულად განწყობილ კლასთა შორის.

ეს გადაქცევა დაიწყო 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციით, რომლის პირველმა ეტაპმა დაგვანახვა, პირველ ყოვლისა, ორი ძალის შეერთებული თავდასხმა ცარიზმზე. ეს ორი ძალა არის: ერთი მხრით მთელი ბურჟუაზიული და მემამულური რუსეთი ყველა თავისი შეუგნებელი მაჩანჩალით და ყველა თავისი შეგნებული ხელმძღვანელით ინგლის-საფრანგეთის ელჩებისა და კაპიტალისტების სახით, და მეორე მხრით — მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელმაც უკვე დაიწყო ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების მიზიდვა.

ამ სამმა პოლიტიკურმა ბანაკმა, სამმა ძირითადმა პოლიტიკურმა ძალამ: 1) მეფის მონარქიამ, მებატონე-მემამულეების მეთაურმა, ძველი მოხელეებისა და გენერალიტეტის მეთაურმა;

2) ბურჟუაზიულმა და მემამულურ-ოქტიაბრისტულ-კადეტურმა რუსეთმა, რომელსაც კუდში მისჩანჩალებდა წვრილი ბურჟუაზია (მისი მთავარი წარმომადგენლები არიან კერენსკი და ჩხეიძე); 3) მუშათა დეპუტატების საბჭომ, რომელიც ეძებს მოკავშირეებს მთელ პროლეტარიატში და უღარიბესი მოსახლეობის მთელ მასაში, — ამ სამმა ძირითად მა პოლიტიკურმა ძალამ უაღრესად სრული სიცხადით გამოამჟღავნა თავისი თავი «პირველი ეტაპის» 8 დღეშიც კი, მოვლენებიდან შორს მყოფი ისეთი მეთვალყურისთვისაც კი, როგორიც არის ამ სტრიქონების დამწერი, რომელიც იძულებულია დაკმაყოფილდეს საზღვარგარეთული გაზეთების სიტყვაძუნწი დეპეშებით.

მაგრამ, ვიდრე ამაზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებდე, უნდა დავუბრუნდე ჩემი წერილის იმ ნაწილს, რომელიც ეხება უპირველესი ძალის ფაქტორს — მსოფლიო იმპერიალისტურ ომს.

ომმა რკინის ჯაჭვებით გადააბა ერთმანეთს მეომარი სახელმწიფოები, კაპიტალისტთა მეომარი ჯგუფები, კაპიტალისტური წყობილების «მესვეურნი», კაპიტალისტური მონობის მონათმფლობელნი. ერთი მთლიანი სისხლის გუნდა — აი, რას წარმოადგენს იმ ისტორიული მომენტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, რომელსაც ჩვენ განვიცდით.

სოციალისტები, რომელნიც ომის დასაწყისშივე ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ, ყველა ეს დავიდები და შეიდემანები გერმანიაში, პლეხანოვები, პოტრესოვები, გვოზდიოვები და კომპანია რუსეთში, დიდხანს და ხმამაღლა გაჰკიოდნენ რევოლუციონერთა «ილუზიების» წინააღმდეგ, ბაზელის მანიფესტის «ილუზიების» წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის «ოცნება-ფარსის» წინააღმდეგ. ისინი ათასნაირ ქება-დიდებას უძღვნიდნენ იმ ძალას, ცხოველმყოფელობას, შემგუებლობას, რომელიც კაპიტალიზმმა ვითომდა გამოიჩინა, — ისინი ეხმარებოდნენ კაპიტალისტებს «შეეგუებინათ», მოეთვინიერებინათ, გაებრიყვებინათ,

ერთმანეთისაგან დაეშორებინათ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასები.

მაგრამ «კარგად გაიცინებს ის, ვინც ბოლოს გაიცინებს». ბურჟუაზიამ ვერ შეძლო ომის მიერ წარმოშობილი რევოლუციური კრიზისის დიდი ხნით გადადება. ეს კრიზისი შეუკავებელი ძალით იზრდება ყველა ქვეყანაში, დაწყებული გერმანიით, რომელიც, ამას წინათ იქიდან დაბრუნებული ერთი მეთვალყურის სიტყვით, «გენიალურად მოწყობილ შიმშილს» განიცდის, და დამთავრებული ინგლისითა და საფრანგეთით, სადაც ა გ რ ე თ ვ ე შ ი მ შ ი ლ ო ბ ა ახლოვდება და სადაც ორგანიზაცია ბევრად უფრო ნაკლებ «გენიალურია».

ბუნებრივია, რომ რევოლუციურმა კრიზისმა ყ ვ ე ლ ა ზ ე ა დ რ ე იფეთქა მეფის რუსეთში, სადაც ყოვლად საშინელი დეზორგანიზაცია იყო და სადაც პროლეტარიატი უაღრესად რევოლუციურია (არა მის განსაკუთრებულ თვისებათა გამო, არამედ «ცხრაასხუთი წლის» ცოცხალი ტრადიციების მეოხებით). ეს კრიზისი დააჩქარა მთელმა რიგმა უმძიმესმა დამარცხებებმა, რომლებიც რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა იგემეს. ამ დამარცხებებმა ძირფესვიანად შეარყია მართვა-გამგეობის მთელი ძველი მექანიზმი და მთელი ძველი წესწყობილება, გააბოროტა მის წინააღმდეგ მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა კლასი, გააფთრა არმია, დიდი რაოდენობით გაწყვიტა მისი ძველი მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც დახავსებულ-თავადაზნაურული და განსაკუთრებით დამყაყებულ-მოხელეური ელემენტებისაგან შედგებოდა და რომლის ადგილი დაიკავა ახალგაზრდა, მკვირცხლმა, უმეტესად ბურჟუაზიულმა, უაზნო, წვრილბურჟუაზიულმა შემადგენლობამ. ბურჟუაზიის მიმართ აშკარად მლიქვნელი ან პირდაპირ მერყევი ადამიანები, რომელნიც «პორაჟენცობის» წინააღმდეგ გაჰკიოდნენ და გოდებდნენ, ახლა ყველაზე ჩამორჩენილი და ყველაზე ბარბაროსული მეფის მონარქიის დამარცხებისა და რევოლუციური ხანძრის დ ა წ ყ ე ბ ი ს ისტორიული კავშირის ფაქტის წინაშე არიან დაყენებული.

მაგრამ თუ დამარცხებები ომის დასაწყისში უარყოფითი ფაქტორის როლს ასრულებდა, რომელმაც აფეთქება დააჩქარა, სამაგიეროდ, ინგლის-საფრანგეთის ფინანსური კაპიტალის, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის კავშირი რუსეთის ოქტიაბრისტულ-კადეტურ კაპიტალთან ისეთი ფაქტორი აღმოჩნდა, რომელმაც ეს კრიზისი დააჩქარა პირდაპირ შეთქმულების მოწყობით ნიკოლოზ რომანოვის წინააღმდეგ.

საქმის ამ მეტისმეტად საყურადღებო მხარეს სრულიად გასაგები მიზეზით აფუჩეჩებს ინგლის-საფრანგეთის პრესა და გესლიანად ხაზს უსვამს გერმანული პრესა. ჩვენ, მარქსისტებმა, ფხიზლად უნდა გავუსწოროთ თვალი სიმართლეს, ჩვენ არ უნდა შეგვაშფოთოს არც იმპერიალისტთა პირველი მეომარი ჯგუფის დიპლომატებისა და მინისტრების სიცრუემ, ამ კაზიონურმა და დიპლომატიურად მოთაფლულმა სიცრუემ, და არც მათი ფინანსური და სამხედრო მეტოქეების მეორე მეომარი ჯგუფის თვალის ჩაკვრამ და ხითხითმა. თებერვალ-მარტის რევოლუციის ამბების მთელი მსვლელობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოები, მათი აგენტებითა და «კავშირურთიერთობით», დიდი ხანია მთელი ძალღონით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ნიკოლოზ მეორესა (და იმედს გამოვთქვამთ და ვეცდებით, რომ ეს იქნეს ნიკოლოზ უკანასკნელი) და ვილჰელმ მეორეს შორის «სეპარატიული» შეთანხმებისა და სეპარატიული ზავისათვის, უშუალოდ აწყობდნენ შეთქმულებას ოქტიაბრისტებსა და კადეტებთან ერთად, გენერალიტეტისა და არმიის, განსაკუთრებით კი პეტერბურგის გარნიზონის ოფიცერთა შემადგენლობის ნაწილთან ერთად ნიკოლოზ რომანოვის გადასაყენებლად.

ნუ მივეცემით ილუზიებს. ნუ ჩავიდენთ იმათ შეცდომებს, ვინც ახლა მზად არის, — ისე როგორც ზოგიერთი «ოკისტი» ან «მენშევიკი», რომლებიც გვოზდიოველობა-პოტრესოველობასა და ინტერნაციონალიზმს შორის მერყეობენ და ძალიან ხშირად ეძლევიან წვრილბურჟუაზიულ პაციფიზმს, — მზად

არის ხოტბა შეასხას მუშათა პარტიის «შეთანხმებას» კადეტებთან, პირველის მიერ მეორეთათვის «მხარის დაჭერას» და სხვა. ეს ხალხი, თავისი ძველი დაზეპირებული (და სრულიადაც არა მარქსისტული) დოქტრინის საამებლად, საბურველში ხვევს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა შეთქმულებას გუჩკოვებსა და მილიუკოვებთან იმ მიზნით, რომ გადააყენონ «მთავარი მოჩხუბარი» ნიკოლოზ რომანოვი და შეცვალონ იგი უფრო ენერგიული, ახალი და უფრო უნარიანი მ ო ჩ ხ უ ბ რ ე ბ ი თ.

თუ რევოლუციამ ასე ჩქარა და ასე — გარეგნულად, პირველი ზერელე შეხედვით — ასე რადიკალურად გაიმარჯვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მეტისმეტად ორიგინალური ისტორიული სიტუაციის მეოხებით ერთად შ ე ე რ თ დ ნ ე ნ, და ძალიან «ხმაშეწყობილადაც» შეერთდნენ, ს რ უ ლ ი ა დ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა კ ა დ ე ბ ი, ს რ უ ლ ი ა დ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი კლასობრივი ინტერესები, ურ თ ი ე რ თ ი ს ს რ უ ლ ი ა დ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო პოლიტიკური და სოციალური მისწრაფებანი. სახელდობრ: შეთქმულება ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებისა, რომლებიც მილიუკოვს, გუჩკოვსა და კომპანიას აქეზებდნენ ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება, რ ა თ ა გ ა ნ ე გ რ ძ ო თ ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ო მ ი, რათა კიდევ უფრო მეტი გააფთრებითა და მეტი შეუპოვრობით ეწარმოებინათ იგი, რათა გ ა ე ქ ლ ი ტ ა თ რუსეთის მუშათა და გლეხთა ა ხ ა ლ-ა ხ ა ლ ი მ ი ლ ი ო ნ ე ბ ი იმისათვის, რომ გუჩკოვებს მიეღოთ... კონსტანტინოპოლი, საფრანგეთის კაპიტალისტებს... სირია, ინგლისის კაპიტალისტებს... მესოპოტამია და ასე შემდეგ. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, რევოლუციური ხასიათის ღრმა პროლეტარული და მასობრივი სახალხო (ქალაქებისა და სოფლების მთელი უღარიბესი მოსახლეობა) მოძრაობა პ ურ ი ს ა, ზ ა ვ ი ს ა დ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

პირდაპირ სისულელე იქნებოდა ლაპარაკი რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის «მხარის დაჭერაზე» ინგლისის ფულებით «შეკოწიწებული» კადეტურ-ოქტიაბრისტული

იმპერიალიზმისათვის, რომელიც ისევე საზიზღარია, როგორც მეფის იმპერიალიზმი. რევოლუციური მუშები ანგრევდნენ, უკვე საგრძნობლად დაანგრიეს და ძირფესვიანად დაანგრევენ მეფის საძაგელ მ ო ნ ა რ ქ ი ა ს; მათ არც აღაფრთოვანებს და არც შეაშფოთებს ის გარემოება, რომ განსაზღვრულ მოკლე, კონიუნქტურის მხრივ განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტებში მ ა თ დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს უწევს ბიუკენენის, გუჩკოვის, მილიუკოვისა და კომპანიის ბრძოლა ერთი მონარქის შ ე ს ა ც ვ ლ ე ლ ა დ მ ე ო რ ე მ ო ნ ა რ ქ ი თ და ისიც უპირატესად რომანოვით!

ასე და მხოლოდ ასე იყო საქმე. ასე და მხოლოდ ასე შეუძლია შეხედოს საქმეს პოლიტიკოსმა, რომელსაც სიმართლის არ ეშინია, რომელიც ფხიზლად ითვალისწინებს რევოლუციაში საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობას, რომელიც ყოველ «მიმდინარე მომენტს» აფასებს არა მარტო მთელი მისი ახლანდელი, დღევანდელი ორიგინალობის თვალსაზრისით, არამედ უფრო ღრმა მექანიზმის თვალსაზრისით, როგორც რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა უფრო ღრმა თანაფარდობის თვალსაზრისით.

პიტერის მუშები, ისე როგორც მთელი რუსეთის მუშები, თავგანწირვით იბრძოდნენ მეფის მონარქიის წინააღმდეგ, იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, მიწის მოსაპოვებლად გლეხებისათვის, ზ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს, იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური კაპიტალი, ამ ხოცვა-ჟლეტის განსაგრძობად და გასაძლიერებლად, სჭედდა ყასახლის ინტრიგებს, აწყობდა შეთქმულებას გვარდიის ოფიცრებთან, აქეზებდა და აიმედებდა გუჩკოვებსა და მილიუკოვებს, ამზადებდა ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ მ ზ ა მ ზ ა რ ე უ ლ ა ხ ა ლ მ თ ა ვ რ ო ბ ა ს, რომელმაც მართლაც ჩ ა ი გ დ ო ხ ე ლ შ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ცარიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის პირველივე იერიშების შემდეგ.

ეს ახალი მთავრობა, რომელშიც ოქტიაბრისტებსა და «მშვიდობიან განმაახლებლებს», სტოლიპინ-ჩამომხრჩობის

გუშინდელ დამქაშებს, ლვოვსა და გუჩკოვს, მ ა რ თ ლ ა ც დ ი დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი პოსტები, საბრძოლო პოსტები, გადამწყვეტი პოსტები უჭირავთ და არმია და მოხელეობა ხელში ჰყავთ, — ეს მთავრობა, რომელშიც მილიუკოვი და სხვა კადეტები უფრო დასამშვენებლად, აბრისათვის, მოთაფლული პროფესორული სიტყვების წარმოსათქმელად სხედან, «ტრუდოვიკი» კერენსკი კი ენაჭარტალას როლს ასრულებს მუშათა და გლეხთა მოსატყუებლად, — ეს მთავრობა პიროვნებათა შემთხვევითი კრებული როდია.

ესენი არიან წარმომადგენელნი ახალი კლასისა, რომელიც ამაღლდა რუსეთში პოლიტიკურ ძალაუფლებამდე, კაპიტალისტური მემამულეებისა და ბურჟუაზიის კლასისა, რომელიც დიდი ხანია მ ა რ თ ა ვ ს ჩვენს ქვეყანას ეკონომიურად და რომელიც, როგორც 1905 — 1907 წლების რევოლუციის დროს, ისე 1907 — 1914 წლების კონტრრევოლუციის დროს, ბოლოს კი, — და თანაც განსაკუთრებული სისწრაფით, — 1914—1917 წლების ომის დროს ერთობ ჩქარა დაირაზმა პოლიტიკურად, რომელმაც ხელთ იგდო ადგილობრივი თვითმმართველობაც, სახალხო განათლებაც, სხვადასხვა სახის ყრილობებიც, სათათბიროც, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებიც და სხვა. 1917 წლისათვის ეს ახალი კლასი უკვე «თითქმის მთლად» მისული იყო ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს თ ა ნ; ამიტომაც საკმაო იყო ცარიზმზე პირველი იერიშები, რომ იგი დანგრეულიყო და თავისი ადგილი ბურჟუაზიისთვის დაეთმო. იმპერიალისტურმა ომმა, რომელიც ძალთა უდიდეს დაძაბვას მოითხოვდა, ისე დააჩქარა ჩამორჩენილი რუსეთის განვითარების მსვლელობა, რომ ჩვენ «ერთბაშად» (ნამდვილად კი ვ ი თ ო მ დ ა ერთბაშად) დ ა ვ ე წ ი ე თ იტალიას, ინგლისს, თითქმის საფრანგეთსაც, მივიღეთ «კოალიციური», «ნაციონალური» (ე. ი. იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის საწარმოებლად და ხალხის მოსატყუებლად გამოსადეგი) «პარლამენტური» მთავრობა.

ამ მთავრობის გვერდით, — რომელიც, მ ი მ დ ი ნ ა რ ე ომის თვალსაზრისით, არსებითად, მილიარდების მქონე ფირმების: «ინგლისის და საფრანგეთის» უბრალო ნოქარს წარმო-

ადგენდა, — წარმოიშვა მთავარი, არაოფიციალური, ჯერ კიდევ განუვითარებელი, შედარებით სუსტი, მ უ შ ა თ ა მ თ ა ვ - რ ო ბ ა, რომელიც გამოხატავს პროლეტარიატის და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მთელი უღარიბესი ნაწილის ინტერესებს. ეს არის პიტერის მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო, რომელიც კავშირს ამყარებს ჯარისკაცებსა და გლეხებთან, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშებთან და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით, პირველ რიგში, უფრო მეტად მათთან, ვიდრე გლეხებთან.

ასეთია ნ ა მ დ ვ ი ლ ი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ აღვნიშნოთ რაც შეიძლება მეტი ობიექტური სიზუსტით, რათა მარქსისტული ტაქტიკა დავამყაროთ ერთადერთ მკვიდრ საფუძველზე, რომელსაც ის უნდა ემყარებოდეს — ფ ა ქ - ტ ე ბ ი ს საფუძველზე.

მეფის მონარქია დანგრეულია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მთლად გასრესილი არაა.

ოქტიაბრისტულ-კადეტური, ბურჟუაზიული მთავრობა, რომელსაც სურს იმპერიალისტური ომი «ბოლომდე» აწარმოოს, ნამდვილად ნოქარია ფინანსური ფირმისა «ინგლისი და საფრანგეთი», ეს მთავრობა ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ა ღ უ - თ ქ ვ ა ს ხალხს იმ თავისუფლებათა და მოწყალებათა მაქსიმუმი, რომლებიც შეიძლება შეუთავსდეს ისეთ მდგომარეობას, რომ ამ მთავრობამ შეინარჩუნოს ხელისუფლება ხალხის მიმართ და შესაძლებლობა ექნეს განაგრძოს იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა.

მუშათა დეპუტატების საბჭო — მუშათა ორგანიზაცია, მუშათა მთავრობის ჩანასახია, იგი წარმომადგენელია მოსახლეობის მთელი უ ღ ა რ ი ბ ე ს ი მასის ინტერესებისა, ე. ი. მოსახლეობის ცხრა მეათედისა, ის ცდილობს მოიპოვოს ზ ა ვ ი, პ ურ ი და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა.

ამ სამი ძალის ბრძოლა განსაზღვრავს მდგომარეობას, რომელიც ახლა შეიქმნა და რომელიც რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორეზე გ ა დ ა ს ვ ლ ა ს წარმოადგენს.

პირველ და მეორე ძალას შორის წინააღმდეგობა ღრმა არ ა რ ი ს, იგი დროებითია, გამოწვეულია მ ხ ო ლ ო დ მომენტის კონიუნქტურით, იმპერიალისტური ომის მოვლენათა მკვეთრი შეტრიალებით. მ თ ე ლ ი ახალი მთავრობა — მონარქისტები არიან, ვინაიდან კერენსკის ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი რესპუბლიკანიზმი პირდაპირ არასერიოზულია, პოლიტიკოსს არ შეჰფერის, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ იგი პოლიტიკანობას წარმოადგენს. ახალმა მთავრობამ ვერც კი მოასწრო მეფის მონარქიის გასრესა, რომ უკვე დ ა ი წ ყ ო გ ა რ ი გ ე ბ ი ს დ ა დ ე ბ ა რომანოვების მეშამულეთა დინასტიასთან. ოქტიაბრისტულ-კადეტური ტიპის ბურჟუაზიას ს ჭ ი რ დ ე ბ ა მონარქია, როგორც ბიუროკრატიისა და არმიის მეთაური, კაპიტალის პრივილეგიების დასაცავად მშრომელთა წინააღმდეგ.

ვინც ამბობს, მუშებმა მ ხ ა რ ი უნდა დ ა უ ჭ ი რ ო ნ ახალ მთავრობას ცარიზმის რეაქციასთან ბრძოლის ინტერესებისთვისო (ხოლო ამას, როგორც ჩანს, ამბობენ პოტრესოვები, გვოზდიოვები, ჩხენკელები, აგრეთვე, მიუხედავად მთელი ო რ ჭ ო ფ ო ბ ი ს ა, ჩ ხ ე ი ძ ე ც), იგი მუშათა მოღალატეა, პროლეტარიატის საქმის, ზავისა და თავისუფლების საქმის მოღალატეა. ვინაიდან სინამდვილეში ს წ ო რ ე დ ამ ახალ მთავრობას ხელ-ფეხი უ კ ვ ე შეკრული აქვს იმპერიალისტური კაპიტალით, იმპერიალისტური ს ა ო მ ა რ ი, მძარცველური პოლიტიკით, მან უ კ ვ ე დაიწყო გარიგება (ხალხის დაუკითხავად!) დინასტიასთან, უ კ ვ ე მ უ შ ა ო ბ ს მ ე ფ ი ს მ ო ნ ა რ ქ ი ი ს ა ღ ს ა დ გ ე ნ ა დ, უკვე ეპატიჟება მეფობის ახალ კანდიდატს — მიხეილ რომანოვს, უკვე ზრუნავს მისი ტახტის გასამაგრებლად, ლეგიტიმური (კანონიერი, ძველი კანონის მიხედვით არსებული) მონარქიის შესაცვლელად ბონაპარტისტული, პლებისციტური (გაყალბებული სახალხო კენჭისყრის საფუძველზე არსებული) მონარქიით.

არა, მეფის მონარქიის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლისათვის, თავისუფლების ნამდვილი უზრუნველყოფისათვის, არა მარტო სიტყვით, არა ენაჭარტალა მილიუკოვისა და კერენსკის

დაპირებებით, მუშები კ ი ა რ უნდა უჭერდნენ მხარს ახალ მთავრობას, არამედ ამ მთავრობამ უნდა «დაუჭიროს მხარი» მუშებს! ვინაიდან თავისუფლების მოპოვებისა და ცარიზმის ბოლომდე დანგრევის ერთადერთი გ ა რ ა ნ ტ ი ა არის პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ა, მუშათა დეპუტატების საბჭოს როლის, მნიშვნელობისა და ძალის განმტკიცება, გაფართოება და განვითარება.

ყოველივე დანარჩენი არის ფრაზა და სიცრუე, ლიბერალური და რადიკალური ბანაკის პოლიტიკანების თავის მოტყუება, თაღლითური ოინი.

დაეხმარეთ მუშათა შეიარაღების საქმეს, ან ხელს მაინც ნუ უშლით ამ საქმეს, — და თავისუფლება რუსეთში უძლეველი იქნება, მონარქია ვერ აღსდგება, რესპუბლიკა უზრუნველყოფილი იქნება.

უამისოდ გუჩკოვები და მილიუკოვები აღადგენენ მონარქიას და მათ მიერ დაპირებულ «თავისუფლებათაგან» არ შეასრულებენ ა რ ა ფ ე რ ს, სრულიად არაფერს. დაპირებებით «კვეზავდა» ხალხს და ასულელებდა მუშებს ყველა ბურჟუაზიული პოლიტიკანი ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული რევოლუციის დროს.

ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, — ა მ ი ტ ო მ მუშებმა მხარი უნდა დაუჭირონ ბურჟუაზიასო, — ამბობენ პოტრესოვები, გვოზდიოვები, ჩხეიძეები, ისე როგორც ამბობდა გუშინ პლეხანოვი.

~~ჩვენი~~ რევოლუცია ბურჟუაზიულია, — ვამბობთ ჩვენ, მარქსისტები, — ა მ ი ტ ო მ მუშებმა თვალი უნდა აუხილონ ხალხს, დაანახვონ მას ბურჟუაზიული პოლიტიკანების მატყუარობა, ასწავლონ ხალხს არ დაუჯეროს ლიტონ სიტყვებს, დაენდოს მხოლოდ თ ა ვ ი ს ს ა კ უ თ ა რ ძალებს, თ ა ვ ი ს ორგანიზაციას, თ ა ვ ი ს შეკავშირებას, თავის შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ა ს.

ოქტიაბრისტებისა და კადეტების, გუჩკოვებისა და მილიუკოვების მთავრობას ა რ ძ ა ლ უ ძ ს, —გულწრფელადაც რომ უნდოდეს ეს (გუჩკოვისა და ლვოვის გულწრფელობაზე

ფიქრი მხოლოდ ბალღებს შეუძლიათ.), — არ ძალუძს მისცეს ხალხს არც ზავი, არც პური, არც თავისუფლება.

ზავს ვერ მისცემს, იმიტომ რომ იგი ომის მთავრობაა, იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის განგრძობის მთავრობა, ძარცვა-გლეჯის მთავრობაა, რომელსაც სურს სომხეთის, გალიციის, თურქეთის ძარცვა, კონსტანტინოპოლის წართმევა, პოლონეთის, კურლანდიის, ლიტვის მხარის ხელახალი დაპყრობა და სხვა. ამ მთავრობას ხელ-ფეხი შეკრული აქვს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური კაპიტალით. რუსეთის კაპიტალი მხოლოდ განყოფილებაა მსოფლიო «ფირმისა», რომელიც ასობით მილიარდ მანეთებს ატრიალებს და რომელსაც ეწოდება: «ინგლისი და საფრანგეთი».

პურს ვერ მისცემს, იმიტომ რომ იგი ბურჟუაზიული მთავრობაა. უკეთეს შემთხვევაში იგი ხალხს მისცემს, როგორც გერმანიამ მისცა, «გენიალურად მოწყობილ შიმშილს». მაგრამ ხალხი შიმშილს არ მოითმენს. ხალხი გაიგებს, და ალბათ ჩქარა გაიგებს, რომ პური არის, რომ მისი მიღება შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ისეთი ღონისძიებით, რომელიც ქედს არ მოიხრის კაპიტალისა და მიწათმფლობელობის ხელუხლებლობის წინაშე.

თავისუფლებას ვერ მისცემს, იმიტომ რომ იგი მემამულურ-კაპიტალისტური მთავრობაა, რომელსაც ეშინია ხალხისა და რომელმაც უკვე დაიწყო გარიგება რომანოვების დინასტიასთან.

ამ მთავრობის მიმართ ჩვენი უახლოესი მოქმედების ტაქტიკური ამოცანების შესახებ სხვა წერილში მოვილაპარაკებთ. იქ ჩვენ ცხადვყოფთ, თუ რაში მდგომარეობს მიმდინარე მომენტის — პირველი ეტაპიდან რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასვლის — თავისებურება, რატომ უნდა იყოს ამ მომენტში ლოზუნგი, დღევანდელი «დღის ამოცანა» შემდეგი: მუშებო, თქვენ გამოიჩინეთ პროლეტარული, ხალხური გმირობის სასწაულები სამო-

ქალაქო ომში ცარიზმის წინააღმდეგ, თქვენ უნდა გამოიჩინოთ პროლეტარული და საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციის სასწაულები, რათა მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპზე.

ვკმაყოფილდებით რა ამჟამად კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ანალიზით რევოლუციის ახლანდელ ეტაპზე, ჩვენ კიდევ უნდა დავსვათ საკითხი: ვინ არიან პროლეტარიატის მოკავშირენი მიმდინარე რევოლუციაში?

მას ორი მოკავშირე ჰყავს: ჯერ-ერთი, რუსეთის ნახევრადპროლეტარული და ნაწილობრივ წვრილი გლეხური მოსახლეობის ფართო, მრავალ ათეულ-მილიონიანი მასა, რომელიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს. ამ მასისთვის აუცილებლად საჭიროა ზავი, პური, თავისუფლება, მიწა. ეს მასა აუცილებლად იქნება ბურჟუაზიისა და განსაკუთრებით წვრილი ბურჟუაზიის ერთგვარი გავლენის ქვეშ; თავისი ცხოვრების პირობებით ეს მასა ყველაზე უფრო უახლოვდება წვრილ ბურჟუაზიას და ქანაობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ომის სასტიკი გაკვეთილები, რომლებიც მით უფრო სასტიკი იქნება, რაც უფრო ენერგიულად წარმართავენ ომს გუჩკოვი, ლვოვი, მილიუკოვი და კომპანია, აუცილებლად უბიძგებენ ამ მასას პროლეტარიატისაკენ, აიძულებენ მას გაჰყვეს პროლეტარიატს. ჩვენ ახლა უნდა ვისარგებლოთ ახალი წესწყობილების შედარებითი თავისუფლებით, მუშათა დეპუტატების საბჭოებით და ვეცადოთ, უწინარეს და უმეტეს ყოვლისა, ამ მასის გათვითცნობიერებასა და შეკავშირებას. გლეხთა დეპუტატების საბჭოები, სოფლის მეურნეობის მუშათა საბჭოები — აი ერთ-ერთი მეტად სერიოზული ამოცანა. ამასთან ჩვენი მისწრაფება მარტო იქითკენ კი არ იქნება მიმართული, რომ სოფლის მეურნეობის მუშებმა თავიანთი განსაკუთრებული საბჭოები გამოყონ, არამედ იქითკენაც, რომ ხელმოკლე და უღარიბესი გლეხები შეძლებული გლეხებისაგან გამო-

ცალკეეებულად შეკავშირდნენ. ამჟამად მეტისმეტად საჭირო ამ ორგანიზაციის განსაკუთრებულ ამოცანებსა და განსაკუთრებულ ფორმებზე შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ.

მეორეც, რუსეთის პროლეტარიატის მოკავშირე არის ყველა მეომარი სახელმწიფოს და საერთოდ ყველა ქვეყნის პროლეტარიატი. ამჟამად იგი საგრძნობლად დაძაბუნებულია ომით, და მისი სახელით ახლა მეტად ხშირად ლაპარაკობენ ევროპაში, — ისე როგორც პლეხანოვი, გვოზდიოვი, პოტრესოვი რუსეთში, — ბურჟუაზიის მხარეზე გადასული სოციალ-შოვინისტები. მაგრამ მათი გავლენისაგან პროლეტარიატის განთავისუფლება იმპერიალისტური ომის განმავლობაში ყოველთვიურად წინ მიდიოდა, რუსეთის რევოლუცია კი გარდუვალად დააჩქარებს ამ პროცესს უდიდესი მასშტაბით.

პროლეტარიატი გამოიყენებს ახლანდელი გარდამავალი მომენტის თავისებურებებს და ამ ორ მოკავშირესთან ერთად შეძლებს წავიდეს და კიდევაც წავა ჯერ დემოკრატიული რესპუბლიკისა და მემამულეებზე გლეხთა სრული გამარჯვების მოსაპოვებლად ნაცვლად გუჩკოვ-მილიუკოვის ნახევრადმონარქიისა, შემდეგ კი სოციალიზმის დასამყარებლად, რომელიც ერთადერთი მისცემს ომით განაწამებ ხალხებს ზავს, პურსა და თავისუფლებას.

ნ. ლენინი

დაწერილია 1917 წ. 7 (20) მარტს

დაიბეჭდა 1917 წ. 21 და 22 მარტს
გაზეთ «პრავდაში» №№ 14 და 15

იბეჭდება მანქანაზე
გადაღებული პირის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
გაზეთ «პრავდის» ტექსტთან

წერილები შორიდან

წერილი მეოთხე

ახალი მთავრობა და პროლეტარიატი

მთავარი დოკუმენტი, რომელიც მე დღემდე (8/21 მარტი) შომეპოვება, — ესაა ინგლისური ყველაზე უფრო კონსერვატიული და ყველაზე უფრო ბურჟუაზიული გაზეთის «Times»-ის («ტაიმზის») [107] 16 მარტის ნომერი, რომელშიც თავმოყრილია ცნობები რუსეთის რევოლუციის შესახებ. ცხადია, ადვილი როდია გამონახვა სხვა ისეთი წყაროსი, რომელიც — რბილად რომ ვთქვათ — ასე კეთილმეგობრულად იყოს განწყობილი გუჩკოვისა და მილიუკოვის მთავრობისადმი.

ამ გაზეთის კორესპონდენტი ოთხშაბათს, 1 (14) მარტის თარიღით, — როდესაც არსებობდა ჯერ მხოლოდ პ ი რ ვ ე ლ ი დროებითი მთავრობა, ე. ი. სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი 13 კაცის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობდა როძიანკო, ხოლო წევრთა შორის იყო ორი, გაზეთის სიტყვით რომ ვთქვათ, «სოციალისტი» — კერენსკი და ჩხეიძე, — პეტერბურგიდან იტყობინება შემდეგს:

«სახელმწიფო საბჭოს არჩეულ წევრთა 22 კაცის ჯგუფმა, გუჩკოვმა, სტახოვიჩმა, ტრუბეცკოიმ, პროფესორმა ვასილიევმა, გრიმმა, ვერნადსკიმ და სხვებმა, გუშინ მეფეს გაუგზავნეს დეპეშა» და ემუდარებიან მას «დინასტიის» გადასარჩენად და სხვ. და სხვ. მოიწვიოს სათათბირო და დანიშნოს მთავრობის ისეთი მეთაური, რომელიც «ერის ნდობით» იქნება აღჭურვილი. «როგორი იქნება გადაწყვეტილება იმპერატორისა, რომე-

ლიც დღეს უნდა ჩამოვიდეს, ამჟამად ჯერ არავინ იცის, — წერს კორესპონდენტი, — მაგრამ ერთი რამ სავსებით ეჭვს გარეშეა. თუ მისი უდიდებულესობა დაუყოვნებლივ არ დააკმაყოფილებს მის ლოიალურ ქვეშევრდომთა შორის ყველაზე ზომიერი ელემენტების სურვილებს, მაშინ ის გავლენა, რომლითაც ახლა სარგებლობს სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი, მთლად გადავა სოციალისტების ხელში, რომელთაც რესპუბლიკის დაარსება უნდათ, მაგრამ უნარი არა აქვთ რაიმე წესიერი მთავრობა შეადგინონ და რომელნიც რუსეთს აუცილებლად შეუქმნიან ანარქიას შიგნით და კატასტროფას — გარეთ»...

აბა, ერთი ნახეთ, განა ყველაფერი ეს სახელმწიფოებრივად ბრძნული და ნათელი არ არის? რა კარგად ესმის გუჩკოვებისა და მილიუკოვების ინგლისელ თანამოაზრეს (თუ ხელმძღვანელს არა) კლასობრივ ძალთა და ინტერესთა თანაფარდობა! «ლოიალურ ქვეშევრდომთა შორის ყველაზე ზომიერ ელემენტებს», ე. ი. მონარქისტ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, სურთ ხელთ იგდონ ძალაუფლება, რადგან მშვენივრად ესმით, რომ თუ ასე არ მოხდა, «გავლენა» «სოციალისტების» ხელში გადავა. რატომ სახელდობრ «სოციალისტებისა» და არა კიდევ სხვა ვინმეს ხელში? იმიტომ რომ ინგლისელი გუჩკოველი ჩინებულად ხედავს: არავითარი სხვა საზოგადოებრივი ძალა პოლიტიკურ ასპარეზზე ა რ ა რ ი ს დ ა ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა იყოს. რევოლუცია პროლეტარიატმა მოახდინა; მან გამოიჩინა გმირობა, სისხლს ღვრიდა; მან გაიყოლია მშრომელი და უღარიბესი მოსახლეობის უაღრესად ფართო მასები; იგი მოითხოვს პურს, ზავსა და თავისუფლებას, მოითხოვს რესპუბლიკას, თანაუგრძნობს სოციალიზმს. ერთი მუჭა მემამულეებსა და კაპიტალისტებს კი, რომელთაც სათავეში გუჩკოვები და მილიუკოვები უდგანან, სურთ გააყალბონ უდიდესი უმრავლესობის ნებისყოფა და მისწრაფება, უნდათ გ ა რ ი გ ე ბ ა დადონ დ ა ც ე მ ი ს გ ზ ა ზ ე მ დ გ ა რ მ ო ნ ა რ ქ ი ა ს თ ა ნ, დაეხმარონ, გადაარჩინონ იგი: თქვენო უდიდებულესობავ, დანიშნეთ ლვოვი და გუჩკოვი, და ჩვენ მონარქისთან

ერთად ვიქნებით ხალხის წინააღმდეგო. აი მთელი აზრი, აი მთელი დედაარსი ახალი მთავრობის პოლიტიკისა!

მაგრამ როგორ უნდა გაამართლო ხალხის მოტყუება, მისი გაბრიყვება, მოსახლეობის უზარმაზარი უმრავლესობის ნებისყოფის დარღვევა?

ამისათვის საჭიროა ცილი დასწამო მას — ესაა ბურჟუაზიის ძველი, მაგრამ მუდამ ახალი ფანდი. და ინგლისელი გუჩკოველი ცილს სწამებს, ილანძღება, იფურთხება და ღრინავს: «ანარქია შიგნით, კატასტროფა გარეთ», არავითარი «წესიერი მთავრობაო»!!

ტყუილია, პატივცემულო გუჩკოველო! მუშებს რესპუბლიკა სურთ; რესპუბლიკა კი ბევრად უფრო «წესიერი» მთავრობაა, ვიდრე მონარქია. რითია ხალხი გარანტირებული იმისაგან, რომ მეორე რომანოვი მეორე რასპუტინს არ გაიჩენს? კატასტროფას ამზადებს სწორედ ომის განგრძობა, ე. ი. სწორედ ახალი მთავრობა. მხოლოდ პროლეტარულ რესპუბლიკას, რომელსაც მხარს დაუჭერენ სოფლის მუშები და გლეხთა და ქალაქელთა უღარიბესი ნაწილი, შეუძლია უზრუნველყოს ზავი, მისცეს პური, წესრიგი და თავისუფლება.

ანარქიის წინააღმდეგ ყიყინის მიზანია მხოლოდ მიჩქმალოს ანგარებითი ინტერესები კაპიტალისტებისა, რომელთაც სურთ ომითა და სამხედრო სესხებით გამდიდრდნენ, სურთ აღადგინონ მონარქია წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ხალხისა.

...«გუშინ — განაგრძობს კორესპონდენტი — სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ფრიად მეამბოხე შინაარსის მოწოდება გამოუშვა და ეს მოწოდება მთელ ქალაქში იქნა გავრცელებული. ისინი» (ე. ი. სოციალ-დემოკრატიული პარტია) «წმინდა წყლის დოქტრინიორები არიან, მაგრამ მათ შესწევთ უდიდესი ძალა ბოროტების ჩასადენად ისეთ ხანაში, როგორიც ახლაა. ბ-ნ კერენსკის და ბ-ნ ჩხეიძეს ესმით, რომ თუ მათ მხარი არ დაუჭირეს ოფიცრებმა და ხალხის უფრო ზომიერმა ელემენტებმა, ისე იმედი არ უნდა ჰქონდეთ ანარქიის თავიდან აცილებისა, ისინი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ თავიანთ უფრო ნაკლებად გონიერ ამხანაგებს და შეუმ-

ჩნევლად უბიძგებენ მათ ისეთი პოზიციის დაკავებისაკენ, რომელიც ართულებს დროებითი კომიტეტის ამოცანას»...

ჰოი, დიდებულო ინგლისელო დიპლომატო-გუჩკოველო! რა «უგუნურად» წამოროშეთ სიმართლე!

«სოციალ-დემოკრატიული პარტია» და «უფრო ნაკლებად გონიერი ამხანაგები», რომელთაც «იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ კერენსკიმ და ჩხეიძემ», ეს, ცხადია, ჩვენი, 1912 წლის იანვრის კონფერენციის მიერ აღდგენილი, პარტიის ცენტრალური ან პეტერბურგის კომიტეტია; ესენი სწორედ ის «ბოლშევიკები» არიან, რომელთაც ბურჟუები ყოველთვის ლანძღავენ და «დოქტრინიორებს» უწოდებენ, იმიტომ რომ ისინი «დოქტრინის», ე. ი. სოციალიზმის საფუძვლების, პრინციპების, მოძღვრების, მიზნების ერთგულნი არიან. ინგლისელი გუჩკოველი მეამბოხურსა და დოქტრინიორულს უწოდებს და ლანძღავს, ცხადია, ჩვენი პარტიის მოწოდებას და მოქმედებას იმიტომ, რომ პარტია მოუხმობს იბრძოლონ რესპუბლიკისათვის, ზავისათვის, მეფის მონარქიის სრული დანგრევისათვის, იბრძოლონ ხალხისათვის პურის მოსაპოვებლად.

პური ხალხისათვის და ზავი — ეს მეამბოხეობაა, ხოლო მინისტრის ადგილები გუჩკოვისა და მილიუკოვისათვის — ეს «წესიერებაა». ძველისძველი, ნაცნობი ლათაიებია!

ხოლო როგორია კერენსკისა და ჩხეიძის ტაქტიკა, ინგლისელი გუჩკოველის დახასიათებით?

იგი მერყეევია: ერთი მხრივ, გუჩკოველი აქებს მათ; მათ «ესმით» (კარგი და ჭკვიანი ბიჭები არიან!), რომ ოფიცრების და უფრო ზომიერი ელემენტების «მხარდაუჭერლად» ანარქიის თავიდან აცილება შეუძლებელიაო (ჩვენ კი აქამდე ვფიქრობდით და, თანახმად ჩვენი დოქტრინისა, სოციალიზმის ჩვენი მოძღვრებისა, ახლაც ვფიქრობთ, რომ სწორედ კაპიტალისტებს შეაქვთ ადამიანთა საზოგადოებაში ანარქია და ომები, რომ მხოლოდ მთელი პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლას პროლეტარიატისა და უღარიბესი ხალხის ხელში შეუძლია გვიხსნას ომებისა, ანარქიისა და შიმშილობისა-

გან!). — — — მეორე მხრივ, ისინი «იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ» «თავიანთ უფრო ნაკლებად გონიერ ამხანაგებს», ე. ი. ბოლშევიკებს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელიც აღადგინა და გააერთიანა ცენტრალურმა კომიტეტმა.

რა ძალა «აიძულებს» კერენსკის და ჩხეიძეს «ანგარიში გაუწიონ» ბოლშევიკურ პარტიას, რომელსაც ისინი ა რ ა-ს ო დ ე ს არ ეკუთვნოდნენ, რომელსაც თვით ისინი, ან მათი ლიტერატურული წარმომადგენელნი («სოციალისტ-რევოლუციონერები», «სახალხო სოციალისტები» [108], «მენშევიკ-ოკისტები» და სხვ.) ყოველთვის ლანძღავდნენ, გმობდნენ, ყოვლად უმნიშვნელო არალეგალურ წრედ, დოქტრინიორთა სექტად აცხადებდნენ და სხვა? სად და როდის გაგონილა, რომ რევოლუციურ ხანაში, როდესაც უმთავრესად მ ა ს ე ბ ი მოქმედებენ, ჭკუათამყოფელ პოლიტიკოსებს «დოქტრინიორებისათვის» «ანგარიში გაეწიოთ»??

დავთარი აერია საბრალო ჩვენს ინგლისელ გუჩკოველს, მან თავი და ბოლო ვერ მოაბა ერთმანეთს, ვერ მოახერხა ვერც მთლად სიცრუის მოჩმახვა, ვერც მთლად სიმართლის თქმა, და მხოლოდ თავისი თავი ამხილა.

კერენსკი და ჩხეიძე იძულებული გახდნენ ცენტრალური კომიტეტის სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის ანგარიში გაეწიათ იმიტომ, რომ მას პროლეტარიატზე, მასებზე გავლენა აქვს. ჩვენი პარტია მასებთან, რევოლუციურ პროლეტარიატთან აღმოჩნდა; ეს მოხდა მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ჩვენი დეპუტატების დაპატიმრებისა და ციმბირს გადასახლებისა ჯერ კიდევ 1914 წელს, მიუხედავად იმ გააფთრებული დევნისა და დაპატიმრებათა, რასაც განიცდიდა პეტერბურგის კომიტეტი ომის დროს თავისი არალეგალური მუშაობისათვის ომის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და ცარიზმის წინააღმდეგ.

«ფაქტები — ჯიუტი რამაააო», ამბობს ინგლისური ანდაზა. ნება მოგვეცით, დიდად პატივცემულო ინგლისელო გუჩკოველო, გაგახსენოთ ეს ანდაზა! ის ფაქტი, რომ რევოლუციის დიად დღეებში ჩვენი პარტია პეტერბურგის მუშებს ხელ-

მძღვანელობდა, ან, ყოველ შემთხვევაში, თავგამოდებით ეხმარებოდა, — ეს ფაქტი იძულებული იყო ელიარებინა «თვით» ინგლისელ გუჩკოველს. იგი იძულებულია აგრეთვე აღიაროს ის ფაქტი, რომ კერენსკი და ჩხეიძე ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მერყეობენ. გვოზდიოველები, «ობორონცები», ე. ი. სოციალ-შოვინისტები, ე. ი. იმპერიალისტური, მტაცებლური ომის დამცველნი, ახლა სავსებით მიჰყვებიან ბურჟუაზიას; კერენსკიც, მას შემდეგ რაც სამინისტროში, ე. ი. მეორე დროებითს მთავრობაში შევიდა, სავსებით ბურჟუაზიისაკენ გადავიდა; ჩხეიძე არ გადასულა, იგი კვლავ მერყეობს, ერთი მხრივ, ბურჟუაზიის დროებითს მთავრობასა, გუჩკოვებსა და მილიუკოვებს და, მეორე მხრივ, პროლეტარიატისა და ხალხის უღარიბესი მასების «დროებითს მთავრობასა», მუშათა დეპუტატების საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის მიერ გაერთიანებულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შორის.

მაშასადამე, რევოლუციამ დაადასტურა ის, რასაც ჩვენ განსაკუთრებით ხაზს ვუსვამდით, როდესაც მუშებს მოვუწოდებდით ნათლად გაერკვიათ კლასობრივი განსხვავება მთავარ პარტიათა და მთავარ მიმდინარეობათა შორის მუშათა მოძრაობასა და წვრილ ბურჟუაზიაში, — დაადასტურა ის, რასაც ჩვენ ვწერდით, მაგალითად, ჟენევის «სოციალ-დემოკრატის» 47-ე ნომერში, თითქმის წელიწადნახევრის წინათ, 1915 წლის 13 ოქტომბერს:

«ჩვენ, წინანდებურად, დასაშვებად მიგვაჩნია სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასთან ერთად, ოღონდ **არა** რევოლუციონერ-შოვინისტებთან ერთად. რევოლუციონერ-შოვინისტებად ჩვენ მიგვაჩნია ისინი, ვისაც ცარიზმზე გამარჯვება სურს გერმანიის დასამარცხებლად, — სხვა ქვეყნების გასაძარცვავად, — რუსეთის სხვა ხალხებზე ველიკოროსების ბატონობის განსამტკიცებლად და ა. შ.. რევოლუციური შოვინიზმის საფუძველია წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობა. იგი ყოველთვის მერყეობს

ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ახლა იგი მერყეობს შოვინიზმსა (რომელიც ხელს უშლის მას თანმიმდევრულად რევოლუციური იყოს დემოკრატიული რევოლუციის აზრითაც კი) და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს შორის. ამ წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური გამომხატველნი რუსეთში ამჟამად არიან ტრუდოვიკები [109], სოციალისტ-რევოლუციონერები, «ნაშა ზარია» (ახლა «დელო») [110], ჩხეიძის ფრაქცია, ორგანიზაციული კომიტეტი, ბ-ნი პლეხანოვი და სხვა მისთანანი. რუსეთში რომ რევოლუციონერ-შოვინისტებს გაემარჯვნათ, ჩვენ წინააღმდეგი ვიქნებოდით მ ა თ ი «სამშობლოს» დაცვისა ამ ომში. ჩვენი ლოზუნგია — შოვინისტების წინააღმდეგ, თუნდაც ისინი რევოლუციონერები და რესპუბლიკელები იყვნენ; მათ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და სოციალისტური რევოლუციისათვის საერთაშორისო პროლეტარიატის კავშირის სასარგებლოდ» *.

მაგრამ დავუბრუნდეთ ინგლისელ გუჩკოველს.

...«სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა, — განაგრძობს იგი, — შეაფასა რა მის წინაშე მდგომი საშიშროებანი, განგებ თავი შეიკავა მინისტრთა დაპატიმრების თავისი პირვანდელი გეგმის განხორციელებისაგან, თუმცა ამის გაკეთება გუშინ ყველაზე უფრო ადვილად შეიძლებოდა. ამრიგად, მოლაპარაკებისათვის კარი ღია იყო, რის მეოხებითაც ჩვენ» («ჩვენ» = ინგლისის ფინანსური კაპიტალი და იმპერიალიზმი) «შეგვიძლია მივიღოთ ახალი რეჟიმის ყოველგვარი სარგებლობა ისე, რომ არ განვიცადოთ კომუნის საშინელებანი და სამოქალაქო ომის ანარქია»...

გუჩკოველები მ ო მ ხ რ ე ნ ი იყვნენ სამოქალაქო ომისა მ ა თ ს სასარგებლოდ; ისინი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ნ ი ა რ ი ა ნ სამოქალაქო ომისა ხალხის, ე. ი. მშრომელთა ნამდვილი უმრავლესობის სასარგებლოდ.

...«ურთიერთობამ სათათბიროს დროებითს კომიტეტსა, რომელიც მთელ ერს წარმოადგენს» (ერს თურმე წარმოადგენს

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 492 — 493. რ ე დ.

მემამულეთა და კაპიტალისტთა მეოთხე სათათბიროს კომიტეტი!), «და მუშათა დეპუტატების საბჭოს შორის, რომელიც წმინდა კლასობრივ ინტერესებს წარმოადგენს» (ეს არის ენა დიპლომატისა, რომელსაც ცალი ყურით გაუგონია სწავლული სიტყვები და სურს მიჩქმალოს ის გარემოება, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო წარმოადგენს პროლეტარიატსა და ღარიბობას, ე. ი. მოსახლეობის ცხრა მეათედს), «მაგრამ ახლანდელის მსგავსი კრიზისის დროს უდიდესი ძალა აქვს, — გონებადამჯდარ ადამიანთა შორის საკმაო შიში გამოიწვია. ისინი ფიქრობდნენ, რომ პირველსა და მეორეს შორის მოსალოდნელი იყო შეტაკება, რომლის შედეგები მეტად საშინელი იქნებოდა.

საბედნიეროდ ეს საფრთხე თავიდან იქნა აცილებული, — ყოველ შემთხვევაში ამჟამად მაინც» (დააკვირდით ამ «ყოველ შემთხვევაში»-ს!), — «ბ-ნ კერენსკის, ამ დიდი ორატორული უნარის მქონე ახალგაზრდა ვექილის გავლენის წყალობით, რომელსაც ცხადად ესმის» (წინააღმდეგ ჩხეიძისა, რომელსაც აგრეთვე «ესმოდა», მაგრამ, გუჩკოველის აზრით, ალბათ, უფრო ნაკლები სიცხადით?) «კომიტეტთან ერთად მოქმედების აუცილებლობა იმ მისი ამომრჩევლების ინტერესების გულისთვის, რომლებიც მუშათა კლასს ეკუთვნიან» (ე. ი. მუშების ხმები რომ იქონიოს, მათ უნდა ელაქუცოს). «დამაკმაყოფილებელი შეთანხმება[111] დადებულ იქნა დღეს (ოთხშაბათს, 1/14 მარტს), რის მეოხებითაც ყოველგვარი ზედმეტი უთანხმოება თავიდან აცილებული იქნება».

რანაირი იყო ეს შეთანხმება, ან იგი მუშათა დეპუტატების მ თ ე ლ საბჭოსთან მოხდა თუ არა, როგორია მისი პირობები, — ჩვენ არ ვიცით. უ მ თ ა ვ რ ე ს ზ ე ინგლისელმა გუჩკოველმა ამჯერად სრულიად კრინტი არ დაძრა. რასაკვირველია! ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი როდია, რომ ეს პირობები ნათელი, ზუსტი იყოს და ყველამ იცოდეს, — ვინაიდან მაშინ უფრო ძნელი იქნება მისთვის მათი დარღვევა!

ზემო სტრიქონები უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც წავიკითხე ორი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა. ჯერ-ერთი, ესაა პარიზის ფრიად კონსერვატიული და ფრიად ბურჟუაზიული გაზეთის «**Le Temps**»-ის («დროება») [112] 20 მარტის ნომერში მოთავსებული ტექსტი მუშათა დეპუტატების საბჭოს მოწოდებისა ახალი მთავრობისათვის «მხარის დაჭერის» შესახებ; მეორეა — სახელმწიფო სათათბიროში 1 (14) მარტს სკობელევის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტები, გადმოცემული ციურიხის ერთი გაზეთის მიერ («**Neue Zürcher Zeitung**» [113], 1 **Mit.-bl.**, 21/3) და გადმობეჭდილი ბერლინის ერთი გაზეთიდან («**National-Zeitung**» [114]).

მუშათა დეპუტატების საბჭოს მოწოდება, თუ მისი ტექსტი საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ დამახინჯებული არაა, წარმოადგენს ფრიად შესანიშნავ დოკუმენტს, რომელიც ცხადყოფს, რომ პეტერბურგის პროლეტარიატი, ყოველ შემთხვევაში ამ მოწოდების გამოშვების მომენტში, იმყოფებოდა წვრილბურჟუაზიული პოლიტიკოსების მოჭარბებული გავლენის ქვეშ. მოგაგონებთ, რომ ამგვარ პოლიტიკოსებს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მე მივაკუთვნებ კერენსკისა და ჩხეიძის ტიპის ადამიანებს.

მოწოდებაში ვპოულობთ ორ პოლიტიკურ იდეას და ამის შესატყვის ორ ლოზუნგს:

ჯერ-ერთი, მოწოდება ამბობს, (ახალი) მთავრობა «ზომიერი ელემენტებისაგან» შედგებაო. საოცარი დახასიათებაა, ყოვლად უსრულო, წმინდა ლიბერალური, არა მარქსისტული ხასიათისა. მეც მზადა ვარ დავეთანხმო, რომ განსაზღვრული აზრით — შემდგომ წერილში ცხადვყოფ, თუ სახელდობრ, რა აზრით — ახლა, რევოლუციის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ, ყოველი მთავრობა «ზომიერი» უნდა იყოს. მაგრამ აბსოლუტურად შეუწყნარებელია საკუთარ თავსა და ხალხს დავუმალოთ, რომ ამ მთავრობას სურს იმპერიალისტური ომის განგრძობა, რომ იგი ინგლისის კაპიტალის აგენტია, რომ მას მონარქიის აღდგენა და მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის განმტკიცება სწადია.

მოწოდება აცხადებს, რომ ყველა დემოკრატმა უნდა «მხარი დაუჭიროს» ახალ მთავრობას; რომ მუშათა დეპუტატების საბჭო სთხოვს და რწმუნებას აძლევს კერენსკის, მონაწილეობა მიიღოს დროებითს მთავრობაში. პირობები: დანაპირები რეფორმების გატარება ჯერ კიდევ ომის დროსვე, ეროვნებათა «კულტურული» (მხოლოდ «კულტურული»??) განვითარების «თავისუფლების» გარანტია (წმინდა კადეტური, ლიბერალურად უბადრუკი პროგრამაა) და შექმნა განსაკუთრებული კომიტეტისა, რომელშიც შევლენ მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრები და «სამხედრონი» და რომელიც დროებითი მთავრობის მოქმედების მეთვალყურე იქნება[115].

ამ მეთვალყურე კომიტეტზე, რომელიც მეორეხარისხოვან იდეებსა და ლოზუნგებს ეკუთვნის, განსაკუთრებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ხოლო რუსი ლუი ბლანის, კერენსკის, დანიშვნა და ახალი მთავრობისათვის მხარის დაჭერისადმი მოწოდება წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, რევოლუციისა და პროლეტარიატის საქმისადმი ღალატის კლასიკურ ნიმუშს, სწორედ ისეთი ღალატის ნიმუშს, რომელმაც დაღუპა კიდეც XIX საუკუნის მთელი რიგი რევოლუციები, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გულწრფელნი და რამდენად ერთგულნი იყვნენ სოციალიზმისა ამგვარი პოლიტიკის ხელმძღვანელნი და მომხრენი.

პროლეტარიატს არ შეუძლია და მან არც უნდა დაუჭიროს მხარი ომის მთავრობას, რესტავრაციის მთავრობას. რეაქციასთან საბრძოლველად, იმისათვის, რომ უკუვაგდოთ რომანოვებისა და მათი მეგობრების შესაძლებელი და მოსალოდნელი ცდები — აღადგინონ მონარქია და შეკრიბონ კონტრრევოლუციური ჯარი, საჭიროა სრულიადაც არა გუჩკოვისა და კომპანიისათვის მხარის დაჭერა, არამედ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი მილიციის შ ე ქ მ ნ ა, გაფართოება და განმტკიცება, მუშათა ხელმძღვანელობით ხალხის შეიარაღება. თუ ეს უმთავრესი, ძირითადი ღონისძიება არ განხორციელდა, ისე ლაპარაკიც კი არ შეიძლება არც იმაზე, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიოთ მონარქიის აღდგენას

და დანაპირებ თავისუფლებათა წართმევის ან შეკვეცის ცდებს, და არც იმაზე, რომ ჩვენ შევძლებთ მტკიცედ დავადგეთ იმ გზას, რომელსაც მივყავართ პურის, ზ ა ვ ი ს ა და თავისუფლების მოპოვებისაკენ.

თუ ჩხეიძე, რომელიც კერენსკისთან ერთად პირველი დროებითი მთავრობის (13 პირისაგან შემდგარი სათათბიროს კომიტეტის) წევრი იყო, მეორე დროებითს მთავრობაში მართლაც ზემოაღნიშნულ ან მსგავსი ხასიათის პრინციპულ მოსაზრებათა გამო არ შევიდა, — მაშინ ეს მას პატივსა სდებს. ეს უნდა ითქვას პირდაპირ. სამწუხაროდ, ასეთი გაგება ეწინააღმდეგება სხვა ფაქტებს და უწინარეს ყოვლისა სკობელევის სიტყვას, სკობელევისა, რომელიც ყოველთვის ჩხეიძესთან ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა.

ზემოდასახელებულ წყაროს თუ დავუჯერებთ, სკობელევს უთქვამს, რომ «სოციალურ (? ცხადია, სოციალ-დემოკრატიულ) ჯგუფს და მუშებს მხოლოდ მცირეოდენი რამ საერთო (ოდნავი კონტაქტი) აქვთ დროებითი მთავრობის მიზნებთან», რომ მუშები ზავს მოითხოვენ და თუ ომი გაგრძელდა, გაზაფხულზე, სულერთია, კატასტროფა მაინც მოხდება, რომ «მუშებმა საზოგადოებასთან (ლიბერალურ საზოგადოებასთან) დადვეს დროებითი შეთანხმება (**eine vorläufige Waffenfreundschaft**), თუმცა მათი პოლიტიკური მიზნები ისე შორსაა საზოგადოების მიზნებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან», რომ «ლიბერალებმა ხელი უნდა აიღონ ომის უაზრო (**unsinnige**) მიზნებზეო» და სხვ.

ეს სიტყვა იმის ნიმუშია, რასაც ჩვენ ზემოთ, «სოციალ-დემოკრატიდან» მოყვანილ ციტატაში, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის «მერყეობა» ვუწოდეთ. ლიბერალებს, რომლებიც ლიბერალებად რჩებიან, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ «ხელი აიღონ» ომის «უაზრო» მიზნებზე; ეს იმიტომ, რომ, აქვე უნდა ითქვას, ამ მიზნებს განსაზღვრავენ არა მარტო ისინი, არამედ ინგლის-საფრანგეთის ფინანსური კაპიტალიც, მსოფლიოს ეს ყველაზე ძლიერი ძალა, რომელიც ასეული მილიარდებით განიზომება. საჭიროა არა ლიბერალე-

ბის «დაყოლიების ცდები», არამედ მუშებისათვის იმის გ ა ნ-მ ა რ ტ ე ბ ა, თუ რატომ მოემწყვდნენ ჩიხში ლიბერალები, რატომ არიან ი ს ი ნ ი ხელფეხშეკრულნი, რატომ უ მ ა ლ ა-კ ე ნ ისინი ხალხს როგორც ცარიზმის ხელშეკრულებებს ინგლისთან და სხვა, ისე ინგლის-საფრანგეთის კაპიტალთან რუსეთის კაპიტალის გარიგებებს და სხვა და ა. შ.

როდესაც სკობელევი ამბობს, მუშებმა ლიბერალურ საზოგადოებასთან დადვეს რაღაც შეთანხმებაო და ამავე დროს პროტესტს არ აცხადებს მის წინააღმდეგ, სათათბიროს ტრიბუნიდან არ განმარტავს მის მავნებლობას მუშებისათვის, ამით იგი ი წ ო ნ ე ბ ს ამ შეთანხმებას. ამის ჩადენა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

სკობელევის მიერ მუშათა დეპუტატების საბჭოსა და დროებითი მთავრობის შეთანხმების პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ცხადად თუ დუმილით გამოხატული მოწონება, — ეს არის სკობელევის გადახრა ბურჟუაზიისაკენ. სკობელევის განცხადება, რომ მუშები ზავს მოითხოვენ, რომ მათი მიზნები ისე შორსაა ლიბერალების მიზნებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგანო, — ეს არის სკობელევის გადახრა პროლეტარიატისაკენ.

თავისი მოსაზრებით წმინდა პროლეტარული, ჭეშმარიტად რევოლუციური და ფრიად მართებულია მეორე პოლიტიკური იდეა მუშათა დეპუტატების საბჭოს იმ მოწოდებისა, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობთ. ეს არის იდეა — შეიქმნას «მეთვალყურე კომიტეტი» (არ ვიცი, რუსულად სწორედ ასე ჰქვია თუ არა; თავისუფლად ვთარგმნი ფრანგულიდან), სახელდობრ, კომიტეტი პროლეტარებისა და ჯარისკაცების მეთვალყურეობისა დროებითი მთავრობის მიმართ.

აი, ეს ჩინებულია! აი, ეს შეეფერება იმ მუშებს, რომელნიც თავის სისხლს ღვრიდნენ ხალხისათვის თავისუფლების, ზავისა და პურის მოსაპოვებლად! აი, ეს არის რ ე ა ლ უ-რ ი ნ ა ბ ი ჯ ი რ ე ა ლ უ რ ი გ ა რ ა ნ ტ ი ე ბ ი ს გზაზე ცარიზმის წინააღმდეგაც, მონარქიის წინააღმდეგაც და მონარქისტ გუჩკოვ — ლვოვისა და კომპანიის წინააღმდეგაც! აი ეს

არის იმის ნიშანი, რომ რუსეთის პროლეტარიატი, ყველაფრის მიუხედავად, უფრო წინ წავიდა, ვიდრე 1848 წლის საფრანგეთის პროლეტარიატი, რომელიც ლუი ბლანს აძლევდა «რწმუნებას»! აი, ეს არის იმის დამამტკიცებელი, რომ პროლეტარული მასის ინსტინქტი და გონება არ სჯერდება დეკლამაციებს, წამოძახილებს, რეფორმათა და თავისუფლებათა დაპირებებს, «მუშათა რწმუნებით აღჭურვილი მინისტრის» სახელწოდებას და სხვა ამისთანა ზიზილ-პიპილებს; იგი ეძებს დასაყრდენს მ ხ ო ლ ო დ იქ, სადაც ის არის, — შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ხალხის მასებში, რომელთაც პროლეტარიატი, შეგნებული მუშები რაზმავენ და ხელმძღვანელობენ.

ეს არის ნაბიჯი სწორ გზაზე, მაგრამ მ ხ ო ლ ო დ პირველი ნაბიჯი.

თუ ეს «მეთვალყურე კომიტეტი» წმინდა პარლამენტური, მხოლოდ პოლიტიკური ტიპის დაწესებულებად, ე. ი. ისეთ კომისიად დარჩა, რომელიც დროებითს მთავრობას «შეკითხვებს მისცემს» და მისგან პასუხს მიიღებს ხოლმე, მაშინ იგი უბრალო სათამაშო და არარაობა იქნება.

ხოლო თუ ამას მოჰყვა, დაუყოვნებლივ და რადაც უნდა დაჯდეს, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო, ნამდვილად ყველა მამაკაცისა და ყველა ქალის გამაერთიანებელი მ უ შ ა თ ა მ ი ლ ი ც ი ი ს ან მ უ შ ა თ ა ლ ა შ ქ რ ი ს შექმნა, რომელიც არათუ შეცვლიდა გაქლეტილ და გადაყენებულ პოლიციას, არათუ შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ს გახდიდა მის აღდგენას რ ო გ ო რ ი ც გ ნ ე ბ ა ვ თ მონარქისტულ-კონსტიტუციური თუ დემოკრატიულ-რესპუბლიკური მთავრობის მიერ პ ი ტ ე რ შ ი ან ს ა დ მ ე რუსეთში, — მაშინ რუსეთის მოწინავე მუშები მართლაც დგებიან ახალ და დიად გამარჯვებათა გზაზე, იმ გზაზე, რომელსაც მივყავართ ომზე გამარჯვებისაკენ, იმ ლოზუნგის ნამდვილად განხორციელებისაკენ, რომელიც, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, პიტერში, სახელმწიფო სათათბიროს წინ, მოედანზე სადემონსტრაციოდ გამოსულ ცხენოსანი ჯარის დროშას ამშვენებდა:

«გაუმარჯოს ყველა ქვეყნის სოციალისტურ რესპუბლიკებს!»

ჩემს მოსაზრებებს ამ მუშათა ლაშქრის შესახებ შემდგომ წერილში გადმოვცემ.

იქ მე შევეცდები ცხადვყო, ერთი მხრივ, ის, რომ სწორედ საყოველთაო-სახალხო, მუშათა ხელმძღვანელობით მოქმედი ლაშქრის შექმნა მართებული სადღეისო ლოზუნგია და სავსებით შეეფერება იმ თავისებური გარდამავალი მომენტის ტაქტიკურ ამოცანებს, რომელსაც ახლა რუსეთის რევოლუცია (და მსოფლიო რევოლუცია) განიცდის; მეორე მხრივ კი ცხადვყო, რომ ამ მუშათა ლაშქრის წარმატებისათვის საჭიროა იგი იყოს, ჯერ-ერთი, საყოველთაო-სახალხო, იმდენად მასობრივი, რომ თითქმის საყოველთაო ხასიათი ჰქონდეს, ნამდვილად მოიცვას ორივე სქესის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა; მეორეც, მან არა მარტო წმინდა პოლიციური, არამედ საერთოსახელმწიფოებრივი ფუნქციებიც თანდათან უნდა შეაერთოს სამხედრო ფუნქციებთან და პროდუქტთა საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კონტროლთან.

ნ. ლენინი

ციურიხი, 1917 წ. 22 (9) მარტი.

P. S *. დამავიწყდა წინა წერილი 20 (7) მარტით დამეთარიღებინა.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალ «ბოლშევიკში» № 3—4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

წერილები შორიდან

წერილი მესამე

პროლეტარული მილიციის შესახებ

ის დასკვნა, რომელიც მე გუშინ გამოვიტანე ჩხეიძის მერყევი ტაქტიკის შესახებ, სავსებით დადასტურდა დღეს, 10 (23) მარტს, ორი დოკუმენტით. პირველი დოკუმენტია — «ფრანკფურტის გაზეთისათვის» [116] სტოკჰოლმიდან ტელეგრაფით გადმოცემული ერთი ადგილი ჩვენი პარტიის — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის — ცენტრალური კომიტეტის მანიფესტისა, რომელიც პიტერში გამოუციათ. ამ დოკუმენტში არ მოიპოვება არც ერთი სიტყვა არც გუჩკოვის მთავრობისათვის მხარის დაჭერის, არც მისი დამხობის შესახებ; მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდებენ მუშათა დეპუტატების საბჭოს გარშემო დარაზმვისაკენ, საბჭოში წარმომადგენლების არჩევისაკენ, რათა იბრძოლონ ცარიზმის წინააღმდეგ რესპუბლიკისათვის, 8 საათიანი სამუშაო დღისათვის, მემამულეთა მიწების და პურის მარაგის კონფისკაციისა და, რაც მთავარია, მძარცველური ომის შეწყვეტისათვის. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით სადღეისოა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ის სავსებით მართებული აზრი, რომ ზავისათვის აუცილებლად საჭიროა ურთიერთობის დამყარება ყველა მეომარი ქვეყნის პროლეტარებთან.

ბურჟუაზიულ მთავრობათა მოლაპარაკებიდან და ურთიერთობიდან ზავის მოლოდინი თავის მოტყუება და ხალხის მოტყუება იქნებოდა.

მეორე დოკუმენტი — ესაა სტოკჰოლმიდან აგრეთვე ტელეგრაფით მეორე გერმანული გაზეთისათვის («ფოსის გაზეთი» [117]) მოწოდებული ცნობა იმაზე, რომ სათათბიროს ჩხეიძის ფრაქციას 2 (15) მარტს თათბირი გაუმართავს შრომის ჯგუფთან (? **Ardeiterfraction**) და მუშათა 15 კავშირის წარმომადგენლებთან და მეორე დღეს გამოუქვეყნებიათ მოწოდება. ამ მოწოდების 11 მუხლიდან ტელეგრაფი მხოლოდ სამს გადმოსცემს: პირველი — რესპუბლიკის მოთხოვნა, მეშვიდე — ზავისა და საზავო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყების მოთხოვნა და მესამე, რომელიც მოითხოვს «მთავრობაში რუსეთის მუშათა კლასის წარმომადგენელთა საკმაო მონაწილეობას».

თუ ეს მუხლი სწორადაა გადმოცემული, მაშინ მე კარგად ძესმის, თუ რატომ აქებს ბურჟუაზია ჩხეიძეს. მესმის, თუ რატომ მიემატა «**Times**»-ში («ტაიმზში») * მოთავსებულ ინგლისელ გუჩკოველთა ჩემ მიერ ზემომოყვანილ ქებას ფრანგი გუჩკოველების მხრივ ქება «**Le Temps**»-ში ** საფრანგეთის მილიონერთა და იმპერიალისტთა ეს გაზეთი 22 მარტს წერს: «მუშათა პარტიების ბელადები, განსაკუთრებით ბ-ნი ჩხეიძე, მთელ თავიანთ გავლენას ხმარობენ, რათა მუშათა კლასების სურვილები შეანელონ».

მართლაცდა, გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობაში მუშათა «მონაწილეობის» მოთხოვნა თეორიულად და პოლიტიკურად უაზრობაა: თუ მონაწილეობას მიიღებ, როგორც უმცირესობა, სხვისი მაჩანჩალა იქნები; «თანაბარი» მონაწილეობაც შეუძლებელია, რადგან არ შეიძლება ომის განგრძობის მოთხოვნა შეარიგო დროებითი ზავის დადებისა და საზავო

*

ბოლაპარაკების დაწყების მოთხოვნასთან; ხოლო თუ გინდა, რომ «მონაწილეობდე» როგორც უმრავლესობა, ძალა უნდა შეგწევდეს გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობის დასამ-ხობად. «მონაწილეობის» მოთხოვნა — პრაქტიკაში უცუ-დესი სახის ლუიბლანელობაა, ე. ი. კლასობრივი ბრძოლისა და მისი რეალური ვითარების დავიწყება, ცარიელი მყვირალა ფრაზით გატაცება, მუშებში ილუზიების გავრცელებაა; ეს არის მილიუკოვთან ან კერენსკისთან მოლაპარაკებაში ძვირფასი დროის დაკარგვა, იმ დროისა, რომელიც უნდა მოვახმაროთ ნამდვილი კლასობრივი და რევოლუციური ძალის, პროლეტარული მილიციის შექმნას. მხოლოდ ასეთი მილიცია მოიპოვებს ნდობას მოსახლეობის **ყველა** ულარიბეს ფენაში, რომლებიც ამ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ; იგი დაეხმარება მათ დარაზმვაში, დაეხმარება **მათ** პურისა, ზავისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ჩხეიძისა და მისი ჯგუფის მოწოდების ეს შეცდომა (მე არას ვამბობ ო. კ-ის, ორგანიზაციული კომიტეტის პარტიაზე, ვინაიდან ჩემთვის ხელმისაწვდომ წყაროებში ორგანიზაციული კომიტეტის შესახებ კრინტიც არ არის დაძრული) — ეს შეცდომა მით უფრო უცნაურია, რომ 2 (15) მარტის თათბირზე ჩხეიძის უახლოეს თანამოაზრეს, სკობელევს, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შემდეგი უთქვამს: «რუსეთი მეორე, ნამდვილი (**wirklich**, სიტყვასიტყვით: ნამდვილი) რევოლუციის წინაშე დგასო».

აი, ეს კი მართალია. მაგრამ ამ სიმართლიდან პრაქტიკული დასკვნების გამოტანა სკობელევსა და ჩხეიძეს დავიწყებიათ. მე არ შემიძლია განვსაჯო აქ, ამ წყეული სიშორიდან, თუ რამდენად ახლოა ეს მეორე რევოლუცია. სკობელევი იქ, ადგილობრივ, ამას უფრო კარგად ხედავს. ამიტომ მე არ ვაყენებ ისეთ საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს კონკრეტული მასალები. მე მხოლოდ ხაზს ვუსვამ იმას, რომ «გარეშე მოწმემ», ე. ი. სკობელევმა, რომელიც ჩვენს პარტიას არ ეკუთვნის, დაადასტურა ის

ფ ა ქ ტ ი უ რ ი დასკვნა, რაც მე გამოვიტანე პირველ წერილში, სახელდობრ: თებერვალ-მარტის რევოლუცია მხოლოდ პ ი რ ვ ე ლ ი ე ტ ა პ ი იყო რევოლუციისა. რუსეთი განიცდის რევოლუციის შემდგომ ეტაპზე ან, სკობელევის სიტყვით რომ ვთქვათ, «მეორე რევოლუციაზე» გ ა დ ა ს ვ ლ ი ს თავისებურ ისტორიულ მომენტს.

თუ გვსურს მარქსისტები ვიყვნეთ და მთელი მსოფლიოს რევოლუციათა გამოცდილებით ვისწავლოთ, ჩვენ უნდა შევეცადოთ გავიგოთ, სახელდობრ რაშია ამ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი მომენტის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა და რანაირი ტაქტიკა გამომდინარეობს მის ობიექტურ თავისებურებათაგან.

ვითარების თავისებურება ისაა, რომ გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობამ პირველი გამარჯვება არაჩვეულებრივად ადვილად მოიპოვა შემდეგი სამი უმთავრესი გარემოების გამო: 1) ინგლის-საფრანგეთის ფინანსური კაპიტალისა და მისი აგენტების დახმარება; 2) არმიის ზედაფენების ნაწილის დახმარება; 3) მთელი რუსეთის ბურჟუაზიის მზამზარეული ორგანიზაცია საერობო და საქალაქო დაწესებულებებში, სახელმწიფო სათათბიროში, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში და სხვ.

გუჩკოვის მთავრობა მუხრუჭებშია ჩაჭედილი: კაპიტალის ინტერესებით შებორკილი, იგი იძულებულია ცდილობდეს განაგრძოს მძარცველური, უაჩაღური ომი, დაიცვას კაპიტალისა და მემამულეთა უზარმაზარი მოგებანი, ეცადოს მონარქიის აღდგენას. იგი შებორკილია თავისი რევოლუციური წარმოშობით და ცარიზმიდან დემოკრატიაზე მკვეთრი გადასვლის აუცილებლობით; მასზე ზეგავლენას ახდენენ დამშეული მასები, რომელნიც ზავს მოითხოვენ; ამიტომ მთავრობა იძულებულია იცრუოს, იტრიალოს, დრო მოიგოს, რაც შეიძლება მეტი «გამოაცხადოს» და დაპირდეს (დაპირება — ერთადერთი რამაა, რაც გაშმაგებული სიძვირის ხანაშიც კი ძალიან იაფია), რაც შეიძლება ნაკლებად შეასრულოს დანაპირები, ერთი ხელით გასცეს დათმობანი, მეორეთი კი — წაართვას ისინი.

განსაზღვრულ გარემოებაში, მისთვის საუკეთესო შემთხვევაში, ახალ მთავრობას შეუძლია რამდენიმე ხნით დააყოვნოს კრახი, თუ კი იგი დაეყრდნობა მთელი რუსეთის ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მთელ ორგანიზატორულ უნარს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი მას არ ძალუძს კრახის თავიდან აცილება, რადგან **შეუძლებელია** თავი დააღწიოთ მსოფლიო კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი იმპერიალისტური ომისა და შიმშილის საშინელი მაჯლაჯუნას ბრჭყალებს, თუ ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგი არ დასტოვეთ, თუ რევოლუციური ღონისძიებანი არ გამოიყენეთ. თუ რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის უდიდეს ისტორიულ გმირობას არ მიმართეთ.

აქედან დასკვნა: ჩვენ ვერ შევძლებთ ერთი დარტყმით ჩამოვაგდოთ ახალი მთავრობა, ანდა, თუ ამას შევძლებთ (რევოლუციურ ხანებში შესაძლებელის ფარგლები ერთიათასად ფართოვდება), ჩვენ ვერ მოვახერხებთ ხელისუფლების შენარჩუნებას ისე, თუ მთელი რუსეთის ბურჟუაზიისა და მთელი ბურჟუაზიული ინტელიგენციის მშვენიერ ორგანიზაციას არ დავუპირისპირეთ ასევე მშვენიერი ორგანიზაცია პროლეტარიატისა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ქალაქისა და სოფლის ღარიბთა, ნახევრადპროლეტარიატისა და წვრილ მეპატრონეთა მთელ უზარმაზარ მასას.

სულერთია, უკვე იფეთქა პიტერში «მეორე რევოლუციამ» (მე ვთქვი, რომ სრული უაზრობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, თითქოს შეიძლებოდეს საზღვარგარეთიდან გავითვალისწინოთ, თუ როგორია მისი მომწიფების კონკრეტული ტემპი), თუ იგი რამდენიმე ხნით გადადებულია, ან კიდევ უკვე დაწყებულია რუსეთის ზოგიერთ ცალკე ნაწილში (ამის ერთგვარი ნიშნები, როგორც ჩანს, არსებობს), — ყოველ შემთხვევაში ახალი რევოლუციის წინა დღესაც, მის დროსაც და მის მეორე დღესაც მომენტის ლოზუნგი უნდა იყოს პროლეტარული ორგანიზაცია.

ამხანაგო მუშებო! თქვენ გამოიჩინეთ სასწაულებრივი პროლეტარული გმირობა გუშინ, როდესაც მეფის მონარქიას ამხობდით. თქვენ ასე თუ ისე ახლო მომავალში აუცილებლად ეგიზდებათ (შეიძლება გიხდებათ უკვე ახლა, როდესაც მე ამ სტრიქონებს ვწერ) კვლავ გამოიჩინოთ ასეთივე სასწაულებრივი გმირობა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დასამხობად, რომელნიც იმპერიალისტურ ომს აწარმოებენ. თქვენ ვერ შესძლებთ მ ტ კ ი ც ე გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ა ს ამ შემდგომს, «ნამდვილ» რევოლუციაში, თუ არ გამოიჩინეთ ს ა ს წ ა უ ლ ე ბ რ ი ვ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი დ ა რ ა ზ მ უ ლ ო ბ ა!

მომენტის ლოზუნგია — ორგანიზაცია. მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილება თავისთავად სრულიად არაფერს ნიშნავს, რადგან, ერთი მხრივ, ორგანიზაცია ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს საჭიროა, მაშასადამე, მარტო იმის აუცილებლობაზე მითითება, რომ საჭიროა «მასების ორგანიზაცია», ჯერ კიდევ სრულიად ვერაფერს განმარტავს; მეორე მხრივ კი, ვინც მარტო ამით დაკმაყოფილდება, ის ლიბერალების უბრალო მაჩანჩალა იქნება, რადგან ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ს, თავისი ბატონობის განსამტკიცებლად, **სწორედ** სურთ, რომ მუშები ა რ გ ა ს ც ი ლ დ ნ ე ნ («ნორმალური» ბურჟუაზიული საზოგადოების თვალსაზრისით), **ჩვეულებრივ**, «ლეგალურ» ორგანიზაციებს, ე. ი. სურთ, რომ მუშები მ ხ ო ლ ო დ ჩაეწერონ თავის პარტიაში, თავის პროფესიულ კავშირში, თავის კოოპერატივში და სხვ. და სხვ.

მუშები თავისი კლასობრივი ინსტინქტით მიხვდნენ, რომ რევოლუციურ ხანაში მათ სჭირდებათ სულ სხვანაირი ორგანიზაცია, ა რ ა მ ა რ ტ ო ჩვეულებრივი ორგანიზაცია. ისინი მართებულად დაადგნენ ჩვენი 1905 წლის რევოლუციისა და 1871 წლის პარიზის კომუნის გამოცდილებით ნაჩვენებ გზას; მათ შექმნეს მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო, ისინი შეუდგნენ მის განვითარებას, გაფართოებას, განმტკიცებას ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დეპუტატების და, უეჭველია, აგრეთვე სოფლის დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მუშათა დეპუტატების,

შემდეგ კი (ამა თუ იმ ფორმით) მთელი ღარიბი გლეხობის დეპუტატების მიზიდვით.

ამგვარი ორგანიზაციების შექმნა რუსეთის გამოუკლებლივ ყველა კუთხეში, პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მოსახლეობის უკლებლივ ყველა პროფესიისა და ფენისათვის, ე. ი. ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთათვის, თუ ეხმართ ეკონომიურად უფრო ნაკლებად ზუსტს, მაგრამ უფრო პოპულარულ გამოთქმას, — აი, ასეთია უპირველესი მნიშვნელობის გადაუდებელი ამოცანა. ცოტა წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ მთელ გლეხთა მასას ჩვენმა პარტიამ (ახალი ტიპის პროლეტარულ ორგანიზაციებში მისი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი როლის შესახებ იმედი მაქვს გესაუბროთ ერთ-ერთ შემდგომ წერილში) განსაკუთრებით უნდა ურჩიოს შექმნას დაქირავებულ მუშათა ც ა ლ კ ე საბჭოები და შემ-დეგ — შ ე ძ ლ ე ბ უ ლ გლეხთა წრიდან გამოსულ იმ წვრილ მიწათმოქმედთა ცალკე საბჭოები, რომელნიც პურს არ ყიდი-ნ: თუ ეს პირობა არა, ისე არ შეიძლება არც ჭეშმარიტად პროლეტარული პოლიტიკის წარმოება, საზოგადოდ რომ ითქვას *, არც მართებულად მიდგომა მილიონობით ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული საკითხისადმი: პ ურ ი ს მართებულად განაწილებისადმი, მისი წარმოების გადიდებისადმი და სხვ.

მაგრამ კითხვა ისმება, რა უნდა აკეთონ მუშათა დეპუტატების საბჭოებმა? ისინი «განხილულ უნდა იქნან, როგორც აჯანყების ორგანოები, როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები», ვწერდით ჩვენ ჟენევის «სოციალ-დემოკრატის» 47-ე ნომერში 1915 წლის 13 ოქტომბერს **.

---

* სოფლად ახლა გაჩაღდება ბრძოლა წვრილი და ნაწილობრივ საშუალო გლეხობისათვის. მემამულენი, შეძლებულ გლეხებზე დაყრდნობით, შეეცდებიან ის ბურჟუაზიას დაუმორჩილონ. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ სოფლის დაქირავებულ მუშებსა და ღარიბ გლეხებს და უაღრესად მტკიცედ დავუკავშიროთ ის ქალაქის პროლეტარიატს.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 491. რ ე დ.

ეს თეორიული დებულება, რომელიც გამოყვანილია 1871 წ. კომუნისა და 1905 წლის რუსეთის რევოლუციის გამოცდილებიდან, განმარტებულ და უფრო კონკრეტულად განვითარებულ უნდა იქნეს რუსეთის სწორედ მიმდინარე რევოლუციის სწორედ ახლანდელი ეტაპის პრაქტიკულ მითითებათა საფუძველზე.

ჩვენ გვესაჭიროება რევოლუციური ძალაუფლება. ჩვენ გვესაჭიროება (განსაზღვრული გარდამავალი პერიოდისათვის) სახელმწიფო. ამით განვსხვავდებით ჩვენ ანარქისტებისაგან. რევოლუციურ მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის განსხვავება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ პირველნი მომხრენი არიან ცენტრალიზებული, მსხვილი, კომუნისტური წარმოებისა, ხოლო მეორენი — დაქუცმაცებული, წვრილი წარმოებისა. არა, განსხვავება სწორედ ძალაუფლების, სახელმწიფოს საკითხში ის არის, რომ ჩვენ მომხრენი ვართ სოციალიზმისათვის ბრძოლაში სახელმწიფოს რევოლუციური ფორმების რევოლუციური გამოყენებისა, ანარქისტები კი ამის წინააღმდეგნი არიან.

ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება არა ისეთი სახელმწიფო, რანაირიც ის ბურჟუაზიას შეუქმნია ყველგან, დაწყებული კონსტიტუციური მონარქიებით და დამთავრებული ფრიად დემოკრატიული რესპუბლიკებით. და ამით განვსხვავდებით ჩვენ ძველი, გახრწნის გზაზე დამდგარი სოციალისტური პარტიების ოპორტუნისტებისა და კაუცკელებისაგან, რომლებმაც დაამახინჯეს ან დაივიწყეს პარიზის კომუნის გაკვეთილები და ამ გაკვეთილების ანალიზი მარქსისა და ენგელსის მიერ *.

* ერთ-ერთ შემდგომ წერილში ან ცალკე სტატიაში მე დაწვრილებით შევჩერდები ამ ანალიზზე, რომელიც მოცემულია, კერძოდ, მარქსის წიგნში — «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», ენგელსის წინასიტყვაობაში ამ თხზულების მე-3 გამოცემისათვის და მარქსის 1871 წლის 12 აპრილისა და ენგელსის 1875 წლის 18 — 28 მარტის წერილებში. მე შევეხები აგრეთვე მარქსიზმის სრულ დამახინჯებას კაუცკის მიერ ამ პოლემიკის დროს, რომელიც ამ უკანასკნელს ჰქონდა 1912 წელს პანეკუკთან ეგრეთწოდებულ «სახელმწიფოს დამსხვრევის» საკითხზე [118].

ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფო, მაგრამ **არა** ისეთი, როგორიც ესაჭიროება ბურჟუაზიას, არა ისეთი, სადაც ხელისუფლების ორგანოები პოლიციის, არმიის, ბიუროკრატიის (მოხელეთა) სახით ხალხისაგან ჩამოცილებულნი და ხალხისადმი დაპირისპირებულნი არიან. ყველა ბურჟუაზიული რევოლუცია მხოლოდ აუმჯობესებდა **ამ** სახელმწიფო მანქანას, მხოლოდ გადასცემდა **მას** ერთი პარტიის ხელიდან მეორე პარტიის ხელში.

პროლეტარიატმა კი, თუ მას სურს დაიცვას ახლანდელი რევოლუციის მონაპოვარი და გასწიოს წინ, თუ მას სურს მოიპოვოს ზავი, პური და თავისუფლება, უნდა **«დაამსხვრიოს»**, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს **«მზამზარეული»** სახელმწიფო მანქანა და შეცვალოს იგი ახალით, შ ე ა დ უ ღ ო ს პოლიცია, არმია და ბიუროკრატია ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ შ ე ი ა რ ა ღ ებ უ ლ ხ ა ლ ხ თ ა ნ. 1871 წლის პარიზის კომუნისა და 1905 წლის რუსეთის რევოლუციის გამოცდილებით ნაჩვენები გზით მიმავალმა პროლეტარიატმა უნდა დარაზმოს და შეაიარაღოს მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა ზ ო ლ ა რ ი ბ ე ს ი, ექსპლოატირებული ნაწილი იმისათვის, რომ მათ უშუალოდ თ ვ ი თ ო ნ აიღონ ხელში სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოები, თ ვ ი თ ო ნ ვ ე შ ე ა დ გ ი ნ ო ნ ამ ძალაუფლების დაწესებულებანი.

და რუსეთის მუშები უკვე პირველი რევოლუციის პირველი ეტაპის დროსვე, 1917 წლის თებერვალ-მარტში, დ ა ა დ გ ნ ე ნ ამ გზას. მთელი ამოცანა ახლა ის არის, რომ ნათლად გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს ეს ახალი გზა, გაბედულად, მტკიცედ და მედგრად ვიაროთ წინ ამ გზით.

ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთის კაპიტალისტებს სურდათ «მხოლოდ» გადაეყენებინათ ან «ცოტა შეეშინებინათ» კიდეც ნიკოლოზ II და ხელუხლებლად დაეტოვებინათ ძველი სახელმწიფო მანქანა, პოლიცია, არმია, მოხელეობა.

მუშები უფრო შორს წავიდნენ და ეს მანქანა დაამსხვრიეს. და ახლა არა მარტო ინგლის-საფრანგეთის, არამედ გერმანიის კაპიტალისტებიც სიბრაზისა და შიშისაგან ღ მ უ ი ა ნ,

როდესაც ხედავენ, მაგალითად, იმას, თუ როგორ დახვრიტეს რუსეთის ჯარისკაცებმა თავიანთი ოფიცრები, თუნდაც თვით გუჩკოვისა და მილიუკოვის მომხრე ადმირალი ნეპენინი.

მე ვთქვი, რომ მუშებმა დაამსხვრიეს ის, ძველი სახელმწიფო მანქანა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: მათ დაიწყეს მისი დამსხვრევა.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითი.

პოლიციელები პიტერსა და ბევრ სხვა ადგილას ნაწილობრივ დახოცეს, ნაწილობრივ გადააყენეს. გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა ვერ შეძლებს ვერც მონარქიის აღდგენას, ვერც საერთოდ ხელისუფლების შენარჩუნებას, თუ არ აღადგინა პოლიცია, როგორც ბურჟუაზიის მბრძანებლობაში მყოფ შეიარაღებულ პირთა განსაკუთრებული, ხალხისაგან ჩამოცილებული და ხალხისადმი დაპირისპირებული ორგანიზაცია. ეს ისე ნათელია, როგორც ნათელია ნათელი დღე.

მეორე მხრივ, ახალი მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს რევოლუციურ ხალხს, კვებოს იგი ნახევრული დათმობებითა და დაპირებებით, იძულებულია დრო გააჭიანუროს. ამიტომ იგი თანხმდება ნახევრულ ზომას: იგი აარსებს «სახალხო მილიციას», რომელსაც არჩეული უფროსები ეყოლება (ეს ჟღერს ფრიად ლაზათიანად! ფრიად დემოკრატიულად, რევოლუციურად და ლამაზად!) — **მაგრამ... მაგრამ,** ჯერ-ერთი, იგი მას საერობო და საქალაქო თვითმმართველობათა კონტროლქვეშ აყენებს, მათ უმორჩილებს, ე. ი. იმ მემამულეთა და კაპიტალისტთა განკარგულებაში გადასცემს, რომელნიც არჩეული არიან ნიკოლოზ სისხლიანისა და სტოლიპინ-ჩამომხრჩობის კანონთა მიხედვით!! მეორეც, უწოდებს რა მილიციას «სახალხოს», რათა «ხალხს» თვალი აუხვიოს, ნამდვილად იგი არ მოუწოდებს ხალხს საყოველთაოდ ჩაებას ამ მილიციაში და აარ ავალდებულებს მეპატრონეებსა და კაპიტალისტებს გადაუხადონ მოსამსახურეებსა და მუშებს ჩვეულებრივი ხელფასი იმ საათებისა და დღეებისათვის, რომელთაც ისინი ახმარენ აზოგადოებრივ სამსახურს, ე. ი. მილიციას.

აი, სად მარხია ძაღლის თავი. აი, რა გზით აღწევს გუჩკოვებისა და მილიუკოვების მემამულური და კაპიტალისტური მთავრობა იმას, რომ «სახალხო მილიცია» ქაღალდზე რჩება, ნამდვილად კი ნელ-ნელა და ჩუმ-ჩუმად აღადგენენ ხალხის საწინააღმდეგო, ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ მილიციას, რომელიც ჯერჯერობით «8 000 სტუდენტისა და პროფესორისაგან» შედგება (ასე აგვიწერენ საზღვარგარეთული გაზეთები პიტერის ახლანდელ მილიციას) — ეს აშკარა სათამაშოა! — მაგრამ შემდეგ თანდათანობით ძველი და ახალი პ ო ლ ი ც ი ი თ ი შეივსება.

ნუ მისცემთ პოლიციის აღდგენის ნებას! ნუ გაუშვებთ ხელიდან ადგილობრივ ძალაუფლებას! შეადგინეთ ნამდვილად საერთო სახალხო, საყოველთაო მილიცია, რომელსაც პროლეტარიატი უხელმძღვანელებს! — აი, რა არის სადღეისო ამოცანა, აი, რა არის მომენტის ლოზუნგი; იგი თანაბრად უპასუხებს შემდგომი კლასობრივი ბრძოლის, შემდგომი რევოლუციური მოძრაობის მართებულად გაგებულ ინტერესებსაც და ყოველი მუშის, ყოველი გლეხის, ყოველი მშრომელი და ექსპლოატირებული ადამიანის დემოკრატიულ ინსტინქტსაც, ადამიანისა, რომელსაც არ შეიძლება არ სძულდეს პოლიცია, ჩაფრები, ურიადნიკები, მემამულეთა და კაპიტალისტთა მბრძანებლობა იმ შეიარაღებული ადამიანების მიმართ, რომლებსაც ხალხზე ბატონობის უფლება ეძლევათ.

რანაირი პოლიცია ესაჭიროებათ მ ა თ, გუჩკოვებსა და მილიუკოვებს, მემამულეებსა და კაპიტალისტებს? ისეთივე, როგორიც მეფის მონარქიის დროს არსებობდა. მსოფლიოს ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ფრიად ხანმოკლე რევოლუციური პერიოდების შემდეგ, შექმნა ან აღადგინა ს წ ო რ ე დ ა ს ე თ ი პოლიცია, განსაკუთრებული ორგანიზაცია ხალხისაგან ჩამოცილებული და ხალხისადმი დაპირისპირებული შეიარაღებული ადამიანებისა, რომელნიც, ასე თუ ისე, ბურჟუაზიას ემორჩილებიან.

რანაირი მილიცია გვესაჭიროება ჩვენ, პროლეტარიატს, ყველა მშრომელთ? ნამდვილად ს ა ხ ა ლ ხ ო, ე. ი., ჯერ-ერთი, იგი უნდა შედგებოდეს გ ა მ ო უ კ ლ ე ბ ლ ი ვ მთელი მოსახლეობისაგან, ო რ ი ვ ე სქესის ყველა მოზრდილ მოქალაქეთაგან; ხოლო, მეორეც, იგი სახალხო არმიის ფუნქციებს უნდა აერთებდეს პოლიციის ფუნქციებთან, სახელმწიფო წესრიგისა და სახელმწიფო მმართველობის მთავარი და ძირითადი ორგანოს ფუნქციებთან.

იმისათვის, რომ უფრო ნათელვყო ეს დებულებანი, ავიღებ წმინდა სქემატურ მაგალითს. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პროლეტარული მილიციის რაიმე «გეგმის» შედგენაზე ფიქრი უაზრობა იქნებოდა: როდესაც მუშები და მთელი ხალხი, როგორც ნამდვილი მასა, პრაქტიკულად ხელს მოჰკიდებენ საქმეს, ისინი ასკეც უკეთესად დაამუშავებენ და მოაწყობენ მას, ვიდრე რომელიც გნებავთ თეორეტიკოსები. მე «გეგმას» როდი გაწვდით, მე მინდა მხოლოდ დავასურათო ჩემი აზრი.

პიტერში დაახლოებით 2 მილიონი მოსახლეა. მათგან ნახევარზე მეტი 15 — 65 წლისანი არიან. ავიღოთ ნახევარი — 1 მილიონი. გამოვაკლოთ თუნდაც ერთი მეოთხედი ავადმყოფნი და სხვანი, რომელნიც საპატიო მიზეზების გამო ამჟამად საზოგადოებრივ სამსახურს არ ეწევიან; რჩება 750 000 კაცი, რომელნიც იმუშავებდნენ მილიციაში, ვთქვათ, 15 დღეში 1 დღეს (და მეპატრონეთაგან კვლავ მიიღებდნენ ამ დღის ხელფასს) და შეადგენდნენ 50 000-კაციან არმიას.

აი, რ ა ნ ა ი რ ი ტ ი პ ი ს «სახელმწიფო» გვესაჭიროება ჩვენ!

აი, რანაირი მილიცია იქნებოდა ნამდვილად, და არა მარტო სიტყვით, — «სახალხო მილიცია».

აი, რა გზით უნდა ვიაროთ ჩვენ იქითკენ, რომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ი ყ ო ს განსაკუთრებული მილიციის და ხალხისაგან გამოთიშული განსაკუთრებული არმიის აღდგენა.

ასეთ მილიციაში 100-დან 95 იქნებოდა მუშა და გლეხი და იგი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გამოხატავდა ხალხის უდიდესი უმრავლესობის აზრსა და ნებისყოფას, ძალასა და ძალა-

უფლებას. ასეთი მილიცია მართლაც უკლებლივ მთელ ხალხს შეაიარაღებდა და შეასწავლიდა სამხედრო საქმეს; იგი გუჩკოვისებურად და მილიუკოვისებურად კ ი ა რ უზრუნველგვყოფს რეაქციის აღდგენის ყოველგვარი ცდებისაგან, მეფის აგენტების ათასგვარი ხრიკებისაგან. ასეთი მილიცია იქნება «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების» აღმასრულებელი ორგანო, მას ექნება მოსახლეობის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი პატივისცემა და ნდობა, ვინაიდან თვითონ იგი იქნება გამოუკლებლივ მთელი მოსახლეობის ორგანიზაცია. ასეთი მილიცია გადააქცევდა დემოკრატიას, — რომელიც ახლა მხოლოდ ლამაზ აბრას წარმოადგენს, მალავს რა ხალხის დამონებას კაპიტალისტების მიერ და მათ მიერ ხალხის აბუჩად აგდებას, — გადააქცევდა დემოკრატიას მ ა ს ე ბ ი ს ნამდვილ ა ღ ზ რ დ ა დ, რათა ამ მასებმა მონაწილეობა მიიღონ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ასეთი მილიცია პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაითრევდა მოზარდებს, გაწვრთნიდა მათ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, მ უ შ ა ო ბ ი თ. ასეთი მილიცია განავითარებდა იმ ფუნქციებს, რომელნიც, მეცნიერული ენით რომ ვილაპარაკოთ, მიეკუთვნებიან «კეთილდღეობის პოლიციის» გამგებლობას, განავითარებდა სანიტარულ ზედამხედველობას და სხვა, ჩააბამდა რა ამგვარ საქმეებში უკლებლივ ყველა მოზრდილ ქალს. ხოლო თუ ქალები არ ჩავაბით საზოგადოებრივ მუშაობაში, მილიციაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ ქალები არ გამოვგლიჯეთ ოჯახისა და სამზარეულოს გარემოს, რომელიც მათ გონებას უხშობს, ისე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ნამდვილი თავისუფლების უზრუნველყოფა, შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა თვით დემოკრატიის შენება, სოციალიზმზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ასეთი მილიცია პროლეტარული მილიცია იქნებოდა, რადგან სამრეწველო და ქალაქის მუშები მასში ისევე ბუნებრივად და აუცილებლად მოიპოვებდნენ ხელმძღვანელ გავლენას ღარიბთა მასაზე, როგორადაც ბუნებრივად და აუცილებლად მოიპოვეს მათ ხელმძღვანელი ადგილი ხალხის

მთელ რევოლუციურ ბრძოლაში 1905—1907 წლებშიც და 1917 წელსაც.

ასეთი მილიცია უზრუნველყოფს აბსოლუტურ წესრიგს და ამხანაგურ დისციპლინას, რომელსაც თავდადებით დაიცავენ. ამავე დროს კი იგი მძიმე კრიზისის ხანაში, რომელსაც ამჟამად ყველა მეომარი ქვეყანა განიცდის, საშუალებას მოგვცემს მართლაც დემოკრატიულად ვებრძოლოთ ამ კრიზისს, მართებულად და სწრაფად განვახორციელოთ პურისა და სხვა სურსათის განაწილება, ცხოვრებაში გავატაროთ «საყოველთაო შრომითი ბეგარა», რომელსაც ფრანგები ახლა «სამოქალაქო მობილიზაციას», ხოლო გერმანელები «სამოქალაქო სამსახურის ვალდებულებას» უწოდებენ და ურომლისოდაც შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა — დიახ, ა ღ მ ო ჩ ნ დ ა რ ო მ შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა, — იმ ჭრილობების მოშუშება, **ყაჩაღურმა** და საზარელმა ომმა რომ მოგვაყენა და ახლაც გვაყენებს.

ნუთუ რუსეთის პროლეტარიატი მხოლოდ იმისთვის ღვრიდა სისხლს, რომ მარტოოდენ პოლიტიკურ დემოკრატიულ რეფორმათა საზეიმო დაპირებანი მიეღო? ნუთუ იგი არ მოითხოვს და არ მიაღწევს იმას, რომ ყ ო ვ ე ლ მ ა მშრომელმა ა ხ ლ ა ვ ე დაინახოს და იგრძნოს თავისი ცხოვრების გარკვეული გაუმჯობესება? რომ ყოველ ოჯახს ჰქონდეს პური? რომ ყოველ ბავშვს ჰქონდეს ერთი ბოთლი კარგი რძე და რომ მდიდარი ოჯახის არც ერთმა მოზრდილმა წევრმა არ გაბედოს ზედმეტი რძის წაღება, ვიდრე ბავშვები უზრუნველყოფილი არ არიან? რომ სასახლეები და მდიდრული ბინები, რომელნიც მეფესა და არისტოკრატიას დარჩათ, ტყუილუბრალოდ არ ცდებოდეს და იქ უსახლკარონი და ღარიბ-ღატაკნი ჩავასახლოთ? ვის შეუძლია განახორციელოს ეს ღონისძიებანი, გარდა საყოველთაო სახალხო მილიციისა, რომელშიაც მამაკაცების თანაბრად აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალებმაც?

ასეთი ღონისძიებანი ჯ ე რ კ ი დ ე ვ სოციალიზმს რ ო დ ი ნიშნავს. ისინი ეხებიან მოხმარების განაწილებას და **არა**

წარმოების გარდაქმნას. ეს ჯერ კიდევ არ იქნება «პროლეტარიატის დიქტატურა», არამედ იქნება მხოლოდ «პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა». ამჟამად საქმე ის კი არ არის, თუ თეორიულად ამის რანაირ კლასიფიკაციას მოვახდენთ. უდიდესი შეცდომა იქნება, ჩვენ რომ რევოლუციის რთული, არსებითი და სწრაფად განვითარებადი პრაქტიკული ამოცანები მოვათავსოთ ვიწროდ გაგებული «თეორიის» პროკრუსტეს სარეცელზე, იმის მაგივრად, რომ თეორია უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად მივიჩნიოთ **მოქმედების** ს ა ხ ე ლ-მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო დ.

აღმოაჩნდება თუ არა რუსეთის მუშათა მასას იმდენი შეგნება, გამობრძმედილობა, გმირობა, რომ მათ გამოიჩინონ «სასწაულებრივი პროლეტარული დარაზმულობა» მას შემდეგ, რაც უკვე გამოიჩინეს სასწაულებრივი გამბედაობა, ინიციატივა, თავგანწირვა პირდაპირი რევოლუციური ბრძოლის დროს? ეს ჩვენ არ ვიცით და ამაზე მკითხაობა ფუჭი საქმე იქნებოდა, ვინაიდან ამნაირ კითხვებზე პასუხს მ ხ ო ლ ო დ პრაქტიკა იძლევა.

რაც ჩვენ მტკიცედ ვიცით და რაც ჩვენ, როგორც პარტიამ, მასებს უნდა განვუმარტოთ, ეს, ერთი მხრივ, არის ის, რომ საქმე გვაქვს უდიდესი ძალის ისტორიულ მამოძრავებელთან, რომელიც წარმოშობს გაუგონარ კრიზისს, შიმშილობას, უამრავ უბედურებას. ეს მამოძრავებელია ომი, რომელსაც ო რ ი ვ ე მეომარი ბანაკის კაპიტალისტები აწარმოებენ ყაჩაღური მიზნებისათვის. ამ «მამოძრავებელმა» მთელი რიგი უმდიდრესი, თავისუფალი და უგანათლებულესი ერები უფსკრულის პირამდე მიიყვანა. იგი ა ი ძ უ ლ ე ბ ს ხალხებს უკიდურესად დაძაბონ მთელი ძალები, იგი მათ აუტანელ მდგომარეობაში აგდებს, იგი დღის წესრიგში აყენებს არა რაიმე «თეორიების» განხორციელებას (ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება და ამ ილუზიისაგან მარქსი სოციალისტებს ყოველთვის აფრთხილებდა), არამედ ფრიად უკიდურეს, პრაქტიკულად შესაძლებელ ღონისძიებათა გატარებას, ვინაიდან თ უ

არა ეს უკიდურესი ზომები, რამდენიმე მილიონ ადამიანს დაღუპვა, შიმშილისაგან დაუყოვნებლივი და უეჭველი დაღუპვა მოელის.

მტკიცებაც არ ესაჭიროება იმას, რომ მოწინავე კლასის რევოლუციურ ენთუზიაზმს ისეთ პირობებში, როდესაც ობიექტური მდგომარეობა მთელი ხალხისაგან უკიდურეს ღონისძიებებს მოითხოვს, ბევრი რამ შეუძლია. საქმის ამ მხარეს რუსეთში ყველა თვალნათლივ ხედავს და გრძნობს.

საჭიროა შევიგნოთ, რომ რევოლუციურ ხანებში ობიექტური სიტუაცია ისევე სწრაფად და მკვეთრად იცვლება, რა სისწრაფითაც საზოგადოდ ცხოვრება მიმდინარეობს. ჩვენ კი უნდა შეგვეძლოს ჩვენი ტაქტიკა და ჩვენი უახლოესი ამოცანები შევუგუოთ ყოველი შექმნილი სიტუაციის თავისებურებებს. 1917 წლის თებერვლამდე დღის წესრიგში იდგა გაბედული რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური პროპაგანდა, მასების მოწოდება ბრძოლისაკენ, მათი გამოღვიძება. თებერვალ-მარტის დღეებში საჭირო იყო თავგანწირული და გმირული ბრძოლა, რათა დაუყოვნებლივ გაგვესრისა უახლოესი მტერი — ცარიზმი. ახლა ჩვენ განვიცდით რევოლუციის ამ პირველი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას, ცარიზმთან «შეტაკებიდან» გუჩკოვ-მილიუკოვის, მემამულურ და კაპიტალისტურ იმპერიალიზმთან «შეტაკებაზე» გადასვლას. დღის წესრიგში დგას ორგანიზაციული ამოცანა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს შაბლონურ მუშაობას მხოლოდ შაბლონური ორგანიზაციებისათვის, არამედ იგი უნდა ნიშნავდეს ჩაგრული კლასების გაუგონრად ფართო მასების ჩაბმას ორგანიზაციაში და თვით ამ ორგანიზაციის მიერ სამხედრო, საერთოსახელმწიფოებრივი და სახალხო-სამეურნეო ამოცანების განხორციელებას.

ამ თავისებურ ამოცანას პროლეტარიატი სხვადასხვა გზით მიუდგა და მომავალშიც მიუდგება. რუსეთის ზოგ ადგილას თებერვალ-მარტის რევოლუცია მას ხელთ აძლევს თითქმის

მთელ ძალაუფლებას, — სხვა ადგილებში მან შეიძლება «დაპყრობითი» გზით შექმნას და გააფართოვოს პროლეტარული მილიცია, — სხვაგან კიდევ ის, ალბათ, მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს ქალაქთა საბჭოებისა და ერობათა არჩევნები საყოველთაო და ასე შემდეგ საარჩევნო უფლების საფუძველზე, რათა მათგან შეიქმნას რევოლუციური ცენტრები და სხვა, ვიდრე პროლეტარული დარაზმულობის ზრდა, ჯარისკაცთა დაახლოება მუშებთან, გლეხობის მოძრაობა, გუჩკოვისა და მილიუკოვის სამხედრო-იმპერიალისტური მთავრობის გამოსადეგობაზე მრავალთა და მრავალთა გულის გატეხა არ მოგვიახლოებს იმ საათს, როდესაც ამ მთავრობას მუშათა დეპუტატების საბჭოს «მთავრობა» შეცვლის.

ნუ დაგვავიწყდება აგრეთვე, რომ პიტერის გვერდით ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე, ფაქტიურად რესპუბლიკური ქვეყანა, ფინეთი, რომელმაც 1905 წლიდან 1917 წლამდე, რუსეთში მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების მფარველობით, შედარებით მშვიდობიანად განავითარა დემოკრატია და სოციალიზმს ხალხის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მოუპოვა. რუსეთის პროლეტარიატი უზრუნველყოფს ფინეთის რესპუბლიკისათვის სრულ თავისუფლებას, გამოყოფის თავისუფლებასაც კი (ახლა, არა მგონია, თუნდ ერთი სოციალ-დემოკრატიც კი მერყეობდეს ამ საკითხში, როდესაც ხედავს, თუ რა უღირსად ვაჭრობს ჰელსინგფორსში კადეტი როდიჩევი ველიკოროსებისათვის ცოტაოდენი პრივილეგიების მისანიჭებლად), — და სწორედ ამით მოიპოვებს ფინეთის მუშათა ს რ უ ლ ნდობასა და ამხანაგურ დახმარებას სრულიად რუსეთის პროლეტარული საქმისადმი. ძნელსა და დიდ საქმეში შეცდომები გარდუვალია, ამ შეცდომებს ვერც ჩვენ ავიცილებთ თავიდან. ფინეთის მუშები საუკეთესო ორგანიზატორები არიან, ისინი ამ დარგში დაგვეხმარებიან, ისინი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ წინ წასწევენ სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების საქმეს.

რევოლუციური გამარჯვებანი თვით რუსეთში, — მშვიდობიანი ორგანიზაციული წარმატებანი ფინეთში ამ გამარჯვე-

ბათა მფარველობით, — რუსეთის მუშათა გადასვლა ახალი მასშტაბის რევოლუციურ-ორგანიზატორულ ამოცანებზე, — პროლეტარიატისა და მოსახლეობის უღარიბესი ფენების მიერ ძალაუფლების დაპყრობა, — სოციალისტური რევოლუციისთვის ხელის შეწყობა და მისი განვითარება დასავლეთში, — აი ის გზა, რომელიც ზავსა და სოციალიზმთან მიგვიყვანს.

ნ. ლენინი

ციურიხი, 1917 წ. 11 (24) მარტი

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალ «კომმუნისტიჩესკი ინტერნაციონალში» № 3 — 4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილები შორიდან

წერილი მეოთხე

როგორ მივალწიოთ ზავს?

მხოლოდ ეს-ეს არის (12/25 მარტს) წავიკითხე «ციურიხის ახალ გაზეთში» (№ 517, 24 მარტი) შემდეგი ცნობა, რომელიც გადმოცემულია ტელეგრაფით ბერლინიდან:

«შვეიციიდან გვატყობინებენ, რომ მაქსიმ გორკის როგორც მთავრობისთვის, ისე აღმასრულებელი კომიტეტისთვის გაუგზავნია აღფრთოვანებით დაწერილი მისალმება. იგი მიესალმება რეაქციის მეუფეებზე ხალხის გამარჯვებას და რუსეთის ყველა შვილებს მოუწოდებს ხელი შეუწყონ რუსეთის ახალი სახელმწიფოებრივი შენობის აგებას. იმავე დროს იგი მოუწოდებს მთავრობას, რომ მან განთავისუფლების საქმე ზავის შეკვრით დააგვირგვინოს. ეს არ უნდა იყოს ზავი რადაც უნდა დაჯდეს; რუსეთს ამჟამად ყველაზე ნაკლები საბუთი აქვს, ვიდრე ოდესმე სხვა დროს ჰქონია, რომ ესწრაფოდეს ზავს რადაც უნდა დაჯდეს. ეს უნდა იყოს ისეთი ზავი, რომელიც რუსეთს საშუალებას მისცემს ღირსეულად არსებობდეს დედამიწის სხვა ხალხთა გვერდით. კმარა, რაც კაცობრიობამ სისხლი ღვარა. ახალი მთავრობა უდიდეს სამსახურს გაუწევდა არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ კაცობრიობასაც, თუ იგი, ახალი მთავრობა, მოახერხებდა და ჩქარა შეკრავდა ზავს».

ასე გადმოგვცემენ მ. გორკის წერილს.

მწარე გრძნობას განიცდი, როდესაც კითხულობ ამ წერილს, რომელიც გაჟღენთილია მოარული ობივატელური

ცრურწმენით. ამ სტრიქონების დამწერს ჰქონია შემთხვევები, როდესაც იგი გორკის ხვდებოდა ხოლმე კუნძულ კაპრიზე, გაეფრთხილებინა ის და საყვედური ეთქვა მისი პოლიტიკური შეცდომებისათვის. გორკი ამ საყვედურს თავიდან იშორებდა თავისი შეუდარებლად მომხიბლავი ღიმილით და გულწრფელი განცხადებით: «მე ვიცი, რომ ცუდი მარქსისტი ვარ. და მერე, ჩვენ ყველანი, ხელოვანნი, ცოტა არ იყოს შეურაცხადი ადამიანები ვართ». ძნელია ამის წინააღმდეგ კამათი.

უეჭველია, გორკი — უზარმაზარი მხატვრული ტალანტია, რომელმაც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა და მომავალშიაც მოუტანს.

მაგრამ რად ეპოტინება გორკი პოლიტიკას?

ჩემი აზრით, გორკის წერილი გამოხატავს იმ ფრიად გავრცელებულ ცრურწმენას, რომლითაც შეპყრობილია არა მარტო წვრილი ბურჟუაზია, არამედ მისი გავლენის ქვეშ მყოფ მუშათა ნაწილიც. ჩვენი პარტიის მ თ ე ლ ი ძალები, შეგნებულ მუშათა ყოველი ღონისძიება მიმართული უნდა იქნეს ამ ცრურწმენის წინააღმდეგ მედგარი, მტკიცე და ყოველმხრივი ბრძოლისაკენ.

მეფის მთავრობამ ეს, ახლანდელი, ომი დაიწყო და მას აწარმოებდა როგორც ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ, მტაცებლურ, ყაჩაღურ ომს, რათა ეძარცვნა და მოეხრჩო სუსტი ხალხები. გუჩკოვებისა და მილიუკოვების მთავრობა — მემამულური და კაპიტალისტური მთავრობაა, რომელიც იძულებულია განაგრძოს და სურს კიდეც განაგრძოს ს წ ო რ ე დ ა მ გ ვ ა რ ი ომი. ამ მთავრობისადმი მიმართვა დემოკრატიული ზავის შეკვრის წინადადებით — ეს იგივეა, რომ საროსკიპოს პატრონებს სათნოების ქადაგებით მიმართო.

განვმარტოთ ჩვენი აზრი.

რა არის იმპერიალიზმი?

ჩემს ბროშურაში — «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე გადაეცა გამომცემლობა «პარუსს», მან კი დასაბეჭ-

დად მიიღო და ეს ჟურნალ «ლეტოპისში»[119] გამოაცხადა, მე ამ კითხვას ასე ვუპასუხებდი:

«იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, უაღრესი მნიშვნელობა მიიღო კაპიტალის გატანამ, დაიწყო მსოფლიოს განაწილება საერთაშორისო ტრესტებს შორის და დამთავრდა დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის» (თავი VII დასახელებული ბროშურისა, რომელიც «ლეტოპისში», ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ცენზურა არსებობდა, გამოცხადებული იყო ამ სათაურით: ვ. ილინი «უახლესი კაპიტალიზმი») *.

საქმე ის არის, რომ კაპიტალი უდიდეს მასშტაბებამდე გაიზარდა. მცირერიცხოვან უდიდეს კაპიტალისტთა კავშირები (კარტელები, სინდიკატები, ტრესტები) მ ი ლ ი ა რ დ ე ბ ს ატრიალებენ და მთელ მსოფლიოს ერთმანეთს შორის იყოფენ. მ თ ე ლ ი დედამიწა განაწილებულია. ომი გამოიწვია მილიარდერთა ორი უმძლავრესი ჯგუფის — ინგლის-საფრანგეთისა და გერმანიის ჯგუფების — შეტაკებამ მსოფლიოს ხ ე ლ ა ხ ა ლ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტთა ჯგუფს სურს, უწინარეს ყოვლისა, გაძარცვოს გერმანია, წაართვას მას კოლონიები (თითქმის ყველა უკვე წაართვა), შემდეგ კი გაძარცვოს თურქეთი.

გერმანიის კაპიტალისტთა ჯგუფს სურს მ ი ი ს ა კ უ თ რ ო ს თურქეთი და თავისი კოლონიების დაკარგვა მეზობელი პატარა სახელმწიფოების (ბელგიის, სერბიის, რუმინეთის) დაპყრობით აინაზღაუროს.

აი — ნამდვილი სიმართლე, რომელიც მიჩქმალულია ყოველნაირი ბურჟუაზიული სიცრუით «განმათავისუფლებელი», «ნაციონალური» ომის, «უფლებისა და სამართლიანობისათვის ომის» შესახებ და სხვა ამის მსგავსი ლა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 335. რ ე დ.

თაიებით, რითაც კაპიტალისტები ყოველთვის ასულელებენ უბრალო ხალხს.

რუსეთი ომს თავისი ფულით როდი აწარმოებს. რუსეთის კაპიტალი ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის მ ო ნ ა წ ი ლ ე ა. რუსეთი ომს აწარმოებს იმისათვის, რომ გაძარცვოს სომხეთი, თურქეთი, გალიცია.

გუჩკოვი, ლვოვი, მილიუკოვი, ჩვენი ახლანდელი მინისტრები, — შემთხვევითი ხალხი როდია. ისინი მემამულეთა და კაპიტალისტთა მთელი კლასის წარმომადგენლები და ბელადები არიან. ისინი შ ე ბ ო რ კ ი ლ ნ ი ა რ ი ა ნ კაპიტალის ინტერესებით. კაპიტალისტებს ისევე არ შეუძლიათ ხელი აიღონ თავიანთ ინტერესებზე, როგორც ადამიანს არ შეუძლია თავისი თავი ქოჩრით მაღლა ასწიოს.

მეორე: გუჩკოვ-მილიუკოვი და კომპანია შ ე ბ ო რ კ ი ლ ნ ი ა რ ი ა ნ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალით. ისინი სხვისი ფულით ომობდნენ და ომობენ. ისინი დაპირებული არიან, რომ ნასესხებ მილიარდებში ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ა დ ა ს ე უ ლ მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ პროცენტებს გადაიხდიან და ამ ხ ა რ კ ს რუსეთის მუშებისა და რუსეთის გლეხებისაგან აკრეფენ.

მესამე: გუჩკოვ-მილიუკოვი და კომპანია შ ე ბ ო რ კ ი ლ ნ ი ა რ ი ა ნ პირდაპირი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ე ბ ი თ ამ ომის ყაჩაღური მიზნების შესახებ ინგლისსა, საფრანგეთსა, იტალიასა, იაპონიასა და კაპიტალისტ-ყაჩაღთა სხვა ჯგუფებთან. ეს ხელშეკრულებანი ჯერ კიდევ მ ე ფ ე ნ ი კ ო ლ ო ზ მ ე ო რ ე მ დადო. გუჩკოვ-მილიუკოვმა და კომპანიამ ისარგებლეს მუშათა ბრძოლით მეფის მონარქიის წინააღმდეგ, რათა ძალაუფლება ხელთ ეგდოთ, მეფის მიერ დადებული ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ნ ი კ ი **მათ დაადასტურეს.**

ყოველივე ეს გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობამ ჩაიდინა თავისი მანიფესტით, რომელიც «პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ» ტელეგრაფით გადასცა საზღვარგარეთ 7 (20) მარტს: «მთავრობა» (გუჩკოვისა და მილიუკოვისა) «ერთგულად დაიცავს ყველა იმ ხელშეკრულებას, რომლებიც გვა-

კავშირებენ ჩვენ სხვა სახელმწიფოებთან», — ნათქვამია ამ მანიფესტში. საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა მილიუკოვმაც ი გ ი ვ ე განაცხადა თავის დეპეშაში, რომელიც მან დაუგზავნა რუსეთის ყველა წარმომადგენელს საზღვარგარეთ 1917 წლის 5 (18) მარტს.

ყველა ეს ხელშეკრულება ს ა ი დ უ მ ლ ო ა, და მილიუკოვსა და კომპანიას ა რ ა ს უ რ თ მათი გამოქვეყნება ორი მიზეზის გამო: 1) მათ ეშინიათ ხალხისა, რომელსაც მძარცველური ომი არა სურს; 2) ისინი შებორკილნი არიან ინგლის-საფრანგეთის კაპიტალით, რომელიც ხელშეკრულებათა საიდუმლოების დაცვას მოითხოვს. მაგრამ ყველამ, ვინც კი გაზეთებს კითხულობს და საქმის ვითარებას აკვირდება, იცის, რომ ამ ხელშეკრულებებში ლაპარაკია იაპონიის მიერ ჩინეთის, რუსეთის მიერ სპარსეთის, სომხეთის, თურქეთის (განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის), გალიციის, იტალიის მიერ ალბანეთის, საფრანგეთისა და ინგლისის მიერ თურქეთის და გერმანიის კოლონიათა გაძარცვის შესახებ და სხვ.

ასეთია საქმის ვითარება.

ამიტომ გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობისადმი მიმართვა წინადადებით — რაც შეიძლება ჩქარა შეჰკარი პატიოსანი, დემოკრატიული, კეთილმეზობლური ზავიო, ეს იგივეა, რაც გულუბრყვილო სოფლელი «ხუცესის» მიმართვა მემამულეებისა და ვაჭრებისადმი წინადადებით: იცხოვრეთ «ღვთისნიერად», გიყვარდეთ მოყვასი თქვენი და როცა მარცხენა ლოყაში გაგარტყან, მარჯვენა მიუშვირეთო. მემამულეები და ვაჭრები ისმენენ ქადაგებას, განაგრძობენ ხალხის შევიწროებასა და ძარცვას და აღტაცებულნი არიან: რა კარგად იცის «ხუცესმა» «გლეხების» ნუგეშისცემა და დამშვიდებაო.

სავსებით ასეთსავე როლს თამაშობენ ყველა ისინი, — მიუხედავად იმისა, შეგნებული აქვთ თუ არა ეს, — ვინც ზავის შესახებ ტკბილი სიტყვებით მიმართავს ბურჟუაზიულ მთავრობებს ახლანდელი, იმპერიალისტური ომის დროს. ბურ-

ჟუაზიული მთავრობანი ხანდახან სრულიად უარს ამბობენ ასეთი სიტყვების მოსმენაზე და კიდევაც კრძალავენ ხოლმე მათ; ხანდახან კი ისინი ასეთი რამის თქმის ნებას იძლევიან და აქეთ-იქით დაპირებებს არიგებენ: ჩვენ ხომ სწორედ იმისთვის ვომობთ, რომ რაც შეიძლება ჩქარა შევკრათ «ყველაზე სამართლიანი» ზავი, დამნაშავეა მხოლოდ ჩვენი მოწინააღმდეგეო. ზავის შესახებ ლაპარაკი, მიმართული ბ ურ ჟ უ ა-ზ ი უ ლ ი მთავრობებისადმი, ნამდვილად ხ ა ლ ხ ი ს მ ო-ტ ყ უ ე ბ ა გამოდის.

კაპიტალისტთა ჯგუფებს, რომლებმაც სისხლით მორწყეს დედამიწა ქვეყნების, ბაზრების, კონცესიების განაწილებისათვის, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ «საპატიო» ზავი შეკრან. მათ შეუძლიათ შეკრან მხოლოდ ს ა მ ა რ ც ხ ვ ი ნ ო ზავი, ზავი ნ ა ძ ა რ ც ვ-ნ ა დ ა ვ ლ ი ს გ ა ყ ო ფ ი ს, თ უ რ ქ ე-თ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ნ ი ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ებ ი ს შ ე ს ა-ხ ე ბ.

გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა კი, გარდა ამისა, ამჟამად საზოგადოდ თანახმა არაა ზავისა, ვინაიდან იგი ა ხ ლ ა «ნადავლიდან» მიიღებდა «მ ხ ო ლ ო დ» სომხეთს და გალიციის ნაწილს, მას კი სურს, გ ა რ დ ა ა მ ი ს ა, ხელთ იგდოს კონსტანტინოპოლი დ ა კ ი დ ე ვ გერმანელებს ისევ წაართვას პოლონეთი, რომელსაც ყოველთვის ასე არაადამიანურად და ასე ურცხვად ჩაგრავდა ცარიზმი. შემდეგ, გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა არსებითად მხოლოდ ნოქარია ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისა, რომელსაც სურს შეინარჩუნოს გერმანიისთვის წართმეული კოლონიები და, ა მ ა ს გ ა რ დ ა, აიძულოს გერმანია, რომ მან უკან დააბრუნოს ბელგია და საფრანგეთის ნაწილი. ინგლის-საფრანგეთის კაპიტალი ეხმარებოდა ნიკოლოზ მეორის გადაყენებაში გუჩკოვებსა და მილიუკოვებს, რათა ეს უკანასკნელნი დაეხმარონ ამ კაპიტალს გერმანიის «დამარცხებაში».

როგორ უნდა მოვიქცეთ?

ზავის მისაღწევად (და, მით უმეტეს, ნამდვილად დემოკრატიული, ნამდვილად საპატიო ზავის მისაღწევად) საჭიროა,

რომ სახელმწიფოში ხელისუფლება ეკუთვნოდეს არა მემამულეებსა და კაპიტალისტებს, არამედ მ უ შ ე ბ ს ა დ ა უ ღ ა რ ი ბ ე ს გ ლ ე ხ ე ბ ს. მემამულენი და კაპიტალისტები — მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ; კაპიტალისტები, როგორც ყველამ იცის, ომში დიდძალ ფულს იგებენ.

მუშები და უღარიბესი გლეხები — მოსახლეობის უ დ ი დ ე ს უმრავლესობას შეადგენენ. ისინი ომში არათუ არაფერს იგებენ, არამედ პარტახდებიან და შიმშილობენ. ისინი შებორკილნი არ არიან არც კაპიტალით, არც კაპიტალისტთა ყაჩაღურ ჯგუფებს შორის დადებული ხელშეკრულებებით. მათ შ ე უ ძ ლ ი ა თ და გულწრფელად სურთ ომის შეწყვეტა.

რუსეთში სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ს ა ბ ჭ ო ე ბ ს რომ ეკუთვნოდეს, ეს საბჭოები და მათ მიერ არჩეული ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ს ა ბ ჭ ო შეძლებდნენ და, უეჭველია, დათანხმდებოდნენ განეხორციელებინათ ზავის ის პროგრამა, რომელიც ჩვენმა პარტიამ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ) დასახა ჯერ კიდევ 1915 წლის 13 ოქტომბერს ამ პარტიის ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის» (რომელიც მაშინ, მეფის ცენზურის მიზეზით, ჟენევაში გამოდიოდა) 47-ე ნომერში *.

ზავის ეს პროგრამა, ალბათ, ასეთი იქნებოდა:

1) სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო (ან დროებით მისი შემცვლელი პეტერბურგის საბჭო) მყისვე განაცხადებდა, რომ იგი ა რ ც მეფის მონარქიისა და ა რ ც ბურჟუაზიულ მთავრობათა ა რ ა ვ ი თ ა რ ი ხელშეკრულებით შებორკილი ა რ ა რ ი ს.

2) იგი დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებდა ყ ვ ე ლ ა ამ ხელშეკრულებას, რათა საჯაროდ სამარცხვინო ბოძზე გაეკრა მეფის მონარქიისა და უკლებლივ ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული მთავრობის ყაჩაღური მიზნები.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 490 — 494. რ ე დ.

3) იგი დაუყოვნებლივ და აშკარად მისცემდა წინადადებას ყველა მეომარ სახელმწიფოს ახლავე შეეკრათ დროებითი ზავი.

4) იგი დაუყოვნებლივ საქვეყნოდ გამოაცხადებდა ჩვენს, მუშათა და გლეხთა, საზავო პირობებს:

ყველა კოლონიის განთავისუფლება;

ყველა დამოკიდებულ, ჩაგრულ და არასრულუფლებიან ხალხთა განთავისუფლება.

5) იგი განაცხადებდა, რომ ბურჟუაზიულ მთავრობათაგან სიკეთეს კი არ მოელის, არამედ წინადადებას აძლევს ყველა ქვეყნის მუშებს ჩამოაგდონ ბურჟუაზიული მთავრობები და სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება გადასცენ მუშათა დეპუტატების საბჭოებს.

6) იგი განაცხადებდა, რომ ბურჟუაზიულ მთავრობათა მიერ ამ დანაშაულებრივი, ყაჩაღური ომის საწარმოებლად აღებული მილიარდიანი ვალების გადახდა შეუძლიათ თვითონ ბატონ კაპიტალისტებს, მუშები და გლეხები კი ამ ვალებს არ ცნობენ. ამ ვალების პროცენტების გადახდა ნიშნავს, მრავალი წლის მანძილზე ვუხადოთ ხარკი კაპიტალისტებს იმისათვის, რომ მათ კეთილ ინებეს და მუშებს ნება მისცეს ერთმანეთი ეჟლიტათ კაპიტალისტური ნადავლის გაყოფის გულისთვის.

მუშებო და გლეხებო! — იტყოდა მუშათა დეპუტატების საბჭო — თანახმა ხართ თუ არა ყოველწლიურად უხადოთ ბატონ კაპიტალისტებს ასობით მილიონი მანეთი იმ ომის ჯილდოდ, რომელიც წარმოებდა აფრიკული კოლონიების, თურქეთისა და სხვათა გასანაწილებლად?

მუშათა დეპუტატების საბჭო, ჩემი აზრით, თანახმა იქნებოდა აი ამ საზავო პირობებისათვის ეწარმოებინა ომი ყოველი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ და მსოფლიოს ყველა ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ, იმიტომ რომ ეს იქნებოდა ნამდვილად სამართლიანი ომი, იმიტომ რომ ყველა ქვეყნის ყველა მუშა და ყველა

მშრომელი დაეხმარებოდა ასეთი ომის წარმატებას.

გერმანელი მუშა ახლა ხედავს, რომ მეომარ მონარქიას რუსეთში ცვლის მეომარი რესპუბლიკა, რესპუბლიკა კაპიტალისტებისა, რომელთაც სურთ განაგრძონ იმპერიალისტური ომი და რომელნიც ადასტურებენ მეფის მონარქიის ყაჩაღურ ხელშეკრულებებს.

თქვენ თვითონ განსაჯეთ, შეიძლება თუ არა გერმანელი მუშა ენდოს ასეთ რესპუბლიკას?

თქვენ თვითონ განსაჯეთ, გაძლებს კი ომი, გაძლებს კი ქვეყნად კაპიტალისტთა ბატონობა, თუ რუსი ხალხი, რომელსაც დაეხმარა და ახლაც ეხმარება «ცხრაასხუთი წლის» დიდი რევოლუციის ცოცხალი მოგონებანი, სრულ თავისუფლებას მოიპოვებს და მთელ სახელმწიფო ხელისუფლებას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს გადასცემს?

ნ. ლენინი

ციურიხი, 1917 წ. 12 (25) მარტი.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ჟურნალ «კომმუნისტიჩესკი
ინტერნაციონალში» № 3 — 4

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილები შორიდან

წერილი მეხუთე

რევოლუციური პროლეტარული სახელმწიფოებრივი წყობილების ამოცანები

წინა წერილებში რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის ამოცანები მიმდინარე მომენტისათვის შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: (1) უნდა შევძლოთ ყველაზე მართებული გზით მივიდეთ რევოლუციის შემდგომ ეტაპთან ანუ მეორე რევოლუციასთან, რომელმაც (2) სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ჩამოართვას მემამულეთა და კაპიტალისტთა (გუჩკოვების, ლვოვების, მილიუკოვების, კერენსკების) მთავრობას და გადასცეს მუშათა და უღარიბეს გლეხთა მთავრობას. (3) ეს უკანასკნელი მთავრობა უნდა ჩამოყალიბდეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ტიპის მიხედვით, სახელდობრ (4) მან უნდა დაამსხვრიოს, სრულიად მოიშოროს თავიდან ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ჩვეულებრივი ძველი სახელმწიფო მანქანა, არმია, პოლიცია, ბიუროკრატია (მოხელეები) და ეს მანქანა შეცვალოს (5) შეიარაღებული ხალხის არა მარტო მასობრივი, არამედ აგრეთვე საყოველთაო-საერთო ორგანიზაციით. (6) **მხოლოდ** ასეთ მთავრობას, სწორედ «ასეთს» თავისი კლასობრივი შემადგენლობით («პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა») და მმართველობის თავისი ორგანოებით («პროლეტარული მილიცია»), შ ე უ ძ ლ ი ა წარმატებით გადაწყვიტოს მომენტის ფრიად ძნელი და უეჭვე-

ლად გადაუდებელი, უ მ თ ა ვ რ ე ს ი ამოცანა, სახელდობრ: მიაღწიოს ზ ა ვ ს, თანაც არა იმპერიალისტურ ზავს, არა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მორიგებას კაპიტალისტთა და მათ მთავრობათა მიერ ნაძარცვ-ნადავლის განაწილების შესახებ, არამედ ნამდვილად მტკიცე და დემოკრატიულ ზავს, რომელსაც ვერ მივაღწევთ ისე, თუ მთელ რიგ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუცია არ მოხდა. (7) რუსეთში პროლეტარიატის გამარჯვება უახლოეს მომავალში შესაძლებელია მ ხ ო ლ ო დ იმ პირობით, თუ მისი პირველი ნაბიჯი იქნება გლეხობის უდიდესი უმრავლესობის მიერ მუშებისადმი მხარის დაჭერა გლეხობის ბრძოლაში მემამულეთა მთელი მიწათმფლობელობის კონფისკაციისათვის (და მთელი მიწის ნაციონალიზაციისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ «104-ის» [120] აგრარული პროგრამა თავისი არსებით გ ლ ე ხ ო ბ ი ს აგრარულ პროგრამად დარჩა). (8) ასეთ გლეხურ რევოლუციასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე შესაძლებელი და აუცილებელია გლეხობის უ ღ ა რ ი ბ ე ს ნაწილთან კავშირში მყოფი პროლეტარიატის შემდგომი ნაბიჯები, ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება წარმოებასა და უმნიშვნელოვანესი პროდუქტების განაწილებაზე კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს ა კ ე ნ, «საყოველთაო შრომითი ბეგრის» შემოღებისაკენ და სხვა. ამ ნაბიჯებს უდავო აუცილებლობით გვიკარნახებს ის პირობები, რომლებიც ომმა შექმნა და რომელთაც მრავალ მხრით კიდეც გაამწვავებს ომის შემდგომი ხანა; ხოლო საერთოდ და მთლიანად თავისი განვითარების მხრივ ეს ნაბიჯები იქნება გ ა დ ა ს ვ ლ ა ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ, რომელიც რუსეთში უშუალოდ, ერთბაშად, გარდამავალ ღონისძიებათა გაუტარებლად განუხორციელებელია, მაგრამ რომლის განხორციელება სავსებით შესაძლებელი და არსებითადაც აუცილებელია ამგვარ გარდამავალ ღონისძიებათა შედეგად. (9) ყველა ამასთან ერთად უკიდურესი აუცილებლობით დგება ამოცანა — დაუყოვნებლივ შეიქმნას ს ო ფ ლ ა დ მუშათა დეპუტატების საბჭოების განსაკუთრებული ორგანიზაცია, ე. ი. სოფლის მეურნეობის დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მუშათა საბჭოები,

რომელნიც იარსებებენ გლეხთა დანარჩენი დეპუტატების საბჭოებისაგან განცალკევებით.

ასეთია, მოკლედ, ჩვენ მიერ დასახული პროგრამა, რომელიც ემყარება რუსეთისა და მსოფლიო რევოლუციის კლასობრივ ძალთა შეფასებას, აგრეთვე 1871 და 1905 წლების გამოცდილებას.

შევეცადოთ ახლა საერთოდ გადავავლოთ თვალი ამ პროგრამას მთლიანად, თანაც გზადაგზა შევჩერდეთ იმაზედაც, თუ როგორ მიუდგა ამ თემას კ. კაუცკი, «მე-2» (1889 — 1914) ინტერნაციონალის უდიდესი თეორეტიკოსი და დიდად გამოჩენილი წარმომადგენელი «ცენტრის», «ჭაობის» იმ მიმდინარეობისა, რომელსაც ყველა ქვეყანაში ვამჩნევთ და რომელიც სოციალ-შოვინისტებსა და რევოლუციურ ინტერნაციონალისტებს შორის მერყეობს. კაუცკი ამ თემას შეეხო თავის ჟურნალ «ახალ დროებაში» (Die Neue Zeit, ნომერი 1917 წ. 6 აპრილისა ახალი სტილით) დაბეჭდილ სტატიაში: «რუსეთის რევოლუციის პერსპექტივები».

«უწინარეს ყოვლისა, — წერს კაუცკი, — ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ის ამოცანები, რომლებიც რევოლუციური პროლეტარული რეჟიმის» (სახელმწიფოებრივი წყობილების) «წინაშე დგანან».

«ორი რამ, — განაგრძობს ავტორი, — აუცილებლად ესაჭიროება პროლეტარიატს: დემოკრატია და სოციალიზმი».

კაუცკი ამ სავსებით უდავო დებულებას, სამწუხაროდ, უზომოდ ზოგადი ფორმით აყენებს, ასე რომ იგი არსებითად არაფერს იძლევა და არაფერს არკვევს. მილიუკოვი და კერენსკი, ბურჟუაზიული და იმპერიალისტური მთავრობის წევრები, ხალისით მოაწერდნენ ხელს ამ ზოგად დებულებას, პირველი— პირველს, ხოლო მეორე — მის მეორე ნაწილს... *

დაწერილია 1917 წ. 26 მარტს (8 აპრილს)

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალ «ბოლშევიკში» № 3 — 4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

ამხანაგებს, რომლებიც ტყვეობაში იტანჯებიან [121]

ამხანაგებო! რუსეთში მოხდა რევოლუცია.

პეტროგრადისა და მოსკოვის მუშები კვლავ გამოვიდნენ დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობის თაოსნებად. მათ გამოაცხადეს პოლიტიკური გაფიცვა. ისინი გამოვიდნენ ქუჩაში წითელი დროშებით. ისინი ლომებივით ებრძოდნენ მეფის პოლიციას, ჟანდარმერიას და ჯარის იმ მცირე ნაწილს, რომელიც ერთბაშად როდი გადავიდა ხალხის მხარეზე. მარტო პეტროგრადში 2 000 კაცზე მეტ მოკლულსა და დაჭრილს ითვლიან. რუსეთის მუშებმა თავისი სისხლით მოუპოვეს თავისუფლება ჩვენს ქვეყანას.

მუშათა მოთხოვნები იყო: პ უ რ ი, თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, ზ ა ვ ი.

პ უ რ ი — იმიტომ რომ რუსეთში ხალხი შიმშილობს, ისე როგორც თითქმის ყველა ქვეყანაში, რომლებიც ახლანდელ მძარცველურ ომში მონაწილეობენ.

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა — იმიტომ რომ მეფის მთავრობამ, რომელიც ომით სარგებლობდა, მთელი რუსეთი საბოლოოდ გადააქცია ერთ მთლიან საპყრობილედ.

ზ ა ვ ი — იმიტომ რომ რუსეთის მუშებს, ისე როგორც სხვა ქვეყნების უფრო შეგნებულ მუშებს, აღარ სურთ დაიხოცონ ერთი მუჭა მდიდრების ინტერესებისათვის, აღარ სურთ ეწეოდნენ დანაშაულებრივ ომს, რომელიც გვირგვინოსანმა და უგვირგვინო ავაზაკებმა დაიწყეს.

პეტერბურგისა და მოსკოვის გარნიზონების ჯარისკაცთა უმრავლესობა აჯანყებულ მუშათა მხარეზე გადავიდა. ჯარისკაცთა მუნდირებში გამოწყობილმა მუშებმა და გლეხებმა ძმურად გაუწოდეს ხელი უმუნდირო მუშებსა და გლეხებს. ოფიცრობის საუკეთესო ნაწილი რევოლუციას მიემხრო. ის ოფიცრები, რომლებმაც ხალხის წინააღმდეგ გალაშქრება მოინდომეს, დახვრიტეს ჯარისკაცებმა.

რევოლუცია მოახდინეს მუშებმა და ჯარისკაცებმა. მაგრამ ძალაუფლება, როგორც ეს სხვა რევოლუციების დროსაც მომხდარა ხოლმე, პირველ ხანებში ხელთ იგდო ბურჟუაზიამ. სახელმწიფო სათათბირო, რომელშიაც უდიდესი უმრავლესობა მემამულეებსა და კაპიტალისტებს ეკუთვნის, მთელი ძალღონით ცდილობდა შერიგებოდა მეფე ნიკოლოზ მეორეს. ჯერ კიდევ უკანასკნელ წუთს, როდესაც პეტროგრადის ქუჩებში უკვე სამოქალაქო ომი ბობოქრობდა, სახელმწიფო სათათბირო მეფეს ზედიზედ უგზავნიდა დეპეშებს და ევედრებოდა წასულიყო მცირეოდენ დათმობებზე და ამით შეენარჩუნებინა თავისი გვირგვინი. არა სახელმწიფო სათათბირომ — მემამულეთა და მდიდართა სათათბირომ, — ა რ ა მ ე დ ა ჯ ა ნ ყ ე ბ უ ლ მ ა მ უ შ ე ბ მ ა და ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ მ ა ჩ ა მ ო ა გ დ ე ს მ ე ფ ე. მაგრამ ახალი დროებითი მთავრობა სახელმწიფო სათათბირომ დანიშნა.

ეს დროებითი მთავრობა შედგება ლიბერალურ კაპიტალისტთა და მიწის მსხვილ მესაკუთრეთა წარმომადგენლებისაგან. მასში მთავარი პოსტები ეკუთვნის: თავად ლვოვს (უდიდესი მემამულე და უაღრესად ზომიერი ლიბერალი), ა. გუჩკოვს (სტოლიპინის თანამებრძოლი, რომელიც თავის დროზე იწონებდა სამხედრო სასამართლოებს რევოლუციონერთა წინააღმდეგ), ტერეშჩენკოს (შაქრის ქარხნის უდიდესი მეპატრონე-მილიონერი), მილიუკოვს (ყოველთვის იცავდა და ახლაც იცავს მძარცველურ ომს, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა ჩაითრიეს ნიკოლოზ მეფემ და მისმა ხროვამ). «დემოკრატი» კერენსკი ახალ მთავრობაში მიწვეულია მხოლოდ იმისათვის, რომ ეს მთავრობა მოგვაჩვენონ

Россійская Соціаль-Демократическая Рабочая Партія

Пролетаріи всѣхъ странъ, соединайтесь!

ТОВАРИЩАМЪ, ТОМЯЩИМСЯ ВЪ ПЛѢНУ.

Товарищи! Въ Россіи произошла революція.

Рабочіе Петрограда и Москвы снова выступили застрѣльщиками великаго освободительнаго движенія. Они объявили политическую забастовку. Они вышли на улицу съ красными знаменами. Они дрались, какъ львы, съ царской полиціей, жандармеріей и той небольшой частью войскъ, которая не сразу перешла на сторону народа. Убитыхъ и раненыхъ въ одномъ Петроградѣ насчитываютъ болѣе 2000 человѣкъ. Своею кровью русскіе рабочіе купили свободу нашей странѣ.

Требованія рабочихъ были: *хлѣба, свободы, мира.*

Хлѣба — потому что народъ въ Россіи голодаетъ, какъ и во всѣхъ почти странахъ, участвующихъ въ нынѣшней грабительской войнѣ.

Свободы — потому что царское правительство, пользуясь войной, окончательно превратило всю Россію въ одну сплошную тюрьму.

Мира — потому, что рабочіе Россіи, какъ и болѣе сознательные рабочіе другихъ странъ, не хотятъ больше умирать за интересы кучки богачей, не хотятъ болѣе вести преступную войну, почти въ коронованными и некоронованными разбойниками.

Большинство солдатъ петербургскаго и московскаго гарнизоновъ перешли на сторону восставшихъ рабочихъ. Рабочіе и крестьяне въ солдатскихъ мундирахъ братски подали руку рабочимъ и крестьянамъ безъ мундировъ. Лучшая часть офицерства примкнула къ революціи. Офицеровъ, нежелавшихъ идти противъ народа, солдаты разстрѣливали.

Революцію сдѣлали рабочіе и солдаты. Но власть, какъ это бывало и въ другихъ революціяхъ, на первыхъ порахъ захватила буржуазія. Государственная Дума, въ которой огромное большинство принадлежитъ помѣщикамъ и капиталистамъ, всѣми силами старалась примириться съ царемъ Николаемъ II. Еще въ послѣднюю минуту, когда на улицахъ Петрограда уже кипѣла гражданская война, Государственная Дума посылала царю телеграмму за телеграммой, умоляя его пойти на маленькія уступки и такъ сохранить свою корону. Не Государственная Дума - Дума помѣщиковъ и богачей — а *восставшіе рабочіе и солдаты повергли царя.* Но вновь созданное правительство назначено Государственной Думой.

Это временное правительство состоитъ изъ представителей либеральныхъ капиталистовъ и крупныхъ земельныхъ собственниковъ. Главные посты въ немъ принадлежатъ князю Львову (крупный помѣщикъ и умѣренный либералъ). А Гучкову (кораблестроитель Столыпина, въ свое время одобрявшій военные суды противъ революціонеровъ), Терещенко (крупнѣйшій сахарозаводчикъ-милліонеръ), Милюкову (всегда защищалъ и защищаетъ грабительскую войну, въ которую нашу страну втравили царь Николай съ его шайкой) «Демократъ» Керенскій приглашенъ въ новое правительство только для того, чтобы создать видимость «народнаго» правительства, чтобы имѣть «демократическаго» краснобая, который говорилъ-бы народу громкія, но пустыя, слова, въ то время, какъ Гучковы и Львовы будутъ дѣлать свои народное дѣло.

Новое правительство хочетъ продолженія разбойничьей войны. Оно является приказчикомъ русскихъ, англійскихъ и французскихъ капиталистовъ, которые — какъ и нѣмецкіе капиталисты — хотятъ непремѣнно «подраться» и выторговать себѣ лучшіе куски добычи. Оно не хочетъ и не можетъ дать Россіи мира.

Новое правительство не хочетъ отнять у помѣщиковъ землю въ пользу народа, оно не хочетъ возложить тяготѣ войны на богачей. Оно не можетъ полную дань народу хлѣба. Рабочіе и бѣдное населеніе вообще вынуждены попрежнему голодать.

Новое правительство состоитъ изъ капиталистовъ и помѣщиковъ. Оно не хочетъ дать Россіи полной свободы. Подъ давленіемъ восставшихъ рабочихъ и солдатъ оно обѣщало созвать Учредительное Собраніе, которое рѣшило бы какъ устроить Россію. Но оно оттягиваетъ назначеніе выборовъ въ Учредительное Собраніе, желая выиграть время и погочь обмануть народъ, какъ это не разъ въ исторіи дѣлали подобныя правительства. Оно не хочетъ созданія въ Россіи демократической республики. Оно хочетъ только, вмѣсто плохого царя Николая II, посадить на престолъ хорошаго царя Михаила. Оно хочетъ, чтобы власть въ Россіи имѣлъ не одинъ народъ, а новый царь вмѣстѣ съ буржуазіей.

Такое новое правительство.

Но въ Петроградѣ рядомъ съ этимъ правительствомъ постепенно организуется другое правительство. Рабочіе и солдаты образовали Совѣтъ рабочихъ и солдатскихъ депутатовъ. Каждая тысяча рабочихъ или солдатъ выбираетъ одного депутата. Этотъ совѣтъ засѣдаетъ теперь въ Таврическомъ дворцѣ въ числѣ болѣе чѣмъ 1000 уполномоченныхъ. И онъ является дѣйствительно народнымъ представительствомъ.

პირველი გვერდი ფურცლისა:
«ამხანაგებს, რომლებიც ტყვეობაში იტანჯებიან». — 1917 წ.

დაპატარავებული

«სახალხო» მთავრობად, რომ ჰყავდეთ «დემოკრატიული» ენაჭარტალა, რომელიც ხალხს მიმართავს ხოლმე მყვირალა, მაგრამ ლიტონი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ, მაშინ როდესაც გუჩკოვები და ლვოვები მოაჭახრაკებენ ხალხის საწინააღმდეგო ს ა ქ მ ე ს.

ახალ მთავრობას სურს განაგრძოს ყაჩაღური ომი. ის არის ნოქარი რუსი, ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტებისა, რომელთაც — ისე როგორც გერმანელ კაპიტალისტებს — სურთ უსათუოდ «ბოლომდე იბრძოლონ» და ნადავლის საუკეთესო ნაწილი თავისთვის დაიტოვონ შევაჭრების გზით. ახალ მთავრობას არ სურს და არც შეუძლია მისცეს რუსეთს ზავი.

ახალ მთავრობას არ სურს წაართვას მემამულეებს მათი მიწები ხალხის სასარგებლოდ, მას არ სურს დააკისროს ომის სიმძიმე მდიდრებს. ამიტომ მას არ შეუძლია მისცეს ხალხს პური. მუშები და ღარიბი მოსახლეობა საერთოდ იძულებული არიან წინანდებურად იშიმშილონ.

ახალი მთავრობა კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან შედგება. მას არ სურს მისცეს რუსეთს სრული თავისუფლება. აჯანყებულ მუშათა და ჯარისკაცთა ზეგავლენით მან აღუთქვა მოეწვია დამფუძნებელი კრება, რომელიც გადაწყვეტდა, როგორ მოეწყოს რუსეთი. მაგრამ ის აჭიანურებს დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნას, რადგან სურს დრო მოიგოს და შემდეგ მოატყუოს ხალხი, როგორც ეს ისტორიაში არა ერთხელ ჩაუდენიათ ამგვარ მთავრობებს. მას არ სურს, რომ რუსეთში შეიქმნას დემოკრატიული რესპუბლიკა. მას მხოლოდ ის უნდა, რომ ცუდი მეფის ნიკოლოზ მეორის მაგივრად ტახტზე აიყვანოს თითქოს «კარგი» მეფე — მიხეილი. მას უნდა, რომ რუსეთში ხელისუფლება ეპყრას არა თვით ხალხს, არამედ ახალ მეფეს ბურჟუაზიასთან ერთად.

ასეთია ახალი მთავრობა.

მაგრამ პეტროგრადში ამ მთავრობის გვერდით თანდათან ყალიბდება სხვა მთავრობა. მუშებმა და ჯარისკაცებმა

შექმნეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. თვითეული ათასი მუშა ან ჯარისკაცი ირჩევს ერთ დეპუტატს. ამ საბჭოს ახლა სხდომები აქვს თავრიდის სასახლეში 1 000-ზე მეტი რწმუნებულის რაოდენობით. და ის ნამდვილად სახალხო წარმომადგენლობაა.

ამ საბჭოს პირველ ხანებში შეიძლება ესა თუ ის შეცდომა მოუვიდეს. მაგრამ იგი გარდუვალად მიდის იმისაკენ, რომ ხმამაღლა და მტკიცედ მოითხოვს: ზავს, პურს, დემოკრატიულ რესპუბლიკას.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება, რომ ჯარისკაცებმა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ომისა თუ ზავის საკითხის გადაწყვეტაში. საბჭო ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ მეფისა და მემამულეთა მიწები გადაეცეს გლეხობას. საბჭო ცდილობს მოიპოვოს რესპუბლიკა და გაგონებაც კი არ სურს ახალი «კეთილი» მეფის დანიშვნის შესახებ. საბჭო მოითხოვს საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის უფლებას ყველა მამაკაცისა და ყველა ქალისათვის. საბჭომ მიაღწია მეფისა და დედოფლის დაპატიმრებას. საბჭოს სურს შექმნას მეთვალყურე კომიტეტი, რომელიც შეამოწმებს ახალი მთავრობის თვითეულ ნაბიჯს და რომელიც ნამდვილად თვითონ გახდება მთავრობა. საბჭო ცდილობს კავშირი დაამყაროს ყველა სხვა ქვეყნის მუშებთან, რათა შეთანხმებულად დაჰკრან კაპიტალისტთა წინააღმდეგ. მუშა რევოლუციონერები დიდი რაოდენობით გაემგზავრნენ ფრონტზე, რათა ისარგებლონ თავისუფლებით და შეუთანხმდნენ ჯარისკაცებს, თუ როგორ იმოქმედონ ერთად, როგორ დაამთავრონ ომი, როგორ უზრუნველყონ ხალხის უფლებები, როგორ განამტკიცონ თავისუფლება რუსეთში. პეტროგრადში კვლავ გამოდის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი «პრავდა» [122], რომელიც ეხმარება მუშებს ყველა ამ დიადი ამოცანის შესრულებაში.

ასეთია საქმის ვითარება ამჟამად, ამხანაგებო.

თქვენ, ტყვეობაში რომ იტანჯებით, არ შეგიძლიათ გულგრილნი დარჩეთ. თქვენ მზად უნდა იყოთ იმისათვის, რომ თქვენც, შეიძლება, უკვე მალე წილად გხვდეთ მნიშვნელოვანი ამოცანა.

რუსეთის თავისუფლების მტრებს ზოგჯერ თქვენი იმედი აქვთ. ისინი ამბობენ: ტყვეობაში იმყოფება დაახლოებით 2 მილიონი ჯარისკაცი; თუ ისინი, სამშობლოში რომ დაბრუნდებიან, მეფის მხარეზე გადავლენ, ჩვენ კიდევ შეგვიძლია კვლავ ავიყვანოთ ტახტზე ნიკოლოზი ან მისი «საყვარელი» ძმაო. ისტორიაში მომხდარა ხოლმე ისეც, რომ გუშინდელი მოწინააღმდეგე შერიგებია დამხობილ მეფეს და გადაუცია მისთვის მისი ტყვე ჯარისკაცები, რათა ისინი დახმარებოდნენ მას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში...

ამხანაგებო! ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა გაქვთ, განიხილეთ დიადი მოვლენები, რომლებიც ჩვენს სამშობლოში ხდება. ხმამაღლა განაცხადეთ, რომ თქვენ, რუსეთის ჯარისკაცთა მთელ საუკეთესო ნაწილთან ერთად, არა გსურთ მეფე, რომ თქვენ მოითხოვთ თავისუფალ რესპუბლიკას, მემამულეთა მიწების უსასყიდლოდ გადაცემას გლეხებისათვის, 8 საათიან სამუშაო დღეს, დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას. განაცხადეთ, რომ თქვენ ემხრობით პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომ თქვენ, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, გამოხვალთ არა მეფის მომხრედ, არამედ მის წინააღმდეგ, არა მემამულეთა და მდიდართა მომხრედ, არამედ მათ წინააღმდეგ.

ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია, დაირაზმეთ, გამოიტანეთ ამგვარი დადგენილებანი, განუმარტეთ ჩამორჩენილ ამხანაგებს, თუ რა დიდი ამბავი მოხდა ჩვენს ქვეყანაში.

ბევრი უბედურება აიტანეთ თქვენ ომამდე, ომის დროს და ტყვეობაში. ახლა ჩვენ უკეთეს დღეებს ვუახლოვდებით. თავისუფლების განთიადი დადგა.

დაბრუნდით რუსეთში, როგორც რევოლუციის არმია, როგორც ხალხის არმია, და არა როგორც მეფის არმია. 1905

წელსაც, იაპონიიდან დაბრუნებული ტყვეები თავისუფლებისათვის საუკეთესო მებრძოლნი გახდნენ.

სამშობლოში რომ დაბრუნდებით, თქვენ მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიფანტებით. მაშ, მოჰფინეთ თვითეულ შორეულ კუთხეს, შიმშილით, გადასახადებითა და აბუჩად აგდებით დატანჯულ რუსეთის თვითეულ სოფელს თავისუფლების ამბავი. გაათვითცნობიერეთ მოძმე გლეხები: განდევნეთ სოფლიდან წყვდიადი, მოუხმეთ ღარიბ გლეხობას მხარი დაუჭიროს ქალაქისა და სოფლის მუშებს მათს სახელოვან ბრძოლაში.

რესპუბლიკას რომ მოიპოვებენ, რუსეთის მუშები შეუერთდებიან ყველა სხვა ქვეყნის მუშებს და გაბედულად წაიყვანენ მთელ კაცობრიობას სოციალიზმისაკენ, იმ წესწყობილებისაკენ, როდესაც არ იქნებიან არც მდიდრები და არც ღარიბები, როდესაც ერთი მუჭა მდიდრები ვერ შეძლებენ მილიონობით ადამიანების გადაქცევას თავიანთ დაქირავებულ მონებად.

ამხანაგებო! როგორც კი მოვახერხებთ, ჩვენ გავეშურებით რუსეთისაკენ, რათა იქ შევუერთდეთ ჩვენი მოძმე მუშებისა და ჯარისკაცების ბრძოლას. მაგრამ ჩვენ იქაც არ დაგივიწყებთ თქვენ. ჩვენ შევეცდებით გამოგიგზავნოთ ხოლმე თავისუფალი რუსეთიდან წიგნები, გაზეთები და მოგაწოდოთ ცნობები, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ მოვითხოვთ, რომ თქვენ გეგზავნებოდეთ ფული და პური საკმაო რაოდენობით. და ჩვენ ვეტყვით აჯანყებულ მუშებსა და ჯარისკაცებს: თქვენს ძმებს, რომლებიც ახლა ტყვეობაში იტანჯებიან, შეგიძლიათ ენდოთ. ისინი ხალხის შვილები არიან, და ისინი ჩვენთან ერთად წამოვლენ ბრძოლაში თავისუფლებისათვის, ბრძოლაში რესპუბლიკისათვის, მეფის წინააღმდეგ.

«სოციალ-დემოკრატის» რედაქცია

დაწერილია 1917 წ.
მარტის შუა რიცხვებში

დაიბეჭდა 1917 წ.
ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის
ტექსტის მიხედვით

რევოლუცია რუსეთში და ყველა ქვეყნის მუშათა ამოცანები

ამხანაგო მუშებო!

იმ სოციალისტთა წინასწარგანჭვრეტა, რომელნიც სოციალიზმის ერთგულნი დარჩნენ და ველური, მხეცური საომარი განწყობილებით გაბრუებას არ დაემორჩილნენ, — გამართლდა. პირველმა რევოლუციამ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტთა შორის ამტყდარმა მსოფლიო ყაჩაღურმა ომმა წარმოშვა, უკვე იფეთქა. იმპერიალისტურმა ომმა, ესე იგი ომმა კაპიტალისტთა შორის ნაძარცვ-ნადავლის განაწილებისათვის, სუსტ ხალხთა ჩახშობისათვის, **იწყო** გადაქცევა სამოქალაქო ომად, ესე იგი მუშათა ომად კაპიტალისტთა წინააღმდეგ, მშრომელთა და ჩაგრულთა ომად თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ყოველგვარ მეფეთა წინააღმდეგ, მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, ომად კაცობრიობის სრული განთავისუფლებისათვის ომებისაგან, მასების სიღატაკისაგან, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისაგან!

რუსეთის მუშებს წილად ხვდათ პატივი და ბედნიერება პირველთ დაეწყოთ რევოლუცია, ესე იგი დაეწყოთ დიადი, ერთადერთი კანონიერი და სამართლიანი, ომი ჩაგრულებისა — მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

პეტერბურგის მუშებმა დაამარცხეს მეფის მონარქია. პოლიციისა და მეფის ჯარების წინააღმდეგ გამართულ გმირულ ბრძოლაში, ტყვიამფრქვევთა წინააღმდეგ უიარაღოდ დაწყებულ აჯანყებაში, მუშებმა მიიმხრეს პეტერბურგის გარნიზონის ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილი. იგივე მოხდა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. თავისი ჯარის მიერ მიტოვებული მეფე იძულებული გახდა დამორჩილებულიყო: მან ხელი მოაწერა ტახტიდან გადადგომის აქტს თავისი და აგრეთვე თავისი შვილის სახელით. მან წინადადება მისცა ტახტი მისი ძმისთვის, მიხეილისთვის გადაეცათ.

გადატრიალების უდიდესი სისწრაფის მეოხებით, ინგლისსაფრანგეთის კაპიტალისტთა პირდაპირი დახმარების მეოხებით, პეტერბურგის მუშათა და ხალხის მ თ ე ლ ი მასის არასაკმაო შეგნების მეოხებით, რუსეთის მემამულეთა და კაპიტალისტთა დარაზმულობისა და მომზადებულობის მეოხებით, მ ა თ ხელთ იგდეს სახელმწიფო ძალაუფლება. რუსეთის ახალ მთავრობაში, «დროებით მთავრობაში», უმნიშვნელოვანესი ადგილები, თავმჯდომარეობა, შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროები, ხვდათ ლვოვსა და გუჩკოვს, ოქტიაბრისტებს, რომელნიც მთელი თავისი ძალღონით ეხმარებოდნენ ნიკოლოზ სისხლიანსა და სტოლიპინ-ჩამომხრჩობს 1905 წლის რევოლუციის ჩახშობაში, მიწისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ მუშათა და გლეხთა დახვრეტა-ჩამოხრჩობაში. ნაკლებად მნიშვნელოვანი სამინისტროები ერგოთ კადეტებს: საგარეო საქმეთა სამინისტრო — მილიუკოვს, სახალხო განათლებისა — მანუილოვს, მიწათმოქმედებისა — შინგარიოვს. ხოლო ერთი სრულიად უმნიშვნელო ადგილი, იუსტიციის სამინისტრო, მისცეს ტრუდოვიკ კერენსკის, მოლაყბეს, რომელიც კაპიტალისტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ ხალხი ცარიელი დაპირებებით დაამშვიდონ, მყვირალა ფრაზებით გაასულელონ, «შეარიგონ» იგი მემამულურ და კაპიტალისტურ მთავრობასთან, რომელიც მოწადინებულია განაგრძოს ყაჩაღური ომი ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან კავშირში, განაგრძოს

ომი სომხეთის, კონსტანტინოპოლის, გალიციის დასაპყრობად, ომი იმისათვის, რომ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებმა შეინარჩუნონ ის ნადავლი, რაც მათ წაართვეს გერმანელ კაპიტალისტებს (გერმანელთა ყველა კოლონია აფრიკაში), და იმავე დროს წაართვან გერმანელ კაპიტალისტებს ის ნადავლი, რომელიც ამ ავაზაკებმა ხელთ იგდეს (საფრანგეთის ნაწილი, ბელგია, სერბია, რუმინეთი და სხვ.).

რასაკვირველია, მუშები ასეთ მთავრობას ვერ ენდობოდნენ. მუშებმა დაამხვეს მეფის მონარქია, იბრძოდნენ რა ზავისა, პურისა და თავისუფლებისათვის. მუშებმა უცებ იგრძნეს, თუ რატომ მოახერხეს გუჩკოვმა, მილიუკოვმა და კომპანიამ ხელიდან გამოეტაცნათ გამარჯვება მუშა ხალხისათვის? იმიტომ რომ რუსეთის მემამულენი და კაპიტალისტები კარგად მომზადებულნი და დარაზმულნი იყვნენ; იმიტომ რომ მათ მხარეზეა კაპიტალის ძალა, როგორც რუსეთის კაპიტალისტთა, ისე მთელი მსოფლიოს უმდიდრეს ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტთა სიმდიდრე. მუშები უცებ მიხვდნენ, რომ ზავისა, პურისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად მშრომელი კლასები, მუშები, ჯარისკაცები და გლეხები უნდა შეკავშირდნენ, დაირაზმონ, გაერთიანდნენ კაპიტალისტებისაგან განცალკევებით და მათ წინააღმდეგ.

და პეტერბურგის მუშებმა, როგორც კი დაამარცხეს მეფის მონარქია, მყისვე შექმნეს თავისი ორგანიზაცია, **მუშათა დეპუტატების საბჭო**, მაშინვე შეუდგნენ მის განმტკიცებასა და გაფართოებას, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების დამოუკიდებელი საბჭოების შექმნას. რევოლუციის უკვე რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ითვლებოდა ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი 1 500-ზე მეტი დეპუტატი მუშებისა და გლეხებისაგან. ეს საბჭო რკინიგზის მოსამსახურეთა და მშრომელი მოსახლეობის მთელი მასის ისეთი ნდობით სარგებლობდა, რომ მან ნამდვილ სახალხო მთავრობად გადაქცევა იწყო.

და გუჩკოვ-მილიუკოვის ყველაზე ერთგული მეგობრები და მფარველებიც კი, ინგლის-საფრანგეთის ყაჩაღური კაპიტალის ყველაზე ერთგული ქოფაკები — რობერტ ვილსონი, ინგლისის კაპიტალისტთა უმდიდრესი გაზეთის «ტაიმზის» («The Times» *) თანამშრომელი, და შარლ რივე, საფრანგეთის კაპიტალისტთა უმდიდრესი გაზეთის «ტანის» («Le Temps» **) თანამშრომელი, დიახ, ესენიც კი, რომელნიც გაცოფებულნი აგინებენ მუშათა დეპუტატების საბჭოს, მაინც იძულებული იყვნენ ელიარებინათ, რომ **რუსეთში ორი მთავრობაა.** ერთია — «ყველასაგან» ცნობილი (ესე იგი ნამდვილად ყველა მ დ ი დ ა რ თ ა გ ა ნ ცნობილი) მემამულეთა და კაპიტალისტთა, გუჩკოვებისა და მილიუკოვების მთავრობა. მეორეა — «არავისგან» (მდიდართა კლასების მხრივ) **არ** ცნობილი, მუშათა და გლეხთა მთავრობა: პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელიც მიისწრაფვის მ თ ე ლ რ უ ს ე თ შ ი დააარსოს მუშათა დეპუტატების საბჭოები და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

ვნახოთ ერთი, რას ამბობს და რას აკეთებს ეს ორი მთავრობა.

1. რ ა ს ა კ ე თ ე ბ ს მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ თ ა მ თ ა ვ რ ო ბ ა, ლ ვ ო ვ — გ უ ჩ კ ო ვ — მ ი ლ ი უ კ ო ვ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა?

ეს მთავრობა ფრიად ლამაზ-ლამაზ დაპირებებს არიგებს მარჯვნივ და მარცხნივ. იგი რუსეთის ხალხს ჰპირდება ყველაზე სრულ თავისუფლებას. იგი გვპირდება მოიწვიოს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება, რომელიც დააწესებს რუსეთის მმართველობის ფორმას. კერენსკი და კადეტთა ბელადები თავიანთ თავს დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრეებად აცხადებენ. თეატრალური რევოლუციურობის მხრივ გუჩკოვ-მილიუკოვები მიუწვდომელნი არიან. რეკლამა გაფაციცებით მუშაობს. მაგრამ როგორია მათი ს ა ქ მ ე ე ბ ი?

* — «დროება». რ ე დ.

** — «დრო». რ ე დ.

ახალმა მთავრობამ, რომელიც თავისუფლებას გვპირდება, სინამდვილეში მოლაპარაკება გამართა მეფის ოჯახთან, მეფის დინასტიასთან, მონარქიის აღდგენის შესახებ. მან წინადადება მისცა მიხეილ რომანოვს, რეგენტობა, ე. ი. დროებით მეფობა იკისრეო. რუსეთში მონარქია უკვე აღდგენილი იქნებოდა, გუჩკოვებისა და მილიუკოვებისათვის ხელი რომ არ შეეშალათ მუშებს, რომელნიც პიტერში მანიფესტაციებს მართავდნენ და დროშებზე აწერდნენ: «მიწა და თავისუფლება! სიკვდილი ტირანებს!». ისინი ცხენოსან ჯართან ერთად თავს იყრიდნენ სათათბიროს წინ მოედანზე და აფრიალებდნენ დროშებს წარწერით: «გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას ყველა ქვეყანაში!». გუჩკოვ-მილიუკოვების მოკავშირე მიხეილ რომანოვი მიხვდა, რომ ასეთ ვითარებაში უფრო გონივრულია უარისთქმა, ვიდრე მას ტახტზე არ აირჩევს დამფუძნებელი კრება, და ამნაირად რუსეთი — დროებით — რესპუბლიკად დარჩა.

მთავრობამ ყოფილი მეფე თავისუფლად დატოვა. მუშებმა აიძულეს დაპატიმრებინათ იგი. მთავრობას უნდოდა არმიის მთელი სარდლობა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვისთვის გადაეცა. მუშებმა აიძულეს გადაეყენებინათ იგი. ცხადია, მემამულე ლვოვ-გუჩკოვები ხვალვე შეუხმატკბილდებოდნენ რომანოვს ან სხვა მემამულეს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო რომ არ ყოფილიყო.

მთავრობამ ხალხისადმი მიმართულ თავის მანიფესტშიც და საზღვარგარეთ რუსეთის ყველა წარმომადგენლისადმი გაგზავნილ მილიუკოვის დეპეშაშიც გამოაცხადა, რომ იგი რუსეთის მიერ დადებული ყ ვ ე ლ ა საერთაშორისო ხელშეკრულების ე რ თ გ უ ლ ი რ ჩ ე ბ ა. ეს ხელშეკრულებები ტახტიდან ჩამოგდებული მეფის მიერ არის დადებული. მთავრობა ამ ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას ვერ გაბედავს, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ იგი ხელფეხშეკრულია რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის კაპიტალით; მეორე, იმიტომ, რომ მას ეშინია ხალხისა, რომელიც გაგლეჯს გუჩკოვებსა და მილიუ-

კოვებს, თუ გაიგო, რომ კაპიტალისტებს სურთ კონსტანტინოპოლის დასაპყრობად, გალიციისა და სხვათა დასახრჩობად წარმოებულ ომში რუსეთის კიდევ 5, კიდევ 10 მილიონი მუშა და გლეხი დაანებონ გასაჟლეტად.

რაღა ფასი აქვს თავისუფლების დაპირებას, თუ კი ხალხს არ შეუძლია გაიგოს სიმართლე იმის შესახებ, თუ მემამულე-მეფის რომელი ხელშეკრულებებისთვის სურთ კაპიტალისტებს კიდევ და კიდევ დაღვარონ ჯარისკაცთა სისხლი?

რაღა ფასი აქვს ათასგვარი თავისუფლებისა და თვით დემოკრატიული რესპუბლიკის დაპირებასაც კი იმ ხალხისათვის, რომელსაც შიმშილობა ემუქრება და რომელიც თვალახვეული უნდათ წაიყვანონ სასაკლაოზე იმისათვის, რომ რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებმა გაძარცვონ გერმანიის კაპიტალისტები?

იმავე დროს კი გუჩკოვებისა და მილიუკოვების მთავრობა პირდაპირი ძალადობით ახშობს რუსეთის მუშათა ყოველგვარ ცდას — შეუთანხმდნენ თავიანთ ძმებს, სხვა ქვეყნების მუშებს: არც გაზეთ «პრავდას», რომელმაც კვლავ იწყო გამოსვლა პეტერბურგში რევოლუციის შემდეგ, არც ჩვენი პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, ცენტრალური კომიტეტის მანიფესტს, პიტერში გამოცემულს, არც დეპუტატ ჩხეიძისა და მისი ჯგუფის მოწოდებებს — მთავრობა ა რ უ შ ვ ე ბ ს რუსეთიდან!!

მუშებო და გლეხებო! შეგიძლიათ დამშვიდებულნი იყოთ: თქვენ აღგითქვეს თავისუფლება — თავისუფლება მიცვალებულთათვის, შიმშილით დაღუპულთა და ომში გაჟლეტილთათვის!!

მაგრამ ახალ მთავრობას თავის პროგრამებში კ რ ი ნ ტ ი ც ა რ დაუძრავს არც გლეხებისათვის მიწის მიცემაზე, არც მუშებისათვის ხელფასის მომატებაზე. დღემდე არ დაუწესებიათ დამფუძნებელი კრების მოწვევის არავითარი ვადა. პეტერბურგის ქალაქის საბჭოს არავითარი არჩევნები არ დაუნიშნავთ. სახალხო მილიციას უმორჩილებენ ერობებსა და

ქალაქის თვითმმართველობებს, რომლებიც, თანახმად სტოლიპინის კანონისა, არჩეულნი არიან მხოლოდ კაპიტალისტებისა და უმდიდრესი მემამულეების მიერ. გუბერნატორებად ნიშნავენ მემამულეებს, — აი, ესეც თქვენი «თავისუფლება»!

2. რას აკეთებს და რას უნდა აკეთებდეს მუშური და გლეხური მთავრობა?... *

დაწერილია 1917 წ. 12 (25) მარტს

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ლენინის II კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში[123]

ავტორეფერატი

ლენინის რეფერატი, რომელიც 2½ საათი გრძელდებოდა, ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ლენინმა მოგვცა იმ ისტორიული პირობების ნარკვევი, რომლებსაც შეეძლოთ და კიდევაც უნდა წარმოეშვათ ისეთი «სასწაული», როგორიცაა მეფის მონარქიის დაცემა 8 დღეში. ამ პირობებს შორის მთავარი ადგილი უჭირავს 1905 — 1907 წლების «დიდ ამბოხებას», რომელსაც ასე უსირცხვილოდ ოცნებავენ ახლანდელი მდგომარეობის ბატონ-პატრონები, გუჩკოვები და მილიუკოვები, რომელნიც აღტაცებულნი არიან 1917 წლის «სახელოვანი რევოლუციით». მაგრამ 1905 წლის ნამდვილად ღრმა რევოლუციას რომ «ნიადაგი» არ «მოეხნა», მას რომ მოქმედებაში არ ეჩვენებინა ერთმანეთისათვის ყველა კლასი და ყველა პარტია, მას რომ მეფის ხროვის მთელი სიველურე და მხეცობა არ გამოეაშკარავებინა, 1917 წლის სწრაფი გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

პირობების სრულიად განსაკუთრებულმა შეხამებამ 1917 წელს შესაძლებელი გახადა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული სულ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ძალთა დარტყმების გაერთიანება. ჯერ-ერთი, ინგლის-საფრანგეთის ფინანსური კაპიტალი, რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად ბატონობს და მთელ ქვეყნიერებას ძარცვავს, 1905 წელს რევოლუციის წინააღმდეგი იყო და ცარიზმს დაეხმარა (1906 წლის სესხი) რევოლუციის ჩახრჩობაში. ახლა ის უშუალოდ

და უაღრესად აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციაში და მოაწყო გუჩკოვების, მილიუკოვების, არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის ნაწილის პირდაპირი შეთქმულება იმ მიზნით, რომ ნიკოლოზ II გადაეყენებინათ ან აეძულებინათ დაეთმო. მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ფინანსური კაპიტალის თვალსაზრისით, გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა საბანკო ფირმის — «ინგლისი და საფრანგეთი» — უბრალო ნოქარია, ხალხთა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის განგრძობის იარაღია. მეორე, მეფის მონარქიის დამარცხებებმა აღგავა არმიის ძველი მეთაურთა შემადგენლობა და იგი ახალი, ახალგაზრდა, ბურჟუაზიული შემადგენლობით შეცვალა. მესამე, რუსეთის მთელი ბურჟუაზია, რომელიც 1905 — 1914 წლებში სწრაფად და 1914 — 1917 წლებში კიდევ უფრო სწრაფად დაირაზმა, მეფის დამპალი მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში მემამულეებთან გაერთიანდა და უნდოდა სომხეთის, კონსტანტინოპოლის, გალიციისა და სხვათა ძარცვით გამდიდრებულიყო. მეოთხე, ამ იმპერიალისტური ხასიათის ძალებს მიემატა ღრმა და მძლავრი პროლეტარული მოძრაობა. პროლეტარიატი ახდენდა რევოლუციას, იგი მოითხოვდა ზავს, პურსა და თავისუფლებას; მას საერთო არა ჰქონდა რა იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან, და სწორედ მან გაიყოლია არმიის უმრავლესობა, რომელიც მუშებისა და გლეხებისაგან შედგება. იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა დაიწყო.

აქედან წარმოდგება ამ რევოლუციის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც მას აქცევს ომით წარმოშობილი პირველი რევოლუციის მხოლოდ პირველ ეტაპად. გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობას, მემამულურსა და კაპიტალისტურ მთავრობას არ შეუძლია მისცეს ხალხს არც ზავი, არც პური, არც თავისუფლება. იგი ყაჩაღური ომის განგრძობის მთავრობაა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ იგი ცარიზმის საერთაშორისო ხელშეკრულებათა ერთგულია, ეს ხელშეკრულებანი კი თავიდან ბოლომდე მძარცველურია. ამ მთავრობას მისთვის საუკეთესო შემთხვევაში კრიზისის გადაწევა თუ

შეუძლია, მაგრამ შიმშილობისაგან ჩვენი ქვეყნის ხსნას იგი ვ ე რ შეძლებს. და რამდენი «დაპირებაც» (იაფფასიანი დაპირებანი) უნდა მოგვცეს, იგი ვერ მოგვცემს ვერც თავისუფლებას, რადგან იგი შებორკილია მემამულური მიწათმფლობელობისა და კაპიტალის ინტერესებით, მან ერთბაშად დაიწყო დინასტიასთან გ ა რ ი გ ე ბ ა მონარქიის აღსადგენად.

ამიტომ ყველაზე დიდი სიბრიყვე იქნებოდა ტაქტიკა ახალი მთავრობისათვის «მხარის დაჭერისა» თითქოსდა «რეაქციასთან ბრძოლის» ინტერესებისათვის. ასეთი ბრძოლისათვის საჭიროა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ა, რაც ერთადერთი სერიოზული, რეალური გარანტიაა ცარიზმის წინააღმდეგაც და მონარქიის აღდგენისადმი გუჩკოვ-მილიუკოვების მისწრაფების წინააღმდეგაც.

ამიტომ მართალია დეპუტატი სკობელევი, რომელმაც თქვა, რუსეთი «მეორე, ნამდვილი (wirklich), რევოლუციის წინაშე იმყოფებაო».

და სახალხო ორგანიზაცია ამ რევოლუციისათვის არის და იზრდება. ეს არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელსაც ტყუილუბრალოდ როდი ლანძღავენ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის აგენტები, «Times»-ისა * და «Le Temps»-ის ** კორესპოდენტები.

მუშათა დეპუტატების საბჭოს შესახებ გაზეთებში მოთავსებული ცნობების შესწავლით ლენინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ საბჭოში სამი მიმდინარეობაა. პირველი მიმდინარეობა ყველაზე ახლოსაა სოციალ-პატრიოტებთან. იგი ნდობას უცხადებს კერენსკის, ფრაზის გმირს, გუჩკოვისა და მილიუკოვის ამ სათამაშოს, «ლუიბლანელობის» უცუდეს წარმომადგენელს, რომელიც მუშებს ცარიელი დაპირებებით კვებავს და მყვირალა ფრაზებს წარმოთქვამს à la *** კაუცკი და კომპანია ევროპელ სოციალ-პატ-

* — «დროება». რ ე დ.

** — «დრო». რ ე დ.

*** — მსგავსი. რ ე დ.

რიოტთა და სოციალ-პაციფისტთა ყაიდაზე, ნამდვილად კი ცდილობს მუშები ყაჩაღური ომის განგრძობასთან «შეარიგოს». კერენსკის პირით რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია მუშებს ეუბნება: ჩვენ მოგცემთ შენ რესპუბლიკას, 8 საათიან სამუშაო დღეს (ის უკვე შემოღებულია პეტერბურგში), ჩვენ გპირდებით თავისუფლებებს, — მაგრამ ყოველივე ამას ჩავდივართ იმისათვის, რომ შენ დაგვეხმარო თურქეთისა და ავსტრიის გაძარცვაში, გერმანიის იმპერიალიზმისთვის მისი ნადავლის წართმევაში, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მიერ ნადავლის შენარჩუნებაში.

მეორე მიმართულებაა — ჩვენი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი. გაზეთებში დაიბეჭდა ადგილები (**Auszug**) ჩვენი ცენტრალური კომიტეტის «მანიფესტიდან». ეს მანიფესტი გამოქვეყნდა სანკტ-პეტერბურგში 18 მარტს. მასში წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნები: დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია გლეხთა სასარგებლოდ, პურის მარაგის კონფისკაცია, საზავო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყება არა გუჩკოვისა და მილიუკოვის მთავრობის მიერ, არამედ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ. მანიფესტის სიტყვით, ეს საბჭო არის ნამდვილი რევოლუციური მთავრობა. (ლენინმა დასძინა, «**Times**»-ის კორესპონდენტიც ამბობს, რომ რუსეთში ორი მთავრობაა). მოლაპარაკება დაუყოვნებლივი ზავის შესახებ უნდა ვაწარმოოთ არა ბურჟუაზიულ მთავრობებთან, არამედ ყველა მეომარი ქვეყნის პროლეტარებთან. მანიფესტი მოუწოდებს ყველა მუშას, გლეხსა და ჯარისკაცს, აირჩიონ დელეგატები მუშათა დეპუტატების საბჭოში გასაგზავნად.

ასეთია ერთადერთი ნამდვილად სოციალისტური, ნამდვილად რევოლუციური ტაქტიკა.

მესამე მიმართულებაა ჩხეიძე და მისი მეგობრები. ისინი მერყეობენ, რაც აშკარად ეტყობა «**Times**»-ისა და

«Le Temps»-ის გამოხმაურებას, რომლებიც ხან აქებენ და ხან ლანძღავენ ჩხეიძეს. როდესაც ჩხეიძემ უარი თქვა მე-2 დროებითს მთავრობაში შესვლაზე, როდესაც მან ახლანდელი ომი ორივე მხრივ იმპერიალისტურ ომად გამოაცხადა და სხვა, იგი პროლეტარულ პოლიტიკას აწარმოებდა. როდესაც ჩხეიძე შედიოდა 1-ლ დროებითს მთავრობაში («სათათბიროს კომიტეტი»), როდესაც იგი თავისი მოწოდების მე-3 პარაგრაფით მოითხოვდა «**ausreichende Teilnahme der Vertreter der russischen Arbeiterschaft an der Regierung**» (ინტერნაციონალისტთა მონაწილეობას იმპერიალისტური ომის მთავრობაში!!), როდესაც იგი (და სკობელევი) ამ იმპერიალისტურ მთავრობას მოუწოდებდა დაეწყო საზავო მოლაპარაკება (მუშებისთვის იმ ჭეშმარიტების განმარტების მაგივრად, რომ ბურჟუაზია ხელფეხშეკრულია ინტერესებით ფინანსური კაპიტალისა, რომელსაც არ შეუძლია იმპერიალიზმს თავი დააღწიოს), როდესაც ჩხეიძის მეგობრები, ტულიაკოვი და სკობელევი, გუჩკოვისა და მილიუკოვის მთავრობის დავალებით მოგზაურობენ ლიბერალური გენერლების წინააღმდეგ აჯანყებულ ჯარისკაცთა «დასამშვიდებლად» (ნეპენინის (**Admiral Nepenin**) მოკვლა, რაც გერმანელმა იმპერიალისტებმაც კი გამოიტირეს!!), — მაშინ ჩხეიძე და მისი მეგობრები უცუდეს «ლუიბლანელობას» ადგებიან, ბურჟუაზიის პოლიტიკას აწარმოებენ, რევოლუციის საქმეს ზიანს აყენებენ.

ლენინმა გაილაშქრა აგრეთვე გორკის სოციალ-პაციფისტური მოწოდების წინააღმდეგ და მწუხარება გამოთქვა, რომ დიდი ხელოვანი ხელს ჰკიდებს პოლიტიკას და წვრილი ბურჟუაზიის ცრურწმენას იმეორებს.

მე-2 ნაწილში ლენინმა ამოცანად დაისახა ეჩვენებინა, თუ როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის ტაქტიკა. მან დაასურათა ახლანდელი მომენტის ისტორიული სიტუაციის თავისებურება, როგორც ისეთი მომენტისა, როდესაც ხდება გადასვლა რევოლუციის პირველი ეტა-

პიდან მეორე ეტაპზე, ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებიდან — ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ აჯანყებაზე ანუ კონვენტზე, რომლადაც შეიძლება იქცეს დამფუძნებელი კრება, თუ მთავრობა შეასრულებს თავის «დაპირებას» და მოიწვევს მას.

მომენტის სპეციალური ამოცანა, რომელიც ამ გარდამავალ მდგომარეობას შეესაბამება, პროლეტარიატის ორგანიზაციაა. მაგრამ ეს უნდა იყოს არა შაბლონური ორგანიზაცია, რომელსაც სჯერდებიან სოციალიზმის მოღალატენი, ყველა ქვეყნის სოციალ-პატრიოტები და ოპორტუნისტები, აგრეთვე კაუცკელები, — არამედ რევოლუციური ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია, ჯერ-ერთი, საყოველთაო სახალხო უნდა იყოს; მეორე, იგი სამხედრო და სახელმწიფოებრივ ფუნქციებს უნდა აერთებდეს.

II ინტერნაციონალში გაბატონებულმა ოპორტუნისტებმა დაამახინჯეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება რევოლუციური პერიოდის სახელმწიფოს შესახებ. კაუცკიმ თავის პოლემიკაში პანეკუკის წინააღმდეგ (1912) აგრეთვე უღალატა მარქსის თვალსაზრისს. 1871 წლის კომუნის გამოცდილების საფუძველზე მარქსი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასს «die Arbeiterklasse nicht die fertige Staatsmaschine einfach in Besitz nehmen und sie für ihre eigenen Zwecke in Bewegung setzen kann». Das Proletariat soll (muss?) diese Maschine (Armee, Polizei, Bureaukratie) zerbrechen [124]. Das ist, was die Opportunisten (Sozialpatrioten) und Kautskianer (Sozialpazifisten) entweder bestreiten oder vertuschen. Das ist die wichtigste praktische Lehre der Pariser Kommune und der russischen Revolution von 1905.

Wir unterscheiden uns von den Anarchisten dadurch, dass wir die Notwendigkeit des Staates für die rewolutionäre Umwälzung anerkennen. Wir unterscheiden uns aber von den Opportunisten und Kautskianer dadurch, dass wir sagen: wir

brauchen nicht die «fertige» Staatsmaschinerie, wie sie in den demokratischsten bürgerlichen Republiken existiert, sondern unmittelbare Macht bewaffneter und organisierter Arbeiter. Das ist der Staat, den wir brauchen. Das sind, ihrem Wesen nach, die Kommune von 1871, und die Arbeiterdelegierterenräte von 1905 und 1917. Auf diesem Fundament müssen wir weiter bauen *. არ დავანებოთ პოლიციის აღდგენა! შევქმნათ სახალხო მილიციისგან ნამდვილად საყოველთაო სახალხო, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მოქმედი მილიცია, «ჩვენი სახელმწიფო», იმ ანგარიშით, რომ კაპიტალისტები უხდიდნენ მუშებს იმ დღეების ხელფასს, რასაც ისინი მილიციაში სამსახურს მოახმარენ. შევავსოთ «სასწაულებრივი პროლეტარული გმირობა», რაც პროლეტარიატმა გამოიჩინა გუშინ ცარიზმთან ბრძოლაში და რასაც ის გამოიჩენს ხვალ გუჩკოვ-მილიუკოვებთან ბრძოლაში, «სასწაულებრივი პროლეტარული დარაზმულობით». აი, მომენტის ლოზუნგი! აი, წარმატების საწინდარი!

* — «მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფოებრივ მანქანას და აიძულოს იგი ემსახუროს მის საკუთარ მიზნებს». პროლეტარიატმა უნდა დაამხვრიოს ეს მანქანა (არმია, პოლიცია, ბიუროკრატია). ეს არის ის, რასაც ოპორტუნისტები (სოციალ-პატრიოტები) და კაუცკელები (სოციალ-პაციფისტები) სადავოდ აცხადებენ ან აფუჩეჩებენ. ეს არის პარიზის კომუნისა და რუსეთის 1905 წლის რევოლუციის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული გაკვეთილი.

ანარქისტებისაგან ჩვენ იმით განვსხვავდებით, რომ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფო რევოლუციური გადატრიალების მოსახდენად. მაგრამ ოპორტუნისტებისა და კაუცკელებისაგან ჩვენ იმით განვსხვავდებით, რომ ვამბობთ: ჩვენ გვესაჭიროება არა «მზამზარეული» სახელმწიფოებრივი მანქანა, როგორც ის არსებობს ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში, არამედ შეიარაღებულ და ორგანიზებულ მუშათა უშუალო ძალაუფლება. ეს არის ის სახელმწიფო, როგორიც ჩვენ გვესაჭიროება. თავისი არსებით ასეთი სახელმწიფო იყო 1871 წლის კომუნა და მუშათა დეპუტატების საბჭოები 1905 და 1907 წლებში. ამ საძირკველზე უნდა ვაშენოთ შემდეგ ჩვენ. რედ.

ამ გზაზე უბიძგებენ მუშებს ობიექტური პირობები: შიმშილობა, პურის განაწილების აუცილებელი საჭიროება, «Zivildienstpflicht»-ის * გარდუვალობა, ზავის მიღწევის აუცილებლობა. ჩვენი საზავო პირობები — ამბობდა ლენინი — ასეთია: 1) მუშათა დეპუტატების საბჭო, როგორც რევოლუციური მთავრობა, დაუყოვნებლივ განაცხადებდა, რომ არც ცარიზმისა და არც ბურჟუაზიის არავითარი ხელშეკრულებებით იგი შებორკილი არ არის; 2) იგი დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებდა ამ საზიზღარ, მძარცველურ ხელშეკრულებებს; 3) იგი აშკარად წინადადებას მისცემდა ყველა მეომარ მხარეს დაუყოვნებლივ დადონ დროებითი ზავი; 4) იგი ზავის პირობად წამოაყენებდა ყველა კოლონიისა და ყველა არასრულუფლებიანი ხალხის განთავისუფლებას; 5) იგი განაცხადებდა, რომ არ ენდობა ბურჟუაზიულ მთავრობებს და მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს დაამხონ ეს მთავრობანი; 6) იგი განაცხადებდა, რომ ვალები ომის საწარმოებლად ბურჟუაზიამ აიღო და ისინი კაპიტალისტებმა უნდა გადაიხადონ.

აი ის პოლიტიკა, რომელიც მუშათა დეპუტატების საბჭოს მხარეზე გადაიყვანდა როგორც მუშათა, ისე უღარიბეს გლეხთა უმრავლესობას. მემამულეთა მიწების კონფისკაცია უზრუნველყოფილი იქნებოდა. ესჯერ კიდევ არ იქნებოდა სოციალიზმი. ეს იქნებოდა მუშათა და უღარიბეს გლეხთა გამარჯვება, რომელიც უზრუნველყოფს ზავს, თავისუფლებას და პურს. ზავის ასეთი პირობებისათვის ჩვენც თანახმანი ვართ ვაწარმოოთ რევოლუციური ომი! ლენინმა მოაგონა, რომ «სოციალ-დემოკრატის» (1915 წ. 13 ოქტომბრის) 47-ე ნომერში უკვე განცხადებული იყო, რომ ამგვარ რევოლუციურ ომზე სოციალ-დემოკრატია უარს არ ამბობს**. ყველა ქვეყნის სოციალისტური პროლეტარიატის დახმარება უზრუნველყოფილი იქნებოდა.

* — «სამოქალაქო სამსახურის ვალდებულებანი». რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 490 — 494. რედ.

სოციალ-პატრიოტთა საზიზღარი მოწოდებანი (როგორიცაა გედის სამარცხვინო წერილი: «ჯერ გამარჯვება, შემდეგ რესპუბლიკა») კვამლივით გაიფანტებოდა.

გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას! — დაამთავრა რეფერენტმა. — გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რევოლუციას, ROMELIC DAIწუo!

დაწერილია 1917 წ.
15 — 16 (28 — 29) მარტს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დაიბეჭდა 1917 წ. 31 მარტს
და 2 აპრილს გაზეთ
«Volksrecht»-ში №№ 77 და 78

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1929 წ. ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» № 10 (93)

რესპუბლიკელ შოვინისტთა ოინები

1917 წლის 30 მარტი.

ეს-ეს არის «ციურიხის ახალი გაზეთის» დღევანდელ, 30 მარტის, 557-ე ნომერში, დილის პირველ გამოშვებაში, წავიკითხე შემდეგი:

«მ ი ლ ა ნ ი, 29 მარტი. ს.-პეტერბურგელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ იქ დაუპატიმრებიათ ვიღაც ჩ ე რ ნ ო მ ა ზ ო ვ ი, რედაქტორი სოციალისტურ გაზეთ «პრავდისა», რომელმაც გამოსვლა დაიწყო რევოლუციის დროს. ძველი რეჟიმის დროს ჩერნომაზოვი საიდუმლო პოლიციის აგენტი იყო და ყოველთვიურად 200 მანეთს იღებდა. მისი ხელმძღვანელობით გამომავალი გაზეთი, რომელიც სოციალისტურ რესპუბლიკას მოითხოვდა, სასტიკად თავს ესხმოდა დროებითს მთავრობას იმ აშკარა მიზნით, რომ რეაქციისათვის სამსახური გაეწია. საერთოდ უპასუხისმგებლო წრეების აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ ეჭვს იწვევს, რომ ეს წრეები შეთანხმებული არიან ძველ რეჟიმთან და მტერთან. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომაც კი, რომელიც, დროებითს მთავრობასთან შედარებით, გარკვეულ რადიკალურ თვალსაზრისზე დგას, ზურგი შეაქცია ამ წრეებს».

ეს ცნობა თავისი სიტყვებით გადმოსცემს იმ დეპეშას, რომელიც მოთავსებული იყო შოვინისტურ იტალიურ გაზეთ «საღამოს კურიერში» («Corriere della Sera»)[125], მილანი, 29 მარტი, და რომელიც იქ პეტერბურგიდან გამოუგზავნიათ 26 მარტს საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე. იმისათვის, რომ მკითხველებს განვუმარტო, თუ რაში მდგომარეობს ამჯერად

საზოგადოდ შოვინისტების ჩვეულებრივი «ოინბაზობა», მე ცოტა შორიდან უნდა დავიწყო.

«ძველი რეჟიმის დროს», სახელდობრ 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის ივლისამდე, პეტერბურგში გამოდიოდა ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი «პ რ ა ვ დ ა». ფაქტიურად ეს გაზეთი იყო ჩვენი პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ორგანო. მე ამ გაზეთში წერილებს ვათავსებდი თითქმის ყოველდღე კრაკოვიდან, სადაც მაშინ ვცხოვრობდი როგორც პოლიტიკური ემიგრანტი. სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, რომელნიც ჩვენს პარტიას ეკუთვნოდნენ და რომელნიც მეფემ ციმბირში გადაასახლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ აგიტაციისათვის, ბადაევი, მურანოვი, პეტროვსკი, შაგოვი, სამოილოვი (1914 წლის ზაფხულამდე ამ ჯგუფს ეკუთვნოდა მალინოვსკიც), ხშირად ჩამოდიოდნენ კრაკოვში და ჩვენ ვთათბირობდით ხოლმე, თუ როგორ წაგვემართა გაზეთი.

თავისთავად ცხადია, მეფის მთავრობა არათუ მთელი ძალღონით ჯაშუშებს გარს არტყამდა «პრავდას», რომელსაც 60 ათასამდე ტირაჟი ჰქონდა, არამედ ცდილობდა მის მოსამსახურეთა შორის პროვოკატორებიც შეეპარებინა. პროვოკატორთა შორის იყო ჩერნომაზოვიც, რომელსაც პარტიულ წრეებში მეტსახელად «მირონს» უწოდებდნენ. მან ნდობა მოიპოვა და 1913 წელს «პრავდის» მდივანი გახდა.

დეპუტატთა ჯგუფთან ერთად ვადევნებდით რა თვალყურს ჩერნომაზოვის მოქმედებას, ჩვენ, ჯერ-ერთი, გამოვიტანეთ დასკვნა, რომ იგი თავის სტატიებში სახელს უტეხს ჩვენს მიმართულებას, ხოლო, მეორე, პოლიტიკური პატიოსნების მხრივ საეჭვო პირია.

მაგრამ მოადგილის გამონახვა არც ისე ადვილი იყო, მით უმეტეს, რომ დეპუტატთა ჯგუფს კრაკოვთან ურთიერთობა ჰქონდა ან არალეგალური გზით, ან დეპუტატების ჩამოსვლის საშუალებით, ეს ჩამოსვლა კი არ შეიძლებოდა ძალიან ხშირი

ყოფილიყო. ბოლოს, 1914 წლის გაზაფხულზე ჩვენ მოვახერხეთ და პეტერბურგში გადავიყვანეთ როზენფელდი (კამენევი), რომელიც 1914 წლის დამლევს მეფემ ჩვენს დეპუტატებთან ერთად აგრეთვე ციმბირს გადაასახლა.

როზენფელდს (კამენევს) დავალებული ჰქონდა საქმისგან ჩამოეშორებინა ჩერნომაზოვი და მან მართლაც სავსებით ჩამოაშორა იგი საქმეს. ჩერნომაზოვი დათხოვნილ იქნა. ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა ჩერნომაზოვის წინააღმდეგ აღძრული ეჭვების გამოსარკვევად დანიშნა გამოძიება, მაგრამ ზუსტი ცნობების შეკრება ვერ მოხერხდა. ასე რომ პეტერბურგელმა ამხანაგებმა ვერ გადაწყვიტეს ჩერნომაზოვი პროვოკატორად გამოეცხადებინათ. იძულებული ვიყავით დავჯერებოდით «პრავდისაგან» ჩერნომაზოვის ჩამოშორებას.

ჩერნომაზოვი და, ცხადია, სხვა პროვოკატორებიც რომ მეფეს ეხმარებოდნენ ჩვენი დეპუტატების ციმბირს გადასახლებაში, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა.

1916 წლის 13 ნოემბერს ჩვენი პარტიის «ცენტრალური კომიტეტის» პეტერბურგის «ბიუროსაგან» მივიღეთ ცნობა, რომ ჩერნომაზოვი ხელახლა ცდილობს შეძვრეს არალეგალურ ორგანიზაციაში და რომ «ბიურომ» ჩამოაშორა ორგანიზაციას «მირონი» და კიდევ ერთი პირი, რომელიც მასთან იყო დაკავშირებული, რომ «ბიურო» «ასე მოექცევა ყველას, ვინც კვლავ იქონიებს მასთან საქმესო».

ჩვენ, რასაკვირველია, ვუპასუხეთ, რომ ჩერნომაზოვის მონაწილეობა პარტიაში დაუშვებელია, ვინაიდან იგი ჩამოშორებულია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომლის მიღებაში მონაწილეობდნენ ზემოთ დასახელებული დეპუტატებიც.

ასეთია ისტორია ძველი «პრავდისა», რომელიც გამოდიოდა ძველი რეჟიმის, მეფის რეჟიმის დროს და რომელიც მეფემ ჩაახრჩო ომის წინ, 1914 წლის ივლისში.

იბადება კითხვა: ხომ არ მონაწილეობდა ჩერნომაზოვი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აგრეთვე ახალ «პრავდაში»,

რომელმაც იწყო პიტერში გამოსვლა რევოლუციის შემდეგ? ამის შესახებ მე არა ვიცი რა, ვინაიდან რევოლუციის შემდეგ გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა არ უშვებს არც ჩემს დეპეშებს «პრავდისადმი», არც, რასაკვირველია, «პრავდის» დეპეშებს ჩემდამი[125]. მე ისიც კი არ ვიცი, გადარჩა თუ არა ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ჩავიდნენ თუ არა პეტერბურგს კამენევი და დეპუტატები, რომელნიც იცნობენ მირონს და დაუყოვნებლივ ჩამოიშორებდნენ მას, თუ კი მან ისარგებლა პიროვნებათა შეცვლით და კვლავ მოგვეტმასნა.

საფრანგეთის სოციალ-შოვინისტურ გაზეთ «L'Humanité»-ს* 28 მარტს მოჰყავს დეპეშა, რომელიც თითქოს პეტერბურგიდან მიუღია გაზეთ «Petit Parisien»-ს[127]. ამ დეპეშაში ჩერნომაზოვს უწოდებენ «ექსტრემისტული სოციალ-დემოკრატიული გაზეთის «პრავდის» ყოფილ რედაქტორს».

მკითხველი, იმედია, ახლა უკვე გაიგებს გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობისა და მათი მეგობრების ბრძოლის ხერხთა მუხანათობასა და სიმდაბლეს. მათ სურთ ჩირქი მოსცხონ ჩვენს პარტიას, რომელიც ვითომ დაკავშირებულია ძველ რეჟიმთან და მტერთან. ამ მთავრობას და მის მეგობრებს სძულთ ჩვენი პარტია და ცილს სწამებენ მას, იმიტომ რომ ჩვენ ჯერ კიდევ 1915 წლის 13 ოქტომბერს განვაცხადეთ ჩვენი გაზეთის «სოციალ-დემოკრატის» (ჟენევა) 47-ე ნომერში: ჩვენ უეჭველად წინააღმდეგნი ვიქნებით იმპერიალისტური ომისა იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც რომ ამ ომს აწარმოებდეს არა მეფის მთავრობა, არამედ რუსეთის შოვინისტურ-რევოლუციური, შოვინისტურ-რესპუბლიკური მთავრობა**.

---

* — «კაცობრიობა». რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 490—494. რედ.

გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა სწორედ ასეთი მთავრობაა, იმიტომ რომ მან დაადასტურა ცარიზმის ყაჩაღური ხელშეკრულებანი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმთან და ამ ომში ისახავს ყაჩაღურ მიზნებს (სომხეთის, გალიციის, კონსტანტინოპოლისა და სხვ. დაპყრობას).

(ხვალ ვგზავნი «Volksrecht»-სა * და «Avanti!»-ში **).

დაიბეჭდა 1917 წ. 5 აპრილს
გაზეთში «Volksrecht» № 81
ხელმოწერა: N. Lenin
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1924 წ. ლენინის II კრებულში

იბეჭდება ხელნაწერი
პირის მიხედვით

---

* — «ხალხის უფლება». რედ.
** — «წინ!». რედ.

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის კოლეგიის დადგენილება

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის კოლეგია ადგენს მიღებულ იქნეს ამხ. რობერტ გრიმის წინადადება რუსეთში გერმანიაზე გავლით იმ ემიგრანტების დაბრუნების შესახებ, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურთ [128].

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის კოლეგია აღნიშნავს:

(1) რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა ამხ. რ. გრიმი ნეიტრალური ქვეყნის მთავრობის ერთ წევრთან, მინისტრ ჰოფმანთან, რომელმაც შვეიცარიის ოფიციალური ჩარევა შეუძლებლად ჩათვალა მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისის მთავრობა, უეჭველია, ამას მიიჩნევდა ნეიტრალიტეტის დარღვევად. რადგან ინგლისს არ უნდა გაატაროს ინტერნაციონალისტები;

(2) რომ რ. გრიმის წინადადება სავსებით მისაღებია, რადგან უზრუნველყოფილია თავისუფლად გავლა მიუხედავად პოლიტიკური მიმართულებებისა, «სამშობლოს დაცვის», რუსეთის მიერ ომის განგრძობის თუ ზავის დადების საკითხისადმი დამოკიდებულებისა და სხვ.;

(3) რომ ეს წინადადება ეყრდნობა რუსეთში ინტერნირებულ გერმანელებზე რუსი ემიგრანტების გაცვლის გეგმას, ამასთან ემიგრანტებს არავითარი საფუძველი არა აქვთ უარი თქვან რუსეთში ასეთი გაცვლის სასარგებლო აგიტაციაზე;

(4) რომ ამხ. რ. გრიმმა ეს წინადადება შეატყობინა პოლიტიკური ემიგრაციის ყველა მიმართულების წარმომადგენ-

ლებს და თავის მხრივ განაცხადა, რომ ახლანდელ ვითარებაში ეს ერთადერთი გზაა და სავსებით მისაღებია დღევანდელ პირობებში;

(5) რომ ჩვენ ყოველივე შესაძლებელი გავაკეთეთ, რათა სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები დაგვერწმუნებინა, რომ ამ წინადადების მიღება აუცილებელია და საქმის გაჭიანურება ყოვლად დაუშვებელია;

(6) რომ ზოგიერთი მიმართულების წარმომადგენელნი, სამწუხაროდ, საქმის კვლავ გაჭიანურების მომხრენი არიან, — ეს კი ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ უაღრესად მცდარ და რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის უდიდესი ზიანის მომტან გადაწყვეტილებად.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის კოლეგია ადგენს, ეცნობოს ჩვენი პარტიის ყველა წევრს ჩვენ მიერ წინადადების მიღებისა და დაუყოვნებლივი გამგზავრების შესახებ, ეთხოვოს მათ მოაწყონ წასვლის ყველა მსურველთა ჩაწერა და გადაეგზავნოს ამ დადგენილების ასლი სხვა მიმართულებათა წარმომადგენლებს.

ციურიხი, 1917 წ. 31 მარტი.

პირველად დაიბეჭდა 1923 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გამოსათხოვარი წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი

ამხანაგო შვეიცარიელო მუშებო!

მივემგზავრებით რა შვეიცარიიდან რუსეთში, რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური მუშაობის განსაგრძობად ჩვენს სამშობლოში, ჩვენ, წევრნი ცენტრალური კომიტეტის მიერ გაერთიანებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (განსხვავებით მ ე ო რ ე პარტიისაგან, რომელიც ი მ ა ვ ე სახელწოდებას ატარებს, მაგრამ რომელსაც ორგანიზაციული კომიტეტი აერთიანებს), გიძღვნით ამხანაგურ სალამს და გამოვთქვამთ უღრმეს ამხანაგურ მადლობას ემიგრანტებისადმი ამხანაგური დამოკიდებულებისათვის.

თუ ა შ კ ა რ ა სოციალ-პატრიოტები და ოპორტუნისტები, შვეიცარიელი «გრიუტლელნი», რომელნიც, როგორც ყველა ქვეყნის სოციალ-პატრიოტნი, პროლეტარიატის ბანაკიდან ბურჟუაზიის ბანაკში გადაბარგდნენ, თუ ეს ადამიანები ა შ კ ა რ ა დ მოგიწოდებდნენ თქვენ შებრძოლებოდით უცხოელთა მავნე გავლენას შვეიცარიის მუშათა მოძრაობაზე, — თუ შ ე ნ ი ღ ბ უ ლ ი სოციალ-პატრიოტები და ოპორტუნისტები, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ შვეიცარიის სოციალისტური პარტიის ბელადთა შორის, ფ ა რ უ ლ ა დ აწარმოებდნენ ასეთსავე პოლიტიკას, — ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ შვეიცარიის რევოლუციონერი სოციალისტური მუშები, ინტერნაციონალისტურ თვალსაზრისზე მდგომნი, მხურვალე

თანაგრძნობით გვეპყრობოდნენ და მათთან ამხანაგურმა ურთიერთობამ ჩვენ დიდი სარგებლობაც მოგვიტანა.

ჩვენ მუდამ განსაკუთრებულ სიფრთხილეს ვიჩენდით შვეიცარიის მოძრაობის იმ საკითხებზე გამოსვლის დროს, რომელთა გასაცნობადაც საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა ადგილობრივ მოძრაობაში. მაგრამ ჩვენ შორის ისინი — არა უმეტეს 10 — 15 კაცისა, — ვინც შვეიცარიის სოციალისტური პარტიის წევრები ვიყავით, მოვალედ ვთვლიდით თავს საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის საზოგადო და ძირითად საკითხებში მტკიცედ დაგვეცვა ჩვენი თვალსაზრისი, «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის» თვალსაზრისი, გადაჭრით შევბრძოლებოდით არა მარტო სოციალ-პატრიოტიზმს, არამედ ეგრეთწოდებული «ცენტრის» მიმართულებასაც, რომელსაც ეკუთვნიან რ. გრიმი, ფ. შნეიდერი, ჟაკ შმიდი და სხვები — შვეიცარიაში, კაუცკი, ჰააზე, «**Arbeitsgemeinschaft**» * — გერმანიაში, ლონგე, პრესმანი და სხვები — საფრანგეთში, სნოუდენი, რამსეი მაკდონალდი და სხვები — ინგლისში, ტურატი, ტრევესი და მათი მეგობრები — იტალიაში, ზემოხსენებული «ორგანიზაციული კომიტეტის» პარტია (აქსელროდი, მარტოვი, ჩხეიძე, სკობელევი და სხვ.) — რუსეთში.

ჩვენ თანხმობით ვმუშაობდით შვეიცარიის იმ რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებთან, რომელნიც ნაწილობრივ ჟურნალ «**Freie Jugend**»-ის [129] გარშემო იკრიბებოდნენ, რომელნიც ადგენდნენ და ავრცელებდნენ (გერმანულ და ფრანგულ ენაზე) რეფერენდუმის მოტივებს და მოითხოვდნენ 1917 წლის აპრილისათვის პარტიის ყრილობის მოწვევას ომთან დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად, — რომლებმაც ციურიხის საკანტონო ყრილობაზე **Töss**-ში ** შეიტანეს ახალგაზრდათა და «მემარცხენეთა» რეზოლუცია სამხედრო საკითხის შესახებ [130], — რომლებმაც ფრანგული შვეიცარიის ზოგ ადგილას 1917 წლის მარტში ფრანგულ და

* — «შრომითი თანამეგობრობა». რ ე დ.

** — ტესი. რ ე დ.

გერმანულ ენებზე გამოსცეს და გაავრცელეს ფურცელი «ჩვენი საზავო პირობები» და სხვ.

ჩვენ ძმურ სალამს ვუძღვნით ამ ამხანაგებს, რომლებთანაც ხელიხელჩაკიდებული ვმუშაობდით, როგორც თანამოაზრენი.

ჩვენ ოდნავი ეჭვიც კი არ გვეპარებოდა და არც ახლა ვეჭვობთ, რომ ინგლისის იმპერიალისტური მთავრობა არაფრის გულისათვის არ გაატარებს რუსეთში წასასვლელად რუს ინტერნაციონალისტებს, გუჩკოვ-მილიუკოვისა და კომპანიის იმპერიალისტური მთავრობის შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ, რუსეთის მიერ იმპერიალისტური ომის განგრძობის შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოკლედ უნდა შევჩერდეთ და გავარკვიოთ, თუ როგორ გვესმის რუსეთის რევოლუციის ამოცანები. ჩვენ მით უფრო საჭიროდ ვთვლით ეს გავაკეთოთ, რომ შვეიცარიის მუშათა საშუალებით შეგვიძლია და კიდევაც უნდა მივმართოთ გერმანელ, ფრანგ და იტალიელ მუშებს, ვინაიდან ესენი ლაპარაკობენ იმავე ენებზე, რომლებზედაც ლაპარაკობს შვეიცარიის მოსახლეობა, დღევანდლამდე მშვიდობის სიკეთითა და შედარებით უფრო მეტი პოლიტიკური თავისუფლებით რომ სარგებლობს.

ჩვენ უეჭველად ვრჩებით იმის ერთგულნი, რაც განვაცხადეთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში, გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», რომელიც ჟენევაში გამოდის, 1915 წლის 13 ოქტომბრის 47-ე ნომერში. ჩვენ იქ ვთქვით, რომ თუ რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა და ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკური მთავრობა, რომელსაც სურს განაგრძოს იმპერიალისტური ომი, განაგრძოს ომი ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან კავშირში, ომი კონსტანტინოპოლის, სომხეთის, გალიციისა და სხვათა და სხვათა დასაპყრობად, — ჩვენ ვიქნებით ასეთი მთავრობის სასტიკი მოწინააღმდეგენი, ჩვენ **წინააღმდეგი** ვიქნებით «სამშობლოს დაცვისა» **ასეთ** ომში. *

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 490 — 494. რ ე დ.

დაახლოებით ასეთი შემთხვევა დადგა. რუსეთის ახალი მთავრობა, რომელსაც ნიკოლოზ მეორის ძმასთან მოლაპარაკება ჰქონდა რუსეთში მონარქიის აღდგენის შესახებ და რომელშიც უმთავრესი, გადამწყვეტი პოსტები მ ო ნ ა რ ქ ი ს ტ ე ბ ს ლვოვსა და გუჩკოვს ეკუთვნით, — ეს მთავრობა ცდილობს რუსეთის მუშები მოატყუოს ლოზუნგით: «გერმანელებმა ვილჰელმი უნდა ჩამოაგდონო» (მართალია! ძაგრამ რატომ არ უნდა დავუმატოთ: ინგლისელებმა, იტალიელებმა და სხვებმა თავიანთი მეფეები უნდა ჩამოაგდონ, რუსებმა კი — თავიანთი მონარქისტები, ლვოვი და გუჩკოვი??). ეს მთავრობა ცდილობს ასეთი ლოზუნგის საშუალებით და იმ იმპერიალისტურ, მძარცველურ ხელშეკრულებათა გ ა მ ო უ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ლ ა დ, რომელნიც ცარიზმმა საფრანგეთთან, ინგლისთან და სხვებთან დადო **და რომელნიც გუჩკოვ — მილიუკოვ — კერენსკის მთავრობამ დაადასტურა,** — თავისი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ომი გერმანიასთან «თავდაცვითს» (ე. ი. პროლეტარიატის თვალსაზრისითაც კი სამართლიან, კანონიერ) ომად გაასაღოს, — რუსეთის, ინგლისისა და სხვა კაპიტალის მტაცებლური, იმპერიალისტური, მძარცველური მიზნების დაცვა რუსეთის რესპუბლიკის (რომელიც რუსეთში ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ არის და რომლის დაარსებას ლვოვები და გუჩკოვები ჯერ ა რ ც კ ი შ ე გ ვ ' პ ი რ ე ბ ი ა ნ!) «დაცვად» გაასაღოს.

თუ მართალია დეპეშით მიღებული უკანასკნელი ცნობები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ რუსეთის აშკარა სოციალ-პატრიოტები (როგორიც არიან ბატონები პლეხანოვი, ზასულიჩი, პოტრესოვი და სხვ.) და «ცენტრის» პარტია, «ორგანიზაციული კომიტეტის» პარტია, ჩხეიძის, სკობელევისა და სხვათა პარტია ერთგვარად დაუახლოვდნენ ერთმანეთს შემდეგი ლოზუნგის ნიადაგზე: «ვიდრე გერმანელები არ ჩამოაგდებენ ვილჰელმს, ჩვენი ომი თავდაცვითი ომიაო», — თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენ გაორკეცებული ენერგიით გავაჩაღებთ ბრძოლას ჩხეიძის, სკობელევისა და სხვ. პარტიის წინააღ-

მდეგ, ბრძოლას, რომელსაც წ ი ნ ა თ ა ც მუდამ ვეწეოდით ამ პარტიასთან მისი ოპორტუნისტული, მერყევი, ორპოფული პოლიტიკური მოქმედების გამო.

ჩვენი ლოზუნგია: არავითარი მხარდაჭერა გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობას! ხალხს ატყუებს ის, ვინც ამბობს, რომ ასეთი მხარდაჭერა აუცილებელია ცარიზმის აღდგენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. პირიქით, სწორედ გუჩკოვის მთავრობა ა წ ა რ მ ო ე ბ დ ა უ კ ვ ე მოლაპარაკებას რუსეთში მონარქიის აღდგენის შესახებ. მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატის შეიარაღებას და ორგანიზაციას შეუძლია ხ ე ლ ი შ ე უ შ ა ლ ო ს გუჩკოვებსა და კომპანიას რუსეთში მონარქიის ა ღ დ გ ე ნ ა შ ი. მხოლოდ ინტერნაციონალიზმის ერთგულ დამცველს — რუსეთისა და **მთელი ევროპის** რევოლუციურ პროლეტარიატს შეუძლია იხსნას კაცობრიობა იმპერიალისტური ომის საშინელებათაგან!

ჩვენ თვალს არ ვარიდებთ იმ უდიდეს სიძნელეს, რომელიც რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ ავანგარდს წინ ეღობება. ისეთ ხანაში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, უაღრესად მძაფრი და სწრაფი ცვლილებებია მოსალოდნელი. «სოციალ-დემოკრატის» 47-ე ნომერში ჩვენ პირდაპირ და ნათლად გავეცით პასუხი ბუნებრივად აღძრულ კითხვაზე: რას გააკეთებდა ჩვენი პარტია, რევოლუციას რომ ა ხ ლ ა ვ ე ხელისუფლების სათავეში დაეყენებინა ის? ჩვენ ვუპასუხეთ: (1) ჩვენ დაუყოვნებლივ მივცემდით ზავის წინადადებას ყ ვ ე ლ ა მეომარ ხალხს; (2) ჩვენ გამოვაქვეყნებდით ჩვენს საზავო პირობებს, რომლებიც შეიცავენ ყ ვ ე ლ ა კოლონიისა და ყ ვ ე ლ ა ჩაგრული ან არასრულუფლებიანი ხალხის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას; (3) ჩვენ დაუყოვნებლივ დავიწყებდით და ბოლომდე მივიყვანდით ველიკოროსთა მიერ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებას; (4) ჩვენ ერთი წუთითაც არ ვტყუვდებით და კარგად ვიცით, რომ ასეთი პირობები მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი იქნებოდა გერმანიის არა მარტო მონარქისტული, არამედ რესპუბლიკური ბურჟუაზიისთვისაც, **და არა** მარტო გერმანიისათვის,

არამედ ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტური მთავრობებისთვისაც.

ჩვენ მოგვიხდებოდა რევოლუციური ომი გვეწარმოებინა გერმანიის — და არა მარტო გერმანიის — ბურჟუაზიის წინააღმდეგ. **ჩვენ ამ ომს გავმართავდით.** ჩვენ პაციფისტები არა ვართ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმპერიალისტური ომებისა კაპიტალისტთა შორის ნადავლის გასაყოფად, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით, რომ დიდი უაზრობა იქნებოდა რევოლუციურ პროლეტარიატს ხელი აეღო რევოლუციურ ომებზე, რომლებიც შ ე ი ძ ლ ე ბ ა აუცილებელი გახდეს ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

ის ამოცანა, რომელიც ჩვენ «სოციალ-დემოკრატის» 47-ე ნომერში დავსახეთ, პირდაპირ გიგანტურია. ის შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ხანგრძლივი დიადი კლასობრივი ბრძოლებით პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. მაგრამ ჩვენმა მოუთმენლობამ კი არა, ჩვენმა სურვილებმა კი არა, არამედ იმპერიალისტური ომით შექმნილმა ო ბ ი ე ქ ტ უ რ მ ა პ ი რ ო ბ ე ბ მ ა მოაქცია ჩიხში მ თ ე ლ ი კაცობრიობა და მის წინაშე დააყენა დილემა: ან კიდევ მილიონობით ადამიანთა დაღუპვა და მთელი ევროპული კულტურის ბოლომდე დანგრევა, ან **უველა** ცივილიზებულ ქვეყანაში ხელისუფლების გადაცემა რევოლუციური პროლეტარიატისათვის და სოციალისტური გადატრიალების განხორციელება.

რუსეთის პროლეტარიატს წილად ხვდა დიდი პატივი — **დაეწყო** რიგი რევოლუციები, რომლებიც ობიექტური გარდუვალობით წარმოშვა იმპერიალისტურმა ომმა. მაგრამ ჩვენთვის სრულიად უცხოა ის აზრი, თითქოს რუსეთის პროლეტარიატს ვთვლიდეთ რჩეულ რევოლუციურ პროლეტარიატად სხვა ქვეყნების მუშათა შორის. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ რუსეთის პროლეტარიატი ნ ა კ ლ ე ბ შეკავშირებული, მომზადებული და შეგნებულია, ვიდრე სხვა ქვეყნების მუშები. განსაკუთრებულმა თვისებებმა კი არა, მხოლოდ თავისებურად შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა გახადა რუსეთის პროლეტარიატი, — გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი, შ ე ი ძ-

ლ ე ბ ა ძ ა ლ ი ა ნ მ ო კ ლ ე, ხ ნ ი თ, — მთელი მსოფლიოს რევოლუციური პროლეტარიატის მებაირახტრედ.

რუსეთი — გლეხური ქვეყანაა, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა. იქ სოციალიზმი უ შ უ ა ლ ო დ ა ხ ლ ა ვ ე ვ ე რ გაიმარჯვებს. მაგრამ ქვეყნის გლეხურ ხასიათს, ისეთ პირობებში, როდესაც დაცულია თავადაზნაურ-მემამულეთა დიდძალი მიწის ფონდი, 1905 წლის გამოცდილების საფუძველზე, **შეუძლია** უდიდესი გაქანება მისცეს რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და ჩვენი რევოლუცია მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის პ რ ო ლ ო გ ა დ, მისკენ გარდამავალ ს ა ფ ე ხ უ რ ა დ გადააქციოს.

ამ იდეებისათვის ბრძოლაში, რომლებიც სავსებით დაადასტურა 1905 წლის გამოცდილებამაც და 1917 წლის გაზაფხულმაც, ჩამოყალიბდა ჩვენი პარტია, შეურიგებლად რომ ილაშქრებს ყველა დანარჩენი პარტიის წინააღმდეგ, და ამ იდეებისათვის ჩვენ შემდეგშიაც ვიბრძოლებთ.

რუსეთში სოციალიზმი უშუალოდ და დაუყოვნებლივ ვერ გაიმარჯვებს. მაგრამ გლეხთა მასას შ ე უ ძ ლ ი ა გარდუვალი და მომწიფებული აგრარული გადატრიალება მთელი თვალუწვდენელი მემამულური მიწათმფლობელობის კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა მ დ ე მიიყვანოს. ამ ლოზუნგს ჩვენ ყოველთვის ვაყენებდით, და ახლა ის პეტერბურგში წამოაყენა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც და ჩვენი პარტიის გაზეთმა «პ რ ა ვ დ ა მ ა ც». ა მ ლოზუნგისათვის პროლეტარიატი იბრძოლებს; მაგრამ იგი კარგად ხედავს გამწვავებულ კლასობრივ შეტაკებათა აუცილებლობას დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშებსა და მათთან დაკავშირებულ უღარიბეს გლეხებს და შ ე ძ ლ ებ უ ლ გ ლ ე ხ ებ ს შორის, რომელნიც სტოლიპინის აგრარულმა «რეფორმამ» (1907 — 1914) გააძლიერა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გლეხთა 104-მა დეპუტატმა როგორც პირველ (1906), ისე მეორე (1907) სათათბიროში წამოაყენა რევოლუციური აგრარული პროექტი, რომელიც მოითხოვდა მთელი მიწების ნაციონალიზაციას

და მათ გადასვლას სრული დემოკრატიზმის საფუძველზე არჩეული ადგილობრივი კომიტეტების განკარგულებაში.

ამგვარი გადატრიალება, თავისთავად, ჯერ კიდევ სრულიადაც არ იქნებოდა სოციალისტური. მაგრამ იგი უდიდეს ბიძგს მისცემდა მსოფლიო მუშათა მოძრაობას. იგი უაღრესად განამტკიცებდა სოციალისტური პროლეტარიატის პოზიციებს რუსეთში და მის გავლენას სოფლის მეურნეობის მუშებსა და უღარიბეს გლეხებზე. იგი საშუალებას მისცემდა ქალაქის პროლეტარიატს, ამ გავლენაზე დაყრდნობით, განეკითარებინა ისეთი რევოლუციური ორგანიზაციები, როგორიცაა «მუშათა დეპუტატების საბჭოები», შეეცვალა ამ საბჭოებით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არსებული ჩაგვრის ძველი იარაღები, არმია, პოლიცია, მოხელეობა, განეხორციელებინა — აუტანლად მძიმე იმპერიალისტური ომისა და მისი შედეგების ზედმოქმედებით — მთელი რიგი რევოლუციური ღონისძიებანი წარმოების და პროდუქტების განაწილების კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს ა თ ვ ი ს.

რუსეთის პროლეტარიატს მარტო თავისი ძალებით არ შეუძლია ძლევამოსილად დ ა ა მ თ ა ვ რ ო ს სოციალისტური რევოლუცია. მაგრამ მას შეუძლია რუსეთის რევოლუციას ისეთი გაქანება მისცეს, რომელიც რევოლუციისათვის საუკეთესო პირობებს შექმნის, რომელიც ერთგვარად კიდეც დ ა ი წ ყ ე ბ ს მას. რუსეთის პროლეტარიატს შეუძლია გააადვილოს ვითარება იმისათვის, რომ გადამწყვეტ ბრძოლებში ჩაებას მისი **მთავარი**, ყველაზე ერთგული, ყველაზე საიმედო თანამშრომელი — **ევროპისა** და ამერიკის **სოციალისტური** პროლეტარიატი.

დაე, უიმედონი სასოწარკვეთილებას მიეცნენ იმის გამო, რომ ევროპის სოციალიზმში დროებით გაიმარჯვეს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ისეთმა საზიზღარმა ლაქიებმა, როგორნიც არიან შეიდემანები, ლეგინები, დავიდები და კომპანია — გერმანიაში, სამბა, გედი, რენოდელი და კომპანია — საფრანგეთში, ფაბიანელები და «ლაბურისტები»[131] — ინგლისში. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მსოფლიო მუშათა

მოძრაობის ამ ბინძურ ქაფს რევოლუციის ტალღები სწრაფად წალეკავენ.

გერმანიაში უკვე დუღს სულისკვეთება პროლეტარული მასისა, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ მისცა კაცობრიობასა და სოციალიზმს თავისი მედგარი, შეუპოვარი და გამობრძმედილი ორგანიზაციული მუშაობით 1871 — 1914 წლების ევროპის «მყუდროების» ხანგრძლივი ათწლეულების განმავლობაში. გერმანიის სოციალიზმის მომავალს არ წარმოადგენენ მოღალატე შეიდემანები, ლეგინები, დავიდები და კომპანია, მას არ წარმოადგენენ არც ისეთი მერყევი, უხასიათო, «მშვიდობიანი» პერიოდის რუტინით გამოთაყვანებული პოლიტიკოსები, როგორნიც არიან ბატონები ჰააზე, კაუცკი და მათი მსგავსნი.

ეს მომავალი ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელმაც შოგვცა კარლ ლიბკნეხტი, რომელმაც შექმნა «სპარტაკუსის ჯგუფი», რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ბრემენის «Arbeiterpolitik»-ში [132].

იმპერიალისტური ომის ობიექტური პირობები იმის თავდებია, რომ რევოლუცია არ განისაზღვრება რუსეთის რევოლუციის პირველი ეტაპით, რომ რევოლუცია არ შემოიფარგლება რუსეთით.

გერმანიის პროლეტარიატი რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის უერთგულესი და ყველაზე საიმედო მოკავშირეა.

როდესაც 1914 წლის ნოემბერში ჩვენმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი: «იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად», ჩაგრულთა ომად მჩაგვრელთა წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის ომად, — ამ ლოზუნგს მტრულად და ბოროტი დაცინვით შეხვდნენ სოციალ-პატრიოტები, ხოლო უნდობელ-სკეპტიკური, ორჭოფულ-მომლოდინე დუმილით — «ცენტრის» სოციალ-დემოკრატები. გერმანელმა სოციალ-შოვინისტმა, სოციალ-იმპერიალისტმა დავიდმა მას «გიჟური» უწოდა, ხოლო რუსეთის (და ინგლის-საფრანგეთის) სოციალ-შოვინიზმის, — სიტყვით სოციალიზმის, საქმით კი

იმპერიალიზმის, — წარმომადგენელმა, ბატონმა პლეხანოვმა მას «ოცნება-ფარსი» (**Mittelding zwischen Traum und Komödie**) დაარქვა. ცენტრის წარმომადგენლები კი დუმილით ან უგვანო ხუმრობით კმაყოფილდებოდნენ ამ «პირდაპირი ხაზის გამო, რომელიც უჰაერო სივრცეშია გაყვანილი».

ახლა, 1917 წლის მარტის შემდეგ, მხოლოდ ბრმას შეუძლია არ ხედავდეს, რომ ეს ლოზუნგი სწორია. იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა ფაქტი ხ დ ე ბ ა.

გაუმარჯოს დ ა წ ყ ე ბ უ ლ პროლეტარულ რევოლუციას ევროპაში!

მიმავალი ამხანაგების, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ცენტრალური კომიტეტის მიერ გაერთიანებული პარტიის) იმ წევრთა დავალებით, რომლებმაც მიიღეს ეს წერილი 1917 წლის 8 აპრილის (ახალი სტილით) კრებაზე.

ნ. ლ ე ნ ი ნ

დაწერილია 1917 წ. 26 მარტს (8 აპრილს)
დაიბეჭდა 1917 წ. 1 მაისს
გაზეთში **«Jugend-Internationale»** № 8

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

შენიშვნები

1 იგულისხმება ბროშურა «ვინ მოახდენს პოლიტიკურ რევოლუციას?», დაბეჭდილი კრებულში «პროლეტარსკაია ბორბა» № 1, რომელიც გამოუშვა «ურალის სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა» 1899 წელს და ხელმეორედ გამოსცა კიევის კომიტეტმა იმავე წელს. ბროშურის ავტორი ა. ა. სანინი, რომელიც «ეკონომიზმის» პოზიციებზე იდგა, უარყოფდა მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის საჭიროებას და თვლიდა, რომ პოლიტიკური რევოლუცია რუსეთში შეიძლება მოხდეს საყოველთაო გაფიცვის გზით, შეიარაღებული აჯანყების მოუხდენლად. — 1.

2 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმ პარტიის საზღვარგარეთული სექციების კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა 1915 წლის 27 თებერვალს — 4 მარტს (ახ. სტ.) ბერნში (შვეიცარია). კონფერენციაზე მოხსენებაში «ომი და პარტიის ამოცანები» ლენინმა გააშუქა ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები იმპერიალისტური ომის პერიოდში.

კონფერენციაზე თეზისებით გამოვიდა ბუხარინი, რომელიც ანტიმარქსისტულ, ანტიპარტიულ შეხედულებებს იცავდა. ლენინი ამ შეხედულებებს ახასიათებდა როგორც «იმპერიალისტური ეკონომიზმის» მიმართულებას.

კონფერენციამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციები: ომის ხასიათის შესახებ, «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის შესახებ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები, დამოკიდებულება სხვა პარტიებისა და ჯგუფებისადმი, და სხვები (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 180 — 187). — 2.

3 იგულისხმებიან პიატაკოვი და ბოში. — 2.

4 იგულისხმება «ჰოლანდიის რევოლუციურ-სოციალისტური კავშირისა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი», რომელიც დაიბეჭდა ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბიულეტენის მე-3 ნომერში 1916 წლის 29 თებერვალს.

«Internationale Sozialistische Kommission zu Bern. Bulletin» («ბერნის ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია. ბიულეტენი») წარმოადგენდა ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ორგანოს; ეს კომისია შეიქმნა ინტერნაციონალისტთა პირველ სოციალისტურ კონფერენციაზე, რომელიც შედგა ციმერვალდში 1915 წლის 5 — 8 სექტემბერს (ახ. სტ.). ბიულეტენი გამოდიოდა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე ბერნში 1915 წლის სექტემბრიდან 1917 წლის იანვრამდე. გამოვიდა ექვსი ნომერი. — 2.

5 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო, არალეგალური გაზეთი; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე. გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდეგ კი გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, მერე — ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია, თანახმად რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა, შედგენილ იქნა ბოლშევიკების, მენშევიკების და პოლონეთის სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელთაგან.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ოთხმოცზე მეტი სტატია და შენიშვნა. რედაქციის შიგნით ვ. ი. ლენინი ეწეოდა ბრძოლას თანამიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. რედაქციის წევრები, მენშევიკები მარტოვი და დანი, რომელნიც საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას, იმავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას თავიანთ ფრაქციულ გაზეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატაში». ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ გამოიწვია მარტოვისა და დანის წასვლა რედაქციის შემადგენლობიდან 1911 წლის ივნისში. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები: «წერილები კავკასიიდან», «პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის», «არჩევნები პეტერბურგში» და სხვები (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 185 — 208, 267 — 269, 290 — 305).

მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დასაწყისს, ერთი წლის შეწყვეტის შემდეგ, ლენინმა შეძლო გაზეთის გამოცემა განაახლებინა. 1914 წლის 1 ნოემბერს (ახ. სტ.) გამოვიდა «სოციალ-დემოკრატის» 33-ე ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი, დაწერილი ლენინის მიერ. ლენინის სტატიებმა, რომლებიც იბეჭდებოდა «სოციალ-დემოკრატში»

ომის წლებში, უდიდესი როლი შეასრულეს ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში, აშკარა და ფარული სოციალ-შოვინისტების მხილებაში, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალისტური ელემენტების შემჭიდროებაში.

1916 წელს «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ გამოსცა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» ორი ნომერი, რომლებშიც დაიბეჭდა ლენინის შრომები: «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება (თეზისები)», «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ», ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» და სხვები. — 2.

6 «Vorbote» («წინასწარმაუწყებელი») — ჟურნალი, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის თეორიული ორგანო; გამოდიოდა გერმანულ ენაზე ბერნში 1916 წელს. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1916 წლის იანვარში და № 2 — აპრილში. ჟურნალში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის შრომები: «ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი», «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება (თეზისები)» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 125 — 141, 173 — 191). — 3.

7 ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი შექმნა ლენინმა პირველ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1915 წლის 5 — 8 სექტემბერს (ახ. სტ.) ციმერვალდში (შვეიცარია). ლენინი ამ კონფერენციას უწოდებდა «პირველ ნაბიჯს» ომის საწინააღმდეგო ინტერნაციონალური მოძრაობის განვითარებაში. ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში ეჭირათ ერთადერთი სწორი, ბოლომდე თანამიმდევრული პოზიცია. ამ ჯგუფში არათანამიმდევარი ინტერნაციონალისტებიც იყვნენ. მათი შეცდომების კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის სტატიებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 385 — 405, 406 — 459) და ი. ბ. სტალინის წერილში ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» რედაქციისადმი «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები», მე-11 გამოცემა, გვ. 438 — 452). — 3.

8 «პროსვეშჩენიე» — ყოველთვიური ბოლშევიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; ლეგალურად გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი შეიქმნა ლენინის მითითებით, მეფის მთავრობის მიერ დახურული ბოლშევიკური

ჟურნალის «მისლის» მაგვარად, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს»; ჟურნალში გამოქვეყნდა მისი შრომები: «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი», «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები», «არჩევნების შედეგები», «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» და სხვები.

როცა 1912 და 1913 წლებში პეტერბურგში იმყოფებოდა, ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. «პროსვეშჩენიეში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის შრომა «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია», რომელიც 1914 წელს ცალკე ბროშურად გამოიცა სახელწოდებით «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი» (იხ. ი. ბ. სტალინი. «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი». თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 312 — 395). «პროსვეშჩენიეს» მუდმივი თანამშრომელი იყო ვ. მ. მოლოტოვი. სამხატვრო-სალიტერატურო განყოფილებას რედაქტორობდა ა. მ. გორკი. სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ: მ. ს. საველიევი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. ჟურნალის ტირაჟი 5 ათას ეგზემპლარს აღწევდა.

ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ პირველი მსოფლიო ომის წინ — 1914 წლის ივნისში. «პროსვეშჩენიეს» გამოცემა განახლდა 1917 წლის შემოდგომაზე; გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ლენინის შრომები: «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?» და «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». — **5.**

9 ლენინს მხედველობაში აქვს საფრანგეთის მუშათა პარტიის 1880 წლის პროგრამა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამები — გოთასი 1875 წლისა და ერფურტის 1891 წლისა. — **6.**

10 ლაპარაკია ბროშურაზე «სოციალიზმი და ომი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 357— 412). — **10.**

11 იგულისხმება პოლონეთის სოციალ-დემოკრატთა დელეგაციის განცხადება პირველ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე ციმერვალდში (1915). ეს განცხადება შეიცავდა პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიისა და ავსტრიის მთავრობები პოლონეთის ოლქებს თვლიან თავიანთ დაპყრობილ კოლონიად და პოლონელ ხალხს საშუალებას ართმევენ თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ბედი. — **12.**

12 სტატია დაიწერა პასუხად პ. კიევსკის (ი. პიატაკოვის) სტატიისა ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. სტატიის ხელნაწერზე არის

ლენინის წარწერა: «კიევსკის სტატია თვითგამორკვევის შესახებ და ლენინის პასუხი მასზე». ცოტა მოგვიანებით ლენინმა ამავე საკითხს მიუძღვნა დიდი სტატია «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 22 — 90). ხელნაწერს სათაური არა აქვს. ის დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **13.**

13 ლენინს მზედველობაში აქვს: ჰოლანდიელი სოციალ-დემოკრატი ქალის როლანდ-ჰოლსტის გამოსვლა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალში **«Neues Leben»** («ახალი ცხოვრება») 1915 წლის ოქტომბერ-ნოემბერსა და დეკემბერში; სარედაქციო სტატია «ახალგაზრდათა» — ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის — ორგანოს **«Jugend-Internationale»**-ს («ახალგაზრდობის ინტერნაციონალი») 1916 წლის მარტის მე-3 ნომერში და სკანდინავიელ მემარცხენეთა მოსაზრებანი.

«განიარაღების» ლოზუნგის კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის სტატიებში: «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა» და ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» (ეს ტომი, გვ. 91 — 106 და 115 — 129). — **15.**

14 ლაპარაკია პ. კიევსკის (ი. პიატაკოვის) სტატიაზე ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, რომლის დაბეჭდვას ლენინი აპირებდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» მე-3 ნომერში. «სბორნიკის» ამავე ნომერში უნდა დაბეჭდილიყო ლენინის სტატია «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ», რომელიც ამხელდა პიატაკოვის ოპორტუნისტულ პოზიციას. «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» მე-3 ნომრის გამოცემა არ განხორციელებულა. — **23.**

15 **«Die Neue Zeit»** («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლებში **«Die Neue Zeit»**-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ფ. ენგელსი ჟურნალის რედაქციას ხშირად აძლევდა მითითებებს და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმისაგან გადახვევის გამო. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტთა სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ჟურნალს ეჭირა ცენტრისტული, კაუცკური პოზიცია, იგი მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — **32.**

16 ჯგუფი **«ინტერნაციონალი»**, რომელსაც შემდეგ **«სპარტაკის»** კავშირი ეწოდებოდა, შექმნეს გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემო-

კრატებმა კ. ლიბკნეხტმა, რ. ლუქსემბურგმა, ფ. მერინგმა, კ. ცეტკინმა და სხვებმა ომის დასაწყისში. 1916 წლის იანვარში, მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა სრულიად გერმანიის კონფერენციაზე, ჯგუფმა მიიღო რ. ლუქსემბურგის მიერ შედგენილი და წამოყენებული თეზისები საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ. «ინტერნაციონალის» ჯგუფი მასებში ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ააშკარავებდა გერმანიის იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამცემლობას. მაგრამ ეს ჯგუფი არ განთავისუფლებულა ნახევრადმენშევიკური შეცდომებისაგან თეორიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში: იგი ავითარებდა იმპერიალიზმის ნახევრადმენშევიკურ თეორიას, უარყოფდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს მისი მარქსისტული გაგებით (ე. ი. თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნამდე), უარყოფდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობას იმპერიალიზმის ეპოქაში, სათანადოდ არ აფასებდა რევოლუციური პარტიის როლს, ქედს იხრიდა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე. გერმანიის მემარცხენეთა შეცდომების კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22. გვ. 385 — 405), «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა» (იხ. ეს ტომი, გვ. 91 — 106) და სხვებში და ი. ბ. სტალინის წერილში ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» რედაქციისადმი «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები», მე-11 გამოცემა, გვ. 438 — 452). 1917 წელს «ინტერნაციონალის» ჯგუფი შევიდა გერმანიის ცენტრისტულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ შეინარჩუნა მასში თავისი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ჯგუფმა კავშირი გაწყვიტა «დამოუკიდებლებთან» და იმავე წლის დეკემბერში დააარსა გერმანიის კომუნისტური პარტია. — **34.**

17 «ს ბ ო რ ნ ი კ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა ს» სცემდა რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია, ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — გამოვიდა 1916 წლის ოქტომბერში და № 2 — 1916 წლის დეკემბერში. — **35.**

18 ვ. ი ლ ი ნ ი — ვ. ი. ლენინი. — **37.**

19 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერების ორტომეული, ტ. II, 1948, გვ. 304. — **48.**

20 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1948, გვ. 40. — **59.**

21 «ფ რ ა კ ე ბ ს» უწოდებდნენ «პრავიცას» — პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პსპ) მემარჯვენე ფრთას, რომელიც 1906 წელს, პოლონეთის სოციალისტური პარტიის გათიშვის შემდეგ, გაფორმდა როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

«პ რ ა ვ ი ც ა», რომელსაც პილსუდსკი მეთაურობდა, ატარებდა ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას; შემდგომ მისგან კვლავ აღორძინდა პოლონეთის სოციალისტური პარტია. 1918 წელს პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელიც მმართველი პარტია გახდა, ატარებდა ანტისაბჭოთა პოლიტიკას და მხარს უჭერდა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა დამონებას, რომელნიც პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთის სოციალისტური პარტია ორ ჯგუფად გაითიშა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის რეაქციულ-შოვინისტური ნაწილი, რომელიც გამოდიოდა სახელწოდებით **ვ რ ნ** («**Wolność, równość i niepodległość**» — «თავისუფლება, თანასწორობა და დამოუკიდებლობა»), ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას დაადგა. მეორე ნაწილი, რომელსაც ეწოდებოდა «პოლონეთის სოციალისტების მუშური პარტია», პოლონეთის მუშათა პარტიასთან (კომუნისტებისა) და უპარტიო პოლონელ პატრიოტებთან ერთად იბრძოდა პოლონეთის განთავისუფლებისათვის ფაშისტური დამონებისაგან და მეგობრული კავშირურთიერთობის დამყარებისათვის სსრ კავშირთან. 1948 წლის დეკემბერში პოლონეთის სოციალისტური პარტია და პოლონეთის მუშათა პარტია გაერთიანდნენ და შექმნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია (ჯზპრ). — **63.**

22 ლაპარაკია ენგელსის 1882 წლის 12 სექტემბრის წერილზე კაუცკისადმი (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 356 — 357). ლენინს ამ წერილიდან ციტატები მოჰყავს თავის სტატიაში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 406 — 459), რომელიც პირველად გამოქვეყნდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» 1916 წლის ოქტომბრის 1-ლ ნომერში. — **65.**

23 ი უ ნ ი უ ს ი — როზა ლუქსემბურგი. — **70.**

24 «ბ ო ლ ო ს» — ყოველდღიური მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი, გამოდიოდა პარიზში 1914 წლის სექტემბრიდან 1915 წლის იანვრამდე. გაზეთს ეჭირა ცენტრისტული პოზიცია. — 86.

25 ო კ (ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი) — მენშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი; შეიქმნა 1912 წელს მენშევიკ-ლიკვიდატორთა და ყველა ანტიპარტიული ჯგუფისა და მიმდინარეობის აგვისტოს კონფერენციაზე. — 86.

26 სტატია «პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა» დაიწერა გერმანულ ენაზე 1916 წლის სექტემბერში სკანდინავიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების პრესისათვის, რომლებმაც მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) გ�ილაშქრეს სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მუხლის — «ხალხის შეიარაღების» — წინააღმდეგ და წამოაყენეს «განიარაღების» მცდარი ლოზუნგი.

1916 წლის დეკემბერში სტატია გადამუშავებული სახით დაიბეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» მე-2 ნომერში სათაურით ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 115 — 129).

1917 წლის აპრილში (ახ. სტ.), რუსეთს გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, ლენინმა სტატიის ტექსტი გერმანულ ენაზე გადასცა გაზეთ «Jugend-Internationale»-ს რედაქციას. სტატია დაიბეჭდა 1917 წელს ამ გაზეთის მე-9 და მე-10 ნომრებში.

«J u g e n d-I n t e r n a t i o n a l e» («ახალგაზრდობის ინტერნაციონალი») — ორგანო ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირისა, რომელიც ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს ემხრობოდა; გამოდიოდა 1915 წლის სექტემბრიდან 1918 წლის მაისამდე ციურიხში. «Jugend-Internationale»-ს შეფასება იხ. შენიშვნაში «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი» (ეს ტომი, გვ. 208 — 213). — 91.

27 იგულისხმება თეზისები სამხედრო საკითხზე, რომლებიც შეადგინა რ. გრიმმა (შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა) 1916 წლის ზაფხულში შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით. ამ ყრილობის მოწვევა განზრახული იყო 1917 წლის თებერვლისათვის ომისადმი შვეიცარიის სოციალისტების დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად. — 91.

28 «N e u e s L e b e n» («ახალი ცხოვრება») — ყოველთვიური ჟურნალი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; გამოდიოდა

ბერნში 1915 წლის იანვრიდან 1917 წლის დეკემბრამდე. ჟურნალი ატარებდა მემარჯვენე ციმერვალდელთა შეხედულებებს; 1917 წლის დამდეგიდან დაიკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. — **91.**

29 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 356 — 357. — **94.**

30 იგულისხმება ინტერნაციონალისტთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციები, რომლებიც შედგა ციმერვალდსა და კინტალში (შვეიცარია).

პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მიმდინარეობდა ციმერვალდში 1915 წლის 5 — 8 სექტემბერს (ახ. სტ.). კონფერენციაზე გაჩაღდა ბრძოლა რევოლუციურ ინტერნაციონალისტებსა, რომელთაც ლენინი მეთაურობდა, და კაუცკურ უმრავლესობას შორის. ლენინმა მემარცხენე ინტერნაციონალისტებისაგან შეადგინა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი, რომელშიც ერთადერთი სწორი და ბოლომდე თანამიმდევარი ინტერნაციონალისტური პოზიცია ომის წინააღმდეგ ეჭირა მხოლოდ ბოლშევიკების პარტიას.

კონფერენციამ მიიღო მანიფესტი, რომელიც მსოფლიო ომს აღიარებდა იმპერიალისტურ ომად; დაგმო იმ «სოციალისტების» საქციელი, რომლებმაც ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს და რომელნიც მონაწილეობდნენ ბურჟუაზიულ მთავრობებში; მოუწოდა ევროპის მუშებს გაეჩაღებინათ ბრძოლა ომის წინააღმდეგ, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე ომის მსხვერპლთა მიმართ სიმპათიის გამომხატველი რეზოლუცია და აირჩია ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია (I. S. K.).

ციმერვალდის კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ იხ. ლენინის სტატიები: «პირველი ნაბიჯი» და «რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 468 — 475 და 476 — 481).

მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მიმდინარეობდა კინტალში 1916 წლის 24 — 30 აპრილს (ახ. სტ.). ამ კონფერენციაზე მემარცხენე ფრთა უფრო შემჭიდროებული და ძლიერი იყო, ვიდრე ციმერვალდის კონფერენციაზე. ლენინმა მიაღწია მიეღოთ რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა სოციალ-პაციფიზმისა და საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ოპორტუნისტული საქმიანობის კრიტიკას. კინტალში მიღებული მანიფესტი და რეზოლუციები შემდგომი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ომის საწინააღმდეგო ინტერნაციონალური მოძრაობის განვითარებაში.

ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციებმა ხელი შეუწყვეს ინტერნაციონალისტური ელემენტების გამოყოფასა და შემჭიდროებას, მაგრამ მათ არ დაიკავეს თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის პოზიციები, არ მიიღეს ბოლშევიკების პოლიტიკის ძირითადი დებულებანი: იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, საკუთარ იმპერიალისტურ მთავრობათა დამარცხება ომში, III ინტერნაციონალის ორგანიზაცია. — **100**.

31 «სოციალ-დემოკრატიული შრომის ჯგუფი» — **«Arbeitsgemeinschaft»** («შრომითი თანამეგობრობა») — გერმანიის ცენტრისტების ორგანიზაცია; ეს ორგანიზაცია 1916 წლის მარტში შექმნეს რეიხსტაგის იმ დეპუტატებმა, რომელნიც გამოეთიშნენ რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. ამ ჯგუფმა შეადგინა ძირითადი ბირთვი 1917 წელს შექმნილი გერმანიის ცენტრისტული დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომელიც ამართლებდა აშკარა სოციალ-შოვინისტებს და გამოდიოდა მათთან ერთიანობის შენარჩუნების მომხრედ. — **100**.

32 დამოუკიდებელი მუშათა პარტია (**I. L. P. — Independent Labour Party**) დაარსდა 1893 წელს. პარტიის სათავეში იდგნენ ჯემს კეირ-ჰარდი, რ. მაკდონალდი და სხვ.. დამოუკიდებელი მუშათა პარტია, რომელიც ბურჟუაზიული პარტიებისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრეტენზიას აცხადებდა, ნამდვილად იყო «სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ლიბერალიზმისაგან დამოკიდებული» (ლ ე ნ ი ნ ი). მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) დამოუკიდებელი მუშათა პარტია თავდაპირველად გამოვიდა მანიფესტით ომის წინააღმდეგ (1914 წლის 13 აგვისტოს — ახ. სტ.). შემდეგ, 1915 წლის თებერვალში, ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენციაზე, დამოუკიდებელნი შეუერთდნენ კონფერენციაზე მიღებულ სოციალ-შოვინისტურ რეზოლუციას. ამ დროიდან მოკიდებული დამოუკიდებელთა ლიდერებს, რომლებიც პაციფისტურ ფრაზებს ეფარებოდნენ, სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირათ. კომინტერნის დაარსების შემდეგ, 1919 წელს, გამემარცხენებული პარტიული მასების ზეგავლენით, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერებმა მიიღეს გადაწყვეტილება II ინტერნაციონალიდან გამოსვლის შესახებ. 1921 წელს დამოუკიდებელნი შევიდნენ ეგრეთწოდებულ $2^1/_2$ ინტერნაციონალში, ხოლო 1923 წელს ხელახლა შეუერთდნენ II ინტერნაციონალს. — **100**.

33 სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები შექმნა რუსეთში 1915 წელს მსხვილმა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ. ბურჟუაზია

ცდილობდა მუშები თავისი გავლენისადმი დაემორჩილებინა და მათში ობორონცული სულისკვეთება დაენერგა, რისთვისაც გამოიგონა ამ კომიტეტებთან «მუშათა ჯგუფების» შექმნა. ბურჟუაზიისთვის სასარგებლო იყო ამ ჯგუფებში მიეზიდა მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც მუშათა მასებში აგიტაციას გასწევდნენ სამხედრო ქარხნებში შრომის ნაყოფიერების გადიდების სასარგებლოდ. მენშევიკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ცრუპატრიოტულ საქმეში, რომელიც ბურჟუაზიამ წამოიწყო. ბოლშევიკებმა გამოაცხადეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ბოიკოტი და წარმატებით გაატარეს ის მუშათა უმრავლესობის მხარდაჭერით (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი» გვ. 211 — 212). — **101.**

34 ბ ა ზ ე ლ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი — მანიფესტი ომის შესახებ, ერთხმად მიღებული II ინტერნაციონალის საგანგებო კონგრესის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა ბაზელში (შვეიცარია) 1912 წლის 24 — 25 ნოემბერს (იხ. სტ.). მანიფესტი აღნიშნავდა იმ ომის მძარცველურ მიზნებს, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებდნენ, და ყველა ქვეყნის მუშებს მოუწოდებდა გადამწყვეტი ბრძოლა ჩაეტარებინათ ომის წინააღმდეგ. იმპერიალისტური ომის დაწყების შემთხვევისათვის მანიფესტი სოციალისტებს ურჩევდა, ომით გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გამოეყენებინათ სოციალისტური რევოლუციისათვის საბრძოლველად. (მანიფესტის შესახებ იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 240 — 252 და 372 — 373).

II ინტერნაციონალის ბელადებმა — კაუცკიმ, ვანდერველდემ და სხვებმა კონგრესზე ხმა მისცეს ამ მანიფესტის მიღების სასარგებლოდ. მაგრამ 1914 წელს, დაიწყო თუ არა მსოფლიო იმპერიალისტური ომი, მათ დაივიწყეს ბაზელის მანიფესტი და მიემხრნენ თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობებს. — **101.**

35 «L a S e n t i n e l l e» («გუშაგი») — გაზეთი, შვეიცარიის ნევშატელის კანტონის (ფრანგული შვეიცარია) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორგანო; დაარსდა შო-დე-ფონში 1884 წელს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) პირველ წლებში გაზეთს ინტერნაციონალისტური პოზიცია ეჭირა. 1914 წლის 13 ნოემბერს გაზეთის 265-ე ნომერში შემოკლებული სახით დაიბეჭდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 13 — 24). გაზეთი ამჟამად ვამოდის.

«V o l k s r e c h t» («ხალხის უფლება») — ყოველდღიური გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ციურიხის

კანტონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორგანო; გამოდის ციურიხში 1898 წლიდან. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთი ათავსებდა მემარცხენე ციმერვალდელთა სტატიებს. გაზეთში დაიბეჭდა აგრეთვე ლენინის სტატიები: «თორმეტი მოკლე თეზისი ჰ. გრეილიხის მიერ სამშობლოს დაცვის ლოზუნგის დაცვის შესახებ», «რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში», «რესპუბლიკელ შოვინისტთა ოინები» და სხვ.. გაზეთი ამჟამად გამოსვლას განაგრძობს; მას უჭირავს ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული პოზიცია.

«B e r n e r T a g w a c h t» («ბერნის გუშაგი») — გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; დაარსდა 1893 წელს ბერნში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დასაწყისში გაზეთში ქვეყნდებოდა კ. ლიბკნეხტის, ფ. მერინგისა და სხვა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების სტატიები. 1917 წლიდან გაზეთმა აშკარად დაუჭირა მხარი სოციალ-შოვინისტებს; ამჟამად გაზეთი გამოდის და მას უჭირავს ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული პოზიცია. — **106**.

36 იგულისხმება შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აარაუს ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა 1915 წლის 20 — 21 ნოემბერს (ახ. სტ.). ყრილობის დღის წესრიგის ცენტრალური პუნქტი იყო ინტერნაციონალისტთა ციმერვალდის გაერთიანებისადმი შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხი. ამ საკითხის გარშემო გაჩაღდა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის სამი მიმართულების ბრძოლა: 1) ანტიციმერვალდისტებისა (გრეილიხი, პფლიუგერი და სხვ.), 2) ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფის მომხრეებისა (გრიმი და სხვ.) და 3) ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის მომხრეებისა (პლატენი და სხვ.).

რ. გრიმმა შეიტანა რეზოლუცია, რომელშიაც შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წინადადება ეძლეოდა შეერთებოდა ციმერვალდის გაერთიანებას და მოეწონებინა მემარჯვენე ციმერვალდელთა პოლიტიკური ხაზი. შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს გრიმის რეზოლუციის შესწორება. შესწორება წინადადებას იძლეოდა ეცნოთ ომის წინააღმდეგ მასობრივი რევოლუციური ბრძოლის გაჩაღების საჭიროება და აცხადებდა, რომ მხოლოდ პროლეტარიატის ძლევამოსილ რევოლუციას შეუძლია მოუღოს ბოლო იმპერიალისტურ ომს.

ხმების უმრავლესობით ყრილობამ მიიღო მემარცხენეთა შესწორება. — **106**.

37 «ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის ბიულეტენი» გამოდიოდა ჟენევაში 1916 წელს; იდგა სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე. გამოვიდა ბიულეტენის ორი ნომერი. — **107.**

38 იტალიის სოციალისტური პარტია დაარსდა 1892 წელს როგორც «იტალიის მუშათა პარტია»; 1893 წელს რეჯიო-ემილიის ყრილობაზე მან მიიღო «იტალიის სოციალისტური პარტიის» სახელწოდება. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) პირველ ნახევარში იტალიის სოციალისტურ პარტიას ეჭირა არათანამიმდევრული ინტერნაციონალისტური პოზიცია. იგი მონაწილეობას იღებდა ციმერვალდისა (1915 წ. სექტემბერი) და კინტალის (1916 წ. აპრილი) საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციებში, ემხრობოდა ცენტრისტულ უმრავლესობას. 1916 წლის დამლევს იტალიის სოციალისტური პარტია, რეფორმისტული ფრთის გავლენით, სოციალ-პაციფიზმის გზას დაადგა.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებში გაძლიერდა მემარცხენე ფრთა. ბოლონიის პარტიულმა ყრილობამ (1919 წლის ოქტომბერი) აზრი გამოთქვა იმის სასარგებლოდ, რომ პროგრამაში შეეტანათ მუხლი პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის შესახებ და მხარი დაუჭირა კომუნისტური ინტერნაციონალისადმი შეერთებას, მაგრამ პარტიის რიგებში შეინარჩუნა ოპორტუნისტები.

1921 წლის იანვარში პარტიის ლივორნოს ყრილობაზე მემარცხენეებმა გაწყვიტეს კავშირი სოციალისტურ პარტიასთან, მოაწყვეს თავისი ყრილობა და დააარსეს იტალიის კომუნისტური პარტია. იტალიის სოციალისტური პარტია 1921 წელს კომინტერნის III კონგრესზე გარიცხულ იქნა კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებიდან.

ფაშისტური დიქტატურის პერიოდში პარტიაში კვლავ შეიქმნა გავლენიანი მემარცხენე ფრთა. 1934 წელს იტალიის სოციალისტურმა პარტიამ იტალიის კომუნისტურ პარტიასთან დადო შეთანხმება მოქმედების ერთიანობის შესახებ. ეს შეთანხმება გახდა ბაზა ორივე პარტიის თანამშრომლობისათვის მეორე მსოფლიო ომის დროს და ომისშემდგომ პერიოდში. 1947 წლის იანვარში იტალიის სოციალისტური პარტია გაითიშა. მისი რიგებიდან გამოვიდა მემარჯვენე სოციალისტთა ჯგუფი ამერიკის იმპერიალიზმის აგენტის სარაგატის მეთაურობით და ამ ჯგუფმა შექმნა ეგრეთწოდებული «იტალიის მშრომელთა სოციალისტური პარტია». — **109.**

39 «Avanti!» («წინ!»—ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთს ეჭირა არათანამიმდევრულ-ინტერნაციონალისტური პოზიცია, თუმცა კავშირი არ გაუწყვეტია რეფორმისტებთან. ამჟამად გაზეთი გამოდის. — **110.**

40 «გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები» (I. S. D.) — მემარცხენე სოციალ-დემოკრატების (ბორჰარდტი და სხვ.) ჯგუფი, რომელიც წარმოიშვა გერმანიაში მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დასაწყისში. ჯგუფი I. S. D. ემხრობოდა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს და მას უფრო თანამიმდევრული პოზიცია ეჭირა სოციალ-შოვინისტებისა და ცენტრისტებისაგან გამიჯვნის საკითხებში, ვიდრე რ. ლუქსემბურგის მომხრეებს. მაგრამ ჯგუფს ფართო კავშირურთიერთობა არ ჰქონდა მასებთან და მალე დაიშალა. — **111.**

41 «Vorwärts» («წინ») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვათა რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ეწეოდა ბრძოლას ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნისტებისა, რომლებიც ბატონობდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიასა და II ინტერნაციონალში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) «Vorwärts»-ი სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი «Vorwärts»-ი ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი გახდა; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე.

1946 წლის აპრილიდან «Vorwärts»-ი კვლავ გამოდის ბერლინში; მას სცემს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაცია. — **112.**

42 Entente-Sozialisten-ის (ანტანტის სოციალისტების) კონფერენციას იწვევდნენ ფრანგი სოციალ-შოვინისტების (ტომა, რენოდელი, სამბა) ინიციატივით. ვ. ი. ლენინის წინადადებით რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა დეკლარაცია, რომელიც ააშკარავებდა სოციალ-შოვინისტების გამცემლურ მიზნებს და მოუწოდებდა ინტერნაციონალისტებს უარი ეთქვათ ამ კონფერენციაში მონაწილეობის წინადადებაზე. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის ტექსტი დაიბეჭდა 1916 წლის დეკემბერს «სბორნიკ

სოციალ-დემოკრატას» მე-2 ნომერში. კონფერენციის მოწვევა გადაიდო. კონფერენცია შედგა ლონდონში 1917 წლის 28 აგვისტოს (იხ. სტ.). — **113.**

43 იგულისხმება «სამთა შეთანხმების» ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენცია, რომელიც შედგა 1915 წლის 14 თებერვალს (იხ. სტ.). კონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის სოციალისტური პარტიების სოციალ-შოვინისტებისა და პაციფისტური ჯგუფების წარმომადგენლები და რუსეთიდან — მენშევიკები და ესერები.

თუმცა ბოლშევიკები არ მიუწვევიათ, მაგრამ ვ. ი. ლენინის დავალებით კონფერენციაზე ჩავიდა ლიტვინოვი (მაქსიმოვიჩი) რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის გამოსაქვეყნებლად, რომელსაც საფუძვლად ედო ლენინის მიერ დაწერილი პროექტი. დეკლარაცია მოითხოვდა სოციალისტების გამოსელას ბურჟუაზიული მთავრობებიდან, იმპერიალისტებთან კავშირის სავსებით გაწყვეტას, მათთან თანამშრომლობაზე უარისთქმას, გადამწყვეტ ბრძოლას საკუთარ იმპერიალისტურ მთავრობათაწინააღმდეგ და სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ ხმის მიცემის დაგმობას. დეკლარაციის გამოქვეყნების დროს ლიტვინოვს ლაპარაკი შეაწყვეტინეს და სიტყვა წაართვეს; მან დეკლარაციის ტექსტი პრეზიდიუმს გადასცა და კონფერენცია დატოვა.

იხ. ლენინის სტატიები: «ლონდონის კონფერენციის შესახებ» და «ლონდონის კონფერენციის გამო» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21. გვ. 147 — 150 და 203 — 206). — **113**

44 ლაპარაკია კ. ჩილპუმის სტატიაზე «შვეიცის სოციალ-დემოკრატია და მსოფლიო ომი» და ა. ჰანსენის სტატიაზე «ნორვეგიის თანამედროვე მუშათა მოძრაობის ზოგიერთი მომენტი», რომლებიც დაიბეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» მე-2 ნომერში (1916 წლის დეკემბერი). — **115.**

45 «The Socialist Review» («სოციალისტური მიმოხილვა») — ყოველთვიური ჟურნალი, ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო; გამოდიოდა ლონდონში 1908 წლიდან 1934 წლამდე. — **128.**

46 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერების ორტომეული, ტ. I, 1948, გვ. 209 — 210. — **132.**

47 «კომმუნისტ» — ჟურნალი, დააარსა ლენინმა; ჟენევაში სცემდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია 1915 წელს. გამოვიდა ერთი

(ორმაგი) ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა ლენინის სამი სტატია: «II ინტერნაციონალის კრახი», «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა», «იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 237 — 309, 424 — 434, 435 — 447)..

ჟურნალის რედაქციის შიგნით ლენინი ეწეოდა ბრძოლას ბუხარინ-პიატაკოვის ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ, ააშკარავებდა ამ ჯგუფის ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს, მის ცდებს — გამოეყენებინა ჟურნალი ფრაქციული მიზნით. ამ ჯგუფის ანტიპარტიული პოზიციის გამო ლენინმა წინადადება წამოაყენა ჯგუფთან ურთიერთობა გაწყვიტათ და ჟურნალის ერთობლივად გამოცემა შეწყვიტათ. 1916 წლის ოქტომბრიდან გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ დაიწყო თავისი კრებულის — «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» გამოშვება. — **138.**

48 «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთული სამდივნოს უწყებები» — მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა შვეიცარიაში 1915 წლის თებერვლიდან 1917 წლის მარტამდე. გამოვიდა 10 ნომერი. — **137.**

49 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 105. — **130.**

50 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 288, 370. — **140.**

51 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 529 — 530. — **140.**

52 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 356. — **140.**

53 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 415 — 416. — **140.**

54 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 208 — 209, 295, 340. — **141.**

55 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერების ორტომეული, ტ. II, 1948, გვ. 386 — 400. — **141.**

56 ჩხეიძის ფრაქცია — IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკური ფრაქცია. — **148.**

57 «ნ ა შ ე დ ე ლ ო» — ყოველთვიური მენშევიკური ჟურნალი, ლიკვიდატორების, სოციალ-შოვინისტების მთავარი ორგანო რუსეთში; გამოდიოდა 1915 წელს პეტროგრადში ჟურნალ «ნაშა ზარიას» მაგივრად, რომელიც 1914 წლის ოქტომბერში დახურეს.

«გ ო ლ ო ს ტ რ უ დ ა» — ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა სამარაში 1916 წელს. — 148.

58 «ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო კ ა ვ შ ი რ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ა ღ მ დ გ ე ნ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი» შექმნეს ფრანგმა ინტერნაციონალისტებმა 1916 წლის იანვარში. კომიტეტი ეწეოდა პროპაგანდას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, გამოსცა მთელი რიგი ბროშურები და ფურცლები, რომლებიც ამხელდნენ იმპერიალისტთა დამპყრობლურ მიზნებს და სოციალ-შოვინისტთა გამცემლობას. მაგრამ იმავე დროს კომიტეტი უარყოფდა, რომ საჭიროა ოპორტუნისტებთან კავშირის გადაჭრით გაწყვეტა და არ იძლეოდა რევოლუციური ბრძოლის გაჩაღების მკაფიო თანამიმდევრულ პროგრამას.

მიუხედავად კომიტეტის პოზიციის არათანამიმდევრობისა, ლენინი საჭიროდ თვლიდა მის გამოყენებას საფრანგეთის მემარცხენე ინტერნაციონალისტთა შესამჭიდროებლად და მემარცხენე ციმერვალდელთა გაელენის გასაძლიერებლად. ლენინის მითითებით კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ინესა არმანდი.

რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის გაძლიერების გავლენით კომიტეტი რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური . ელემენტების ცენტრი გახდა. 1920 წელს ის შევიდა საფრანგეთის ახალშექმნილ კომუნისტურ პარტიაში. — 153.

59 იგულისხმება ავსტრიის პრემიერ-მინისტრ შტიურგკის მოკვლა ფრიდრიხ ადლერის — ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერის მიერ. — 154.

60 იგულისხმება საერთაშორისო სოციალისტური ბიურო — II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო; შეიქმნა 1900 წლის პარიზის კონგრესის გადაწყვეტილებით. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) საერთაშორისო სოციალისტური ბიურო სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა, გარს იერბდა სოციალისტური პარტიების ოპორტუნისტულ ელემენტებს და ცდილობდა სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტთა «ურთიერთ ამნისტიის» გზით აღედგინა II ინტერნაციონალი. — 160.

61 «ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ა» («Volksstimme») — გაზეთი; გამოდიოდა ხემნიცში 1890 წლის იანვრიდან 1933 წლის თებერვლამდე; მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) სოციალ-შოვინისტების ორგანო იყო. — **169.**

62 თეზისები «მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ც ი მ ე რ ვ ა ლ დ ე ლ თ ა ა მ ო ც ა ნ ე ბ ი შ ვ ე ი ც ა რ ი ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ პ ა რ ტ ი ა ში» დაიწერა რუსულ და გერმანულ ენებზე, ი. არმანდმა თარგმნა ფრანგულ ენაზე და განსახილველად დაეგზავნა შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს. — **173.**

63 ეს ლოზუნგი მოცემულია კ. ლიბკნეხტის 1914 წლის 2 ოქტომბრის (ახ. სტ.) წერილში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სახელზე. ამ წერილის ტექსტიდან ლენინს ადგილები მოჰყავს «ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიისადმი და ყველა სოციალისტური პარტიისადმი მიმართვის თეზისების შავად მონასახ პროექტში» (იხ. ეს ტომი, გვ. 280). — **174.**

64 ე გ ლ ი და დ ე-ლ ო — შვეიცარიელი ოფიცრები, რომელთაც ბრალად ედებოდათ ჯაშუშობა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს. 1916 წლის სასამართლო პროცესმა პოლკოვნიკ ეგლის საქმის გამო, რომელიც შვეიცარიის გენერალურ შტაბში მსახურობდა, დაადასტურა მისი მონაწილეობა ჯაშუშობაში. მაგრამ მილიტარისტული ბურჟუაზიისა და სამხედრო ხროვის ზეგავლენით შვეიცარიის სასამართლო დაკმაყოფილდა გადაწყვეტილებით — გადაეცა ბრალდებული სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებაში მისთვის სამხედრო-დისციპლინარული სასჯელის დასადებად. — **175.**

65 ო ლ ტ ე ნ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — გადაწყვეტილება სამხედრო საკითხზე, მიღებული შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა ოლტენში (შვეიცარია) 1906 წლის 10 — 11 თებერვალს (ახ. სტ.). — **183.**

66 **G r ü t l i-V e r e i n** (გრიუტლი-კავშირი) — ბურჟუაზიულ-რეფორმისტული ორგანიზაცია; დაარსდა შვეიცარიაში 1838 წელს. 1901 წელს გრიუტლი-კავშირი შეერიდა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში, მაგრამ შეინარჩუნა თავისი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა; მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) მას ეჭირა სოციალ-შოვინისტური პოზიცია.

1916 წლის ნოემბერში შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ციურიხის ყრილობა გაემიჯნა გრიუტლი-კავშირს და აღიარა,

რომ მისი სოციალ-შოვინისტური საქმიანობა შეუთავსებელია სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ყოფნასთან. — **185.**

67 ეს თეზისები ლენინმა დაწერა შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისათვის შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობისათვის მზადების დროს. ყრილობის მოწვევა განზრახული იყო 1917 წლის თებერვლისათვის ომისადმი სოციალისტების დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად. ყრილობის შესახებ იხ. ლენინის ნაწარმოებებში: «ღია წერილი შარლ ნენს, ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კომისიის წევრს», «ისტორია ერთი სოციალისტური პარტიის ცხოვრების ერთი პატარა პერიოდისა» (ეს ტომი, გვ. 287 — 299, 376 — 380). — **189.**

68 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წაწერების ორტომეული, ტ. I, 1948, გვ. 507. — **196.**

69 «Schweizerische Metallarbeiter-Zeitung» («შვეიცარიელ მელითონე მუშათა გაზეთი») — ყოველკვირეული გაზეთი; დაარსდა ბერნში 1902 წელს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ეჭირა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. — **198.**

70 ფაბიანური პარტია («ფაბიანელთა საზოგადოება») — რეფორმისტული, უაღრესად ოპორტუნისტული ორგანიზაცია, რომელიც დააარსა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფმა ინგლისში 1884 წელს. საზოგადოებას ეწოდა სახელი რომაელ მხედართმთავარ ფაბიუს კუნქტატორისა («დამყოვნებლისა»), რომელიც ცნობილი იყო თავისი ლოდინის ტაქტიკით, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის თავის არიდებით. ფაბიანური საზოგადოება, ლენინის გამოთქმით, წარმოადგენს «ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ყველაზე დამთავრებულ გამოხატულებას». ფაბიანელები პროლეტარიატს აშორებდნენ კლასობრივ ბრძოლას, ქადაგებდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობას რეფორმების გზით. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ფაბიანელებს ეჭირათ სოციალ-შოვინიზმის პოზიცია. ფაბიანელთა დახასიათება იხ. ლენინის ნაწარმოებებში: «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგეესა და სხვებისადმი»» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 12, გვ. 451 — 452), «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 202 — 203), «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი

თეორიისა» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 311 — 312) და სხვ. — **208.**

71 მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა (**Labour Party**) დაარსდა 1900 წელს როგორც მუშათა ორგანიზაციების — ტრედუნიონების, სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფების — გაერთიანება მუშათა წარმომადგენლობის შექმნის მიზნით პარლამენტში. ამ გაერთიანებას ეწოდებოდა «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი», რომელმაც 1906 წელს სახელი შეიცვალა და მუშათა (ლეიბორისტული) პარტია დაირქვა. ლეიბორისტული პარტია, რომელიც თავისი იდეოლოგიითა და ტაქტიკით ყველაზე ოპორტუნისტულ, «თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიულ» (ლ ე ნ ი ნ ი) ორგანიზაციას წარმოადგენს, ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკას ატარებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დროს ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს სოციალშოვინისტური პოზიცია ეჭირათ, ისინი, ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, «იმპერიალისტური ბანდიტიზმის თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი» იყვნენ.

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1924, 1929 და 1945 წლებში და ადგენდა თავის მთავრობებს, რომელნიც უცვლელად ატარებდნენ ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას. 1945 წელს შექმნილი ლეიბორისტული მთავრობა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახორციელებდა ინგლისელ იმპერიალისტთა რეაქციულ პროგრამას. ლეიბორისტთა მემარჯვენე ლიდერებს, რომელნიც არსებითად გამოდიან როგორც ამერიკის იმპერიალიზმის აგენტურა, ანტისაბჭოთა პოზიცია უჭირავთ და ისინი იბრძვიან დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა წინააღმდეგ. — **208.**

72 N o t a-B e n e — ბუხარინის ფსევდონიმია. — **211.**

73 1916 წლის დამლევს — 1917 წლის დამდეგს ლენინი მუშაობდა მასალების შესასწავლად სახელმწიფოს შესახებ. მაშინ შეადგინა მან გეგმა სტატიისა სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების შესახებ. მას განზრახული ჰქონდა ეს სტატია დაებეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» მეოთხე ნომერში. «სბორნიკის» გამოცემა არ განხორციელდა მატერიალურ საშუალებათა უქონლობის გამო; სტატია არ დაწერილა. — **212.**

74 «ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო» — ყოველდღიური მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1915 წლის იანვრიდან 1916 წლის სექტემბრამდე ნაცვლად გაზეთ «გოლოსისა». — **214.**

75 «ს ა ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ო ჯ გ უ ფ ე ბ ს» ქმნიდნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები 1910 წლის დამლევიდან; ისინი მათ განიხილავდნენ როგორც

სტოლიპინის რეჟიმისადმი შეგუებული ახალი ფართო ლეგალური პარტიის უჯრედებს. ლიკვიდატორებმა მოახერხეს «საინიციატივო ჯგუფების» შექმნა პეტერბურგში, მოსკოვში, ეკატერინოსლავსა და კონსტანტინოვკაში (დონბასი). ეს იყო მცირერიცხოვანი პატარა-პატარა ინტელიგენტური ჯგუფები, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ მუშათა მასებთან. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს საინიციატივო ჯგუფებს სოციალ-შოვინიზმის პოზიცია ეჭირათ. — **220.**

76 ო რ თ ო დ ო ქ ს ი — მენშევიკი ქალი ლ. ●. აქსელროდი. — **220.**

77 «დ ე ლ ო» — ორკვირეული მენშევიკური სოციალ-შოვინისტური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1916 — 1917 წლებში. — **222.**

78 «დ ი ს კ უ ს ს ი ო ნ ნ ი ლ ი ს ტ ო კ» — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» დამატება; გამოდიოდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1910 წ.) პლენუმის დადგენილებით 1910 წლის 6 (19) მარტიდან 1911 წლის 29 აპრილამდე (12 მაისამდე) პარიზში. გამოვიდა სამი ნომერი. — **222.**

79 «გ ო ლ ო ს» — სოციალ-შოვინისტური მიმართულების მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა სამარაში 1916 წელს. გამოვიდა ოთხი ნომერი. გაზეთი იყო გაგრძელება მენშევიკური გაზეთებისა «ნაშ გოლოს» და «გოლოს ტრუდა», რომლებიც აგრეთვე სამარაში გამოდიოდა. — **223.**

80 სტატია «პ ა ც ი ფ ი ზ მ ი ბ ო რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი და პ ა ც ი ფ ი ზ მ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ო რ ი» ლენინს განზრახული ჰქონდა დაებეჭდა გაზეთ «ნოვი მირში», რომელსაც ნიუ-იორკში სცემდნენ რუსი სოციალისტ-ემიგრანტები. მაგრამ ამ გაზეთში სტატია არ დაბეჭდილა. ამ სტატიის პირველი ორი თავი, გადამუშავებული სახით, დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» უკანასკნელ, 58-ე ნომერში სათაურით «მობრუნება მსოფლიო პოლიტიკაში» (იხ. ეს ტომი, გვ. 345 — 357). —**225.**

81 მ უ შ ა თ ა პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო კ ა ვ შ ი რ ი (შრომის საყოველთაო კონფედერაცია) — საფრანგეთის პროფკავშირთა საერთო გაერთიანება, რომელიც ჩამოყალიბდა 1895 წელს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელი ბირთვი იმპერიალისტებს მიემხრო და კლასთა თანამშრომლობისა და «სამშობლოს დაცვის» პროპაგანდას ეწეოდა. — **240.**

82 ფ რ ა ნ გ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა შეიქმნა 1902 წელს. 1905 წელს ფრანგული სოციალისტური პარტიისა და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ინიციატივით შეიქმნა ერთიანი სოციალისტური პარტია; მის შემადგენლობაში შევიდნენ ყველა სოციალისტური პარტიისა და ჯგუფების (გედისტები, ბლანკისტები, ჟორესისტები და სხვ.) წარმომადგენლები. ფრანგულ სოციალისტურ პარტიაში ხელმძღვანელობა გადავიდა სოციალისტ-რეფორმისტთა ხელში (ჟორესის მეთაურობით), რომლებიც მის უმრავლესობას შეადგენდნენ. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დროს პარტიას ეჭირა სოციალ-შოვინისტური პოზიცია, მისმა საპარლამენტო ფრაქციამ ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს, მისი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ბურჟუაზიულ მთავრობაში. ტურის ყრილობაზე (1920 წ. 25 — 30 დეკემბერი) მოხდა ფრანგული სოციალისტური პარტიის გათიშვა: უმრავლესობამ შექმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია; მემარჯვენე-ოპორტუნისტულმა უმცირესობამ, ლეონ ბლუმის მეთაურობით, ყრილობა დატოვა და შექმნა დამოუკიდებელი პარტია, რომელმაც მიიღო ძველი სახელწოდება — ფრანგული სოციალისტური პარტია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგული სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომელსაც ლეონ ბლუმი მეთაურობდა, დაკავშირებულია საფრანგეთის რეაქციასთან და გამოდის როგორც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების აგენტურა. — **240.**

83 **«La Bataille»** («ბრძოლა») — გაზეთი, საფრანგეთის ანარქო-სინდიკალისტების ორგანო; გამოსვლა დაიწყო პარიზში 1915 წლის ნოემბრიდან; მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ეჭირა შოვინისტური პოზიცია. — **243.**

84 ეს სტატია დაწერილია ფრანგი ტროცკისტის ბორის სუვარინის იმ დიდ წერილის პასუხად, რომელიც გამოქვეყნდა 1916 წელს სათაურით **«A nos amis qui sont en Suisse»** («ჩვენს მეგობრებს შვეიცარიაში»). ლენინის პასუხი სუვარინისადმი ცენზურამ დააკავა და ის დაიბეჭდა მისი დაწერიდან ერთი წლის შემდეგ საფრანგეთის სოციალისტ-ცენტრისტების გაზეთში **«La Vérité»** («სიმართლე») დიდი შემოკლებითა და სარედაქციო ქვესათაურებით. წერილის სრული ტექსტი შენახულია გაზეთ **«La Vérité»**-ს კორექტურული ანაბეჭდების სახით. — **252.**

85 **«L'Humanite»** («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დააარსა ჟ. ჟორესმა 1904 წელს როგორც ფრანგული სოციალისტური პარტიის ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთი ფრანგული სოციალისტური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელში იმყოფებოდა და სოციალ-შოვინისტურ პოზიციაზე იდგა.

1920 წლის დეკემბრის კონგრესზე სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის შემდეგ გაზეთი მალე გახდა კომუნისტური პარტიის ორგანო; ამჟამადაც გამოდის პარიზში როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **255.**

86 «**Appeal to Reason**» («მოწოდება გონებისადმი») — ამერიკელ სოციალისტთა გაზეთი; დაარსდა კანზასის შტატში (აშშ) 1895 წელს; მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დროს ეჭირა ინტერნაციონალისტური პოზიცია. — **260.**

87 1912 წლის იანვარში რსდმ პარტიის პრაღის კონფერენციამ პარტიიდან გააძევა მენშევიკები და გააფორმა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობა. კონფერენციის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 171 — 179, აგრეთვე «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 176 — 191. — **268.**

88 «ტ რ ი ბ უ ნ ა» («**De Tribune**») — გაზეთი; დააარსა ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთამ ამსტერდამში 1907 წელს; 1909 წლიდან გაზეთი გახდა ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, 1918 წლიდან კი ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ორგანოა; ოცდაათიანი წლების დამდეგიდან 1940 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით «ფოლკსდახბლადი» («სახალხო გაზეთი»). — **265.**

89 «შ ა ვ ა დ მ ო ნ ა ს ა ხ ი პ რ ო ე ქ ტ ი ინ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო მ ი ს ი ი ს ა დ მ ი და ყ ვ ე ლ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ა დ მ ი მ ი მ ა რ თ ვ ი ს თ ე ზ ი ს ე ბ ი ს ა» დაწერილია 1917 წლის იანვრის პირველ რიცხვებში (იხ. სტ.). ხელნაწერზე სათაურის ქვეშ არის ლენინის წარწერა: «(**I. S. K.**-ში გასაგზავნად და პრესისათვის)».

1917 წლის 7 იანვარს (იხ. სტ.) ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თავმჯდომარემ რ. გრიმმა, რომელსაც კაუცკური პოზიცია ეჭირა, მიუხედავად შვეიცარიელ მემარცხენეთა წინააღმდეგობისა, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობაში გაატარა გადაწყვეტილება საგანგებო ყრილობის მოწვევის გაურკვეველი დროით გადადების შესახებ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კონფერენციამ, რომელიც ამავე დღეს ბერლინში მიმდინარეობდა, მიიღო კაუცკის პაციფისტური მანიფესტი. ეს ამბები მოასწავებდა მემარჯვენე

ციმერვალდელთა აშკარად გადასვლას სოციალ-შოვინისტების მხარეზე. ამასთან დაკავშირებით ლენინმა პროექტში შეიტანა მთელი რიგი ცვლილებები, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა გადაედო მისი გამოქვეყნება და პროექტზე აღნიშნა: «დაწერილია 1917 წ. 7 იანვრამდე და ამიტომ ნაწილობრივ მოძველებულია». მოგვიანებით, ამ პროექტის საფუძველზე, ლენინმა დაწერა მიმართვა «მუშებს, რომელნიც მხარს უჭერენ ბრძოლას ომის წინააღმდეგ და თავიანთ მთავრობათა მხარეზე გადასული სოციალისტების წინააღმდეგ» (იხ. ეს ტომი, გვ. 300 — 309). — **267.**

90 წერილი ლენინმა დაწერა ციურიხში და გაუგზავნა ჟენევაში ვ. ა. კარპინსკის. წერილი განკუთვნილი იყო რსდმ პარტიის საზღვარგარეთულ სექციებში განსახილველად. — **284.**

91 **«Grütlianer»** (**«გრიუტლელი»**) — გაზეთი, შვეიცარიის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული გრიუტლი-კავშირის ორგანო; დაარსდა ციურიხში 1851 წელს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) გაზეთი იდგა სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე. ამ გაზეთს ლენინმა უწოდა «მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის თანამიმდევარ და გულახდილ მსახურთა გაზეთი». — **285.**

92 **«მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა 1 9 0 5 წ ლ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს შ ე ს ა ხ ებ»** ვ. ი. ლენინმა წაიკითხა გერმანულ ენაზე 1917 წლის 9 (22) იანვარს ციურიხის სახალხო სახლში შვეიცარიის მუშა ახალგაზრდობის კრებაზე. — **310.**

93 თეზისები ლენინმა დაწერა შვეიცარიელი სოციალ-შოვინისტის ჰ. გრეიელიხის იმ სტატიების გამო, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთში **«Volksrecht»** (**«ხალხის უფლება»**) საერთო სათაურით **«Zur Landesverteidigung»** (**«სამშობლოს დაცვის გამო»**). — **334.**

94 **«L e P o p u l a i r e»** (**«სახალხო გაზეთი»**) — გაზეთი, დააარსეს საფრანგეთის სოციალისტ-ცენტრისტებმა; გამოდიოდა 1916 წლიდან ლიმოჟში, 1917 წლის ივლისიდან — პარიზში. 1921 წლიდან გაზეთი გახდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. ამჟამად გაზეთი ხელთა აქვთ მემარჯვენე სოციალისტებს — საფრანგეთის ბურჟუაზიის რეაქციული წრეებისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგენტურას. — **345.**

95 იგულისხმება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 57-ე ნომერში დაბეჭდილი: გუჩკოვის 1916 წლის 15 (28) აგვისტოს წერილი უმაღლესი მთავარსარდლის, გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ალექსეევისადმი და ამონაწერები გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ჰელ-

ფერიხის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატების მრავალრიცხოვან დაპატიმრებათა შესახებ ოპოზიციის შეკითხვის პასუხად.

გუჩკოვის წერილი გამოხატავდა რუსეთის ბურჟუაზიის შიშს მზარდი რევოლუციის წინაშე და უკმაყოფილებას მთავრობის გამო, რომელსაც უნარი არ შესწევდა თავიდან აეცილებინა რევოლუციის დაწყება.

ჰელფერიხის სიტყვის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ სჯობს თავიდან ავიცილოთ რევოლუცია მისი ბელადების დაპატიმრებით, ვიდრე დავუშვათ რევოლუციის მოხდენაო. — **347.**

96 იგულისხმება მიმართვა ყველა პარტიისა და ჯგუფისადმი, რომელიც მიიღო ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებულმა თათბირმა 1916 წლის თებერვალში. მიმართვაში მოცემულია სოციალ-შოვინისტებისა და საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სოციალ-შოვინისტური პოზიციის მკვეთრი კრიტიკა. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ლიდერების ცდებს — აღადგინონ II ინტერნაციონალი სოციალისტების «ურთიერთ ამნისტიის» გზით, მიმართვა უწოდებს «შეთქმულებას სოციალიზმის წინააღმდეგ». მიმართვა სოციალისტებისაგან მოითხოვდა უარი ეთქვათ ხმის მიცემაზე სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ და მოუწოდებდა მათ მოეწყოთ გაფიცვები, დემონსტრაციები, სანგრებში დაძმობილება და გამოეყენებინათ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის სხვა ფორმები. I. S. K.-ის მიმართვა დაიბეჭდა «Internationale Sozialistische Kommission zu Bern. Bulletin»-ის («ბერნის ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია. ბიულეტენი») მე-3 ნომერში 1916 წლის 29 თებერვალს და გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 52-ე ნომერში 1916 წლის 25 მარტს. — **351.**

97 შრომა «სტატისტიკა და სოციოლოგია» ლენინს განზრახული ჰქონდა ლეგალურად გამოეცა ცალკე ბროშურად პ. პირიუჩევის ფსევდონიმით. შრომის დამთავრება მან ვერ მოახერხა.

მოსამზადებელი მასალები და ბროშურის გეგმები გამოქვეყნებულია ლენინის კრებულში, XXX, 1937, გვ. 280 — 300. — **358.**

98 «Die Glocke» («ზარი») — ჟურნალი; მიუნხენში, შემდეგ კი ბერლინში 1915 — 1925 წლებში სცემდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სოციალ-შოვინისტი პარვუსი (გელფანდი) — გერმანიის იმპერიალიზმის აგენტი. — **369.**

99 «წინადადება სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ» შეიტანეს

შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა სამხედრო საკითხის განხილვის დროს ციურიხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კანტონალურ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა ტესში 1917 წლის 11 — 12 თებერვალს (ახ. სტ.).

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო რეზოლუციის ორი პროექტი: 1) რეზოლუციის პროექტი, შედგენილი მემარჯვენეების მიერ სოციალ-შოვინიზმის სულისკვეთებით, და 2) რეზოლუციის ცენტრისტული პროექტი, რომელიც მოიწონა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა უმრავლესობამ. ხმების უმრავლესობით (93 წინააღმდეგ 65-ისა) ყრილობამ მიიღო უმრავლესობის რეზოლუციის პროექტი. იმისათვის, რომ სოციალ-შოვინისტების რეზოლუცია არ გასულიყო, მემარცხენეებმა ხმა მისცეს უმრავლესობის რეზოლუციას, მაგრამ შეიტანეს წინადადება ამ რეზოლუციის ცვლილებათა შესახებ ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის სულისკვეთებით. მემარცხენეთა წინადადებამ მიიღო 32 ხმა.

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში წარმოებული ბრძოლის შესახებ იხ. ლენინის სტატია «ისტორია ერთი სოციალისტური პარტიის ცხოვრების ერთი პატარა პერიოდისა» (ეს ტომი, გვ. 376 — 380). — **374.**

100 იგულისხმება რეფერენდუმი ომისადმი დამოკიდებულების საკითხის განსახილველად შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევის საკითხზე. რეფერენდუმი გამოაცხადეს შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა იმასთან დაკავშირებით, რომ შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ მიიღო დადგენილება ყრილობის მოწვევის გაურკვეველი დროით გადადების შესახებ. — **376.**

101 «**Neue Freie Zeitung**» («ახალი თავისუფალი გაზეთი») — შვეიცარიის ზოლოტურნის კანტონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორგანო; გამოდიოდა ოლტენში 1905-დან 1920 წლამდე. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ეჭირა ცენტრისტული პოზიცია.

«**Basler Vorwärts**» («ბაზელის «წინ»») — გაზეთი, შვეიცარიის ბაზელის კანტონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორგანო; დაარსდა 1898 წელს; მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ეჭირა ცენტრისტული პოზიცია. — **377.**

102 «**1917 წლის 4 (17) მარტის თეზისების მონასახი**» ვ. ი. ლენინმა დაწერა ციურიხში თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შესახებ პირველი ცნობების მიღების შემდეგ

და სახელმძღვანელოდ გაუგზავნა სტოკჰოლმში იმ ბოლშევიკებს, რომლებიც რუსეთს მიემგზავრებოდნენ. — **381.**

103 იგულისხმება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა, რომელიც შედგა 1917 წლის 2 (15) მარტს სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის შეთანხმებით პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ესერულ-მენშევიკურ ლიდერებთან, ბოლშევიკებისაგან ფარულად. ამ მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ თავადი ლვოვი, კადეტების მეთაური მილიუკოვი, ოქტიაბრისტების მეთაური გუჩკოვი და ბურჟუაზიისა და მემამულეების სხვა წარმომადგენლები. როგორც «დემოკრატიის» წარმომადგენელი, მთავრობაში შეყვანილ იქნა ესერი კერენსკი. — **381.**

104 დოკუმენტს სათაური მისცა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **387.**

105 დოკუმენტს სათაური მისცა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **388.**

106 «წ ე რ ი ლ ე ბ ი შ ო რ ი დ ა ნ» — ხუთი წერილი, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ შვეიცარიაში 1917 წლის მარტის დამლევს — აპრილის დამდეგს (ახ. სტ.) ბოლშევიკურ გაზეთ «პრავდისათვის», რომლის გამოცემა განახლდა პეტროგრადში თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

«წერილი პირველი. პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი» დაიბეჭდა «პრავდის» მე-14 და მე-15 ნომრებში 1917 წლის 21 და 22 მარტს დიდი შემოკლებებითა და შესწორებებით. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე — მესამე გამოცემებში წერილი დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, მეოთხე გამოცემაში კი ის იბეჭდება მანქანაზე გადაღებული პირის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია «პრავდის» ტექსტთან. დანარჩენი ოთხი წერილი გამოქვეყნდა 1924 წელს. — **391.**

107 «T h e T i m e s» («დროება») — გაზეთი, დაარსდა 1785 წელს ლონდონში; ინგლისის ბურჟუაზიის ერთ-ერთი დიდი კონსერვატიული გაზეთი. — **409.**

108 «ს ა ხ ა ლ ხ ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი» (ენესები) — წვრილბურჟუაზიული პარტია; შეიქმნა 1906 წელს მას შემდეგ, რაც გამოეყო ესერების შემარჯვენე ფრთას; აყენებდა ზომიერ-დემოკრატიულ მოთხოვნებს, რომლებიც არ სცილდებოდნენ კონსტიტუციური მონარქიის ჩარჩოებს. ენესები უარყოფდნენ ესერების საპროგრამო დებულებას მიწის სოცია-

ლიზაციის შესახებ და აღიარებდნენ მემამულეთა მიწის გასხვისებას გამოყიდვის საფუძველზე. ვ. ი. ლენინი ენესებს უწოდებდა «მეშჩანურ ოპორტუნისტებს», «სოციალ-კადეტებს», «ესერულ მენშევიკებს». ენესების ლიდერები იყვნენ: ა. ვ. პეშეხონოვი, ვ. ა. მიაკოტინი, ნ. ფ. ანენსკი და სხვები.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ენესების პარტია აქტიურად უჭერდა მხარს ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას, გადაბარგდა კონტრრევოლუციის ბანაკში. — **418.**

109 ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ი, «შრომის ჯგუფი» — წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ჯგუფი; შეიქმნა 1906 წლის აპრილში I სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა დეპუტატებისაგან. ტრუდოვიკების ფრაქცია არსებობდა ოთხივე სათათბიროში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ტრუდოვიკებს შოვინისტური პოზიცია ეჭირათ. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ტრუდოვიკები, რომლებიც კულაკების ინტერესების გამომხატველნი იყვნენ, სახალხო სოციალისტებთან ერთად გადაბარგდნენ კონტრ-რევოლუციის ბანაკში. — **415.**

110 «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა 1910 — 1914 წლებში პეტერბურგში. «ნაშა ზარიას» ირგვლივ ჩამოყალიბდა ლიკვიდატორების ცენტრი რუსეთში. 1915 წლის იანვრიდან, «ნაშა ზარიას» დახურვის შემდეგ, გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა «ნაშე დელო». — **415.**

111 იგულისხმება შეთანხმება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ, რომელიც 1917 წლის 1 (14) მარტს ბოლშევიკებისაგან ფარულად დადვეს ერთმანეთთან სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ესერულ-მენშევიკურმა ლიდერებმა. ესერებმა და მენშევიკებმა ნებაყოფლობით გადასცეს ხელისუფლება ბურჟუაზიას, როცა სახელმწიფო სათათბიროს დროებითს კომიტეტს უფლება მისცეს თავისი შეხედულებისამებრ შეედგინა დროებითი მთავრობა. — **416.**

112 «L e T e m p s» («დრო») — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1861 წლიდან 1942 წლამდე. — **417.**

113 «N e u e Z ü r c h e r Z e i t u n g» («ციურიხის ახალი გაზეთი») — შვეიცარიის ბურჟუაზიული გაზეთი; დაარსდა ციურიხში 1780 წელს; 1821 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით «Zürcher Zeitung». გაზეთი ამჟამად გამოდის. — **417.**

114 «National-Zeitung» («ნაციონალური გაზეთი») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; დაარსდა ბერლინში 1848 წელს. — 417.

115 ლაპარაკია «საკონტაქტო კომისიაზე», რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ჩხეიძე, სტეკლოვი, სუხანოვი, ფილიპოვსკი და სკობელევი (უფრო მოგვიანებით შევიდნენ ჩერნოვი და წერეთელი). «საკონტაქტო კომისია» 1917 წლის 8 (21) მარტს გამოჰყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მენშევიკურ-ესერულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დროებითს მთავრობასთან კონტაქტის დასამყარებლად, მასზე «ზემოქმედების მოსახდენად» და მისი მოქმედებისათვის «კონტროლის გასაწევად». ნამდვილად კი «საკონტაქტო კომისია» ეხმარებოდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის განხორციელებას და ცდილობდა შეეკავებინა მუშათა მასები აქტიური რევოლუციური ბრძოლისაგან მთელი ძალაუფლების გადასაცემად საბჭოების ხელში. «საკონტაქტო კომისია» არსებობდა 1917 წლის მაისამდე, როდესაც მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები უშუალოდ შევიდნენ დროებითი მთავრობის შემადგენლობაში. — 418.

116 «ფრანკფურტის გაზეთი» («Frankfurter Zeitung») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მაინის ფრანკფურტში 1856 წლიდან 1943 წლამდე. — 423.

117 «ფოსის გაზეთი» («Vossische Zeitung») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; დაარსდა ბერლინში 1704 წელს. — 424.

118 ამის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის შრომაში «სახელმწიფო და რევოლუცია» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25). — 430.

119 «ლეტოპის» — ყოველთვიური ლიტერატურული, მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი, რომელიც დაარსა მ. გორკიმ პეტროგრადში; გამოდიოდა 1915 წლის დეკემბრიდან 1917 წლის აგვისტომდე. — 443.

120 «104-ის» აგრარული პროგრამა — საადგილმამულო კანონის «ძირითად დებულებათა პროექტი», რომელიც შეტანილ იქნა I სათათბიროში გლეხთა 104 დეპუტატის ხელმოწერით 1906 წლის 23 მაისს (5 ივნისს). პროექტში წამოყენებული იყო მოთხოვნები: საერთო სახალხო ფონდის შექმნა სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო მიწებისაგან, აგრეთვე კერძომფლობელური მიწებისაგან, თუ სამფლობელოს ოდენობა აღემატებოდა დაწესებულ შრომითს ნორმას; მიწით სარგებლობის უფლების მინიჭება მხოლოდ იმათთვის, ვინც მას თვითონ ამუშავებს. გასხვისებული კერძომფლობელური

მიწებისათვის გათვალისწინებული იყო ანაზღაურება. საადგილმამულო რეფორმის გატარება ეკისრებოდათ ადგილობრივ გლეხთა კომიტეტებს, არჩეულთ სრული დემოკრატიზმის საფუძველზე. «104-ის» პროექტს ლენინი უწოდებდა «რევოლუციურ აგრარულ პროექტს» (იხ. ეს ტომი, გვ. 490). — **451.**

121 1915 წელს ბერნში ბოლშევიკებმა შექმნეს ტყვეების დამხმარე კომისია. კომისიამ დიდი მუშაობა გასწია გერმანიის ბანაკებში მყოფ რუს ტყვეებთან კავშირურთიერთობის მოსაგვარებლად და მათ შორის მუშაობის ორგანიზაციის საქმეში: მოეწყო ფართო მიწერ-მოწერა, იგზავნებოდა არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურა.

ეს მოწოდება ტყვეებისადმი ლენინმა დაწერა მალე მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა პირველი ცნობები რუსეთის რევოლუციის შესახებ და ცალკე ფურცლად გამოსცა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ. ფურცლის ბოლოს არის მინაწერი: «ამხანაგებო! განაგრძეთ ურთიერთობა ტყვეების დამხმარე კომისიასთან — შემდეგი მისამართით: **Schweiz, Bern, Falkenweg 9.** ამხანაგები შეეცდებიან კვლავინდებურად გამოგიგზავნონ ხოლმე თქვენ წიგნები და სხვ.». — **453.**

122 «პ რ ა ვ დ ა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში; დაარსებულ იქნა ვ. ი. ლენინის მითითებით და ი. ბ. სტალინის ინიციატივით. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა «პრავდის» პლატფორმა და მომზადდა პირველ ნომერი, რომელიც გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს).

«პრავდა» გამოდიოდა მუშათა სახსრებით: 1912 წელს მუშებმა ჩაატარეს სახსრების 620 ჯგუფური შეგროვება ბოლშევიკური პრესისათვის, 1913 წელს — 2 181, 1914 წლის იანვარ-მაისში — 2 873 შეგროვება. მოწინავე მუშები «პრავდის» კორესპონდენტები იყვნენ. მისი ტირაჟი დღეში 40 — 60 ათას ეგზემპლარს აღწევდა. გაზეთის თვითეულ ეგზემპლარს ათობით მუშა კითხულობდა.

ბოლშევიკებს მაშინ «პრავდისტებს» უწოდებდნენ. «1912 წლის «პრავდა», — წერდა ი. ბ. სტალინი, — ეს არის საძირკვლის ჩაყრა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს».

ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პრავდას», თითქმის ყოველდღე წერდა გაზეთში, მითითებებს აძლევდა მის რედაქციას. 1912 წლის სექტემბერში ნარიმის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ «პრავდაში» ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. 1913 წლის იანვარ-თებერვალში «პრავდის» რედაქტორი იყო ი. მ. სვერდლოვი. 1913 წლის თებერვალში ი. ბ. სტალინმა ი. მ. სვერდლოვთან ერთად ჩაატარა «პრავდის» რედაქციის რეორგანიზაცია ლენინის მითითებათა მიხედვით. 1912 წლის მაისიდან ნოემბრამდე მდიგნად

და სარედაქციო კოლეგიის წევრად მუშაობდა ვ. მ. მოლოტოვი; 1913 წლის შემოდგომაზე, როცა არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი ხელმძღვანელობდა «პრავდაში» პროფესიული მოძრაობის განყოფილებას. რედაქციის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, კ. ს. ერემეევი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ნ. სამოილოვა, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. გაზეთში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები. «პრავდაში» იბეჭდებოდა ა. მ. გორკის ნაწარმოებები.

მეფის მთავრობამ «პრავდა» რვაჯერ დახურა, მაგრამ გაზეთი გამოსვლას განაგრძობდა სხვა სახელწოდებებით: «რაბოჩაია პრავდა», «სევერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა», «ზა პრავდუ», «პროლეტარსკაია პრავდა», «პუტ პრავდი», «რაბოჩი», «ტრუდოვაია პრავდა».

იმპერიალისტური ომის წინ — 1914 წლის 8 (21) ივლისს «პრავდა» დახურეს; მისი გამოცემა განახლდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ — 1917 წლის 5 (18) მარტს. გაზეთმა გამოსვლა დაიწყო როგორც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ოფიციალურმა ორგანომ. 15 (28) მარტს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის აპრილში რუსეთს დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. ივლისის დღეების შემდეგ, ვ. ი. ლენინის არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორი გახდა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის ივლის-ოქტომბერში «პრავდამ», რომელსაც დროებითი მთავრობა სდევნიდა, ოთხჯერ გამოიცვალა თავისი სახელწოდება და გამოდიოდა სახელწოდებებით: «ლისტოკ «პრავდი»», «პროლეტარი», «რაბოჩი», «რაბოჩი პუტ». 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) გაზეთმა დაიწყო გამოსვლა თავისი ძველი სახელწოდებით — «პრავდა». — **458.**

123 რეფერატი «რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში» ვ. ი. ლენინმა წაიკითხა გერმანულ ენაზე 1917 წლის 14 (27) მარტს ციურიხის სახალხო სახლში შვეიცარიელ მუშათა კრებაზე. — **468.**

124 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერების ორტომეული, ტ. I, 1948, გვ. 292 და 474. — **473.**

125 «Corriere della Sera» («საღამოს კურიერი») — ყოველდღიური იტალიური ბურჟუაზიული გაზეთი, დაარსებული მილანში 1876 წელს; გამოდის ამჟამადაც. — **477.**

126 1914 წლის იანვრიდან ჩერნომაზოვი გადაყენებულ იქნა გაზეთ «პრავდის» რედაქციაში მუშაობიდან პროვოკაციაში ეჭვის მიტანის გამო და მას შემდეგ არავითარ მონაწილეობას არ იღებდა გაზეთ «პრავდის» გამოცემაში. — 480.

127 «Petit Parisien» («პატარა პარიზელი») — საფრანგეთის ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული წრეების ყოველდღიური გაზეთი; დაარსდა პარიზში 1876 წელს. — 480.

128 რუსი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების მომწყობი კომიტეტის დავალებით რ. გრიმმა დაიწყო მოლაპარაკება მათი რუსეთში გამგზავრების შესახებ. რადგან გრიმმა ორაზროვანი პოზიცია დაიკავა და გამგზავრების შესახებ მოლაპარაკებას აჭიანურებდა, ბოლშევიკებმა მის დახმარებაზე უარი განაცხადეს და შემდგომი მოლაპარაკების რწმუნება გადასცეს შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდივანს ფ. პლატენს. — 482.

129 «Freie Jugend» («თავისუფალი ახალგაზრდობა») — შვეიცარიის ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორგანო; გამოდიოდა ციურიხში 1906-დან 1918 წლამდე. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ემხრობოდა ციმერვალდის მემარცხენე ფრთას. — 485.

130 იგულისხმება «წინადადება სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ», დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ და შეტანილი შვეიცარიელ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა სახელით ტესის კანტონალურ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1917 წლის 11 — 12 თებერვალს (იხ. სტ.). (იხ. ეს ტომი, გვ. 374). — 485.

131 «ლ ა ბ ურ ი ს ტ ე ბ ს» ლენინი უწოდებს ლეიბორისტებს — მუშათა პარტიის (Labour Party) წევრებს. — 491.

132 «Arbeiterpolitik» («მუშათა პოლიტიკა») — ყოველკვირეული ლეგალური ჟურნალი; სცემდა გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ბრემენის ჯგუფი 1916-დან 1919 წლამდე. — 492.

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1916* წლის აგვისტო — *1917* წლის მარტი)

1916

აგვისტოს დამლევი — სექტემბრის დამდეგი.	ლენინი დაბა ფლიუმსიდან ბრუნდება ციურიხში.
აგვისტო — სექტემბერი.	ლენინი წერს სტატიებს: ««იმპერიალისტური ეკონომიზმის» მიმართულების შესახებ, რომელიც ახლა იბადება» და «პასუხი პ. კიევსკის (ი. პიატაკოვს)».
აგვისტო — ოქტომბერი.	ლენინი წერს სტატიას «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ».
სექტემბერი, 17 (30).	ლენინი მონაწილეობს ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თათბირში ბერნში.
სექტემბერი.	ლენინი წერს სტატიას «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა». სტატია გამოქვეყნდა 1917 წელს გაზეთში «**Jugend-Internationale**» №№ 9 და 10.
ოქტომბრის პირველი ნახევარი.	ლენინი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წერს მისალმებას იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობისადმი. მისალმება წაკითხულ იქნა ყრილობაზე 2 (15) ოქტომბერს ციურიხში.
ოქტომბერი.	ლენინი წერს სტატიებს: ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» და «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა». სტატიები გამოქვეყნდა 1916 წლის დეკემბერს «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში.
ოქტომბერი, 21 და 22 (ნოემბერი, 3 და 4).	ლენინი ესწრება მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა — შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დელეგატთა — თათბირებს; მონაწილეობს კინტა-

ლის კონფერენციისადმი დამოკიდებულების საკითხზე ყრილობის რეზოლუციის პროექტის შემუშავებაში.

ოქტომბერი, 22 (ნოემბერი, 4). ლენინი ესწრება შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობას ციურიხში; გამოდის მისასალმებელი სიტყვით რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით.

ოქტომბერი, 24 (ნოემბერი, 6). ლენინის სტატიები «სეპარატიული ზაეის შესახებ» და ««სოციალისტ» მინისტრთა მთელი ათეული» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 56-ე ნომერში.

ოქტომბერი. გამოდის «სბორნიკ სოციალ-დემოკრატა» № 1, რომელშიც მოთავსებულია ლენინის სტატიები: «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ», «იუნიუსის ბროშურის შესახებ» და თეზისები «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება».

ოქტომბრის დამლევი — ნოემბრის დამდეგი. ლენინი წერს თეზისებს «მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში»; აძლევს მითითებებს თეზისების უცხოურ ენებზე თარგმნისა და მათი გავრცელების შესახებ. თეზისები გამოქვეყნდა 1918 წელს ცალკე ბროშურად ფრანგულ ენაზე.

ნოემბერი, 7 (20). ლენინი მემარცხენე ციმერვალდელებთან ატარებს საუბარს თეზისებზე «მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში».

ნოემბერი, 17 (30). ლენინი მემარცხენე ციმერვალდელებთან ატარებს მეორე საუბარს თეზისებზე «მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში» და შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულებაზე ომისადმი.

1916 წ. ნოემბერი — 1917 წ. თებერვალი. წერილებში ინესა არმანდისადმი ლენინი იცავს და ავითარებს უმნიშვნელოვანეს მარქსისტულ დებულებებს ომისადმი დამოკიდებულებისა და სამშობლოს დაცვის შესახებ.

ლენინი მკვეთრად აკრიტიკებს პიატაკოვ-ბუხარინის «იმპერიალისტური ეკონომიზმის» ოპორტუნისტულ პოზიციას, ამხელს რადეკის თავხედურ პოლიტიკურ ინტრიგანობას, ტროცკისა და ზინოვიევის უპრინციპო თვალთმაქცურ მოქმედებას, ააშკარავებს და აკრიტიკებს მემარცხენე სოციალ-დემოკრატების შეცდომებსა და არათანმიმდევრობას

დეკემბრის დამდეგი. ლენინი მუშაობს «თეზისებზე შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი».

დეკემბერი, 19 (1917 წლის 1 იანვარი). ლენინმა დაწერა სტატია «პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური».

დეკემბრის მეორე ნახევარი. ლენინი წერს «ღია წერილს ბორის სუვარინს». წერილი შემოკლებული სახით გამოქვეყნდა 1918 წლის 27 იანვარს გაზეთში «La Vérité» № 48.

25 დეკემბრამდე (1917 წლის 7 იანვრამდე). ლენინი წერს «შავად მონასახ პროექტს ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიისადმი და ყველა სოციალისტური პარტიისადმი მიმართვის თეზისებისას».

დეკემბერი, 26 (1917 წლის 8 იანვარი). ლენინი წერილში ვ. ა. კარპინსკისადმი ააშკარავებს რ. გრიმის სოციალ-შოვინისტურ პოზიციას და სახავს ზომებს შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ ოპორტუნისტული ლიდერების უმრავლესობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც სოციალ-შოვინისტების მხარეზე გადავიდნენ.

დეკემბერი, 26 — 27 (1917 წლის 8 — 9 იანვარი). ლენინი წერს «ღია წერილს შარლ ნენს, ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კომისიის წევრს».

დეკემბრის დამლევი. ლენინი წერს მიმართვას «მუშებს, რომელნიც მხარს უჭერენ ბრძოლას ომის წინააღმდეგ და თავიანთ მთავრობათა მხარეზე გადასული სოციალისტების წინააღმდეგ».

დეკემბერი. გამოდის «სბორნიკ სოციალ-დემოკრატა» № 2, რომელშიაც მოთავსებულია ლენინის სტატიები: ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ», «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა», «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი», «ოპორტუნიზმის გათეთრების ცდები» და «ჩხეიძის ფრაქცია და მისი როლი».

ლენინი წერს სტატიებს: «პრინციპული დებულებანი ომის საკითხისათვის» და «სამშობლოს დაცვის საკითხის დაყენებისათვის».

1917

იანვარი, 1 — 2 (14 — 15). ლენინი ხელმძღვანელობს შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების თათბირს, რომელზედაც განხილულ იქნა გრიმის წინააღმდეგ გამოსვლის საკითხი.

იანვარი, 6 (19). ლენინი ბოლშევიკების საზღვარგარეთულ სექციებს უგზავნის შვეიცარიის იმ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების რეზოლუციას, რომლებმაც გამოაცხადეს რეფერენდუმი საგანგებო პარტიული ყრილობის მოწვევის საკითხზე; ეს ყრილობა გაურკვეველი დროით იქნა გადადებული შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის დადგენილებით.

იანვარი, 9 (22). ლენინი გამოდის მოხსენებით 1905 წლის რევოლუციის შესახებ ახალგაზრდობის კრებაზე ციურიხში.

13 და 17 (26 და 30) იანვარს შუა. ლენინი წერს სტატიას «თორმეტი მოკლე თეზისი ჰ. გრეილიხის მიერ სამშობლოს დაცვის ლოზუნგის დაცვის შესახებ». სტატია ქვეყნდება გაზეთ «**Volksrecht**»-ის 26 და 27 ნომრებში.

იანვარი, 18 (31). ლენინის სტატია «მობრუნება მსოფლიო პოლიტიკაში» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 58-ე ნომერში.

იანვარი. ლენინი წერს ბროშურას «სტატისტიკა და სოციოლოგია», თეზისებს ««ცენტრის», როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მიმდინარეობის, ნიშნები» და სტატიას «მოჩვენებითი თუ ნამდვილი ჭაობი?».

იანვარი, 24 (თებერვალი, 6).	ლენინი ესწრება ციურიხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საერთო კრებას, რომელზედაც ხდება კომიტეტის არჩევნები.
27 და 29 იანვარს (9 და 11 თებერვალს) შუა.	ლენინი წერს «წინადადებას სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ» შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანტონალურ ყრილობებზე შესატანად მემარცხენე სოციალ-დემოკრატების სახელით.
იანვარი — თებერვალი.	ლენინი ციურიხის ბიბლიოთეკაში მუშაობს სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხზე; აკეთებს ამონაწერებს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებებიდან; წერს თავის შენიშვნებსა და დასკვნებს. მომზადებული მასალა ლენინმა ასე დაასათაურა: «მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ».
თებერვალი, 4 (17).	ლენინი სტოკჰოლმს გაგზავნილ წერილში ა. მ. კოლონტაისადმი ეკითხება მას, რამდენად შესაძლებელია კავშირის დამყარება შვეიცის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან და თანამშრომლობა მათ გაზეთში.
თებერვალი, 20 (მარტი, 5).	ლენინი სტოკჰოლმს გაგზავნილ წერილში ა. მ. კოლონტაისადმი იძლევა კონკრეტულ მითითებებს მემარცხენეთა შემჭიდროების ზომებზე და სახავს გეგმას თეზისების შესამუშავებლად ახალგაზრდების (შვეიცის ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული კავშირი) ყრილობისათვის.
თებერვლის დამლევი.	ლენინი წერს სტატიას «ისტორია ერთი სოციალისტური პარტიის ცხოვრების ერთი პატარა პერიოდისა».
თებერვალი — მარტი.	ლენინი მონაწილეობს ციმერვალდის მემარცხენეთა შვეიცარიის ჯგუფის № 1 «ფურცლის» რედაქტირებაში, აწყობს «ფურცლის» თარგმნას უცხოურ ენებზე და მის გავრცელებას.
მარტი, 2 (15).	ლენინი ღებულობს პირველ ცნობებს თებერვლის რევოლუციის შესახებ და იღებს ზომებს რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნებისათვის რუსეთში.

მარტი, 3 და 4 (16 და 17).	სტოკჰოლმს ა. მ. კოლონტაისადმი გაგზავნილ წერილებში ლენინი იძლევა რუსეთის თებერვლის რევოლუციის შეფასებას და სახავს ბოლშევიკების ტაქტიკას.
მარტი, 4 (17).	ლენინი წერს «1917 წლის 4 (17) მარტის თეზისების მონასახს» და გზავნის მას სტოკჰოლმში რუსეთს მიმავალი ბოლშევიკების სახელმძღვანელოდ.
მარტი, 5 (18).	ლენინი შო-დე-ფონში (შვეიცარია) გამოდის რეფერატით პარიზის კომუნისა და რუსეთის რევოლუციის განვითარების პერსპექტივების შესახებ.
მარტი, 6 (19).	ლენინი რუსეთს მიმავალ ბოლშევიკებს სტოკჰოლმში უგზავნის დეპეშას, რომელშიაც იძლევა სადირექტივო მითითებებს რევოლუციაში პარტიის ტაქტიკის შესახებ.
მარტი, 7 (20).	ლენინი წერს «წერილებს შორიდან. წერილი პირველი. პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი». წერილი ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» მე-14 და მე-15 ნომრებში.
მარტი, 8 — 9 (21 — 22).	ლენინი წერს «წერილებს შორიდან. წერილი მეორე. ახალი მთავრობა და პროლეტარიატი».
მარტი, 10 (23).	ლენინი ბოლშევიკების საზღვარგარეთულ სექციებს უგზავნის «წერილებს შორიდან»,—პირველი და მეორე წერილის ასლებს.
მარტი, 10 — 11 (23 — 24).	ლენინი წერს «წერილებს შორიდან. წერილი მესამე. პროლეტარული მილიციის შესახებ».
მარტი, 12 (25).	ლენინი წერს «წერილებს შორიდან. წერილი მეოთხე. როგორ მივაღწიოთ ზავს?» და სტატიას «რევოლუცია რუსეთში და ყველა ქვეყნის მუშათა ამოცანები».
მარტის შუა რიცხვები.	ლენინი წერს მოწოდებას «ამხანაგებს, რომლებიც ტყვეობაში იტანჯებიან»; მოწოდება გამოდის ცალკე ფურცლად ხელმოწერით «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია».

მარტი, 14 (27).	ლენინი ციურიხში გამოდის რეფერატით «რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში». ავტორეფერატი ქვეყნდება გაზეთ «Volksrecht»-ის 77-ე და 78-ე ნომრებში.
მარტი, 17 (30).	ლენინი წერს სტატიას «რესპუბლიკელ შოვინისტთა ოინები». სტატია ქვეყნდება გაზეთ «Volksrecht»-ის 81-ე ნომერში და შემოკლებული სახით — გაზეთ «Avanti!»-ს 99-ე ნომერში.
მარტი, 18 (31).	რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის კოლეგია ღებულობს ლენინის მიერ დაწერილ დადგენილებას რუსეთში ემიგრანტების დაბრუნების წესის შესახებ.
მარტი, 22 (აპრილი, 4).	ლენინი ციურიხში მონაწილეობას იღებს თათბირში რუსეთში ემიგრანტების გამგზავრების ორგანიზაციის საკითხზე.
	ლენინი მიდის ბერნში, რათა ხელი მოაწეროს ოქმს შვეიცარიიდან რუსეთს გამგზავრების შესახებ.
მარტი, 26 (აპრილი, 8).	ლენინი წერს «წერილებს შორიდან. წერილი მეხუთე. რევოლუციური პროლეტარული სახელმწიფოებრივი წყობილების ამოცანები».
	ლენინი წერს «გამოსათხოვარ წერილს შვეიცარიელი მუშებისადმი». წერილი მიიღო რსდმ პარტიის იმ წევრთა კრებამ ბერნში, რომელნიც რუსეთს მიემგზავრებოდნენ.
მარტი, 27 (აპრილი, 9).	ლენინი და კრუპსკაია შვეიცარიიდან მიემგზავრებიან რუსეთში.
27 და 30 მარტს (9 და 12 აპრილს) შუა.	ლენინი გზაში მუშაობს თეზისებზე რევოლუციაში პროლეტარიატის ამოცანების შესახებ («აპრილის თეზისები»).
მარტი, 31 (აპრილი, 13).	ემიგრაციიდან რუსეთს მიმავალი ლენინი გზაში ერთი დღით ჩერდება სტოკჰოლმში; მონაწილეობს შვეციის სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა თათბირში; აწყობს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1916 წ.

«იმპერიალისტური ეკონომიზმის» მიმართულების შესახებ, რომელიც ახლა იბადება . . . . . 1 — 12

პასუხი პ. კიევსკის (ი. პიატაკოვს) . . . . . 13 — 21

მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ . . . . . 22 — 90

1. მარქსისტული დამოკიდებულება ომებისადმი და «სამშობლოს დაცვისადმი» 24
2. «ახალი ეპოქის ჩვენი გაგება» 33
3. რა არის ეკონომიური ანალიზი? 39
4. ნორვეგიის მაგალითი 50
5. «მონიზმისა და დუალიზმის» შესახებ 59
6. დანარჩენი პოლიტიკური საკითხები, რომლებსაც შეეხო პ. კიევსკი და რომლებიც მან დაამახინჯა . . . 72
7. დასკვნა. ალექსინსკის ფანდები 89

პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა . . . . . 91 — 106

I 91

II 96

III 100

სამ ფიჰმს შუა გზა აეგნათ . . . . . 107 — 108

მისალმება იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობას . . . . . 109 — 114

«განიარალების» ლოზუნგის შესახებ . . . . 115 — 129

I 116
II 117
III 122
IV 124

იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა . . 130 — 151

სიტყვა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე 1916 წლის 4 ნოემბერს . . . 152 — 156

სეპარატიული ზავის შესახებ . . . . . 157 — 168

«სოციალისტ» მინისტრთა მთელი ათეული . . 169 — 172

მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში . . . 173 — 188

I. დამოკიდებულება ომისა და ბურჟუაზიული მთავრობისადმი საზოგადოდ 174
II. სიძვირე და მასების აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა 176
III. განსაკუთრებით არსებითი დემოკრატიული გარდაქმნანი და პოლიტიკური ბრძოლისა და პარლამენტარიზმის გამოყენება 179
IV. პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის მორიგი ამოცანები 181
V. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატების საერთაშორისო ამოცანები 186

თეზისები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი 189 — 192

პრინციპული დებულებანი ომის საკითხისათვის 193 — 205

საშუალოს დაცვის საკითხის დაყენებისათვის 206 — 207

ახალგაზრდობის ინტერნაციონალი (შენიშვნა) 208 — 213

ოპორტუნიზმის გათეთრების ცდები . . . . 214 — 218

ჩხეიძის ფრაქცია და მისი როლი . . . . . 219 — 224

1917 წ.

პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური . . . . . 225 — 251

სტატია (ანუ თავი) I. მობრუნება მსოფლიო პოლიტიკაში 227

სტატია (ანუ თავი) II. კაუცკისა და ტურატის პაციფიზმი 232

სტატია (ანუ თავი) III. საფრანგეთის სოციალისტებისა და სინდიკალისტების პაციფიზმი 240

სტატია (ანუ თავი) IV. ციმერვალდი გზაჯვარედინზე . 246

ლია წერილი ბორის სუვარინს . . . . . 252 — 266

შავად მონასახი პროექტი ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიისადმი და ყველა სოციალისტური პარტიისადმი მიმართვის თეზისებისა 267 — 283

ვ. ა. კარპინსკის . . . . . 284 — 286

ლია წერილი შარლ ნენს, ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კომისიის წევრს . . . . . 287 — 299

მუშებს, რომელნიც მხარს უჭერენ ბრძოლას ომის წინააღმდეგ და თავიანთ მთავრობათა მხარეზე გადასული სოციალისტების წინააღმდეგ . . . 300 — 309

მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ . . 310 — 333

თორმეტი მოკლე თეზისი ჰ. გრეილიხის მიერ სამშობლოს დაცვის ლოზუნგის დაცვის შესახებ . . 334 — 341

ნეიტრალიტეტის დაცვა . . . . . 342 — 344

მობრუნება მსოფლიო პოლიტიკაში . . . . 345 — 357

სტატისტიკა და სოციოლოგია . . . . . 358 — 367

წინასიტყვაობა 358
ნაციონალურ მოძრაობათა ისტორიული ეითარება . . 359
თ ა ვ ი 1. **ცოტაოდენი სტატისტიკა** 361
I 361
II 366

მოჩვენებითი თუ ნამდვილი ბაოგი? . . . . 368 — 373

წინადადება სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ . . . 374 — 375

ისტორია ერთი სოციალისტური პარტიის ცხოვრების ერთი პატარა პერიოდისა . . . . . 376 — 380

1917 წლის 4 (17) მარტის თეზისების მონასახი . . 381 — 386

დეპეშა რუსეთს მიმავალ ბოლშევიკებს . . . 387

განცხადება გაზეთ «VOLKSRECHT»-ში . . . 388 — 389

წერილები შორიდან . . . . . 391 — 452

წერილები შორიდან. წ ე რ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი. პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი 393
წერილები შორიდან. წ ე რ ი ლ ი მ ე ო რ ე. ახალი მთავრობა და პროლეტარიატი 409
წერილები შორიდან. წ ე რ ი ლ ი მ ე ს ა მ ე. პროლეტარული მილიციის შესახებ 423
წერილები შორიდან. წ ე რ ი ლ ი მ ე ო თ ხ ე. როგორ მივაღწიოთ ზავს? 441
წერილები შორიდან. წ ე რ ი ლ ი მ ე ხ უ თ ე. რევოლუციური პროლეტარული სახელმწიფოებრივი წყობილების ამოცანები 450

ამხანაგებს, როგორც ტყვეობაში იტანჯებიან 453 — 460

რევოლუცია რუსეთში და ყველა ქვეყნის მუშათა ამოცანები . . . . . 461 — 467

რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში. ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი . . . . . 468 — 476

რესპუბლიკელ შოვინისტთა ოინები . . . . . 477 — 481

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის კოლეგიის დადგენილება . . . . 482 — 483

გამოსათხოვარი წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი . . . . . 484 — 493

შენიშვნები . . . . . 495 — 528

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 529 — 537

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინის პორტრეტი. — 1917 წ. . . . . XII — 1

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «წერილები შორიდან. წერილი მეორე. ახალი მთავრობა და პროლეტარიატი». — 1917 წ. 22 (9) მარტი . . . . . 410 — 411

პირველი გვერდი ფურცლისა: «ამხანაგებს, რომლებიც ტყვეობაში იტანჯებიან». — 1917 წ. 455

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XII — 1951.
უე 05762. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 34,75.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 1098.